

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
გ. წერეთლის სახ.**

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა
კვლევის საერთაშორისო ცენტრი**

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი

**Академия Наук Грузии
Институт востоковедения
им. акад. Г. В. Церетели**

**Международный исследовательский центр
взаимоотношений Восток–Запад**

Тбилисский Институт Азии и Африки

**Academy of Sciences, Georgia
Tsereteli Institute of Oriental Studies
International Research Center
for East–West Relations
Tbilisi Institute of Asia and Africa.**

გონა ჯაფარიძე

საქართველო
და მახლობელი აღმოსავლეთის
ოსლამური სამყარო
XII-XIII ს-ის პირველ მესამედში

თბილისი 1995
"მეცნიერება"

ბოჩა ჯაფარიძე

საპარტეზლო და მახლობელი
აღმოსავლეთის ისლამური
სამყარო XII-XIII ს-ის პირველ
მესამედში

ნაშრომში შესწავლილია XII-XIII ს-ის პირველი მესამედის საქართველოს სამეფოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყაროს (დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, ერაყის სელჩუკთა სასულტნო, თურქული საამიროები, რომლებიც წარმოიქმნა ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და სომხეთის ტერიტორიაზე სელჩუკთა სახელმწიფოს რღვევის პროცესში, აიუბიანთა და რუმის სასულტნოები) ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები; განხილულია ქრისტიანული საქართველოსა და ისლამური სამყაროს იდეოლოგიური კონფრონტაციის საკითხები, დავით IV აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების რჯულ შემყენარებლური პოლიტიკა ქვეშევრდომ მუსლიმებისადმი, რამაც შესაძლებელი გახადა ორი დაპირისპირებული რელიგიის აღმსარებელთა მშვიდობიანი თანაარსებობა საქართველოს სამეფოში.

რედაქტორები:

ბ. ბ. ბერაძე

ო. ვ. ტკიტაშვილი

Gotcha I. Djaparidze

Georgia and the Near-
Eastern Islamic World in the
12th-first third of the 13th
Century

The study deals with the political aspects of relations between the Kingdom of Georgia and the Near-Eastern Islamic world (the Great Saljuq Empire, Saljuq Sultanate of Iraq, the Turkish Emirates that emerged in northern Mesopotamia and on Armenian territory, the Ayyubid and Rum Sultanates) in the 12th - first third of the 13th century. Questions of the ideological confrontation of Christian Georgia and the Islamic world are discussed, as well as David IV the Builder's (1089-1125) and his successor's policy of tolerance of other religions in regard to their Muslim subjects, which rendered feasible the peaceful coexistence of the followers of the two opposing religions in the Kingdom of Georgia.

Edited by

G. G. Beradze and

O. V. Tskitishvili

წიგნის გამოცემის სპონსორები არიან:
საქართველოს არაბულ ქვეყნებთან
ურთიერთობების ასოციაცია

და
ფირმა ბელეგი.

© „მეცნიერება“, 1995.

შესავალი

XII–XIII ს-ის პირველი მესამედი მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი პერიოდი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში. ის აღინიშნა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს საბოლოო დაშლით (1119 წ.) და მის ნანგრევებზე მრავალრიცხოვანი თურქული სასულტნოს, საათაბაგოსა და საამიროს აღმოცენებით ("მრავალმთავრობით"); აბასიანთა სახალიფოს აღორძინებით (XII ს. 50—60-იანი წლებიდან); ბიზანტიის საგარეო პოლიტიკის გააქტიურებით, მცირე აზიის სელჩუკებთან მისი დაპირისპირებითა და მიჩიოკეფალთან კატასტროფული სამხედრო მარცხით (1176 წ.); რუმის სასულტნოს გაძლიერებით (XII ს. 70-იანი წლებიდან); აიუბიანთა სახელმწიფოს წარმოქმნით (1171 წ.) და მისი აქტიური ჩაბმით მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკაში; სისხლისმღვრელი ჯვაროსნული ომებითა და საღვთო ომის იდეოლოგიის საფუძველზე დასავლეთის ქრისტიანული და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური ფეოდალური საზოგადოებების სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციით; მონღოლთა პირველი თავზარდამცემი გამოჩენით (1220—1221 წწ.), მათგან დევნილი ხვარაზმელების შემოსევითა და თარეშით (1225—1231 წწ.); ისევ მონღოლთა შემოსევებითა და მათი დაპყრობითი ომების დაწყებით (XIII ს. 30-იანი წლების დამდეგი). იდეოლოგიური თვალსაზრისით ეს არის ხანა მახლობელ აღმოსავლეთში ისლამური ფაქტორის აქტივიზაციისა, ორთოდოქსალური, სუნიტური ისლამის კონსოლიდაციისა, რომლის დამცველებადაც მოგვევლინენ სელჩუკები და აიუბიანები.

აღნიშნული პერიოდის დასაწყისი საქართველოში ემთხვევა თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან განთავისუფლებას, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესის დასრულებას და მის მძლავრ სამეფოდ ჩამოყალიბებას დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით, მეფის ძლევამოსილ ბრძოლას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის მიწების გასაერთიანებლად (რაც დროებით შეფერხდა დავითის მემკვიდრეების დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის დროს და ხელახლა წარმატებით გაიშალა თამარის ეპოქაში), მისი დასასრული კი — ხვარაზმელთა შემოსევას და მათთან მარცხს, რასაც მალე მოჰყვა მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობის დამყარება.

ამიერკავკასიაში ჰეგემონიისათვის ბრძოლაში საქართველო უპირისპირდებოდა როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმურ პოლიტიკურ ერთეულებს, ისე საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის ისლამურ სახელმწიფოებს. XII ს-ში და XIII ს-ის დასაწყისში ქრისტიანულ საქართველოსთან კონფრონტაციის დროს ისლამი ძირითადად იყო უფრო თავდაცვაზე, ვიდრე შეტევაზე. საქართველოს სამეფო წარმოდგენდა სერიოზულ ძალას და მნიშვნელოვან ფაქტორს მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ცხოვრებაში.

ურთიერთობები ისლამურ სამყაროსთან, რომლებსაც უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, ყოველთვის იყო ქართველ მკვლევართა ყურადღების ცენტრში. იგივე თემატიკის სხვადასხვა ასპექტი გახდა წინამდებარე ნაშრომის გამოკვლევის საგანიც. მასში მონოგრაფიულად არის შესწავლილი XII-XIII ს-ის პირველი მესამედის საქართველოს სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობა დიდ სელჩუკთა სასულტნოსთან, ერაყის სელჩუკთა სასულტნოსთან (XII ს. 60-იან წლებამდე), აიუბიანთა და რუმის სასულტნოებთან (ანუ იმ მძლავრ ისლამურ სახელმწიფოებთან, რომლებიც არსებითად განსაზღვრავდნენ მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ პროცესებს), აგრეთვე სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ჩრდილოეთ მესოპოტამიასა (დიარ-ბაქრი) და სომხეთში აღმოცენებულ თურქულ (ართუკიანთა, აჰდაბიანთა, შაჰ-არმენთა, ყარსის, სურმარისა და არზრუმის) საამიროებთან (რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ რეგიონისა და, კონკრეტულად, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში). ზემოაღნიშნული პრობლემატიკის ფონზე ნაშრომში მხოლოდ ეპიზოდურად არის წარმოდგენილი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან — შარვანთან, შადდადიანთა, აჰმადილიანთა და სხვ. საამიროებთან — საქართველოს ურთიერთობის საკითხები, რომლებიც საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართველ მკვლევართა მიერ. ასევე ეპიზოდურად არის განხილული ურთიერთობა ელდიგუზიანთა ძლიერ საათაბაგოსთან, რომელმაც XII ს. 60-90-იან წლებში ფაქტობრივად დაიჭვემდებარა ერაყის სელჩუკთა სასულტნო. „საქართველო და ელდიგუზიანთა საათაბაგო“ დამოუკიდებელი მონოგრაფიული გამოკვლევის თემად გვესახება.

XII-XIII ს-ის. პირველი მესამედი იყო ქრისტიანული საქართველოსა და ისლამური სამყაროს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის ეპოქაც. ჩვენს მიერ შესწავლილი ამ იდეოლოგიური ბრძოლის ფორმები და გამოვლინებები (ის საკითხები, რომელთაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მკირე ადგილი ეთმობოდა); განხილულია აგრეთვე, საქართველოს სამეფო კარის რჯულშემქმნარებლური პოლიტიკა ქვეშევრდომ მუსლიმთა მიმართ, რამაც შესაძლებელი გახადა ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობის თანაცხოვრება და მშვიდობიანი თანაარსებობა საქართველოში.

წინამდებარე ნაშრომში დასმული საკითხების კვლევამ მოითხოვა სხვადასხვა ტიპის (ნარატიული, ეპიგრაფიკული, დოკუმენტური, ნუმისმატიკური...) და სხვადასხვაენოვანი (ქართული, სომხური, არაბული, სპარსული, სირიული...) მრავალი

წყაროს გათვალისწინება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ნარატიულ წყაროებს, რომელთაც აქ უაღრესად მოკლედ შევხებით.

ქართული წყაროებიდან გამოყენებულია XII–XIV სს-ში დაწერილი დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსების, ლაშა გიორგის-დროინდელი მემატრიანისა და უცნობი ჟამთააღმწერლის¹ თხზულებები. ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ ამ თხზულებებში საკმაოდ ზუსტადაა ასახული და სათანადოდ შეფასებული-დახასიათებული მახლობელ აღმოსავლეთში განვითარებული უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენები, მუსლიმური აღმოსავლეთის ნიშანდობლივი თავისებურებები (ვ.გამამვილი, 1968:307). ისინი მოგვითხრობენ მუსლიმურ აღმოსავლეთთან საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებზე. ამ საკითხებზე ზოგიერთ დამატებით ცნობას გვაწვდიან მოგვიანო ხანის სხვა ქართველი ავტორებიც: ფარსადან გორგიჯანიძე (გარდ.დაახლ. 1696 წ.), ვახუშტი (გარდ. 1757 წ.) და იოანე ბატონიშვილი (გარდ. 1830 წ.). ქართული წყაროები შეიცავენ საინტერესო მასალას ისლამურ სამყაროსთან ქრისტიანული საქართველოს იდეოლოგიური ბრძოლის შესახებაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია არსენ იყალთაელის (XI ს. II ნახევარი — XII ს. პირველი მეოთხედი) ანტიმუსლიმური პოლემიკური ტრაქტატი. საყურადღებოა XII–XIII სს. ქართველ მეზობლებთან (შავთელი, ჩახურხაძე) პოეზიაც. მაგრამ, მიუხედავად მრავალი ღირსებისა, ქართული წყაროებითი წყაროების ინფორმაცია მაინც არასრულია. ისინი არცთუ იშვიათად დემან საქართველოს საგარეო პოლიტიკის არაერთ მნიშვნელოვან ეპიზოდზე, ან გაკვრით იხსენიებენ მათ (განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება სამხედრო მარცხს). მხოლოდ ქართული წყაროებით ვერ აღვადგენთ, მაგალითად, დემეტრე I-ის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებს, ანდა საქართველოს ურთიერთობებს აიუბიანთა სახელმწიფოსთან. ხშირად მათში დაუთარიღებელია ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფაქტები და სხვ.

ქართული წყაროების ნაკლები ინფორმაციის შევსება შეიძლება სომხური, სპარსული, არაბული, სირიული, ევროპული და სხვ. წყაროების ცნობათა საფუძველზე. მათი ერთი ნაწილი ცნობილია მკვლევართათვის, ნაწილიც, საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, პირველად ჩვენს მიერ არის გამოვლენილი და შესწავლილი. ეს უმთავრესად ეხება არაბულ წყაროებს.

ძნელდებლობის ჟამს სომხეთიდან აყრილი მოსახლეობის საქართველოში დამკვიდრება, ქართველი მეფეების ბრძოლა სომხეთიდან უცხოელ დამპყრობთა გასადევნად, სომხური მიწების საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შესვლა ზრდიდა ისტორიული სომხეთის ფარგლებში, ან მის გარეთ მცხოვრებ სომეხ ისტორიკოსთა ინტერესს საქართველოს მიმართ (ამდღაძე, 1979:32). სომხური წყაროები შეიცავენ საყურადღებო ინფორმაციას საქართველოს მეზობელი პო-

¹ ამ ავტორთა ვინაობის, მათი თხზულებების დაწერის დროის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ამის თაობაზე სათანადო ლიტერატურის მითითებით იხ.: ლორთქიფანიძე, 1989: 48-52.

ლიტერტური ერთეულების (შაჰ-არშენთა სახელმწიფო, აჰდაბანთა, ყარსის, პარზ-რუმის საამიროები...) ისტორიისა და ამ ერთეულებთან საქართველოს ურთი-ერთობათა შესახებ. სომხური წყაროებიდან გამოყენებულია ქედესის (ურჰა, რუჰა) ერთ-ერთი მონასტრის ბერის მათეოს ურჰაეცის (გარდ. 1138-1144 წწ. შორის), გრიგორ ხუცესის (ქესუნცი) (XII ს. II ნახევარი), ანელი ბერის სამუელ ანეცის (XII ს.), ცნობილი ღვთისმეტყველისა და საზოგადო მოღვაწის მხითარ გომის (გარდ. 1213 წ.), კირაკოს განძაკეცის (გარდ. 1271 წ.), ვარდან არევე-ლცის (გარდ. 1271 წ.), სმბატ სპარაპეტის (გარდ. 1276 წ.), სტეფანოს ორბე-ლიანის (გარდ. 1304 წ.), მხითარ აირივანეცის (გარდ. 1300—1305 წწ. შორის) და სხვ. თხზულებები.

სპარსული და, განსაკუთრებით, არაბული ისტორიულ-გეოგრაფიული, კოს-მოგრაფიული და ბიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურა საშუალებას იძლევა შევისწავლოთ საქართველოს სამეფოს მეზობელი მუსლიმური ქვეყნების პოლი-ტიკური ისტორია, ამ ქვეყნების ურთიერთობები საქართველოსთან; ვიმსჯელოთ საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკაზე ქვეშევრდომ მუსლიმთა მიმართ და, აგრეთვე, დავახასიათოთ ის იდეოლოგიური ბრძოლა, რომელსაც ისლამური სამყარო აწარმოებდა ქრისტიანულ საქართველოსთან. ცხადია, გასათვალისწი-ნებელია ის გარემოება, რომ სპარსელი და არაბი ავტორები, რომლებიც ისლამის პოზიციებიდან აფასებდნენ ყველა მოვლენას, ტენდენციურად წარმოაჩენენ სა-ქართველოს სამეფო კარის საგარეო პოლიტიკას და ცდილობენ მის დისკრედი-ტაციას. ანტიქართული და ანტიქრისტიანული სულისკვეთებით არის გამსჭვალ-ული ბევრი მუსლიმი ისტორიკოსის (იბნ ალ-ასირი, ან-ნასაფი, ჯუვეინი...) თხზულება.

სპარსული წყაროებიდან ნაშრომში გამოყენებულია სელჩუკი სულტნის არ-სლან-შაჰის (1161-1176) აღმზარდელის ზაჰირ ად-დინ ნიშაბურის (გარდ. 1186 წ.), XIII ს. 20-იან წლებში მცხოვრები სპარსელი ანონიმის, რუმის სელჩუკთა სულტნების კარის ისტორიკოსის იბნ ბიბის (XIII ს. II ნახევარი), ჯუვეინის (გარდ. 1283 წ.), რაშიდ ად-დინის (გარდ. 1318 წ.), ჰამდალლამ მუსთაუფი ყაზვინის (გარდ. 1350 წ.), აჰმედ ლაფთარი ყაზვინისა (გარდ. 1567-68 წ.) და სხვ. თხზულებ-ები.

არაბული წყაროებიდან მოხმობილია იბნ ალ-კალანისის (გარდ. 1160 წ.), ალ-‘აზიმის (გარდ. 1161 წ. შემდეგ), იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკის (გარდ. 1181 წ. შემდეგ), უსამა ბ.მუნკიზის (გარდ. 1198 წ.), XII ს. მიწურულში სირიასა და ეგვიპტეში მცხოვრები ვინემე ყადი ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის, სადრ ად-დინ ‘ალი ალ-ჰუსაინის (XIII ს.), იბნ ალ-ჯაუზის (გარდ. 1200 წ.) ნაშრომები; სულტან სალამ ად-დინის მდივნის ‘იმად ად-დინ ალ-ქათიბ ალ-ისფაჰანის (გარდ. 1201 წ.) თხზუ-ლება სელჩუკთა ისტორიის შესახებ შემოკლებული ალ-ბუნდარის (გარდ. 1245 წ.) მიერ; ალ-ისფაჰანისვე ნაშრომი მიძღვნილი სალამ ად-დინისადმი, იბნ ჯუბა-ირის (გარდ. 1218 წ.), იაკუთის (გარდ. 1229 წ.), ‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის

(გარდ. 1231 წ.), იბნ ალ-ასირის (გარდ. 1233 წ.), ბაჰა' ად-დინ ბ. შადლადის (გარდ. 1234 წ.), ან-ნასაის (გარდ. 1243 წ.), მუჰამად ალ-ჰამვის (XIII ს. I ნახევარი), სიბტ ბ. ალ-ჯაუზის (გარდ. 1257 წ.), ქამალ ად-დინ ბ. ალ-'ადიმის (გარდ. 1262 წ.), აბუ შამას (გარდ. 1267 წ.), ალ-მაჟინის (გარდ. 1273 წ.), 'ზაქარია' ალ-კაზინის (გარდ. 1283 წ.), 'იზუ ად-დინ ბ. შადლადის (გარდ. 1285 წ.), მუჰი ად-დინ იბნ 'აბდ აზ-ზაჰირის (გარდ. 1292 წ.), იბნ ვასილოს (გარდ. 1298 წ.), იბნ ალ-ფუვატის (გარდ. 1323 წ.), ალ-იუნინის (გარდ. 1326 წ.), აბუ ლ-ფიდას (გარდ. 1331 წ.), იბნ ად-დავადარის (XIV ს. I ნახევარი), აზ-ზაჰაბის (გარდ. 1348 ან 1352-53 წ.), ზაინ ად-დინ ბ. ალ-ვარდის (გარდ. 1349 წ.), ას-საფადის (გარდ. 1363 წ.), იბნ ქასირის (გარდ. 1373 წ.), იბნ ალ-ფურათის (გარდ. 1405 წ.), იბნ ხალდუნის (გარდ. 1406 წ.), ალ-მაკრიზის (გარდ. 1442 წ.), ბადრ ად-დინ ალ-'აინის (გარდ. 1451 წ.), იბნ თალარი-ბარდის (გარდ. 1470 წ.), ალ-ბაქუვის (XIV ს. I ნახევარი — XV ს. დასაწყისი), ას-სუიუტის (გარდ. 1505-6 წ.), იბნ 'იზიდ ალ-ჰანბალის (გარდ. 1679 წ.) და სხვ. თხზულებები.

მოხმობილი და გამოყენებულია, აგრეთვე, სირიული, ევროპული და ოსმალური წყაროები: XII ს. სირიელი ანონიმის, იაკობიტთა პატრიარქის, ისტორიკოს მიხეილ სირიელის (გარდ. 1199 წ.), სირიული ქრისტიანული მწერლობის შესანიშნავი წარმომადგენლის აბუ ლ-ფარაჯ ბარ ჰებრეუსის, იგივე იბნ ალ-ჯიბრის (გარდ. 1286 წ.), კანკლერ გოტიეს (XII ს.), აკრის წმ. იოანეს ტაძრის ეპისკოპოსის ყაჟ დე ვიტრის (1216-1228 წწ.), აჰმედ ბ. ლუტფულლაჰ მუნეჯჯიმ-ბაშის (გარდ. 1702 წ.) და სხვ. თხზულებების მონაცემები.

სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ მოგვეცა საშუალება წარმოგვედგინა ზემოდასახელებულ უცხოელ ავტორთა თხზულებების² წყაროთმცოდნეობითი ანალიზი და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის ვრცელი ისტორიოგრაფიული მიმოხილვა. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე ნაშრომში სათანადოდ აისახა ისლამურ სამყაროსთან საქართველოს სამეფოს ურთიერთობათა კვლევის საქმეში ქართული ისტორიოგრაფიის (ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. მესხია, ვ. გაბაშვილი, რ. კიკნაძე, ე. სიხარულიძე, ო. ცქიტიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, ნ. შენგელია, ნ. ასათიანი, ქ. ჩხატარაიშვილი, ბ. სილაგაძე, ჯ. სტეფნაძე, პ. თოფურია, თ. ნატროშვილი, გ. ბერაძე, გ. ალასანიძე და მრავალი სხვ.) მონაპოვრები. გათვალისწინებული და გამოყენებულია ევროპელ (მ. ბროსე, ვ. მინორსკი, კ. კაენი...), თურქ (ო. თურანი, ფ. კირზიოდლუ, ფ. სუმერი...), აზერბაიჯანელ (ზ. ბუნიატოვი, რ. ჰუსეინოვი ს. აშურბეილი...) და სომეხ (ს. ერემიანი, რ. მათევესიანი, პ. მარგარიანი და სხვ.) მკვლევართა გამო-

² სომეხ, სპარსელ და არაბ ავტორთა ნაშრომების სახელწოდებების ქართული ტრანსლიტერაცია და ამ სახელწოდებათა ქართული თარგმანები მოტანილია წყაროებისა და ლიტერატურის სიაში.

კვლევებიც, რომლებიც შუქს ფენენ XII-XIII სს. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ცალკეულ ეპიზოდებს.

ნაწილი ნაშრომის III თავის მე-2 და მე-5 პარაგრაფებისა, რომლებიც ეხება ურთიერთობებს აიუბიანებთან, დამუშავდა ბატონ თამაზ ნატროშვილთან თანამშრომლობითა და თანაავტორობით. ამ კვლევის შედეგები აისახა ადრე დაბეჭდილ ჩვენს ერთობლივ სტატიებში (ნაცდომილი, ჯაფარიძე, 1974 №1-2; ნაცდომილი, ჯაფარიძე, 1982).

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია, მადლობა მოვახსენო ჩემს მეგობრებსა და კოლეგებს: ბატონებს კარლო კუციას, რამაზ გორგაძეს, ვიქტორ ჩიკაიძეს, გურამ აფხაზავასა და წათე ბაწაშს, რომლებმაც დიდი დახმარება აღმომიჩინეს სომხურსა და თურქულ ენებზე წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობაში; ჯემალ ძაძუას, რომელმაც მოამზადა რუკები; ჭალბატონ გიული ალასანიას, ბატონებს დავით მუსხელიშვილს, ქველი ჩხატარაიშვილს, შოთა ბადრიძესა და დევი კაციტაძეს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ნაშრომის განხილვაში; ბატონებს ჯემშიდ გიუნაშვილს, არიანე ჭანტურიას, ნუგზარ თარხნიშვილს, ალექსანდრე აბდალაძეს, ჭალბატონებს მანანა კვაჭაძესა და ელენე ცაგარეიშვილს კონსულტაციებისა და თანადგომისათვის; წიგნის რედაქტორებს: ბატონებს გია ბერაძეს, რომელმაც მოგვაწოდა არაერთი ძვირფასი ინფორმაცია და საყურადღებო რჩევა და აწ განსვენებულ ოთარ ცქიტიშვილს, რომელიც ყოველმხრივ გვიჭერდა მხარს მუშაობის დროს.

თავი პირველი

საქართველო და თურქ-სელჩუკები

XII ს. პირველ მეოთხედში

1. საქართველოში თურქ-სელჩუკთა შემოსევების შედეგები

თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა XI საუკუნეში მნიშვნელოვნად შეცვალა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა. პირისაგან მიწისა აღიგავა ლაზნევიანთა და ბუვეიჰიანთა ძლიერი სახელმწიფოები, დიდ სელჩუკთა სულტნების კონტროლს დაექვემდებარენ ბაღდადის აბასიანი ხალიფები. მცირე მუსლიმურმა პოლიტიკურმა ერთეულებმა არსებობა შეწყვიტა, ან მორჩილება გამოუცხადა სელჩუკებს. მარცხს მარცხზე განიცდიდა ბიზანტია. XI ს. 60-იან წლებში თურქ-სელჩუკთა დაპყრობითი ომების ტალღა საქართველოსაც მისწვდა.

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა საქართველოსთვის 80-იანი წლების დამდები, როცა დაიწყო „დიდი თურქობა“¹. თურქთა თარეშმა ქვეყანაში გაზაფხულიდან დაზამთრებამდე რეგულარული ხასიათი მიიღო. მათ ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი ქალაქები: რუსთავი, დმანისი და სამშვილდე. „თურქებს ჰქონდებ“ თბილისიც. ასე ჩანს, ყოველ შემთხვევაში, 1110 წ. (დავით აღმ. ისტ., 1992: 176; ჩხატარაიშვილი, 1989:8; *Лордкипანიძე, 1991: 82*). თბილისში გაბატონებულ მუსლიმთა სიმპათიები (იმისდა მიუხედავად, თუ როგორი ფორმა ჰქონდა ქალაქის მმართველობას), თურქების მხარეზე იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალური მეურნეობის ყველაზე წამყვანი რაიონები მტკვრის, ალაზნისა და ივრის ნაპირები მომთაბარეებს ეკავათ (ივანე მაჭავიანიშვილი, 1984:179, 489; მუსხია, 1972: 69-70). გიორგი II-ის სამეფო ხელისუფლება მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა და არც აქ იყო საიმედოდ დაცული თურქთაგან.

„დიდი თურქობა“ კატასტროფული აღმოჩნდა ქვეყნისათვის. თურქობა, როგორც აღნიშნავდა აკად. ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ფეოდალურ მეურნეო-

¹ საქართველოში თურქ-სელჩუკების შემოსევების შესახებ იხ.: შენგელია, 1968; ლორთქიფანიძე, 1979ა: 196-209.

ბას საფუძველს — მიწას აცლოდა და მას ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა (6. მერბენიშვილი, 1971:158).

ქართველებისათვის საკუთარი ძალების გარდა "არც რა დამკხნელი" ჩანდა ვინმე და "არახადამთ იყო დონე კხნისა და შეწევისხაჲ". მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური ვითარება საქართველოსათვის არასასურველად შეიცვალა. 1071 წ. მანასკერტთან გამანადგურებელი მარცხიდან მცირე ხნის შემდეგ ბიზანტიამ დათმო მცირე აზიის დიდი ნაწილი და საქართველოს მოსაზღვრე ბასიან-თეოდოსიუპოლის ზონა. XI ს. 70-იანი წლების დასაწყისში თურქებმა ხელთ იგდეს ტრაპიზონიც, მაგრამ მალე (1075 წ.) დაკარგეს ის. ბიზანტიამ შეინარჩუნა შავი ზღვის სანაპირო ზოლი. ტრაპიზონის მხარეში გაბატონდა გაბრას საგვარეულო, რომელსაც უწევდა ბრძოლები არსებობისათვის მანგუჯაქიანებთან და დანიშმენდიანებთან.

ამიერკავკასიაში ქრისტიანული სომხეთი ბიზანტიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის წყალობით განიარაღებული აღმოჩნდა. ანისში, სადაც ბიზანტიამ 1045 წ. გააუქმა მეფობა, ალფ-არსლანის (1063-1072) „კურთხევით“ გაბატონდა არარანის შადდადიანთა შტო. ყარსის მეფემ გაგიკმა თურქებთან ბრძოლას ბიზანტიაში ემიგრაცია ამჯობინა. საქართველოს მეზობელი შარვანისა და არარანის მუსლიმ გამგებლებს არ გაუწევიათ სერიოზული წინააღმდეგობა „ერთმორწმუნე“ დამპყრობლებისათვის და თავი სელჩუკი სულტნების ვასალბად აღიარეს. მალე სელჩუკები არ დასჯერდნენ არარანის შადდადიანთა ვასალბას და ეს ქვეყანა თავიანთ პირდაპირ კონტროლს დაუქვემდებარეს.

არარანსა და აზერბაიჯანში დაიწყო თურქქმენთა ინტენსიური ჩამოსახლება. მათ ხელთ იგდეს საძოვრები თბილისიდან ბარდავამდე და არარატის მთის ფერდობებზე, სომხეთში. თანამედროვე ტოპონიმის მონაცემები მოწმობს, რომ აზერბაიჯანი იყო თურქულენოვან ტომთა განსახლების უმნიშვნელოვანესი ზონა.² კბოსვორთი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანმა შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც თურქქმენთა ექსპანსიის ბაზამ. აზერბაიჯანი მდებარეობდა რეისა და ჩრდილოეთ ირანისკენ მიმავალი გზის ბოლოში. ამ გზით ხორასნიდან აქ განუწყვეტლოვ მოდიოდნენ თურქქმენები. ანატოლიაში ბიზანტიის წინააღმდეგ მებრძოლი თურქქმენი ამირები აზერბაიჯანიდან იღებდნენ თავიანთ შეესებას (Bosworth, 1968: 42, 94-5).

მალიქ-შაჰმა (1072-1092) აღიარა აზერბაიჯანის სტრატეგიული მნიშვნელობა. ეს ტერიტორია მან საბოლოოდ დაუქვემდებარა თავის ბიძაშვილს კუტბად-დინ ისმა'ილ ბ.აკუთის (გარდ. 1093 წ.) და მასვე დაუმორჩილა ამიერკავკასიაში დაპყრობილი მიწები, მათ შორის საქართველოც (შენგულია, 1968: 317;

² რ.პუსეინოვი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის ტოპონიმიაში გამოვლენილი და დადგენილია 18 ოლუზური ტომის (24-დან) ეთონიმი. ის მიუთითებს, რომ XI-XII სს-ში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა აზერბაიჯანის ენობრივი თურქიზაცია (*Гусейнов, 1973: 375-381*). თურქქმენთა კონცენტრაციაზე აზერბაიჯანში ყურადღებას ამახვილებენ სხვა მკვლევარებიც (*Bosworth, 1968: 42-3, 54-5; Cahen, 1969: 157*).

Bosworth, 1968: 95). განჯა — არჩანის მთავარი ქალაქი სულტანმა უბოძა თავის უერთგულეს და გამოჩენილ სარდალს საე-თეგინს (გარდ. 1085-86 წ.) (*Bosworth, 1968: 95*; თოფუჩია, 1975: 88). მოგვიანებით არჩანი და, საერთოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასია, მტკვრისა და არეზის აუზები იკტებდად დაურიგდა თურქი ამირების ჯგუფს რომელთა შორის იყო ანტიოქიის მომავალი მფლობელი იალი-სიანიც (იზნ ალ-ასირი, X: 297; *Bosworth, 1987: 274*). აზერბაიჯანი და არჩანი წარმოადგენდნენ მოხერხებულ ბაზებს თურქ-სელჩუკებისათვის საქართველოზე სალაშქროდ.

XI ს. 80—90-იან წლებში მალიქ-შაჰისა და შემდეგ კი მისი ძმის — სირიის გამგებლის თუთუშის ენერგიული ღონისძიებების შედეგად ჩრდილოეთ მესოპოტამია, სადაც არაბი 'უკაილიანები' (მავსილსა და დიარ-მულდარში) და ქურთი მარვანიანები (დიარ-რაბი'ასა და დიარ-ბაქრში) ბატონობდნენ, საბოლოოდ თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს. ალ-ჯაზირა სირიის სელჩუკთა კონტროლს დაექვემდებარა. თურქებმა ხელთ იგდეს აგრეთვე, ვანის ტბის სანაპიროები. ყოველივე ამის შედეგად, XI ს. 80—90-იან წლებში საქართველო სამხრეთიდან ბლოკირებული აღმოჩნდა მტრული და აგრესიული ისლამური სამყაროს მიერ. გართულდა კავშირები ბიზანტიასთან და ქართული კულტურის მძლავრ კერებთან პალესტინასა და ანტიოქიაში.

უაღრესად მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკურ პირობებში გიორგი II-მ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. 1083 წ. ის მორჩილების ნიშნად ისტაბანში ეახლა მალიქ-შაჰს (ქრონიკიში, 1892:229; შენგულია, 1968:313; ლორთქიფანიძე, 1979ა: 205) და მისი კეთილგანწყობა მოიპოვა ყოველწლიური ხარკით³, რომელსაც სულტანი 'აიდებდ[ი]ს ყამთა მრავალთა' (დავით აღმ. ისც., 1992: 162).

თურქი ისტორიკოსი ი.ჩაფესოლლუ აღნიშნავს, რომ გიორგი II-ს ევალებოდა საჭიროების შემთხვევაში სელჩუკთა სასარგებლოდ ლაშქრის გამოყვანა (შენგუ-

³ გიორგი II-ის გადაწყვეტილების მნიშვნელობის შესახებ იხ. რ.მეტრეველი, 1973: 71-2; პაპასქირი, 1991: 44,47-48. იმდროინდელ ქართულსა და აღმოსავლურ წყაროებში ამ ხარკის ოდენობა განსაზღვრული არ არის. მოგვიანებით, ჰამდალლამ ყაზვინი თავის თხზულებაში „ნუშხათ ალ-ყულუბ“ ასახელებს იმ თანხას, რომელიც საქართველოს (აბბაზ ვა გორჯესთან) ილხანთა ირანის ხაზინაში შექქონდა. იქვე მოტანილია წინამონღოლური ხანის ქართველი მეფეების სადივნო გადასახადების ოდენობაც — 500 თუმანი, ანუ 5 მილიონი ვერცხლის დინარი (ჰამდ. ყაზვინი, 1915: 94; ჯაფარიძე ეილი, 1965: 392; დონდუა, 1967ბ: 141-45; *Петрушевский, 1960: 98*). ეს თანხა მნიშვნელოვნად მცირეა იმავე ხანის ერაყისა თუ რუმის სელჩუკთა სასულტნოს შემოსავალთან შედარებით და არ შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას XII-XIII სს. საქართველოს ეკონომიკური ძალის შესახებ. ამის გამო რ.კიენამე მშიინია, რომ აღნიშნული 500 თუმანი იყო არა საქართველოს სამეფოს შემოსავალი, არამედ წინა ეპოქის სათურქო ხარკი, რომელიც საქართველოს მალიქ-შაჰის ხაზინაში შექქონდა XI ს. 80-იანი წლებიდან (კიენამე, 1976:207-8). უნდა აღინიშნოს, რომ

ლია, 1968: 314). მაგრამ ამგვარი ცნობა პირველწყაროებში არ გვევლება და რომც დავუშვათ, რომ მეფემ ასეთი ვალდებულება აიღო, არა ჩანს, რომ მან ის შეასრულა.

გიორგი II-ის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი იყო ის, რომ სულტანმა მო-რჩილებისა და ხარკის საფასურად "სამეფო [ა] მისი თავისუფალ-ყო ზედა-მარბიელთაგან" (დავით აღმ. ისტ., 1992: 162) . ქართული და აღმოსავლური წყაროები 1083 წლიდან მალაქ-შაჰის სიკვდილამდე (1092 წ.) და ამის შემდეგაც დიდ ხანს სელოჩუთა რაიმე ორგანიზებულ ლაშქრობას საქართველოში არ იცნობენ. მაგრამ სულტანს არ შეეძლო და, ალბათ, არც სურდა, რომ აღეკვეთა საქართველოში მომთაბარე თურქმენთა თარეში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არა გვაქვს საფუძველი, ეპვი შევიტანოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებში, რომ დავითის გამეფების უამს "მოოკრებულ იყო ქართლი და თვნიერ ფიხეთა ხადამდე არახადა იყო სოფელსა შინა კაცი, არცანა შენებულემა" (დავით აღმ. ისტ., 1992: 166).

ასეთ მძიმე და ექსტრემალურ სიტუაციაში დაიკავა ტახტი 1089 წ. გიორგი II-ის ვაჟმა დავით IV-მ, რომელიც საქართველოს ისტორიაში აღმაშენებლის სახელით შევიდა.

2. საქართველო და დიდ სელჩუკთა სახელმწიფო

XI-XII სს. მიჯნაზე: სათურქო ხარკის შეწყვეტა

დავით IV-ს წილად ხვდა დანგრეული და აშლილი ქვეყანა, აყრილ-გახიზნული და დემორალიზებული მოსახლეობა. გასაოცრად სიტყვაძუნწია დავითის ისტორიკოსი მეფის მოღვაწეობის პირველი ათი წლის შესახებ. ის იხსენიებს დავითის ერთგულ ფეოდალებს, იმ აზნაურებს, რომლებმაც დაიწყეს მეფის ირგვლივ დარაზმვა; შემდეგ მოგვითხრობს ლიპარიტ კლდეკარის ერისთავის ურჩობაზე, რომელიც "დადგა... ყოველსა გზასა არა-კეთილსა". გვამცნობს დავით IV-ის გამარჯვებას მასთან ბრძოლაში და ამ ურჩი ფეოდალის საბოლოო გასახლება საქართველოდან, რაც შესაბამისად, 1094 და 1096 წლებით თარიღდება; მოგვითხრობს მეფის მიერ ლაშქრის ორგანიზებაზე (დავით აღმ. ისტ., 1992: 165-67, 215-16; რ.მეფთყვილი, 1986: 78-9), მაგრამ ქართველი მემკვიდრე არ ეხება დავითის ურთიერთობებს სელჩუკებთან, თითქოსდა ამ ათი წლის მანძილზე

ილხანთა ეპოქის 5 მილიონი ვერცხლის დინარი, თავის მხრივ, უდრიდა სელოჩუთა ხანის 2,1 მილიონ ოქროს დინარს. ეს კი დაშლილი და გაჩანაგებული ქვეყნისთვის გადასახდელად ძალზე დიდი თანხა იყო. საკმარისია ითქვას, რომ მეზობელი შარვანის სათურქო ხარკი, რომელიც თავდაპირველად 70 ათასი დინარით განისაზღვრა, შემდეგ 40 ათას დინარამდე შემცირდა (*Бунятов, 1978: 144*).

საქართველოში არ არსებობდა თურქთა პრობლემა.

1092 წლიდან, მას შემდეგ რაც მალიქ-შაჰი გარდაიცვალა, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო აიშალა, დაიწყო შინაომები სულტნის ტახტისათვის. როგორი იყო საქართველოს სამეფო კარის დამოკიდებულება ამ ამბებისადმი? საოცარია, მაგრამ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამის თაობაზე ღუქს, თუმცა კი ის უეჭველად უნდა ყოფილიყო მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური ვითარების კურსში. სამაგიეროდ, მისი ყურადღების ცენტრში მოექცა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც დაიწყო 1097 წ.: "ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიდგეს იერუსალიმი და ანტიოქია. და შეწევნითა დმრთისა [ა]თა მოეშენა ქუეყანაჲ ქართლისა [ა], განძლიერდა დავით და განიმრავლნა ზბანი და არდარა მისცა სულტანსა ზარაჯა და თურქნი ვერდარა დაიზამთრებდეს ქართლს" (დავით აღმ. ისტ., 1992: 168).

ასე, რამდენიმე წინადადებაში გადმოგვცემს ისტორიკოსი სამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას: პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგებს, დავით IV-ის მიერ სათურქო ხარკის შეწყვეტასა და მომთაბარე თურქთა თარეშის აღკვეთას ქართლში. მის ცნობაში მკაფიოდ არის გამოხატული ქრონოლოგიური საყრდენი: სათურქო ხარკის შეწყვეტა მოხდა მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა აიღეს ანტიოქია და იერუსალიმი. მეფის ამ ღონისძიების დასათარიღებლად ივ.ჯავახიშვილმა გამოიყენა ქართული წყაროს ცნობა, მაგრამ ჯვაროსანთაგან ანტიოქიისა და იერუსალიმის აღების თარიღად მან შეცდომით დაასახელა 1097 წ. და ჩათვალა, რომ „საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა“ სწორედ ამ წელს მოხდა (ჯავახიშვილი, 1965: 195). რ.მეტრეველმა მართებულად მიუთითა ამ უზუსტობაზე. ანტიოქიის აღების თარიღია 1098 წ. იენისი, იერუსალიმისა კი 1099 წ. ივლისი. მაშასადამე, თუ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ვენდობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა არა 1097, არამედ 1099 წ. (რ.მეტრეველი, 1986: 82-4). უფრო ადრე იმავე უზუსტობაზე ყურადღება გაამახვილა ვ.კობალიანმა, მაგრამ მან უცვლელად დატოვა ივ. ჯავახიშვილის თარიღი. მისი აზრით „სრულებით არ იყო სავალდებულო, რომ საქართველოს ევროპელ რაინდებთან ომის შედეგებისთვის, კერძოდ, იერუსალიმის აღებისათვის დაეცა და მანამდე ხარკი არ შეეწყვიტა სულტნისათვის“ (ვხპალიანი, 1968: 92, მონ. 1). 1097 წელი, როგორც სათურქო ხარკის შეწყვეტის თარიღი, მიღებულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევებშიც“ (ლორთქიფანიძე, 1979 მ: 232).

სათურქო ხარკის შეწყვეტა, უეჭველია, ღრმად მოფიქრებული და მომზადებული ნაბიჯი იყო. მას წინ უსწრებდა ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგება. ითვლება, რომ ამ დროისათვის „საქართველოს მოშენება-მომძლავრების პროცესი ძირითადად დასრულდა... და უკვე მომძლავრებულ ქვეყანას შეეძლო უარი ეთქვა მტრის ხარკის გადახდაზე, რადგანაც მას უკვე ძალაც გააჩნდა და შესაძლებლობაც, რომ თავად გადასულიყო შეტევაზე“ (რ.მეტრეველი, 1986: 82). ამავე დროს სრულიად ამკარაა ისიც, რომ დავით IV-ს ღონისძიების მომწიფებასა და

მის განხორციელებას ხელს უწყობდა ხელსაყრელი საგარეო ფაქტორებიც, რომლებზედაც, საკვლევი პრობლემატიკიდან გამომდინარე, შევჩერებთ ყურადღებას.

სათურქო ხარკის შეწყვეტის ხელშემწყობი საგარეო პოლიტიკური ფაქტორების შესახებ არაერთი ქართველი მკვლევარის ნაშრომშია საუბარი. ივ.ჯავახიშვილი წერდა, რომ დავითის „მოღვაწეობის ნაყოფიერებას იმ დროისათვის დამკვიდრებული პოლიტიკური მყუდროებაც ხელს უწყობდა. მაჰმადიანობა აღმოსავლეთსა და პალესტინაში ეცემოდა“. მან დაიმოწმა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ზემომოტანილი ცნობა („ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი...“) და აღნიშნა, რომ „მაჰმადიანთა იმდროინდელი დაუძლურება სპარსეთის სელჩუკებს უფრო დაეტყოთ“ და რომ „ამავე დროს გარეშე მტრის შესევისაგან მოსვენებულმა საქართველომ ზურგი გაისწორა“ (ჯავახიშვილი, 1965: 195). როგორც ვხედავთ, ივ.ჯავახიშვილი სათურქო ხარკის შეწყვეტას მუსლიმური სამყაროს დაუძლურებას უკავშირებდა, რაც „სპარსეთის სელჩუკებს უფრო დაეტყოთ“ და ის ჯვაროსანთა ლაშქრობას არ ანიჭებდა გადაწყვეტ მნიშვნელობას.

ნ.ბერძენიშვილი განიხილავდა როგორც სამინაო დაუნდობელ ომებს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში მალაქ-შაჰის სიკვდილის (1092 წ.) შემდეგ, ისე — ჯვაროსნულ ლაშქრობებს. მიუთითებდა, რომ ჯვაროსანთა წარმატებებით გამხნივებულმა ბიზანტიამაც შეუტია დამპყრობელ თურქებს. მებრძოლი საქართველოს მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. ის თურქთა პირისპირ მარტო აღარ იყო. დავითმა სწორად შეაფასა შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება და სულტანს ხარკის მიცემა შეუწყვიტა (ნ.ბერძენიშვილი, 1973: 35).

ვ. გაბაშვილი თავდაპირველად თვლიდა, რომ საგარეო ფაქტორებიდან საქართველოსთვის მთავარი იყო არა ჯვაროსანთა ლაშქრობა, არამედ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალური დაშლა, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობის შედეგებს უმთავრესად დასავლეთის სელჩუკებისთვის ჰქონდა მნიშვნელობა (ვ.გაბაშვილი, 1957: 134). მოგვიანებით, ვ.გაბაშვილი აღნიშნავდა იმ ხელსაყრელ პირობებსაც, რომლებიც შეიქმნა მაშინ, „როცა სელჩუკიანებს აღმოსავლეთში ქრისტიანი ჯვაროსნები დაემუქრნენ“. ეს შეხვასება მოსდევს იმ ფაქტის კონსტატირებას, რომ დავით აღმაშენებელმა „ხარაჯობაზე“ დაფუძნებული ურთიერთობის პოლიტიკური ფორმა 1092 წელს (ე.ი. მალაქ-შაჰის გარდაცვალებისა და სელჩუკთა სახელმწიფოს აშლილობის წელს) კი არ უარყო, არამედ 1098 წელს (ვ.გაბაშვილი, 1968: 296).

აკიკვიძემ წინა პლანზე ჯვაროსანთა ლაშქრობა დააყენა: „1097 წ. ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და თურქ-სელჩუკების პოლიტიკური ბრწყინვალეობის ლაშქარიც ჩაქრა. 1097 წელსვე დავით აღმაშენებელმა თურქებს ხარკი შეუწყვიტა და საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობაც აღადგინა“ (ვიკვიძე, 1942, 5-6). ვ.აბაშვილის აზრით, „თურქ-სელჩუკთა ბატონობის შესუსტება შინაგანი წინააღმდეგობების გარდა არსებითად განსაზღვრა ჯვაროსნულმა ომებმაც“ (ამაშვილი, 1969: 98-9). სხვა ქართველი მკვლევარები, როგორც წესი, სათურქო ხარკის შეწყვეტის საქმეში მნიშვნელობას ანიჭებენ როგორც დიდ

სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის, ისე ჯვაროსანთა ლაშქრობის ფაქტორებს (კოპალიანი, 1968: 12-3; მუსხია, 1972: 29; შენგელია, 1968: 345-46; ჩხატარაიშვილი, 1973: 5; მადრიბი, 1984ა: 120-21; რ.მეჭრეველი, 1986:84; ლორთქიფანიძე, 1979 მ: 232-33).

მ.ლორთქიფანიძე შენიშნავს, რომ დავით IV-ის მიერ სათურქო ხარკის შეწყვეტა (რასაც ის 1097 წლით ათარილებს) ფაქტობრივად ომის გამოცხადებას ნიშნავდა, მაგრამ სულთანმა დავითის გამოწვევა უპასუხოდ დატოვა (ლორთქიფანიძე, 1979 მ: 232).

სელჩუკთა პასიურობა არაერთ კითხვას ბადებს და ახსნას მოითხოვს. რამ შეუძალა ხელი სულთან ბარქიარუქს, რომელიც შეურიგებლად ებრძოდა სეპარატიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, რომ ელაშქრა საქართველოზე? რა გახდა მისი უმოქმედობის მიზეზი: დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლა თუ ჯვაროსანთა ლაშქრობა? ამ ორი საგარეო ფაქტორიდან რომელი იყო გადამწყვეტი იმისათვის, რომ დავით IV წარმატებით დაპირისპირებოდა თურ-სელჩუკებს და გამოსულიყო მათი ბატონობიდან? დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროდ მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ორიენტალისტიკის მიღწევების შუქზე წარმოვადგინოთ მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური სიტუაცია XI-XII სს მიჯნაზე.

ა. დიდ სელჩუკთა სახელმწიფო მალიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ 1092-1104 წლებში

შინაბრძოლები სულტანის ტახტისათვის. 1092 წ. მალიქ-შაჰის სიკვდილთან ერთად დიდ სელჩუკთა სახელმწიფო ერთიანად აიშალა. ერთდროულად გამოჩნდა სულტანის ტახტის სამი პრეტენდენტი, მალიქ-შაჰის ორი ვაჟი: მაჰმუდი და ბარქიარუკი და მისი ძმა — სირიის გამგებელი თუთუმი. თავდაპირველად მალიქ-შაჰის ქვრივმა თურქან-ხათუნმა ვაზირ თაჯ ალ-მულქის მხარდაჭერითა და ლაშქარზე დაყრდნობით სულტნად გამოაცხადა მცირეწლოვანი მაჰმუდი, მაგრამ თურქან-ხათუნის ცდა ისუფანში ხელთ იგდო მალიქ-შაჰის უფროსი ვაჟი ბარქიარუკი, უშედეგოდ დამთავრდა. ბარქიარუკი ქარეში გაიქცა, თავი სულტნად გამოაცხადა, მერე ბურუჯირდთან დაამარცხა მეტოქე და შემოეწყო ისუფანში გამაგრებულ თურქან-ხათუნსა და მაჰმუდს. მალე მათ შორის ზავი დაიდო და მაჰმუდმა მისიგან იკტად მიიღო ისუფანი და ფარსი. მაგრამ თურქან-ხათუნი ამით არ დაკმაყოფილდა. მან ცოლობა აღუთქვა აზერბაიჯანის სელჩუკიან გამგებელს ისმა'ილ ბ.იაჯუთის (რომელიც იმავე დროს ბარქიარუკის დედის ძმაც იყო) და მიიმხრო ის. ქარაჯთან ბრძოლაში 486 წ. შა'ბანში /VIII-IX. 1093 წ. ბარქიარუკმა კვლავ გაიმარჯვა, ხელთ იგდო ისმა'ილი და მოაკვლევინა ის. 487 წ. რამადანში /IX-X. 1094 წ. ისუფანში მოულოდნელად გარდაიცვალა თურქან-ხათუნი, შავვალში /ოქტომბერ-ნოემბერში კი — მაჰმუდიც. იმავე წლის 14 მუჰარრამს /3.II. ბარქიარუკის სახელზე ხუტბა აღავლინეს ბაღდადში (ალ-ისფაჰანი / ალ-მუნდარი,

1900: 76-7; ალ-ჰუსაინი: 42ბ-43ა; ჯომენც.: 206, შენ.2; იმნ ალ-ჯაუზი, IX:62-3; იმნ ალ-ასირი, X:210-11, 214-16, 224, 229; *Bosworth, 1968: 103-4*). მან განიმტყიცა მდგომარეობა ერაყსა და დასავლეთ ირანში, მაგრამ სეროიზული საფრთხე დაემუქრა თუთუმისაგან, რომელმაც 486 წ. მუჰარამში /1.1093 წ. თავი სულტნად გამოაცხადა. 488 წ. 7 საფარს / 16.II. 1095 წ. ბარქიარუკმა რეისთან სძლია ბიძას, რომელიც ბრძოლაში დაიღუპა. შემდეგ, 1097 წ. სულტანმა ჩააქრო კიდევ ერთი აჯანყება ხორასანში, რომელიც სამართავად გადასცა თავის ნახევარძმას სანჯარს (ალ-ჰუსაინი: 43ა-43ბ., ჯომენც.: 207, შენ. 3; იმნ ალ-ასირი, X:219-20, 222, 232-34, 239; *Bosworth, 1968: 106-7*). დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში სიმშვიდე დამყარდა, მაგრამ ის დიდხანს არ გაგრძელებულა. იმავე წელს სახელმწიფოს დასავლეთის საზღვრებთან გამოჩნდნენ ჯვაროსნები, ხოლო ორი წლის შემდეგ ბარქიარუკს განუდგა და სულტნის ტახტისთვის ბრძოლა წამოიწყო მისმა მეორე ნახევარძმამ მუჰამადმა.

მუჰამადი თავდაპირველად მაჰმუდის ბანაკში იყო, მაგრამ შემდეგ, 1092 წ. ისფაჰანის ალყის დროს, მიატოვა თურქან-ხათუნი და მაჰმუდი, ეახლა ბარქიარუკს და მორჩილება გამოუცხადა მას. სანაცვლოდ მუჰამადმა იტყად მიიღო განჯა და მისი ოლქები არრანში. მას აქ მეთვალყურედ თან ახლდა ათაბაგი კუთლულთეგინი, მაგრამ მუჰამადი მალე განთავისუფლდა მისი მეურვეობისაგან, მოაკლევინა იგი და მთელი არრანი იგდო ხელთ. 492 წ. შავეალში /21.VIII—18. IX. 1099 წ. მან შეწყვიტა ხუტბაში ძმის სახელის მოხსენიება და მცირე ლაშქრით გამოვიდა მის წინააღმდეგ (ალ-ჰუსაინი: 43ბ, ჯომენც.: 208, შენ. 9; იმნ ალ-ასირი, X: 287-88; *Бейлус, 1960: 40; Bosworth, 1968: 107-8*). ასე დაიწყო ახალი ეტაპი სელჩუკთა სახელმწიფოს სულტნის ტახტისათვის ბრძოლაში, რამაც 1104 წლის დასაწყისამდე გასტანა.

492 წ. 2 ზე ლ-კადას /20. IX. 1099 წ. მუჰამადმა აიღო ქრეი და დაიკავა სულტნის ტახტი. 493 წ. 4 რაჯაბს /15.V. 1100 წ. ჰამდანთან, მდ. სეფიდ-რუდის ნაპირზე მან სასტიკად დაამარცხა ბარქიარუკი, რომელიც 50 მხედრით გაიქცა (იმნ ალ-ასირი, X: 288, 294-95).

მეორე ბრძოლა ძმებს შორის მოხდა ისევ ჰამდანთან 494 წ. 3 ჭუმადა ალ-ასირას /5.IV. 1101 წ. ამჯერად მუჰამადი დამარცხდა და სრულ განადგურებას მხოლოდ ხორასნის გამგებლის სანჯარის შემწეობით გადაურჩა (იმნ ალ-ასირი, X:303-5).

495 წ. 4 რაბი' ალ-ავევალს /27.XII. 1101 წ. რუდრავეართან ძმები კვლავ შეხედნენ ერთმანეთს, მაგრამ ბრძოლა მათ შორის აღარ მომხდარა და ისინი დაზავდნენ. ბარქიარუკი სულტნად, მუჰამადი კი ტახტის მემკვიდრედ გამოცხადდა. უკანასკნელმა სამართავად მიიღო განჯა (და მისი ოლქები არრანში), აზერბაიჯანი და ალ-ჯაზირას მხარეები, მათ შორის დიარ-ბაქრი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქი მავსილი. ზავი მალე დაირღვა. 495 წ. ჭუმადა ალ-ჟლას თვეში / II-III. 1102 წ. ბარქიარუკმა რეისთან სასტიკად დაამარცხა

ძმა, რომელიც ისფაჰანში გამაგრდა და ხანგრძლივი ალყის შემდეგ შეძლო აქედან მცირე რაზმით გაქცეულო (იხმ ალ-ასირი, X:329-35).

496 წ. 8 ჯუმადა ალ-ახირას /19.III. 1103 წ. ქხოხისთან (ირანის აზერბაიჯანი) ბრძოლაში მუჰამადმა ახალი მარცხი განიცადა, მაგრამ ბარქიარუქმა ვერც ამჯერად ისარგებლა წარმატებით. ავადმყოფობამ და ძალების გამოფიტვამ აიძულა ის, რომ 497 წლის რაბი' ალ-ახირში /I. 1104 წ. კვლავ დაზავებოდა ძმას (იხმ ალ-ასირი, X:359-61,369).

1104 წ. ზავით ბარქიარუქმა და მუჰამადმა გაიყვეს დიდ სელჩუქთა სახელმწიფო. ორივემ მიიღო სულტნის ტიტული. ბარქიარუქს დაექვემდებარა იმპერიის ბირთვი ქრეი და ჯიბალი, ტაბარისტანი, ფარსი, ხუზისტანი, ბაღდადი და პარამიანი (ე.ი. მუსლიმთა ორი წმინდა ქალაქი მეჟა და მედინა). მუჰამადს მიეკუთვნა ჩრდილო-დასავლეთი ირანი, სირია და ალ-ჯაზირა — დიარ-ბაქრითა და ქმავსილითურთ (*Bosworth, 1968: 111*) ჰამდალლამ ყაზვინის ერთი ცნობით, რომელიც არა გეხვდება არაბ ავტორებთან, მუჰამადის სამფლობელოთა შორის არჩანთან და სომხეთთან ერთად იყო საქართველოც (ჰამდ.ყაზვინი, 1903: 246-47; ჰამდ. ყაზვინი, 1937:29).⁴

1104 წ. დეკემბერში ბარქიარუქი გარდაიცვალა. 1105 წ. მუჰამადი დიდ სელჩუქთა სახელმწიფოს ერთადერთი სულტანი გახდა. ხანგრძლივი ბრძოლა ტახტისათვის დასრულდა. დაიწყო სტაბილიზაციის პროცესი, რომელიც საკმაოდ რთული იყო. ახალმა სულტანმა განიმტკიცა თავისი პოზიციები იმპერიის ცენტრალურ ნაწილში, მაგრამ ის ველარ აკონტროლებდა განაპირა პროვინციებს. ხორასანს ფაქტობრივად განაგებდა მისი ძმა სანჯარი, სირიას კი — სელჩუქი უფლისწულები, თუთუშის ვაყები: დუკაკი (დამასკოს) და რიდვანი (ჰალაბს). დიარ-ბაქრში გაძლიერდა ართუქიანთა საგვარეულო. სულტნის ტახტისათვის შინაბრძოლების პერიოდში მახლობელ აღმოსავლეთში წარმატებას მიაღწიეს ჯეაროსნებმა. მათ წინააღმდეგ, როგორც ვნახავთ, სულტანმა მხოლოდ 1110 წ. მოიცალა.

ბ. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა მახლობელ აღმოსავლეთში

ევროპელ ჯვაროსანთა მთავარ პოლიტიკურ მიზანს, როგორც ცნობილია, მუსლიმთაგან პალესტინის წმინდა ადგილების გამოხსნა წარმოადგენდა. 1097 წ. დაიწყო მათი ძალების თავმოყრა კონსტანტინოპოლში. ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენის (1081-1118) მხარდაჭერით ისინი გადავიდნენ მცირე აზიაში. ჯვაროსანთა პირველი დარტყმების არეალი 1097 — 1099 წლებში საკმაოდ ვრცელი იყო და მოიცავდა მცირე აზიის სელჩუქთა სამფლობელოებს, ჩრდილოეთ

⁴ მაგრამ ჰამდალლამ ყაზვინი ამ დაზავებას 496 წ. ჯუმადა ალ-ახირას თვით/12.III-9.IV. 1103 წ. ათარილებს.

მესოპოტამიას — ქედის რეგიონს, ჩრდილოეთ სირიას — ანტიოქიის რეგიონსა და პალესტინას.

მცირე აზიის რეგიონი. 1071 წ. მანასკერტთან სამხედრო მარცხმა და შემდეგ სხვა წარუმატებლობებმა 1071-1081 წლებში აიძულა ბიზანტიის იმპერატორი დაეთმო მცირე აზიის დიდი ნაწილი — შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და ხმელთაშუა ზღვაზე ზოგიერთი ქალაქის გარდა. სელჩუკიანი სულაიმან ბ.კუტლუ-მუშის ძალაუფლება გავრცელდა ბოსფორიდან სირიის საზღვრებამდე. დაახლოებით 473/1081 წლის შემდეგ სულაიმანმა სულტნის ტიტულიც კი მიიღო. ამრიგად, მცირე აზიის სელჩუკებმა ყველაზე ადრე დაიწყეს ჩამოცილება დიდ სელჩუკთა სახელმწიფოსგან. როგორც აღნიშნავს კ.ბოსვორთი, დიდ სელჩუკთათვის შიდა ანატოლიაში მომხდარ ამბებს უფრო ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე იმ ამბებს, რომლებიც ხდებოდა ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეებზე, ალჯაზირასა და სირიაში. ანატოლიის პლატო და თავრის სამხრეთი ტერიტორია მდებარეობდა ირანული სამყაროს ფარგლებს გარეთ, იმ ტერიტორიის მიღმა, რომელსაც ემყარებოდა სელჩუკთა პოლიტიკური ძალა და კულტურა (*Bosworth, 1968:97*).

სულაიმანი ცდილობდა ფეხი მოეკიდებინა სირიაში. 1085 წ. მან ხელთ იგდო ანტიოქია, მაგრამ 1092 წ. დამარცხდა ქ.პალაბთან სირიის სელჩუკებთან ბრძოლაში და დაიღუპა. მისმა სიკვდილმა ქაოსი გამოიწვია ანატოლიის თურქებში (*Runciman, I, 1951:77*) და შანსი მისცა ალექსი კომნენს, რომ გამოესწორებინა მდგომარეობა. ჯვაროსანთა ლაშქრობამ იმპერატორს იმედი ჩაუსახა, რომ მთლიანად გაწმენდა მცირე აზიას თურქებისაგან.

სულაიმანის მემკვიდრემ ყილიჩ-არსლანმა (1092-1107) სათანადოდ არ შეაფასა ჯვაროსანთა საფრთხე. მან იცოდა კონსტანტინოპოლში მათი სამზადისის შესახებ, მაგრამ ვერ დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ ისინი შეუტევედნენ სელჩუკთა სატახტო ქალაქს — ნიკეას და როცა ეს მოხდა, 1097 წ. ივნისში, სულტანი იმყოფებოდა კაპადოკიაში, სადაც დანიშნენდიანებს ებრძოდა. ყილიჩ-არსლანი სასწრაფოდ დაბრუნდა ალყაშემორტყმული სატახტო ქალაქის დასაცავად, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. დორილუუმთან და ირაკლიასთან მოპოვებულმა გამარჯვებებმა ჯვაროსნებს გზა გაუხსნა სირიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის საზღვრებისაკენ.

ჩრდილოეთ მესოპოტამიის — ედესის რეგიონი. 1077 წ. მარაშის სომეხმა გამგებელმა ვაჰრამმა, რომელსაც ბერძნები ფილარეტს ეძახდნენ, ბიზანტიელებს წაართვა საქარავნო ვაჭრობისა და ხელოსნობის მსხვილი ცენტრი ქ.ედესა (ურჰა, რუჰა). 1087 წ. თურქმა ამირამ ბუზანმა ხელთ იგდო ედესა, მაგრამ 1094 წ. ის დაიბრუნა სომეხმა მთავარმა ტოროსმა, რომელმაც უფრო ადრე ბიზანტიისაგან კურაპალატის ტიტულიც მიიღო. 1098 წ. თებერვალში ჯვაროსნები (ბალდუინ ბულონელი) დაეუფლნენ ამ ქალაქს, სადაც შეიქმნა ედესის საგრაფო. მართალია, ეს არ იყო პალესტინაში, წმინდა მიწაზე, მაგრამ ს.რანსიმანის თანახმად, ედესის საგრაფო, ფრანკთა სახელმწიფო ევფრატის შუა დინებაზე, წარმოადგენდა თავ-

დაცვის მნიშვნელოვან ელემენტს ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც კი შეიძლება და წარმოქმნილიყო პალესტინაში (*Runciman, I, 1951: 77*).

ჩრდილოეთ სირიის — ანტიოქიის რეგიონი. 1097 წ. ოქტომბერში ჯვაროსნების მთავარი ძალები მიაღწენ ანტიოქიას, რომელიც როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე უმნიშვნელოვანეს ქალაქს წარმოადგენდა. სელჩუკებმა ის 1085 წ. დაიპყრეს. დაახლოებით 1090 წ. მალთა-შაჰმა ანტიოქია გადასცა თავის თურქმენ ამირას იალი-სიანს (*Gibb, 1932:23*). 1095 წ. ტახტის პრეტენდენტის თუთუშის დაღუპვის შემდეგ სელჩუკები დაქსაქსულნი აღმოჩნდნენ. პ. გიბის აზრით სირიაში ჯვაროსნებს რომ თუთუში დაპირისპირებოდა, მაშინ ისტორია სხვაგვარად დაიწერებოდა (*Gibb, 1932:21*). თუთუშის ვაჟები დამასკოსა და პალაბის გამგებლები დუკაკი და რიდვანი გაუთავებლად მტრობდნენ ერთმანეთს. იალი-სიანი, რომელიც სარგებლობდა მათი კონფრონტაციით, ფაქტობრივად დამოუკიდებლად მართავდა ანტიოქიას. როდესაც მისთვის აშკარა გახდა, რომ პალესტინისკენ დაძრული ვერაპელი ჯვაროსნები გვერდს ვერ აუელოდნენ ანტიოქიას, იალი-სიანმა დახმარებისათვის მოუწოდა დუკაკსა და რიდვანს, მაგრამ ერთმანეთზე გადაშტერებული ძმები ვერ გაერთიანდნენ. 1097 წ. ოქტომბერში ჯვაროსანთა მთავარი ძალები ანტიოქიას მიაღწენ და ხანგრძლივი ალყის შემდეგ 1098 წ. იენისში აიღეს ის. დაიღუპა იალი-სიანი. მავსილოს ათაბაგის ქერ-ბოლას ცდა, დაერაზმა სელჩუკთა ძალები, მარცხით დასრულდა. ანტიოქიაში შეიქმნა ჯვაროსანთა სამთავრო, რომელმაც 1268 წლამდე იარსება. მოგვიანებით, 1109 წ. სირიის საზღვაო სანაპიროზე ჩამოყალიბდა ტრიპოლის საგრაფოც.

პალესტინის რეგიონი. ანტიოქიის აღების შემდეგ ჯვაროსნები დაიძრნენ პალესტინისკენ, სადაც ამ დროისათვის პოლიტიკური ვითარება შეიცვალა.

თურქ-სელჩუკებმა პალესტინა 1071 წ. დაიპყრეს და განდევნეს აქედან ეგვიპტის ფატიმიანები. მოგვიანებით სელჩუკიანმა თუთუშმა იერუსალიმი და საერთოდ პალესტინა თურქმენ ამირას ართუკ ბექსებს გადასცა. ართუკის გარდაცვალების (1092 წ.) შემდეგ პალესტინას მისი ორი ვაჟი სუქმანი და ილ-ლაზი განაგებდნენ, რომლებიც ერთგულ თურქმენთა რაზმებს ეყრდნობოდნენ. 1098 წ. ფატიმიანებმა შეძლეს რევანშის აღება და პალესტინა ართუკის მემკვიდრეებისგან გაწმინდეს. ანტიოქიის ალყის დროს ფატიმიანები შეეცადნენ ჯვაროსნებს მორიგებოდნენ და შესთავაზეს სირიის გაყოფა იმ პირობით, რომ სამხრეთი მათ, ჩრდილოეთი კი ფრანკებს დარჩენოდა. ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნენი ურჩევდა ჯვაროსნებს ანგარიში გაეწიათ სუნიტ სელჩუკთა მოსისხლე მტრის — შიიტი ფატიმიანებისთვის. ჯვაროსნებს კატეგორიული უარი არ განუცხადებიათ, მაგრამ, არც ფატიმიანებთან შეთანხმებას აპირებდნენ. მათი მიზანი სწორედ პალესტინის წმინდა ადგილებიდან მუსლიმთა განდევნა იყო. 1099 წლის 15 ივლისს ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი და შექმნეს იერუსალიმის სამეფო, რომელიც ფორმალურად მიინც ითვლებოდა უპირველესად ჯვაროსანების სხვა სახელმწიფოთა შორის.

შეასუსტა თუ არა ჯვაროსანთა პირველმა ლაშქრობამ თურქ-სელჩუკთა ძალები? ამ კითხვაზე დადებითად მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ვუპასუხოთ. ცხადია, მძიმე დარტყმა მიიღეს მცირე აზიის სელჩუკებმა.⁵ ჯვაროსანთა წარმატებებით ისარგებლა ბიზანტიამ, რომელმაც დაიბრუნა ნიკეა და გაათავისუფლა მცირე აზიის თითქმის ნახევარი (Stevenson, 1968:21), მაგრამ იმპერატორმა ალექსიმ ბოლომდე ვერ გამოიყენა ისტორიული შანსი და ვერ შეძლო მთლიანად გაეწმინდა მცირე აზია სელჩუკებისგან. სულტანმა ყილიჩ-არსლანმა ანატოლიის სიღრმეში დაიხია. ჯვაროსანთა საფრთხემ აიძულა ის შეეწყვიტა მტრობა დანიშმენდიანებთან, რომლებიც ფლობდნენ სივასსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიას და კავშირი შეეკრა მათთან. თურქებმა მალე მოიკრიბეს ძალები. 1100 წ. დანიშმენდიანმა მალიქ-ლაზი გუმუშთექინმა პირველი გამარჯვება მოიპოვა ანტიოქიის გამგებელზე ბოჰემუნდ ტარენტელზე და დაატყვევა იგი. 1101 წ. ზაფხულში ყილიჩ-არსლანმა მერზივანთან და ირაკლიასთან ორჯერ სასტიკად დაამარცხა ჯვაროსნები და რევანში აიღო 1097 წ. დორილუმთან დამარცხების გამო. რუმის სელჩუკთა სულტანმა, რომელიც გამუდმებით იღებდა თურქქენებით შევსებას, განიმტკიცა თავისი ბატონობა ცენტრალურ ანატოლიაში და სატახტო ქალაქად აირჩია კონია, რომელიც მდებარეობდა კონსტანტინოპოლიდან სირიისკენ მიმავალი დიდი გზის მარჯვენა მხარეს.

სირიის სელჩუკთა დასუსტებმა ჯერ კიდევ ჯვაროსანთა გამოჩენამდე, თუთუმის სიკვდილის შემდეგ (1095 წ.) დაიწყო. 1098 წ. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ანტიოქიის დაკარგვა, რომელიც ფაქტობრივად დამოუკიდებელ საამიროს წარმოადგენდა, სერიალური გაფრთხილება იყო მათთვის, მაგრამ — არა კატასტროფა. არ დაზარალებულა სირიის უმნიშვნელოვანესი ქალაქები ჰალაბი და დამასკო. რაც შეეხება პალესტინას, აქ ჯვაროსნებმა სძლიეს არა თურქ-სელჩუკებს, როგორც ეს ზოგჯერ არის აღნიშნული ქართველი მკვლევარების შრომებში, არამედ ეგვიპტის ფატიმიანებს.

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა დასავლეთის სელჩუკთა ინტერესებს შეეხო. დიდი სელჩუკებისთვის ჯვაროსანთა პრობლემა ჯერ კიდევ არ არსებობდა. კ.ბოსვორთი აღნიშნავს, რომ დიდ სელჩუკთა სულტნები, რომელთაც ჯვაროსნები პირდაპირ არასდროს არ ემუქრებოდნენ, სირიაში მათ გამოჩენას თუთუმის სახლის პრობლემად თვლიდნენ. როცა ჯვაროსანთა ამბებმა ბაღდადში ბარქიარუკამდე მიაღწია, სულტანმა 1098 წლის მარტში მისწერა მუსლიმ ამირებს და მოუწოდა მათ გამოსულიყვნენ ურწმუნოთა წინააღმდეგ საბრძოლველად. კ.ბოსვორთის შენიშვნით, ამ მოწოდებით ამოიწურა სულტნის შემფოთება და მწირია მითითება იმის თაობაზე, რომ ფრანკთა საფრთხე ოდესმე სერიალულად აწუხე-

⁵ ითვლება, რომ ამის წყალობით თითქმის სამნახევარი საუკუნით გადავადდა თურქების შეჭრა ევროპაში (Stevenson, 1968:21).

ბდათ იმპერიის გულში — ირანსა და ერაყში ერთმანეთთან მებრძოლ მეტოქეებს (*Bosworth, 1968:103*). კლ.კაენის დაკვირვებით, ჯვაროსანთა პირველ ლაშქრობას საერთოდ არ მოუხდენია დიდი შთაბეჭდილება ისლამის სამყაროზე. ანატოლიის თურქმენთა გადმოცემებში ფრანკთა არმიის რეიდმა თითქმის არავითარი კვალი არ დატოვა. უფრო მეტიც, თავდაპირველად ჯვაროსნული ლაშქრობა განიხილებოდა ადრეულ ბიზანტიურ ექსპედიციებთან კავშირში, რომლებიც იყო ხანმოკლე და შეზღუდული იმ ტერიტორიებზე, სადაც მიჩვეულნი იყვნენ გამგებელთა ხშირ ცვლას (*Cahen, 1969a:166*). ბ.ლუისი წერს, რომ „თავდაპირველად მუსლიმურმა სამყარომ ლევანტის დაკარგვას თითქმის აბსოლუტური გულგრილობით უპასუხა. თვით პალაშში, დამასკოსა და კაიროში პალესტინისა და სირიის საზღვაო სანაპიროს დაკარგვამ ძალზე მცირე ინტერესი გამოიწვია. ის ყველგან არსებითად შეუმჩნეველი დარჩა.“⁶ (*Lewis, 1974:187*). მუსლიმი თანამედროვეებისთვის ჯვაროსნები იყვნენ უბრალოდ ფრანკები, ურწმუნოები, კიდევ ერთი ჭგუფი ურწმუნოთაგან, რომლებიც უტევდნენ ისლამურ სამყაროს და გამოირჩეოდნენ თავიანთი საბრძოლო სისასტიკით და წარმატებებით, რომლებიც მათ მოაბოვეს (*Lewis, 1974:186*). ს.რანსიმანის დასკვნით კი ფატიმიანთა ეგვიპტის ვეზირი ალ-აფდალი ჯვაროსნებს ბიზანტიის უბრალო მოქირავნებად მიიჩნევდა (*Runciman, I, 1951:229*).

საყურადღებოა, რომ მუსლიმები ფრანკებთან ბრძოლებს მუდამ განიხილავდნენ როგორც ნებისმიერ სხვა ომს. ასეა ჩვენამდე მოღწეულ იმ წყაროებშიც, რომლებიც შეიქმნა ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობიდან საკმაო მოგვიანებით და რომლებმაც ძირეული გადამუშავება განიცადეს. ამასთან, ერაყულსა და ეგვიპტურ ლიტერატურაში ეს ომები იშვიათად იხსენიება, ირანულში კი საერთოდ არ ფიგურირებს და მხოლოდ ფრანკთა ოკუპაციის ხანგრძლიობა და ბუნება იყო იმის მიზეზი, რამაც თანდათან განაპირობა მუსლიმთა რეაქცია (*Cahen, 1969a: 166-67*).

დ. საჭარტოველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ხელშეწყობი საბარემო-პოლიტიკური ფაქტორები

XI–XII სს. მიჯნაზე მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური ვითარების განხილვის შემდეგ შეიძლება კვლავ დაუბრუნდეთ დავით IV-ის მიერ სათურქო ხარკის შეწყვეტის — ფაქტობრივად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს. რომელმა საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორმა შეუწყო ქართველ მეფეს ხელი, გადაედგა ერის ისტორიისათვის ეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი?

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ ის არეალი, სადაც გაიშალა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა, არ წარმოადგენდა ერთ მთელ პოლიტიკურ ორგანიზმს. ჯვაროსნები

⁶ ანალოგიური თვალსაზრისი აქვთ სხვა ცნობილ მეკლავარებსაც: *Gabrieli, 1962:98; Watt, 1974:247; Holt, 1977: IX.*

ებრძოდნენ მცირე აზიისა და სირიის სელჩუკებსა და ეგვიპტის ფატიმიანებს, მაგრამ არც ერთი მათგანის ინტერესების სფეროში საქართველო არ შედიოდა.

ანტიოქია, რომელიც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, მოუხედავად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობისა, არ ფლობდა ადეკვატურ სამხედრო პოტენციალს. მის დაცემასა და სირიაში თურქ-სელჩუკთა პოზიციების შესუსტებას არ შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა დავით IV-ის პოლიტიკაზე.

იგივე ითქმის პალესტინაზე, სადაც ჯვაროსნებმა სძლიეს არა თურქ-სელჩუკებს, არამედ — ფატიმიანებს. პალესტინაში შექმნილ ახალ პოლიტიკურ რეალობას სამხედრო თვალსაზრისით არ შეეძლო ხელი შეეწყო დავით აღმაშენებლისათვის 1099 წელს წარმატებით დაეგვირგვინებინა ანტითურქული ბრძოლა. სხვათა შორის, ფატიმიანთაგან დევნილმა თურქმენებმა პალესტინიდან ჩრდილოეთ მესოპოტამიაში გადაინაცვლეს და ცოტა მოგვიანებით, ილ-ლაზის მეთაურობით, დიდი საფრთხე შეუქმნეს საქართველოს.

ერთადერთ სახელმწიფოს, რომლის დასუსტებაც, უდავოდ ხელსაყრელი იყო საქართველოსთვის, წარმოადგენდა რუმის — მცირე აზიის სელჩუკთა სასულტნო, მაგრამ 1097-1099 წლებში მცირე აზიის სელჩუკები ჯერ კიდევ შორს იყვნენ საქართველოს საზღვრებიდან და არ უქმნიდნენ პირდაპირ სამხედრო საფრთხეს დავით IV-ის სამეფოს.

მაშ რატომ ამახვილებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „ფრანგთაგან“ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებაზე ყურადღებას? ამის მიზეზი, ვფიქრობთ, არის ის, რომ მუსლიმთა ბატონობიდან ამ ორი მძლავრი ქრისტიანული კერის დახსნას დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროსათვის. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ საქართველოს ყოველთვის გააჩნდა თავისი ინტერესები როგორც პალესტინის წმინდა ადგილებში, ისე ანტიოქიაში, შავ მთაზე. ქართული ეკლესიის შესვეურები და საქართველოს სამეფო კარი მზრუნველობას არ აკლებდნენ სირია-პალესტინის ქართულ საეანეებსა და სამონასტრო თემებს. ჯვაროსანთა წარმატებები ახალ პერსპექტივებს ქმნიდა ამ რეგიონში ქართული ეკლესიის მოღვაწეობისათვის. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ანტიოქიასა და იერუსალიმში ჯვაროსანთა პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბების შემდეგ საქართველო მარტლდმარტო აღარ რჩებოდა ისლამურ გარემოცვაში. მის ბრძოლას ისლამურ ექსპანსიონიზმთან, რასაც თურქ-სელჩუკები ახორციელებდნენ, ახალი მძლავრი სტიმული ენიჭებოდა. უფრო მეტიც, XII ს. დასაწყისიდან ჯვაროსნებმა თავიანთ ფრონტზე მიიზიდეს ჩრდილოეთ მესოპოტამიაში კონცენტრირებული თურქმენები, ხოლო 1110—1115 წლებში კი დიდ სელჩუკთა რეგულარული სამხედრო შენაერთებიც და ამით ობიექტურად შეუწყვეს ხელი ქართველი ხალხის წარმატებით ბრძოლას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ. მაგრამ 1097-1099 წლებში ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებას, ვიმეორებთ, მხოლოდ მორალური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა საქართველოსთვის. საქართველო პოლიტიკურად დაკავშირებული იყო დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ცენტრალურ ნაწილთან — დასავლეთ ირანთან და ერაყ-

თან, რომელთაც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა არ შეხებია. სელჩუკი სულტნები საქართველოზე თავიანთ კონტროლს ახორციელებდნენ აზერბაიჯანსა და არრანში კონცენტრირებული თურქმენების მეშვეობით. ეს რეგიონებიც ჯვაროსანთა ლაშქრობების მიღმა დარჩა. ამრიგად, თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობით „თურქ-სელჩუკების პოლიტიკური ბრწყინვალეების ლამპარი ჩაქრა“, ცხადია, გადაჭარბებულია. ჯვაროსანთა პირველ, თუნდაც დიდ წარმატებებს სირია-პალესტინაში და მათ მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებას ჩვენ ვერ მივანიჭებთ გადამწყვეტ მნიშვნელობას დავით IV-ის მიერ სათურქო ხარკის შეწყვეტისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში.

სამწუხაროდ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არ ეხება უმნიშვნელოვანეს ძვრებს, რომლებიც დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში მალიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ მოხდა, მაგრამ იმ მოვლენებს, რომლებზედაც დღემს შუა საუკუნეების მემატინაზე, ცხადია, გვერდს ვერ აუვლის თანამედროვე ისტორიკოსი. როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართველი მკვლევარები სათანადოდ აფასებენ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლას,⁷ როგორც მნიშვნელოვან საგარეო ფაქტორს, რომელმაც ხელი შეუწყო დავით IV-ს შეეწყვიტა სათურქო ხარკი. მაგრამ საჭიროა დავაზუსტოთ, თუ როდის დაიწყო კონკრეტულად ამ ფაქტორმა „მუშაობა“ საქართველოს სასარგებლოდ.

დავით IV-ს არ შეეძლო თავიდანვე ესარგებლა მალიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს აშლილობით. მას თვითონ ჰქონდა მოსაგვარებელი საშინაო პრობლემები — მათ შორის ურჩი ფეოდალის ლიპარიტ ბაღვაშის დამორჩილება. ბრძოლამ კლდეკარის ერისთავთან, როგორც ცნობილია, 1094 წლამდე გასტანა, ხოლო 1096 წ. ის საბოლოოდ იქნა საქართველოდან გაძევებული. ამასობაში დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში ატეხილ შინაბრძოლებში წარმატებას მიადღია ბარქიარუკმა. 1097 წ. მას სახელმწიფოს ძირითად ნაწილში პეტოქე აღარ ჰყავდა. გარდა ამისა, 1092 წლიდან, საქართველოს მეზობელ არრანს განაგებდა მისი ნახევარძმა მუჰამადი, რომელიც შვიდი წლის მანძილზე ინარჩუნებდა ლოიალობას სულტნისადმი.

დავით IV-ს რომ 1097 წ. გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, ეს ნაბიჯი უეჭველად გამოიწვევდა არა მარტო ბარქიარუკის, არამედ მისი ძმის — მუჰამადის რეაქციასაც. საამისოდ კი ორივე მათგანს ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანი და მძლავრი სამხედრო ძალები ჰყავდათ. მაგრამ მდგომარეობა დიამეტრულად შეიცვალა 1099 წლის შემოდგომაზე, ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებიდან (რაზედაც ყურადღებას ამახვილებს დავითის ისტორიკოსი) არცთუ დიდი ხნის შემდეგ. ამ წლის სექტემბერ-ოქტომბერში, როგორც ვნახეთ, ბარქიარუკი და მუჰამადი ერთ-

⁷ პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ამ ფაქტს, იყო იოანე ბატონიშვილი. ის წერს, რომ მალიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ „შეუღდა აღრეულობა სპარსთა და ამისთვის განიზრახა მეფემან, რათა მოეცეს ძალი აფხაზთა და გარეშეთა მათთაგან და განდევნოს თათარნი“ (იოანე ბატონიშვილი, *H* 2134:610ა).

მანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაებნენ. ამ ხანგრძლივმა შინაომმა გამოფიტა და დააუძლურა ირან-ერაყისა და არრან-აზერბაიჯანის სელჩუკთა სამხედრო ძალები. ამიერიდან, 1104 წლამდე სასულტნო ტახტისთვის მებრძოლ მალიქ-შაჰის ვაჟებს საქართველოსთვის აღარ ეცალათ. სწორედ ეს მომენტი, რომელსაც ქართველი მემკვიდრე საერთოდ არ აქცევს ყურადღებას და რომელიც შეუმჩნეველი დარჩა თანამედროვე მკვლევარებსაც, ვფიქრობთ, იყო გადამწყვეტი იმისთვის, რომ გაძლიერებულ დავით IV-ს, რომელმაც მანამდე წარმატებით გადაჭრა საშინაო პრობლემები, ხარკი შეეწყვიტა თურქ-სელჩუკებისთვის და აშკარად დაპირისპირებოდა მათ.

1099 წ. შემოდგომა დავით IV-ის მიერ სათურქო ხარკის შეწყვეტის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია. ამ დროიდან, 1103 წლის ჩათვლით, მეფეს შეეძლო გარედან თურქ-სელჩუკთა ყოველგვარი ჩარევისა და კონტროლის გარეშე ემოქმედა. ამის წყალობით გრძელდებოდა ის დადებითი საშინაო პროცესები, რომლებსაც აღნიშნავს ქართველი მემკვიდრე: "მოეშენა ქუეყანა ქართლისა [ა], "განძლიერდა დავით და განიმრავლნა სპანი". სწორედ ამ პერიოდში მიაყენა მან მძიმე დარტყმები აღმოსავლეთ საქართველოში მომთაბარე და მოთარეშე თურქებს: "და თურქნი ვერდარა დაიზამთრებდეს ქართლს; რამეთუ ვიდრე მოაქამდე ზამთრისავე მოწევნასა თანა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავჭალას და დიდუჟამს, და ჩადმართ მტკურისა და იორის ჰირთა, რამეთუ მათი იყო ხადგური" (დავით აღმ. ისტ. 1992:168). ამავე პერიოდში საშინაო ფრონტზე მან მოიპოვა კიდევ ერთი წარმატება — ჩააქრო დიდგვაროვან ფეოდალთა ძაგანისა და მოდისტოსის გამოსვლა (ბ.მეფრეჟული, 1972გ : 82; ბ.მეფრეჟული, 1973:96-7) და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს გაერთიანების გზაზე — აიღო ზედანის ციხე 1103 წ., რითაც მოამზადა საფუძველი კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის.

8. საქართველო და დიდ სელჩუკთა სახელმწიფო 1104-1118 წლებში

კახეთის შემოერთება და მრწახის ბრძოლა

როგორც ცნობილია, გიორგი I-ის (1014-1027) ზეობის წლებში, დაახლოებით 1020 წლისათვის, კახეთ-ჰერეთი ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა. გიორგი II შეეცადა მალიქ-შაჰის დახმარებით აღედგინა აქ თავისი ძალაუფლება, მაგრამ ამაოდ. კახეთის მეფემ აღსართანმა (1058-1084), რომელმაც ჯერ კიდევ 1067 წ. აღფ-არსლანის შემოსევის დროს მიიღო ისლამი, 1083 წლის ახლო ხანებში აღიარა მალიქ-შაჰის უზენაესობაც. სელჩუკთა მორჩილი იყო, როგორც ჩანს, მომდევნო მეფე, ქრისტინი კვირიკე (1084-1104). წინააღმდეგ შემთხვევაში, წყაროებში იქნებოდა რაიმე ცნობა თურქთაგან მისი სამფლობელოს დალაშქრა-

დარბევისა. 1104 წ. კვირიკე გარდაიცვალა (რ.მეცნიერული, 1972ა:25; რ.მეცნიერული, 1973:82) და ტახტი დაიკავა მისმა ძმისშვილმა აღსართანმა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით ის იყო "არა მქონებელი ნიჭთა მეფობისათა [ა]... ცუნდრუკი რამე უსჯულო და უმეცრად უხამართლქი] და ყოვლად წინაუკმოა მამისძმისა მისისაჲ" (დავით აღმ.ისტ., 1992:169). ქართველი მემკვიდრის მიერ კახეთის ახალი მეფის ასეთი ოდიოზური შეფასების მიზეზი, დავით IV-ის პოლიტიკური გაძლიერების პირობებში აღსართან II-ის ანტიქართული და პროსელაზუკური პოლიტიკა უნდა იყოს.

1104 წ. კახეთის დიდებულებმა ქავთარ ბარამის ძემ და მისმა დისწულებმა არიშინამა და ბარამმა შეიპყრეს აღსართანი და ის დავითს გადასცეს. მეფემ უმტკივნეულოდ "აღიზუნა... ჰერეთი და გახეთი", მაგრამ მალე გაირკვა, რომ კახეთ-ჰერეთის შემოერთება⁸ არ იყო მხოლოდ საქართველოს საშინაო საქმე. დავითის ეს აქცია იმის მაუწყებელი იყო, რომ აღიკვეთებოდა იორისა და ალაზნის ნაპირებზე ჩამოსახლებულ თურქმენტთა თარეში და შეწყდებოდა კახეთიდან სათურქო ხარკის გადახდა. კახეთ-ჰერეთში ფეხის მოკიდებით დავით IV-ს შეეძლო მუქარა შეექმნა, ერთი მხრივ, სელჩუკებისადმი ლოიალურად განწყობილი შარვან-შაჰებისათვის და, მეორე მხრივ, თვით არარანში გაბატონებული სელჩუკებისათვის. სხვა სიტუაციაში, აშლილობისა და შინაომების პირობებში, სელჩუკები, ალბათ, შეურიგდებოდნენ დავითის ამ აქციას, ისევე როგორც შეეგუნენ მის მიერ ხარკის შეწყვეტას. მაგრამ, სწორედ 1104 წლის დასაწყისიდან, როგორც ზემოთ ვნახეთ, დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა. ბარქიარუკი და მუჰამადი დაზავდნენ და ამ უკანასკნელს, ზავის პირობებით, საქართველოც ერგო. ბუნებრივია, რომ მუჰამადის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იქნებოდა საქართველოში დაკარგული პოზიციების აღდგენა. და, მართლაც, 1104 წ. მოეწყო თურქ-სელჩუკთა დამსჯელი ექსპედიცია, რომელშიც სულტნის (იგულისხმება მუჰამადის) "ურვიცხე სპასთან" ერთად მონაწილეობდა განჯის ათაბაგი (რომლის იდენტიფიკაცია არ ხერხდება) და "უმრავლესი კახთა ქუეყანისა ერი, მტერთავე თანა გარემოდგომილი ჩუენთა" (დავით აღმ.ისტ.1992:172). ეს იყო თურქ-სელჩუკთა პირველი ორგანიზებული დაშტრობა საქართველოზე მას შემდეგ, რაც 1088 წ. გიორგი II-მ მორჩილება გამოუცხადა მალიქ-შაჰს და სათურქო ხარკი იკისრა. ბრძოლა მოხდა ერწუხთან⁹ და ის, როგორც ცნობილია, დავით IV-ის გამარჯვებით დასრულდა: ბრძოლაში დაიღუპა ბევრი მოწინააღმდეგე, მათ

⁸ კახეთის შემოერთებაზე დაწვრილებით იხ: ასათიანი, 1968:23-25; ასათიანი, 1989:168-170; ლორთქიფანიძე, 1979 ბ: 254-55; რ.მეტრეველი, 1986: 104-113.

⁹ ერწუხის ბრძოლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ იხ. ჯავახიშვილი, 1985:196; ასათიანი, 1968:25; რ.მეტრეველი, 1986:110—113; ლორთქიფანიძე, 1979 ბ: 234-35; სტეფანაძე, 1974: 78-79; თოფურია 1975: 208; *Анчабадзе, 1990: 112.*

შორის განჯის ათაბაგი. მუჰამადის მარცხი იმდენად მტკივნეული და საგრძნობი იყო, რომ მომდევნო ექვსი წლის მანძილზე იგი აღარ დამდგარა საქართველოსთან კონფრონტაციის გზაზე. მარცხმა აიძულა სულტანი ფაქტობრივად ეცნო ახალი პოლიტიკური რეალობა საქართველოში. ამიერიდან ინიციატივას დაეუფლა დავით IV. კახეთ-ჰერეთის შემოერთებით და ერწუხის ბრძოლაში გამარჯვებით საქართველო უშუალოდ ჩაერთო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკაში (თფთუჩია, 1990: 172).

1110 წლის სამხედრო კონფლიქტები

პერიოდი ერწუხის ბრძოლიდან 1110 წლამდე, როცა საქართველოსა და დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს შორის განახლდა სამხედრო კონფრონტაცია, იყო საშინაო ვითარების სტაბილიზაციის ხანა, როგორც საქართველოში, ისე დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში. ბარქიარუკის სიკვდილის შემდეგ სულტანი მუჰამადი ერთპიროვნულად მართავდა დასავლეთ ირანსა და ერაყს. მემატიანეები, რომლებიც გულგრილნი იყვნენ ბარქიარუკის მიმართ, ხოტბას ასხამდნენ მუჰამადს, როგორც "სეღღუქთა სრულყოფილსა და მათ შესანიშნავ, ნაცად გაცხ" (ალ-ისფაჰანი/ ალ-მუნდარი 1900:109). მოკლე ხანში მუჰამადმა ჩააქრო სეპარატისტული გამოსვლები მის წინააღმდეგ ჯიბალსა და ერაყში, წარმატებით ებრძოდა ისმაილიტებს (*Bosworth, 1968: 114-18*), აღადგინა თავისი გავლენა ქ.მავსილზე — ჩრდილოეთ მესოპოტამიაში.

მავსილის რეგიონი წარმოადგენდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან სასაზღვრო ზოლს როგორც ედესის საგრაფოს, ისე დიარ-ბაქრის ურჩ თურქმენთა წინააღმდეგ (*Bosworth, 1968:115*). დიდი ხნის მანძილზე მავსილი იყო სადავო სხვადასხვა თურქ ამირას შორის. 1107 წ. ქალაქი ხელთ იგდო მცირე აზიის სელჩუკთა სულტანმა ყილიჩ-არსლანმა. მუჰამადის მიერ წარგზავნილმა ლაშქარმა ჩავლო-საკაოს სარდლობით და ჰალაბელი რიდვან ბ.თუთუშის მხარდაჭერით იმავე წლის ივნისში სასტიკად დაამარცხა ყილიჩ-არსლანი, რომელიც მდ.ხაბურში დაიხრჩო (*Bosworth, 1968: 114; Runciman,II, 1957: 110*). მალე მავსილის გამგებლად დაინიშნა ამირა მავდუდი, რომელსაც მუჰამადმა მიანდო ომი ჯვაროსანთა წინააღმდეგ. ითვლება, რომ მავდუდი იყო „იმად ად-დინ ზენგის, ნურ ად-დინ ბ. ზენგისა და სალაჰ ად-დინის ღირსეული წინამორბედი. ის მოქმედებდა როგორც მუჰამადის მთავარსარდალი და მისი მისია იყო დაეძრა ერაყის სელჩუკები ჯვაროსანთა წინააღმდეგ სახიფათო შეტევაზე“ (*Fink, 1969:399*). 1109 წლის მიწურულს მუჰამადმა პირველად მოუწოდა მავდუდს და ხლათისა და მიათფარიკინის მფლობელს სუქმან ალ-კუტბის ელაშქრათ ჯვაროსანთა წინააღმდეგ ედესაზე. ამ კამპანიაში, რომელიც 503 წლის შავვალის მეორე ათეულიდან — ე.ი. 1110 წლის 3 მაისიდან დაიწყო, მონაწილეობდნენ სხვა თურქმენი ამირებიც: დამასკოს ათაბაგი ტულ-თეგინი და ართუკიანი ნაჰმ ად-დინ ილ-ლაზი, რომელიც

ქმარდინს ფლობდა (სიმც მ.ალ-ჯაუზი, 1952: 31; იმნ ალ-ვალანისი, 1983:270).

იმავე 1110 წელს დავით IV-მ განაახლა აქტიური სამხედრო ოპერაციები სელჩუკთა წინააღმდეგ.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, დავითმა 1110 წელს დაიბრუნა თურქების მიერ მიტაცებული ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი სამშვილდე, რომელიც გიორგი ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით ქართველებმა "ნიმარჯუთ მოიპარეს." დაშინებულმა თურქებმა უბრძოლველად დატოვეს "უმრავლესნი ციხენი სომხითისანი," რომლებიც ქართველებმა "მოითუალნეს." თურქ-სელჩუკთა საპასუხო ლაშქრობა "მალი სულტნისა [ა] და ყოველი თურქქმნილობა [ა]" დავითმა სასტიკად დაამარცხა თრიალეთში (დავით აღმ. ისც, 1992:177,178-79).

როგორც ჩანს, ამ წარმატებებმა უბიძგეს დავით IV-ს სამხედრო ოპერაციები პირველად გადაეტანა საქართველოს ფარგლებს გარეთ, არარანში.

იზნ ალ-ვალანისი და ალ-ჰუსაინი მოგვითხრობენ, რომ ქართველებმა არარანი დალაშქრეს ჰიჯრის 503 წელს (იმნ ალ-ვალანისი, 1983:269; ალ-ჰუსაინი: 46მ.), ე.ი. 1109 წ. 31 ივლისიდან — 1110 წ. 19 ივლისის ჩათვლით. არაბი ისტორიკოსები ამ ლაშქრობის კონკრეტულ დროს — თვეს არ ასახელებენ, მაგრამ იზნ ალ-ვალანისის "დამასგოზ ისტორია" საშუალებას იძლევა რამდენადმე დავაზუსტოთ ის.

არაბი მემკვიდრე ჩამოთვლის იმ ამბებს, რომლებიც ჰიჯრის 503 წ. ისლამის სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან მოვიდა დამასკოში. ის იხსენიებს სულტან მუჰამადის ჩასვლას ბაღდადში ჭუმადა ალ-ულას თვეში (იწყება 26.XI. 1109 წ.) და მის დაბრუნებას ისფაჰანში შავვალის თვეში (23.IV—21.V.1110 წ.). ცაზე კომეტის გამოჩენას 8 ზუ ლ-კა'დადან — ზუ ლ-ჰიჯას მიწურულამდე (22.V—19.VII.1110 წ.). შემდეგ მოთხრობილია ისევ შავვალის თვის ამბები, როცა მის მეორე ათეულში (1110 წ. 3 მაისიდან) მავსილოსა და ხლათის მუსლიმი გამგებლები მუჰამადის მოწოდებით დაიძრნენ ედესაზე (იმნ ალ-ვალანისი, 1983: 265,268,270). ქართველების თავდასხმა არარანზე მოთავსებულა იმ ამბავთა შორის, რომლებიც დამასკოში შეიტყვეს შავვალისა და ზუ ლ-ჰიჯას თვეებს შორის. ეს კი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ დავით IV-ის აღნიშნული ლაშქრობა მოხდა არა უადრეს 1110 წლის 23 აპრილისა და არა უგვიანეს 19 ივლისისა.

1110 წლის ქართველთა ლაშქრობა არარანში მიმართული იყო ქვეყნის მთავარი ქალაქის განჯისა და მისი მიმდებარე მხარეების წინააღმდეგ. მაგრამ ვის ეჭვმდებარებოდა არარანი ამ დროს?

როგორც ვნახეთ, განჯა და არარანი წარმოადგენდა მუჰამად ბ. მალიქ-შაჰის დასაყრდენს ბარქაარუკის წინააღმდეგ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ დროს განჯაში დაიდგა სასულტნო ტახტი, რომლის შესახებაც მოგვიანებით წერდა ან-ნასაჲი (ან-ნასაჲი, 1973:286; *Бейлис*, 1960:

496/1102-3 წ. განჯაში ჩანს თურქი ათაბაგი ლუზოლლუ (იონ ალ-ასირი, X:359). 1104 წ. ერწუხის ბრძოლაში დაიღუპა განჯის კიდევ ერთი ათაბაგი, მაგრამ ვ.მინორსკისა და კლ.კაენის ვარაუდით, მომდევნო ხანებში, 500/1106-7 წ. განჯას შარვან-შაჰი დაეუფლა.

ვ.მინორსკი და კ.კაენი იმოწმებდნენ მას'ულ იბნ ნამდარის ერთ წერილს, რომელშიც განჯის ამირად დასახელებულია შარვან-შაჰ ფარიბურზის ვაჟი ალ-'ადუდი. წერილი დაუთარიღებელია, მაგრამ მასში ჩართულ ლექსზე აღნიშნულია . . . , რაც კ.კაენისა და ვ.მინორსკის აზრით არის თარიღი — 500/1106-7 წ. აღნიშნული წერილის ცნობა ერთგვარად ეხმაურება მას'ულ ბ.ნამდარის ერთ კასიდას, სადაც ავტორი ასე მიმართავს ფარიბურზს: "ხმლევ აბზაზს ერთი თავდასხმით და ხწრაფად გუფლები არრანს. განჯაში ნიშნავ 'ამილს, რომლის მუშრიფიც მე ვარ" (*Бейлис*, 1970მ:44-45). ვ.მინორსკი და კ.კაენი ფიქრობდნენ, რომ განჯა თვით მუჰამადმა გადასცა შარვან-შაჰს არრანიდან სელჩუკთა ძირითადი ძალების წასვლის შემდეგ 1106-7 წ. (*Minorsky, Cahen*, 1949:126).

ვ. მ. ბეილისი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა მას'ულ ბ.ნამდარის წერილები და გამოაქვეყნა მათი ფაქსიმილე, საექვოდ მიიჩნევს, რომ (ა . . . თარიღია (ნიშანი, ა ხშირად არის დასმული ტექსტის გაყოფის ბოლოს, ხოლო ორი წერტილი . . . კი შეიძლება ეკუთვნოდეს ასო ყ -ს), მაგრამ ის მაინც შესაძლებლად თვლის, რომ განჯა გადავიდა შარვან-შაჰის ხელთ 496/1102-3 — 503/1109-10 წლებში (*Бейлис*, 1970მ:42). მან სელჩუკთა ლაშქრის წასვლის შემდეგ ჭერ თავის კონტროლს დაუქვემდებარა განჯა, მერე კი გადააქცია ის თავისი ვაჟის ალ-'ადუდის სამფლობელოს ცენტრად (*Бейлис*, 1970მ:45).

ვ.მინორსკის, კ.კაენისა და ვ.ბეილისის თვალსაზრისი არ არის კარგად დასაბუთებული. ფარიბურზი, როგორც ირკვევა, შარვან-შაჰად იყო 1063-1096 წლებში (*Буниятов*, 1978:140,147; *Ашурбейли*, 1983:123). მისი ლაშქრობა საქართველოზე დავით IV-ის დროს წყაროებში არ იხსენიება, მაგრამ ცნობილია, რომ შარვან-შაჰი თან ახლდა სულტან ალფ-არსლანს 460/1067-68 წ. არრანზე ლაშქრობის დროს (*Минорский*, 1963:60). არრანიდან სულტანი საქართველოში შეიჭრა. შესაძლოა, რომ ფარიბურზი მცირე ხნით ამ ლაშქრობაშიც მონაწილეობდა და მას'ულ ბ.ნამდარის აღნიშნული კასიდა სწორედ ამ ამბის გამოხმაურებას წარმოადგენს. ზ.ბუნიატოვი თვლის, რომ ფარიბურზი დაეუფლა არრანს მას შემდეგ, რაც ალფ-არსლანმა დატოვა ამიერკავკასია (*Буниятов*, 1978:143). ს.აშურბეილი მიიჩნევს, რომ განჯაში შარვან-შაჰთა ვასალური სამფლობელო არსებობდა XI ს. მიწურულში (*Ашурбейли*, 1983:123), მაგრამ ზუსტად როდის, ამას მკვლევარი არ მიუთითებს. ჩვენი ვარაუდით, შარვან-შაჰთა ხანმოკლე მმარ-

თველობა განჯაში შეიძლება დამყარებულყოფიერ მხოლოდ XI ს. 80-იანი წლების ბოლოს ან 90-იანი წლების დამდეგს, მაგრამ 1092 წ. შემდეგ განჯასა და არარანში მათთვის ადგილი აღარ რჩება. და, საერთოდ, არ გავაჩნია რაიმე ცნობა, რომელიც მიუთითებდა, რომ 1102-3 ან 1106-7 წლებში სელჩუკთა სულტანმა რაიმე მიზეზით დათმო განჯა. 1110 წ. განჯას და არარანს სელჩუკები მტკიცედ ფლობდნენ და დავით IV-ის ლაშქრობა მიმართული იყო თურქ-სელჩუკთა ძალების წინააღმდეგ.

იბნ ალ-კალანისის აღნიშნული ცნობა განჯაზე ქართველთა ამ ლაშქრობის შესახებ შეუძენველი არ დარჩენილა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ მიჩნეულა, რომ დავით აღმაშენებელმა აიღო განჯა (განჯა) (ასათიანი, 1968:25),¹⁰ რაც სინამდვილეში არ მომხდარა. არაბი ისტორიკოსი იუწყება, რომ 503 წ. "შოვიდა ამბავი განჯის (ჯანსა) ქვეყანაზე და მის მეზობელ მხარეებზე უღელტეხილებიდან (დურუბ) ქართველთა (ქურჯ) გამოხვლიხა. მათ ჩაიღინეს მრავალი სისასტიკე და უკეთურება მის [განჯის] სანახებში. ამბავმა ამის შესახებ მიაღწია მალიქ-შაჰის ძესთან, "ქვეყნისა და ხარწმუნოების ხსნახთან" (ღიეას ად-დუნიეა ვა დ-დინ), ხულტან მუჰამადთან. მან გაგზავნა ქართველთა წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ლაშქარი, დაეცა მათ, აიძულა გაქცეულიყვნენ, აიცილა [მათი] უზამსობა და ბიწიერება, განდევნა ხოცვა-ჟლეტით, მისდია, მოაოხრა მათი ქვეყანა, გააპარტახა მათი მხარეები, უმიმარჰყო განჯის ქვეყნის მოსახლეობა მათი ბოროტებისგან და აღდგა მათი მოკრძალება [ხულტანისადმი] მათი [ქართველთა] მოხპობით. [შემდეგ კი] უკან მოიქცა ხულტანის ლაშქარი გამარჯვებული და ნაალაფარი" (იბნ ალ-კალანისი, 1983:270; ჟათაბიძე, 1992გ:84-89).

როგორც ვხედავთ, ქართველებს განჯა არ აუღიათ, თუმცა კი მოაოხრეს მისი სანახები. ამასთან არაბი მემატინე მოგვითხრობს, რომ სულტანის ლაშქარმა არამარტო უკუაგდო ქართველები, არამედ დაარბია და გააპარტახა მათი ქვეყანა. ამ ამბების გადმოცემისას უფრო თავშეკავებულა სელჩუკთა მემატინე სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინი. ის წერს, რომ 503 წ., როცა ქართველებმა "დალაშქრეს განჯის ქვეყანა, ხულტანმა მათ წინააღმდეგ დამრა ლაშქარი და აღკვეთა მათი ძალმომრეობა" (ალ-ჰუსაინი: 46მ).

ამრიგად, ირკვევა, რომ დავით IV-ის პირველი რეიდი არარანში წარუმატებელი აღმოჩნდა. მაგრამ იბნ ალ-კალანისის ინფორმაცია თურქ-სელჩუკთა საქართველოში შემოჭრასა და, მით უმეტეს, დიდ გამარჯვებებზე უდავოდ გადაჭარბე-

¹⁰ ამ ლაშქრობას იცნობს ჟ.სტეფანაძეც, რომელიც ზოგადად აღნიშნავს, რომ თურქ-სელჩუკთა სულტანი იძულებული გახდა დავითის წინააღმდეგ გარკვეული ღონისძიებები მიეღო (სტეფანაძე, 1974:82).

ბულოა. ამის შესახებ არაფერი იცის ალ-ჰუსაინიმ. უფრო მოსალოდნელია, რომ მუჰამადის ლაშქარმა დაარბია არრან-საქართველოს სასაზღვრო რაიონი და არ შეკრილა საქართველოს სიღრმეში. წარმატების შემთხვევაში მუჰამადი უეჭველად შეეცდებოდა აღედგინა საქართველოში თავისი დაკარგული პოზიციები, მაგრამ მსგავსი რამ არ მომხდარა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მუსლიმი ისტორიკოსები არაფერს წერენ თრი-ალეთში თურქ-სელჩუკთა სასტიკ მარცხზე, ხოლო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კი — მეფის დამარცხებაზე არააწმინ. ეს ის შემთხვევაა, როცა ქართველი და მუსლიმი მემბატანეები ამჯობინებენ ისაუბრონ მხოლოდ საკუთარ გამარჯვებებზე და არ მოიხსენიონ მარცხი. და მაინც, ბრძოლები სელჩუკებთან 1110 წელს დავითს სასარგებლოდ იყო მან დაიკავა სამშვილდე და ძერნა¹¹ და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ქართული მიწების შემომტკიცების გზაზე.

დავით IV-ის სამხედრო აქტივობა 1110 წ. დაემთხვა დიდ სელჩუკთა პირველ სერიოზულსა და დიდ სამხედრო კამპანიას ჯვაროსანთა, სახელდობრ, ედესის საგრაფოს წინააღმდეგ. შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა სულტანს არ შეეძლო გამოეყენებინა საქართველოში თავის ერთგულ ქვეშევრდომთა სამხედრო ძალები ვანის ტბის რეგიონიდან და ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან, რადგანაც ისინი ჯვაროსნებს ეომებოდნენ. ამავე დროს მას არ შეეძლო გაეგზავნა თავისი რეგულარული ჯარი ('ასქარ) ედესის წინააღმდეგ, რადგანაც ის აშკარად დავით IV-სთან ბრძოლებით იყო დაკავებული. ამრიგად, სელჩუკთა ძალები ორ ფრონტზე აღმოჩნდა დაქაჩული. ბუნებრივია ჩნდება კითხვა: ხომ არ არსებობდა რაიმე კავშირი ედესის გრაფ ბალდუინ II-სა და დავით IV-ს შორის? ამ კითხვაზე წყაროები პასუხს 1110 წლისათვის არ გვაძლევენ და გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია. მაგრამ ასეთი კავშირი რომც გამოვიჩიხოთ, ფაქტია, ჯვაროსანთა ბრძოლები ამ დროს თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ამსუბუქებდა საქართველოს მდგომარეობას და პირიქით.

1115-1117 წლების ბრძოლები

1115 წ. დავით IV-მ აიღო რუსთავი, განჯა-თბილისის საკომუნიკაციო ხაზზე, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კეტავდა თბილისის მისადგომებს. რუსთავის დაკარგვით "დიდად წყენა[ა] შეექმნათ თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა[ა]" (დავით აღმ. ისტ., 1992:179). მიუხედავად ამისა, 1110 წლისგან განსხვავებით სულტან მუჰამადს არ უცდია რევანში აეღო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს შემთხვევითი არ იყო. 1114-1115 წლებში სულტანის რეგულარული ლაშქარი, ყოველ შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი მაინც, სირიასა

¹¹ ძერნას ლოკალიზაცია უცნობია. ხომ არ არის ის იგივე ზერნა ელისენის ზეგანზე, კახსა და ზაქათალას შორის (კეკელიძე, 1945:317; ნებერძინიშვილი, 1966 ბ:266; მუსხელიშვილი, 1967:118), არანის სიახლოვეს?

და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში აღმოჩნდა დაკავებული.

1114 წელს მუჰამადმა მავსილოს გამგებლად აყ-სონყურ ილ-ბარსუკი დანიშნა, თან თავისი ვაჟიშვილი მას უდი გააყოლა დიდი ჯარით და მოუწოდა ჩრდილოეთ მესოპოტამიის ყველა ამირას აყ-სონყურს დამორჩილებოდნენ. იმავე წლის მაისში მავსილოს გამგებელი 15 ათასი მეომრით ედესაზე დაიძრა და შემოეწყო მას. ქალაქის ორთვიანი ალყა წარუმატებლად დამთავრდა. მაშინ აყ-სონყურმა დაარბია ედესის, სარუჯის და სუშისატას სანახები, მაგრამ შემდეგ უთანხმოება მოუვიდა ართუკიან ნაჰმ ად-დინ ილ-ლაზის ვაჟთან და დაიჭირა ის. შეურაცხყოფილმა ილ-ლაზიმ შემოიკრიბა ერთგული თურქმენები, მოულოდნელად თავს დაესხა აყ-სონყურს, სასტიკად დაამარცხა იგი და გამოიხსნა შვილი (*Runciman, II, 1957:128-130*). განრისხებულმა სულტანმა მუჰარით საცხე წერილი გაუგზავნა ილ-ლაზის. შეშინებული ართუკიანი მარდინიდან დამასკოში თავის სიმამართან — ტულ-თეგინთან გაიქცა. 1115 წ. დასაწყისში სულტანმა მათ დასასჯელად ჰამადანიდან სირიაში ახალი დიდი ლაშქარი გაგზავნა ამირა ბურსუკ ბ. ბურსუკის მეთაურობით. მას შეუერთდნენ მავსილოსა და მთელი ალ-ჯაზირას ჯარები ჯუი-უშ-ბეგისა და ქენ-თოლდის მეთაურობით. ბურსუკ ბ.ბურსუკს დევალა ფრანკთა სამფლობელოების დალაშქრაც. ტულ-თეგინი და ილ-ლაზი ანტიოქიის გამგებელს როყერს დაუკავშირდნენ და ამ უკანასკნელმა 1115 წლის 14 სექტემბერს სირიაში, დანისთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ბურსუკ ბ.ბურსუკი (*Runciman, II, 1957: 130-31*).

ს.რანსიმანი აღნიშნავს, რომ დანისთან მარცხით დასრულდა ირანის სელჩუკი სულტნის უკანასკნელი ცდა დაებრუნებინა სირია (*Runciman, II, 1957:133*). მას აღარც ჯვაროსანთა წინააღმდეგ მოუწყვია ახალი ლაშქრობა. ამის მიზეზი, ვფიქრობთ, იყო მნიშვნელოვანი სამხედრო დანაკარგები. იმავე მიზეზით, როგორც ჩანს, მუჰამადმა ვერ მოახდინა რეაქცია არა მარტო დავით IV-ის ახალ წარმატებაზე 1115 წელს, არამედ მომდევნო 1116—1117 წლებშიც, როცა მეფემ განახორციელა ფართო მასშტაბის სამხედრო ოპერაციები ბასიანიდან სელჩუკთა მოხარკე შარვანამდე (დავით აღმ. ისტ., 1992: 179-181) და აიღო ციხე ქალადორი.

ისევე როგორც 1110 წ., 1115 წელსაც დავით IV-მ მოხერხებულად გამოიყენა დიდ სელჩუკთა სულტნის პრობლემები. 1114-1115 წლებში ჯვაროსნებმა თავიანთ ფრონტებზე დააკავეს სელჩუკთა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები, რომელთა მარცხმა 1115 წ. ობიექტურად შეუწყო ხელი დავით IV-ს წარმატებით ებრძოლა საქართველოში თურქების წინააღმდეგ.

1118 წლის კამპანია. ლორეს ალება

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, 1118 წლის ბზობას, ე.ი. 7 აპრილს წარმოემართა მეფე დანუკით წარსვლად რაქსის პირსა და ზატი-

კი გარდაიხადა ნაკიდურს" (დავით აღმ. ისტ. 1992:181). ზატკი იგივე აღდგო-
მაა. მაშასადამე ნახიდურთან მეფე 14 აპრილს იყო.

ღანუხი ვახუშტის რუკაზე აღნიშნულია ალაზნის მარცხენა მხარეს, ბელაქა-
ნსა და ვარდიანს შორის (ალასანიძე, 1989:161). ის , ჩანს, იყო დავით IV-ის
ერთ-ერთი სამხედრო ბანაკი იმ რაიონების უშუალო სიახლოვეს, სადაც მეფე
აწარმოებდა აქტიურ სამხედრო მოქმედებებს (დავით აღმ. ისტ., 1990:148., კო-
მუნც.). საფიქრებელია, რომ სწორედ ღანუხიდან განახორციელა დავითმა თავისი
ლაშქრობები გიშსა და შარვანზე.

არეზის ნაპირი ღანუხიდან შორს არ არის. ეს მდინარე მტკვარს ერთვის
ბარდაეთან. მაგრამ მეფე ამჯერად, როგორც ჩანს, არ აპირებდა არრანის სიღრ-
მეში შეჭრას. ის მოულოდნელად ნახიდურთან აღმოჩნდა.

ნახიდური, რომელიც ლოკალიზდება გარდაბნის დასავლეთით, მდ.ხრამის
მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი არუხლოს ადგილზე (ე.მურბენიშვილი, 1979:28,
მუსხელიშვილი, 1980:46-7, მონ. 170). გზასაყარი იყო. გარდა დმანის-მარნეული-
სა, აქედან მიდიოდა გზები სამშვილდეზე, წინწყაროზე, მარაბდაზე (ე.მურბენიშ-
ვილი, 1966ა:76). ნახიდურიდან შორს არ იყო ლორემდეც.

ნახიდურთან დავითმა შეიტყო, რომ თურქებს ჯავახეთში მოეკლათ ბეშქენ
ჯაყელი და მან შურისძიების მიზნით დაარბია არეზის ნაპირზე მდგომი თურქები.
მემატიანე არ ასახელებს მეფის მარშრუტს და კონკრეტულ ადგილს, მაგრამ
შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მან გააკეთა ღრმა რეიდი სომხეთის გადაჭრით,
გელაქუნის ტბის სამხრეთით. ამის შემდეგ კი მეფემ აიღო ლორე და აგარანი
(დავით აღმ. ისტ. 1992:181) — თბილისის სამხრეთით (ე.მურბენიშვილი, 1951:36-
60; ე.მურბენიშვილი, 1988:154-68).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აგარანის (გვიანდელი კოყრის ციხის)
აღებას ივლისით ათარილებს, ლორეს დაპყრობის თვეს კი არ მიუთითებს. შეიძ-
ლება ვიფიქროთ, რომ ეს მოხდა მაის-ივნისის თვეებში.

ნ.ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ლორე ტაშირზე მებატონე ციხე-სიმაგრე
იყო. ტაშირი კი ის ქვეყანაა, საიდანაც მაშავერას თუ ქცია-ბერდუჯის ხეობაში
არაერთი გზა შედიოდა. ამდენადვე, ტაშირზე მებატონე ლორე ბუნებრივად
კეტავდა საქართველოში შემომავალ ყველა კარს და მას განსაკუთრებული მნიშ-
ვნელობა ენიჭებოდა საქართველოსთვის, როგორც თავდაცვითი, ისე შეტევითი
ომების დროს (ე.მურბენიშვილი, 1966ა: 77).

ლორე ერთ ხანს ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფოს¹² დედაქალაქი იყო.
ეს სამეფო, როგორც ცნობილია, შეიქმნა X ს-ის 70-იან წლებში და მან მალე
თითქმის მთელი ქვემო ქართლი მოიცვა. მისმა მეფეებმა, კვირიკიანებმა აღბანეთის

¹² ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ისტორია მონოგრაფიულად შეისწავლა რ.ი.მათეოსიანმა
(*Матевосян*, 1969; *მათეოსიანი*, 1982). ამ სამეფოს შესახებ იხ. აგრეთვე: *პაპუაშ-
ვილი*, 1982:234-251; *ახდალაძე*, 1988:167, 236-37.

ნაწილიც — უტიქის მხარეც შეიერთეს და ამიტომ, მათ მათეოს ურპაეტი აღბანთა მეფეებსაც უწოდებს (მათეოსიანი, 1982: 101; ამდლაძე, 1988:167).

ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ცენტრი თავდაპირველად იყო სამშვილდე, მაგრამ 1065 წ. ბაგრატ IV-მ ის წაართვა კვირიკიანებს და სამეფოს დედაქალაქი გახდა ლორე.

XI ს. 80-იანი წლების დასაწყისში ტაშირ-ძორაგეტის მეფემ კვირიკემ გიორგი II-ის მსგავსად მორჩილება გამოუცხადა მალაქ-შაას. 1089 წლიდან ის წყაროებში აღარ იხსენიება. სამაგიეროდ მეფეებად ჩანან მისი ვაჟები დავითი და აბასი.

ვარდანი, როცა ეხება დავით IV-ის მოღვაწეობას, წერს, რომ მან გააფართოვა საქართველოს საზღვრები და დაიპყრო ყველა სომხური სამფლობელო კვირიკის და აბასისა (ვარდანი: 146-47). ამ სამფლობელოთა შორის დასახელებულია ლორეც. უფრო ადრე სომეხი მემატიანე აღნიშნავს, რომ ქართველთაგან დევნილი დავითი და აბასი წავიდნენ არჩანის გამგებელთან, რომელსაც გამოთხოვეს თითო-თითო ციხე და აქ ცხოვრობდნენ დიდ ვაჭირვებაში (ვარდანი:133). ამ ცნობას ავსებს კირაკოს განძაკეცი: დავითმა და აბასმა, ქართველთაგან ვერაგულად მოტყუებულებმა, დატოვეს მშობლიური სახლი და მიამუშურეს სპარსელებს, რომელთაგანაც სამფლობელოდ მიიღეს ტავეში, მაწნაბერდი და სხვა ადგილები (ვირაჯ. განძაკეცი: 114).

აღნიშნული სომხური წყაროების მონაცემებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ დავით IV-მ მოახდინა მეზობელი (თუნდაც ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მდებარე) ქრისტიანული სომხური სამეფოსა და მისი სატახტო ქალაქის ანექსია. ასე ფიქრობს არაერთი ქართველი და სომეხი მკვლევარიც. მაგალითად, ჯ.სტეფენაძე წერს, რომ 1118 წ. „დავითმა გააუქმა მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტაშირ-ზორაგეტის სამეფო და მისი ტერიტორია საქართველოს შემოუერთა“ (სცოფნაძე, 1974:36; სცოფნაძე, 1985:75), გ.მკრტუმიანი კი აღნიშნავს, რომ „დავით აღმაშენებელმა თავისი სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების განმტკიცების მიზნით 1118 წ. გაერთიანებულ საქართველოს შეუერთა ტაშირ-ძორაგეტის სამეფო (დედაქალაქი — ლორე)“ (Mkrtyumyan, 1983: 146). მაგრამ სხვა მკვლევარები თვლიან, რომ დავით IV-მ ლორე და, საერთოდ, ტაშირ-ძორაგეტი თურქებს წაართვა. ივ.ჯავახიშვილი მოუთითებდა, რომ 1118 წელს, როცა დავითმა ლორე და აგარანი დაიკავა, ქვემო ქართლი, „სომხითი“ ვითარცა პოლიტიკური ერთეული უკვე აღარ არსებობდა და დავითის აქცია „ქართლის სამხრეთი ნაწილის სომეხთა ბატონობისა და მძლავრობისაგან განთავისუფლება კი არ იყო, არამედ სელჩუკიანთა კლანჭებისაგან გამოგლეჯა“ (ჯავახიშვილი, 1919:22). სომეხ მკვლევართაგან ანა-ლოგიური თვალსაზრისი დასაბუთებული აქვს რ.მათეოსიანს.

ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ ბრძოლა ლორესათვის 1118 წლამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო და ის თავდაპირველად მიმდინარეობდა კვირიკიანებსა, სელჩუკებსა და ოიარ-ბაქრის თურქმენებს შორის.

ვარდანი იუწყება, რომ 1105 წ. სპარსეთში მომხდარი არეულობით ისარგებლა ვიმე ამირა ხიზილმა, რომელმაც ხელთ იგდო ჯერ ლორე, შემდეგ კი დვინი, სადაც მოკლა მისი მფლობელი ბუნარი, იგივე აბუ ნასრი, ანისის შადდადიანი გამგებლის მანუჩეს (მანუჩიპრის) ძმა (ვარდანი: 140; თთფურია, 1975:96-7). სხვა ცნობით, ხიზილს დაუპყრია, აგრეთვე, წმინდა სავანეებიც სანაინი და ახპატი (კირაჯ. განმარტები: 90).

ლ.ხანლარიანი ფიქრობს, რომ ხიზილი იყო სულტან ბარქიარუკის ვაჟი მუ'იზ ად-დინ მალიქ-შაჰ II (კირაჯ.განმარტები: 273), მაგრამ ეს მოსაზრება სრულიად მიუღებელია. ვ. მინორსკი შესაძლებლად თვლიდა, რომ ხიზილი გაიგივებინა ყიზილ-არსლანთან. ალ-ფარიკის თანახმად, ამირა ყიზილ-არსლანი, ან არაბულად ას-საბ' ალ-აჰმარი (წითელი ლომი) იყო დიარ-ბაქრის მხარეში ას'არდის, ტანზას და ბამჰუდის გამგებელი. მანამდე კი ის ფლობდა დვინსაც (ალ-ფარიკი: 157ა; Cahen, 1935:234; Minorsky, 1953:82, შენ 4; თთფურია, 1975:96-97). არაბი ისტორიკოსის ეს ცნობა ხიზილ /ყიზილ-არსლანის იგივეობის საშუალებას იძლევა. მაგრამ როგორ აღმოჩნდა ყიზილ-არსლანი დვინსა და ლორეში?

იზნ ალ-ასირის თანახმად, ყიზილ-არსლანი (რომელსაც შემატანე შეცდომით ას-საბ' ალ-აჰმარის ძედ მიიჩნევს) 1103 წ. მონაწილეობდა ხოისთან ბრძოლაში, მუჰამადის მხარეზე (იზნ ალ-ასირი, X: 360). ვარდანის ცნობა სპარსეთში არეულობის შესახებ, ვფიქრობთ, გულისხმობს მუჰამადისა და ბარქიარუკის კონფრონტაციას. ამდენად, ყიზილ-არსლანმა, შესაძლოა, დვინი და ლორე დაიკავა არა 1105 წ. (როცა შინა ომი დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში დასრულდა), არამედ რამდენადმე ადრე, 1103—1104 წლებში. მან, როგორც ჩანს, ისარგებლა ამიერკავკასიის ამ ნაწილში არასტაბილური სიტუაციით და, ალბათ, მუჰამადის „ტურთხევით“ ხელი დაადო ლორეს, შემდეგ კი დაეუფლა დვინსაც. ეს იყო დიარ-ბაქრის თურქმენთა პირველი ცდა ფეხი მოეკიდებინათ ამ ქალაქში. ასეთი პრეტენზიები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მომდევნო ხანებში დიარ-ბაქრის სხვა თურქმენებსაც (აღაბიანებს) ჰქონდათ.

თურქმენი ამირების ერთგულებას პოლიტიკური სიტუაცია და პირადი ანგარება განაპირობებდა. ამის გამო ისინი ხშირად იცვლიდნენ პოზიციას. 1106 წ., როცა ჩრდილო მესოპოტამიაში რუმის სელჩუკთა სულტანი ყილიჩ-არსლანი შეიჭრა და დაიპყრო მაიაფარიკინი და შემდეგ კი (1107 წ.) მავსილიცი, ყიზილ-არსლანმა იჩქარა, რომ მისთვის ერთგულება გამოეცხადებინა. თურქმენი ამირას და დიდ სელჩუკთა სულტნის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა. 1107 წ. მუჰამადმა ჩავლი-საკაოს მეშვეობით დაამარცხა რუმის გამგებელი. ამის შემდეგ, როცა კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა, მას შეეძლო დაესაჯა ყიზილ-არსლანიც. ყოველივე ამის გათვალისწინებით რეალურ საფუძველს იღებს ვარდანის ცნობა იმის თაობაზე, რომ შადდადიანი "მანუჩე წავიდა სპარსეთის მეფის კარზე, წამოიყვანა ლაშქარი და როცა დაბრუნდა, თავის მხრივ მოკლა

ზიზილი თავისი ძმის საფლავზე" (ვარდანი: 140).

კ.კაენი წერდა, რომ ყიზილ-არსლანი მოკლეს 1118 წ. (Cahen, 1935: 234). ამ თარიღს კითხვის ნიშნით იღებდა ვ.მინორსკიცი, რომელიც აღნიშნავდა, რომ კ.კაენი წყაროს არ ასახელებს (Minorsky, 1953:83), მაგრამ ეს ასე არ არის. კ.კაენი მიუთითებდა კრებულში „Recueil des historiens des croisades“ (Documents Arméniens. Tome premier, Paris, 1869: 414, მენ.1) დაბეჭდილ კორაკოს განძაკეცის „სომხეთის ისტორიის“ ფრანგული თარგმანის იმ პასაჟის კომენტარს, რომელიც ეხება ზიზილს. აქ დამოწმებულია სამუელ ანეცის ცნობა იმის თაობაზე, რომ 567 / 20.II. 1118-21.II.1119 წ. „სკვითების ტირანი ყიზილი, რაც ნიშნავს წითელს, მოიკლა სპარსულთა მიერ, რომლებმაც ალყა შემოარტყეს ამ ქალაქს (დვინს — გ. ყ.) 6 თვის მანძილზე.“ მაგრამ სამუელ ანეცის თხზულების ერთადერთ სრულ გამოცემაში, როგორც ყიზილ-არსლანის მიერ დვინისა და ლორეს დაპყრობის, ისე მისი მოკვლის თარიღად მითითებულია არა სომხური ერთ 567, არამედ 554/1105 წ. (სამ.ანეცი, 1893:121-22). ასევეა ვარდანთანაც (ვარდანი: 140). ამდენად კ.კაენის მიერ დასახელებული თარიღი (1118 წ.) უსაფუძვლოა.

მხითარ აირივანეცის თანახმად ზიზილ *resp.* ყიზილ-არსლანი მოკლეს 1111 წლიდან 1120 წლამდე (მხით. აირივანეცი: 79). ამავე მონაკვეთში ის იხსენიებს მანუჩეს გარდაცვალებასაც, რაც სამუელ ანეცის დათარიღებული აქვს 1110 წლით (სამ.ანეცი, 1893: 122). შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ამბავი მოხდა 1110 წ. ახლო ხანებში. ამ დროისათვის სულტან მუჰამადის მომხრეებმა, ვფიქრობთ, დაიკავეს ლორე.

სანაინის მონასტრის ჩანაწერების წიგნში „ქართუკში“, რომელშიც საუკუნეების მანძილზე აღინუსხებოდა მონასტერთან დაკავშირებული ამბები, აღნიშნულა, რომ 1110 წ. აგვისტოში სელჩუკი მემორების რაზმი თავს დაესხა სანაინის მონასტერს, სადაც ამ დროს იმყოფებოდა დავით კვირიკის ძე. აქედან გამომდინარე, რ.მათეოსიანი ფიქრობს, რომ ამ დროს კვირიკიანები დავითი და აბასი ჯერ კიდევ ფლობდნენ სამეფოს ცენტრალურ ნაწილს, ტაშირ-მორაგეტის სამეფო არ იყო მთლიანად დაცემული და ეს მოხდა ცოტა მოგვიანებით. მხითარ აირივანეცი კვირიკე მეფის ვაჟების სამშობლოდან გაძევებას 1111—1120 წლებში ათავსებს, სტეფანოს ორბელიანი კი ამ ამბავს 1113 წლით ათარიღებს (მხ.აირივანეცი: 79. სტ. ორბელიანი, 1942: 16). მათი ცნობების შეპირისპირების საფუძველზე რ.მათეოსიანი ასკენის, რომ აბასმა და დავითმა სამშობლო დატოვეს 1111—1113 წლებში და ეს განპირობა სელჩუკთა მიერ მათი ქვეყნის თანდათან დაპყრობამ (მათეოსიანი, 1982:105-6; Матевосян, 1969:13-14; პავუაშვილი, 1982:249-50).

როგორც ვხედავთ, ლორე ცილობის საგანს წარმოადგენდა დიდ სელჩუკებსა და დიარ-ბაქრის თურქმენებს შორის. კვირიკიანებმა ვერ გაუწიეს მტერს სერი-

ოზული წინააღმდეგობა და დათმეს სამეფო. ტაშირ-ძორაგეტის სატახტო ქალაქი ლორე დავით IV-მ თურქ-სელჩუკთაგან დაიხსნა. მოგვიანებით მან გაანთავისუფლა ტაშირ-ძორაგეტის სხვა ციხეებიც (იხ.ქვემოთ, გვ. 55-56). ლორეს აღებით მეფემ გაქრა სარკმელი ჩრდილოეთ სომხეთისაკენ, დვინისა და ანისის მიმართულებებით. შეიძლება ითქვას, რომ ლორეს დაკავებამ საფუძველი მოუშადა მნიშვნელოვან ეტაპს დავით IV-ის საგარეო პოლიტიკაში, ბრძოლას თურქებთან ამიერკავკასიაში ჰეგემონიისათვის.

დავით IV-ის სამხედრო კამპანიის დასაწყისი 1118 წ. აპრილში დაემთხვა მძიმედ დაავადებულს (1117 წ. ნოემბრიდან) სულტან მუჰამადის გარდაცვალებას 5 ან 18 აპრილს (ალ-ჰუსაინი: 466; იმნ ალ-ასირი, X:525) და ტახტზე მცირეწლოვანი მამულდის ასვლას. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში კვლავ შფოთი და უთანხმოება ჩამოვარდა. ახალ სულტანს დაუპირისპირდნენ მისი ძმები: ტულრილი, მას'უდი, სელჩუკ-შაჰი და ბიძა — ხორასნის გამგებელი სანჯარი. საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან შეიქმნა ახალი პოლიტიკური სიტუაცია, რომლის გათვალისწინებაც საჭიროა დავით IV-ის სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებების შესწავლის დროს.

4. დავით IV-ის ბრძოლა აზიურკავკასიაში

პოლიტიკური კამპონიისათვის 1120—1124 წლებში

1119 წ. დაპირისპირება სულტან მამულდსა და სანჯარს შორის სისხლისმღერელ ომში გადაიზარდა. სანჯარი ხორასნიდან დიდი ჯარით შეიჭრა მამულდის სამფლობელოში — ჯიბალში და 11 აგვისტოს სავასთან სასტიკად დაამარცხა ძმისშვილი. იმავე წლის ნოემბერ-დეკემბერში მამულდმა ცნო სანჯარის უზენაესობა. სანჯარი უმაღლეს სულტანად, მამულდი კი მის შემკვიდრედ გამოცხადდა. 1119 წ. ტერიტორიულად ისედაც შემცირებული დიდ სელჩუკთა სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა. სანჯარის კონტროლს დაექვემდებარა აღმოსავლეთი ირანი, მაზანდერანი, კუმისი, დამავანდი და ქრეი ჯიბალში, რომელიც იყო „სადარაჯო კოშკი მთელ დასავლეთ ირანზე“ (Bosworth, 1968:120). სანჯარმა მამულდს იკტად უბოძა მიწები ხორასნიდან-ანატოლიამდე და სირიამდე (Бухиятов, 1978:18). მის სამფლობელოთა შორის დასახელებულია საქართველოც (გორჯექსთან) (ჰამდ, ყაჯვინი, 1903: 272-73; ჰამდ. ყაჯვინი, 1937: 29,53; ჰაჯი მუჰიდ-ყული ყაჯვარი: 87), მაგრამ პრაქტიკულად მამულდი თლობდა მხოლოდ დასავლეთ ირანსა და ერაყს. უთანხმოების დასასრული სანჯარსა და მამულდს შორის ითვლება ერაყის სელჩუკთა სასულტნოს წარმოქმნის ხანად (Бухиятов, 1978:19).

ვიდრე ხორასანში დაბრუნდებოდა, იმ მიზნით, რომ არ დაეშვა მამულდის გაძლიერება, სანჯარმა მის ძმებს იკტად სხვადასხვა სამფლობელო უბოძა. სელჩუკ-შაჰს გადაეცა ფარსი და ისფაჰანის ოლქის ნაწილი, მას'უდს — აზერბაიჯანი,

მავსილი და ჩრდილოეთი მესოპოტამია (ალ-ბუსაინი: 508; *Bosworth*, 1968: 121), საქართველოს მეზობელ არრანში კი ტულრილ ბ. მუჰამადი გამაგრდა.

ტულრილმა¹³ ჯერ კიდევ მამის — მუჰამადის სიკოცხლეში მიიღო იკტად საეა, ავა და ზენჯანი. მის ათაბაგად დანიშნა შირ-გირი, რომელმაც დაიპყრო ისმადილი-ტა ზოგიერთი ციხე და გააფართოვა ტულრილის სამფლობელოები. შირ-გირის აქტიურობით შემფოთებულმა მამულმა მძას ახალი ათაბაგი ჰენ-თოლდი მოუჩინა. მაგრამ როგორც კი ათაბაგი გახდა, ჰენ-თოლდი უჩინა ტულრილს, რომ აჯანყებოდა მძას. სულტანმა შეიტყუა ეს და სწრაფად დაიძრა მათზე, მაგრამ ტულრილმა და ჰენ-თოლდმა მოასწრეს გაქცევა და თავი შეაფარეს არრანის მთავარ ქალაქს — განჯას (იბნ ალ-ასირი, X: 547, 548).

მამულს ალბათ არ გაუქირდებოდა ჰენ-თოლდისა და ტულრილის განდევნა განჯიდან, მაგრამ ტულრილს მხარი დაუჭირა სანჯარმა. ტულრილმა არა მარტო დაიბრუნა თავისი ყოფილი სამფლობელოები (საეა, ავა, ზენჯანი), არამედ, ბიძის დახმარებით, დამატებით მიიღო სემნანი, ყაზვინი, აბჰარი, გილანი, დელიამი და ტალიკანი (ალ-ბუსაინი: 508; *Bosworth*, 1968: 120-21). ძმების ურთიერთობა დამაბული რჩებოდა სანჯარის ხორასანში დაბრუნების შემდეგაც.

1120 წ. პილლას (ყენტრალური ერაყი) გამგებლის მანიადელ დუბაის ბ.სადა-კას წაქეზებით და ათაბაგ ჯუიუშ-ბეგის მხარდაჭერით მამულის წინააღმდეგ აჯანყდა მას'უდი. ივნისში სულტანმა დაამარცხა მძა და მისი ათაბაგი, შემდეგ შემოირიგა ისინი (ალ-ბუსაინი: 548; იბნ ალ-ასირი, X: 562-64; იბნ ალ-ჯაჟღი, IX: 217; სიმც მ. ალ-ჯაჟღი, 1952: 89-90), დალაშქრა პილლა და სძლია დუბაისს, რომელიც მარდინში თავის სიმამრთან ნაჟმ ად-დინ ილ-ლაზისთან გაიქცა (იბნ ალ-ასირი, X: 565-66). ამ გამარჯვებით გამხნეებულმა მამულმა მოინდომა ტულრილის დამორჩილება და მის წინააღმდეგ ათაბაგი ჯუიუშ-ბეგი გაგზავნა. ტულრილი და ჰენ-თოლდი განჯაში გამაგრდნენ, მაგრამ საქმე ბრძოლამდე არ მისულა (იბნ ალ-ასირი, X: 587). ეს ამბავი, იბნ ალ-ასირის ცნობით, მოხდა ჰიჯრის 514 / 2.IV.1120 - 21.III.1121 წ. ასე რომ 1119—1120 წლებში და 1121 წ. პირველ ნახევარშიც ტულრილ ბ.მუჰამადი არრანში ფაქტობრივად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და მისი სეპარატიზმის წყალობით ამ პერიოდში ერაყის სელჩუკთა სულტანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ბლოკირებული აღმოჩნდა. ამ რეგიონში თურქ-სელჩუკთა ინტერესების დამცველად მოგვევლინა მცირეწლოვანი ტულრილ ბ.მუჰამადი, მაგრამ მას არ ძალუძდა ეფექტური კონტროლი განეხორციელებინა სომხეთზე, სადაც ძლიერი იყო ქურთი (შადდადიანი) და თურქი (შამ-არმენები, აჰდაბიანები, სალთუკიანები...) ამირების სეპარატიზმი.

1118 წ. ივლისიდან (მას შემდეგ რაც აიღო აგარანი) — 1120 წ. თებერვლამდე დაეით IV-ს არ მოუწყვია რაიმე სამხედრო ექსპედიცია თურქების წინააღმდეგ.

¹³ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სელჩუკი უფლისწულის (შემდეგ კი სულტნის) სახელი გვხვდება სხვა ფორმებითაც: ტოდრული, თოდრული, თულრილი.

ეს დრო, ჩანს, მან მოანდომა იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოში ყივჩაღების ჩამოსახლება-განსახლებასთან და მათგან ახალი სამხედრო შენაერთების ფორმირებასთან¹⁴. 1120 წლისათვის დასრულდა საქართველოს სამხედრო სტრუქტურების ჩამოყალიბება (მათ შესახებ იხ. ჩხატარაიანი, 1966: 161-186; მესხია, 1972: 36-47; ლორთქიფანიძე, 1979მ: 224-29; ბ.მეფრეჟელი, 1986: 152-83; *Анцანдзе* 1990:103-111). მეფეს შეეძლო მტრისთვის დაეპირისპირებინა 60 ათასი მეომარი, რომელთაგანაც, საფიქრებელია, არა უმეტეს 12-15 ათასისა მუდმივ ლაშქარს შეადგენდა (*Анцანдзе*, 1990:105). ეს იყო კარგად გაწვრთნილი, დისციპლინირებული, მობილური, მრისხანე სამხედრო ძალა, რომელსაც შესწევდა უნარი გადაეჭრა ყველაზე სერიოზული ამოცანები. მძლავრი სამხედრო პოტენციალი საშუალებას აძლევდა მეფეს განეხორციელებინა ფართო მასშტაბის სამხედრო ოპერაციები. 1120 წ. დამდევიდან (მას შემდეგ, რაც 1119 წ. მიწურულს სანჯარმა ხორასნის ლაშქართან ერთად ჭიბალი დატოვა) მან "დაიწყო რბევად სპარსეთისა, შარვანისა და სომხითისა დიდისა" მეფე დავით თურქმენთა ბანაკებს მტკვარზე (თებერვალი) და არეზზე, ამორნიასი (ნოემბერი) (დავით აღმ. ისვ., 1992:185,188-89). ეს იყო ტოტალური ომი თურქებთან, რომელიც მიზნად ისახავდა მათი ბატონობის ამოძირკვას ამიერკავკასიის მასშტაბით.

1120—1121 წლების კამპანია

1120 წ. დავით IV-მ რამდენჯერმე ილაშქრა შარვანზე, რომელიც სელჩუკებზე იყო დამოკიდებული და ეს ქვეყანა, სელჩუკთაგან რაიმე აქტიური პროტესტის გარეშე, თავის ყმადნაფიცად აქცია (დაწვრილებით იხ. ასათიანი, 1968: 30-32; ლორთქიფანიძე, 1979მ: 236-37).

ნ.ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ შარვანში გამარჯვება მოასწავებდა თურქთა აგრესიის დასაყრდენის — განჯის ღრმად შემოვლას და შარვანისთვის ბრძოლა განჯის ომის მომზადება იყო (ნ.ბერძენიშვილი, 1966მ: 255).

შარვანში მარცხის საპასუხოდ სელჩუკებმა გააქტიურეს თავიანთი პოლიტიკა თბილისის მიმართულებით. არარანის გამგებელმა ტულრილ ბ.მუჰამადმა თბილისელ მუსლიმთა თხოვნით ქალაქში თავისი შიშნა გაგზავნა და ფაქტობრივად დავით IV-ს თბილისზე სელჩუკთა პრეტენზიები განუცხადა, მაგრამ მის აქციას მიეფეხე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მალე ქართველთაგან შევიწროებული თბილისელი მუსლიმები იძულებულნი გახდნენ დავითისთვის წლიურად 10 ათასი დინარის გადახდა ეკისრათ (ალ-ფარიჯი, 1985:88).

¹⁴ ყივჩაღთა განსახლებისა და საქართველოში მათი შემდგომი ბედის შესახებ იხ.: ჩხატარაიანი, 1966: 167 და შმდ; სტეფანაძე, 1984:152-157

საქართველოსა და არარანს შორის კონფრონტაციამ კულმინაციას მიაღწია 1121 წელს. მარტის თვეში მეფე "დაეხსა ზუნანს და ადავსო ლამქარმან მითთ მტკურამდე და გაგთათ ბერდუჯამდე და მოხრნეს [თურქები] პირთა მახვლისა [ქ]თა და არა დაუბიევეს მიქცეული კ[ედლა]დ, რომელ არა დაუშთა მთხრობი ჰამბავისა [ქ]" (დავით აღმ. ისტ., 1992:189).

არარანის სელჩუკები შეეცადნენ რევენში აეღოთ. მათეოს ურპაეცის ცნობით, სომხური ერით 570 წელს, რომელიც დაიწყო 1121 წლის 19 თებერვალს, დიდგორის ბრძოლამდე, საქართველოს თავს დაესხა "ვინმე ამირა განძაკის ქვეყნიდან, ხახვლად ხაზი" (მათ.ურპაეცი, 1966:243). ეს ამირა უცნობია აღმოსავლური წყაროებისათვის. აშკარაა, რომ ხაზი არ არის არც ტულრილი და არც ქენ-თოლდი. სახელი ხაზი, იგივე არაბ.ლაზი, რაც მებრძოლს ნიშნავს, ჩვეულებრივ გამოიყენებოდა ეპითეტად თურქი და საერთოდ მუსლიმი ამირებისათვის, რომლებიც საღეთო ომს აწარმოებდნენ „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ. ვფიქრობთ, რომ ხაზი/ ლაზი იყო არარან-საქართველოს სასაზღვრო ზოლში რომელიმე მხარის ამირა, რომელიც ტულრილოს მითითებით მოქმედებდა. მანამდე, მათეოს ურპაეცის თანახმად, ის "კეთილგანწყობით მოჩიჩლებამი იმყოფებოდა საქართველოს მეფე დავითთან". ხაზი 30 ათასი მეომრით (ეს ციფრი აშკარად გაზვიადებულია) შეიჭრა საქართველოში, მისი მოსახლეობის "ერთი ნაწილი დაატყვევა და გაამევა ქართველთა ქვეყნიდან", ხოლო თვითონ კი "წავიდა და დაბნაკდა თავის ადგილას" (მათ.ურპაეცი, 1966:243-44).

თურქ-სელჩუკთა ლაშქრობა არარანიდან დაუსჯელი არ დარჩენილა. იმავე მათეოს ურპაეცის ცნობით: "როდესაც შეიტყო ეს (ამბავი) ქართველთა მეფე დავითმა, ჯარები გაგზავნა ამ ქართველთა ქვეყნისა, [თვითონაც] მოვიდა [და] მოულოდნელად თავს დაესხა თურქთა ჯარებს, გაქლიტა მათგან 30000 კაცი, ყველა მათი ცოლი და შვილი, ხოლო მათი უთვალავი ცხვრის ფარა გამოორევა მრავალ ურიცხვ ალაფთან ერთად და წამოიყვანა ქართველთა ქვეყანაში" (მათ.ურპაეცი, 1858: 303; მათ.ურპაეცი, 1966:244).

შემესხია ამ ცნობასთან დაკავშირებით წერდა: „დავითის ისტორიკოსს, რომელიც საერთოდ დეტალურად აღწერს დავითის ომებს, დიდგორის ბრძოლის წინ ქართველთა მიერ განძის ამირას ასეთი დიდი ლაშქრის დამარცხების შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი. ამ ომს არ იხსენიებს არც სხვა წყარო. ყველაფერი ეს კი მათე ურპაეცის ამ ცნობას საექვოდ ხდის“ (მესხია, 1972:87), მაგრამ იბნ ალ-კალანისი სწორედ დიდგორის ბრძოლის წინ მიუთითებს ქართველთა გამოსვლას "მალიქ-ტულრილის ქვეყანაზე" (იბნ ალ-კალანისი, 1983:326), ხოლო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კი მოგვითხრობს, რომ 1121 წ. ივნისში დავით IV-მ ალონთან (მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ბარდავის მახლობლად) გადალახა ადიღებული მტკვარი, "არმია ბარდავი, დაყო დღე ორი და ნებეირად მოვიდა შინა

სავსე ალაფითა" (დავით აღმ.ისც., 1992:189).¹⁵ ამდენად, ვფიქრობთ, ექვს არ იწვევს ის, რომ 1121 წელს, დიდგორის ბრძოლამდე რამდენიმე თვით ადრე (10-წლიანი პაუზის შემდეგ), დავით IV-მ საბრძოლო ოპერაციები კვლავ გადაიტანა არარანში და რამდენიმე დამარცხება აგემა აქ ჩამოსახლებულ თურქებს.

1121 წ. არარანის სელჩუკებთან ბრძოლებში დავით IV-ს მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა. ამ პირობებში ტურირილ ბ.მუჰამადი იძულებული იყო ძლიერი მოკავშირე ეძებნა. ასეთი მოკავშირე გახდა დიარ-ბაქრის ართუქიანი გამგებელი ნაჰმ ად-დინ ილ-ლაზი.

დიდგორის ბრძოლა

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორში დავით IV-მ სასტიკად დამარცხა მუსლიმთა მძლავრი კოალიცია. მისმა მთავარმა მონაწილეებმა ტურირილ ბ.მუჰამადმა და ნაჰმ ად-დინ ილ-ლაზიმ (თავის სიძესთან დუბაის ბ.სადაკასთან ერთად) ბრძოლის ველიდან გაქცევით უშველეს თავს. დიდგორის ბრძოლისა და მისი შედეგების შესახებ ბევრი რამ არის დაწერილი. პრინციპულად ახლის თქმა საქართველოს ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანესი ბრძოლის თაობაზე, ცხადია ძნელია, მაგრამ შესაძლებელია მისი ზოგიერთი დეტალის დაზუსტება და ახალი კუთხით განხილვა.

კოალიციური ლაშქრობის ინიციატორები. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით მუსლიმთა კოალიციის შეკერის ინიციატორები იყვნენ დავით IV-ისგან "შეიწრებულნი თურქმანნი და გუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი" (დავით აღმ.ისც. 1992:189), რომლებმაც იჩიულეს სელჩუქიანთა სულტანთან და აღუწერეს მას "ყოველნი ჳირნი, მოწევნულნი მათ ზედა". მათე ურჰავეცის თანახმად, საჩივარი მოდიოდა დავით IV-ის მიერ დიდგორის ბრძოლამდე სასტიკად დამარცხებულ არარანის თურქებისგან: "მაშინ თურქთა ჯარებიდან გადარჩენილები საშინლად შემფოთდნენ. შემოიფლითეს თავიანთი ტანსაცმელი, თავზე მიწა დაიყარეს, შავადმოხილნი და თავშიშველნი შეჰდადადებდნენ ქალაქ განძაკში თავიანთ სულთანს მელიქს ტაფარის შვილს, გლოვით იჩივლეს მის წინაშე თავიანთი დანაკარგის გამო". გადარჩენილთა ნაწილს, სომეხი მემატიანის ცნობით, თავიანთი გასაჭირი ილ-ლაზისთვის შეუჩივლია (მათ. ურჰავეცი, 1858:303-4; მათ. ურჰავეცი, 1966:244).

ალ-ფარაბის ცნობით, დავითის წინააღმდეგ დახმარება თბილისელებმა ილ-

¹⁵ ეს რეიდი, როგორც თვლიდა ნ.ბერძენიშვილი, დავით IV-მ განახორციელა კახეთიდან. იმ დროს, როდესაც გაგი, შამქორი, განჯა და დმანისი თურქთა ხელში იყო, ბარდაჯუხე მისისელებლად მოსახერხებელი იყო კახეთის გზა (რომელიც გადიოდა მცხეთა-მარტყოფ-ხაშმ-საგარეჯოზე, ან საგურამო-ერწოზე) (ნ.ბერძენიშვილი, 1990:625).

ლაზის ათხოვეს (ალ-ფარიჰი, 1985:88). უნდა ვიგულისხმოთ, რომ დახმარებას ითხოვდნენ თბილისელ მუსლიმთა ის წრეები, რომლებსაც ძალუფლება ჰქონდათ ქალაქში. ალ-ფარიჰისგან განსხვავებით იბნ ალ-ჯალანისი და იბნ ალ-აღიმი აღნიშნავენ, რომ ეს ტულარიზმა მოუწოდა ილ-ლაზის ქართველების წინააღმდეგ დასახმარებლად (იბნ ალ-ჯალანისი, 1983:326), იბნ ალ-ასირი კი მოგვითხრობს, რომ ქართველთაგან შეწყუხებულმა მეზობელმა მუსლიმმა ამირებმა ერთმანეთთან წერილობითი კავშირი დაამყარეს და ასე შეთანხმდნენ ერთობლოვ ლაშქარბაზე ქართველთა წინააღმდეგ (იბნ ალ-ასირი, X:567).

ამრიგად, დავით IV-ის წინააღმდეგ ლაშქრობითა და ქართველთა დამარცხებით რამდენიმე მსარე იყო დაინტერესებული. ესენი იყვნენ: თბილისის მუსლიმთა ზედა ფენა, რომელიც დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა; თბილისის, განჯისა და დმანისის სავაჭრო წრეები, რომელთაც სურდათ მახლობელი აღმოსავლეთის ისლამურ სამყაროსთან სავაჭრო კავშირების შენარჩუნება; მომთაბარე თურქმენები, რომლებსაც უკვე აღარ დაედგომებოდათ მტკვრისა და არეზის ნაპირებზე და მეზობელი მუსლიმი გამგებლები, მათ შორის პირველ რიგში არჩანის სელჩუკები, რომლებსაც მარტო აღარ ძალუძდათ დაპირისპირებოდნენ დავით IV-ს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, კოალიციური ლაშქარი სელჩუკთა სულტანმა შეჰყარა: "მამინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს სადაყახ ძესა, და მოხცა ძე თუხი მალიქი და ყოველი ძალი მიხი; და აჩინა სპასალარად ელდაზი, ძე არდუზისი... და უბრძანა თურქმანობასა, ხადადაცა ვინ იყო, დამასკო [ქ] და ჰალაბითგან ამოდმართ, ყოველსა მკედრობად შემძლებელსა, ამათ თანა ათაბაგსა განძისახა მიხითა ძალითა და ყოველთა ხომზითისა ამირათა" (დავით აღმ. ისტ., 1992:190).

ს.კაკაბაძე ფიქრობდა, რომ სელჩუკთა ეს სულტანი სანჯარია, რომელმაც მანამდე „რელიგიური ფანატიზმისა და სელჯუკიანთა დინასტიის ღირსების დაცვის საფუძველზე“, აღადგინა შინაგანი ერთობა სელჩუკთა შორის და კოალიციური ლაშქრის მთავარსარდალად დანიშნა (კაკაბაძე, 1982:98), მკვლევართა უმრავლესობა კი ჩვეულებრივ სელჩუკთა ამ სულტანს მაჰმუდ ბ.მუჰამადთან აიგივებს (ვიჯაბე, 1960:121; მუსხია, 1972:95; რ.მეფრეჟელი, 1986:192 და სხვ.) და მიიჩნევს, რომ „სწორედ მას ექნებოდა უფლება სხვადასხვა მაჰმადიან მფლობელთა მოწოდებისა და ერთი დროშის ქვეშ მათი თავმოყრისა“ (მუსხია, 1972:94). ამ საკითხზე მსჯელობა ვრცლად ქვემოთ გვექნება, მას შემდეგ, რაც მუსლიმთა კოალიციის სხვა წევრებს წარმოვადგენთ.

კოალიციის წევრები. კოალიციის ერთ-ერთი წევრი იყო არჩანის გამგებელი ტულარილ ბ.მუჰამადი. ალ-ფარიჰი წერს, რომ თბილისთან მოსულ ილ-ლაზის ტულარილი არ შეერთებია. ის თითქოსდა ჯერ კიდევ არ იყო მოსული. ალ-ფარიჰის ამ ინფორმაციას სანდოდ მიიჩნევდა ვ.მინორსკი და მის კვლადაკვალ რ.კიქნაძე-ვ.მინორსკი იბნ ალ-ასირზე დაყრდნობით თვლიდა, რომ ტულარილი ვერ შეუერთ-

თდა ილ-ლაზის იმიტომ, რომ სულტანმა მაჰმუდმა მის წინააღმდეგ ჯარები გაგზავნა (Minorsky, 1949:30; ჰიუნაძე, 1960:122-23), მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კონფლიქტი ტულრილსა და მაჰმუდს შორის მოხდა დიდგორის ომამდე, არა უგვიანეს 1121 წ. მარტისა და მაშინაც საქმე ომამდე არ მისულა. ამდენად, ეს ამბავი ტულრილს ხელს ვერ შეუშლიდა მონაწილეობა მიეღო კოალიციურ ლაშქრობაში (მესხია, 1972: 99-100). მართლაც, იბნ ალ-კალანისი, რომელიც ერთ-ერთი პირველი შეეხო დიდგორის ბრძოლას, კოალიციის წევრთა შორის ასახელებს ტულრილს (იბნ ალ-კალანისი, 1983:326) და მოგვიანებით იმავეს მიუთითებს იბნ ალ-ადიმიც (იბნ ალ-ადიმი, II: 200; ჟუფალია, 1974:503). დამასკოელი ალ-აზიმი და ედესელი მათეოს ურპაეცი, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იღებდნენ თავიანთ ინფორმაციას, აღნიშნავენ საქართველოში ტულრილის მარცხს (ალ-აზიმი, 1938:388; მათ. ურპაეცი, 1858: 305; მათ. ურპაეცი, 1966:246), იბნ ალ-ასირი კი, რომლის ორიგინალური ინფორმაციის წყარო დიდგორის ბრძოლის შესახებ დღემდე უცნობია, ბრძოლის ველიდან გაქცეულთა შორის ასახელებს ტულრილსაც (იბნ ალ-ასირი, X: 567). ეს ცნობები ალ-ფარიკისთან შედარებით უფრო სანდო და მისაღები ჩანს.

კოალიციის მთავარი დამრტყმელი ძალა იყო ართუციანთა საგვარეულოს¹⁶ წარმომადგენელი ამირა ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზი¹⁷, უმნიშვნელოვანესი ფიგურა იმ თურქ ამირებს შორის, რომლებმაც დიდ სელოჯუკთა სახელმწიფოს დაშლის ადრეულ ეტაპზე პრეტენზია განაცხადეს დამოუკიდებლობაზე.

1105 წ. სულტან მუჰამედისგან შერისხული ილ-ლაზი, რომელსაც მანამდე ბაღდადის შიჰნახ თანამდებობა ეკავა, დიარ-ბაქრში დაფუძნდა.¹⁸

დიარ-ბაქრი დიარ-მუდართან და დიარ-რაბი'ასთან ერთად ჩრდილოეთ მესოპოტამიის — ალ-ჯაზირას ერთ-ერთი მხარე იყო. მას ეკავა ალ-ჯაზირას ჩრდილოეთი ნაწილი, ტიგროსის ნაპირებიდან ეფფრატამდე. აქ იყო მნიშვნელოვანი ქალაქები: ამიდი, მარდინი, მაიაფარიჯინი, არზანი, ჰისინ-ქაითა და ხარპუტი, იგივე ხარბერდი (ქართ. ხალფერდი) (იბნ შადდადი III/2: 246-52 და შემდგ.; *Le Strange, 1966: 86-7; Cahen, 1935: 221-27*). ჩრდილოეთ მესოპოტამია სელჩუკებს თუთუმმა დაუმორჩილა. უკვე XI ს. მიწურულში დიარ-ბაქრი, რომლის საძოვრებიც იზიდავდა მომთაბარეებს, თურქებმა ამირებმა დაინაწილეს. აქ დამკვიდ-

¹⁶ ამ საგვარეულოს ფუძემდებელია ართუკ ბ. ექსები. სახელი ართუკი ქართულ წყაროებში დამოწმებულია არდუხის, არდოხის ან არდოლის ფორმით (დავით აღმ. ისტ., 1992: 190; ისტ. და აზმ. შარაევანდ. ქც, II, 1959:6).

¹⁷ ამ სახელის პირველი ნაწილი — ნაჯმ ად-დინ არის ტიტული (ლაკაბი) და ნიშნავს სარწმუნოების ვარსკვლავს. მეორე — ილ-ლაზი კი საკუთარი სახელია ('ალამი). ის კომპოზიტია, შედგება ორი სიტყვისგან: თურქ. ილ (ხალხი) და არაბ. ლაზი (მებრძოლი) და ნიშნავს ხალხთამბრძოლს (გ. ნერეთელი, 1951:173).

¹⁸ დაწვრილებით ილ-ლაზის მოღვაწეობის შესახებ იხ. *Hillenbrand, 1981a: 129-153; ჯაფარიძე, 1990b: 207-228*.

რდა დოგერის თურქმენული ტომიც, რომელსაც ეკუთვნოდა ართუკიანთა საგვარეულო (*Sümer, 1963:613-14*) ფატიმიანთა მიერ 1098 წ. პალესტინიდან დევნილმა ილ-ლაზის ძმამ სუქმანმა და მისმა შვილებმა დიარ-ბაქრში მოიკიდეს ფეხი.

1108 წ. ილ-ლაზი დაეუფლა ქ. მარდინს და გახდა ართუკიანთა საგვარეულოს მეთაური. დიარ-ბაქრი მოშორებული იყო დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ცენტრს. ციხე-სიმაგრეთა ქსელი, რომლიც აქ ჯერ კიდევ ისლამის ადრეულ ხანაში ბიზანტიელთა წინააღმდეგ შეიქმნა, საშუალებას აძლევდა ართუკიანს სულტან მუჰამადისგან უსაფრთხოდ ეგრძნო თავი. მას ზურგს უმხარებდა სიმაძრი, დამასკოს გამგებელი ათაბაგი ტულ-თეგინი. სულტან მუჰამადთან დაპირისპირების დროს სიძე-სიმაძრი არ ერიდებოდნენ ჯვაროსნებთან, ანტიოქიის გამგებელ როჟერთან კავშირსაც.

1118 წ. ილ-ლაზიმ მოაწესრიგა ურთიერთობები ახალ სულტანთან მაჰმუდთან. ამ დროს ის ფაქტობრივად დამოუკიდებელი მმართველი იყო. მან საგრძობლად განიძრკიცა პოზიციები დიარ-ბაქრში, ხელთ იგდო მაიაფარიკინი და ალ-ჯაზირას სხვა ქალაქები: პარარანი, ნისიბინი და რა'ს ალ-აინი. ილ-ლაზის უზენაესობას აღიარებდნენ როგორც მისი ძმისშვილები: დაუდ ბ. სუქმანი და ბალაქ ბ. ბაპრამი, რომლებიც ფლობდნენ ჰისნ-ჯაიფას და ხარაპუტს, ისე სხვა მცირე ამირები (არზანისა და ბითლოსის აჰდაბიანები და სხვ.).

ილ-ლაზი ეყრდნობოდა დიარ-ბაქრში მომთაბარე თურქმენებს, რომლებზედაც არაჩვეულებრივი გავლენა და ძალუფლება ჰქონდა. აღნიშნავენ, რომ თურქმენები მისი ერთგულნი და მორჩილნი და ამავე დროს ურჩნი და მერყევიც იყვნენ. თურქმენებს ომებში ძარცვა და ნადავლი აინტერესებდათ და მხოლოდ მაშინ თანხმდებოდნენ ლაშქრობაში მონაწილეობაზე, თუ წინასწარ მიიღებდნენ გასამარჯლოს, ანდა გარანტიას ნადავლზე ბრძოლის შემდეგ. საომარი მოქმედებების გაჭიანურების შემთხვევაში ისინი იფანტებოდნენ ხოლმე. ამის გამო ილ-ლაზის სამხედრო ოპერაციები მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული (მიხ. სიბიოლი, *III/3, 1910:217; Süsseim, 1970:1119; Hillenbrand, 1981a:271-72*). მიუხედავად ამისა, თურქმენები სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. ისინი ძლიერი და სასტიკი მეომრები იყვნენ. შეიძლება გავიხსენოთ, რომ პირველმა დიდმა სელჩუკმა სულტანებმა მათი მეშვეობით დაიპყრეს მახლობელი და შუა აღმოსავლეთის დიდი ნაწილი. სწორედ თურქმენებმა დაიპყრეს მცირე აზია და წაართვეს ის ბიზანტიას. თურქმენების მხარდაჭერით ილ-ლაზი დაუპირისპირდა თავის ყოფილ მოკავშირეს როჟერ ანტიოქიელს.

1118 წ. ილ-ლაზი დაეუფლა ჩრდილოეთ სირიის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს და ეკონომიკურ ცენტრს ჰალაბს, რომელზეც თვალი ეჭირა ჯვაროსნებსაც. 1119 წ. ივლისში მან ბალატთან (ჩრდილოეთ სირია) გაანადგურა ჯვაროსანთა ლაშქარი. ბრძოლაში გაწყდა ევროპელ რაინდთა უმეტესობა და დაიღუპა თავად როჟერ ანტიოქიელიც. ეს იყო მუსლიმთა პირველი ყველაზე დიდი გამარჯვება ჯვაროსნებზე, რამაც წარმოუდგენლად გაზარდა ილ-ლაზის ავტორიტეტი მახლობელი აღმოსავლეთის ისლამურ სამყაროში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ჯვაროსნებს სძლია მან და არა სულტნის მიერ სპეციალურად

წარგზავნილმა ლაშქარმა. მისი სახით ჯვაროსნებმა ახალი მრისხანე და დაუოკებელი მეტოქე შეიძინეს, რომელთანაც ბრძოლა მთელი ძალების მობილიზაციას მოითხოვდა. ამ საფრთხემ ჯვაროსნები აიძულა ეძებნათ ახალი მოკავშირეები ქრისტიანთა შორის და ყრძოდ კი, კავშირი დაემყარებინათ დავით IV-სთან.¹⁹

როცა ილ-ლაზი თბილისელთა და ტულრილ ბ.მუჰამადის მოწოდებას გამოეხმაურა, მისი საერთაშორისო ავტორიტეტი დიდი იყო. XII ს. სირიული ქრონიკის თანახმად, ილ-ლაზი "განდა ძლევამოსილი და განდიდდა, რადგანაც მართავდა ხაკუთარ ქვეყანას, თავისი ძმის ხუქმანის შვილებისა და ბიძაშვილის დაუდის²⁰ ქვეყნებს ასირიამდე, სომხეთამდე და იბერამდე" (ანონიზ. სირიული ქრონიკა: 89).

კპილენბრანდი თვლის, რომ საქართველოზე ლაშქრობა ილ-ლაზის უხეშო შეცდომა იყო (Hillenbrand, 1981a: 269). ლაშქრობის შედეგები, ცხადია, სხვა დასკვნის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ამ სამხედრო ექსპედიციის წინ ართუციანს ოპტიმიზმის საფუძველი ჰქონდა.

1121 წ. თბილისის მდგომარეობა წააგავდა პალაბის ვითარებას 1119 წლამდე: როგორც ერთ, ისე მეორე ქალაქში არ იყო მტკიცე ხელისუფლება. პალაბის ემუქრებოდნენ ჯვაროსნები, თბილისის ასაღებად კი ემზადებოდა დავით IV. პალაბის — ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის დაკავება ჯვაროსნებს საშუალებას აძლევდა განუყოფლად ებატონათ ჩრდილოეთ სირიაში, სირიის საზღვაო სანაპიროსა და პალესტინაში. თბილისის დაკარგვით მუსლიმებს ხელიდან ეცლებოდათ ასევე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული პუნქტი, რის შემდეგაც ქართველთა მეფე თითქმის ასრულებდა ქვეყნის გაერთიანებას და მას ველარაფერი დააბრკოლებდა, რომ უფრო აქტიურად ებრძოლა სელჩუკთა წინააღმდეგ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. პალაბელები გამუდმებით სთხოვდნენ დახმარებას მეზობელ მუსლიმ გამგებლებს და ასევე იქცეოდნენ თბილისელებიც ილ-ლაზის მზადყოფნამ და ბალატთან გამარჯვებამ იხსნა პალაბი ჯვაროსანთა საფრთხისაგან და დიდი სახელი მოუხვეჭა ართუციანს. თბილისის საკმეებში ჩარევა მას, ალბათ, ასეთივე წარმატების ილუზიას უქმნიდა.

თბილისის დაკავება არ იყო თვითმიზანი ილ-ლაზისათვის. ქართველ მკვლევარებს დასაბუთებული და მიღებული აქვთ, რომ საქართველოზე ლაშქრობით ის იმედოვნებდა, ჯვაროსანთა ამ მოკავშირის განადგურებას (ნაჭრამვილი, 1974a:20; მუსხია, 1972:91; ჩხაჭარაიშვილი, 1973:10; რ.მეტრეველი, 1986:192). ილ-ლაზის, უეჭველია, ამფოთებდა დავით IV-ის სამხედრო აქტიუობა²¹. მართა-

¹⁹ ჯვაროსნებსა და საქართველოს შორის კავშირების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში იხ.: ავალიშვილი, 1989a: 27-51; კოპალიანი, 1968: 83-103; ნატროშვილი, 1974a: 13-22; ბადრიძე, 1984a: 112-42; ჩხაჭარაიშვილი, 1973:8-10; რ.მეტრეველი, 1986: 290—98.

²⁰ აქ დაუდი შეცდომით ილ-ლაზის ბიძაშვილად იხსენიება. სინამდვილეში ის იყო მისი ძმისშვილი.

²¹ XIV ს. არაბი ისტორიკოსი ალ-‘აინი, რომელიც აგვიწერს დიდგორის ბრძოლას, აღნიშ-

ლოა, ართუკიანს საქართველოსთან საერთო საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ მისი სამფლობელოების ხელყოფის სიგნალი შეიძლება გამხდარიყო მეფის მიერ ამორნიას დარბევა 1120 წ. ნოემბერში (ნაცრთმვილი, 1974ა:20). თურქების მიერ დაპყრობილი ამორნია (იგივე ამორნიქი, არშარუნქი) (*Brosset, 1850: 364, 365. 7; 365, 365.8*), იგივე ერასხაძორი, ახურიანის ქვემო დინების დასავლეთით მდებარეობდა (მოფს. სტორნაცი, 1984: 280, 365.216). აქედან გზა იხსნებოდა ვანის ტბის სანაპიროებისკენ, საიდანაც შორს არ იყო დიარ-ბაქრამდე. ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი სამხედრო მუქარის ლოკვიდაციის შემდეგ ილ-ლაზის, კანცლურ გოტიეს თანახმად, ველარაფერი შეუშლიდა ხელს, რომ თავისუფლად შესდგომოდა "იერუსალიმისა და ანტიოქიის დამორჩილებასა და ქრისტიანთა ამოწყვეტას" (აგალიშვილი, 1983ა:45). 1121 წ. მაისში მან უბრძანა თავის ვაჟს სულაიმანს, რომელიც პალაბის გამგებლად დანიშნა, რომ ნებისმიერ პირობებზე დაზავებოდა ფრანკებს. ამ დროს ის საქართველოზე სალაშქროდ ემზადებოდა.

საქართველოზე ილ-ლაზის ლაშქრობას განაპირობებდა „თურქმენული ფაქტორიცი“. მეფე შეურთებლად და დაუნდობლად ებრძოდა მათ ამიერკავკასიაში. 1120 წ. ნოემბერში სწორედ თურქმენები დაარბია მან ამორნიაში. დავითის ისტორიკოსი წერს, თუ როგორ ჩიოდნენ სულტნის წინაშე „განძელ-ტფილელ-დმანელ“ ვაჭრებთან ერთად „ესევითარითა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი“. ბუნებრივია დაფუძვით, რომ ასევე ჩიოდნენ ისინი დიარ-ბაქრის თურქმენთა აღიარებულ ბელადთან — ილ-ლაზისთანაც. თურქმენთა საჩივარის დაქმავიფილება და ქართველთა სანიმუშოდ დასჯა კარგ შანსს აძლევდა ართუკიანს განემტყციებინა თავისი გავლენა მომთაბარეებზე, რაც ერთგვარად შეირყა 1120 წ. ანტიოქიაზე მისი ლაშქრობისას²².

დიარ-ბაქრის თურქმენებს, საერთოდ, იზიდავდა ამიერკავკასიის, კერძოდ კი სომხეთის ნოყიერი საძოვრები. ამ მიმართულებით დიარ-ბაქრის თურქმენთა ლტოლვა XII ს. დამდეგიდან დაიწყო. დიარ-ბაქრიდან იყვნენ ამირა ხიზილი *resp.* ყიზილ-არსლანი, რომელმაც დვინთან ერთად ლორეც დაიპყრო და არზანისა და ბითლოსის ავღაბიანი ამირა ტულან-არსლანი, რომელმაც XII ს. II ათწლეულის მიწურულს დაიკავა დვინი. დიარ-ბაქრი ამჟამად მცირე იყო აქ მომთაბარე თურქმენებისთვის, რომლებიც ახალ სასიცოცხლო სივრცეებს ეძებდნენ. ასევე მცირე იყო დიარ-ბაქრი პატივმოყვარე ილ-ლაზისთვისაც. 1092 წ. თავისი კარიერის დასაწყისში ის პირველად დაინტერესდა ამიერკავკასიით და შეეცადა ხელში

ნავს, რომ მის წინ ქართველებს დაულაშქრავთ სირია. მაგრამ აღ-აინის ინფორმაციის ეს ნაწილი (აღ-აინი: 311) მთლიანად ემყარება იბნ აღ-ასირის თხზულებას („აღ-ქამილ“...), სადაც სირიის ნაცვლად დასახლებულია ისლამის ქვეყნები (იბნ აღ-ასირი, X: 267).

²² ამ ლაშქრობის დროს ილ-ლაზიმ სასტუმროს მუქარით აუკრძალა თურქმენებს გაეძარცვათ ის ტერიტორია, რომელიც უნდა გაეგლოთ. ამის პასუხად, ძარკვითა და ნადავლის მოპოვებით დაინტერესებულმა თურქმენებმა მიატოვეს ის და ართუკიანი განსაცდელისგან მხოლოდ მისმა სიმამრმა ტულ-თეგინმა იხსნა (იბნ აღ-ადიმი, II: 195).

ჩაეგდო ანისი (თთფურია, 1975: 96). 1121 წ. მისი გეგმები უფრო ფართო იყო. საქართველოზე ძლიერამოსილი ლაშქრობა და თბილისის დაუფლება საშუალებას მისცემდა მას შეექმნა ვრცელი სახელმწიფო თბილისიდან ჰალაბამდე და თურქ-მენებზე დაყრდნობით ჩარეულიყო იმ ბრძოლაში, რომლებიც სელჩუკებსა და დავით IV -ს შორის ამიერკავკასიაში გასაბატონებლად მიმდინარეობდა.

საკუთარი ძალების გარდა ილ-ლაზის თავისი მოკავშირეების იმედიც ჰქონდა. ლაშქრობაში მას თან წამოჰყვა სიძე, დუბაის ბ.სადაკა (ქართული წყაროს დურბეზ სადაყას ძე), მაზიადელთა არაბული საგვარეულოს წარმომადგენელი (*Bosworth*, 1971: 85-6; *Михайлова*, 1990: 71-3; *Makdisi*, 1954:249-62; *Bosworth*, 1968:115,121-24 და შმდ. *Bosworth*, 1990:115), რომელიც ფლობდა ქ.პილას ცენტრალურ ერაყში (ბაღდადის სამხრეთით 60 კმ-ზე).

მაზიადელები, რომლებიც შიიტები იყვნენ, უპირისპირდებოდნენ როგორც აბასიანთა ხალიფებს, ისე სელჩუკ სულტნებს. დუბაისის მამა სადაკა, რომელმაც პირველმა მიიღო „არაბთა მეფის“ ტიტული, დიდხანს მოხერხებულად სარგებლობდა მუჰამადისა და ბარქაირუკის დაპირისპირებით და ბოლოს, 1108 წ. მუჰამადთან ბრძოლას შეეწირა.

აქტიურად ებრძოდა სელჩუკებს დუბაის ბ.სადაკაც (1108-1135), რომელიც დიდი სახელით სარგებლობდა ჯვაროსნებში და ითვლებოდა თავისი დროის პოეტა მფარველად. ეს დუბაისმა წააქეზა 1120 წ. უფლისწული მას'ული და ათაბაგი ჯოიუშ-ბეგი აჯანყებოდნენ მაჰმუდს. იბნ ალ-ჯაუზი წერს, რომ დუბაისს მოსწონდა უთანხმოება მაჰმუდსა და მას'ულს შორის და ფიქრობდა, რომ სანამ ეს უთანხმოება გაგრძელდებოდა, ის თავის ძალაუფლებას შეინარჩუნებდა, სწორედ ისე, როგორც ამას ახერხებდა მამამისი სადაკა ორი სულტნის — ბარქაირუკისა და მუჰამადის მტრობის დროს (იბნ ალ-ჯაუზი, X: 118). დუბაისი ცდილობდა საიმედო მოკავშირეებიც მოენახა. ის დაქორწინდა ილ-ლაზის ასულზე გოუჰარ-ხათუნზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ მაზიადელებთან კონტაქტი ნაჰმ ად-დინ ილ-ლაზის ჯერ კიდევ ბაღდადში შიჰნას თანამდებობაზე ყოფნის დროს ჰქონდა. ჩანს, კავშირი ამ საგვარეულოსთან მის ინტერესებში შედიოდა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, 1120 წ. იენისში სულტანმა მაჰმუდმა სძლია აჯანყებულ მას'ულს, შემოირიგა ის და შემდეგ დუბაის ბ.სადაკას წინააღმდეგ დაიძრა. დუბაისმა მოაოხრა ერაყი და ილ-ლაზისთან გაიქცა. მცირე ხნის შემდეგ ის შეეცადა მორიგებოდა სულტანს, მაგრამ ამაოდ. არ გაჭრა ილ-ლაზის ჩარევამაც (იბნ ალ-ასირი, X:592). ერაყში შიიტის მაზიადელის დაბრუნების კატეგორიული წინააღმდეგი იყო ხალიფაც. მან ილ-ლაზის მოსთხოვა, რომ გაემეჯებინა დუბაისი, მაგრამ თავზიანი უარი მიიღო (იბნ ალ-ასირი, X:568). დუბაისი, როგორც სიძე და მოკავშირე თან ახლდა ილ-ლაზის საქართველოზე ლაშქრობის დროს. ის, მართალია, დევნილი იყო, მაგრამ სიმამრს დიდძალი ფულითა და საჩუქრით ეახლა და მასთან კავშირმა, იბნ ალ-'ადიმის ცნობით, გააძლიერა ილ-ლაზი (იბნ ალ-'ადიმი, II: 198).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ილ-ლაზის ეახლნენ თურქმენები „დამასკო [ა] ქთ და პალაბითგან ამოღმართ“, როგორც მისი სიძამრისა და ერთგული მოკავშირის ათაბეგ ტულ-თეგინის ქვეშევრდომები დამასკოდან, ისე საკუთარი სამხედრო რაზმები პალაბიდან. მათეოს ურპაეცის თანახმად, ილ-ლაზიმ ბრძანა "შეკრებილიყო მისი დიდი ჯარი ყოველი თურქმენთა ტომიდან მთელი კარმიანის ჩათვლით". სომეხი მემატთანე კარმიანს მალატიას უწოდებს (მათ. ურპაეცი, 1858: 303;459; მათ. ურპაეცი, 1966: 244). ეს ქალაქი არ ექვემდებარებოდა ილ-ლაზის, მაგრამ მალატიაში ამ დროს ახალგაზრდა სელჩუკიანი უფლისწულის ათაბაგად იჭდა მისი ძმისშვილი ბალაქ ბ.ბაჰრამი (Cahen, 1959: 983). ამდენად, ილ-ლაზისათვის კარმიანელი (გარმიანელი) თურქების²³ დამხმარედ გაგზავნა მას შეეძლო.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კოალიციის მონაწილეთა შორის ასახელებს „ყოველთა სომხითისა ამირათა“. მათი იდენტიფიკაცია არ ხერხდება. არაბული წყაროებიდან არ ჩანს, რომ ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღოთ ანისის, ხლათის თუ არზრუმის ამირებს. მართალია, ილ-ლაზის მოწოდებას გამოეხმაურა მისი ვასალი ტულან-არსლანი, რომელიც არზანისა და ბითლოსის გარდა დვინსაც ფლობდა, მაგრამ ალ-ფარიკის ცნობით, გადამწყვეტი ბრძოლის წინ ის თითქოსდა არ შეერთებია ართუკიანს (ალ-ფარიჟი, 1985:88). შეიძლება მართლაც ასე მოხდა, მაგრამ ამ ამბავს სხვა წყაროები არ იხსენიებენ და მისი შემოწმება არ ხერხდება.²⁴

მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ კოალიციური ლაშქარი სულტანმა მაჰმუდ ბ.მუჰამადმა შეყარა, მაგრამ ამ ლაშქრობაში სულტანის ორი მეტოქის ტულრილისა და დუბაის ბ.სადაკას მონაწილეობა საეჭვოდ ხდის ასეთ თვალსაზრისს. 1121 წ. საქართველოზე მუსლიმთა ლაშქრობის დროს არაბი ავტორები საერთოდ არ იხსენიებენ მაჰმუდს და ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. მათ კარგად იცოდნენ იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება და სულტანის დაძაბული ურთიერთობა ტულრილთან და დუბაისთან. ეჭვი არ არის, რომ „შეიწრებულნი“ თურქმენები და „განძელ-ტვილეულ-დმანელნი“ ვაჭრები ჩიოდნენ დავით IV-ზე მაჰმუდთან, როგორც უმალღუს ინსტანციასთან, მაგრამ სულტანმა ვერ შეძლო ხელი შეეშალა ქართველებისთვის. მაჰმუდი ამიერკავკასიაში ტულრილისგან იყო ბლოკირებული. მას არ აღმოუჩენია რეალური დახმარება კოალიციისთვის და, ვფიქრობთ, რომ ის ვერ დანიშნავდა ილ-ლაზის სპასალარად იმ ლაშქრისა, რომლის შეყრაც უბრალოდ არ ძალუძდა. საუკეთესო შემთხვევაში მაჰმუდს შეეძლო

²³ გარმანიელი თურქების შესახებ იხ. Cahen, 1951:349-54. ალასანია, 1975ბ: 175-78.

²⁴ მართალია, იგივეს წერს სიბტ იბნ ალ-ჩაუზიცი (სიბტ ბ. ალ-ჯაუზი, 1967:205), მაგრამ მისი ინფორმაცია ილ-ლაზის კამპანიის შესახებ ალ-ფარიკის მონათხრობის პარაფრაზია. ამ ორი ავტორის ცნობათა ურთიერთმიმართების შესახებ იხ. Hillenbrand, 1981ა:200,205.

მოეწონებინა კოალიციის მიზნები და თავი შეეკავებინა ტულარილისა და დუბაისის სამფლობელოების წინააღმდეგ მტრული გამოსვლებისგან. 1121 წლის ზაფხულში, არაბული წყაროები, რომლებიც დაწვრილებით აგვიწერენ სულტანის გადაადგილებას, მის რაიზე სამხედრო აქციაზე არ მოუთითებენ. დუბაისისგან დაშინებული აბასიანი ხალიფას თხოვნით მთელი ეს დრო მაჰმუდმა თავის ლაშქართან ერთად ბაღდადში უმოქმედოდ გაატარა და აგვისტოს თვეში ძლივს გადაურჩა საშინელ ხანძარს, რომელმაც მისი სასახლე შთანთქა.

ს.კაკაბაძე თვლიდა, რომ კოალიციური ლაშქარი სანჯარმა შეყარა, მაგრამ არ დაუსაბუთებია თავისი მოსაზრება, რომელიც, ვფიქრობთ, საყურადღებოა.

სელჩუკიანთა საგვარეულოს მეთაური, ზორასნის სულტანი სანჯარი აქტიურად ერეოდა ერაყის სასულტნოს საქმეებში და თავისი ინტერესები ჰქონდა ამიერკავკასიაშიც. 1118 წ. ტულარილი სწორედ მისი მხარდაჭერით განმტკიცდა არჩანში და შემდეგ კიდევ არაერთხელ მიიღო ბიძის დახმარება. ტულარილი უშვილოდრო სანჯარის მემკვიდრე გახდა და მისი მხარდაჭერით 1132 წ. ერაყის სასულტნოს ტახტიც დაიკავა. სანჯარს, რომელიც დაინტერესებული იყო სულტან მაჰმუდის მეტოქის, ტულარილის გაძლიერებით, შეეძლო დახმარება აღმოეჩინა ძმისშვილისათვის ქართულების წინააღმდეგ როგორც მორალურად, ისე სამხედრო ძალითაც. მართალია არაბი ავტორები ამის შესახებ დუმან, მაგრამ მიხეილ სირიელი პირდაპირ წერს, რომ ეს ზორასნის სულტანმა გაგზავნა იბერიაში დიდი ჯარი, თავისი სპასალარითურთ 1121 წ. (მის. სირიელი, III / 2, 1906:206; მის. სირიელი, 1979: 40). ყოველივე ამის გამო, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მითითება იმის თაობაზე, რომ სულტანმა ლაშქრობაში მიავლინა "მე25 თჯი მალიქი და ყოველი მალი მიზი" სანჯარის სასარგებლოდ მეტყველებს. მემატია-ნემ ტულარილი სანჯარის შვილად აღიქვა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სანჯარის შესაძლებლობები შეზღუდული იყო. მართალია, მის სახელზე ადავლენდნენ ხუტბას ვრცელ ტერიტორიებზე, ლაპორიდან — სირიამდე, თვით დიარბაქარშიც (ალ-ჰუხაინი: 52ა-52ბ), მაგრამ სანჯარის რეალური ძალაუფლება არ ვრცელდებოდა ასე შორს და მისი ბრძანებით არც ილ-ლაზი და არც სხვა თურქმენები საბრძოლველად არ შეიკრიბებოდნენ. სანჯარს შეეძლო მხოლოდ მხარი დაეჭირა ტულარილისა და ილ-ლაზის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსისათვის, რომელშიც წამყვანი როლი უნდა ეთამაშა ბრძოლებში ნაცად და სახელგანთქმულ ართუკიანს.

ამრიგად, 1121 წ. აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულ მუსლიმთა კოალიციის მთავარ ძალებს ქნინდნენ ერთი მხრივ, არჩანის სელჩუკები ტულარილ იზ მუჰამადისა და ათაბაგ ჭენ-თოღლის ხელმძღვანელობით, სულტან სანჯარის აქტიური მხარდაჭერით და მეორე მხრივ, ნაჰმ ად-დინ ილ-ლაზი —

25 შ.მესხია, რომელიც სულტან ში მაჰმუდ ბ. მუჰამადს გულისხმობდა, არ გამოირიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ დავითის ისტორიკოსის თხზულების თავდაპირველ ხელნაწერში ეწერა „მა“ და არა მე (მესხია, 1972:97. აგრეთვე, რ.მეტრეველი, 1986:193).

დიარ-ბაქრის თურქმენებითა და სხვა მისი მოკავშირეებით. ეს იყო მრავალრიცხოვანი ("ვითარცა ქვსა | ა | ზღვსა ა , რომელთა ვერ იტყვდა ქუეყანა") (დავით აღმ. ისტ., 1992:190)²⁶ და მრისხანე ძალა, რომელიც განადგურებით ემუქრებოდა დავით IV-ის მონაბოვრებს და საერთოდ საქართველოს. მტერს მეფემ დაუპირისპირა საქართველოს რეფორმირებული ლაშქარი და თავისი ოსი და ჯვაროსანი მოკავშირეების მცირერიცხოვანი რაზმები (მესხია, 1972:106-8).

ბრძოლა. დიარ-ბაქრიდან წამოსულმა ილ-ლაზიმ არზრუმი და ყარსი გაიარა და თრიალეთ-მანგლისის გზით გაემართა თბილისისკენ.²⁷ მკვლევართა დასკვნით ბრძოლა მოხდა დავით IV-ის გადაწყვეტილებით, ქართველთა მიერ საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე, დიდგორში (ავალინგილი, 1989ა: 39; ჩხატარაინგილი, 1973:17; მაიმილაინგილი, 1973:81 და სხვ.). მოკავშირეთა ლაშქარი შევიდა ვიწრო და მოუხერხებელ ადგილზე, სადაც ვერ მოახერხა გაშლა. მაგრამ რატომ დაუშვა ასეთი შეცდომა ილ-ლაზიმ, ბრძოლებში გამოცდილმა სარდალმა? პასუხს ამ კითხვაზე თითქოსდა იბნ ალ-კალანისი და იბნ ალ-'ადიმი იძლევიან. ისინი მიუთითებენ, რომ თავდაპირველ შეტაკებაში ქართველები დამარცხდნენ და უკუიქცნენ, მაგრამ შემდეგ დადევნებულ მუსლიმებს მიუბრუნდნენ და სძლიეს მათ (იბნ ალ-კალანისი, 1983:326; იბნ ალ-'ადიმი, II: 200; კუტალია, 1974:503). ჩანს, დავითმა გამოიყენა ის ტაქტიკური ხერხი, რომელიც საერთოდ უცხო არ იყო აღმოსავლეთის სამხედრო ხელოვნებაში, დამარცხების იმიტაციით გაათამაშა მტერი და შეიტყუა იქ, სადაც გენერალური ბრძოლის გამართვა მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო.

დაწვრილებით დიდგორის ბრძოლას აღარ შეეხებოდა. ის არაერთხელ არის გადმოცემული მკვლევართა მიერ. ცნობილია მისი ფინალიც. 1121 წ. 12 აგვისტოს დავით IV-მ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა²⁸. მუსლიმთა უდიდესი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა. გადარჩენილებს ქართველებმა დიდ მანძილზე მისდევს და ოთხი ათასი კაცი დაატყვევეს. ტულრილმა, ილ-ლაზიმ და დუბაის ბ.სადაკამ (რომელმაც ხალხთან ერთად 300 ათასი დინარის ქონებაც დაკარგა) (იბნ ალ-'ადი-

²⁶ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი 200—300 ათასით განისაზღვრება (სინ, III, 1979:239), მაგრამ ეს ციფრი საეჭვოდ გეგნვენება. ასეთ დიდ ლაშქარს ჩვენ ვერ დავაფიქსირებთ იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის სამხედრო ოპერაციებში (დაწვრილებით იხ. ჯაფარიძე, 1990ბ: 224, შენ.96).

²⁷ ტულრილი თითქოსდა თბილისის კარებთან უნდა შეხვედროდა ილ-ლაზის (ალ-ფარიკი, 1985: 88). მაგრამ რადგანაც თბილისის მისადგომები, მას შემდეგ რაც დავით IV-მ აიღო რუსთავი და სამშვილდე, გადაკეტილი იყო, შესაძლებელია, რომ არანის გამგებელი დმანის-ზორაკერტის გზით (მის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, 1966ა:74) თრიალეთში შეუერთდა ართუციანს.

²⁸ ალ-'აზიმი არაბ ავტორთაგან ერთადერთია, რომელიც ასახელებს ბრძოლის თევსაც — ჭუმადა ალ-ულას (ალ-'აზიმი, 1988:68), რომელიც დაიწყო 18 ივლისს და დასრულდა 16 აგვისტოს.

მი, II: 200; უცვლია, 1974:503), ბრძოლის ველიდან გაქცევით უშველეს თავს²⁹.

დიდგორში თურქ-სელჩუკთა მძლავრი კოალიციის განადგურებამ ფაქტობრივად გადაწყვიტა თბილისის ბედი. უკანდაბრუნებულ ილ-ლაზის საქართველოსთვის აღარ ეცალა. მას აუჯანყდა ვაეიშვილი ჰალაბის გამგებელი სულაიმანი და საჭირო გახდა მისი დამორჩილება. ტულარილს ქართველებთან მარტო ბრძოლა არ შეეძლო, ხოლო სულტან მაჰმუდს არც ახლა გამოუჩენია დიდი ინტერესი საქართველოსადმი. იბნ ალ-ასირის ცნობით, სულტანმა მაჰმუდ ბ.მუჰამადმა, უდიდესმა სულტანმა თავისი მდგომარეობით, რომელსაც ჰქონდა ქართველებზე დიდი სახელმწიფო და მათზე მეტი ჯარები, ვერ შეძლო შეეშალა ხელი მათთვის, დაეპყროთ თბილისი (იბნ ალ-ასირი, XIII:452)³⁰.

თბილისის განთავისუფლების თარიღისათვის

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოკლედ მოგვითხრობს, რომ დიდგორის ბრძოლიდან "მეორესა წელსა... ადიდო მეფემან ქალაქი ტფილისი პირველსავე ომსა" (დავით აღმ. ისტ., 1992:193). ეს მეორე წელი იყო "ქრონიკონი ხამასორმოცდარონი", ე.ი. 1122 წ., მაგრამ, სამწუხაროდ, მემეტნიანე აღარაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რომელ თვესა და რომელ რიცხვში გაანთავისუფლა მეფემ თბილისი მუსლიმთა ბატონობისაგან. მისი ლაკონიური ცნობა საშუალებას იძლევა აღვნიშნოთ ამ ამბის მხოლოდ ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი — 1122 წლის იანვარი.³¹ ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დასადგენად უნდა მივმართოთ

²⁹ კ.ჰილენბრანდი ილ-ლაზისთან დაკავშირებით შენიშნავს: „ისლამის მძლე დამცველი, სარწმუნოების ვარსკვლავი, რომელმაც მცირე ხნით ადრე ასეთი დიდება მოუტანა მუსლიმთა საქმეს, ახლა ბედნიერი იყო იმით, რომ დუბაისთან და რამდენიმე მზღებელთან ერთად გაიქცა და შერცხვენილი დაბრუნდა მარდინს“ (Hillenbrand, 1981a:280).

³⁰ სხვათა შორის პ. ეუზეს რუსულ თარგმანში იბნ ალ-ასირის ეს ცნობა არასწორადაა გააზრებული. სულტან მაჰმუდისა და თბილისის ნაცელად თარგმანში ნაჯლისხმევი რუქნ აღ-დინი და არქეში (I) — „Он (Рукн ад-Дин) не мог помешать им (грузинам) взять его (Арджиш)“ (იბნ ალ-ასირი, 1940:161).

³¹ აკად. კ.ეკელიძე წერდა, რომ 532 წლიანი ქორონიკონის ურყევი საფუძველია 1 მარტი. მარტის წელიწადი, როგორც სამოქალაქო, საქართველოში შემოვიდა დაახლოებით IX ს-ის პირველ მეხუთედიდან და არსებობდა X ს-ის მეორე ნახევრამდე. ამ დროიდან ის ხმარებიდან იდევნება იანვრის წელიწადით (ეკელიძე, 1956:121,123). მკვლევარი მიუთითებდა, რომ მარტი დარჩა მხოლოდ ქორონიკონური წელიწადის საფუძველად და საამისო მაგალითებიც მოჰყავდა, მაგრამ ასევე არაერთი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ იმის საილუსტრაციოდ, რომ ქორონიკონური წელი შეესაბამებოდა ჩვენი ერის წელიწადს, ე.ი. აითვლებოდა იანვრიდან (გუჩუა, 1984:102). რომელი თვიდან იწყებდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ქორონიკონურ წელს? ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს შემატრიანის ერთი ცნობა: დავით IV აღესრულა ქორონიკონის 345-ს, 24 იანვარს, შაბათ დღეს (დავით აღმ. ისტ. 1992:223).²⁴ იანვრის შაბათი

უცხოურ წყაროებს. XII ს. არაბი ავტორები ალ-‘აზიმი, იბნ ალ-კალანისი და ალ-ფარიკი თბილისის აღებას ათარილებენ ჰიჯრის 515 წლით (ალ-‘აზიმი, 1938: 388; იბნ ალ-კალანისი, 1983:326; ალ-ფარიკი, 1985:89),³² რომელიც დაიწყო 1121 წ. 22 მარტს და დასრულდა 1122 წ. 11 მარტს. ამასთან, ალ-ფარიკი წერს, რომ დავითმა თბილისი დაიკავა 515 წლის ბოლოს, ე.ი. ამ წლის უკანასკნელ, ზულ-ჰიჯას თვეში, რომელიც დაიწყო 1122 წ. 10 თებერვალს და დასრულდა 11 მარტს. ეს ცნობა “მაიაფარიკინის ისტორიის” მოკლე ნუსხიდან (მბიფანეთის მუხეჟუმი, *Or.* 6810) გაითვალისწინა და დაბეჭდა გ.წერეთელმა (ალ-ფარიკი, 1949:70–1), მაგრამ, სამწუხაროდ, ის შეუმჩნეველი დარჩა მკვლევართათვის.³³

ალ-ფარიკის მონაცემების დაზუსტება შეიძლება XII ს. სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის ცნობით: დავითმა თბილისი გაანთავისუფლა სომხური ერთი 570 წ. (მათ. ურჰაეცი, 1858:305; მათ. ურჰაეცი, 1966:143-45), ე.ი. 1121 წ. 19 თებერვლიდან 1122 წ. 18 თებერვლის ჩათვლით.³⁴

ალ-ფარიკიმ და მათეოს ურჰაეცმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიიღეს თავიანთი ინფორმაცია დავით IV-ის მიერ თბილისის აღების შესახებ: ერთმა საქართველოში, მეორემ კი — ედესაში და ეს ამბავი სხვადასხვა ერთ დაათარილეს. დროის ათვლის პრინციპი მათ კალენდრებში განსხვავებულია. მაგრამ თუ სომეხი და არაბი ისტორიკოსების ცნობებს შევაპირისპირებთ, ვნახავთ, რომ მათი მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა 9 დღიან მონაკვეთში, 1122 წლის 10 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით. ეს 9 დღიანი მონაკვეთი, 1 122 წლის 10 — 18 თებერვალი არის ის დრო, როცა ჩვენი დასკვნით დავით აღმაშენებელმა გაანთავისუფლა თბი-

მოდოდა 1125 წელს. ქორონიკონი რომ მარტიდან ათვლილიყო, მაშინ დავითის გარდაცვალების თარიღი იქნებოდა 344 და არა 345 წელი. მაშასადამე, დავითის ისტორიკოსი ქორონიკონური წლის დასაწყისად იანვრის თვეს იღებდა.

³² იბნ ალ-ასირი, რომელიც მუსლიმთა კოალიციის მარცხს შეცდომით ჰიჯრის 514 წლით / 2.IV. 1120 — 21.III.1121 წ. ათარილებს, წერს, რომ გამარჯვების შემდეგ ქართველები შემოეწყვიტნენ თბილისს და ალყა გაგრძელდა 515 წ. დასაწყისამდე, ე.ი. 1121 წ. მარტ-აპრილამდე (იბნ ალ-ასირი, *X*:567), რაც ასევე არასწორია. თავისი თხზულების სხვა ადგილზე არაბი მემკვიდრე აღნიშნავს, რომ ქართველებმა თბილისი აიღეს 515 წ. 22. III. 1121 — 11.III. 1122წ (იბნ ალ-ასირი, *XII*: 452), მაგრამ არ აკონკრეტებს თვეს.

³³ დიდგორის ბრძოლის შესახებ ალ-ფარიკის ცნობის ქართულ თარგმანში, რომელიც შესრულებულია ე.სიხარულიძის მიერ, გათვალისწინებულია „მაიაფარიკინის ისტორიის“ ვრცელი ნუსხა (სიხარულიძე, 1985:85). ალ-ფარიკის თხზულების მოკლე ნუსხიდან მომდინარე ჩვენთვის საინტერესო ზემომოტანილი ცნობა შეუმჩნეველი დარჩა ე.მინორსკისთვის (*Minorsky*, 1949:33), თუმცა კი ის ითვალისწინებდა „მაიაფარიკინის ისტორიის“ ორივე ცნობილ ხელნაწერს, რომლებიც დატყულია ბრიტანეთის მუზეუმში. გამორჩა ეს ცნობა ა.მამედოვსაც, რომელიც იყენებდა გ.წერეთლის ქრესტომათიას (ალ-ფარიკი, 1957: 223, 246-47).

³⁴ ასეა სომხური ერთი 570 წ. გადმოყვანილი ჩვენს წელთაღრიცხვაზე მკვლევართა (ო.დულორი, პ. ბართიკიანი, ბ. თუმანიანი) მიერ (მათ. ურჰაეცი, 1858:305; მათ. ურჰაეცი, 1973:233; თუმანიანი, 1968:271).

დიდგორის ბრძოლისა და თბილისის განთავისუფლების გამოძახილი მახლობელ აღმოსავლეთში. დავით IV-ის მიერ მუსლიმთა კოალიციის განადგურება გახდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო გახმაურებული ამბავი იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში. ამ ამბავს მოგვითხრობს XII და XIII-XV სს. მრავალი არაბი ისტორიკოსი. მის შესახებ წერდნენ, აგრეთვე, სომეხი, სირიელი და ევროპელი ავტორები³⁶. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დავითის მიერ თბილისის აღებამაც, რომელსაც მუსლიმები ისლამური სამყაროს განუყოფელ ნაწილად აღიქვამდნენ. ამ წარმატებათა შედეგად დავით IV-ის სახელი ფართოდ გახდა ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთ. მისი გარდაცვალება არ გამოჩინდა არაბ მემატიანეებს. XII ს. ერთ არაბულ ქრონიკაში ამ ფაქტთან დაკავშირებით საგანგებოდ აღნიშნულია, რომ დავითი იყო ის მეფე, რომელმაც დაიპყრო თბილისი (მოქსთან ალ-ჯამი: 118).

1122-1123 წლები. ურთიერთობა მრავალსა და არარანის სელჩუკებთან

დიდგორში დამარცხება მძიმე დარტყმა იყო ტულორილ ბ.მუჰამადისთვის. ამას დაემატა მისი ათაბაგის ქენ-თოღლის სიკვდილიც 515 წ. შავვალში /13. XII. 1121- 10. I. 1122 წ. ქენ-თოღლის ადგილის დაკავება განიზრახა მარალის მფლობელმა ამირა აყ-სონყურ ალ-ამადილიმ. ტულორილთან ერთად ის შეეცადა აიღო არდებილი, მაგრამ ვერას გახდა. ტულორილი და აყ-სონყური ახლა თავრიზისაკენ დაიძრნენ, მაგრამ მაჰმუდმა მათ წინააღმდეგ გაგზავნა თავისი ლაშქარი ჭეიუმბეგის სარდლობით და მას იქტად აზერბაიჯანი უბოძა. ტულორილი დაუკავშირდა თავის ყოფილ ათაბაგს — შირ-გირს, რომელიც აბჰარსა და ზენჯანს ფლობდა და მისი მხარდაჭერა მიიღო. ამასობაში დავით IV-მ ქთბილისი აიღო. სულტანთან და ქართველებთან ერთდროული დაპირისპირება ტულორილის ძალებს აღემატე-

³⁵ იმის შესახებ თუ რომელ თვეში აიღო დავითმა თბილისი, ჩვენამდე სხვა შეკვლევარებიც გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს. ს.კაკაბაძე მათთვის ურჰაეცის, იბნ ალ-ასირისა და ალ-ფარაჰის არასრული ცნობების შეპირისპირების საფუძველზე ვარაუდობდა, რომ დავითმა თბილისი აიღო „არა უგვიანეს 1122 წ. თებერვლისა, უფრო საფიქრებელია 1122 წ. იანვარში“, მ.ლორთქიფანიძის დასკვნით კი ეს მოხდა 1122 წ. იანვრიდან თებერვლამდე (კაკაბაძე, 1982: 129, 130; ლორთქიფანიძე, 1990:31; *Лордкипаниძე, 1991: 86*).

³⁶ არაბ ავტორთა ნაწილი დასახელებულია ზემოთ. დამატებით იხ.: სიბტ ბ.ალ-ჯაუზი, 1952:101; სიბტ ბ.ალ-ჯაუზი, 1967:205; მუჰ.ალ-ჰამავი, 1960:78ა. იაკუთი:40. აბუ ლ-ფიდა', II: 232; აზ-ზაჰაბი, იქ, 1963:31; ალ-'აინი: 311ბ (იბნ ალ-ასირის მიხედვით), 311ბ (სიბტ ბ.ალ-ჯაუზის მიხედვით), იბნ თალრი-ბარდი, V:104; იბნ ხალდუნი, V: 104-105 და სხვ. სირიელ ავტორთაგან იხ: მის.სირიელი, 1906:206; მის.სირიელი, 1979:40; იბნ ალ-'იბრი: 202; ანონიმური სირიული ქრონიკა: 89; სომხური და ევროპული წყაროების შესახებ იხ.: მესხია, 1972:6-7, 11.)

ბოდა. როგორც ჩანს, ეს გახდა იმის მიზეზი, რომ არჩანის მფლობელმა მაჰმუდის წინააღმდეგ ბრძოლა შეწყვიტა და 516 წ. დასაწყისში / 12. III. — 10. IV. 1122 წ. მას მორჩილება გამოუცხადა (იხმ ალ-ასირი, X:597-98).

ტულრილის დამორჩილების შემდეგ სულტან მაჰმუდს შეეძლო დაუბრკოლებლად ემოქმედა ამიერკავკასიაში. და როცა თბილისიდან ბაღდადს ლტოლვილი მუსლიმები მას ჰამადანში ეახლნენ და ქართველთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს, სულტანმა მათი თხოვნა შეიწყინარა. იბნ ალ-ასირის ცნობით, ის აზერბაიჯანისაკენ დაიძრა, რამადანის თვეში XI. 1122 წ. ქთავრიზში დაბანაკდა და აქედან ქართველებისკენ თავისი ლაშქარი გაგზავნა (იხმ ალ-ასირი, X:568), მაგრამ მოხდა ისე, რომ იმავე რამადანის (ნოემბერი) თვეში უკმაყოფილო თურქმა ამირებმა თავრიზის კარებთან მოკლეს სულტანის გამოცდილი მხედარმთავარი ჯუიუშ-ბეგი, რომელმაც ადრე თავი გამოიჩინა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ქურთული ტომების დაშოშინებით (იხმ ალ-ასირი, X:603-4). ამ ამბავმა, ჩანს, აიძულა სულტანი შეეწყვიტა ლაშქრობა, მაგრამ დავით IV-სთან დაპირისპირებას ის შინც ვერ ასცდა.

1123 წ. დარუბანდისა და შარვანის ანტიქართული მუსლიმური წრეების მოწოდებით მაჰმუდი შარვანში შეიჭრა. ეს ამბავი ვრცლად არის გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში (ასათიანი, 1968:33-38). ჩვენ მოკლედ მინც აღვნიშნაეთ, რომ მაჰმუდმა დაიკავა შემახია და დაატყვევა შარვან-შაჰი. მაისის თვეში დავით IV შარვანისკენ დაიძრა, გზაზე გაანადგურა სულტანის დასახმარებლად წამოსული ამირა აყ-სონყურის (აღსუნღული) 4 ათასიანი რაზმი (დავით აღმ. ისც., 1992:195; თოფურია, 1975:222) და შემახიას მიადგა. სამწუხაროდ, ყოჩაღებთან უთანხმოებამ არ მისცა საშუალება მეფეს ბრძოლის ველზე დაემტკიცებინა სულტანისთვის თავისი უპირატესობა. მოწინააღმდეგენი შემახიიდან უბრძოლველად გაიყარნენ და თუმცა არაბი ისტორიკოსები ცდილობენ მაჰმუდი გამარჯვებულად წარმოადგინონ (იხმ ალ-ასირი, X:615, ალ-ისფაჰანი / ალ-მუნდარი, 1900:127), ისინი აშკარად ტენდენციურნი არიან. სელჩუკებს ძალა აღარ შესწევდათ ხელი შეეშალათ დავით IV-ისათვის. იმავე წელს, იენისში მეფემ "აღიღო გულისტანი, ხაზლი თავადი შარვანი-ხაჰ" და "შოირთო შარვანი" (დავით აღმ. ისც, 1992:195). ბრძოლა საქართველოსა და ერაყის სელჩუკთა სასულტნოს შორის შარვანისათვის საქართველოს სამეფოს გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ შარვანში დავით IV-ს (და მის მემკვიდრეს დემეტრე I-ს) ერაყის სელჩუკებთან კონფლიქტი არ ჰქონიათ, მაგრამ გრძელდებოდა დაპირისპირება არჩანში განლაგებულ თურქ-სელჩუკთა სამხედრო ძალებთან.

ალ-ფარაჰი წერს, რომ ჰიჯრის 516 წ., ე.ი. 1122 წ. 16 მარტიდან — 1123 წ. 29 თებერვლამდე მიწისძვრამ შთანთქა განჯის ნაწილი და დაანგრია მისი კედლები. ამით ისარგებლა დავით IV-მ, რომელიც თავისი ჯარებით დაეცა ქალაქს, დახოცა აქ ურიცხვი ხალხი, ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი და მრავალი ტყვეთ დაბრუნდა

საქართველოში (Minor sky, 1949:34). არაბი მემბტიანის ეს ცნობა ერთხანს უკრიტიკოდ იქნა გაზიარებული აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში (*История Азербайджана*, 1958:142). შემდეგ ის საფუძვლიანად გააანალიზა ნ.ასათიანმა, რომელმაც დაასკვნა, რომ საქართველოში ყოფნის დროს ალ-ფარიკიმ სწორად არ ჩაინიშნა ამ ლაშქრობის თარიღი და დემეტრე I-ის დროინდელი 1139 წ. განჯის მიწისძვრის ამბავი და მასზე ლაშქრობა დავით აღმაშენებელს მიაწერა. მკვლევარი უშეუბნებლად იმის შესაძლებლობასაც, რომ ალ-ფარიკიმ ერთმანეთში აურია დავითის მიერ 1109-10 წ. განჯაზე მოწყობილი ლაშქრობისა და დემეტრე I-ის მიერ განჯის აღების ამბები (ასათიანი, 1968:41, მუნ.2); ჯ.სტეფანაძე ასეთი დასკვნისათვის ვერავითარ საფუძველს ვერა ხედავს დავით IV-ის ლაშქრობას მიწისძვრით დანგრეულ განჯაზე რეალობად თვლის (სტეფანაძე, 1974:87, 90, მუნ.58).

საკიროა აღინიშნოს, რომ არაბი ისტორიკოსები თავიანთ თხზულებებში უყურადღებოდ არა ტოვებენ სტიქიურ მოვლენებს და კეთილსინდისიერად აფიქსირებენ მათ. მემბტიანეებს აღნუსხული აქვთ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მიწისძვრებიც. ამ მხრივ მრავალი ცნობაა დაცული იბნ ალ-ჯაუზისა და იბნ ალ-ასირის თხზულებებში, მაგრამ არცერთი მათგანი, ისევე როგორც სელჩუკთა ხანის ისტორიკოსები ('იმაღ ად-დინ ალ-ისფაჰანი, ალ-ჰუსაინი), ანდა სომეხი ავტორები განჯის ამ მიწისძვრას არ იხსენიებენ. მართალია, მის შესახებ წერს ზოგიერთი არაბი ავტორი (სიმც მ.ალ-ჯაუჯი, 1952:102; იმნ ად-დაჰადარი, VI:490), მაგრამ მათ ინფორმაციას, რომელიც მთლიანად მომდინარეობს ალ-ფარიკის თხზულებიდან, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ ალ-ფარიკის ცნობის ჰემარიტებაში. 516/1122-23 წ. განჯაში მიწისძვრა და ამასთან დაკავშირებით განჯაზე ქართველთა ლაშქრობა, ვფიქრობთ, არ მომხდარა,³⁷ მაგრამ სხვა მხრივ შეტაკებები არანის სელჩუკებთან გრძელდებოდა.

ტურქილ ბ.მუჰამადმა დიდგორის ბრძოლაში მარცხის შემდეგ ერთხელ კიდევ მოსინჯა ბედი დავით IV-ის წინააღმდეგ. მათეოს ურჰაეცის ცნობით, სომხური ერთი 572 წ., რომელიც მოიცავს პერიოდს 1123 წ. 19 თებერვლიდან 1124 წ. 18 თებერვლამდე, "განძაკის სულთანმა" მტკვარზე ნაგებით ხიდები გააკეთა და "აფხაზთა ქვეყანაში" 60 ათასი მეომარი გადმოიყვანა. როცა დავითმა ეს ამბავი შეიტყო, ჯარები გაგზავნა, ხიდები ჩაანგრევიანა და მთელი ჯარი, რომელიც "სულთანმა" გადმოიყვანა ერთიანად გაჟლიტა" (მათ.ურჰაეცი, 1858:310; მათ.ურჰაეცი, 1966:247).

³⁷ სხვათა შორის, ზ.ბუნიატოვი ალ-ფარიკის აღნიშნულ ცნობას ყოველგვარი კომენტარის გარეშე 1139 წ. ამბებში განიხილავს (*Бунияттов*, 1978:192, მუნ. 27).

თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში დავით IV-მ დიდ წარმატებებს მიაღწია 1124 წ. გაზაფხულზე. მარტში მეფემ აიღო დმანისი, ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ქალაქი. დმანისი 989 წ. ტაშირ-ძორაგეტის მეფემ დავით გურგენის ძემ (989—1048) იგდო ხელთ. XI ს. 60-იან წლებში თურქ-სელჩუკთა შემოსევების დროს კვირიკიანებმა დაკარგეს ეს ქალაქი. 1074 წ. დმანისის ამირა იყო სარჰანგ სავ-თეგინის მოკავშირე გიორგი II-ის წინააღმდეგ ფარცხისის ბრძოლაში (მაფ.ქართლ.,ქც, I, 1955:317). 1121 წ. დმანისის მუსლიმები თბილისელებთან ერთად გახდნენ ინიციატორები ანტიქართული მუსლიმური კოალიციის შექმნისა. ამ დროს, ვფიქრობთ, დმანისის ამირა არჩანის სელჩუკიანი გამგებლის კონტროლს ექვემდებარებოდა. ამრიგად, დმანისის აღება თურქ-სელჩუკთა კიდევ ერთი ბასტიონის დაცემას მოასწავებდა.

1124 წ. მაისში მეფემ დააპყრო "ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტერუნაკალი, [ქავ ჰახინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი" (დავით აღმ. ისტ. 1992:196). სია იმ პუნქტებისა, რომელთაც ასახელებს ქართული წყარო, შეიძლება შეივსოს სომეხი ავტორების ცნობების საფუძველზე. სტეფანოს ორბელიანი დავით IV-ის მიერ დაპყრობილი გაგისა და ტერუნაკანის (*resp.* ტერუნაკალი) გარდა ასახელებს ტავეშს (სტ.ორბელიანი, 1864:216; სტ.ორბელიანი, 1978:38).³⁸ ვარდანი, როცა ის ეხება დავით IV-ის წარმატებებს, წერს, რომ მან დაიპყრო კვირიკისა და აბასის ყველა სომხური სამფლობელო, მათ შორის გაგი, ტერუნაკანი, ტავეში, კაიანი, კაიწონი, ლორე, ტაშირი და შაქანაბერდი (ვარდანი:147). მათეოს ურჰაეცის თანახმად, დავითმა დაიკავა შამქორიცი (მათ. ურჰაეცი, 1966: 247), რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება. უდიდესი ნაწილი ამ პუნქტებისა მეფემ 1124 წ. მაისში აიღო.

მოკლედ, 1124 წ. მაისში დაპყრობილ ადგილთა შესახებ. გაგი (რომელიც XIV ს.-დან ცნობილია აღჯა-ყალას სახელით) იყო ციხე-სიმაგრე მდ. დებედას ქვემო წელზე (მუხსელიშვილი, 1960:113-140). კაიანის (იგივე კაენის) ციხე ძოროფორშია, მდ.აღსტევის-ხევის ზემო წელზე, სევანის ტბის ჩრდილოეთით, იჯევანიდან 15 კმ-ზე, არჯანოცის მთაზე (ე.მურმუნიშვილი, 1979:49; ჰაკობიანი, მულიძე-მანშიანი, მარსელიანი, II, 1988:927). კაიწონის ციხე და მისი ოლქი უნდა გულისხმობდეს კოლბის ხევს, ან მის ერთ ნაწილს (მუხსელიშვილი, 1960:132, მუნ. 102; ე.მურმუნიშვილი, 1979:48).³⁹ მანასგომნი, ჩვენი აზრით, იგივე მანიცგომი უნდა იყოს. ეს უკანასკნელი კი ტ. ჰაკობიანის თანახმად დღევანდელი ალავერდი

³⁸ სომეხი მემკვიდრე გაგის, ტავეშისა და ტერუნაკანის აღების თარიღად ასახელებს 1123 წ. მისი თხზულების ქართულ თარგმანში ტერუნაკანი გამოტოვებულია. (სტ.ორბელიანი, 1978:38).

³⁹ კაიწონის ციხე სომეხ მკვლევართა აზრით მდებარეობდა მდ. დებედაზე, კალავერდის ჩრდილოეთით, 24 კმ-ზე (აკობიანი, მელიქ-ბახშიანი, ბარსელიანი, II, 1988:930)

(ჰაკომიანი, 1968:291). მაკანაბერდის ოლქი მდებარეობდა მდ.აღსტევის-ხევის შუა წელზე, კიანის გავარის მახლობლად (ჰაკომიანი, 1968:316). ნორბედი *resp.* ნორბერდი ს.ერემიანის მიხედვით მაკანაბერდის აღმოსავლეთითაა (*Атлас Армении*: 106). ტაუში იყო მხარე და იმავე სახელწოდების ციხე, რომლის ნანგრევებიც შემორჩენილია მდ.თაუზ-ჩაის შუა წელზე, მის მარჯვენა ნაპირზე, შამშადინის რაიონში (ე.მურბენიშვილი, 1979:84; მათეფოსიანი, 1982:48,102). ტალინჯაქარის ნაცვლად "ქანთლის ცხოვერების" ზოგიერთ ნუსხაში დასახელებულია ხალინჯქარი, მის ძველ სომხურ თარგმანში კი — ხალინჯაქარი (დავით აღმ. ისტ., 1992:196; ეც, I, 1953:251) და სწორი ფორმა, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელია. ის კაიწონის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა (*Атлас Армении*: 106). ტერუნაკანის ციხე თაუზ-ჩაის ქვემო წელზე, სოფ. ოქსულუსთან იყო (ე.მურბენიშვილი, 1979:84; მუსხელიშვილი, 1977:157). რაც შეეხება ქაუზინს, ს.ერემიანი მას გაუზინის სახელწოდებით კაიწონის სამხრეთ-აღმოსავლეთით ათავსებს (*Атлас Армении*: 106).

ყველა დასახელებული პუნქტი, ვიდრე მათ თურქ-სელჩუკები დაიპყრობდნენ ტაშირ-ძორაგეტის კვირიკიანთა სამეფოს ეკუთვნოდა. მათგან ტაუში და ტერუნაკანი (ისევე როგორც მთელი ტერიტორია თაუზ-ჩაისა, იგივე ეკლესა და აღსტევის-ხევის შორის) უფრო ადრე შედიოდნენ ქვემო ქართლის ქართული მხარის გარდაბანის შემადგენლობაში, რომელიც სომეხმა ბაგრატუნებმა X ს-ის პირველ მესამედში მიიტაცეს და მოწყვიტეს ქართულ სამყაროს (მუსხელიშვილი, 1980:133, მუნ. 64; 212). ჩვენთვის საინტერესო ხანაში სომეხი მკვლევარები ტაუშსა და ტერუნაკანს „სომხეთის ალბანეთის“, „სომეხთა აღმოსავლეთი მხარის“ უტიქის შემადგენელ ნაწილად განიხილავენ. (მათეფოსიანი, 1982: 101,102; ჰაკომიანი, 1986:253).

1124 წ. დავით IV-მ ფაქტობრივად დაასრულა განთავისუფლება თურქ-სელჩუკთა მიერ ანექსირებული ტაშირ-ძორაგეტის ყოფილი სამეფოს მიწებისა, რომლებიც საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. ქართველებმა მიიღეს შესაძლებლობა აქედან პირდაპირი დარტყმები განეხორციელებინათ არანზე. ეს იყო მნიშვნელოვანი წარმატება თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში.

აქ ყურადღებას შევაჩერებთ ტაუშის საკითხზე, რომელიც უკავშირდება ტაშირ-ძორაგეტის უკანასკნელ მეფეთა აბასისა და დავითის მოღვაწეობას ლორეს დაკარგვის შემდეგ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვარდანისა და კირაკოს განძაკეცის ცნობებით, აბასმა და დავითმა ტაუში და მაწნაბერდი არჩაანის მმართველოსაგან მიიღეს საგამგებლოდ. რ.მათეფოსიანი მიიჩნევს, რომ ძმები ამ ციხეებს ძალით დაუფლნენ. მისი აზრით, სელჩუკებს რომ ისინი კვირიკიანებისთვის ებოძათ, მაშინ ტაუშს მათ უკან აღარ წაართმევდნენ (მათეფოსიანი, 1982:107). ეს კი მხოთარ გოშის თანახმად მოხდა 1144- 45 წ. ამ დროს განჯის ამირამ ჩოლომ (ჩავლიმ) აბასს წაართვა ტაუში და კვირიკიანებს მხოლოდ მაწნაბერდი დარჩათ (მხ.გომი, 1958:483; მხ.გომი, 1968:41).

რ.მათეფოსიანი ექვეყმ აყენებს დავით IV-ის მიერ ტაუშის აღებას 1124 წ. ის წერს, რომ სტეფანოს ორბელიანისა და კირაკოს განძაკეცის ცნობების საწი-

ნალმდეგოდ ტავუში 1124 წ. შემდეგაც რჩებოდა აბასის ხელთ. აბასს რომ ამ დროს დაეკარგა ტავუში, ვეღარ შეძლებდაო მის უკან დაბრუნებას (მათეფოსიანი, 1982:108).

რა შეიძლება ითქვას ამ თვალსაზრისის შესახებ?

სომხური წყაროები აღნიშნავენ დავითისა და აბასის მიერ სამშობლოს მიტოვებას, მაგრამ არ მოუთითებენ, თუ როდის დამკვიდრდნენ ისინი ტავუშსა და მაწნაბერდში, რომლებიც მანამდე უკვე თურქების ხელთ იყო. სხვათა შორის, ამ ფაქტს არც რ.მათეფოსიანი უარყოფს.

იმ პირობებში, როცა კვირიკიანებმა ვერაფერი გააწყვეს თურქ-სელჩუკთა მოძალებასთან და დათმეს თავიანთი სამეფოს ცენტრალური ნაწილი, უაღრესად საეჭვოა, რომ მათ იარაღით დაეპყროთ არჩანის საზღვრების სიახლოვეს მდებარე მაწნაბერდი ანდა ტავუში. ვარდანისა და კირაკოს განძაკელის ცნობებით სრულიად აშკარაა, რომ ეს ციხეები მათ მიიღეს არჩანის სელჩუკიანი გამგებლისაგან.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არაფერს წერს დავით IV-ის მიერ ტავუშის აღებაზე, მაგრამ ძნელია ეკვი შევიტანოთ ამასთან დაკავშირებით ვარდანისა და სტეფანოს ორბელიანის ცნობების ჭეშმარიტებაში. სტეფანოს ორბელიანი გარკვევით მოუთითებს, რომ დავით IV-მ ტავუში წაართვა თურქებს (ს.ფ.არმულიანი, 1978:38). მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ 1124 წლისათვის აქ კვირიკიანები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაფუძნებულნი.

შეიძლება დავუშვათ, რომ კვირიკიანები იმედოვნებდნენ დაებრუნებიანთ დავით IV-ის მიერ სელჩუკთაგან გათავისუფლებული ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ნაწილი მაინც და თავდაპირველად მეფე მათ რაღაც დაპირებებსაც აძლევდა, მაგრამ მერე ტაშირ-ძორაგეტი მან სამეფოდ მიითვალა და სამემკვიდრეოდ აღარ გასცა. ამის შემდეგ იმედგაცრუებულმა აბასმა და დავითმა არჩანს მიაშურეს. ამით უნდა ავხსნათ კირაკოს განძაკელის ცნობა, რომ ქართველებმა ისინი ვერაგულად მოატყუეს.

ვეტიკრობთ, რომ კვირიკიანები დაადგნენ არჩანის სელჩუკებთან თანამშრომლობის გზას და მათი დახმარებით ცდილობდნენ დაებრუნებიანთ ყოფილი სამფლობელოები. საქართველოსთან მათი დაპირისპირება მისაღები და სასურველი იქნებოდა სელჩუკებისთვის, რომლებმაც ამის გამო უბოძეს აბასსა და დავითს ტავუში და მაწნაბერდი. მაგრამ ეს მოხდა ცოტა მოგვიანებით, დემეტრე I-ის ზეობის დროს, როცა საქართველომ დათმო ტაშირ-ძორაგეტის ყოფილი სამეფოს ზოგიერთი პუნქტი.

1124 წ. ივნისის თვეში დავით IV-მ შეცვალა შეტყვის მიმართულება. ის "წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, გარნიფორა, შასიანსი სპერამდინ და, რაჲცა პოვა თურქმანი მოხრა და ტყუე-ყო. და ჩამოვლო ბუდათა ყური და დაწუნა ოლთისნი და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა" (დავით აღმ.ისც., 1992:196).

ვარდანი აღნიშნავს, რომ დავითს შემოუერთებია ოლთისი (უხტიქი) და მისი

ოლქი (ვარდან:147), მაგრამ ამ ცნობას არც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და არც სხვა სომხური წყაროები ადასტურებენ და ძნელი სათქმელია, თუ რამდენად რეალურია ის. საფიქრებელია, რომ მეფე აპირებდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის სასაზღვრო მხარეების სრულ გაწმენდას თურქთაგან, მაგრამ ვერ მოასწრო. მისი ყურადღება, მოულოდნელად, ჩრდილოეთ სომხეთმა მიიპყრო.

ანისის შადდადინამ გამგებელმა აბუ ლ-ასვარ შავურ ბ.მანუჩიძემ გადაწყვიტა, რომ ანისი 60 ათას დინარად მიეყიდა ყარსის ამირასათვის. აბუ ლ-ასვარის გადაწყვეტილებამ გააღიზიანა ანისის ქრისტიანული მოსახლეობა, რომელმაც ქალაქი ქართველთა მეფეს შესთავაზა.

ამ პერიოდისათვის ჩრდილოეთ სომხეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი დვინი თურქმენ ავღანებზე ეპყრა. თუკი შადდადინები დათმობდნენ ანისს, პრაქტიკულად თურქების ხელში აღმოჩნდებოდა მთელი ჩრდილოეთი სომხეთი. ბუნებრივია, რომ ამ პირობებში ანელ ქრისტიანთა წინადადება უაღრესად მიმზიდველი და მისაღები აღმოჩნდა დავით IV-ისათვის. მეფემ მოკლე დროში (სამ დღეში) შეყარა დიდი ლაშქარი და სისხლისღვრის გარეშე დაიკავა ანისი, რომელიც თავის სამეფოს შეუერთა. ეს მოხდა 1124 წ. 26 აგვისტოს (ვარდან: 146; დავით აღმ. ისტ., 1992:196).

დავით IV-მ ანისის გამგებლად აბულუთი და მისი ვაჟი ივანე დანიშნა (ლთ-თფითვანიძე, 1970:105). კიდევ მცირე ხნის შემდეგ მეფემ აიღო შემახია და მოახდინა შარვანის ანექსია.

1124 წ. დავით IV-ის სამხედრო კამპანიას შეიძლება ვუწოდოთ ელვისებური. თავისი მასშტაბებით ის იყო გრანდიოზული. მეფის წარმატებებს თითქოსდა საზღვრები არა ჰქონდა. ერაყის სელჩუკთა სულტანს და სხვა თურქ ამირებს არ შესწევდათ ძალა წინააღმდეგობა გაეწიათ დავითისთვის და შეეჩერებინათ მისი შეტევა. საყრდენი ბაზების შექმნა არარანის საზღვრებთან, ტამირ-ძორაგეტის ყოფილი სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილსა და, განსაკუთრებით, შარვანში შესაძლებლობას იძლეოდა, რომ გადამწყვეტი დარტყმა მიმართულიყო განჯაზე. ანისის დაუფლება ქმნიდა კარგ წინაპირობას ჩრდილოეთ სომხეთში გასაბატონებლად. შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასიაში ჰეგემონიისათვის ბრძოლის საწყისი ეტაპი საქართველომ დავით IV-ის ხელმძღვანელობით მოიგო. სამწუხაროდ, მეფის სხვა დიდ გეგმებს, რომელთაც ზოგადად იხსენიებს ქართველი მემატრიანე (დავით აღმ. ისტ., 1992:198), განხორციელება არ ეწერა. 1125 წ. 24 იანვარს დავით IV მოულოდნელად აღესრულა.



დავით IV-ის მოღვაწეობა დაემთხვა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლას, მაგრამ მის ნანგრევებზე აღმოცენებული თურქული პოლიტიკური ერთეულები სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა, რაც კარგად გამოვლინდა ჭვაროსნებთან მათ დაპირისპირებაში. საშინაო საქმეების მოწესრიგებამ, მობილურმა და მძლავრმა სამხედრო ორგანიზაციამ, რომელიც შექმნა დავით IV-მ, საშუალება მისცა მეფეს მიეღწია გადამწყვეტი გარდატეხისათვის თურქ-სელჩუკებთან კონფრონტაციაში.

დავით IV-მ მოხერხებულად და მაქსიმალურად გამოიყენა ხელსაყრელი სა-
გარეო პოლიტიკური ფაქტორები, მოწინააღმდეგის სუსტი მხარეები. 1120 წლი-
დან ის თავად კარნახობდა მტერს თავის ნებას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ
წარუმატებელ ლაშქრობას არარანში 1110 წ. და ნაწილობრივ შარვანშიც 1123
წ. მაისში, მისი ყველა ბრძოლა იყო ძლევამოსილი. დავით IV-ის მიერ მოგებულ
ყველა ომს ჰქონდა პოლიტიკური შედეგი: თურქთაგან გაწმენდილი მიწები, მტრი-
სგან განთავისუფლებული და შემოერთებული ციხე-ქალაქები და მხარეები.

დავით IV-ის ბრძოლები ტაშირ-ძორაგეტში, შარვანში თუ ჩრდილოეთ
სომხეთში, რომლებიც მიმდინარეობდა საქართველოს გაერთიანების პარალელუ-
რად, წარმოადგენდა მეფის კავკასიური პოლიტიკის გამოვლინებას. ქართულ
ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ „საქართველო კავკასიის ხალხთა შემკრების
როლში გამოდიოდა. ის თავის გარშემო ახდენდა მონათესავე ხალხებისა და
ტომების კონსოლიდაციას“ (ლოთთფიფანიძე, 1979 მ:252). ამასთან, ვ.გაბაშვილი,
რომელიც ეხებოდა საქართველოს კავკასიურ და ახლოაღმოსავლურ პოლიტიკას,
მიუთითებდა, რომ მის საერთო მიმართულებებს აპირობებდა ეკონომიკური
ფაქტორებიც, კერძოდ კი, აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერკავკასიის მთავარ
სავაჭრო მაგისტრალზე გასვლისა და გაბატონების საჭიროება (ვ.გაბაშვილი,
1967:202).

დავით IV-მ მეფობის სადავეები ხელთ აიღო საქართველოსთვის კრიტიკულ
ჟამს, როცა ქვეყანას ნომადიზაცია, თურქიზაცია და ისლამიზაცია ემუქრებოდა.
მისმა 36-წლიანმა მმართველობამ საქართველოს ააცილა ყველა ეს მომაკვდინე-
ბელი საფრთხე. მეფე სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის დიდ ბრძოლას თურქ-
სელჩუკთა ბატონობის წინააღმდეგ, რომელსაც ქ.ჩხატარაიშვილმა მოხდენილად
უწოდა ქართული რეკონკისტა (ჩხატარაიშვილი, 1973:32). მსგავსად ქრისტიან-
ული ესპანეთისა, რომელიც დიდი გახდა მუსლიმებთან არსებობისათვის ბრძო-
ლის აუცილებლობამ (*Yomn, Kakia*, 1976:178), თურქ-სელჩუკებთან ფიზიკუ-
რი და სულიერი არსებობისთვის აუცილებელი ბრძოლის პირობებში საქართველო
დავით IV-ის დროს გახდა დიდი და მძლავრი ფეოდალური მონარქია. თუ გავით-
ვალისწინებთ საერთოდ ქრისტიანული და ისლამური სამყაროების მრავალსაუ-
კუნოვან კონფრონტაციას, დავით IV-ის სამხედრო-პოლიტიკური წარმატებები
შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში, იმ პირობებში, როცა მეფეს ფაქტო-
ბრივად არ ჰყავდა მუდმივი და მძლავრი პოლიტიკური მოკავშირეები, შეიძლება
ითქვას, უპრეცედენტო იყო.

საქართველო, ერაყის სელჩუკთა სასულტნო და თურქული საამიროები დიარ-ბაქრსა და სომხეთში დავით IV-ის მემკვიდრეების დროს (XII-XIII ს-ის დასაწყისი)

დავით IV-ის შთამომავლებს მემკვიდრეობით ერგოთ გაგრძელება იმ ბრძოლისა, რომელიც ამიერკავკასიაში ჰეგემონიას ისახავდა მიზნად. ამ ბრძოლაში საქართველოს სამეფოს უპირისპირდებოდა ის თურქული პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც აღმოცენდა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ნანგრევებზე: ერაყის სასულტნო არრანიურთ და შემდეგ ელდიგუზიანთა საათაბაგო, დიარ-ბაქრის ართუკიანთა და აჰლადიანთა საამიროები, შაჰ-არმენთა სახელმწიფო, არზრუმის, ყარსისა და სურმარის საამიროები.

რას წარმოადგენდნენ საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მეტოქეები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ძირითად ხაზებში მიინც მოვხაზოთ მათი კონტურები.

1. ერაყის სელჩუკთა სასულტნო XII ს.20—50-იან წლებში და ვითარება არრანში

სულტანმა მაჰმუდ ბ.მუჰამადმა ვერ შეძლო მიედღწია სტაბილიზაციისთვის ერაყის სელჩუკთა სასულტნოში¹, რომელიც შინაბრძოლების არენად რჩებოდა. 1125 წ. მარტში ტულრილ ბ.მუჰამადი სამწლიანი მორჩილების შემდეგ დუბაის ბ.სადაკას წაქეზებითა და მხარდაჭერით ხელახლა აუჯანყდა ძმას და ერაყისკენ დაიძრა. მაჰმუდთან ბრძოლაში მოკავშირეები დამარცხდნენ და ხორასანში გაიქცნენ (ივნ ალ-ასიბი, X: 628; ივნ ალ-ჯაუზი, IX: 252). მაჰმუდი აბასიანთა ხალიფას დაუახლოვდა, ხოლო ტულრილმა და დუბაისმა მის წინააღმდეგ სანჯარი ამხედრეს, რომელიც 521/1127 წ. დიდი ჯარით ჭიბალში შეიჭრა. მაჰმუდი

¹ ერაყის სელჩუკთა სასულტნოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ იხ.: *Bosworth, 1968: 119-134, 167-182; Luther, 1976: 219-225; Гусейнов, 1970: 185-198; Бунятов, 1978: 19-94.*

იძულებული გახდა ქედი მოეხარა. 522 წ. ზუ ლ-პიჯას შუა რიცხვებში/ XII.1128 წ. ის ქ. რეიში ბიძას ეახლა და მორჩილება გამოუცხადა მას (იზნ ალ-ასირი, X:651). ამის შემდეგ სანჯარი ხორასანში დაბრუნდა, მაგრამ მანამდე, 1127 (ან 1128) წ. ჯიბალში მყოფმა დიდ სელჩუკთა სულტანმა სელჩუკი უფლისწულების ტულრილოსა და მას'უდის ათაბაგად დანიშნა თურქი ამირა ყარა-სონყური,² რომელიც არჩანში წარგზავნა (ალ-ჰუსაინი: 55ა-55ბ). ყარა-სონყური მტკიცედ დაეუფლა ამ ოლქს და შემდეგ იხსენიება როგორც არჩანის, ისე აზერბაიჯანის ათაბაგად. არჩანში მასთან ერთად იყო ტულრილიც. მოგვიანებით, 1130 წ. აქ გამოჩნდა მას'უდი, რომელმაც სულტან მაჰმუდისგან იკტად მიიღო განჯა და მისი ოლქები (იზნ ალ-ასირი, X: 666).

მაჰმუდის გარდაცვალება 1131 წ. 6 სექტემბერს გახდა ნიშანი სასულტნო ტახტისთვის ახალი ბრძოლების დაწყებისა. ამ ბრძოლებში მონაწილეობდნენ მაჰმუდის მემკვიდრე და'უდი და ძმები, სულტან მუჰამადის ვაჟები: ტულრილი, მას'უდი და სელჩუკ-შაჰი. ყარა-სონყური ტულრილს უჭერდა მხარს. 1132 წ. თებერვალში სანჯარი კვლავ ჩაერთა ერაყის სელჩუკთა სასულტნოს საქმეებში და შეიჭრა ჯიბალში. მან დაამარცხა მას'უდი და სულტანად თავისი ფავორიტი ტულრილი გამოაცხადა. სანჯარმა შემდეგ შემოირიგა მას'უდი და მას განჯა უბოძა (იზნ ალ-ასირი, X: 674-78). მაგრამ როგორც კი ის ხორასანში დაბრუნდა, ბრძოლა ტახტისთვის ახალი ძალით გაჩაღდა. ყარა-სონყურმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა ტულრილის ერთგულება. 526 წ. რამადანში/16. VII - 14.VIII 1132 წ. ის ხელმძღვანელობდა ავანგარდს სულტნის ლაშქრისა, რომელმაც დაამარცხა და'უდი ბ. მაჰმუდი და მისი ათაბაგი მარალის გამგებელი ათაბაგი აყ-სონყურ ალ-აჰმადილი (იზნ ალ-ასირი, X:682).

ტულრილის გარდაცვალებამ 1133 წ. ნოემბერში (ალ-ისფაჰანი/ალ-მუნდარი, 1900:157; ალ-ჰუსაინი:59ა; *Бунятов*, 1978:27), ან 1134 წ. 24 ოქტომბერს (იზნ ალ-ჯაფიზი, X:5; იზნ ალ-ასირი, XI:19; *Bosworth*, 1968: 125) გზა გაუხსნა მას'უდს ძალაუფლებისაკენ. არჩანისა და აზერბაიჯანის ათაბაგი ყარა-სონყური მის მომხრეთა რიგებში ჩადგა (ალ-ჰუსაინი: 59ბ-60ა; იზნ ალ-ასირი, XI:46), მაგრამ მცირე ხნის შემდეგ, როცა მას'უდმა მოინდომა აღზევებული და გაძლიერებული ამირების უფლებათა შეზღუდვა, ყარა-სონყური დაუპირისპირდა სულტანს. ათაბაგის პოზიციები იმდენად ძლიერი იყო, რომ მას'უდს ეშინოდა მისი (იზნ ალ-ასირი, XI:79).

მას'უდის უშუალო კონტროლის ქვეშ იყო ჯიბალი და ცენტრალური ერაყი, სადაც უკვე ძლიერდებოდა აბასიანთა ხალიფას საერო ხელისუფლება. აზერბაი-

² ზ. ბუნიატოვი წერს, რომ ყარა-სონყური ათაბაგად დანიშნა 522/1128 წ. და იმოწმებს იზნ ალ-ასირს (*Бунятов*, 1980:218, შენ. 12), მაგრამ არაბ მემბტიანეს ასეთი ცნობა არა აქვს.

ჯანში მას ტახტს ეცილებოდა და უდ ბ. შაჰმუდი, რომელიც 538/1143-44 წ. მოკლეს ისმაილიტებმა. მას უდის ზეობის მიწურულს სასულტანოში უაღრესად გაიზარდა თურქი ამირების გავლენა. იბნ ალ-ასირი წერს, რომ "გართულდა მას უდის საქმეები. ამირებმა მისი ზურვილის წინააღმდეგ დაინაწილებ ქვეყანა და მას სულტნის სახელის გარდა ქვეყანაში ადარაფერი დარჩა", მაგრამ როცა 1152 წ. 13 ოქტომბერს მას უდი გარდაიცვალა (Bosworth, 1989:782), იმავე მემპტიანის სიტყვებით "ადგისულა ბედნიერება ხელჩქვთა სახლისა და აღარ დარჩა მისთვის დრომა, რომელსაც ანგარნიშ გაუწევდნენ და რომლის გარშემოც დაირაზმებოდნენ" (იბნ ალ-ასირი, XI:64,160).

მას შემდეგ, რაც მას უდი სულტანი გახდა, არარანში ერთხანს ველარ ეხედავთ ტახტის მამიებელ სელჩუკ უფლისწულებს. ეს მხარე ყარა-სონყურს ემორჩილებოდა. განჯა იყო ათაბაგის ერთ-ერთი რეზიდენცია.³ ყარა-სონყურის არყოფნის დროს ქალაქს მის მიერ დანიშნული ამირა განაგებდა.

1139 წ. ყარა-სონყურმა ილაშქრა ფარსზე, დაამარცხა მისი მფლობელი ბოზ-აბა და ეს მხარე სელჩუკ უფლისწულს სელჩუკ-შაჰს გადასცა (ალ-ჰუსაინი:628; იბნ ალ-ასირი, XI:70), მაგრამ განჯის მიწისძვრამ და ქალაქზე ქართველთა ლაშქრობამ აიძულა ის დაბრუნებულიყო არარანში და საქართველოსთან ომში ჩაბმულიყო.

ყარა-სონყური გარდაიცვალა დროის მონაკვეთში, რომელიც თავსდება 1140 წ. აგვისტოდან 1141 წ. 13 თებერვლამდე.⁴ შემდეგ არარანისა და აზერბაიჯანის პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან ამირები ჩველი ატ-ტულრილი (გარდ.1146 წ. შემოდგომაზე), ფახრ ად-დინ 'აბდ არ-რაჰმან ბ. ტულან-ოურეკი (მოკლეს 1147 წ. გაზაფხულზე), ხას-ბექ ფალანგ-არი და რაეადი (40-იანი წლების მიწურული და 50-იანი წლების დასაწყისი). ეს ამირები ამავე დროს დაკავშირებული იყვნენ ერაყის სასულტნოს კართან. მათ ვერ შეძლეს თავიანთი ხელისუფლება მემკვიდრეობითი გაეხადათ, მაგრამ ერაყის სასულტნოს შემდგომი დასუსტებისა და დეცენტრალიზაციის პირობებში ეს მოახერხა შამს ად-დინ ელდიგუზმა.

წარმოშობით ყივჩაღი შამს ად-დინ ელდიგუზი⁵ (ილდეგიზი) სულტან ტულ-

³ სწორედ განჯაში ცხოვრობდა ყარა-სონყურის ოჯახი და 1139 წ. მიწისძვრის დროს აქ დაიღუპა მისი ორი ვაჟი (იბნ ალ-ასირი, XI:77).

⁴ ჰიჯრის 535/17.VIII.1140-5.VIII.1141 წ.(ალ-ისუჰაანი/ალ-ბუნდარი, 1900:173). ან სომხური ერთი 589/15. II. 1140 - 13.II.1141 წ. (მხ.გოში, 1958:483).

⁵ არაბულსა და სპარსულ წყაროებში ეს სახელი დამოწმებულია **أحمد كز**, **الد كز** და **الد كزر** ფორმებით (ალ-ფარაჟი, 1908: 361,362,363; იბნ ალ-კალანისი, 1983:459; ალ-პუსაინი: 74ბ, 78ბ; იბნ ალ-ასირი, XI:132,196,207; ჯამდ-ყაზვინი, 1937:54), სომხურ და ქართულ წყაროებში კი ელტაუზ,ელდიგუზ,ელდაგუზ,ელდიგოზ და ილდ-ლუზ ფორმებით (მხ.გოში,1968: 145,146; ვარდანის: 155,156; მხ.აირივანეცი: 34,79; ქც.1, 1959: 15,19,66; ქც.1,1955:367). სწორედ ამ უქანასკნელთა საფუძველზე ვ-

რილ ბ.მუჰამადის მამულეკი იყო და შემდეგ ამირას რანგამდე აღზევდა.⁶ ტულრილ-მა ის თავისი მცირეწლოვანი ვაჟის არსლან-შაჰის ათაბაგად დანიშნა. ტულრილის გარდაცვალების შემდეგ ელდიგუზი მას'უდის სამსახურში ჩადგა. 1136 წ. მან იქტად მიიღო არჩანის ნაწილი ქმარდავითურთ და დაქორწინდა ტულრილის ქვრივზე მუმინა-ხათუნზე. იბნ ალ-ასირი ელდიგუზს განჯისა და არჩანის მფლობელად უკვე 543/1148 წლისთვის იხსენიებს (იბნ ალ-ასირი, XI:132), მაგრამ ეს ცნობა ასახავს უფრო იმ პოზიციას, რომელიც მან ცოტა მოგვიანებით, 1154 წ. მოიპოვა. ამ დროს ის უპირისპირდებოდა სულტან მუჰამად II ბ. მამულს.

მუჰამად II, რომელმაც ძალაუფლება ხელთ იგდო 1153 წ. მაისში, 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის თანახმად იყო ყველაზე დიდებული, განათლებული და სამართლიანი იმდროინდელ სხვა სელჩუკიანთა შორის (ალ-ისფაჰანი/ალ-მუნდარი, 1900:262; Bosworth, 1968:169). ექვსი წლის მმართველობის მანძილზე ის ენერგიულად ცდილობდა ერაყში სელჩუკთა შერყეული ავტორიტეტის აღდგენას. ებრაძოდა ტახტის სხვა პრეტენდენტებს, მათ დამხმარე თურქ ამირებსა და აბასიან ხალიფას ალ-მუკთათის (1136-1160), რომელსაც სურდა თავი დაედწია სელჩუკთა ბატონობისგან.

1153 წ. მაისში მუჰამად II-მ სიკვდილით დასაჯა ხასს-ბექ ფალანგ-არი და მისი თავი, დაშინების მიზნით, ელდიგუზსა და მარალის მფლობელს ნუსრათ ად-დინ არსლან-აბა ალ-აჰმადილის გაუგზავნა, მაგრამ თურქი ამირების რეაქცია საწინააღმდეგო იყო. ისინი განუდგნენ სულტანს და დაუკავშირდნენ მის ბიძას სულაიმან-შაჰს.

სულაიმან-შაჰი ხეარაზმ-შაჰის 'ალა ად-დინ ათისის (1127-1156) ძმების ინალ-თეგინის, იუსუფისა და სხვა თურქი ამირების მხარდაჭერით ჯიბალში შეიქრა. მან ხელთ იგდო ჰამადანი და დაიკავა სულტნის ტახტი, მაგრამ გაუთავებელი ლოთობით მალე გადაიმტერა და ამხედრა მოკავშირე ამირები და იძულებული გახდა გაქცეულიყო. ეს მოხდა ჰიჯრის 548/29. II. 1153 — 17. III. 1154 წ. (ალ-ისფაჰანი/ალ-მუნდარი, 1900:214), არა უადრეს 1153 წ. მიწურულისა, უფრო 1154 წ. დასაწყისში (17 მარტის ჩათვლით)⁷, მაგრამ მანამდე ელდიგუზმა

მინორსკიმ, ვფიქრობთ, მართებულად უპირატესობა მიანიჭა „ელდიგუზ“ ფორმას (Minorsky, 1953: 92.შენ.1). მის პარალელურად იხმარება „ილდეგიზი“ (Гусейнов, 1970; ალ-პუსაინი: 257-საძიებელი). მაგრამ უკანასკნელ ხანებში გავრცელდა ამ სახელის სხვა წაკითხვა: ილ-დენიზი, რომელიც შედგება ორი კომპონენტისგან. „ილ“ („ელ“)-ხალხი და „დენიზი“ („დენგიზი“, „თენგიზი“)-ზღვა (Буниятов, 1978:44). აღვნიშნავთ, რომ ამ წაკითხვას (რომელიც არ დასტურდება ქართულსა და სომხურ წყაროებში) ე.მინორსკი მიიჩნევდა შეუძლებლად და მოდერნიზებულად (Minorsky, 1953:92, შენ.1).

⁶ შაჰს ად-დინ ელდიგუზის მოღვაწეობის შესახებ იხ. Bala, 1970:1110; Буниятов, 1978:44-67.

⁷ სულაიმან-შაჰი დიდი ხნის მანძილზე სულტან მას'უდს ჰყავდა დაპატიმრებული. მას'უდის სიკვდილის წინ მან მოახერხა გაქცევა ხორასანში სულტან სანჯართან, რომლის

მიატოვა სულაიმანი და დაბრუნდა აზერბაიჯანში იმ მიზნით, რათა დაეღაშკრა არარანი და წაერთმია ეს მხარე რავადისტების, რომელიც აქ ჯერ კიდევ მას'ულის დროს დაინიშნა (ალ-ისფაჰანი/ალ-მუნდარი, 1900:212; მს.გომი, 1968:43). ელდიგუზმა მიზანს მიაღწია და 1154 წ. არარანი განჯითურთ თავის კონტროლს დაუქვემდებარა. 549/1154-55 წ. ელდიგუზმა და ნუსრათ ად-დინ არსლან-აბამ არღებილიდან გააძევეს ამირა ალუში (არლუში, ერგიში) (ალ-ისფაჰანი/ალ-მუნდარი, 1900:222; Dowsett, 1958:485). ამ დროს ეს ორი პიროვნება განაგებდა მთელ არარანსა და აზერბაიჯანს.

550/1155 წ. ელდიგუზმა კვლავ გაუწია დახმარება სულაიმან-შაჰს, რომელიც მცირე რაზმით გამოჩნდა ბალდადში. სულაიმან-შაჰის გამოსვლა ამჯერადაც მარცხიანი აღმოჩნდა. მიუხედავად ელდიგუზისა და ხალიფას მხარდაჭერისა 551/1161 წ. მუჰამად II-მ ნახჭევანთან დაამარცხა და დაატყვევა ის. შემდეგ სულტანმა შეიწყალა ელდიგუზი, რომელმაც მას მორჩილების ნიშნად თავისი ვაჟი ფაჰლავანი გაუგზავნა (*Буниятов*, 1978:41).

1157 წ. მარტში მუჰამად II ბალდადს შემოეწყო, რათა დაესაჯა ხალიფა ალ-მუკათფი და მისი ვეზირი იბნ ჰუბაირა. იბნ ჰუბაირამ შეძლო სულტანის წინააღმდეგ დაერაზმა უკმაყოფილო თურქი ამირები, რომელთა შორის იყო შამს ად-დინ ელდიგუზიც. ათაბაგმა სელჩუკ უფლისწულებთან არსლან-შაჰ ბ.ტულარილთან და მალიქ-შაჰ ბ. მაჰმუდთან ერთად დაიკავა ჰამადანი. მუჰამად II-მ ბალდადს ალყა მოხსნა, ჯიბალში დაბრუნდა, რეისთან დაამარცხა ელდიგუზი და დააპირა ბალდადზე ახალი ლაშქრობა, მაგრამ 1159 წ. დეკემბერში გარდაიცვალა. სულაიმან-შაჰმა სულტანის ტახტი დაიკავა, მაგრამ უნიათო გამგებლის ზეობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1160 წ. ოქტომბერში ის შეთქმულმა ამირებმა დაამხეს, ერთი თვის შემდეგ კი ელდიგუზი 20 ათასიანი ლაშქრით შევიდა ჰამადანში და ტახტზე თავისი გერი, სელჩუკი უფლისწული არსლან-შაჰ ბ.ტულარილი დასვა (*Буниятов*, 1978:47). ამის შემდეგ არსლან-შაჰი მორჩილი იყო ათაბაგისა, რომელიც ერაყის სასულტნოს ფაქტობრივი გამგებელი გახდა. როგორც აღნიშნავს კლუთერი, არარანისა და აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ელდიგუზის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, შეერწყა სასულტნოს. ელდიგუზის ძალისხმევის შედეგად შეიქმნა სისტემა, რომელშიც ძალაუფლების სადავეები მას ეპყრა, ხოლო არსლან-შაჰი წარმოადგენდა სახელმწიფოს სიმბოლოურ, მაგრამ აუცილებელ მეთაურს (*Luther*, 1976:220). ასე გაგრძელდა ელდიგუზისა და არსლან-შაჰის მემკვიდრეების დროსაც (*Топурия*, 1982:190). 1194 წ. ერაყის

VIII. 1153 წ. სანჯარი დამარცხდა ლუზებთან ბრძოლაში და ტყვედ ჩაუვარდა მათ. 11 სექტემბერს სულაიმანი სულტნად გამოცხადდა, მაგრამ მალე ისიც დამარცხდა ლუზებთან და ხვარაზმს შეაფარა თავი, სადაც დაქორწინდა ხვარაზმ-შაჰის დაზე (თუ ძმის შვილზე). კბოსვორთი წერს, რომ სულაიმან-შაჰმა ხვარაზმი დატოვა 549/1154 წ. (*Bosworth*, 1968:154-55), მაგრამ, 'იმაღ ად-დინ ალ-ისფაჰანის მიხედვით ეს უფრო ადრე მოხდა.

სელჩუკიანთა დინასტიამ შეწყვიტა თავისი არსებობა, მაგრამ ელდიგუზიანთა საათაბაგოსა და ერაყის სელჩუკთა სასულტნოს ისტორიის (იხ. *Буниятов, 1978:44-95; Гусейнова, 1970:191-98; Bosworth, 1970:1111* და შმდ.) ეს პერიოდი აღარ შედის ჩვენი ინტერესების სფეროში.

2. დიარ-ბაქრის ართუკიანთა და აჰლავიანთა საამიროები

ა. ართუკიანთა საამიროები

ნაჲმ ად-დინ ილ-ლაზის სიკვიდილის (1122 წ.) შემდეგ მისი ვრცელი სამფლობელო დანაწილდა. მარდინი და მიათფარიკინი ხელთ იგდეს ილ-ლაზის ვაჟებმა თიმურ-თაშმა და სულაიმანმა. 1124 წ. სულაიმანი გარდაიცვალა და თიმურ-თაშმა დაიკავა მიათფარიკინიც. პალაბს დაეუფლა ილ-ლაზის ძმისშვილი, ხარბუტის (ხანძითში, დიარ-ბაქრის ჩრდილო-დასავლეთით) მფლობელი, ენერგოული და აგრესიული ბალაქ ბ.ბაჰრამი. ბალაქმა თავი გამოიჩინა ტრაპიზონთან და ჯვაროსნებთან ბრძოლებში. 1124 წ. ის მანბიჯის ალყის დროს დაიღუპა (*Cahen, 1959:983*). თიმურ-თაშმა, რომელიც თან ახლდა მას, დროებით დაიკავა პალაბი, მაგრამ მალე დაკარგა ის. ამის შემდეგ ართუკიანებმა საბოლოოდ აიღეს ხელი ჩრდილოეთ სირიაზე.

ბალაქის სიკვიდილის შემდეგ ხარბუტი შეიერთა ჰისნ-ქაიფას მფლობელმა ართუკიანმა და უდ ბ.სუქმანმა, რომელიც ილ-ლაზის მსგავსად დიდი გავლენით სარგებლობდა თურქმენებში (*Hillenbrand, 1981 მ: 142*). ენერგოულმა და უდმა გაათვართვა თავისი სამფლობელო ვანის ტბის მიმართულებითაც. ილ-ლაზის შემდეგ ართუკიანთაგან მხოლოდ მას ჰქონდა ინტერესი ამიერკავკასიისადმი. ამას მოწმობს მისი მონაწილეობა საქართველოს წინააღმდეგ კოალიციურ ლაშქრობაში 1125 წ. (იხ. *ფვშთთ, გვ. 86-7*), მაგრამ მავსილის მძლავრი ათაბაგის 'იმად ად-დინ ზენგის აგრესიამ დააცხრო და უდის აქტივობა.

1130 წ. ზენგიმ სასტიკად დაამარცხა ართუკიანთა და დიარ-ბაქრის სხვა თურქმენი ამირების გაერთიანებული ძალები. თიმურ-თაში ზენგის ვასალი გახდა, ხოლო და უდი, რომელიც განაგრძობდა ურჩობას, ათაბაგის მუდმივი მუქარის ქვეშ მოექცა. 1134 წ. ზენგიმ თიმურ-თაშთან კავშირში სძლია მას, ხოლო 539/1144-45 წ. და უდის გარდაცვალების შემდეგ დაიპყრო თითქმის მთელი მისი საამირო და პრეტენზია განაცხადა თიმურ-თაშის კუთვნილ მიათფარიკინზეც. 1146 წ. ზენგი მოკლეს და ართუკიანებმა შევბით ამოიხუნთქეს. და უდის ვაჟმა ყარა-არსლანმა (1144-1167) ცნო უზენაესობა თიმურ-თაშისა, რომელმაც განიმტკიცა თავისი პოზიციები დიარ-ბაქრში (*Hillenbrand, 1981მ:145,147-49*).

ძლიერი მეზობლებით (ზენგიანები, შაჰ-არმენები) გარშემორტყმული ართუკიანთა საამიროების ინტერესები დიარ-ბაქრით შეიზღუდა. ზენგის მემკვიდრე, სირიის გამგებელი ნურ ად-დინ მაჰმუდი მათ მოკავშირეებად იყენებდა ფრანკებისა და ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლებში. თავისი უსაფრთხოების განმ-

ტიციების მიზნით თიმურ-თაშის⁸ მემკვიდრე ნაჰმ ად-დინ ალბი (1154-1176) შაჰ-არშენ სუქმან II-ის მფარველობას ეძიებდა. სუქმან II ერეოდა დიარ-ბაქრის საქმეებში, მაგრამ ნურ ად-დინის გაძლიერებამ აიძულა ართუკიანები თავი მის ვასალად ეცნოთ (Cahen, 1958ა:665). ნურ ად-დინის სიკვდილის (1176 წ.) შემდეგ შაჰ-არშენის გავლენა დიარ-ბაქრზე ხელახლა გაძლიერდა. სუქმან II-მ მემკვიდრედ გამოაცხადა ნაჰმ ად-დინ ალბისა და თავისი ნახევარდის ვაჟი კუტბ ად-დინ ილ-ლაზი II (1176-1184).

XII ს.80-იან წლებში ართუკიანები დადგნენ სალაჰ ად-დინის აგრესიის საფრთხის წინაშე. ეგვიპტის სულტანი, რომელიც თანდათან დაეუფლა ნურ ად-დინ ზენგის მემკვიდრეობას სირიასა და ალ-ჯაზირაში, მოუახლოვდა დიარ-ბაქრსაც. 1185 წ. აიუბიანებმა მარდინის ართუკიან ამირას ჰუსამ ად-დინ იულუკ-არსლანს წაართვეს მიათაროკინი, რომელიც აკონტროლებდა გზას ალ-ჯაზირადან ვანის ტბისა და ჩრდილოეთ სომხეთისაკენ (Humphreys, 1977:56,83). იმავე წელს გარდაიცვალა ჰისნ-ქაიფას და ამიდის ართუკიანი გამგებელი ნურ ად-დინ მუჰამად ბ.ყარა-არსლანი და მისმა ვაჟებმა კუტბ ად-დინ სუქმანმა და 'იზად ად-დინმა დაინაწილეს მამის სამფლობელო და ცნეს აიუბიანთა სულტნის უზენაესობა (იზნ ალ-ასიბი, XI: 514-15). 'იზად ად-დინი, რომელიც ხარბუტს დაეუფლა, მოგვიანებით რუმის სულტნის რუქნ ად-დინ სულაიმან-შაჰის მოკავშირე გახდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბ. აჰლაბიანთა საამირო

თუთუშის სიკვდილის (1095 წ.) შემდეგ თურქმენმა ამირამ ჰუსამ ად-დავლა ილ-თეჰინმა⁹ ხელთ იგდო ქარზანი — მიათაროკინის (დიარ-ბაქრში) მახლობლად და ქბითლისი (სომხ. ბაღეში, არაბ. ბიდლისი) 25 კმ-ზე ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, იმ დაბლობზე, რომელზედაც გადიოდა ერთადერთი გზა თავრის გადაჭრით ვანის ტბის აუზიდან დიარ-ბაქრის ზეგანისა და ალ-ჯაზირას დაბლობისაკენ. 1106 წ. მან მორჩილება გამოუცხადა დიარ-ბაქრში შეჭრილ მცირე აზიის სელჩუკთა გამგებელს ყილიჩ-არსლანს, ხლათის მფლობელის სუქმან ალ-კუტბის გარდაცვალების (1112 წ.) შემდეგ კი მისსაკუთრა მისი კუთვნილი 25 სოფელი

⁸ თიმურ-თაშის გარდაცვალების თარიღად მიღებულია 547/ 1152 წ. (Босворн, 1971:166). კ.კაენი მიუთითებს 547 და 548 წლებს (Cahen, 1935:254), მაგრამ ალ-ფაროკი, რომელიც ახლოს იყო მარდინის ართუკიანებთან, წერს, რომ თიმურ-თაში აღესრულა 548 წ. 2 ზულ-კა'დას (ალ-ფაროკი: 176ბ-177ა) — ე.ი. 19. I. 1154 წ. აღსანიშნავია, რომ მისი სიკვდილი 549 წ. 4 მუჰარრამს/21. III. 1154 წ. შეატყობინეს დემეტრე I-ს, რომელიც დარუბანდის სანახებში იდგა. ალ-ფაროკი ამ დროს თან ახლდა ქართველ მეფეს.

⁹ ჰუსამ ად-დავლა ილ-თეჰინი თითქოს იგივე მუჰამად ბ. დილმაჩია, რომელიც 1071 წ. მონაწილეობდა მანასკერტის ბრძოლაში. ო.თურანი, რომელიც ამ იგივეობას ხედავს, მიიჩნევს, რომ იმ დროს თურქ ბეგებს ორი სახელი ჰქონდათ: თურქული და მუსლიმური (Turan, 1973:111), ამ შემთხვევაში ილ-თეჰინი და მუჰამადი.

მაიაფარიკინის სანახებში (ალ-ფარიჟი: 157მ,160ა; Cahen,1935:231,234; Lewis,1959:1201).

1119 წ. ასპარეზზე ჩანს ჰუსამ ად-დავლას ვაჟი შამს ად-დავლა ტულან-არსლანი, რომელიც არზანისა და ბითლოსის აჰდაბიანთა დამოუკიდებელი საამიროს¹⁰ ფაქტობრივი ფუძემდებელია. ამ საამიროს ფარგლებში მოგვიანებით დასახელებულია ქვასტანიც (იბნ ალ-ასირი, XII: 492; იბნ შადედი, III/2:458). ტულან-არსლანი ატარებდა ზედსახელს „ალ-აჰდაბ“, რაც კუზიანს ნიშნავს. ვარდანისა და თამარის პირველი ისტორიკოსისათვის ის კუზის სახელით არის ცნობილი (ვარდან: 150; ეც, II, 1959: 7). იბნ ალ-ასირი და იბნ შადედი არზანისა და ბითლოსის თურქმენი ამირების ამ საგვარეულოს აჰდაბის, ან ტულან-არსლანის სახლს (ბაჰთ ალ-აჰდაბ, ბაჰთ ტულან-არსლან) უწოდებენ (იბნ ალ-ასირი, XII: 492; იბნ შადედი, III/2:458,538,540). ტულან-არსლანის პაპის — დილმაჩის (დიმლაჩი) მიხედვით ო.თურანი მის საგვარეულოს დილმაჩიანებს (დიმლაჩიანებს) უწოდებს (*Turan*, 1973:111-16). ჩვენ უპირატესობას აჰდაბიანებს ვანიჭებთ.¹¹

ტულან-არსლანი ნაჰმ ად-დინ ილ-ლაზის ვასალი და მოკავშირე იყო და მასთან ერთად მონაწილეობდა 1121 წ. დანისთან ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში (იბნ ალ-ასირი, X: 554; იბნ ალ-აჰდიმი, II, 189-192). 1121 წ. მან მხარი დაუჭირა ილ-ლაზის, რომელმაც ილაშქრა საქართველოზე, მაგრამ დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიიღო. ამ დროს ის იხსენიება როგორც არზანისა და ბითლოსის, ისე დვინის (სომხეთში) გამგებლად (ალ-ფარიჟი: 161მ; ალ-ფარიჟი, 1985:88; თთფურია, 1975:97). დვინი მან, საფიქრებელია, წაართვა არზრუმის ამირას ლაზის (იხ. ეყვით). 517/1123-24 წ. ტულან-არსლანი სირიაშია, სადაც დახმარება აღმოუჩინა ჰომსის ამირას დამასკოს ათაბაგის ტულ-თეგინის წინააღმდეგ ბრძოლაში (იბნ ალ-ასირი, X: 617). სომხეთიდან ტულან-არსლანი ერეოდა არარანის საქმეებში. მისი მხარდაჭერით შარვან-შაჰმა მანუჩიჰრ III-მ დაამარცხა მარაღის მფლობელი ნუსრათ ად-დინ არსლან-აბა (1132-33 — 1174-75) და დაიკავა არარანის ნაწილი (*Hasan*, 1958: 15-16; *Буниятов*, 1978:152).¹² როგორც ვხედავთ, ტულან-არსლანის მოღვაწეობის არეალი საკმაოდ ვრცელი იყო.

ტულან-არსლანი გარდაიცვალა 528/1. XI. 1133 — 21. X. 1134 წ. (ალ-ფარიჟი: 168ა; Cahen, 1935: 246), ან 532/19. IX. 1137 — 7. VIII. 1138 წ.

¹⁰ აჰდაბიანთა საამიროს ისტორიის შესახებ იხ. *Turan*, 1973:111-16. *Sevim, Yücel*, 1989: 205-6.

¹¹ ე.ცამბაურს თავის ნაშრომში მუსლიმური დინასტიების შესახებ ეს საგვარეულო არზანისა და ბითლოსის შაჰების სახელწოდებით შეაქვს (*Zambaur*, 1927:231).

¹² კ. ბოსვორთი წერს, რომ ტულან-არსლანმა დაიკავა განჯაც (*Bosworth*, 1968: 130), მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

(ალ-‘აზიმი, 1938:416; იმნ ალ-ჯალანისი, 1983:419). არზანისა და ბითლოსის ამირა გახდა მისი ვაჟი ჰუსამ ად-დავლა კურთი (სომხ.ხურთი), რომელმაც ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, 1130 წ. ხელახლა დაიკავა დვინი და დაქრა მისი გამგებელი ფადლონი (ვარდან: 150; თოფურია, 1975:100).

დიარ-ბაქრში კურთის კონტაქტები ჰქონდა იმად ად-დინ ზენგისთან (უსამა მ. მუნჯიზი: 157-58), უბირისპირდებოდა და უღ ბ.სუქმანს და 1139 წ. კი თიმურ-თაშის მოკავშირე გახდა (ალ-ფარაბი: 169ა). 532/1137-38 წ. მან სძლია სელჩუკ უფლისწულს სელჩუკ-შაჰს, რომელმაც არზანი და ხლათი იკტად მიიღო სულტან მას’უდისაგან (ალ-ჰუსაინი: 62ა; ალ-‘აზიმი, 1938: 416) და შეინარჩუნა თავისი საამირო.

სომხეთში ტულან-არსლანთან ერთად კურთის კონფრონტაცია ჰქონდა დემეტრე I-თან. იმნ ალ-ჯალანისიმ შემოგვინახა ცნობა მისი ძალმომრეობისა და სისასტიკის შესახებ (იმნ ალ-ჯალანისი, 1983:420), რაც ქართველებზე გარნისის ბრძოლაში გამარჯვების დროსაც გამომეტყველდა.

კურთი გარდაიცვალა 538/16.VII. 1143 — 3.VII.1144წ. (ალ-ფარაბი: 174ა). ის შეცვალეს მისმა ძმებმა იაკუთ-არსლანმა (1143-44 — 1146) და ფახრ ად-დინ დავლათ-შაჰმა¹³ (1146—1192). ფახრ ად-დინი განიცდიდა ძლიერ დაწოლას ჰინს-ქაიფას და მარდინ-მაიაფარიკინის ართუქიანებისა და შაჰ-არმენ სუქმან II-ისგან. 552/1157 წ. ის გახდა ყარა-არსლანის მოკავშირე, რის გამოც მისი სამფლობელო დაარბიეს ნაჯმ ად-დინ ალბიმ და სუქმან II-მ (ალ-ფარაბი: 182ა). 1161—1164 წლებში ის უკვე ნაჯმ ად-დინ ალბისა და შაჰ-არმენ სუქმან II-ის მოკავშირეა გიორგი III-სთან და ყარა-არსლანთან ბრძოლებში.

ფახრ ად-დინ დავლათ-შაჰი 1162 წლამდე ინარჩუნებდა დვინს, ვიდრე ეს ქალაქი ქართველებმა არ აიღეს. რამდენიმე წლის შემდეგ დვინი ელდიგუზიანთა კონტროლს დაექვემდებარა და აჰდაბიანებმა საბოლოოდ დაკარგეს ინტერესი ამიერკავკასიისადმი.

აჰდაბიანთა საამიროს მძიმე დღეები დაუდგა XII ს. 80—90-იან წლებში. დიარ-ბაქრში აიუბიანთა ექსპანსიის პირობებში ადვილი არ იყო სწორი პოლიტიკური არჩევანის გაკეთება. 1192 წ. შაჰ-არმენმა ბეგ-თიმურმა ბრალად დადო აჰდაბიანთა ამირას კავშირი სალაჰ ად-დინთან და წაართვა მას ბითლოსი (Lewis, 1959: 1201). საკუთრივ არზანის საამიროს ისტორია კი დასრულდა 1230 წ. აიუბიანმა ალ-მალოქ ალ-აშრაფმა გააუქმა ის (იხ. ქვემოთ, გვ. 193) და არზანი მაიაფარიკინის აიუბიანი გამგებლის შიჰან ად-დინ ლაზის სამფლობელოს შეუერთა (იმნ ალ-ასირი, XII:492).

¹³ ვ.მინორსკი ალ-ფარაბის დამოწმებით არასწორად მიუთითებდა, რომ ფახრ ად-დინ დავლათ-შაჰი მოკვდა 539/1144 წ. (Minorsky, 1953:90.შენ.1). სინამდვილეში, ალ-ფარაბის ცნობით, 539 წ. გარდაიცვალა არა ფახრ ად-დინი, არამედ ჰინს-ქაიფას გამგებელი და უღ ბ.სუქმანი.

3. შაკ-არმენთა სახელმწიფო

შაკ-არმენთა სახელმწიფოს¹⁴ (საამიროს) ფუძემდებელია ამირა სუქმან¹⁵ ალ-კუტი. ის იყო სულტან ალფ-არსლანის ძმის შვილიშვილის, ქმარანდისა და აზერბაიჯანის დიდი ნაწილის გამგებლის კუტბ ად-დინ ისმა'ილ ბ.იაკუთის თურქი მამლუკი, რომელმაც სახელი გაითქვა დიდი სიძამატითა და ნიჭით. მისი ნისბა ალ-კუტი მომდინარეობს ისმა'ილ ბ.იაკუთის ლაგაბიდან (კუტბ ად-დინ) (ამუ ლ-ფიდა', II:212; იმნ ხალდენი, V:373).

სუქმან ალ-კუტი ისტორიული წყაროების ფურცლებზე პირველად 493/1099—1100 წ. იხსენიება. ამ დროს, მარვანიანი გამგებლის ძალმორეობით შეწუხებულმა ხლათელებმა ქალაქი სუქმანს გადასცეს. მალე მან იკრად მიიღო ქ. არჰემიცი. 1103 წ. ხოისთან ბრძოლაში ის ბარქიარუკის წინააღმდეგ, მუჰამადის მხარეზე იბრძოდა. დამარცხებულმა მუჰამადმა მის სამფლობელოებს, ჯერ არჰემს, მერე კი ხლათს შეათარა თავი (იმნ ალ-ასირი, X:360-61; ამუ ლ-ფიდა', II:212; იმნ ხალდენი, V:373).

1104 წლის ზაგიტ, რომელიც ბარქიარუკსა და მუჰამადს შორის დაიდო, ვანის ტბის რეგიონი მუჰამადს დაექვემდებარა. სუქმან ალ-კუტი კვლავ მის სამსახურში იყო. 1104 წ. ის თან ახლდა მუჰამადს მავსილის გარემოცვის დროსაც. 1105 წ. დასაწყისში, ბარქიარუკის სიკვდილის შემდეგ, მუჰამადი სუქმან ალ-კუტბისთან ერთად გაემართა ბაღდადს, რათა სულტნის ტახტი დაეკავებინა (იმნ ალ-ასირი, X:382-385). 502/1108-9 წ. სუქმანმა სულტან მუჰამადის სხვა ერთგულ თურქ ამირებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მავსილის ახალ ალყაში, 1109 წ. მაისში კი მან, თითქმის ხუთთვიანი ალყის შემდეგ, აიღო დიარ-ბაქრის მნიშვნელოვანი ქალაქი მაიათარიკინი (ალ-ფატიჰი: 159ა; იმნ ალ-ასირი, X:384, 457, 471). XII ს. პირველი ათწლეულის მიწურულში სუქმან ალ-კუტბის ხელთ იყო თავრიზი და, შესაძლოა, მარანდი, მაქუ, ხოი და აზერბაიჯანის სხვა ქალაქებიც. 505/1111-12 წლისათვის არაბი ავტორები მას თავრიზისა და დიარ-ბაქრის ნაწილის, ან სომხეთისა (არმინია) და მაიათარიკინის მფლობელს უწოდებენ (იმნ ალ-ვალანისი, 1983:270; იმნ ალ-ასირი, X:485; *Sümer*, 1986:471).

1110—1112 წლებში სუქმან ალ-კუტი სულტან მუჰამადის ბრძანებით მავსილის გამგებელთან მავდუდთან და სხვა თურქ ამირებთან ერთად მონაწილე-

¹⁴ შაკ-არმენთა სახელმწიფოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ ნაწილობრივ წარმოდგენას გვიქმნის სომეხ და თურქ მკვლევართა შრომები: თურშიანი, 1964:114-134; ტერ-ლუ-ეონდიანი, 1976:487-90; პაკობიანი, 1968:311-12; *Sevim, Yücel*, 1989:215-17. *Turan*, 1973:83-111; *Sümer*, 1986:447-494.

¹⁵ ფს.უმერი აღნიშნავს, რომ სახელი სუქმანი (თურქ.სოქმენ) მიღებულია ზმნისთვის *Sok* (დახვევა, დაგლეჯვა) ბოლოსართ *men*-ის დამატებით. ის იმოწმებს ლექსიკოგრაფ ქაშდარის, რომლის ცნობითაც სუქმანი იყო ტიტული, რომელიც ენიჭებოდა; ეაქა-ეცბსა და გმირებს (*Sümer*, 1986:470).

ობდა ჯვაროსანთა წინააღმდეგ ომებში. 1112 წ. ზაფხულის კამპანიის დროს ის მძიმედ გახდა ავად და უკანდაბრუნებული გზაში გარდაიცვალა (იხმ ალ-ჯალანისი, 1983:279; ალ-აზიმი, 1938:381).¹⁶ ხლათი და მიათაროიკინი სუქმანის ვაჟის ზაჰირ ად-დინ იბრაჰიმის ხელში გადავიდა (ამუ ლ-ფიდა', II:213). მართალია, მან დათმო მიათაროიკინი, რომელსაც 1118 წ. ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზი დაეუფლა,¹⁷ დაკარგა სხვა პუნქტებიც დიარ-ბაქრის საზღვრებთან, ისევე როგორც აზერბაიჯანის ის ქალაქები, რომელთაც სუქმანი ფლობდა, მაგრამ შეინარჩუნა ხლათი და ვანის ტბის სანაპიროები. 520/27 .I. 1126 — 16.I.1127 წ. იბრაჰიმი, ალ-აზიმის ცნობით, შეეცვალა მისმა ძმამ ია'კუბმა (ალ-აზიმი, 1938:397). აბუ ლ-ფიდას თანახმად კი იბრაჰიმი დაიღუპა (ჰულიქა) 521/17. I. 1127 - 5.I. 1128 წ. და ხლათი დაიკავა მისმა ძმამ აჰმადმა, რომელიც მოკვდა 10 თვის მმართველობის შემდეგ (ამუ ლ-ფიდა', II:226). ამის შემდეგ ხლათის გამგებელი გახდა იბრაჰიმ ბ.სუქმანის ვაჟი ექვსი წლის სუქმან II, რომელმაც ნასირ ად-დინის ტიტული მიიღო. სუქმან II-ის მცირეწლოვანების გამო რეგენტად დაინიშნა მისი ბებია, სუქმან ალ-კუტბის მეუღლე ინანჩ-ხათუნი.

დაახლოებით 528/1133-34 წ. მაესილის ათაბაგი 'იმად ად-დინ ზენგი მიადგა ხლათის კედლებს და მზითვის ხელშეკრულება გააფორმა სუქმან ალ-კუტბის ასულთან, რომელიც ადრე ჰყავდა დანიშნული (ქსამა მ.მუნვიზი: 157). ფ.სუმერი ვარაუდობს, რომ ათაბაგს სურდა ესარგებლა ინანჩ-ხათუნის სისუსტით და ამ ქორწინებით დაესაკუთრებინა ხლათი (Sümer, 1986:475). ასეთმა ვითარებამ შესაძლოა დააჩქარა რეგენტის დამხობა: სომეხი და არაბი ავტორები მოგვითხრობენ, რომ ინანჩ-ხათუნმა, რომელსაც ბრალად ედებოდა თავისი ვაჟების დახოცვა, მოინდომა შეილიშვილის მოკვლა, მაგრამ თავად იქნა მოკლული ხლათის დიდებულთა მიერ (ვარდანი: 151; ამუ ლ-ფიდა', II:226; იხმ ხალეფნი, V :373). ვარდანის თანახმად, ეს მოხდა განჯის 1139 წ. მიწისძვრამდე 7 წლით ადრე (ვარდანი: 151), ე.ი. 1132 წ. მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს აბუ ლ-ფიდა', რომელიც ასახელებს 528/1133-34 წ. (ამუ ლ-ფიდა', II:226).

სუქმან ალ-კუტბის ვაჟების ურთიერთობა სელჩუკ სულტნებთან უცნობია. მოგვიანებით, 1136 წ. სუქმან II-ის ძალუფლებას ერასყის სელჩუკთაგან რეალური

¹⁶ სუქმან ალ-კუტბის სამფლობელოს ხელში ჩაგდება სურდა მარალის გამგებელს აყ-სონყურ ალ-აჰმადილის, რომელიც ჯვაროსნებთან ომში ასევე თან ახლდა მავდულს. ალ-აჰმადილიმ ამ მიზნით მიატოვა მოკავშირეები და უკან დაბრუნდა, მაგრამ ვერ შეძლო ჩანაფქრის განხორციელება (იხმ ალ-ჯალანისი, 1983:279; იხმ ალ-ასირი, X:487).

¹⁷ ილ-ლაზი მტრობდა ჯერ კიდევ სუქმან ალ-კუტბის. მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა 1110 წ. ჯვაროსანთა წინააღმდეგ კამპანიის დროს. ილ-ლაზი თავისი ჭარბით მარდინში დაბრუნდა, ხოლო სუქმანმა დაატუსაღა ილ-ლაზის ძმის შეილი ბალაქი. როცა სუქმან ალ-კუტბი გარდაიცვალა და მის ცხედარს ხლათში მისვენებდნენ, ილ-ლაზი დაეცა სუქმანის მეომრებს, მაგრამ დამარცხდა (იხმ ალ-ჯალანისი, 1983:272; იხმ ალ-ასირი, X:486).

საფრთხე დაემუქრა. სულტან მას უღისა და ხალიფა ალ-მუსთარშიდის კონფლიქტში ხლათის მფლობელის ნეიტრალურმა პოზიციამ გააღიზიანა სულტანი და მან ხლათი (აჰდაბიანთა ბითლისთან ერთად) თავის ძმას სელჩუკ-შაჰს უბოძა იკტად (ალ-ჰუსაინი: 62ა; *Sümer* 1986:474). სელჩუკ-შაჰმა ალჟა შემოარტყა ხლათს, მაგრამ ვერ აიღო ის (ალ-ფაჩივი: 167მ). 533/8. IX. 1138 – 27. VIII. 1139 წ. სელჩუკ-შაჰი არრანის ათაბაგ ყარა-სონყურთან ერთად ფარსის ათაბაგ ბოზ-აბას წინააღმდეგ ომში ჩაება, ტყვედ ჩავარდა და ტყვეობაში გარდაიცვალა (იბნ ალ-ასირი, XI:70). სუქმან II-მ შეინარჩუნა ძალაუფლება. ის 1185 წლამდე განაგებდა თავის სამფლობელოს და ხლათის გამგებელთა შორის პირველია, რომელიც იხსენიება შაჰ-არმენის, ე.ი. სომეხთა მეფის ტიტულით (ვარდანი: 151; ამჟ ლ-ფი-და', II: 226; იბნ ხალდუნი, V:373).

სუქმან II-ის პოლიტიკური ინტერესები მჭიდროდ იყო დაკავშირებული დიარ-ბაქრთან და ჩრდილოეთ სომხეთთან. დიარ-ბაქრში მას კონტაქტები ჰქონდა ართუკიანებთან და უპირისპირდებოდა მავსილოს მძლავრ ათაბაგს 'იმაღ ად-დინ ზენგის, რომელიც თანდათან აფართოებდა თავის სამფლობელოს ჭვაროსნებისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის წვრილი თურქმენი ამირების ხარჯზე. 537/1142-43 წ. ზენგიმ დაიპყრო ვანის ტბის სამხრეთით უშუალოდ შაჰ-არმენთა სახელმწიფოს საზღვრებთან მდებარე ჰიზანი, ალ-მა'დინი, ბალტიში და ირვინი, რომლებიც ეკუთვნოდა ზემოხსენებული ყიზილ-არსლანის (ამირა ხიზილის) ვაჟს ია'კუბს (ალ-ფაჩივი:170ა). მაგრამ როგორც კი ზენგი მოკლეს (IX. 1146 წ.) სუქმან II-მ დაიკავა ეს ადგილები (ალ-ფაჩივი: 172მ; *Cahen*, 1935:252). შაჰ-არმენისთვის ასევე საშიში იყო 'იმაღ ად-დინ ზენგის მემკვიდრე ნურ ად-დინ მაჰმუდი, რომელმაც 568/1173-74 წ. რუმის სელჩუკთა სულტნის ყილიჩ-არსლანის სასტიკი დამარცხების შემდეგ აბასიანთა ხალიფასგან მიიღო ინვენსტიტურა რუმის ქვეყანაზე, ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და ხლათზე (იბნ ალ-ასირი, XI:392,395), მაგრამ 1174 წ. სიკვდილმა ხელი შეუშალა მას განეხორციელებინა თავისი დიდი ექსპანსიონისტური გეგმა.

დიარ-ბაქრის ართუკიანთა ურთიერთდაპირისპირებამ საშუალება მისცა სუქმან II-ს განემტკიცებინა ამ რეგიონში თავისი გავლენა. უძეო სუქმანმა თავის მემკვიდრედ გამოაცხადა ართუკიანი ნაჰმ ად-დინ ალბისა და თავისი ნახევარდის ვაჟი კუტბ ად-დინ ილ-ლაზი. ეს უკანასკნელი 580/1184 წ. გარდაიცვალა და შაჰ-არმენმა მარდინში ტახტზე დასვა ახალგაზრდა იულუკ-არსლანი, რომლის ათაბაგადაც დანიშნა ნიზამ ად-დინ ალბ-კუში (იბნ ალ-ასირი, XII: 253).

1174 წ. აგვისტოში სასუენის სომხებმა, რომელთაც მაიაფარიკინის გამგებლის შიში ჰქონდათ, ამ მხარის ყველა ციხე გადასცეს შაჰ-არმენს (მიხ. სირიული, III/3, 1910:361; მიხ.სირიული, 1984:78; შარ ჰემრუჟსი, 1932:303).

სუქმან II-ის მოღვაწეობის მიწურულს ჩრდილოეთ მესოპოტამიაში გამოჩნდა ახალი მრისხანე ძალა — აიუბიანთა სახელმწიფოს ფუძემდებელი სულტანი

სალაპ ად-დინი, რომელმაც მანამდე თავისი ძალაუფლება გააგრძელა მთელ სირიაზე. 1183 წ. სალაპ ად-დინის ენერგიულმა ცდამ, დაეპყრო ზენგანთა და ართუკიანთა სამფლობელოები, განაპირობა მის წინააღმდეგ შაჰ-არმენის, ართუკიანი კუტბ ად-დინ ილ-ლაზი II-ის, არზანისა და ბითლისის მფლობელის ფახრ ად-დინ დავლათ-შაჰისა და მავსილოს გამგებლის 'იზზ ად-დინ მას'უდის სამხედრო კავშირი (შაჰა' ად-დინი: 1964:70-71; იმნ ალ-ასირი, XI:488; იმნ ვასილი, II:132-34). შეტაკება აიუბიანთა სულტანთან არ მომხდარა, მაგრამ ბრძოლა აიუბიანთა ექსპანსიის წინააღმდეგ სულ მალე სუქმან II-ის მეგკვიდრეების საზრუნავი და პრობლემა გახდა.

ჩრდილოეთ სომხეთში სუქმან II უპირობაპირობებოდა საქართველოს სამეფოს, რის შესახებაც ქვემოთ ვრცლად იქნება საუბარი. 1161 წ. შაჰ-არმენმა დახმარება აღმოუჩინა მარადის მფლობელს ნუსრათ ად-დინ არსლან-აბა ალ-აჰმადილის, რომლის დამორჩილებაც სურდა აზერბაიჯანის ათაბაგს შამს ად-დინ ელდიგუზს. მოკავშირეებმა მდ.სეფიდ-რუდთან სასტიკად დაამარცხეს ელდიგუზის ვაჟი ფაჰლავანი (იმნ ალ-ასირი, XI:268-69; თოფუჰია, 1975:154), მაგრამ ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როცა სუქმან II აზერბაიჯანის საქმეებში ჩაერია. საქართველოს სამეფოს სამხედრო წარმატებებმა ჩრდილოეთ სომხეთში და მასთან ბრძოლის აუცილებლობამ განაპირობა შაჰ-არმენის მჭიდრო კავშირი ელდიგუზიანებთან.¹⁸

ნასირ ად-დინ სუქმან II ძლიერი და გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე იყო. მას ნათესაური კავშირები ჰქონდა მეზობელ მუსლიმ ამირებთან. შაჰ-არმენს ცოლუბად ესვა არზრუმის გამგებლის 'იზზ ად-დინ სალთუკის ასული (ალ-ფატივი: 172მ), ან მისი და (იმნ ალ-ასირი, XI:280) შაჰ-ბანუვარი და აზერბაიჯანის ათაბეგის ფაჰლავან ბ.ელდიგუზის ქალიშვილი (იმნ ალ-ასირი, XI:514). სუქმანის ნახევარდა იყო მარდინის გამგებლის ნაჰმ ად-დინ ალბის ცოლი (ალ-ფატივი: 172ა).

1185 წ. 10 ივლისს სუქმან II უძეოდ გარდაიცვალა (იმნ ალ-ასირი, XI:512). ძალაუფლება ხლათში ხელთ იგდო სუქმან II-ის ერთ-ერთმა მამლუქმა საიფ ად-დინ ბეგ-თიმურმა¹⁹ (იმნ ალ-ასირი, XII:103), მაგრამ ხლათის დაუფლების სურვილი გაუჩნდათ აიუბიანთა სულტანს სალაპ ად-დინს, რომელსაც ამ დროს მავსილისთვის ჰქონდა ალყა შემორტყმული და აზერბაიჯანის ათაბაგს ფაჰლავან ბ.ელდიგუზს. ბეგ-თიმურმა მოხერხებულად გამოიყენა სულტნისა და ათაბეგის დაპირისპირება და შეინარჩუნა თავისი სამფლობელო. მან ფორმალურად აღიარა

¹⁸ აღსანიშნავია, რომ ჰიჯრის 570 წ. რაბი' ალ-ავეალში (1174 წ. ოქტომბერი), როცა გარდაიცვალა შამს ად-დინ ელდიგუზის ცოლი, სელჩუკი სულტნის არსლან-შაჰის დედა და ეს ამბავი ხლათში გაიგეს, იქ გლოვა გამოცხადდა (ალ-ფარიკი: 200ა).

¹⁹ ფ.სუმერი თელის, რომ სწორი ფორმაა ბეჟ-თემური. მისი განმარტებით „ბეჟ“ ნიშნავს ძლიერს, მყარს (Sümer, 1986:484).

ფაქლავანის უზენაესობა.²⁰ რაც შეეხება სალამ ად-დინს, მან ხელთ იგდო ქ.მაი-
აფარიკინი და შექმნა მძლავრი პლაცდარში შაჰ-არმენთა სახელმწიფოს წინა-
აღმდეგ ბრძოლაში.

1191 წ. ბეგ-თიმურმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია მის სამფლობელოში
შეჭრილ სალამ ად-დინის ძმისწულს თავი ად-დინ 'უმარს. თავი ად-დინი შემო-
ეწყო მანასკერტს, მაგრამ მალე მოულოდნელად გარდაიცვალა (იხნ ალ-ასირი,
XII:63; აშუ ლ-ფიდა', *III:80*). შაჰ-არმენმა თავიდან აიცილა საფრთხე, მაგრამ
აიუბიანთა ძალების სიახლოვე დიარ-ბაქრში აიძულებდა მას ლოიალური ყოფი-
ლოყო სალამ ად-დინისადმი. 588 წ. შა'ბანში/X. 1192 წ. მისი ელჩი აიუბიანთა
სულტანს უკვე მორჩილებასა და სამხედრო ძალებით დახმარებას აღუთქვამდა
(მაჰა' ად-დინი, 1964:234).

ბეგ-თიმურმა გააფართოვა შაჰ-არმენთა სახელმწიფოს საზღვრები. 1192 წ.
მან ბრალად დასდო აჰდაბიანებს სალამ ად-დინთან კავშირი და წაართვა მათ
ბითლოსი და ვასტანი (იხნ შადეადი, *III/2:540*; იხნ ალ-ასირი, *XII:492*; სფ.ორ-
მელიანი, 1942:20; *Lewis*, 1959:121). ბეგ-თიმურმა დალაშქრა არზრუმის საა-
მროც და დაარბია ბასიანი (სფ. ორმელიანი, 1942:20; შარგატინი, 1989:37).
სალამ ად-დინის სიკვდილმა (1193 წ. 4 მარტი) შვება მოუტანა შაჰ-არმენს.²¹ მან
გადაწყვიტა ესარგებლა შემთხვევით და აიუბიანებისთვის წაერთმია მიააფარიკი-
ნი, მაგრამ აღარ დასცალდა. 1193 წ. მაისში ის მოაკვლევინა სიძემ, სუქმან II-ის
მამლუქმა ჰაზარ-დინარომ,²² რომელმაც დაატუსაღა ბეგ-თიმურის ცოლი, მისი
მცირეწლოვანი ვაჟი და თავად გახდა შაჰ-არმენი (იხნ ალ-ასირი, *XII:103*; აშუ
ლ-ფიდა', *III*, 88-9; იხნ თადრი-შარდი, *VI:193-94*). ამით დასაბამი მიეცა
არეულობებს, შინაომებსა და მმართველთა ხშირ ცვლას შაჰ-არმენთა სახელმწიფო-
ში.

594/13. XI. 1197 – 2. XI. 1198 წ. ჰაზარ-დინარი გარდაიცვალა და მისი
ადგილი დაიკავა ასევე მამლუქმა, წარმოშობით სასუნელმა სომეხმა კუთლულმა.
შვიდი დღის მმართველობის შემდეგ აჯანყებულმა ზლათელებმა მოკლეს ის და
ტახტზე დასვეს ქმუშში, არზასის ციხეში დამწყვედელი ბეგ-თიმურის 12 წლის
ვაჟი მუჰამადი (აშუ ლ-ფიდა', *III:94*), რომლის რეგენტიც გახდა სუქმან II-ის
დავადარი, წარმოშობით ყივჩაღი შუჯა' ად-დინ კუთლული. მწვავე საშინაო-პო-

²⁰ ზ.ბუნიატოვი წერს, რომ ამ დროს ზლათი გახდა აზერბაიჯანის ათაბაგის ოჯახის ლენური
სამფლობელო (*Бунятов*, 1987:95), რაც არ შეეფერება სინამდვილეს.

²¹ არაბ ავტორთა ცნობით ბეგ-თიმურს იმდენად გაეხარა სალამ ად-დინის სიკვდილი, რომ
აიუბიანთა სულტანის მსგავსად თავის თავს უწოდა „დიდი (ალ-მუ'აჯჯამ) სულტანი
სალამ ად-დინი“ (იხნ ალ-ასირი, *XII: 103*; აშუ ლ-ფიდა', III:88; ას-საჟადი, X, 189-190,
№4675).

²² სხვა ვერსიით ბეგ-თიმური ისმაილიტებმა მოკლეს (აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი: 112;
სიბტ ბ. ალ-ჯაუზი, 1952:423).

ლოტიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეასუსტა შაჰ-არმენთა სახელმწიფო. მისი არსებობის უკანასკნელ წლებზე და ხლათის გარშემო დიდ ბრძოლებზე, რომლებშიც სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას, ქვემოთ გვექნება საუბარი.

შაჰ-არმენთა სახელმწიფოს მოსახლეობის დიდ ნაწილს, სომხები შეადგენდნენ (ჰაკობიანი, 1968:306), მაგრამ აქ ძლიერი იყო მუსლიმური ელემენტიც. ხლათში ცხოვრობდნენ მუსლიმები და ქრისტიანები. ხლათელთა სასაუბრო ენა იყო სპარსული, სომხური და თურქული (ზაფ. აღ-ვაჭვინი:42). ვანის ტბის ნაპირებზე სახლობდნენ ქურთები. თურქ-სელჩუკთა დაპყრობითი ომების დროს აქ ჩამოსახლებას იწყებენ თურქმენებიც, მაგრამ შაჰ-არმენთა დასაყრდენს, მათ ძირითად სამხედრო ძალას შეადგენდნენ მამლუქთა სამხედრო შენაერთები. როგორც სუქმან აღ-კუტბი, ისე სუქმან II-ის მემკვიდრეები (ბეგ-თიმური, ჰაზარდინარი) მამლუქთა რიგებიდან გამოვიდნენ.

შაჰ-არმენთა სახელმწიფო, რომლის ბირთვისაც ვანის ტბის მიდამოები შეადგენდა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა XII ს.-ში. მან მოიცვა ის სომხური მიწები, რომლებიც თურქ-სელჩუკთა შემოსევებამდე ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. შაჰ-არმენთა კონტროლს დაექვემდებარა ტურუბერანის მნიშვნელოვანი რაიონი ხერკი, ვასპურაქანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ხორძიანა ხლათის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მევეს გვილოს ზემო და შუა წელზე, მოქსის ოლქი, ტარონი და სასუნი (ჰაკობიანი, 1968:312), კალზევანი, არშარუნიქი (აშორნია), იგივე ერასხაძორი (XII ს. 40—60-იან წლებში და 80-იანი წლების შემდეგ) და, ალბათ, კეროორიცი.

ვარდანის ცნობით, სუქმან II დაეუფლა 12 ქალაქს (ვარდან: 151). მათ შორის იყო „ცნობილი და აყვავებული“ ხლათი (იაკუთი: 51; ზაფ. აღ-ვაჭვინი: 42), არკეში, მანასკერტი, მუში, დოლოდაფი (მათ. ურბაყცი, 1858:361), ბერქრი, ვანი. XII ს.40-იან წლებში, სუქმან II-მ, როგორც ზემოთ ითქვა, ხელთ იგდო დიარ-ბაქრის რამდენიმე მცირე ქალაქი, 1192 წ. კი ბეგ-თიმურმა დაიკავა ქბითლისიც. XII ს. 60-იანი წლებიდან სუქმან II-ის გავლენა გავრცელდა ყარსზე და შაჰ-არმენებს პრეტენზია ჰქონდათ ქ.ოლთისზეც, რომელსაც გარკვეულ პერიოდში ფლობდნენ კიდევაც (იხ. ივჯმთ, გვ. 111). იმ თურქ საამიროთა შორის, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრებოდნენ საქართველოს, შაჰ-არმენთა სახელმწიფო ყველაზე დიდი და ძლიერი იყო.

4. ყარსისა და სურმარის საამიროები

ა. ყარსის საამირო

ყარსის, იგივე ვანანდის სამეფო, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ვანანდის (ყარსის), ზარიშატის, კარშირ-ფორაქის (ყარნიფორას), მჯნკერტის (აბელიანქის), ჰავნუნიქის, კეროორის, ზარეჰევანისა და კალზევანის გავარები (*Еремян*,

1971:4), 1064 წ. მეფე გაგიკმა ბიზანტიას დაუთმო და ის ჯერ ივერიის თემის, ხოლო 1067-1071 წლებში კი თეოდოსიუპოლის თემის ნაწილი გახდა (Юзбашян, 1988:189-90).

მანასკერტის ბრძოლამ (1071 წ.) ცხადყო, რომ ბიზანტია ვეღარ შეინარჩუნებდა თავის აღმოსავლურ პროვინციებს. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ თეოდოსიუპოლის თემის მმართველმა გრიგოლ ბაკურიანმა XI ს. 70-იანი წლების შუახანებში, ალბათ 1074 წ., ყარსი და მისი „მიმდგომი ქვეყანა“, რომლებიც ფაქტობრივად თურქებს პქონდათ ოკუპირებული (*Лорджкиანიძე*, 1979: 92-95; დაწვრილებით: პაპასქიანი, 1991: 34-36) გიორგი II-ს გადასცა (*Еремян*, 1971:15-16; Юзбашян, 1988:189,190). ქართველმა მეფემ „ადიდო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი და იოტნა თურქნი მის ქუეყნისანი“ (ღვ, I, 1955:317), მაგრამ ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. დაახლოებით 1080 წლისათვის მალიქ-შაჰის სარდალმა აჰმადმა „შინა-გაგეშითა ქრისტეანეთათა“ აიღო ყარსი და, ამიერიდან, XIII ს. დამდეგამდე ის თურქების ხელში იმყოფებოდა.

მ.ფ.კირზიოღლუ ფიქრობს, რომ აჰმადმა ყარსთან ერთად არზრუმში და ოლთისიც დაიპყრო და ისინი არზრუმის სალთუკიანთა საგვარეულოს ფუძემდებელს აბულ-კასიმს გადასცა (*Kirzioğlu*, 1953:356-57). თეოდოსიუპოლის ბიზანტიური თემის სტრუქტურის შესაბამისად დასაშვებია, რომ ყარსი არზრუმის ამირას ემორჩილებოდა, მაგრამ რაიმე პირდაპირი მითითება ამის თაობაზე წყაროებში არ გავაჩნია. 1124 წ. კი, როგორც ვარდანის ცნობა მოწმობს, ყარსს ჰყავდა თავისი ამირა, რომელიც აპირებდა ეყიდა ანისი (ვარდანის: 146).

ყარსის ამირების საგვარეულოს შესახებ მკვლევარებს სხვადასხვა მოსაზრება აქვთ გამოთქმული. ვ.მინორსკი თვლიდა, რომ ისინი ამირა აჰმადის შთამომავლები იყვნენ (*Minorsky*, 1953:84, მენ.1), მ.ფ.კირზიოღლუს აზრით კი ყარსი XII ს. 30-იან წლებში ბითლის— არზანის აჰლაბიანთა მფლობელობაში იყო (*Kirzioğlu*, 1953:384 და მმდ.).²³ 547/1152 წლით დათარიღებულ ყარსის გალავნის

²³ მ.ფ.კირზიოღლუ აღნიშნავს: „მოუხედავად იმისა, რომ ისლამის ისტორია არ წერს, ვეარაუდობთ, რომ დილმაჩიანებიდან ერთ-ერთმა, — არზანისა და ბითლისის ამირამ კურთიმ და შაჰ-არმენებიდან ერთ-ერთმა სურმელი-ჩუქური და ყარს-ყალზიმანი (კალზევანი) ხელთ ჩაიგდეს და 1131 წ. შექმნეს საამირო, რომელიც მათი შვილების და ნათესავების ხელთ იყო“ (*Kirzioğlu*, 1953:385). ახაჩტრიანი თავის მონოგრაფიაში ამ საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამს. შესავალში ის წერს, რომ ყარსის ეპიგრაფიკული ძეგლები საშუალებას იძლევა აღდგეს ყარსის ამირებისა და აჰლაბიანთა ნათესაური კავშირი. ამ ძეგლების ანალიზის დროს ის აღარ იზიარებს კირზიოღლუს ზემომოტანილ თვალსაზრისს, რომელსაც სუსტად არგუმენტირებულად თელის და საჭიროდ მიიჩნევს მის გადასიხჭვას. შემდეგ კი აღნიშნავს, რომ XII ს-ში ყარსს ჯერ ფლობდნენ ართუკიანები, მერე კი აჰლაბიანები. რაიმე საბუთი ართუკიანთა თუ აჰლაბიანთა სასარგებლოდ მას არ მოაქვს (*Хачатрян*, 1987:25,170—71).

ერთ-ერთი ბურჯის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებულ ამირა ზაპირ ად-დინ აბუ სა'იდ არსლან ბ. იუსუფის ის ტულან-არსლან ალ-აჰდაბთან აიგივებდა (*Kirzığlı, 1953:387*), მაგრამ ეს იდენტიფიკაცია მცდარია.²⁴ ყარსის ამირების აჰდაბიანებთან, თუ ამირა აჰმედთან ნათესაობის დამადასტურებელი რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება.

ყარსის ეპიგრაფიკული წარწერებიდან აბუ სა'იდ არსლან ბ. იუსუფის გარდა ცნობილია სხვა ამირებიც. მათ შორის კუთლული, რომელიც XI ს. მიწურულის, ანდა XII ს. I ნახევრის გამგებელი უნდა იყოს (*Хачатрян, 1987:62, №46(5), 172*). იხსენიებიან, აგრეთვე, ამირა ჰუსაინ ბ. მუსა — ალბათ აბუ სა'იდ არსლანის თანამშრომელი (*Хачатрян, 1987: 60, №42 (1), 170*) და ქარამ ად-დინი, რომელიც 548/1153-54 წლის წარწერებში მალქისა და სულტნის ტიტულებს ატარებს (*Хачатрян, 1987: 60, №43 (2), 61, №44(2)*). ყარსის სხვა გამგებლების მსგავსად არცერთი მათგანის სახელი წყაროებში არ შეგვხვდრია.

ამაღლებულ პლატოზე, მდ. ახურიანის (ყარს-ჩაის) ნაპირზე, კლდოვანი ხეობის შესავლელში მდებარე ყარსს XIII ს. სპარსელი ანონიმის ცნობით მაგარი ციხე ჰქონდა და ჰქვის გალავანი ერტყა (სამყართს საევირფულმანი, 1978: 32). ყარსის ციხეში იგულისხმება მისი შიდა ციხე, ციტადელი, რომელიც მდებარეობდა ყარსის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, მთის კალთაზე, ციცაბო კლდეზე და გაბატონებული ადგილი ექირა ქალაქზე²⁵ (ივლია ჩილემი: 338; *Муравьев-Карский, 1877: 317-19; Хелмицкий, 1893:6; Корсун, II/1, 1914: 222-23*. საილუსტრაციოდ იხ.: 1701 წ. შესრულებული ყარსის სურათი — ფუნქციონირი, 1988). ყარსის საამირომ მოიცვა ძველი ყარსის სამეფოს ნაწილი. მასში შედიოდა ვანანდი და, ალბათ, კარმირ-ფორაქი, ქართ. კარნიფორა — მთიანეთი (გვიანდელი ალლაჰუ აქბარ) ტაოს აღმოსავლეთით, ყარსის სამხრეთ-დასავლეთით მდ. ახურიანის სამხრეთით, კოლადან — ბასიანამდე (*Еремян, 1971:8; Атлас Армении: 105-6; Мухсელიძე, 1977:163*). ყარსის ამირას ეკუთვნოდა ბარდუსის ციხე. მჯნკერტი და ჰვენუნქი სალთუკიანთა საამიროში შევიდა. კალზევანი XII ს. 60-იანი წლების დასაწყისში და, უეჭველია, გაცილებით ადრე შაჰ-არმენის სამფლობელო იყო. მასვე ეკუთვნოდა (თუ ადრე არა, XII ს. 40-იანი წლებიდან მაინც) არშარუნქი, იგივე ერასხაძორი არეზის მარცხენა ნაპირზე, რომლის დაკავებაც კალზევანიდან დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. კეჩორს — ყარსის სამხრეთ-აღმოსავლეთით (*Атлас Армении: 105-6; Карапетян, 1988:152*), XII ს. 80-იანი წლებში თავისი ამირა ჰყავდა, სახელად ხარაჩა. ის უკვე ფლობდა ერასხაძორს და ოლთისსაც. ხარაჩამ, ვარდანის ცნობით, 1178 წ. ელდიგუზის ვაჟს ყიზილ-არს-

²⁴ როგორც ზემოთ აღინიშნა, ტულან-არსლანის ლაკაბი იყო შამს ად-დაჰლა (და არა ზაპირ ად-დინი). ის 528/1133-34 ან 533/1138-39 წ. გარდაიცვალა.

²⁵ ყარსი ზღვის დონიდან 1765 მ., ხოლო ციტადელი — 1835 მ. სიმაღლეზე მდებარეობს (*Ореус, 1895: 606*)

ლანს მიჰყიდა ცარაკარი — კერძო სამხრეთით, მაგრამ 1182 წ. მოიკლა სუქმან II-ის მიერ (ვარდანი: 160, 161-62). შესაძლოა, რომ ამავე დროიდან შაჰ-არმენმა, რომელმაც დაიბრუნა არშარუნიჭი, ხელთ იგდო კერძო სამხრეთით.

ე. ჰეიუუდის თანახმად, XII ს. თითქმის მთელ მანძილზე ყარსი წარმოადგენდა არზრუმის სამფლობელოთა ნაწილს (*Barthold, Heywood, 1976: 669*)²⁶ მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალით უეჭველად ასე იყო XII ს. 50-იან წლებში. ყარსის ციხის საამშენებლო წარწერებში, რომლებიც 548/1153-54 წ. თარიღდება, იხსენიება ციხის ამშენებელი, არზრუმის ამირას 'იზ' ად-დინ სალთუკის ვასალი, მისი ვეზირი ფირუზ-აკაი (*Хачатурян, 1987:61, №44 (3), №45 (4);171*). ვითარება უნდა შეცვლილიყო 60-იანი წლებიდან. 1161 წ. ყარსის ამირა, რომელიც სურმარის მფლობელიც იყო, სუქმან II-ის მოკავშირედ გამოვიდა საქართველოს წინააღმდეგ მუსლიმთა კოალიციურ ლაშქრობაში. ამ დროს ყარსი, ვფიქრობთ, შაჰ-არმენის გაელენის სფეროში მოექცა. სხვაგვარად, ვანანდ-კარნიფორას საკომუნიკაციო ხაზის გამოყენების გარეშე, შაჰ-არმენის ლაშქარი ვერ შეიჭრებოდა ტაოში, სადაც ოლთისის ოლქში 1160 წ. დამარცხება განიცადა გიორგი III-სთან ბრძოლაში (იხ. ქვემოთ). XIII ს. დამდეგს ყარსის გამგებელი (ვალი) აშკარად შაჰ-არმენის ვასალი იყო.

ამრიგად, ყარსის საამირო სხვადასხვა დროს ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა სალთუკიანებთან და შაჰ-არმენებთან. ყარსის საამიროს დიდი ნაწილი ქართველებმა დაიკავეს ბასიანის ბრძოლის (1202 წ.) წინ, ხოლო მისი საბოლოო ლიკვიდაცია მოხდა 1206-1207 წწ. მიჯნაზე.

ბ. სურმარის საამირო

სურმარი (თანამედროვე სურმალუ — თურქეთში), იგივე სომხ. სურბმარი (წმინდა მარი) მდებარეობდა დვინის დასავლეთით, მდ.არუზის მარჯვენა ნაპირზე, მალღობზე. იაკუთის ცნობით, სურმარი იყო "დიდი ციხე და ვრცელი ვილაეთი... სახელგანთქმული, ცნობილი" (იაკუთი: 62). "იმ მიდამოებში იმაზე მეტად გამაგრებული ადგილი არ არის — წერდა სურმარის შესახებ XIII ს. სპარსელი ანონიმი — ის თურქების ადგილსამყოფელია, ხავსე დოვლათით. მისი ზალხი მამაცი და გაბედული მუსლიმები და ხარწმუნოებისათვის მებრძოლები არიან" (სამყაროს საკვირეულომანი, 1978:30). 1064 წ. სომხეთში ლაშქრობის დროს სურმარი ხელთ იგდო მალიქ-შაჰმა. სულტანს უნდოდა მისი დანგრევა, მაგრამ ნიზამ ალ-მულქმა დაარწმუნა ის, რომ სურმარი, როგორც ძლიერი ციხე და სასაზღვრო პუნქტი, მნიშვნელოვანი იყო მუსლიმთათვის (ალ-ჰუსაინი: 21ა) და შეეცვლინა გადაწყვეტილება. ამის შემდეგ სურმარი

²⁶ ახაჩატრიანი ამ მოსაზრებას მიაწერს ვ.ბარტოლდს. სინამდვილეში ის ეკუთვნის ე.ჰეიუუდს, რომელმაც შეავსო ბარტოლდის მიერ „ისლამის ენციკლოპედიის“ პირველ გამოცემაში გამოქვეყნებული სტატია ყარსის შესახებ (*Бартольд, 1965:148*).

დიდი ხნის მანძილზე წყაროებში აღარ იხსენიება და ცნობები მის შესახებ ხელახლა ჩნდება XII ს. შუა ხანებიდან.

ალ-ფარიკის ცნობებით, ანისის შადდადიანი გამგებელი ფახრ ად-დინი (XII ს. 50-იანი წლები) იყო სურმარის ამირას დისშვილი. 1161 წ. ყარსსა და სურმარის ერთი მფლობელი (საჰიბ) ჰყავდა. 1164 წ. სურმარის მფლობელის სახელი იყო იბრაჰიმი (ალ-ფატიჰი, 1908 : 361,364; *Minorsky, 1953:88, 90,96*). მოგვიანებით, XIII ს. 20-იან წლებში ან-ნასაჰი წერდა, რომ სურმარის ამირას ძველი სამფლობელო (იკტა) იყო კუნაკი²⁷ (ან-ნასაჰი, 1973:253) — სურმარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შემდეგდროინდელი ყარა-ყალა (ან-ნასაჰი, 1973:404, კომენტ.).

სხვადასხვა დროს ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლებში სურმარის გამგებლები შაჰ-არმენებთან და სალთუკიანებთან კავშირში გამოდიოდნენ. 1188 წ. ახლო ხანებში სურმარიელები (სურმარელები) დვინელთა მოკავშირეებად ჩანან. XII ს. 90-იანი წლების შუა ხანებში სურმარი (სურმანი) „დვინის ჭკეყნის“ შემადგენელ ნაწილად იგულისხმება, ხოლო დვინის „პატრონი“ ათაბაგ ელდიგუზის გაზრდილი ბაღმანი და სურმარის მფლობელი ძმები იყვნენ (ისტ. და აზმ. შაჰაჟანდ., ქც, II, 1959: 39,77). ამ დროს, სურმარის ამირა აღიარებდა აზერბაიჯანის ათაბაგების უზენაესობას.²⁸ XIII ს. დამდეგს სურმარი მცირე ხნით ქართველებმა დაიკავეს (ისტ. ქვემოთ, გვ.162). მოგვიანებით, XIII ს. II-ათწლეულში სურმარი ხლათის აიუბიანთა ვასალი გახდა. მის შესახებ ჭკეყნით კიდევ გვეჩვენა საუბარი.

5. არზრუმის საამირო

თეოდოსიუპოლი, იგივე არზრუმ²⁹ XI ს. 40—50-იანი წლებიდან ბიზანტიის სამფლობელოებზე თურქ-სელჩუკთა შეტევის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება

²⁷ ან-ნასაჰის თხზულების კრიტიკულ გამოცემაში ეს ტომონიმი არაბული გრაფიკით ასეა გადმოცემული: غيبتي (ან-ნასაჰი, 1891:362). ვ.მინორსკი, ეფიქრობთ, უსაფუძვლოდ კითხულობდა მას როგორც ღარსს (ყარსს) (*Minorsky, 1953:84, შენ.1*).

²⁸ ამ სიტუაციას ასახავს ან-ნასაჰის ერთი ცნობა: 1230 წ. იასი-ჩიმენთან დამარცხებულმა ჯალალ ად-დინმა ფიცი მისცა აიუბიან ალ-მალიქ ალ-აშრაფს და რუმის სულტანს ჭაი-ყუბადს, რომ უარს ამბობდა ხლათის მხარეზე, გარდა სურმარისა, რომელიც თითქოსდა „ძველი დროიდან ითვლებოდა აზერბაიჯანის ერთ-ერთ ოლქად“ (ან-ნასაჰი, 1973: 259).

²⁹ ამ ქალაქის სომხური სახელწოდებაა კარნოი-ქალაქი, არაბული — კალი-კალა. 1049 წ. აქ გადასახლდა თურქების მიერ დანგრეული ქარზანის მოსახლეობა. ამის შემდეგ მას ეწოდა არზან რუმი, ე. ი. რომაელთა არზანი. ქართველები მას ეძახდნენ კარნუ ქალაქს (ქც, I, 1955:180, 319,370; II, 1959:48,580,100) და არზრუმს (ქც, II, 1955:11,44,58,349). დღევანდელი მისი სახელწოდებაა ერზურუმი.

იყო. მაგრამ მისი³⁰, ისევე როგორც ბიზანტიის ყველა აღმოსავლური პროვინციის ბედი მანასკერტის ბრძოლის (1071 წ.) შემდეგ გადაწყდა. რაშიდ ად-დინის თანახმად, სულტანმა ალფ-არსლანმა, იმის გამო, რომ ბიზანტიის იმპერატორი არ ასრულებდა საზავო პირობებს, უბრძანა თავის ქვეშევრდომ ამირებს: ართუქს, სალთუქს, მანგუჯაქს, დანიშმენდს, ჩავლის და ჩავლუდურს, მონაწილეობა მიეღოთ ანატოლიის დაპყრობაში და ალუთქვა მათ დაპყრობილი ტერიტორიების სამემკვიდრეო მფლობელობაში გადაცემა (ჩამიდ აფ-დინი, II/5, 1960: 33-39). ამის შემდეგ სალთუქმა³¹ დაიპყრო არზრუმი. სწორედ ეს თურქმენი ამირა გახდა ფუძემდებელი არზრუმის საამიროსი (*Sümer*, 1971:401), რომელსაც მისი მემკვიდრეები 1202 წლამდე განაგებდნენ³²

ამირა სალთუქი, საფიქრებელია, არის იგივე აბუ ლ-კასიმი, რომელსაც სალთუქიანთა საგვარეულოს პირველ წარმომადგენლად ასახელებს მჯნკერტის ციხის საამშენებლო წარწერა³³ (*Хачатрян*, 1987:63-64). მომდევნო ამირა იყო ალი ბ. აბუ ლ-კასიმი. იბნ ალ-ასირის ცნობით, 1104 წ. ამირა 'ალი ეახლა ხოისთან ბარქიარუქის მიერ დამარცხებულსა და არქემში თავშეფარებულ ტახტის პრეტენდენტს მუჰამადს (იბნ ალ-ასიდი, X:361), როგორც ჩანს, არზრუმის მფლობელი ამ დროს მუჰამადის ვასალი და მოკავშირე იყო.

'ალის შემდეგ არზრუმის გამგებელი იყო აბუ ლ-მუზაფფარ ლაზი ბ. აბუ

30 XI ს. 70-იანი წლების დასაწყისში თეოდოსიუპოლის თემაში შედიოდა ყარსის სამეფოს ტერიტორია და ივერიის თემის ის მიწებიც, რომლებიც ჭერ კიდევ არ ჰქონდათ დაპყრობილი თურქ-სელჩუქებს (*Юзбашян*, 1986:190).

31 სახელი სალთუქ (პირველი ასო ამ სახელისა არაბული გრაფიკით არის „სინ“ ან „სად“) თურქულია, მომდინარეობს მასდარისგან სალმაქ და ნიშნავს შიტოვება-დატოვებას (*Sümer*, 1971:395). გვხვდება ამ სახელის სხვა ფორმაც — სალდუქ (ალ-ფარიკი, 1908: 328; იბნ ალ-ასირი, XI: 270; *Bergmann von*, 1869: 328; *Launios*, 1960:267; *Хачатрян*, 1987:64). წერილობით წყაროებში დასახელებულია აგრეთვე სალთუქ/სალდუქის დამახინჯებული ფორმებიც: სალკუქ ან სალიქ (იბნ ალ-ასირი, XI: 190; აბუ ლ-ფიდა, III:100; ქათიბ ჩელეზი: 248), რომელთა გაჩენაც გადაშფერთა უყურადღებობისა და უზუსტობის შედეგია. სალთუქ/სალდუქი იდენტურია ქართულ წყაროებში დამოწმებული სალდუხისა (ლამა გიორგის-დროინდელი მემკაბ., ქც. I, 1955:367; ისტ. და აზმ. შარაჟანდ., ქც./II, 1959:7,43). „კ“-სა და „ხ“-ს მონაცვლეობა, საერთოდ, დამახასიათებელია თურქული ენების, მათი დიალექტებისა და კილოკაეებისათვის. ჩანს, რომ ქართული წყაროების ფურცლებზე ეს სახელი დამკვიდრდა ისე, როგორც მას საქართველოს მეზობლად ჩამოსახლებული თურქულენოვანი მოსახლეობა წარმოთქვამდა. ამდენად, შეცდომა არ იქნება, თუ არზრუმის მმართველ ამ საგვარეულოს სალდუხიანთა საგვარეულოსაც ვუწოდებთ.

32 არზრუმის სალთუქიანთა საამიროს ისტორიის შესახებ იხ., *Sümer*, 1971: 391-432; *Turan*, 1973: 3-54; *Sevim, Yücel*, 1989: 206-11. ბორნაზიანი, 1976:491-92

33 ამ წარწერას სხვადასხვაგვარად ათარიღებენ: 593/1196-97 (ბეიგუ), 604 1207-8 (მ.ფ. კირიზიოლლუ), ან 630/1232-33 წწ. (ა.ხაჩატრიანი) (*Хачатрян*, 1987:64).

ლ-კასიმი.³⁴ მისი სახელი მოხსენიებულია არზრუმის თევსი-მინარეს საამშენებლო წარწერაში (*Хачатрян*, 1987: 81-82). გარდა ამისა, სტამბოლის ფათიჰის ბიბლიოთეკაში დაცულია ქ. დვინში 510 წ. მუჰარრამში, ე.ი. 1116 წ. მაის-ივნისში, დასრულებული აბუ ბაქრ რაბი ბ. აჰმად ალ-აჰვანინ ან-ნაჯჯარის ნაშრომი "ქითაბ ალ-ჰიდააჰ ა ტი-ტ-ტიბ", რომელიც მოქმედნა ალ-ლაზის³⁵ (*Sümer*, 1971: 402, 406). ირკვევა, რომ 1116 წლისათვის არზრუმის ამირას ხელი მიუწვდებოდა დვინზეც,³⁶ რომელიც შადდადიანმა მანუჩემ (მანუჩიჰრმა) ყიზილ-არსლანის მოკვლის შემდეგ (XII ს. II ათწლეულის დასაწყისი) გადასცა „სპარსელებს“ (ვარდან: 140).

ალ-ლაზი გარდაიცვალა 526/1131-32 წ. (ალ-‘აზიმი, 1938:405)³⁷. შემდეგ ამირად ჩანს სალოუკ ბ’ალი ბ.აბუ ლ-კასიმი. მოსალოდნელია, რომ მან ტახტი ლაზის გარდაცვალებისთანავე დაიკავა, მაგრამ წყაროებში პირველად 543/1148-49 წ. იხსენიება (ალ-ფატიჰი: 172მ). არზრუმის ამ ამირას სახელი იკითხება ყარსის და არცყეს (თუ ბაიბურთის) საამშენებლო წარწერებში (*Хачатрян*, 1987:61, №44 (3), №45(4); 127, №206 (2)). ოფიციალური ლაკაბის — ‘იზ ად-დინ (სარწმუნოების დიდება) — გარდა ის ატარებდა სხვა ტიტულებსაც: ზაჰირ ად-დინ (სარწმუნოების შემწე), ამინ ალ-მილლა (თემის იმედი), ჰუსამ ალ-მულუქ ვა ხ-ხალატი (მეფეთა და სულტანთა მახვილი). წერილობითა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში ის იხსენიება როგორც არზრუმის მფლობელი — ხაჰიბ, მეფე — მალიქ და ხულტანიც კი (ალ-ფატიჰი, 1908: 328,364; იმ ალ-ასირი, XI:190, 280,317. *Хачатрян*, 1987:61 №45 (4)).

‘იზ ად-დინ სალოუკს, არზრუმის ყველაზე გავლენიანსა და ძლიერ ამირას ნათესაური კავშირები ჰქონდა მეზობელ მუსლიმ გამგებლებთან. მისი ქალიშვილი

³⁴ ჩვენგან განსხვავებით, არზრუმის მეორე ამირად ფ.სუმერი აბუ ლ-კასიმს მიიჩნევს (*Sümer*, 1971:401).

³⁵ ახაჩარიანი ფიქრობს, რომ ‘ალი და ალ-ლაზი ერთი და იგივე პიროვნებაა (*Хачатрян*, 1987: 178-79). მაგრამ, უფრო სავარაუდოა, რომ ისინი ძმები იყვნენ, თუ,რა თქმა უნდა, ლაზი ‘ალის ტიტული არ არის.

³⁶ ფ.სუმერი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ კ.კაენის თანახმად 1118 წლისათვის დვინის გამგებელი თითქოსდა იყო ყიზილ-არსლანი (*Sümer*, 1971: 407) და წერს, რომ ამის გამო, 1116 წ. ლაზი ვერ შეძლებდაო დვინის შეერთებას. მაგრამ ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ კ.კაენის მითითება 1118 წ. ყიზილ არსლანის მოკვლის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს.

³⁷ ალ-‘აზიმი წერს, რომ ლაზი იყო გამგებელი არზანისა, მაგრამ მის ცნობაში, უეჭველია, უნდა ვიგულისხმოთ არზან რუმში, რადგანაც არზანში ამ დროს ამირად იჯდა ტულან-არსლანი (იხ. ზემოთ, გვ. 67). კ.კაენი შეცდომით თვლიდა, რომ აღნიშნული ლაზი იყო დანიშნენდიანთა საგვარეულოდან (*Cahen*, 1935: 268-69, გენეალოგიური ცხრილი)..

თუ და ცოლად ჰყავდა ხლათის მფლობელს, შაჰ-არმენ სუქმან II-ს (ალ-ფარაჯი: 1728; იბნ ალ-ასირი, X:280). გარდა ამისა, 'იზზ ად-დინ სალთუეის კიდევ სხვა ორი ასული მისთხოვდნენ არზანისა და ბითლოსის ამირას ფახრ ად-დინ დავლათ-შაჰს (ალ-ფარაჯი, 1908:328) დაახლოებით 1154 წ. და დანიშმენდიან ზუ ლ-ნუნს³⁸ (იბნ ალ-ასირი, X:317). მის კიდევ ერთ ქალიშვილზე, მამა-ხათუნზე, კვემით გვექნება საუბარი. სალთუეის ერთადერთ ვაჟს, რომელიც წყაროებში იხსენიება, ერქვა მუჰამადი.

ჩვენამდე მოაღწია 'იზზ ად-დინ სალთუეის სპილენძის მონეტებმა, რომლებზედაც არზრუმის ამირასთან ერთად დასახელებულია სულტანი მას'უდი (1134-1152) (*Bergmann von*, 1869:251). ფორმალურად მაინც, სალთუეი, როგორც ჩანს, აღიარებდა ერაყის სელჩუკთა უზენაესობას.

'იზზ ად-დინ სალთუეის უეჭველად ჰქონდა თავისი ინტერესები ჩრდილოეთ სომხეთში. ამის გამოხატულებას წარმოადგენდა მისი სურვილი დაუფლებოდა ანისს 1154 წ., რაც არზრუმის ამირას ძვირად დაუჯდა (იხ. ქვემოთ, გვ. 97-8).

'იზზ ად-დინ სალთუეი გარდაიცვალა 563 წ. რაჯაბში, ე.ი. 1168 წ. აპრილში (ალ-ფარაჯი: 1918; *Minorsky*, 1953:96). ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა ნასირ ად-დინ მუჰამადმა, რომელიც იხსენიება მჯნკერტის საამშენებლო წარწერაში (*Хачатурян*, 1987:63) და თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში (ქც, II, 1959:58). გარდა ამისა, არზრუმის ეს ამირა აზერბაიჯანის ათაბაგ ყიზილ-არსლანთან (1186-1191) და სელჩუკ სულტან ტულრილ ბ.არსლანთან (1176-1194) ერთად დასახელებულია სპილენძის ორი ტიპის მონეტებზე,³⁹ რომელთა მოჭრის საეარაუდო თარიღიცაა 1186-1187 წწ. (*Bergmann von*, 1869:252; *Launois*, 1960:267, №1; *Koumjian*, 1969:333). საერთოდ კი, ცნობები ნასირ ად-დინ მუჰამადის შესახებ წყაროებში უაღრესად მცირეა. ვიცით, რომ მას ჰყავდა ორი ვაჟი. ერთი მათგანი მუტაფრადინი *resp.* მუზაფარ ად-დინი დაჭორწინდა გიორგი II-ის უკანონო ასულზე (ქც, II, 1959:43; *Brosset*, 1850:418).

XII ს. 80—90-იან წლებში ჩრდილოეთ მესოპოტამიაში დაიწყო აიუბიანთა ექსპანსია, რასაც შედეგად მოჰყვა არაერთი წვრილი მუსლიმური საამიროს ანექსია. აიუბიანთა გამოჩენა პერსპექტივაში სახიფათო იყო სალთუეიანებისთვისაც. კონფრონტაციას მათ მორჩილების გამოცხადება ამჯობინეს. 1191 წ. მარტ-აპრი-

³⁸ სალთუეის ასული დანიშნა რუმის სელჩუკთა სულტანმა ყილიზ-არსლანმა და როცა ქალი დიდი მზითვით წაიყვანეს, ის გზაში გაიტაცა დანიშმენდიანმა იალი-ბასანმა და მიათხოვა თავის ძმისშვილს ზუ ლ-ნუნს. ეს გახდა მიზეზი ომისა რუმის სულტანსა და დანიშმენდიანთა შორის (იბნ ალ-ასირი, X:317).

³⁹ აღსანიშნავია, რომ ყიზილ-არსლანი და სულტანი ტულრილ ბ.არსლანი ერთად მხოლოდ მუჰამად ბ.სალთუეის მონეტებზე ფიგურირებენ (*Koumjian*, 1969: 324-333). ცნობილია, რომ ტულრილი 1187 წ. დაუპირისპირდა ყიზილ-არსლანს და დაამარცხა ის ჰამადანთან. 1188 წ. ათაბაგმა სულტანად დასვა სანჯარ ბ.სულაიმანი, ხოლო 1190 წ. კი ტყვედ ჩაიგდო ტულრილი. 1191 წ. ყიზილ-არსლანმა თავი სულტანად გამოაცხადა.

ლში, როცა შაჰ-არმენთა სამფლობელოში შეიჭრა სალაჰ ად-დინის ძმისშვილი თაკი ად-დინ 'უმარი და ალყა შემოარტყა მანასკერტს, მას დამხმარედ ეახლნენ არზრუმის ჯარები 'იზ ად-დინ სალთუკის ასულის მამა-ხათუნის მეთაურობით (ალ-ისტაჰანი, 1888:405). სალთუკიანთა ეს აქცია შაჰ-არმენთა წინააღმდეგ იყო მიმართული. იგივე ითქმის მათ მიერ ქალოთისის (უხტიქი) დაკავებაზე, რის შესახებაც მოგვითხრობს სომეხი მემატჩიანე. ყოველივე ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ბეგ-თიმურმა დალაშქრა არზრუმის საამირო და დაარბია იგი (სტ.ორმოლიანი, 1942:20).

ფ. სუმერი და მის კვალდაკვალ ა.ხაჩატრიანი თვლიან, რომ მამა-ხათუნი უკვე 1191 წ. გახდა არზრუმის გამგებელი და ფლობდა მას 1201 წლამდე (*Sümer*, 1971:419; *Хачатрян*, 1987:25,182). ამას მოწმობს თითქოსდა მისი ტიტულიც — მაღიქა. მაგრამ გაუგებარი რჩება, თუ როგორ დაეუფლა მამა-ხათუნი ტახტს და როგორ ჩამოიშორა მან გზიდან მუჰამადის ორი ვაჟი. გარდა ამისა, ყურადღებას მივაქცევთ ერთ ცნობას, რომელიც მხედველობიდან გამორჩა ფ.სუმერს. შაჰ' ად-დინ ბ.შადდადი იუწყება, რომ 1192 წ. არზრუმის გამგებელმა ელჩი გაუგზავნა სალაჰ ად-დინს და მორჩილება გამოუცხადა მას. ეს გამგებელი, რომლის სახელსაც არაბი მემატჩიანე არ იხსენიებს, არის მამაკაცი (საჰიბ) (შაჰა' ად-დინი, 1964:234; ანუ შამა, II:203) და არა ქალი (საჰიბა). საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ თურქ-სელჩუკებში ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფო საქმეებში. ფ.სანაულლაჰის თანახმად, „ქალების ჩარევა პოლიტიკურ დავაში არის სელჩუკთა სახელმწიფოს გასაოცარი თავისებურება“ (*Sanaullah*, 1938:8). ჩანს, რომ პოლიტიკურად აქტიურ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა მამა-ხათუნიც. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ის მონაწილეობდა არზრუმის საამიროს ტახტისთვის ბრძოლაშიც. იმ ვასილის ცნობით, 1201 წ. მან თხოვნით მიმართა აიუბიანთა სულტან ალ-‘ადილს, რომ მისთვის საქმრო გამოეძებნათ, მაგრამ როცა შესაფერისი კანდიდატურა — ნაბულუსის მფლობელი ფახრ ად-დინ მაიმუნი გამოჩნდა, მან შეიტყო, რომ მამა-ხათუნი უკვე დაეპატიმრებინათ (იმნ ვასილი, III:118).

ქართული წყაროს ცნობით, ნასირ ად-დინ მუჰამადი ცოცხალია 1193 წ. გიორგი ლაშას დაბადების წელს (იფ, II, 1959:58). ლაფთარის თანახმად, მისი სიკვდილის შემდეგ, რის თარიღსაც სპარსელი მემატჩიანე არ იძლევა, არზრუმის ამირა იყო მალიქ-შაჰ ბ.მუჰამადი (ლაფთარი, 1964:134). სწორედ ის არის არზრუმის უკანასკნელი სალთუკიანი გამგებელი, რომელსაც იბნ ბიბი მხოლოდ ლაკაბით ('ალა ად-დინი) იცნობს, (იმნ მიმი, 1959:35).

არზრუმის სალთუკიანთა საამიროს ისტორია დასრულდა 1202 წელს. რუმის სელჩუკთა სულტანმა რუქნ ად-დინმა ხელთ იგდო არზრუმი, დააპატიმრა მისი ამირა და ქალაქი თავის ძმას, ალბისთანის გამგებელს, მულის ად-დინ ტულრილ-შაჰს გადასცა.

როგორი იყო არზრუმის საამიროს ფარგლები? მასში შედიოდა არზრუმის ველი, რომელიც სამი მხრიდან შემოზღუდულია მაღალი, მთიანი ქედებით. ესენია:

ჩრდილოეთით დუმლუ-დადი, სამხრეთით — პალანთეჟან-დადი, აღმოსავლეთით კი მთები, რომლებიც გამოჰყოფენ მას ბასიანის ველსაგან და აკავშირებენ დუმლუ-დადის აღმოსავლეთ გაგარქელუბას — კარგა-ბაზაროს ქედს პალანთეჟანთან და უფრო დადაბლებულ და დამრეც დევე-ბოინუს გასწვრივ ქედთან (*Зеленый*, 1892:33).

სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით არზრუმის საამიროს ეკუთვნოდა თერჯანის (დერჯანის) მხარე, სადაც სოფ. მამა-ხათუნში დღემდეა შემორჩენილი 'იზზ ად-დინ სალთუკის ასულის მამა-ხათუნის აკლდამა (*Хачатрян*, 1987: 182). თერჯანის მხრიდან არზრუმის საამიროს ესაზღვრებოდა არზინჯანის მანგუჯაქიანთა საამირო.

არზრუმის ამირებს ეკუთვნოდათ ქ. ბაიბურთი (რომელიც XI ს. ბოლო მეოთხედში ჯერ კიდევ ტრაპიზონის გამგებელ გაბრას საგვარეულოს მფლობელობაში იყო) (*Bryer*, 1980:175) და ისპირი — ზემო და ქვემო სპერში. სალთუკიანთა ხანაში საამისო პირდაპირი მონაცემები არ გავაჩნია, მაგრამ ეს კარგად ჩანს არზრუმში სელჩუკიანთა გაბატონების შემდეგ ბაიბურთის ციტადელის წარწერებისა და ისპირის არქიტექტურის მიხედვით (*Гюзалян*, 1956:311; *Хачатрян*, 1987:91-95; *Winfield*, 1962:166). XII ს. 20-იან წლებში არზრუმის სანახებში ათავსებს ბაიბურთს (არაბ. ბაბირთ) იაკუთიც (იაკუთი: 25).⁴⁰ სპერის მხრიდან დასავლეთით არზრუმის საამიროს ესაზღვრებოდა ქალდია — ტრაპიზონის მხარე, ჩრდილოეთიდან კი — გურჯი-ბოლაზის, იგივე ქართლის (ან საქართველოს) ყელის გავლით — საქართველოს სამეფო.

არზრუმის საამიროში შედიოდა ბასიანი. ეს სხვადასხვა მონაცემით დასტურდება. XII ს. 80—90-იან წლებში, როცა შამ-არმენი ბეგ-თიმური შეიქრა არზრუმის საამიროში, მან მოაოხრა ბასიანიც (სფ. მრმულიანი, 1942:20). მჭნკ-რტში — ქვემო ბასიანში აღმოჩენილია საამშენებლო კვა, რომლის წარწერაშიც იხსენიება 'იზზ ად-დინ სალთუკის შვილიშვილი ამირა აბუ მანსურ არლინ-ბასათი (*Хачатрян*, 1987:63-64, №49). ირკვევა, რომ სალთუკიანთა ერთ შტოს ხელი მიუწვდებოდა ქვემო ბასიანზე. იაკუთის "გეოგრაფიულ ლექსიკონში" (დაიწერა 1224 წ.) აღნიშნულია, რომ ზემო და ქვემო ბასიანი ორი ოლქია, რომელთა დედაქალაქია (კახაბა) არზან რუმი (არზრუმი) (იაკუთი:23). ეს ცნობა, რომელიც არაბმა გეოგრაფმა ბასიანელი ფაკოპისგან (სამართლის მცოდნე) მიიღო, მოწმობს, რომ XII ს. 20-იან წლებშიც კი ბასიანი არზრუმზე იყო დამოკიდებული.

იაკუთი ასახელებს რამდენიმე პუნქტს, რომლებიც შედიოდა არზრუმის საამიროში. ესენია: ასბირანი — "ცნობილი ქალაქი არზან რუმის ხანახებში", ტულათი — "ქალაქი და ციხე... არზან რუმის ოლქში", რომელთა იდენტიფი-

⁴⁰ სხვა მონაცემებით, მოგვიანებით, სპერი ჰენეთთან ერთად შედიოდა თამარის მიერ დაარსებულ ტრაპიზონის იმპერიაში (ბერძნიშვილი 1916: 63; ბერძნიშვილი, 1979:65; რ. მ. ტრეველი, 1991:289). ეს უნდა იყოს, საფოქრეულია, შუა სპერა.

აკაცია არ ხერხდება, და უნიქი — "გამაგრებული ციხე" ქვემო ბასიანში (იაკუთი:17, 19, 73).

არზრუმს მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა ეჭირა. ის წარმოადგენდა თურქების (უფრო ადრე კი არაბებისა და ბიზანტიელების) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორპოსტს სომხეთში. არზრუმის ველი ერთადერთი რაიონია, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხედრო მუქარის შემთხვევაში ერთდროულად იცავდა ანატოლიასა და სირიას და თან აკონტროლებდა სტრატეგიულ მოძრაობას ჩრდილოეთ მესოპოტამიაში (*Коллюбакин, 1888:216; Зеленый, 1892:47*). გარდა ამისა, არზრუმში მდებარეობდა დიდსა და მნიშვნელოვან სავაჭრო მაგისტრალზე, რომელიც ბაიბურთის გავლით ირანსა და აზერბაიჯანს ტრაპიზონთან აკავშირებდა.

დიდ სელოჩუკთა სახელმწიფოს დაშლას, როგორც ვნახეთ, არ გამოუწვევია თურქული ელემენტის პოლიტიკური როლის შემცირება საქართველოს სამეფოს სამხრეთის საზღვრებთან. პირიქით, მოხდა ამ ელემენტის განმტკიცება-კონსოლიდაცია, რასაც ხელს უწყობდა თურქული ტომების უწყვეტი მიგრაცია ცენტრალური აზიიდან მახლობელი და შუა აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონისკენ, მათ შორის ამიერკავკასიისკენ. არარანსა და სომხეთში პოვეს, ალბათ, თავშესაფარი დავით IV-ის მიერ საქართველოდან განდევნილმა თურქმენებმა. გარდა აზერბაიჯანისა და არარანისა, თურქმენთა კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ზონა შეიქმნა გელაქუნის ტბის მიდამოებში. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ დიარ-ბაქრის თურქმენი ამირები სწორედ ამ ტბის სამხრეთით მდებარე დვინის მხარეში ახერხებდნენ ფეხის მოკიდებას.

არარანში, სადაც ისლამიზაციის პროცესი ძირითადად დიდი ხნის დასრულებული იყო, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა თურქიზაციის პროცესი. ანალოგიური პროცესები დაიწყო სომხეთის მიწებზე (არეზის ჩრდილოეთით და სამხრეთით) ქერთული და თურქული სამხედრო არისტოკრატის გაბატონებამ განაპირობა სომხური ფეოდალური საგვარეულოების დიდი ნაწილის ლიკვიდაცია (*Еремьян, 1951:62*). გადარჩენილი სომეხი ფეოდალები გაიქცნენ ბიზანტიაში, საქართველოში, ან ჩადგნენ თურქ-სელოჩუკთა სამსახურში. უცხოელთაგან ანექსირებულ სომხურ ტერიტორიებზე ფაქტობრივად აღარ დარჩა ძალა, რომელიც დაიცავდა სამამულო მიწისმფლობელობას და ამ მიზნით შეიარაღებულ ბრძოლას დაიწყებდა დამპყრობლებთან.

სომხური ეკლესიის პოზიცია ძირითადად შემრიგებლური იყო. სერემიანი მიუთითებს, რომ არაბთა ბატონობის დროიდან სანახარაო მემკვიდრეობითი მიწისმფლობელობის შესუსტებასთან ერთად გაძლიერდა საეკლესიო-სამონასტრო მიწისმფლობელობა. იმის გამო, რომ მუსლიმური სამართლის ნორმებს დემორჩილნენ, მონასტრებს დაუკანონდათ ძველი პრივილეგიები. მათზე ვრცელდებოდა წესები ვაკუფების (სასულოერო მოძრავი და უძრავი ქონების) შესახებ. XIX

ს. დამდეგამდე სომხური საეკლესიო-სამონასტრო მიწისმფლობელობა სარგებლობდა სასამართლო და საგადასახადო იმუნიტეტით, რომელსაც ჩვეულებრივ აღიარებდა ყველა დამპყრობელი (*Ермян*, 1951:58). გასათვალისწინებელია ის, რომ ელდიგუზიანები, შაჰ-არმენები და სალთუკიანები ახორციელებდნენ რეჟულმემწყნარებლურ პოლიტიკას ქვეშევრდომ სომეხთა მიმართ. შაჰ-არმენთა სახელმწიფოში მოქმედებდა არაერთი მდიდარი და ცნობილი ეკლესია-მონასტერი (წმ. კარაპეტის, წმ. არაქელის, მეწობის და სხვ.) (ჯაბრანი: 151; *Измаилова*, 1979: 140; თურშიანი, 1964: 121; *Манандян*, 1954:85). გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სომხური ეკლესია, რომელმაც შეინარჩუნა არსებობა, პრივილეგიები და რომელმაც შეძლო გაეშალა თავისი მოღვაწეობა მუსლიმური სამართლის ნორმებით დაშვებულ ფარგლებში, ნაკლებად იყო დაინტერესებული თურქულ სამხედრო არისტოკრატიათან დაპირისპირებით. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას გამონაკლისს წარმოადგენდნენ ანისის (და საერთოდ შირაკის) ქრისტიანები, რომლებიც შევიწროებას განიცდიდნენ ქურთული მოდგმის შადდადიანთაგან. სწორედ ანისის ქრისტიანულმა ზედაფენამ მათგან თავის დასახსნელად არაერთხელ მოუწოდა დასახმარებლად ქართველ მეფეებს.

იმ პერიოდში, როცა საქართველოს სამეფომ დაიწყო ბრძოლა ჰეგემონიისათვის ამიერკავკასიაში, არანისა და სომხეთის მიწების გადანაწილება თურქი და ნაწილობრივ ქურთი ამირების ხელში სრულდებოდა, ინდა უკვე დასრულებული იყო. ბუნებრივია, რომ თურქული სამხედრო არისტოკრატია ვერ შეურიგდებოდა საქართველოს სამეფოს მისწრაფებებს და ადვილად არ დათმობდა თავის პოზიციებს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ მხრივ სამხედრო-პოლიტიკურმა კონფრონტაციამ ქრისტიანულ საქართველოსა და მუსლიმურ თურქულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის სასტიკი ხასიათი მიიღო.

6. საქართველო, ერაყის სელჩუკთა სასულტნო და თურქული საამიროები დიარ-ბაჰრსა და სომხეთში დავით IV-ის გეგმიკონსტანტინის დროს (XII-XIII ს-ის დასაწყისი)

დავით IV-ის გარდაცვალება, შეიძლება ითქვას, ნიშანი გახდა საქართველოს წინააღმდეგ მეზობელი მუსლიმური სამყაროს ამხედრებისა. შეტევა მიმდინარეობდა ფართო ფრონტით.

1125 წლის ომები

იმნ ალ-ასირი, როცა ის ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის დაპყრობას ეხება, ჩამოთვლის იმ უსიამოვნებებს, რომლებიც ქართველებმა მოუტანეს მუსლიმებს. არაბი მემატიანე იხსენიებს ქართველთა მიერ თბილისის აღებასაც 515/1122 წ.

და იუწყება, რომ სულტანმა მაჰმუდმა "შეჰყარა ჯარები 519/7. II. 1125 - 26. I. 1126 წ. და დაძრა ქართველებზე, მას შემდეგ, რაც ისინი დაეუფლნენ [თბილისს], მაგრამ ვერა გააწყო რა მათ წინააღმდეგ" (იბნ ალ-ასირი, XII:452).⁴¹

ერაყის სელოჯუკთა სულტნის თავდასხმა საქართველოზე 1125 წ. დღემდე უცნობი იყო ჩვენი მკვლევარებისთვის. დაწვრილებით მის შესახებ რაიმეს თქმა არ შეგვიძლია, თუმცა კი იბნ ალ-ასირის ინფორმაცია საშუალებას იძლევა, დავასკვნათ, რომ სელოჯუკთა ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა.

დემეტრეს ზეობის პირველსავე წელს მის წინააღმდეგ გამოვიდნენ დიარ-ბაქრისა და ვანის ტბის რეგიონის თურქულ სამიროთა სამხედრო ძალებიც. ამის შესახებ სომხური ერთი 574/18. II. 1125 — 17. II. 1126 წ. მოგვითხრობს მათეოს ურბაეცი. მუსლიმთა ამ კოალიციაში ის პირველ ადგილზე აყენებს იბრაჰიმ ბ. სულაიმანს — იგივე იბრაჰიმ ბ. სუქმანს, ხლათის გამგებელს, რომელსაც "ხპარსელთა ხარდალს, ადმოსავლეთის ამირაჰს" უწოდებს. მასთან ერთად იყვნენ ხანძითის ამირა და'უდ ბ. სუქმანი, რომელიც ფლობდა ჰინს-ჭაიფასაც და სხვა ამირები, რომელთა ვინაობა დასახელებული არაა. ისინი დიდძალი ლაშქრით შეიჭრნენ საქართველოში, მაგრამ ქართველთა მეფემ (რომელიც ამ კონფლიქტის თარიღის მიხედვით აშკარად დემეტრეა) სასტიკად დაამარცხა ისინი, მოსრა მათი უმეტესობა, "ხუთი დღე სდია მათ და სისხლით მოწყა მთა და ბარი" (მათ. ურბაეცი, 1858:318; მათ. ურბაეცი, 1973: 244-45, 341). ამ ცნობას პირველად ყურადღება მიაქცია მ. ბროსემ (*Brosset*, 1851a:231). შემდეგ ის დაუმსახურებლად იქნა მივიწყებული ქართველ ისტორიკოსთა მიერ, თუმცა კი მას ჩვეულებრივად იმოწმებენ ართუკიანთა ისტორიის მკვლევარები (*Cahen*, 1958a:664; *Hillenbrand*, 1981b: 143). ჰ. მარგარიანი იბნ ალ-ასირის ზემომოტანილი ცნობის (იბნ ალ-ასირი, XII: 452) გათვალისწინებით ფიქრობს, რომ ამ ლაშქრობაში მონაწილეობდა სულტანი მაჰმუდიც, რომელიც იყო მისი ორგანიზატორი (*Маргарян*, 1979b:8; მარგარიანი, 1980:67), მაგრამ არაბი და სომეხი მემატრიანეების ინფორმაცია ამგვარი დასკვნის საშუალებას არ იძლევა.

ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ 1125 წლის კოალიციაში პირველად მონაწილეობდა ხლათის გამგებელი. ასევე პირველად გამოვიდა საქართველოს წინააღმდეგ ნაჰმ ად-დინ ილ-ლაზის ძმისშვილი, ენერგიული და'უდ ბ. სუქმანი. შეიძლება დავუშვათ, რომ ამ უკანასკნელს ამოძრავებდა 1121 წ. დიდგორთან ართუკიანთა სასტიკ მარცხზე რევანშის წყურვილი. მაგრამ მთავარი მიზეზი ამ

41 ბ. კ. თუზე ამ ცნობას არასწორად თარგმნის: Он (Махмуд), правда, собрал было в 519/1125 году войска и выступил против них (грузин) после того, как (они) заняли его (Арджвиш) (!-გ.წ.), но он ничего не смог с ним поделаться (იბნ ალ-ასირი, 1940:161). არაბული აქსროთით გათარგმნა ჩასმოთა თბილისის ამოიღი.

კოალიციური ლაშქრობისა უფრო ღრმად. ვანის ტბის რეგიონისა და დიარ-ბაქრის თურქ ამირებს აშფოთებდათ საქართველოს სამხედრო წარმატებები ჩრდილოეთ სომხეთში. განსაკუთრებით მძიმე უნდა ყოფილიყო მათთვის ანისის აღება დავით IV-ის მიერ. ანისი ქართველთა ჯარისთვის საუკეთესო და მოხერხებულ ბაზა იყო არეზის ნაპირებისკენ გასალაშქრებლად და თვით საქართველოს ტერიტორიების დასაცავად (გედეჯანიშვილი, 1991, № 3:32). ამის გამო, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ანისი გახდა მიზეზი არაერთი სისხლისმღვრელი ომისა ქართველებსა და მეზობელ თურქულ საამიროებს შორის.

დემეტრე I-ის ამ ორი წარმატების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა ქართველთა მიერ დვინის აღება. მუჰამად ალ-ჰამავი წერს, რომ ჰიჯრის 519/7. II.1125 — 26. I.1126 წ. "ზაზართა მეფემ აიღო ქალაქი დვინი და დაზოცა [იქ] ურიცხვი ხალხი" (მუჰ. ალ-ჰამავი, 1960:83მ).

XII ს. 20-იან წლებში ხაზართა აქტივობა ამიერკავკასიაში, ცხადია, ანაქრონიზმა. მუჰამად ალ-ჰამავის ზემომოტანილ ცნობაში ხაზართა მეფის ნაცვლად უნდა წაიკითხოთ ჭურზთა,⁴² ე.ი. ქართველთა მეფე, რომელიც ამ შემთხვევაში არის მხოლოდ დემეტრე I.

ამრიგად, ჩვენს ხელთაა სრულიად ახალი ცნობა, რომელიც მოწმობს, რომ ქართველებმა დვინისთვის ბრძოლა 1125 წ. დაიწყეს. XII ს. I მეოთხედში დვინზე პრეტენზიას აცხადებდნენ შადდადიანები და თურქენი ამირები და უკვე 1121 წ. (დიდგორის ბრძოლის წინ) ის ეპყრა არზანისა და ბითლისის ამირას ტულან-არსლანს. მომდევნო ოთხი წლის მანძილზე მმართველის ცვლილება დვინში უცნობია და შეიძლება დავასკვნათ, რომ 1125 წ. (ან 1126 წ. დასაწყისში) დვინისათვის ბრძოლაში ქართველებმა სძლიეს აპდაბიანებს. ეს იყო, ფაქტობრივად, პირველი

42 ხაზარების (الخرز) და ჭურზების (الجرز) აღრევა ხშირად გვხვდება არაბულ წყაროებში. ეს აღვილია მარტივი მანიპულაციით: არაბულ ასოებზე წერტილების გადაადგილებით. მსგავსი შეცდომები ნაწილობრივ გადაშფერთა „დამსახურებაა“. ამასთან, XII-XIII და მომდევნო საუკუნეების არაბი ავტორები ზოგჯერ, ვფიქრობთ, შეგნებულად ცვლიდნენ ნაკლებად ცნობილსა და გაერცვლებულ ალ-ჭურზს, არაბთა ისტორიაში კარგად ცნობილი და უფრო გასაგები ალ-ხაზარ-ით. მუჰამად ალ-ჰამავი ალ-ხაზარ — ხაზარებს ქართველთა აღსანიშნავად ხმარობს XII ს. 60—70-იან წლებამდე (მუჰ. ალ-ჰამავი, 1960:78ა, 83ბ, 86). ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეთნიკური ტერმინი ალ-ჯურზ, რომელიც IX-X სს. არაბულ წყაროებში გვხვდება ქართველთა აღსანიშნავად, ამ პერიოდამდე ცოცხალი იყო არაბულენოვან წერებში. მაგრამ იმავე ხანებში უფრო ხშირად და ფართოდ გამოიყენებოდა სხვა ეთნიკური ტერმინები: ალ-ქურჯ და ალ-აბხაჯ (ჯაფარიძე, 1993ა:121-43). წყაროებში ალ-ხაზარისა და ალ-ჭურზის აღრევაშ შეცდომაში შეიყვანა წარმოშობით სომეხი ისტორიკოსი მურაჯა დ'ოსონი (გარდ. 1807 წ.), რომელიც თელიდა, რომ ქართველებს თავიანთი სახელი ხაზარებმა დაუტოვეს. ალბათ არაბულ წყაროებს ცნობათა მცდარ ინტერპრეტაციას ემყარება თურქი ისტორიკოსის მ.ბალას განცხადება, რომ სელჩუკთა ხანაში მთელ სამხრეთ ამიერკავკასიასთან ერთად საქართველოც „ხაზართა ქვეყნად ითვლებოდა“ (Bala, 1942:837-45; შენგელია, 1989:157).

სამხედრო კონფლიქტი აჭდაბიანთა საამიროსთან. ქართველებმა დაიკავეს ღვინი, მაგრამ ვერ შეძლეს მისი შენარჩუნება.

1126 წელი. ანისისა და დვინის დაპარება

1125 წ. გამარჯვებები, თითქოსდა ყველა პირობას ქმნიდა იმისთვის, რომ დავით IV-ის საგარეო პოლიტიკური კურსი წარმატებით გაგრძელებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მალე დემეტრე I-მა დათმო ახალი მნიშვნელოვანი ტერიტორიული მონაპოვრები ჩრდილოეთ სომხეთში.

1126 წ. ქართველებმა დაკარგეს ანისი (*История Армянского народа, 1951:160; Маниндян, 1954:271*), სადაც აღდგა შადდადიანთა ძალაუფლება. ცხადია, შადდადიანებს მხოლოდ საკუთარი ძალებით არ დაუბრუნებიათ ეს ქალაქი. ვარდანის ცნობით, დავით IV-ის მიერ საქართველოში გადასახლებული ანისის ყოფილი გამგებლის აბუ ლ-ასვარის ერთერთი ვაჟი ფადლუნი ხორასანში იმყოფებოდა. დავით IV-ის გარდაცვალებისთანავე ის უკან დაბრუნდა და დაიწყო ბრძოლა ანისისათვის (ვარდანის: 147-48). სამუელ ანეცის თანახმად, ფადლუნმა თავშესაფარი პოვა ხორასანის "ამირათა უფროსთან" (სამ. ანეცი, 1893:125-26). მართალია, უკანასკნელის სახელი არ იხსენიება, მაგრამ არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ის დიდი სელოჯუკი სულტანი სანჯარია. როგორც ჩანს, ანისისათვის ბრძოლაში ფადლუნი ეყრდნობოდა ხორასანიდან წამოყვანილ სამხედრო შენაერთებს. ამავე ძალების მხარდაჭერით მას უნდა დაეკავებინა ღვინი და შემდეგ განჯა⁴³ (ვარდანის: 148). მალე სელოჯუკი უფლისწული ტულრილ ბ.მალიქ ბ. მუჰამადი, რომელიც ხორასანში სანჯართან იყო შეხიზნული, ათაბაგ ყარა-სონ-ყურთან ერთად დაბრუნდა განჯაში, ხოლო შემდეგ ფადლუნმა არზანისა და ბითლისის აჭდაბიანებთან მეტოქეობაში დათმო ღვინიც, მაგრამ შადდადიანებმა შეინარჩუნეს ანისი.

ანისისათვის ბრძოლის პერიოდები კარგადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში (ლთთფიფანძე, 1970:105-6; ლთთფიფანძე, 1979გ:265-66; ასათიანი, 1968:47; სცფენაძე, 1974:46; თეთურია, 1975:97-99). მაგრამ შეუძლებელია არ შევჩერდეთ მათეოს ურჰაეცის მითითებაზე, რომ დემეტრემ "დააბრუნა მანუჩეს შვილები (შადდადიანები — გ.ჯ.) ქალაქ ანისში და მრავალი ფიცი დაადგინა ისინი თავის მოწილ მსახურებად მთელი თავისი სიგოფზლის მანძილზე" (მათ.ურჰაეცი, 1966:249). ეს ცნობა რამდენადმე ამსუბუქებს ანისის დაკარგვით გამოწვეულ მძიმე შთაბეჭდილებას და მოუთითებს დემეტრეზე ფადლუნის გარკვეულ ვასალურ დამოკიდებულებაზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ შადდადიანმა ანისი ყმადნაფიცობის პირობით

⁴³ ვ.მინორსკი თვლიდა, რომ განჯის ოკუპაციისათვის ფადლუნ IV-ს, შესაძლოა ნიადაგი მოუშადა დავით აღმაშენებლის წარმატებებმა (*Minorsky, 1953:85; შენ. 2; თოფურია, 1975:100*). მაგრამ ასეთი დაშვება საეჭვოდ მიგვაჩნია.

მიიღო (ღორთფიფანბი, 1979გ:266-67). მან იკისრა ქალაქში ქრისტიანთა პრივილეგიების დაცვა. მართალია, უკანასკნელი პირობა ფადლუნმა დაარღვია (ამბალაძე, 1974:138-39), მაგრამ საქართველოს სამეფოს მიმართ ის, ისევე როგორც მისი მემკვიდრეები, ლოიალური იყვნენ. ამით შეიძლება ავხსნათ ის, რომ დემეტრეს დიდი ხნის მანძილზე აღარ გამოუჩენია აქტიური ინტერესი ანისისადმი. ეს მოხდა მხოლოდ მაშინ, როცა გაჩნდა იმის საფრთხე, რომ ანისის სალთუქიანი 'იზხ ად-დინ სალთუქი დაეუფლებოდა 1154 წ.

1128 წელი. ბრძოლმბი არრანის სელჩუკებთან

ვარდანის ცნობით, "დემეტრემ არამართო შეინარჩუნა მამის მიერ დეტოვებული მემკვიდრეობა, არამედ მიუმატა კიდევაც მას დმანისი და ზუნანი, რომლებიც ხპარხვლებს წაართვა" (ვარდანის: 147).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზუნანი ჯერ კიდევ 1121 წ. შემოიერთა დავით IV-მ (სცოფნაძე, 1990:30), მაგრამ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობიდან მხოლოდ ისა ჩანს, რომ ამ დროს მეფეს დაულაშქრავს და დაურბევია ეს ციხე-ქალაქი (დავით აღმ. ისტ., 1992:188). 1128 წ. იოანე და სუმბატ ორბელიბმა აიღეს ზუნანი (სამ. ანგი, 1893:129) და ამერიდან იგი საბოლოოდ შეუერთა საქართველოს სამეფოს. ამრიგად, ზუნანი, რომელიც მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, თაუზ-ჩაის შესართავთან (მუსხელიშვილი, 1977:157-58; *Мухелишвили*, 1991:172-188) მართლაც წარმოადგენდა დემეტრეს ახალ ტერიტორიულ მონაპოვარს.

რაც შეეხება დმანისს, ეს უკანასკნელი დავით IV-მ დაიპყრა 1124 წლის მარტში. მეფის სიკვდილის შემდეგ, როგორც ჩანს, ქართველებმა დაკარგეს იგი და დემეტრეს დასჭირდა ბრძოლით მისი დაბრუნება.

ივ.ჯავახიშვილი თვლიდა, რომ დემეტრემ დმანისი დაიჭრა 1125 წელს. ის იმოწმებდა ერთ კვინკლოსს, რომლის თანახმადაც დემეტრე გამეფებისთანავე "ქ-ვსა ხამახორმოფდაზუთსა (ე.ი. 1125 წ.) მიუყდა დმანისს, წაუღო ციხე" (ჯავახიშვილი, 1965:221). 1125 წელი დემეტრეს მიერ დმანისის აღების თარიღად მიღებულია სხვა მკვლევართა მიერაც. ამავე დროს გამოთქმულია მოსაზრება, რომ დმანისისათვის ბრძოლა დემეტრეს ამ ლაშქრობით არ დასრულებულა, რადგანაც 30-იან წლებში დმანისის ხელმეორედ აღება გახდა საჭირო (ღორთფიფანბი, 1979გ:264; სცოფნაძე, 1990:30,31). ამ თვალსაზრისის საფუძველს იძლევა თითქოს ისიც, რომ მხითარ აირივანეცის თანახმად დმანისი (ისევე, როგორც ზუნანი) დემეტრემ აიღო 1131-1140 წლებში (მხით.აირივანგი: 80).

როგორ გვესახება ჩვენ ეს საკითხი? ივ.ჯავახიშვილის მიერ დამოწმებულ კვინკლოსში, რომელიც გამოაქვეყნა ე.თაყაიშვილმა, ნათქვამია ისიც, რომ დმანისის აღების დროს მეფემ "ამოსწყვიტნა ყარხხუღუღიანი" მ.ჯანაშვილის მიერ შექმნილი "ქართლის ცხოვრების" ერთი ნუსხით, რომელიც XVII ს. პირველ ნახევარს განეკუთვნება, დემეტრე "მიუყდა დმანისს, წაუღო ციხე

და ამოსწყვიტნა ყარახუნდულლიანი" (თაყაიშვილი, 1913:63; *Такашвили*, 1906: 117). ვახუშტი წერს, რომ მეფემ "მოსტყუევენსა ყარახუნდულლიანნი" (ივ, IV, 1973:165; იხ. აგრეთვე, იოანე მაცონიშვილი, *Н* 2134:6218). ეს ცნობა კი, რომელიც ჩვენი მკვლევარების მიერ ადრე კომენტირებული არ ყოფილა, საშუალებას იძლევა დავადგინოთ დემეტრე I-ის მოწინააღმდეგის ვინაობა და მასთან ბრძოლის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი.

„ყარას უღუღლიანი“, ან უფრო სწორად ყარასულღლიანი / ყარასუნღღლიანი აღნიშნავს ყარა-სონყურის მიმდევართ, ყარა-სონყურიანებს, ხოლო ყარა-სონყური, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვერაყის სელჩუკთა სასულტნოს ცნობილი მოღვაწეა. 1127 ან 1128 წ. სულტანმა სანჯარმა ის ტულრილისა და მას'უდის ათაბაგად დანიშნა და წარგზავნა არარანში, რომლის გამგებლადაც ის რჩებოდა 1140-41 წლამდე. ამ მონაცემებით ცხადია, რომ დემეტრე I-ს არ შეეძლო დაემარცხებინა "ყარახუნდულლიანი" 1125 წ. ეს შეიძლება მომხდარიყო არა უადრეს 1127 წლისა, უფრო 1128 წელს, რომელსაც დმანისის აღების თარიღად ვარდანზე ადრე ასახელებს სამუელ ანეციც (სამ.ანეცი, 1893:128). ზემომოტანილი ცნობა მხითარ აირივანეცისა, რომელიც ამ ამბიდან საუკუნენახევრის შემდეგ წერდა, არაზუსტია (მდრ. შატგარიანი, 1975:82). საფიქრებელია, რომ 1127-1128 წწ. არარანის გამგებლად წარგზავნილმა ყარა-სონყურმა სულტან სანჯარის⁴⁴ სამხედრო ძალების დახმარებით დროებით ხელთ იგდო დმანისი. ამავე ხანებში ჩვენი ვარაუდით, მან ქართველთაგან დაიბრუნა ტავეშისა და ტერუნაკანის ციხეები.⁴⁵ კვირიკიანებმა აბასმა და დავითმა ტავეშისა და მაწნაბერდის ციხეები სამფლობელოდ ტულრილ ბ. მუჰამადისა და ყარა-სონყურისგან მიიღეს.

ყარა-სონყური შეეცადა განემტკიცებინა თავისი წარმატებები და აეღო ნორბერდიც, მაგრამ ამაოდ. 1128 წ. დემეტრემ იგი დაამარცხა მრავალრიცხოვანი ჯარითურთ ნორბერდთან (სამ.ანეცი, 1893:129). იმავე წელს მეფის სარდლებმა აბულეთმა და ივანემ დაიბრუნეს დმანისი, რომელიც საბოლოოდ შევიდა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში.

1130 წელი. ბრძოლები სელჩუკებთან
და შაჰ-არმენტა სახელმწიფოსთან

არაბი ისტორიკოსი ალ-აზიმი აღნიშნავს, რომ ჰიჯრის 524/15. XII. 1129-3. XII. 1130 წ. ქართველებს ორი შეტაკება ჰქონდათ სელჩუკებთან: "დალაშქრეს ქართველებმა [მუსლიმები], დაეცა მათ ხულტნის ლაშქარი და დაიბრუნა ნადავლი..." "დალაშქრეს ქართველებმა ირანის ქვეყანა და დაეცა მათ

⁴⁴ იბნ ალ-ასირი წერს, რომ ამ დროს რეიში მყოფ სანჯარს ჰყავდა დიდძალი ჯარი (ჯაჲშ ქასირ) (იბნ ალ-ასირი, X:65).

⁴⁵ ტავეში და ტერუნაკანი ხელახლა მხოლოდ თამარის ეპოქაში იქნა შემოიკრ. საქართველოს სამეფოსთან (კირაკ. განძაკეცი: 118).

სულტანი ტუდრილი" (ალ-‘აზიმი, 1938: 402,404).

პირველი შეტაკების ადგილს ალ-‘აზიმი არ ასახელებს. არ იხსენიებს სულტანის სახელსაც, მაგრამ ის უნდა იყოს მეორე ცნობის ტულრილი. პირველ ბრძოლაში უპირატესობა ჯერ ქართველებს ჰქონიათ, მაგრამ შემდეგ მოწინააღმდეგეს დაუბრუნებია ქართველთა მიერ მოპოვებული ნადავლი. მეორე ცნობაში ირანის ნაცვლად ამკარად არჩანი იგულისხმება. ტულრილი ამ დროს სწორედ არჩანში იყო. მართალია, ის სულტანი გახდა მხოლოდ 1132 — 1133-34 წლებში, მაგრამ ამ ტიტულით არაბ ავტორებთან ის ზოგჯერ უფრო ადრეც იხსენიება (ალ-ფაზი, 1985:88; სიმეც მ.ალ-ჯაუფი, 1967:204-5).

არჩანის სიახლოვეს ერთ ასეთ სამხედრო კონფლიქტზე 1130 წ. მოგვითხრობს ვარდანი: "ამ დროს გაგის ველი ადივსო ურჯულოთა სხვადასხვა ტომის ურიცხვი მხედრებით, რომლებიც შეიკრიბა აქ, რათა ცეცხლისთვის მიეცათ სურბ-ხაჩის [მონასტერი]... მაგრამ უფალმა თავისი მრისხანებით სიხელე გარდმოუვლინა მათ და გაცოფებულებმა დაიწყეს ერთმანეთის ზოცვა. დემეტრემ ისარგებლა ამით, გამოჩნდა [გაგის] ველზე და ადვილად იგდო ხელთ მთელი მათი საჭურჭლე" (ვარდანი: 150).

შესაძლებელია, რომ ვარდანის ამ და ალ-‘აზიმის მეორე ცნობაში მოხსენიებული ბრძოლები ერთსა და იმავე ამბებს ეხება. ქართველთა თავდასხმას არჩანზე მოჰყვა ტულრილის და მისი ათაბაგის ყარა-სონყურის შემოჭრა საქართველოს სამეფოში. სურბ-ხაჩის მონასტრის დაწვა, რაც ფიგურირებს ვარდანთან, იყო ერთი რგოლი კამპანიისა, რომელიც, ალბათ, გაგის ციხე-ქალაქის დაბრუნებასაც ისახავდა მიზნად. ამ ბრძოლაში დემეტრე I გამარჯვებული გამოვიდა და შეინარჩუნა გაგი. ამით დაპირისპირება არჩანის სელჩუკებთან 1139 წლამდე შეწყდა.

1130 წელი აღინიშნა, აგრეთვე, ახალი შეტაკებით ხლათის გამგებელთან. ლაშა გიორგის-დროინდელი მემკვიდრე მოგვითხრობს, რომ დემეტრემ ამ წელს ("ქორონიკონი იყო სამას ორმოცდაათი") "გააქცივნა ხუქმანეთნი," (ქც. I, 1955: 366; ლობთფიფანიძე, 1979გ: 265). ეს ცნობა თითქოსდა მიუთითებს, რომ „სუქმანეთნი“, სუქმან II-ის ხალხი (Brosset, 1849:381; დინდუა, 1967ა:110), მისი ქვეშევრდომები, მომხდურნი იყვნენ. კონფლიქტი ისევ ჩრდილოეთ სომხეთზე ბატონობით იქნებოდა განპირობებული, მაგრამ ბრძოლის ადგილი უცნობია. მის შესახებ არც აღმოსავლური წყაროები მოგვითხრობენ რაიმეს. ვიცით მხოლოდ ის, რომ დემეტრემ არამარტო "გააქცივნა ხუქმანეთნი, ... თავი ყოველისა სპარსეთობისა", არამედ "დახოცნა და ამოსწყდა და ადავსნა საჭურჭლენი და ლაშქარი მისნი"⁴⁶ (ქც. I, 1955:366). ამ მარცხს ხელი არ შეუშლია შაჰ-არმენისთვის გაეფართოებინა თავისი სამფლობელოს საზღვრები არეზის მარცხენა ნაპირზე შირაკის სამხრეთითა და ვანანდის

⁴⁶ ამ კონფლიქტის შესახებ იხ. სტუფნაძე, 1990:34.

სამხრეთ-აღმოსავლეთით — არშარუნიქში. 1144-1145 წ., როცა დემეტრემ სიკვდილით დასაჯა ივანე აბულეთის ძე, მისი ვაჟი თირქაში სუქმან II-სთან გაიქცა. მან შაჰ-არმენისგან სამფლობელოდ სწორედ არშარუნიქი (ქართ.აშორნია) მიიღო და ალბათ მისივე სამხედრო ძალებით "დიდი ხიმაშაცით არბევდა ხაქართველოს" (ვარდან: 151).

1131 წელი. ახალი კონფლიქტი აჰდაბიანებთან

1130 წ. არზანისა და ბითლოსის გამგებლის შამს ად-დავლა ტულან-არსლანის ვაჟი კურთი (ხურთი) დეინის კედლებთან გამოჩნდა. მან დაამარცხა ფადლუნი და დაიბრუნა დეინი (ვარდან: 150), რომელსაც აჰდაბიანები 1125 წლამდე ფლობდნენ.

ღიარ-ბაქრის თურქმენთა ხელახალმა გამოჩენამ ჩრდილოეთ სომხეთში საქართველოს სამეფო კარის რეაქცია გამოიწვია. ქართველთა ლაშქარი ივანე აბულეთის ძის სარდლობით დაეცა გარნისს, რომელიც, როგორც ჩანს, აჰდაბიანებმა იგდეს ხელთ, მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადა ტულან-არსლანთან (კუზთან) და კურთისთან ბრძოლაში. კურთიმ, რომლის სისასტიკეზეც ლეგენდები დადიოდა, დაღუპულ ქართველ მებრძოლებს თავები დააჭრა და ისინი დეინის მეჩეთის მინარეთსა და მის ქვის შვერილებზე დააწყობინა (სამ.ანგეცი, 1893:131; ვარდან: 151; მარგარიანი, 1975: 84-5). ამ მარცხის შემდეგ საქართველოს სამეფო კარი იძულებული გახდა დიდი ხნით შეგუებოდა დეინის დაკარგვას. XII ს. 60-იან წლებამდე აქ არზანისა და ბითლოსის თურქმენი (აჰდაბიანი) ამირები ბატონობდნენ.

1139-1153-54 წლები. ურთიმართობა არარანთან

კონფრონტაცია საქართველოს სამეფოსა და არარანის თურქ-სელჩუკებს შორის ახალი ძალით განახლდა 1139 წლიდან.

1139 წ. 30 სექტემბრის საშინელმა მიწისძვრამ საძირკვლებამდე დაანგრია არარანის დედაქალაქი განჯა (*Буйнакское*, 1965:55-67) და ათეულობით ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.⁴⁷ მიწისძვრის დროს ათაბაგი ყარა-სონყური ფარსის გამგებლის ბოზ-აბას წინააღმდეგ სალაშქროდ იყო წასული. ყარა-სონყურმა "იზად ად-დინ ალ-ისფაჰანის ცნობით, სძლია ბოზ-აბას, ფარსი სელჩუკ უფლისწულს გადასცა და მხოლოდ უკანდაბრუნებულმა ჯიბალის ქალაქ ბურუჯირდში შეიტყო მიწისძვრის შესახებ. აქვე გაიგო, რომ განჯას "ურწმუნო აზნაზები და ქართველები (ალ-ქურჯ) დასხმოდნენ თავს" (ალ-ისფაჰანი/ალ-მუნდარი, 1900:173; ჯათაბიძე, 1992ა:121).

⁴⁷ სხვადასხვა ცნობით მიწისძვრის დროს განჯაში დაიღუპა 200—300 ათასი ადამიანი (იბნ ალ-ასირი, XI:77; სიბტ ბ. ალ-ჯაუზი, 1952:169; ალ-ისფაჰანი/ალ-მუნდარი, 1900:173; ალ-ისფაჰანი/ალ-მუნდარი, 1943:174 — ამ თურქულ თარგმანში ორიგინალისაგან განსხვავებით, საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ ეს ხალხი თითქოსდა ქართველებმა გაეღიბეს).

განჯაზე დემეტრე I-ის თავდასხმას მოგვიტხოვრობენ სომეხი ისტორიკოსებიც (მხ. გომი, 1968: 38-39; ვიზაჟ. განმაჯიცი:137). ამასთან, 'იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანისა და მხითარ გომის ცნობები ბევრ დეტალში ემთხვევა ერთმანეთს და ისინი არავითარ ეჭვს არ ტოვებენ იმაში, რომ ეს ლაშქრობა სწორედ მიწისძვრას მოჰყვა

ქართველებმა, რომელთაც მეთაურობდა ივანე აბულეთის ძე,⁴⁸ განჯაში დიდძალი სიმდიდრე და ტყვე იგდეს ხელთ (მხ.გომი, 1968:39. აღ-ისფაჰანი/აღ-მუნდარი 1900:173). მათ შეხსნეს განჯის კარები, რომელიც დღემდე დაცულია გელათში,⁴⁹ მაგრამ მიწისძვრით დანგრეული განჯის დარბევას ერთი შესაძლებელი შედეგი შეიძლება ჰქონოდა და ჰქონდა კიდევაც: მუსლიმთა უკიდურესი გაღიზიანება და მათი ძალების კონსოლიდაცია. ყარა-სონყურის სწრაფად დაბრუნდა განჯაში, დაიწყო მისი აღდგენა-განახლება და წამოიწყო საომარი მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ.

'იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანის თანახმად, ყარა-სონყურს დაუმარცხებია, „დაუმცირებია“ ქართველები და დაუხოცია მათგან დიდძალი, მაგრამ ამავე დროს მემკვიდრე ცდებდა, როცა ყარა-სონყურს მიაწერს საქართველოში არარსებული ახლადშენებული ქალაქ განჯის დანგრევასა და განჯის კარების ისევ განჯაში დაბრუნებას (აღ-ისფაჰანი/აღ-მუნდარი, 1900: 173).

ყარა-სონყურის ორ წარმატებით ლაშქრობას იხსენებს მხითარ გომიც. ის აღნიშნავს, რომ მან "შეამფოთა ისინი (ქართველები) და შეაძრწოლა. აიღო მათი გამაგრებული ციხე-ხმაგრეები, დააცხრო ისინი და დაბრუნდა იქიდან მთიანი გელამით" (მხ.გომი, 1968:40).

⁴⁸ მხითარ გომი მას უბრალოდ ივანეს სახელით იხსენიებს (მხ.გომი, 1968:39). ზ.ბუნიატოვის აზრით ის ივანე მხარგრძელია (*Буниято, 1978:192*). ლ.დავლიანიძე ქართველთა ამ სარდალს მართებულად აიგივებს ივანე აბულეთის ძესთან (დავლიანიძე, 1968:28). მაგრამ ამავე დროს უკრიტიკოდ იღებს ვარდანის ცნობას იმის თაობაზე, რომ ივანე აბულეთის ძე დემეტრემ სიკვდილით დასაჯა 1132 წ. (დავლიანიძე, 1968:31). 'იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანის თხზულებაში ქართველთა სარდალის სრული სახელია ივანი აბ აბი ლ-ლამს (აღ-ისფაჰანი/აღ-ბუნდარი, 1900:173). პეტრესამ პირველად გააიგივა ის ივანე აბულეთის ძესთან (აღ-ისფაჰანი/აღ-ბუნდარი, 1889:190. იხ. აგრეთვე მარგარიანი, 1975:83). არაბ. ქ. ზეჰირ მეტყველებაში ხშირად გვაძლევს თ-ს. ამის გამო „აბუ ლ-ლამს“ ქართულში შემოვიდა და დამკვიდრდა აბულეთის ფორმით. ამრიგად, ვარდანის ინფორმაციის საწინააღმდეგოდ, მხითარ გომისა და 'იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანის ცნობებით, ივანე აბულეთის ძე ცოცხალია 1139 წელსაც. სამუელ ანციკისა და ლამა გიორგის-დროინდელი მემკვიდრის თანახმად ივანე აბულეთის ძე დემეტრეს სიკვდილით დაუსჯია 1145 წ. (სამ.ანცი, 1893:133; ქც.1, 1955:367). ეს თარიღი, რომელიც მართებულად მიგვაჩნია, მიღებული აქვთ გნადირაძესა და ჰ.მარგარიანს (ნადირაძე, 1973:64; *Маргарян, 1979*:62; იხ. აგრეთვე: კვაჭანტირაძე, 1989:105-6).

⁴⁹ კარებზე ამოკვეთილი ქართული წარწერა იუწყება, რომ ის ჩამოტანილია დემეტრე I-ის მეფობის მე-13 წელს, ე.ი. 1138 წ. (*Brosset, 1851*:40-1; ქრონიკები, 1892:248). განჯის კარებზე არის უფრო ადრეული არაბული წარწერაც, რომლის თანახმადაც ის გაუკეთებია მკვდელ იბრაჰიმ ბ.უსმან ბ.აქაჯიას შაღდაღიანი შვირ ბ.ფადლის ბრძანებით (*Алытман, 1949*:26-27). იქვე იხ.ლიტერატურა ამ საკითხზე).

სამუელ ანეცი აზუსტებს არრანის ათაბაგის ლაშქრობის ერთ მიმართულებას: 1139 წ. ყარა-სონყურს ივანე აბულეთის ძე დაუმარცხებია განჩენქში⁵⁰ (სამ. ანეცი, 1893:132), იგივე გაჩიანში (*Brossel*, 1850:462; მარგარიანი, 1975:83-4) მდ.დებედას ქვემო წელზე, მდ.ხრამის მარჯვენა ნაპირას იმ ველზე, რომელსაც სომხურ წყაროებში ეწოდება ვრაც-დაშტი (მუხსელიძე, 1980:39).

ყარა-სონყურის სიკვდილის შემდეგ ახალმა გამგებელმა, სულთან მას'უდის მიერ წარმოგზავნილმა ჩავლი ატ-ტულრილიმ ბრძოლით აიღო განჯა, ხელთ იგდო მისი ამირა ზუპტულტი (კუთლული?), რომელიც აქ ყარა-სონყურმა დანიშნა და თვალები დასთხარა მას. შემდეგ ჩავლიმ დაიპყრო ხაჩენის ციხეები და აიღო ტავეშიც, საიდანაც განდევნა კვირიკეს ძე აბასი (მხ.გომი, 1968:41-2).

ჩავლი ატ-ტულრილის მმართველობის (1140-41 — 1146) დროს პირდაპირი მონაცემები არრანის თურქ-სელჩუკებთან საქართველოს სამხედრო კონფრონტაციისა არ გავაჩნია, მაგრამ საფიქრებელია, რომ დემეტრე I-ისათვის სასიამოვნო არ იქნებოდა ჩავლის წარმატებები ხაჩენში. აღსანიშნავია ისიც, რომ კვირიკიანმა აბასმა ტავეშის დაკარგვის (სომხური ერთი 594/13. II. 1145 — 12. II. 1146 წ.) შემდეგ თავშესაფარი ისევ საქართველოში პოვა (მხ.გომი, 1969:41) და საფიქრებელია, რომ დემეტრე I მას აქტიურ დახმარებას უწყევდა ჩავლის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩავლი ატ-ტულრილის გარდაცვალების (1146 წ. შემოდგომა) შემდეგ არრანის გამგებლად დანიშნულმა ფახრ ად-დინ 'აბდ არ-რაჰმან ბ.ტულან-იურეკმა დაუყოვნებლივ დაიწყო სამზადისი საქართველოს დასალაშქრად. მხითარ გომის ცნობით: "სულტნის ბრძანების თანახმად [ის] მოვიდა არრანის ოლქში და დაიპყრო ერთიანად. ამასთანავე გაბორცებული იყო სიმულვილით ქართველთა მეფის მიმართ (და) იმუქრებოდა მთელი იმ მხარის გადაწვით, რომელიც კი მის მფლობელობაში იყო" (მხ.გომი, 1968:41).

ფახრ ად-დინის „გაბორცება და სიმულვილი“ საქართველოს მეფისადმი და მისი სამხედრო სამზადისი, საფიქრებელია, საკმაოდ გახმაურდა. ამას მოწმობს მხითარ გომის ცნობა, რომ მისი ამ "საშინელ მუქარათა გამო, შიშისაგან შემფოთებული დედაქალაქის წმიდა მონასტრები ჰადბატი და ხანაჰინი მხოლოდ ღოცვებით სასოებდნენ და ღმერთს შესთხოვდნენ ყველა მორწმუნის გადარჩენას" (მხ.გომი, 1968:42).

ფახრ ად-დინ 'აბდ არ-რაჰმან ბ.ტულან-იურეკის სამზადისს ქართველებზე

⁵⁰ ლ. დავლიანიძე ცდილობს, რომ 1139 წ. ბრძოლებს დაუკავშიროს ყარა-სონყურის დამარცხება ნორბერდში. ის წერს: „საფიქრებელია, რომ ქართველთა ლაშქარმა მოულოდნელად შემოკრიბო ათაბაგს ფეხდაფეხ სდია, მიუსწრო და დაამარცხა“ (დავლიანიძე, 1968:29), მაგრამ, როგორც ვნახეთ, ნორბერდთან ყარა-სონყური დამარცხდა გაცილებით ადრე, 1128 წ.

სალაშქროდ აღნიშნავენ 'იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანიც (აღ-ისფაჰანი/აღ-მუნდარი 1900:197). აღ-ჰუსაინი მოუთითებს, რომ მან "გაგზავნა ამირები ქართველებთან საბრძოლველად. ის გზავნიდა მათ ერთი მეორეზე მიყოლებით, ისე რომ არავინ დაიტოვა თავისთან" (აღ-ჰუსაინი: 65მ). ზაჰირ აღ-დინი ნიშაბური მოგვითხრობს, რომ ფაჰრ აღ-დინისადმი დაქვემდებარებულმა ამირებმა "განჯას მიაღწიეს და შეერთდნენ ქართველთა მხარეში, შამქორისა და ციხე-სიმაგრე ასმან-ბინის მიდამოებში" (ჯაჰირ აღ-დინ ნიშამური: 62; თფფური, 1975:228), მაგრამ ბრძოლა არ დაწყებულა. ფაჰრ აღ-დინი 541 წლის ზულ-კა'დას თვეში /4. IV—3. V. 1147 წ. მსხვერპლი შეიქმნა სულტან მას'უდის თანხმობით მოწყობილი თურქი ამირების შეთქმულებისა. არრანი და აზერბაიჯანი გადაეცა ამ შეთქმულების ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს ხასს-ბექ ფალანგ-არის, მაგრამ ის ფაქტობრივად სულტანის კარზე იმყოფებოდა და ამ მხარეებს მისი მოხელეები განაგებდნენ.

მხითარ გოში მოგვითხრობს ხასს-ბექის ბრძოლაზე ფარსის გამგებელ ბოზაბასთან, რაც 1147 წლის ივლისში მოხდა და წერს, რომ ამის შემდეგ, ალბათ იმავე 1147 ანდა 1148 წ. განჯის დაუფლებას შეეცადა ვინმე ამირა ერგიში (რომელიც არდებილის ზემოხსენებულ მფლობელი აღუშ/არღუშში უნდა იყოს). განჯის თავაყებმა დახმარება სთხოვეს დემეტრე I-ს. მეფემ გაგზავნა ჯარები და ქართველთა ჩარევის შემდეგ "ერგიში გაიქცა და სპარსეთის მხარეებში დაბრუნდა" (მხ.გოში, 1968:43).

ზემომოტანილი ამბების გადმოცემასთან ერთად სომეხი მემატიანე იმასაც იუწყება, რომ ამ დროისათვის, 1147-48 წ. რუსუდანი, დემეტრეს ასული, სულტანის, ე.ი. მას'უდის მეუღლე იყო (მხ.გოში, 1958:485).⁵¹ აქვე აღვნიშნავთ, რომ მას'უდის სიკვდილის შემდეგ რუსუდანი ითხოვა მისმა ძმამ, ტახტის მამიებელმა სულაიმან-შაჰმა. ეს მოხდა 1153 წ. მიწურულს, ან უფრო 1154 წ. დამდეგს, როცა მან დროებით დაიკავა ჰამადანი. ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. ქორწინების დამეს სულაიმან-შაჰს შეატყობინეს, რომ მის წინააღმდეგ მზადდებოდა შეთქმულება და ის იძულებული გახდა მიეტოვებინა „ქართველთა მეფის ასული“ (ბინთ მალიქ აღ-ქურჯ), „აბბაზი ქალბატონი“ (ზათუნ აღ-აბ-ზაზიმა) და გაქცეულიყო (აღ-ისფაჰანი/აღ-მუნდარი, 1900:214; ჯათაბიძე,

⁵¹ მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკის“ ქართული და რუსული თარგმანებიდან იქმნება მცდარი შთაბეჭდილება იმისა, რომ რუსუდანი 1147-48 წ. კი არ იყო, არამედ მომავალში უნდა გამხდარიყო სულტანის მეუღლე (მხ.გოში, 1968:30,43; მხ.გოში, 1960:15. საკონტროლოდ იხ. ინგლისური თარგმანი, მხ.გოში, 1958:485). აქვე მოვიტანთ ერთ ცნობას, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს რუსთველოლოგებისათვის: რუსუდანის დედამთილს, მას'უდის დედას სახელად ერქვა ნისთ ანდარ ჯალან — "[მსგავსი] არავინ არის ქვეყნად" (აღ-ისფაჰანი/აღ-მუნდარი, 1900:158; აღ-ჰუსაინი:59ბ), რაც ქართულში გუაჰსლევის ნესტან-დარეჯანს (ჩაიკინი, 1938:21-2).

.ჩვენთვის უცნობია, თუ რამ განაპირობა რუსუდანის ქორწინება მას'უდზე და ვინ იყო მისი ინიციატორი. ქორწინება თითქოსდა ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო საქართველოს სამეფო კარისათვის, რადგანაც დემეტრე I-ს რუსუდანის სანაცვლოდ "წოგორც მისხაგებელი მიცემული ჰქონდა განძაგი" (დავლიანიძე, 1968:43,30). შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეფე იღებდა გადასახადებს განჯიდან, მაგრამ ფაქტობრივად და იურიდიულად ეს ქალაქი ისევ ერაყის სელჩუკთა სასულტნოს შემადგენლობაში რჩებოდა და მისი მმართველები სულტან მას'უდის მიერ ინიშნებოდა.

ერთი ასეთი მმართველი იყო ამირა როვადი *resp.* რავადი. მის დროს განჯაზე არარანის თურქმენების მხარდაჭერით პრეტენზია განაცხადა სულტნის ვაჟმა ჯახ'რ-შაჰმა. როვადის თხოვნით დემეტრემ დიდი ჯარი გაუგზავნა მას და აოტა სელჩუკი უფლისწული (მხ.გომი, 1968: 43-45). სომეხი მემატრიანე ამ ამბების ქრონოლოგიაზე არ მიუთითებს, მაგრამ მისი დახუსტება შესაძლებელია.

ჯახ'რ-შაჰი არის სულტან მუჰამად II ბ. მაჰმუდის ძმა ჩაღრი-შაჰი, რომელსაც მხარს უჭერდა ათაბაგი აიაზი (*Dowsett*, 1958:486, მენ. 3). ის ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როცა სულაიმან-შაჰი პირველად დაეუფლა ჰამადანს (548/1153-54 წ.). 'იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანი წერს, რომ ჩაღრი-შაჰმა საფიქრებელი გაუჩინა ელდიგუზსა და ნუსრათ აღ-დინ არსლან-აბას (აყ-სონყურს), როცა ისინი დაუკავშირდნენ სულაიმან-შაჰს. სულაიმან-შაჰის გაქცევის შემდეგ სულტანმა მუჰამადმა დააპატიმრა ჩაღრი-შაჰი (აღ-ისფაჰანი/აღ-მუნდარი, 1900:222). სხვა ცნობით ჩაღრი-შაჰი დაიჭირა და ძელზე ჩამოკიდა ელდიგუზმა (მხ.გომი, 1968:46). ამის შემდეგ მან დაიკავა განჯა, რომელსაც ამირა როვადი ფლობდა. ეს მოხდა 1154 წ. ამრიგად, ჯახ'რ-შაჰს პრეტენზია განჯაზე 1153-1154 წწ. მიჯნაზე უნდა ჰქონოდა და დემეტრეც სწორედ ამ პერიოდში უნდა ჩარეულიყო ხელახლა განჯის საქმეებში.

აღ-პუსაინის ერთი ცნობით, XII ს. 60-იანი წლების დასაწყისში ქართველები მოითხოვდნენ ხარკს შამს აღ-დინ ელდიგუზისგან განჯა-ბაილაკიანიდან, რომელიც უკვე რამდენიმე წელი ('იდდათ ხინსინ) მეფის ხაზინაში აღარ შედიოდა (აღ-

⁵² საერთოდ, გარდაცვლილი ძმის ცოლზე ქორწინება უცხო არ იყო იმდროინდელ ისლამურ სამყაროში და ეს წესი მოგვიანებით შემჩნეული აქვს იოანე ბატონიშვილს (იოანე ბატონიშვილი, 1984:36). თამარის მეორე ისტორიკოსის მითითებები იმის თაობაზე, რომ რუსუდანი იყო „სძალყოფილი დიდთა სულტანთა შამირამეთი და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა“ (ქც, II, 1959:115) შეკლევარებს ადრე საფუძველს აძლევდა, რომ რუსუდანის ქმრად (მას'უდის გარდა) ეგულისხმათ სულტნები სანჯარი, არსლან-შაჰი და სულაიმან-შაჰი (*Ермян*, 1946:400; კაკაბაძე, 1966:107; ბას. ეზოსმოძლ., 1985:19-21,53, მენ. 3). რუსუდანის შესაძლებელ ქმართა შორის დასახელებული იყო ხვარაზმ-შაჰი კუტბ აღ-დინ მუჰამადი (1097-1127) და კიევის მთავარი იზიასლავიც (*Томашов*, 1976:123; ცინცაძე, 1956:176).

ჰუსაინი: 888). განჯა-ბაილაკანის დახარკვა 40-იანი წლების მიწურულსა და 50-იანი წლების დასაწყისის ვითარებას ასახავს, როცა დემეტრე ერეოდა არჩანის საქმეებში, მაგრამ საქართველოს სამეფო კარის ეს უდავო წარმატება (სტოიუნაძე, 1990:46) არჩანის მიმართულებით სელჩუკებთან ბრძოლაში ხანმოკლე აღმოჩნდა. ვითარება აქ შეიცვალა 50-იანი წლების შუა ხანებიდან.

1153-1154 წლები. ურთიერთობები ჯარისა და არზრუმის საამიროებთან

XVI ს. ორი ოსმალთა ისტორიკოსი რაჰიმი-ზადე "ზაფარ-ნამეში" და მალი "ნუსრათ-ნამეში" მოგვითხრობენ, რომ 1153 წ. ყივჩაღთა ლაშქრებმა აიღეს და მოაოხრეს ყარსი. ასე აქვს ეს ცნობა დაფიქსირებული მ.ფ. კირზიოღლუს ერთ თავის ნაშრომში (*Kirzioglu*, 1967:362). მანამდე მკვლევარი ეხება ყივჩაღთა როლსა და მათ დამსახურებას ბაგრატიონთა სამეფოს აღორძინებაში.⁵³ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის ყივჩაღები, რომლებმაც აიღეს ყარსი, საქართველოს სამეფოს სამხედრო ძალებს წარმოადგენდნენ და მართლაც, უფრო ადრეულ მონოგრაფიაში ყარსის ისტორიის შესახებ, მ.ფ.კირზიოღლუ ყარსის აღებას ყივჩაღ-ქართველთა ჯარებს უკავშირებს (*Kirzioglu*, 1953:387). ამრიგად, ირკვევა, რომ რაჰიმი-ზადე და მალი (რომელთა ზემოდასახელებული შრომები ჩვენთვის ხელმძღვანელობელია) ფაქტობრივად მოგვითხრობენ ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის დღემდე უცნობ, საქართველოს მძლავრ შეტევას ყარსის საამიროზე, რომელსაც განაგებდა ქარამ აღ-დინი. ყარსი აღებულ იქნა, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ მოხერხდა. 548/1153-54 წ. ყარსის ციხის საამშენებლო წარწყვრა იწყება, რომ კედლები განუახლებია არზრუმის ამირას 'იზ აღ-დინ სალთუკის ვეზირს ფირუზ-აკაის. ა.ხაჩატრიანი ვარაუდობს, რომ სალთუკიანი ამირას ლაშქარი ფირუზ-აკაის მეთაურობით მიწვეულ იქნა ყარსის გამგებლის დასახმარებლად (*Хачатурян*, 1987:172). მოხდა თუ არა შეტაკება არზრუმელებსა და ქართველებს შორის, უცნობია. ფაქტია, რომ რაღაც მიზეზით დემეტრე I-მა ამჟობინა დაეცალა ყარსი, რომელიც ერთ ხანს სალთუკიანთა გავლენის სფეროში მოექცა.

წარმატებამ ყარსში, როგორც ჩანს, 'იზ აღ-დინ სალთუკს ილუზია შეუქმნა, რომ ანისსაც დაიკავებდა. ამის საბაზი მას ანისის გამგებელმა ფახრ აღ-დინ შადდადმა მისცა. ფახრ აღ-დინმა მოიმიზეზა, რომ დასუსტდა, ქართველთაგან ანისის დაცვა აღარ შეეძლო და 'იზ აღ-დინს შესთავაზა ეყიდა ქალაქი. აღ-ფარიკი, რომელიც ვრცლად მოგვითხრობს ამ ამბავს, წერს, რომ ანისის გამგებელმა სალთუკიანს ქალიშვილი სთხოვა ცოლად. 'იზ აღ-დინმა პირობა მისცა, მაგრამ

⁵³ საერთოდ კი მ.ფ.კირზიოღლუს, ისევე როგორც სხვა თანამედროვე თურქ მკვლევარებს. ახასიათებს XII-XIII სს. საქართველოს ისტორიაში ყივჩაღთა როლის მეტისმეტი გაზვიადება (შენგელია, ჩეჩელაშვილი, 1976:172-73, 174. შენგელია, 1989: 156-58. 164-65).

შემდეგ მან თავისი ასული არზან-ბითლოსის ამირას ფაზრ ად-დინ დავლათ-შაჰს მიათხოვა (ალ-ფაჩივი, 1908:328; *Minorsky*, 1953:87). პ.თოფურია ასკენის, რომ „ანისის ამირა შეურაცხყო ამ ფაქტმა და შურისძიება განიზრახა“ (თოფურია, 1975:101). მან გადაწყვიტა, რომ სალთუკი დემეტრე I-ის ხელით დაესაჯა და როცა არზრუმის ამირა ანისს მიაღდა, ეს ამბავი შეატყობინა ქართველთა მეფეს, რომელიც ანისიდან დაახლოებით ერთი დღის სავალზე, ბაზეის⁵⁴ მთასთან იყო დაბანაკებული (ალ-ფაჩივი, 1908:328). დემეტრე I-მა, ცხადია, არაფერი იცოდა შადდადიანის ინტრიგებისა და ორმაგი თამაშის შესახებ. მისთვის ერთი რამ იყო აშკარა: 'იზ ად-დინ სალთუკს ყარსის დაკავების შემდეგ ანისის დაუფლება ცურდა, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებდა მის პოზიციებს. დემეტრე I სწრაფად დაიძრა ანისისკენ, მოულოდნელად დაეცა სალთუკის ჯარს და სასტიკად დაამარცხა იგი. "ეს იყო ხამინელი დღე მუხლიმთათვის" — წერს ალ-ფაჩივი და როგორც მისი ცნობიდან ირკვევა, ბრძოლაში დაიღუპა და ტყვედ ჩავარდა სალთუკის მრავალი მეთმარი. დატყვევებულთა შორის იყო 'იზ ად-დინ სალთუკიც, რომელიც შემდეგ სირიის (აშ-შამ), დიარ-ბაქრისა და დიარ-რაბი'ას მუსლიმმა გამგებლებმა 100 ათას დინარად გამოისყიდეს (ალ-ფაჩივი, 1908:328).

იბნ ალ-ასირი 'იზ ად-დინ სალთუკთან ბრძოლის თარიღად ასახელებს 548/29. III. 1153 — 17. III.1154 წ. (იბნ ალ-ასირი, X:190), ალ-ფაჩიკო 549/18. III. 1154 — 6. III.1155 წ. (ალ-ფაჩივი, 1908:328), ხოლო სამუელ ანეცი სომხური ერთი 603/11. II. 1154 — 10. II. 1155 წ. (სამ. ანეცი, 1893:134). ბოლო ორი ავტორის, როგორც თანამედროვეთა ჩვენება უფრო სარწმუნოა და ე.მინორსკის კვლადაკვალ (*Minorsky*, 1953:86-7. შფ. 3; თოფურია, 1975:101) შეიძლება მივიღოთ, რომ დემეტრემ სალთუკი დაამარცხა 1154 წ.⁵⁵

არზრუმის ამირაზე გამარჯვებას არ მოუტანია დემეტრე I-ისათვის ახალი ტერიტორიები. ანისი ისევ შადდადიანთა ხელში დარჩა. არზრუმზე ქართველებს 1154 წ. არ ულაშქრიათ, მაგრამ სალთუკის დატყვევებითა და შემდეგ მისი განთავისუფლებით დემეტრე I-მა მიაღწია სალთუკიანი ამირას ნეიტრალიზაციას. მეფემ დააფიცა სალთუკი, რომ ის, ვიდრე ცოცხალი იყო, "ადარ დასცემდა მახვილს დემეტრესა და მისი შვილების წინააღმდეგ და ადარც ღამქრით შეეყრებოდა მათ" (ალ-ფაჩივი, 1908:361; *Minorsky*, 1953:90; ჯაფარიძე, 1989:174). როგორც შემდგომმა მოვლენებმა უჩვენეს, არზრუმის ამირას არ დაურღვევია თავისი ფიცი.

⁵⁴ ე.მინორსკის აზრით, შესაძლოა, ეს არის ბეზობდალი, გურმის აღმოსავლეთით (*Minorsky*, 1953:87, შფ.2).

⁵⁵ ქართულ ისტორიოგრაფიაში 'იზ ად-დინ სალთუკთან ამ კონფლიქტის შესახებ იხ.: ლორთქიფანიძე, 1970:106-107, ლორთქიფანიძე, 1979გ: 267-63, სტეფანაძე, 1974:47; სტეფანაძე, 1990:32-3; თოფურია, 1975:100—101.

551 წ. ჯუმადა ალ-ულას თვეში / 22. VI — 21. VII. 1156 წ. ერაყის სელჩუკთა სულტანმა მუჰამად II ბ.მამუდმა არეზის დაბლობზე, ნახჭევანთან სასტიკად დაამარცხა სულაიმან-შაჰ ბ.მუჰამადი, რომელმაც 1155 წ. ხალიფასა და შამს ად-დინ ელდიგუზის მხარდაჭერით ხელახლა განაცხადა პრეტენზია ტახტზე. ელდიგუზის ლაშქარი უწესრიგოდ გაიქცა. სულტანმა ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი, დაიკავა არრანის ნაწილი და დაბანაკდა ნახჭევანთან. ლტოლვილი სულაიმან-შაჰი მუჰამადის მომხრეებმა იგდეს ხელთ და მავსილოს ციხეში გამოკეტეს.⁵⁶ ალ-ჰუსაინის ცნობით, მუჰამადი ნახჭევანში იმყოფებოდა, როცა "ქართველებმა მისწერეს მას და ითხოვეს მშვიდობა და [ხულტანი] დაუზავდა მათ იმ [პირობით], როგორც [ქართველებს] სურდათ"⁵⁷ (ალ-ჰუსაინი: 79გ).

ალ-ჰუსაინი არაფერს ამბობს, მაგრამ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ დაზავებას წინ უსწრებდა რაღაც დაპირისპირება საქართველოს სამეფოსა და ერაყის სელჩუკთა სასულტნოს შორის. ზ.ბუნიატოვი ვარაუდობს, რომ საზავო წინადადება განაპირობა ქართველთა სურვილმა თავიდან აეცილებინათ სელჩუკთა მოსალოდნელი ლაშქრობა საქართველოზე, როგორც "შურისძიება 548/1153-54 წ. ანისზე მათი თავდასხმის გამო (*Буниятов*, 1980: 232, შენ. 25). მკვლევარს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ანისთან სალოთუქის დამარცხება, მაგრამ ამ დროს არც ანისი და არც არზრუმში არ შედიოდა სელჩუკი სულტნის ინტერესების სფეროში. უფრო მოსალოდნელია, რომ შამს ად-დინ ელდიგუზის დამორჩილების შემდეგ მუჰამადს სურდა უზრუნველყოფა არრანის — ერაყის სელჩუკთა სასულტნოს ამ უმნიშვნელოვანესი სასაზღვრო ოლქის უსაფრთხოება ქართველთა თავდასხმებისგან და გარკვეული პოლიტიკური დემარშის შემდეგ საამისო გარანტიები მიიღო საქართველოს სამეფო კარისგან (ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ იყო ამ დროს მეფე: დემეტრე I თუ გიორგი III).

50-იანი წლების მიწურული და 60-იანი წლების დასაწყისი:
ურთიერთობა არრანთან

ბრძოლებმა ყარსისა და არზრუმის საამიროებთან, შიდა პოლიტიკურმა გართულებებმა (დავით V-ის მიერ დემეტრე I-ის გადაყენება ტახტიდან) მოაღწენს საქართველოს სამეფო კარის ყურადღება არრანისადმი, სადაც უაღრესად გაიძაგრა პოზიციები შამს ად-დინ ელდიგუზმა. 1154 წ. მან ხელთ იგდო მთელი არრანი

⁵⁶ ამ ამბების ქრონოლოგიის შესახებ იხ. *Буниятов*, 1980: 232, შენ. 24, 25. უფრო ადრე, ზ.ბუნიატოვი მუჰამადის ლაშქრობას არრანში არასწორად ბაღდადის ალყის (1157 წ.) შემდგომი ხანით ათარიღებდა (*Буниятов*, 1978: 42-43).

⁵⁷ ზ.ბუნიატოვისეული რუსული თარგმანი ამ ცნობის ბოლო ნაწილისა: „а он (султан) даровал желанный мир им мир“ (ალ-ჰუსაინი: 79გ) ქმნის იმის მცდარ შთაბეჭდილებას, რომ მუჰამადმა გულმოდგინება გამოიჩინა ქართველების მიმართ.

ქ.განჯითურთ, რომელიც ცოტა ადრე დემეტრე I-ის მოხარკე იყო. ვერ ვიტყვით, რომ ეს ქართველთა მხრიდან დაბრკოლების გარეშე მოხდა. მხითარ გოში, რომელიც ხოტბას ასხამს ელდიგუზის მოღვაწეობას, იხსენიებს მის ბრძოლებს ხაჩენის მთავრებთან და ქართველთა მეფესთან (მხ.გთმ, 1958:488)⁵⁸ ბრძოლები გრძელდებოდა 1157 წელსაც. ამ წლის დასაწყისში სულტანმა მუჰამადმა ალყა შემოარტყა ბაღდადს. მას ახლდა აზერბაიჯანისა და ერაყის ჯარები შამს ად-დინ ელდიგუზის ლაშქრის გარდა. ამის მიზეზი თითქოსდა ისიც იყო, რომ ათაბაგი ამ დროს ქართველებს ებრძოდა (ალ-ჰუსაინი: 74მ). ბრძოლების შედეგებზე წყაროები დუმან, მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ისინი არ იყო სანუგეშო საქართველოს სამეფო კარისთვის. ამას მოწმობს ის, რომ 60-იანი წლების დასაწყისში განჯიდან და ბაილაკანიდან უკვე შრავალი წლის მანძილზე საქართველოს სამეფოს ხაზინაში ხარკი აღარ შედიოდა (ალ-ჰუსაინი: 83მ).

შამს ად-დინ ელდიგუზის აღზევება-გამღიერება, უეჭველოა, არ იყო სასურველი საქართველოს სამეფო კარისთვის. ათაბაგსა და მის პროტეჟეს არსლან-შაჰს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა თვით ისლამურ სამყაროში. მათ შორის იყვნენ აბასიანი ხალიფა ალ-მუსთაჩიდი (1160—1172) და მისი ვეზირი იბნ ჰუბაირა. მუჰამად ალ-ჰამაჟიმ შემოგვინახა ერთი საინტერესო ცნობა იმის თაობაზე, რომ როცა ალ-მუსთაჩიდი გახდა ხალიფა (1160 წ.), იბნ ჰუბაირამ ბრძანა მიეწერათ ქართველთა მეფისთვის, რათა ის გამოსულიყო არაბანის ქვეყნისა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ (მუჰ.ალ-ჰამაჟი, 1960:83მ).

რას შეეძლო განეპირობებინა ის ფაქტი, რომ მუსლიმთა სასულიერო მეთაურის ვეზირმა ქრისტიანი მეფე წააქეზა ისლამის ქვეყნების დასალაშქრად? ვიდრე ამ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, საჭიროა მცირე ექსკურსი ჩავატაროთ სახალიფოს ისტორიაში.

ალ-მუსთაჩიდის შამის ალ-მუკთაფის (1136-1160) დროს აბასიანთა სახალიფომ ერაყში აღორძინება დაიწყო. ნიჰურმა და ენერგიულმა ხალიფამ კარგად გამოიყენა ერაყის სელჩუკთა სასულტნოს საშინაო გართულებები, რათა აღედგინა აბასიანთა საერო ხელისუფლება. მან თანდათან ჩამოიცილა თავიდან არასაიმედო თურქული სამხედრო ელემენტი და შექმნა ძლიერი პირადი გვარდია, რომელიც ბერძენი და სომეხი მონებით დააკომპლექტა (ალ-ჰუსაინი: 72ა; ალ-ისფაჰანი/ალ-შუნდარი, 1900:215; Bosworth, 1968:127; Mason, 1972:22). 1153 წ. ბაღდადის მოსახლეობაზე დაყრდნობით მან ქალაქიდან გააძევა სელჩუკი სულტნის შიჰნა, ხოლო 1157 წ. ვეზირ იბნ ჰუბაირას ორგანიზატორული და დიპლომატიური ნიჭის წყალობით იხსნა ბაღდადი სულტან მუჰამადისა და მისი მოკავშირეების შეტევისაგან. სელჩუკ სულტნებთან ბრძოლაში ალ-მუკთაფი მოხერხებულად იყენებდა თურქი ამირებისა და ათაბაგების სეპარატიზმს. მის

58 მხითარ გოშის „ქრონიკის“ ქართული თარგმანიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ბრძოლები მიმდინარეობდა ქართველ მეფესა და ხაჩენის მთავრებს შორის (დაელოანიძე, 1968:46).

მომხრეთა შორის იყო შამს ად-დინ ელდიგუზიც (ალ-ჰუსაინი: 78ა და 8მდ. *Михайлова*, 1990:82).

ალ-მუკთაფის პოლიტიკას აგრძელებდა მისი მემკვიდრე ალ-მუსთანჯიდი, ერთადერთი აბასიან ხალიფებს შორის, რომელიც ზოგიერთი მონაცემით, ქართ-ველი მხეველისგან (უმთ ალ-ვალაღ) იყო ნაშობი (აზ-ზაჰაბი, IV: 233; ას-სუფი-უფი: 442). სახალიფოს პოლიტიკური წონა მის დროს გაიზარდა (*Михайлова*, 1990:82), მაგრამ პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან ერთად შეიცვალა ალ-მუსთანჯიდის დამოკიდებულება ელდიგუზისადმი. ძლიერი ათაბაგი, რომელმაც თავის კონტროლს დაუქვემდებარა არსლან-შაჰი, საშინო ვახდა ალ-მუსთანჯიდისათვის. ხალიფასა და ათაბაგის გზები გაიყარა. ვეზირმა იბნ ჰუბაირამ ელდიგუზის წინააღმდეგ ფართო ფრონტის შექმნა დაიწყო. მან მისწერა რეის, მარალის, ყუმის, არდებილის და ყაზვინის გამგებლებს და წააქეზა ისინი ელაშქრათ ათაბაგისა და არსლან-შაჰის წინააღმდეგ (*Буниятов*, 1978:48).

მუჰამად ალ-ჰამავის მიერ მოხსენიებული იბნ ჰუბაირას წერილი ქართველთა მეფისადმი სწორედ აბასიანთა ვეზირის დიდ დიპლომატიურ ღონისძიებათა ნაწილს წარმოადგენდა. ის მიმართული იყო შამს ად-დინ ელდიგუზისა და არსლან-შაჰის წინააღმდეგ. აბასიანთა დიპლომატია ცდილობდა თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინა ქრისტიანული საქართველოს სამხედრო პოტენციალი. ეს შეიძლება მომხდარიყო არა 1160 წ., როგორც ამას იუწყება არაბი მემატანე, არამედ ცოტა მოგვიანებით, 1161 წ. მაგრამ გიორგი III-მ ვერ გამოიყენა აბასიანთა ხალიფას მორალური მხარდაჭერა და ის დიდი პოლიტიკური და სამხედრო პრობლემები, რომლებიც იბნ ჰუბაირას დიპლომატიურმა ღონისძიებებმა შეუქმნეს შამს ად-დინ ელდიგუზს. 1160 წ. გიორგი III შაჰ-არმენთან ბრძოლებში დამარცხდა ჩათრეული. 1161 წ. მან მთელი ყურადღება ჩრდილოეთ სომხეთზე გადაიტანა. ამასობაში ელდიგუზმა მძიმე ბრძოლებში დაამარცხა მეტოქეები (*Буниятов*, 1978:48-50) და განიმტკიცა თავისი პოზიციები ჯიბალში. ძლიერ-მოსილი ათაბაგი არჩანში დაბრუნდა. ალ-ჰუსაინი წერს, რომ სულტანი და ელდიგუზი აწარმოებდნენ მიმოწერას ქართველებთან და ამ წერილებში ზოგჯერ იყო თანხმობა და ზოგჯერ კი დაევა (ალ-ჰუსაინი : 83ა). მართალია, საქართველოს სამეფო კარს არ შეუწყვეტია ლაშქრობები არჩანის მიმართულებით, მაგრამ მან, ვერ შეძლო ხელი შეეშალა არჩანსა და აზერბაიჯანში ათაბაგთა ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, რომელმაც, თავის მხრივ, დაიქვემდებარა ერაყის სელჩუკთა სასულტნო.

საქართველოს სამეფო კარს არ გააჩნდა რაიმე სერიოზული სოციალური დასაყრდენი არჩანში, სადაც ქართული ფეოდალური სტრუქტურები უცხო და მიუღებელი იყო. შეუთავსებელი იყო მოპირდაპირე მხარეთა იდეოლოგია — ქრისტიანობა და ისლამი. არჩანის მთავარი ქალაქი განჯა, რომლის დაკავებასაც ცდილობდნენ ქართველები, განიხილებოდა ისლამის სამყაროს უკანასკნელ სასაზღვრო ოლქად (ალ-შაფიუვი: 91). მუსლიმთა თვალსაზრისით მისი დათმობა

ნიშნავდა იმას, რომ "ამ სასაზღვრო ოლქში ადარ დარჩებოდა ისლამის ქვეყნის არცერთი ქალაქი, რომელიც მათი არ გაზდებოდა. ამით დაემსო-ბოდა ისლამის საფუძვლები, რომელთაც მოიცავდა წყვედიადი მას შემ-დეგ, რაც ისინი იყო გასხვივოსნებული" (ალ-ჰუსაინი: 106ა).

თურქული ელემენტი უაღრესად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა არაბში, რომელიც დაუსხლტა საქართველოს პოლიტიკურ გავლენას. შამს ად-დინ ელდი-გუზი (სუქმან II-სთან ერთად) გადაიქცა იმ პოლიტიკურ ძალად, რომელიც XII ს. 60—70-იან წლებში დაუპირისპირდა საქართველოს სამეფოს პრეტენზიებს ჩრდილოეთ სომხეთში.

1160—1161 წლები. ომები შაჰ-არმენთან და მის მოკავშირეებთან

თამარის პირველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ გიორგი III გამეფების შემდეგ, ალბათ 1160 წ. (*Brosset*, 1851ა:254; *ლორთქიფანიძე*, 1979გ: 268) დაიძრა "ქალაქსა ზედა კაღზევანსა და წარმოტყუენა ყოველნი კეენები კლდოვანი და ქალაქები ამორნისა, სომეხთა მეფედ წოდებულისა მაჰმუ-მენისა" (*ქც. II*, 1959: 5). ამრიგად, მას დაულაშქრავს ვანანდის სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით არეზის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებზე მდებარე სუქმან II-ის სამფლობელოები. ამ შორეული რეიდის განხორციელება მოსახერ-ხებელი იყო ტაშირიდან, შირაკის გადაჭრით. შესაძლოა, რომ მეფე აპირებდა დაეჭირა ყარსისა და ანისის სამხრეთით მდებარე სტრატეგიული ხაზი (მის შესახებ იხ.: *გეგუანიძე*, 1991 №3:33) და სამხრეთიდან მოეხდინა შადლადიანთა ანისის ბლოკირება.

შაჰ-არმენმა სწრაფი რეაგირება მოახდინა გიორგი III-ის აქციაზე. 1160 წ. ოქტომბერში სუქმან II-ის ლაშქარი მისი სიმამრის ადრადინის (ბადრ ად-დინი?) სარდლობით მეფის წინააღმდეგ დაიძრა. თურქებს თან ახლდნენ გამუსლომებულ ქართველებიც რენეგატ ვასაკის⁵⁹ მეთაურობით, რომელმაც მეგზურობა იკისრა. ბრძოლა მოხდა ოლთისის ოლქში, სადაც შაჰ-არმენის ჯარს შესვლა შეეძლო ვანანდის — ყარსის საამიროს ტერიტორიის გავლით. ჩანს, ყარსი ამ დროს სუქმან II-ის გავლენის სფეროში იყო. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. მათ აოტეს მტერი, ბევრი დახოცეს და ხელთ იგდეს ტყვედ სამასი ამირა (გრ. ხუ-ცისი, 1858: 361-62).

სამხედრო კონფრონტაციამ შაჰ-არმენთან კულმინაციას მიაღწია მომდევნო წლებში.

⁵⁹ შესაძლოა, ვასაკი თბილისის ის ამირაა, რომლის დაპატიმრებაც სურდა ახლადგამეფებულ გიორგი III-ს. მხითარ გოშის ცნობით, ვასაკი საქართველოდან გაიქცა და თავი შეაფარა არზრუმის ამირას 'იზუ ად-დინ სალთუქს, რომელსაც მან დახმარება გაუწია ქართველებთან ტყვეობის (1154 წ.) დროს (*დავლიანიძე*, 1968:47; *ლორთქი-ფანიძე*, 1979გ:268).

1161 წ. ანისის სამღვდლოება (არაბ. კუხუხ) აუჯანყდა შადდადიან ამირას ფადლუნ V-ს, დაამხო ის და ქალაქი გიორგი III-ს გადასცა (დაწვრილებით იხ.: ლონთიფიფანიძე, 1970:107; თფთფრია, 1975:102-3). ეს მოხდა მუსლიმური კალენდრის ჯუმადა ალ-ულას თვეში ე.ი. 28 აპრილიდან 27 მაისის ჩათვლით (ალ-ფარაბი, 1908:361), ან უფრო 13 ივნისს (ხამ.ანეცი, 1893:137; მარგარიანი, 1980:106). 35 წლის შემდეგ ქართველები ხელახლა დაეუფლნენ ამ მნიშვნელოვან ქალაქს, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ანისის საკითხი არ მიეკუთვნებოდა მხოლოდ საქართველოს სამეფოსა და შადდადიანთა ურთიერთობების სფეროს. ანისის დაუფლება ამიერკავკასიაში გაბატონების კარგი საწინდარი იყო (თფთფრია, 1975: 104). შირაკში ქართველთა გამოჩენა მიუღებელი აღმოჩნდა სუქმან II-ისთვის, რომელიც თავად მეთოდურად იმტიციებდა პოზიციებს არეზის მარცხენა ნაპირზე. შაჰ-არმენმა, რომელმაც მანამდე მარალის გამგებელთან ერთად მდ. სეფიდ-რუდთან სასტიკად დაამარცხა შამს ად-დინ ელდიგუზის ვაჟი ფაჰლავანი, შეკრიბა თავისი მოკავშირეები და "მაწვეველ იქმნა ყოვლისა შამისა, ჯაზირისა და დიარბაგისა თურქთა თანა გარდმანისათა" (ისც. და აჰმ. მარაჯანდ., ქც. II, 1959:6). ეს რაიონები ცნობილია: სირია, დიარ-ბაქრი და ალ-ჯაზირას დანარჩენი მხარეები — დიარ-რაბი'ა და დიარ-მუდარი. გარდმანის ნაცვლად უნდა წაეკითხოთ გარმიანი (*Brosset*, 1850:387; ჯავახიშვილი, 1965:230). ამ დროს გარმიანელი თურქები ჯერ კიდევ განსახლებული იყვნენ მალატიის რაიონში.⁶⁰ თურქების გარდა შაჰ-არმენის ჯარში იყვნენ არაბებიც ჰიჯაზიდან (ალ-ფარაბი, 1908:361) — პროფესიონალი მეომრები, რომლებიც მოქიარავნობას ეწეოდნენ.

ალ-ფარაბისა და თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობებით ირკვევა, რომ სუქმან II-ის კოალიციის წევრები იყვნენ: „არდოხის ძე“ — მარდინის ართუკიანი მფლობელის ნაჰმ ად-დინ ილ-ლაზის შვილიშვილი ნაჰმ ად-დინ ალბი (მარგარიანი, 1975:86),⁶¹ არზრუმის სალთუკიანი ამირა 'იზ ად-დინ სალთუკი⁶², არზანისა და ბითლოსის ამირა ფახრ ად-დინ დავლათ-შაჰი⁶³ და, აგრეთვე, ყარსისა და სურმარის მფლობელი (ალ-ფარაბი, 1908: 361; ქც. II, 1959:7).

საქართველოსთან ბრძოლით ყველაზე ნაკლებად, ალბათ, ნაჰმ ად-დინ ალბი იყო დაინტერესებული. მართალია, ის იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ძლიერი

⁶⁰ ეს არ არის „მარდინის ქვეყანა“, როგორც ამას შათოს ურპაეცის მიხედვით ფიქრობს ჰ.მარგარიანი (მარგარიანი, 1975:86).

⁶¹ და არა კუტბ ად-დინ ილ-ლაზი II, როგორც ეს მიჩნეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში (ჯავახიშვილი, 1965:232; ლორთქიფანიძე, 1970:108; ლორთქიფანიძე, 1979გ:269; სტეფანაძე, 1985ა:128; *Лордкипаниძე*, 1974:129).

⁶² ქართველი მემკვიდრე მას შეცდომით სელჩუკიანს უწოდებს (ქც. II, 1959:7).

⁶³ ფახრ ად-დინი იყო ტულან-არსლან ალ-აჰდაბის (კუზიანის) ძე და არა მისი შვილიშვილი, როგორც ამას არასწორად მიიჩნევს ჰ.მარგარიანი (მარგარიანი, 1975:87).

და გავლენიანი სუქმან II-ისთვის (რომლის მფარველობასაც ეძიებდა ნურ ად-დინ მაჰმუდ ბ. ზენგისთან დაპირისპირების დროს), მაგრამ არა ჩქარობდა. მანასკერტში მისულმა ალბიმ შეიტყო კოალიციის მარცხის ამბავი და ისევ უკან, მარდინში დაბრუნდა (ალ-ფარიჟი, 1908: 361).

შაჰ-არმენი სუქმან II და მისი მოკავშირეები ივლისის ბოლოს მიადგნენ ანისს და შემოეწყვენენ მას (ალ-ფარიჟი, 1908 :361). გიორგი III სწრაფად დაიძრა მტერზე. ვიდრე ბრძოლა მოხდებოდა, მუსლიმთა კოალიციამ კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა. მეფის მიახლოებისას 'იზზ ად-დინ სალთუქს, როგორც ალ-ფარიჟი იუწყება, გაახსენდა ის ფიცი, რომელიც მან მისცა დემეტრეს — თავის სიცოცხლეში არ გამოსულიყო მისი შვილების წინააღმდეგ, „ითხოვა ცხენი“ და ჩამოშორდა მოკავშირეებს (ალ-ფარიჟი, 1908:361; *Minorsky*, 1953:90). ძნელი სათქმელია, მისი ეს გადაწყვეტილება რაინდული ეესტი იყო თუ შიში მოსალოდნელი მარცხის წინაშე, მაგრამ ფაქტია, სალთუქის ჩამოშორებამ დაასუსტა კოალიციის ძალები. 1161 წ. 4 აგვისტოს⁶⁴ ანისის კარებთან გიორგი III-მ და მისმა სპასალარმა იოანე ორბელმა (სტ. ორბელიანი, 1978:43) გაანადგურეს თურქთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი.⁶⁵ და ოდეს ჩამოშორდა ხალთუკი — წერს ალ-ფარიჟი — დამარცხდა მუხლიმთა ლაშქრები. დაეცა მათ [მტრის] მახვილი და მოიგლა მათგან დიდძალი. გაიქცა შაჰ-არმენი ანისის კარიდან, და [აგრეთვე] არზანის მფლობელი თავისი ცხენით. ტყვედ იქმნა მუხლიმთაგან ურიცხვი... მოიგლა უშეტეხობა მისი მიმდევრებისა და ბედნიერია ის, ვინც გადაურჩა ბრძოლას⁶⁶ (ალ-ფარიჟი, 1908:361). მართლაც, ბედნიერი იყო ის, ვინც ხიფათს დააღწია თავი. ლტოლვილ შაჰ-არმენს მხოლოდ 400-ოდე მხედარი ახლდა თან (იზნ ალ-ასირი, XI: 278). დიდძალ ტყვეთა შორის იყო 6 სპასალარი და 150 დიდი ამირა (გრ.ხუცესი, 1858:362; ჯაფახიშვილი,

⁶⁴ ალ-ფარიჟი და იზნ ალ-ასირი იუწყებიან, რომ ბრძოლა მოხდა შა'ბანში/26. VII - 23.VIII.1161 წ. (ალ-ფარიჟი, 1908:361; იზნ ალ-ასირი, XI:278). საშუელ ანეცი ასახელებს 1 აგვისტოს (სამ. ანეცი, 1893:137), მაგრამ უფრო ზუსტი უნდა იყოს გრიგორ ხუცესი: ბრძოლა მოხდა 3 დღით ადრე მოთარის დაბნელებამდე, რაც 7 აგვისტოთი თარიღდება (გრ.ხუცესი, 1869:197, შენ. 3; მარგარიანი, 1980:108, შენ. 72), ე.ი. 4 აგვისტოს.

⁶⁵ სომეხი მემკვიდრეები მუსლიმთა ლაშქარს 40 ან 80 ათასით საზღვრავენ (სტ. ორბელიანი, 1978:43; სამ. ანეცი, 1893:137; გრ. ხუცესი, 1858:362). პირველი ციფრი უფრო სწორი უნდა იყოს. XIII ს. ტბეთის სახარების ანდერძით გიორგი III-ს 3 ათასი მეომარი ჰყავდა (ჯაფახიშვილი, 1965: 229, შენ. 2).

⁶⁶ ბოლო ფრაზა, „ბედნიერია ის, ვინც გადაურჩა ბრძოლას“ (არაბ. ვა ლ-მას'უდ მან სალლამა მინ ალ-ვაიქ'ათი), რომლითაც ალ-ფარიჟის სურს გააძლიეროს დამარცხებთ გამოწვეული შთაბეჭდილება. ე.მინორსკიმ ასე თარგმნა: „But al-Mas'ud was among those who escaped from the affray“ (*Minorsky*, 1953:90). მას'უდ, რაც ბედნიერს ნიშნავს, მინორსკის მსგავსად ასევე ადამიანის სახელად გაიაზრა ა.ტერ-ლევონდიანამც (ტერ-ლევონდიანი, 1974:203).

1965:231), დიდებულები სუქმანის სახლიდან (ალ-ფარიჟი, 1908:361)⁶⁷. ორ მათგანს ასახელებს ალ-ფარიჟი. ესენია: ბადრ ად-დინი ხლათის დედოფლის ძმა დედით და ისბაქირდის (იგივე ისფაირდი, მდ.ბოჰტანის ჩრდილოეთ შენაკადზე) მფლობელი ჰ.ლდრი ალ-კ.რ.კ.ტფი (ჰალდრი კირკ-ტული) (ალ-ფარიჟი, 1908:361; *Minorsky*, 1953:91). ტყვეების ნაწილი ხლათის დედოფალმა და მავსილოს ათა-ბაგის ვეზირმა ჯამალ ად-დინმა⁶⁸ დაიხსნეს,⁶⁹ ნაწილიც კი თვით გიორგი III-მ გაათავისუფლა.⁷⁰

ანისთან გამარჯვებამ გიორგი III-ს ჩრდილოეთ სომხეთში მოქმედების თავისუფლება მისცა. მისი შემდეგი ღონისძიება იყო ლაშქრობა ქღვინზე, რომელიც მუსლიმთა კოალიციის, განსაკუთრებით კი აჰდაბიანთა სამხედრო ძალების განადგურების შემდეგ დაუცველი რჩებოდა.

1162 წელი. დვინის აღება

1162 წ. ზაფხულში ქართველთა ლაშქარმა, რომლის რაოდენობაც 30 ათასს აღწევდა, ხლათ იგდო დვინი. არაბი ავტორების თანახმად ეს მოხდა 557 წ. შა'ბანში (ალ-ფარიჟი, 1908:361; იმნ ალ-ასირი, XI:286), ე.ი. 16.VII-13.VIII: 1162 წ., სამუელ ანეცის ცნობით კი — 21.VIII (სამ. ანეცი, 1893: 137). ქართველებმა რევეანში აიღეს აჰდაბიანებზე 1131 წ. გარნისთან მარცხის გამო, დაწვეს დვინის მეჩეთები, დაანგრეს ის მინარეთი, რომელზედაც ელაგა ქართველ მეომართა თავის ქალები და ისინი დიდი პატივით გადმოსაყენეს თბილისში (ვარდანი: 155; მიხ.სირიილი, 1868:321; ალ-ფარიჟი, 1908:361; *Minorsky*,

⁶⁷ ვარდანის ცნობით, დაღუპულ მუსლიმთა რაოდენობა იყო ურიცხვი. გრიგორ ხუცესის თანახმად კი — 7 ათასი (ვარდანი: 155; გრ. ხუცესი, 1858:362).

⁶⁸ ჯამალ ად-დინ აბუ ჯა'ფარ მუჰამად ბ'ალი აბუ მანსურ ალ-ისფაჰანი (გარდ. 1164 წ.) იმნ ალ-ასირის ცნობით, ყოველწლიურად ყიდულობდა (და ათავისუფლებდა) 10 ათასი დინარის ღირებულების მუსლიმ ტყვეს მხოლოდ სირიაში. ეს იმის გარდა, რასაც ის ყიდულობდა ქართველთაგან (იმნ ალ-ასირი, XI:309).

⁶⁹ ბარ-ჰებრეუსის თანახმად ჯამალ ად-დინმა მეფე გიორგისთან ელჩად იაკობიტთა თემის მეთაური (მაფრიანი) იგნატიუსი წარგზავნა. მეფემ ის პატივით მიიღო და ბევრი ტყვე უსასყიდლოდ გაათავისუფლა. შემდეგ გიორგი III-მ ვეზირს საჩუქრები გაუგზავნა და უკანდაბრუნებულ იგნატიუსს თავისი ელჩიც გააყოლა. ორივე ელჩობა შესულა მავსილში შუბის წყევრებზე დაკიდებული ჭერებით. (ბარ-ჰებრეუსი, 1932:286)

⁷⁰ დატყვევებულთა რიცხვს სამუელ ანეცი და გრიგორ ხუცესი 2-3 ათასით, ვარდანი კი 41 ათასით საზღვრავენ (სამ. ანეცი, 1893:137; გრ. ხუცესი, 1858:362; ვარდანი: 155). ალ-ფარიჟი წერს, რომ ქართველებს ტყვედ ჩაუვარდათ 9 ათასი (ალ-ფარიჟი, 1908:361). XIII ს. ტბეთის სახარების ანდერძით, ქართველებმა „მოკლევით და ტყუეობით მოსწყდეს“ 36 ათასი კაცი (ჯავახიშვილი, 1965:229, შენ. 2).

⁷¹ მაგრამ შაჰ-არმენის დამარცხების შემდეგ, 1161 ან 1163 წ. გიორგი III-ს არ ულაშქრია არზრუმზე და არ დაუტყვევებია იზზ ად-დინ სალთუცი, როგორც ამას იმნ ალ-ასირის მიხედვით ფიქრობენ მკვლევარები (იმნ ალ-ასირი, XI:280; სილაგაძე, 1966:109; ლორთქიფანიძე, 1979გ:269-70; სტეფნაძე, 1985ა:128; *Анчабадзе*, 1990:131. ამის შესახებ იხ. ჯაფარიძე, 1989ა:173-74).

1953:92). მაგრამ ღვინის საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში მხოლოდ მცირე ხნით შევიდა (ლორთქიფანიძე, 1979გ:273).

ქართველთა წარმატებები მნიშვნელოვანი და შთაბეჭედავი იყო. ალ-ჰუსაინი იუწყება, რომ ღვინის ალების შემდეგ ისინი აპირებდნენ ისლამის ქვეყნებში შექრას (ალ-ჰუსაინი:88მ). იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, არრანი, სადაც 50-იანი წლების შუა ხანებიდან საქართველოს სამეფო კარმა დათმო პოზიციები. არრანში დაბრუნებულ ელდიგუზს ქართველებმა მოსთხოვეს განჯიდან და ბაილკანიდან შეწყვეტილი ხარკი (ალ-ჰუსაინი: 88მ), ხოლო შემდეგ დაარბიეს განჯის სანახები (ალ-ფარიჯი, 1908:361), მაგრამ თურქების წინააღმდეგ ფართო მასშტაბის შეტევამ განაპირობა მათი ძალების გაერთიანება და კონსოლიდაცია.

ჩრდილოეთ სომხეთით პირველად დაინტერესდა შამს ად-დინ ელდიგუზი, რომელსაც დაუკავშირდნენ ყოფილი მტრები და მეტოქეები: მარალის მფლობელი ნუსრათ ად-დინ არსლან-აბა ალ-აჰმადილი და შაჰ-არმენი სუქმან II. უკანასკნელს ამჯერადაც მხარს უჭერდა აჰდაბიანი ფახრ ად-დინ დავლათ-შაჰი (იბნ ალ-ასირი, XI: 287; ალ-ფარიჯი, 1908:361), რომელიც იმედოვნებდა ღვინის უკან დაბრუნებას.

1163-1164 წლების კამპანია

იბნ ალ-ასირის ცნობით, მოკავშირეებმა, რომელთა ლაშქარი 50 ათას მეომარს აღემატებოდა, ომი დაიწყეს 558 წ. საფარში /9. I-6. II. 1163 წ. ბრძოლები ერთ თვეზე მეტხანს გაგრძელდა და მუსლიმთა გამარჯვებით დასრულდა (იბნ ალ-ასირი, XI:287). ალ-ფარიჯის მიხედვით კოალიციამ მხოლოდ 558 წ. შა'ბან-ში/5. VII-2. VIII. 1163 წ. გაიმარჯვა (ალ-ფარიჯი, 1908:361). ამასთან, ქართული, სომხური, არაბული და სპარსული წყაროები ომის მსვლელობას სხვადასხვაგვარად წარმოადგენენ.

ზაჰირ ად-დინ ნიშაბური და ჰამდალლამ ყაზვინი ომის დაწყების მიზეზად ქართველთა აქტივობას ასახელებენ, რომ "აბზაზთა მეფეს ისლამის მხარეთა ზელში ჩაგდების ფუჭი იმედები გაუჩნდა" და რომ მან "არრანის მხრიდან ისლამის ქვეყნებზე გამოილაშქრა". ათაბაგმა შამს ად-დინ ელდიგუზმა და სულტანმა არსლან-შაჰმა მათ გაგის ციხის საზღვარზე გაუმართეს ბრძოლა, სძლიეს ქართველებს და ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი მეფის ხაზინითურთ (ზაჰირ ად-დინ ნიშაბური: 15; ჰამდ. ყაზვინი, 1903:298-99; ჰამდ. ყაზვინი, 1937:30). ზაჰირ ად-დინ ნიშაბურის ცნობით, როდესაც მუსლიმები ქართველებს დაეცნენ, "აბზაზის მეფე უკანასკნელ წაშს ფეხშიშველი შეაზტა ცხენს და გაიქცა." (ზაჰირ ად-დინ ნიშაბური:15), მაგრამ სხვა წყაროებით ირკვევა, რომ გაგთან ბრძოლაში წარმატება საბოლოოდ ქართველთა მხარეზე იყო და ის, რასაც სპარსელი ავტორები მოგვითხრობენ, მოგვიანებით მოხდა.

თავდაპირველად, როგორც ვარდანი იუწყება, ელდიგუზი შევიდა ღვინში,

შემდეგ მან დალაშქრა და გადაწვა მერენის ციხე ღვინის ჩრდილოეთით, სადაც დაიღუპა 4 ათასი ქრისტიანი. აქედან ათაბაგი გაგის ველზე დაბრუნდა, სადაც დაწვა ხაჩის მონასტერი, მაგრამ მერე, ქართველთა მეფის შიშით მიატოვა აქ ნადავლი, ტყვეები და გაიქცა (ვახტანგი:156). თამარის პირველი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ელდიგუზი და სულტანი "შეიყარნეს რანს და მომართეს ქუემო კერძოსა ქუეყანასა სომხითისასა და მოადგეს ციხესა გაგისასა", აიღეს იგი და "მოაოკრნეს ყოველნი საზღვარნი" (ქც, II, 1959:11) ამ მხარისა.

გიორგი III-მ შეძლო მტრის უკუგდება გაგიდან, მაგრამ დიდებულთა დაინებულ მოთხოვნით აღარ დაედევნა მათ⁷² (ქც, II, 1959:12. სვ. თბმოლიანი, 1978:43)). ელდიგუზი და არსლან-შაჰი გელაქუნისკენ გაემართნენ, შემდეგ ანისის მხარეში შეიჭრნენ, დაწვეს იქაური სიმაგრეები, მიიტაცეს სოფლები აშნაკი და თალინი და "მრავალი კაცი და ქალი და მათთან ერთად ბავშვები გარეკეს ტყვეებად და შორეულ ტომებში გაყიდეს" (დავლიანიძე, 1968:49). ამავე დროს ანისის მიადგნენ შაჰ-არმენი და "ყოველი კელმწიფე არაბეთისა" (ქც, II, 1959:13), ე.ი. სუქმან II და მისი მოკავშირეები. გიორგი III ამ დროს "მცირედითა ლაშქრითა, მონადირე და მზიარული, დგა შორის მთათა ლორისა და დმანისისათა" აქ მას ეახლა სულტნის მოციქული, რომელმაც უკან დაბრუნებისას თურქებს შეატყობინა, რომ მეფეს მცირე ძალები ჰყავდა. მტერი განთიადზე მოულოდნელად დაეცა თავს ქართველებს, სძლია მათ და გიორგი III-მ გაქცევით უშველა თავს (ქც, II, 1959: 13-14). ზაჰირ ად-დინ ნიშაბურის ზემომოტანილ ცნობაში, როგორც ჩანს, ქართველთა ეს მარცხი იგულისხმება.

ალ-ჰუსაინის ვერსიით სულტან არსლან ბ.ტულრილისა და ათაბაგ ელდიგუზის ჭარბებმა თავმოყრა დაიწყეს ჯერ ნახქევანში, მერე კი განჯაში. აქ სულტანს ეახლა სუქმან II, "რათა გაემარჯვა მის სამსახურში" და "ესარგებლა შემთხვევით ეკოცნა მისი ზალიჩისათვის". შაჰ-არმენი, რომელმაც განჯაში კარგად შეიარაღებული მრავალრიცხოვანი ლაშქარი მოიყვანა, დიდი პატივით მიიღეს ისე, რომ არსლან-შაჰი საუბარში მას „უფროს მმას“ (თურქ.ჩიჩი) უწოდებდა (ალ-ჰუსაინი: 89ა).

გიორგი III-მ შეიტყო მტრის სამზადისის შესახებ და ომის თავიდან ასაცილებლად არსლან-შაჰს ზავი შესთავაზა. ელდიგუზი თითქოსდა თანახმა იყო, მაგრამ უარზე დადგნენ ერაყიდან მოსული თურქი ამირები, რომელთა მხარეც დაიჭირა სუქმან II-მ. შაჰ-არმენმა გაიხსენა ქართველთა ძალმომრეობა მუსლიმებზე და მათ მიერ ღვინის აღება. მან განაცხადა, რომ ამდენი სამზადისისა და ხარჯების შემდეგ უომრად დაშლა იმას გამოიწვევდა, რომ ქართველებს უფრო მეტად მოეცემოდათ გული მუსლიმებზე. ერაყში სულტნის დაბრუნების შემდეგ

⁷² გატან ბრძოლაში წყაროები მეფის მხედართმთავრის იოანე ორბელის მოქმედების შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდიან. მას მიაწერენ გამარჯვებასაც (სტ. ორბელიანი, 1978:42) და ლალატსაც (მხ. გომი, 1968:49).

კი ქართველთა მეფე აუცილებლად გაილაშქრებდა ისლამის ქვეყნებზე. შაჰ-არმენის აზრი ომის დაწყების თაობაზე გადამწყვეტი აღმოჩნდა, ქართველთა ელჩი ტკბილი სიტყვით უკან დააბრუნეს და შემდეგ მოკავშირეები 50 ათასზე მეტი მეომრით დაიძრნენ საქართველოსკენ (ალ-ჰუსაინი: 90ა; იმნ ალ-ასირი, XI:287).

ალ-ფარაბის ცნობით, ბრძოლა მუსლიმთა კოალიციასა და ქართველებს შორის მოხდა 558 წ. 9 შაბანს/13. VII. 1163 წ. ალ-ქარქრ-ის ციხესთან. (ალ-ფარაბი, 1908:361). ვმინორსკი ფიქრობდა, რომ ქარქრ-ი — ქარქარი შესაძლოა იყო გერგერი (გარგარი), რომელიც მდებარეობდა ამავე სახელწოდების მდინარეზე ლორეს სამხრეთით (*Minorsky*, 1953:93). ამ მიდამოებში აღნიშნულ ტოპონიმს სომხური წყაროები ადასტურებენ XIII ს. დამდეგს (მატგარიანი, 1980:113). თამარის პირველი ისტორიკოსის მითითება იმის თაობაზე, რომ ბრძოლის წინ გიორგი III "დგა შორის მათა ლორისა და დმანისისათა" ამგვარ ლოკალიზაციას მისაღებს ხდის.

გერგერის- (გარგარის) ბრძოლაში ქართველებმა მძიმე მარცხი განიცადეს. ალ-ჰუსაინი იუწყება, რომ მუსლიმებმა ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი: მეფის საჯინბო ვერცხლის ბაგებით, საიდანაც წყალს სვამდნენ მისი ცხენები, ოქროს ჭურჭელი, რომელშიც ამზადდნენ საჭმელს; ასევე ოქროს ქაგილები, თევზები, სინები და ფიალები. მეფის ხაზინაში აღმოჩნდა დიდძალი ძვირფასი ქვა, მარგალიტი, სარდიონი და მარჯანი "მსგავსი იმისა, რაც ალლაჰმა მოიხსენია ყურანში და შეჰპირდა ხალხს სამოთხეში" (ალ-ჰუსაინი: 91ა-91ბ). ნადავლის ერთი ნაწილი წაიღო სულტანმა, მეორე კი ერგო შაჰ-არმენს. ალ-ფარაბი სუქმან II-ის ნადავლიდან ასახელებს სამ საბალნეს. ერთს შეადგენდა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი; მეორეს — მეფის სამლოცველო, რომელშიც იყო ძვირფასი ქვებით მოჭედული ოქროსა და ვერცხლის ჯვრები და მოოქროვილი და ასევე ძვირფასი ქვებით მოჭედილი სახარებები, რომელთა მსგავსიც არსად მოიძიებოდა და რომელთა ფასიც არავინ იცოდა; მესამეს — მეფის ხაზინა, სავე ოქრო-ვერცხლით, რომლის შეფასებაც სიმრავლის გამო შეუძლებელი იყო. ქხლათის დივნის ქათობთა შეფასებით შაჰ-არმენის ნადავლი 30-ჯერ აღემატებოდა იმას, რაც მან ორი წლით ადრე დაკარგა ანისის კარებთან. გამარჯვების აღსანიშნავად ხლათში დიდი ზეიმი გაიმართა. ასევე მოხდა ბითლისშიც, რისი მოწმეც იყო თავად ალ-ფარაბი 1163 წ. 3 აგვისტოს (ალ-ფარაბი, 1908:362; *Minorsky*, 1953:94).

ალ-ჰუსაინი წერს, რომ რამდენიმე დღის დასვენების შემდეგ გამარჯვებული მოკავშირეები შეიჭრნენ ქართველთა ქვეყანაში და მოაოხრეს ის, ხელთ იგდეს ტყვეები, დაანგრეს მათი სახლები და უკან დიდძალი ნადავლით დაბრუნდნენ⁷³

⁷³ იმნ ალ-ასირი იუწყება, რომ ქართველთა დამარცხების მიზეზი იყო ღალატი ერთი ქართველისა, რომელმაც მიიღო ისლამი და გზა უჩვენა მუსლიმებს (იმნ ალ-ასირი, XI:287).

(ალ-ჰუსაინი: 918). მემატრიანე მუსლიმთა მიერ დარბეულ პუნქტებს არ ასახელებს და ჩანს, რომ მათი თარეში სასაზღვრო რაიონებს არ უნდა გასცილებოდა.

ქართველთა მარცხით 1163 წ., პირველ ყოვლისა, შამს ად-დინ ელდიგუზმა ისარგებლა. მან დაიკავა ქ. დვინი და ბოლო დაუდო აქ საქართველოსა და აქადაბიანთა საამიროს მეტოქეობას. ამის შემდეგ აქადაბიანებმა საბოლოოდ დაკარგეს ინტერესი ჩრდილოეთ სომხეთისადმი და აღარ მიუღიათ მონაწილეობა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლებში. დვინი და მისი მხარე ორმოცი წლით ელდიგუზიანთა კონტროლს დაექვემდებარა.

ალ-ფარისის ცნობით 559 წ. ჯუმადა ალ-ულას თვეში/III-IV. 1164 წ. ქართველები შევიდნენ ანისში (ალ-ფარისი, 1908:364, თოფურია, 1975:105), თუმცა არა ჩანს, რომ მანამდე დატოვეს ის. 1164 წელი სხვა მხრივ არ იყო იღბლიანი გიორგი III-ისთვის. ქართველთა ჯარი დამარცხდა სურმარის ამირასთან — იბრაჰიმთან ბრძოლაში. ელდიგუზმა დროებით დაიკავა ანისი, შემდეგ დატოვა ქალაქი და განჯაში დაბრუნდა, რათა საომრად შეხვედროდა ქართველებს (ალ-ფარისი, 1908:364).

1164 წ. სუქმან II-ს ველარ ვეხდავთ ჩრდილოეთ სომხეთისათვის ბრძოლებში. სიმძიმის ცენტრმა გიორგი III-ისა და შამს ად-დინ ელდიგუზის დაპირისპირებაზე გადაინაცვლა, მაგრამ საბოლოო და გადამწყვეტ გამარჯვებას ვერცერთმა მხარემ ვერ მიიღწია. ამის გამო ისინი იძულებულნი გახდნენ დაეშვათ ანისში შადდადიანთა ხელისუფლების აღდგენა.

თამარის პირველი ისტორიკოსი გვაცნობებს, რომ გიორგიმ "უბოძა ანისი თქსხავე მემამულეხა და ითაყუანა თავისა თქსისა ყმად" (ივ, II, 1959:15). ალ-ფარისი, რომელიც მუსლიმთა ინტერესებს გამოხატავს, წერს, რომ ეს ელდიგუზმა გადასცა ანისი შადდადიან ამირას შაჰან-შაჰს 559 წ. მიწურულში/20. X—17. XI. 1164 წ. (ალ-ფარისი, 1908:364). შადდადიანთა დაბრუნება ანისში მისალეები აღმოჩნდა როგორც საქართველოს სამეფოსათვის, ისე ელდიგუზიანთა საათაბაგოსთვის. იმავე დროს, მეფესა და ათაბაგს შორის, უკანასკნელის თხოვნითა და დემეტრე I-ის ასულის რუსუდანის შუამავლობით, დაიღო ზავი და "შეიქმნა მშვიდობა, ეამ რაოდენმე" (ისვ. და აზმ. შარაჟანდ., ივ, II, 1959: 15; ლოთთფიფანიბე, 1970:108-9)⁷⁴.

60—70-იანი წლები. პართიველთა მარბიელი ლაშქრობები
და სპარტიველთა სამხრეთ-დასავლეთის საზღვრების
ზოგიერთი საპითხი

დროის იმ მონაკვეთში, რომელიც თავსდება ანისში შადდადიანთა ხელისუფლების აღდგენიდან (1164 წ.) — საქართველოში ანდრონიკე კომნენის სტუმ-

⁷⁴ არის სხვა მოსაზრებაც, რომ ანისის თაობაზე გიორგი III-ისა და ელდიგუზის დაზავება მოხდა 1167 წ. (ს. ლაბაძე, 1966:112; სტუონაძე, 1974:54).

რობამდე და შაბურანის აღების (1173 წ.) ახლო ხანებამდე, თამარის პირველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ დიდებულთა დაყინებული მოთხოვნით გიორგი III-მ "ლიხთ-იქით ყოფასა შინა დამსკუნელმან ლაშქრობისამან და ერთხა დღესა შინა ბაემან-შექმნელმან უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელთა – კარისა და ამორნისა, და ამირ-სპასალარსა და სომხითართა – მტკუარს აქეთ ვიდრე განძამდის; თვთ ხასაგანიანთა, ლიხთ-იმერთა და ქართველთა – განძახ დამართებით მტკურის პირი იმიერ და ამიერ ხოლთამდის, ჰერთა და კახთა – ალაზნის შესართავით, ვიდრე შარვანამდის. იქმნა ესევეითარი უცხო ლაშქრობა, რომლისა ხი(გ)მე არაოდეს ვის ეზილვა" (ქც, II, 1959:15-16).

ეს გრანდიოზული მარბიელი ლაშქრობა ნაწილობრივ სამხრეთ-დასავლეთით იყო მიმართული და მოიცავდა თურქთაგან ოკუპირებულ როგორც სომხურ, ისე ქართულ ტერიტორიებს.

ამორნი, *resp.* არშარუნიქი ამ დროს შაჰ-არმენ სუქმან II-ის სამფლობელო იყო, კარის *resp.* ყარსის საამირო კი 60-იანი წლებიდან მისი გავლენის სფეროში მოექცა. ამდენად, მესხთა და თორელთა მიერ ჩატარებული ეს ლაშქრობა შაჰ-არმენთა სახელმწიფოს ინტერესებს ეხებოდა.

ზემომოტანილ ცნობაში ტაოელთა, კლარჯთა და შავშელთა მორბევის ობიექტად დასახელებულია ოლთისი და ბანა. ზემოთ აღინიშნა, რომ ვარდანის ცნობით, დავით IV-მ შემოიერთა ოლთისი და მისი ოლქი. მაგრამ ქართული წყარო მხოლოდ იმას მოგვითხრობს, რომ 1124 წ. იენისში თურქების წინააღმდეგ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მძლავრი შეტევის დროს დავითმა გადაწვა ოლთისი. ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე წერს, რომ დავითისა და დემეტრეს "მეფობასა შინა ამენდა ტაოს ნაპირნი" (ქც. I, 1955:365), მაგრამ ის არ აკონკრეტებს ტაოს ამ ადგილებს და არც სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ დავითის მემკვიდრეები ფლობდნენ ოლთისს. უფრო მეტიც, მათი არ იყო არც ბანა, ოშკი და ხახული, რომლებიც თურქებისგან გაანთავისუფლეს მხოლოდ ბასიანის ბრძოლის წინ. მაგრამ ამიერთაოში ქართველებს ეჭირათ ფანასკერტი, კალმახი, ტაოს-კარი და ვაშლოვანი (ისც. ღა აგმ. შარაჟანდ., ქც, II, 1959:55,130). პინგოროყვა ფიქრობდა, რომ თურქებმა XII ს. 60-იან წლებში გაარღვიეს თავდაცვის ხაზი მესხეთის სანაპიროზე და მოახდინეს ტაოს ოკუპაცია⁷⁵ (ინგლბოყვა, 1954:532). 60-იან წლებში ქართველებმა ყველაზე მძიმე მარცხი განიცადეს მუსლიმთა კოა-

75 პინგოროყვა ამ დროს თურქთაგან ოკუპირებულ მხარეთა შორის ასახელებდა სპერის სამხრეთ უბნებს (ინგოროყვა, 1954:532), მაგრამ XII ს-ში სპერი საერთოდ არ შედიოდა საქართველოს სამეფოში. მისი ნაწილი მაინც ეკუთვნოდა არზრუმის საამიროს.

ლოციასთან 1163 წ., მაგრამ ისტორიული წყაროები, რომლებიც დაწვრილებით ავეიწერენ ომის მსვლელობას, არ იხსენიებენ მუსლიმთა ტერიტორიულ მონაპოვრებს საქართველოში.

ჩვენ იქით ვიხრებით, რომ დავით IV-მ ვერ მოასწრო ოლთისის შემომტყვიება და ის, ბანასთან ერთად, თურქების ხელთ, არზრუმის ან ყარსის ამირების მფლობელობაში რჩებოდა, მაგრამ ამ მხარეებზე პრეტენზია გაუჩნდა შაჰ-არმენ სუქმან II-ს. 1160 წ. სწორედ მისი ჯარი დაამარცხა გიორგი III-მ ოლთისის ოლქში. 1163 წ. ქართველებზე გამარჯვების შემდეგ შაჰ-არმენს, რომელიც ფლობდა კალხევან-ერასხადორ-ვანანდის საკომუნიკაციო ხაზს, შეეძლო თავისი კონტროლისთვის დაეჭვებდებარებინა ოლთისიც. რამდენადმე მოგვიანებით ოლთისს დაეუფლა კეჩრორის ამირა ხარაჩა, მაგრამ 1182 წ. ის მოკლა სუქმან II-მ. შემდეგ ოლთისს ხელი დაადეს არზრუმის სალთუკიანებმა, მაგრამ შაჰ-არმენმა ბეგ-თიმურმა 1192 წ., იმავე დროს, როცა მან აპდაბიანებს წაართვა ბითლოსი და ვასტანი, დალაშქრა არზრუმის საამირო, მოაოხრა ბასიანი, ხელთ იგდო და დაიბრუნა ოლთისი (სც. ორმოლიანი, 1942:20). 1230 წ. იასი-ჩიმენთან ხვარაზმელებზე გამარჯვების შემდეგ ოლთისი დაიკავა ხლათის აიუბიანთა გამგებელმა ალ-მალიქ ალ-აშრაფმა (იხ. ქვინთ, გვ. 192). მუჰამად ალ-ჰამაჯი წერს, რომ ალ-აშრაფმა დაიბრუნა ეს ციხე, რომელიც ადრე ქართველებმა წაართვეს ხლათს (მუჰ. ალ-ჰამაჯი, 1982: 213). მაშასადამე, გარკვეულ პერიოდში, ხლათის გამგებლებს ხელი მიუწვდებოდათ ოლთისზე. ეს, ჩვენი აზრით, მოხდა უკვე XII ს. 60-იან წლებში და გიორგი III-ის დროს მოწყობილი მარბიელი ლაშქრობა ოლთისისა და ბანას მიმართულებით შაჰ-არმენთა სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით ხოლთის შესახებ.

ქართული წყაროს მიერ დასახელებული ხოლთი ზოგჯერ გააზრებულია როგორც ხლათი (იხ. ე. ა. შ. შარაჟანდ., 1973: 181; სინ, III, 1974:279), მაგრამ ქართველთა ლაშქრის მიმართულება მის ცნობაში აშკარად არის "განძახს დამართებით მტკუროს ბირი იმიერ და ამიერ ზოლთამდის" და აქ ძნელია დავინახოთ, ხლათი, რომლის დასარბევადც საჭირო იყო არეზის გადალახვა (რასაც მემატინე არ იხსენიებს) და ვანის ტბის რეგიონში შექრა, რისი გაკეთებაც XII ს. 60—70-იან წლებში ქართველთა სამხედრო ძალებს ვერ კიდევ არ ძალუძდათ. ხოლთი ჩვენი აზრით არის კოლთი, მხარე მაწნაბერდის სამხრეთით, მდ. განძაკის შუა წელზე (*Атлас Армении* : 106).

გიორგი III-ის ზეობის წლებში, 'იზ ად-დინ სალთუკის გარდაცვალების (1168 წ.) შემდეგ განახლდა კონტრონტაცია საქართველოს სამეფოსა და არზრუმის საამიროს შორის. აღმ. ამიერკავკასიაში ქ. შაბურანის აღების (1173 წ.) (*Minorsky, 1964: 128; Степнадзе, 1972:749-51*) მომდევნო ხანებში მეფემ სასტიკად, "რომელი-ესე უფხო იყო შესამღებლად კაცობრივისა ძალიზ-გან", დაარბია ბასიანი (იხ. ე. ა. შ. შარაჟანდ. ქვ., II, 1959:17).

პ.ინგოროყვა მიიჩნევდა, რომ 1123 წ. ბასიანი საბოლოოდ იქნა გაწმენდილი: თურქთა ურდოების ნაშთებისაგან და ის შეუერთდა საქართველოს (ინვოროყვა, 1954:530-31). 1123-25 წლებიდან მოკიდებული მომდევნო ორმოცი წლის მანძილზე; როგორც ფიქრობდა მკვლევარი, სასაზღვრო ხაზი ბასიანის მხარეთა ზონაში XII ს. 60-იან წლებამდე იყო სტაბილური და მას ამ ხნის მანძილზე არ განუცდია რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. ამავე პერიოდში წარმოებდა დასახლება ბასიანისა ქართული ელემენტით, მაგრამ ორმოცწლიანი შესვენების შემდეგ ბასიანის მხარეები ისევ გახდა ასპარეზი თურქების თარეშისა. თურქებმა 60-იან წლებში აქაც შესძლეს გაერღვიათ თავდაცვის ხაზი და მოახდინეს მისი ოკუპაცია. ქართველებმა ბასიანი დაიბრუნეს XII ს. უკანასკნელ ათწლეულში (ინვოროყვა, 1954:531-32). დ.მუსხელიშვილის აზრითაც ბასიანი XII ს.-ში საქართველოს მონარქიის ფარგლებში იყო (მუსხელიშვილი, 1977ა:219). საქართველოს სამეფოს საზღვრებში შეაქვს ბასიანი XIII ს. დამდეგისთვის მ.ბერძენიშვილს (მერძენიშვილი, 1966:53-რუკა: სადართყოლთ XIII ს. დამდეგს; იხ. აგრეთვე რუკა: სადართყოლთს სასელმწიფოთ XIII ს. დამდეგს.), მაგრამ ამგვარი თვალსაზრისისთვის მტკიცე არგუმენტები არ მოიპოვება.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ დავით IV-მ პირველად 1116 წ. დაარბია თურქები "ბასიანამდე და მთად კარნიფორისა" (დავით აღმ. ისტ., 1992:180), 1124 წ. ივნისში კი მეფე "წარემართა ლაშქრითა, განელო ჯავახეთი, ვოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამდინ, და რამცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე-ყო" (დავით აღმ. ისტ., 1992:196), მაგრამ ქართველი მემატიანის ცნობებში არაფერია ნათქვამი საქართველოსთან ბასიანის შემოერთებაზე. არც ქართული და არც უცხოური წყაროებით (ტაოს მხარეთგან განსხვავებით) არ ჩანს, რომ ქართველებმა XII ს. 60-იან წლებში დაკარგეს, ანდა ამ საუკუნის ბოლოს დაიბრუნეს ბასიანი. ეს მხარე XII ს.-ს მთელ მანძილზე არზრუმის ამირებს ემორჩილებოდა, რისი ზოგიერთი მონაცემიც ზემოთ (გვ. 83) იყო მოტანილი.

XII ს. 60—70-იანი წლების მარბიელი ლაშქრობები, როგორც მართებულად აღნიშნავს მ.ლორთქიფანიძე, ერთი მხრივ, მიზნად ისახავდა დავლა-ალაფს და მეორე მხრივ, მტრის ზურგის დაზვერვას ბრძოლით (ლორთქიფანიძე, 1979გ: 279-80)⁷⁶. საქართველოს სამეფოს კარი XII ს. 60—70-იან წლებში ვერ კიდევ არ იყო მზად გადასულიყო გადამწყვეტ შეტევაზე ჩრდილოეთ სომხეთში სალთუკიანთა და შაჰ-არმენთა სამფლობელოების წინააღმდეგ. ისევე როგორც ადრე, ახლაც მთავარ საზრუნავად რჩებოდა ანისის შემოერთება.

⁷⁶ საერთოდ საქართველოს სამეფო კარის მიერ ორგანიზებული მარბიელი ლაშქრობებისა და შეტევითი ომების ბუნების შესახებ იხ. ჯავახიშვილი, 1965:304; მელიქიშვილი, 1973: 80-9; ნ. ბერძენიშვილი, —ისი, IX, 1979:130-31; ყორანაშვილი, 1981:140.

1174 წ. ოქტომბერში გიორგი III-მ ხელახლა აიღო ანისი. მეზობელი თურქული საათაბაგო-სამიროების რეაქცია ახლაც მძაფრი იყო. ამჯერად ომი დაიწყო შამს ად-დინ ელდიგუზმა. მან ილაშქრა საქართველოს სამეფოზე, თავს დაესხა ანისს და მოაოხრა მთელი შირაკის ოლქი (ალ-ფაჩივი, 1908:365; ჯაბდანი: 159; ლოთთფიფანიძე, 1979გ:271). ათაბაგი დამარცხდა, მაგრამ მან მალე ახალი ჯარი შექყარა. დვინთან დაბანაკებული მოწინააღმდეგენი უომრად დაიშალნენ. ელდიგუზი ნახჭევანში დაბრუნდა, საიდანაც შაჰ-არმენ სუქმან II-ს და სხვა ამირებს ქართველთა წინააღმდეგ საომრად მოუწოდა (ალ-ფაჩივი, 1908: 365).

ალ-ფაჩივი იუწყება, რომ 571 წ. მუჰარამში /22.VII – 20.VIII.1175 წ. სელჩუკი სულტანი არსლან-შაჰი, შამს ად-დინ ელდიგუზი, მისი ვაჟი ფაჰ-ლაფანი და შაჰ-არმენი ჰამადანის, აზერბაიჯანისა და დიარ-ბაქრის გაერთიანებული ჯარებით ნახჭევანიდან საქართველოსკენ დაიძრნენ. გელაქუნის გავლით ისინი მიუახლოვდნენ დმანისისა და ლორეს ველებს (საპრა') და გაემართნენ აკ-შაჰრისა და თრიალეთისაკენ⁷⁷ (ალ-ფაჩივი: 199მ). ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ მტერმა მოაოხრა ლორე-დმანისის მიდამოები (ლოთთფიფანიძე, 1970:109; ლოთთფიფანიძე, 1979გ:272; სცფენაძე, 1985ა: 129), მაგრამ არაბი მემატიანის ინფორმაციიდან უფრო ისა ჩანს, რომ მუსლიმებს აკ-შაჰრი და თრიალეთი აინტერესებდათ. ვ.მინორსკის მიაჩნდა, რომ აკ-შაჰრი იყო თეთრი-ციხე, რომელიც მდებარეობდა პალაკაციოს (ჩილდირის) ტბის აღმოსავლეთით, ყარს-ახალქალაქის გზაზე (*Minor sky*, 1953:98, შენ.1), მაგრამ ალ-ფაჩივი გარკვევით წერს, რომ აკ-შაჰრი ახალქალაქია (აკ-შაჰრ ჰიმა მადინათუ ასალფადაფ) (ალ-ფაჩივი: 199მ) და ასეა მოგვიანებით, ოსმალთა ბატონობის ხანაშიც (ჯიფია, 1958:305-38).

მ.ლორთქიფანიძე წერს, რომ შედეგი ამ ბრძოლსა გარკვევით არცერთ წყაროში არაა მითითებული (ლოთთფიფანიძე, 1970:109; ლოთთფიფანიძე, 1979 გ:272). ამჟამად სომხური და არაბული წყაროების საფუძველზე შესაძლებელია ამ საკითხზეც ვიმსჯელოთ. მუსლიმებმა მოაოხრეს ქახალქალაქი და ჯავახეთი (სც.ობშელიანი, 1942:18; მარგარიანი, 1980:122). ალ-ფაჩივი იუწყება, რომ კოალიციური ლაშქრის შექრის დროს გიორგი III დაბანაკებული იყო ბ.რტა.'ინთან (არტანი) გაუვალ ტყეში და ის არ გამოსულა მტერთან

⁷⁷ ამედროზის მიერ გამოცემული ალ-ფაჩივის თხზულების ნაწყვეტებში ეს ადგილი შეცდომითაა ამოკითხული, მუსლიმები „ხარაჯუ ილა აკ-შაჰრ ეა ჰიმა მა ბამნა ახალქალაქ ეა თრიმალის“ („მუსლიმები გაემართნენ აკ-შაჰრისკენ, რომელიც ახალ-ქალაქსა და თრიალეთს შორისაა“) (ალ-ფაჩივი, 1908: 365). ამ შეცდომას უწრადლება მიაქცია და გაასწორა ვ.მინორსკიმ (*Minor sky*, 1953:97-8, შენ.2).

საბრძოლველად.⁷⁸ მუსლიმებმა მოაოხრეს მთელი ეს მხარე, დაანგრეს სოფლები, ტყვედ წაასხეს მოსახლეობა, გაანადგურეს ნათესები და ამ ოლქში არცერთი ნაგებობა არ დაუტოვებიათ. რამდენიმე დღის შემდეგ მათ დატოვეს საქართველო. სულტანი დვინს გაემართა, ხოლო შაჰ-არმენი 1175 წ. 29.IX. დიარ-ბაქრის ლაშქრითურთ ხლათში დაბრუნდა, სადაც მას საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს (ალ-ფარაბი, 1903:365; *Minorsky*, 1953:98). ამავე ლაშქრობას უნდა ეხებოდეს ლაშა გიორგის-დროინდელი მემკვიდრე: „და მოვიდა ილდეღუზი (ელდიგუზი— გ.წ.) დიდი ლაშქრითა სპარსეთისათა, დაარბია შავშეთი, კლარჯეთი“, მაგრამ ის აღნიშნავს, რომ საბოლოოდ ქართველებმა გაიმარჯვეს (ღც, I, 1955:367), რაც არ შეეფერება სინამდვილეს.

მალე ქართველებმა დათმეს ანისი.

ერთი სომხური ქრონიკის ცნობით აფხაზთა მეფემ სომხური წელთაღრიცხვით 1012 წელს, ე.ი. 5.II.1176—4.II.1177 წ. ანისი დაუბრუნა თავის მფლობელს (ამცალაძე, 1974:141). ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ამ დროს საქართველო შეძრა ორბელთა აჯანყებამ. ახალი მონაცემებით ის დაიწყო 1176 წ. 11 აპრილის მზის დაბნელების შემდგომ ხანებში და დასრულდა 1177 წ. (ამცალაძე, 1974:142; *Маргарян*, 1975:149; *Цагареишвили*, 1985:143). მუსლიმთა კოალიციასთან სამხედრო მარცხმა 1175 წ. და გართულებულმა საშინაო პოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოს სამეფოში 1176-1177 წლებში, ხელსაყრელი პირობები შექმნეს ანისში შადდადიანთა ხელისუფლების აღდგენისათვის.

საქართველოს მეტოქეობამ ელდიგუზიანთა საათაბაგოსთან და შაჰ-არმენთა სახელმწიფოსთან საშუალება მისცა შადდადიანებს XII ს. მიწურულამდე გაეხანგრძლივებინათ თავიანთი ბატონობა ანისში და, საერთოდ, შირაკში. წარუმატებლად დამთავრდა, აგრეთვე, საქართველოს სამეფო კარის სამხედრო ღონისძიებები დვინში ფეხის მოსაკიდებლად. ხანგრძლივმა, სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა არ მოუტანა ახალი ტერიტორიები საქართველოს სამეფოს ჩრდილოეთ სომხეთში. მხარდაჭერა სომეხი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც თანამედროვე სომეხი მკვლევარები დიდ მნიშვნე-

⁷⁸ სპარსელ ისტორიკოსებს აღნიშნული ამბავი 569/1173-74 წ. აქვთ მოთხრობილი. ისინი მიუთითებენ, რომ საქართველოზე ლაშქრობისას გზად სულტანი არსლან ბ. ტულურილი ავად გახდა, ხოლო არეზის ნაპირზე თურქების ჯარში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა. მიუხედავად ამისა, ელდიგუზი დიდი ლაშქრით მაინც შეიჭრა საქართველოში. მასთან ერთად იყო შაჰ-არმენიც. მოკავშირეებმა დაარბიეს აკ-შაჰრი. ქართველთა მეფე ამ დროს ტყვეში იმალეობოდა. მუსლიმები უკან გამარჯვებულები დაბრუნდნენ (ზაჰირ ად-დინ ნიშაბური: 15; რაშიდ ად-დინი, II 5, 1960:173; პამდ . ყაზვინი, 1903:302-3; პამდ. ყაზვინი, 1937:30); ე.მინორსკი და ზ.ბუნიატოვი ვფიქრობთ, არასწორად, 1175 წ. კოალიციურ ლაშქრობას უკავშირებდნენ იმ ამბებს, რომლებიც 1163 — 1164 წ. მუსლიმთა კოალიციური ლაშქრობის დროს მოხდა (*Буниятово*, 1978:60; *Minorsky*, 1953:100).

ლობას ანიჭებენ⁷⁹, ჩანს, სამხედრო თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ იყო ეფექტური, საქართველოს მხარდაჭერა ჰქონდა შირაკში, ანისის ქრისტიანულ ზედაფენებში, მაგრამ ასეთივე მხარდაჭერა XII ს-ში არ ჩანს დვინის, ყარსის, არზრუმისა და სამხრეთ სომხეთის ქრისტიანული მოსახლეობის მხრიდან. არ არის გამორიცხული, რომ მათ პასიურობას განაპირობებდა კონფესიონალური მიზეზები: ერთი მხრივ, მუსლიმი გამგებლების (შაჰ-არმენები, სალთუკიანები, ელდიგუზიანები) რჯულმემწყინარებლური პოლიტიკა ქვეშევრდომ სომხებისადმი (იხ. აქევ, გვ. 85, 249) და მეორე მხრივ, ქართულ-სომხური სარწმუნოებრივი ურთიერთობები, საქართველოს ხელისუფალთა და ეკლესიის ღონისძიებები სომხეთის ეკლესიის ქართულთან გაერთიანების მიზნით (ამ საკითხზე იხ.: ლორთქიფანიძე, 1968:123-140; მაის-ურაძე, 1982: 90-94).

მ.ლორთქიფანიძე, როცა ეხება დავით IV-ის მემკვიდრეთა ბრძოლებს შორეულ, არაქართული მიწებისათვის, ასახელებს მათი წარუმატებლობების მიზეზებს: სირთულეებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვეყნის დაპყრობა-შემომ-

79 ს.ერეშიანის თანახმად, სომხეთის ქალაქების (ანისი, დვინი, ყარსი, ერზინჯა, კარინი, ხლათი...), პირველ ყოვლისა კი ანისის ვაჰარ-ხელოსანთა გამოსვლებმა ფეოდალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, საქალაქო თავისუფლებებისთვის, მიიღო თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათი. ამ გამოსვლებმა ნიადაგი მოუმზადეს სელჩუკ ფეოდალთა ქვეშევრდომ სომხურ ოლქებზე ქართულ-სომხური ჯარების ძლევამოსილ შეტევას (*Ермьян*, 1951:63) საერთოდ სომხური ისტორიოგრაფია დადებითად აფასებს საქართველოს როლსა და მნიშვნელობას სომეხი ხალხის ამ განმათავისუფლებელ ბრძოლაში (*Ермьян*, 1951:63; *Урманя*, 1979:8—9; *Бабаян*, 1969: 13-4 და შმდ). მაგრამ უქანასკნელ ხანებში სულ უფრო შეინიშნება საქართველოს წვლილის მიჩქმალვა, წინა პლანზე მხოლოდ „ზაქარიათა“ ე.ი. მხარგრძელთა დამსახურების წამოწევა (მაგ. მარგარიანი, 1989:35-49). ეს მაშინ, როცა მხარგრძელთა მოღვაწეობა (დანერვილებით იხ. მესხია, 1979:159—319) წარმოუდგენელია ქართული ფეოდალური საზოგადოების მიღმა. ჩრდილოეთ სომხეთისათვის ბრძოლებში საქართველოს სამეფო კარი, ცხანდია, იყენებდა საქართველოში ემიგრირებულ სომხებს, ტაშირ-ძორაგეტის სომხური მოსახლეობის წარმომადგენლებს. მაგრამ თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ მხარგრძელების მიერ სომხურ არზად ორგანიზებული ეს სამხედრო რაზმები XII ს. 80-იან წლებში გადაიქცა მნიშვნელოვან ძალად (*Бабаян*, 1969:34), გაზვიადებულია. არ არსებობდა არავითარი სომხური არმია და არც სომხური სამხედრო შენაერთები ქართული ფეოდალური ლაშქრისა და მისი სტრუქტურების გარეშე. მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს შედეგად ეწარმოებინა ხანგრძლივი ომები და გაეღო დიდი სამხედრო ბარჯები (რომელთა შეფასება, თუნდაც მახლობლით, დღეს შეუძლებელია, რომ არაფერი ვთქვათ ამ ომებში ასევე დიდძალ მსხვერპლზე ცოცხალი ძალის სახით. ეს სახელმწიფო იყო საქართველოს სამეფო, რომელიც მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით ებრძოდა თურქებს. ამის შესახებ კარგად იყო ცნობილი როგორც მახლობელი აღმოსავლეთის იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, ისე ისტორიკოსებისთვის, მაგრამ თანამედროვე სომეხი მკვლევარები ცდილობენ დაინახონ სომხები უცხოურ (მაგ. არაბულ) წყაროებში იქაც კი, სადაც მათი ხსენება არ არის. მაგ. ა.ტერ-ლევონდიანი წერს: „Иби ал-Асир употребляет общее название курдж для всего населения Грузии и Северной Армении“ (*Тер-Гевондьян*, 1981:415 შენ.), რაც არ შეეფერება სინამდვილეს.

ტყეობასთან, ქართველ ფეოდალთა პარტიკულარისტულ ტენდენციებს, რამაც განაპირობა ანისის დაკარგვა და აგრეთვე საქართველოს საზღვრებთან ძლიერი თურქული პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბებას (ლოთთფიფიანიძე, 1970:112-13). ამ მხრივ დიდი იყო საგარეო ფაქტორის როლი. შაჰ-არმენთა და ელდიგუზიანთა სახელმწიფოებს (რომლებიც საქართველოს მთავარ მეტოქეებს წარმოადგენდნენ ამიერკავკასიაში) ვრცელი ტერიტორიები ეკავათ და დიდალი ცოცხალი ძალა გააჩნდათ. მხოლოდ შამს ად-დინ ელდიგუზს, სულ ცოტა, 50-ათასი მხედრის გამოყვანა შეეძლო (იბნ ალ-ასირი, XI:388-89). სუქმან II-ის გარშემო ირაზმებოდნენ არზანის, ბითლისის, სურმარის, ყარსისა და არზრუმის ამირები, რომლებსაც ამავე დროს თავიანთი ინტერესები ჰქონდათ ჩრდილოეთ სომხეთში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სუქმან II-ის პოლიტიკური ალიანსი შამს ად-დინ ელდიგუზთან და მის მემკვიდრესთან — ფაჰლავანთან. მათ დაივიწყეს თავდაპირველი უთანხმოება და გამოიჩინეს საოცარი ერთობა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლებში. შაჰ-არმენმა და ელდიგუზიანებმა, რომლებიც გახდნენ ანისის შადდადიანთა უსაფრთხოების გარანტები, გაიყვეს გავლენის სფეროები ჩრდილოეთ სომხეთში: სუქმან II-მ ერასხადორ-ვანანდის სექტორში და ამას გარდა, საქართველოში, ტაოს ნაწილში, ხოლო ელდიგუზიანებმა — დვინის მხარეში. მათი ვასალი გახდა სურმარის საამირო. საქართველოს მეზობელმა თურქულმა საათაბაგო-საამიროებმა შექმნეს თავდაცვის ეფექტური, კოლექტიური სისტემა, რომლის დაძლევა საქართველოს სამეფომ დიდი ხნის მანძილზე ვერ შეძლო. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დავით IV-ის მიერ აღებული ტემპი ამიერკავკასიიდან თურქ-სელჩუკთა ბატონობის ამოძირკვისა მისმა მემკვიდრეებმა ვერ შეინარჩუნეს. (ჯათაბიძე, 1992მ:29).



დემეტრე I და გიორგი III, ცხადია, არ იყვნენ დავით IV-ის რანგის სახელმწიფო მოღვაწეები. არც საშინაო და არც საგარეო ასპარეზზე მათ არ მოუპოვებიათ დავითის მსგავსი წარმატებები, მაგრამ ამ მებრძოლი მეფეების დამსახურება XII ს. საქართველოს ისტორიაში დიდია. დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის ომებმა არარანისა და სომხეთის ფრონტებზე საფუძველი შეუშალეს საქართველოს დიდ სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებს თამარის ეპოქაში. მათი ზეობის წლებში საქართველოსთან ურთიერთობებში მეზობელი მუსლიმური პოლიტიკური ერთეულები იყვნენ უფრო თავდაცვაზე, ვიდრე შეტევაზე. საქართველო წარმოადგენდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორს საერთაშორისო ასპარეზზე, რასაც აღიარებდნენ იმდროინდელი დიდი მუსლიმი პოლიტიკური მოღვაწეები.

ხორასნის სულტანი სანჯარი 527 წ. რამადანში/1133 წ. ზაფხულში ხალიფა ალ-მუსთარშიდისადმი გაგზავნილ წერილში ერთ სიბრტყეში განიხილავდა ისლამის სამყაროსთვის ისეთ არასასურველსა და საშიშ მოვლენებს, როგორებიც იყო ისმაილიტთა მოძრაობა ხორასანში, „ფრანკი ურწმუნოების“ მიერ სირიის, ერაყისა და ბევრი სხვა მხარის მიტაცება და „აბხაზი ურწმუნოების“ ამბები. სულტანი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ უკანასკნელია მტრულ მოქმედებებზე ხალიფა მანიცადამაინც არ დარდობდა (*Köyümen*, 1954:228; ნაფთოვილი,

1975:68-ცნობა მოგვაწოდებს მ-ნმა გ. მურაძემ). სირიის მძლავრი გამგებელი, სახელგანთქმული ნურ ად-დინ მაჰმუდ ბ. ზენგი, რომელიც სავესებით მართებულად თავის დამსახურებად თვლიდა ფრანკების — ამ „უმამაცესი ხალხის“ სამფლობელოთა დიდი ნაწილის დაპყრობას, 566/1170-71 წ. საყვედურობდა ათაბაგ შამს ად-დინ ელდიგუზს იმის გამო, რომ მან, უდიდესი სახელმწიფოს გამგებელმა, ვერ უზრუნველყო უსაფრთხოება თავისი საზღვრებისა, რომლებიც ქართველებმა დაიპყრეს (იმნ ალ-ასირი, XI:363).

დემეტრე I-ს ხოტბა შეასხეს ცნობილმა შარვანელმა პოეტებმა ფალაქიმ და ხაყანიმ (*Вильчевский*, 1960:56-60 ; *Буниятов*, 1966:289-92; ასათიანი, 1968:51-2, მენ.6; გ. მურაძე, 1975:168-74; სფოენაძე, 1990:53-8). მის (და, აგრეთვე, დავით IV-ის) მოღვაწეობას უკავშირებენ გადმოცემას იოვანე მეფე-ხუცესის შესახებ, რომელიც ფართოდ გავრცელდა იმდროინდელ ევროპაში (მაღრიძე, 1984a:131 და მძე; მაღრიძე, 1984b:153 და მძე.) საქებარ სიტყვებს არ იშურებენ დემეტრესა და გიორგის მიმართ ქართული წყაროები (ღვ, I, 1955:365, 367, ღვ, II, 1959:3, 43; სფოენაძე, 1990:52-3; რ. მეტრეველი, 1991:93). რაც არ უნდა გადაჭარბებულად მივიჩნიოთ მათი შეფასება, უეჭველია, რომ დავით IV-ის ამ მემკვიდრეებს „არ აკლდათ არც მხედართმთავრული ნიჭი“ და არც „პირადი ვაჟკაცობა“ (ლოთთფიფანიაძე, 1970:113). დემეტრე I-მა და გიორგი III-მ შეინარჩუნეს დავით IV-ის მთავარი მონაპოვარი — ქართული ტერიტორიების მთლიანობა და ხელშეუხებლობა. ისინი აკონტროლებდნენ დიდ სივრცეს — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. დემეტრე I-ს შეეძლო თავისი „სამფლობელოს“ შემოკლა კიდით-კიდემდე, და ინსპექციის ჩატარება დარუბანდამდე (ალ-ფარაბი, 1985:86); გიორგი III-ს ძალა შესწევდა დახმარება აღმოეჩინა შარვან-შაპისთვის, მისულყო „კანთამდის დაწუხანდისათა“ და აელო ქ. შაბურანი (ისფ. და აგმ. მარაჯანდ., ღვ, II, 1959:17). საქართველოს შიდა რაიონები, სამხედრო მარცხის შემთხვევაშიც კი, არასოდეს დაურბევია მტერს. დავით IV-ის მემკვიდრეებმა დაიცვეს ქვეყანა მომთაბარეთა თარეშისაგან. ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ს. ვრიონისი, რომელიც ერთმანეთს უდარებს ბიზანტიისა და საქართველოს მიღწევებს, აღნიშნავს, რომ მიუხედავად ჯვაროსანთა ლაშქრობებისა და ბიზანტიის ალორძინებისა XII ს.-ში, იმპერიის ხელისუფლებმა ვერ დაძლიეს მცირე აზიაში მომთაბარეთა ექსპანსიით გამოწვეული პრობლემები. „ხდმეტია იმის თქმა, — წერს ს. ვრიონისი, რომ კონსტანტინისა და ლასკარების ლონისძიებებს მომთაბარეთა დათრგუნვის საქმეში არასოდეს მიუღწევია იმ წარმატებებისთვის, რასაც მიაღწიეს ქართველმა მეფეებმა“ (*Vryonis*, 1971 მ: 284). ეს სიტყვები ეკუთვნის პრავლ რიგში დავით IV-ს და შემდეგ მის მემკვიდრეებს: დემეტრე I-სა და გიორგი III-ს.

80—90-იანი წლები: ურთიერთობა არზრუმის საამიროსთან

ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ გიორგი III-ს აღ არ უცდია აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება. ბრძოლები ამიერკავკასიაში პოლიტიკური ჰეგემონიისათვის ახალი ძალით განახლდა გიორგის მემკვიდრის თამარის მეფობაში.

თამარის ზეობის დასაწყისში, 1185 წ. ივლისის თვემდე, ვიდრე ქართველთა ჯარი გიორგი რუსის სარდლობით დაარბევდა ყარსსა და კარნიფორას, საქართველოში "შოვიდეს კარნუქალაქელნი, შამელნი და თურქნი გარმ[ი]ა ქნისანი, ცხენოხანნი და ქუეითნი, და აივხო შავშეთისა და კლარჯეთის ქუეყანა" (ისც. ფ. აზმ. შარაჟანდ., ძვ, II, 1959:38). კარნუ-ქალაქელნი, ე.ი. არზრუმელები, რომლებიც თამარის პირველი ისტორიკოსის ამ ცნობაში პირველ ადგილზე დგანან, თითქოსდა ლაშქრობის ინიციატორები იყვნენ. შამელი⁸⁰ (სირიელი) და გარმიანელი თურქები, ალბათ, მათ მიერ იყვნენ დაქირავებულნი. მტრის ეს მარბიელი ლაშქარი გუზან აბულასანის ძემ და ბოცო ჭაყელმა დაამარცხეს და უკუაგდეს საქართველოს საზღვრებიდან (ძვ, II, 1959:38).

როდესაც თამარი განქორწინდა პირველ ქმართან, მისი ხელის მძიებელთა შორის იყო არზრუმის ამირას "ხალდეუხის ძე," "სახელით მუტაფრადინი," ან როგორც მ.ბროსე გვთავაზობდა მის სახელს — მუზაფფარ ად-დინი (*Brosset*, 1850:418, შვ.3). ამ პიროვნებას არ იცნობს აღმოსავლური წყაროები. ფ.სუმერი ვარაუდობს, რომ ის შეიძლება იყოს ამირა ნასირ ად-დინ მუჰამადის ძმისშვილი, ან მისი ვაჟი, საამიროს ერთ-ერთი მხარის გამგებელი (*Sümer*, 1971:417-8). თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით (რასაც აღმოსავლური წყაროები არ ადასტურებენ), მშობლების ნების საწინააღმდეგოდ, მას დაუტოვებია ისლამი, რათა დაქორწინებულიყო თამარზე. სალთუქიანი საქართველოში უფრო დიდი პატივით მიიღეს, ვიდრე ეს მის რანგს შეეფერებოდა და, საბოლოოდ, გიორგი III-ის უკანონო ასულზე (რუსულდანზე) დააქორწინეს⁸¹ (ძვ, II, 1959:43). მუ-

⁸⁰ ზემოთ აღინიშნა, რომ მიუხედავად დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლისა, მახლობელ აღმოსავლეთში არ შეწყვეტილა თურქული ტომების მიგრაცია. XII ს. პირველ ნახევარში ბევრი თურქმენული ტომი დასახლდა სირიაში: ჰალაბის, 'ინტაბის, ჰარიმის, ტრიპოლისა და ანტიოქიის მიდამოებში და, საერთოდ, ჭვაროსანთა ყველა სამფლობელოს საზღვრებთან (*Ashfor*, 1976:213). სირიელი თურქმენები ხშირად დგებოდნენ სხვადასხვა მუსლიმი გამგებლის სამსახურში. მათ ვხვდეთ აზერბაიჯანის ათაბაგის ყიზილ-არსლანის (1186-1191) კარზეც. 1186 ან 1187 წ. ზაფხულში გელაქუნის მხარის დარბევის დროს, სწორედ ამ სირიელ თურქმენებთან, ვინმე როსტომისა და იაღლაზ-ალფესის⁸¹ წინამძღოლობითს შეტაკება ჰქონდა ქართველთა ჯარს (ისც. ფ. აზმ. შარაჟანდ; ქვ, II, 1959:39-4; იოანე ბატონიშვილი, II 2134:629b, 630a). აქვე აღვნიშნავთ, რომ გაუმართლებელია ამ როსტომის გაიგივება იმ როსტომთან, რომელიც 1185-1187 წწ. ხელმძღვანელობდა თურქმენთა დიდ მოძრაობას დიარ-ბაქრსა და დიარ-მუდარში ქურთების წინააღმდეგ და საბოლოოდ დაიღუპა კილიკიის მეფესთან ლეონთან ბრძოლაში (ამგვარი იდენტიფიკაციის შესახებ იხ. *Cahen*, 1968:110; *Turan*, 1973:174-75)

⁸¹ თამარის პირველი ისტორიკოსი წერს, რომ სალთუქიანს „ნესისაებრ სახლისა საქელმნოფოსა მიეგებნეს დიდებულნი პატივითა და სიყუარულითა, მოიყვანეს სრად სამეფოდ... თამარმა მას „ნელიად და წყნარად და მიმყოფებითრე უდარბაზა“... და „იქმნა სიხარული გამოუთქმელი“. მუზაფფარ ად-დინმა „ესრეთსა სიყუარულსა, პატივსა და ბოძებასა შინა დაყო უამი ზამთრისა სომხითს და ტფილისს“, მაგრამ ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია თამარისთვის უარი ეთქვა სალთუქიანისათვის: „გარნა ეინათგან

ზაფხვარ ად-დინი არზრუმში დაბრუნდა და მისი შემდგომი ბედი უცნობია.⁸²

ბლნიშნულ ქორწინებას არ მოაყვლია არზრუმ-საქართველოს ურთიერთობათა ნორმალიზაცია. სალთუკიანებმა რამდენიმე წლის შემდეგ შეიფარეს კონსტანტინოპოლიდან საქართველოში თავისი „უფლებების“ აღდგენის მიზნით დაბრუნებული თამარის პირველი ქმარი გიორგი რუსი. სწორედ არზრუმში მოხდა მისი შეხვედრა საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალთან (ივ, II, 1959:48; რ.მეფრეელი, 1973:195; მადრიძე, 1979ა:312), რომელიც მეფის წინააღმდეგ აჯანყების მომწყობ ქართველ ფეოდალთა წარმომადგენელი იყო.

სალთუკიანთა მტრული პოლიტიკის პასუხად (სცფენაძე, 1985ა:135; რ.მეფრეელი, 1991:154; *Нордкунанудзе*, 1974:155) და გიორგი ლაშას დაბადების (1192/93 წ.) აღსანიშნავად ქართველთა მხედრობა (ბარდავის დარბევის შემდეგ) დავით სოსლანის მეთაურობით არზრუმისკენ დაიძრა. ეს არ იყო უბრალო მარბიელი ლაშქრობა. საფიქრებელია, საქართველოს სამეფო კარი ამ ქალაქის აღებას ისახავდა მიზნად. სალთუკიანებთან ხანგრძლივი დაპირისპირების მანძილზე ქართველებმა პირველად მიიტანეს იერიში არზრუმზე. სხვათა შორის, თურქ-სელჩუკთა გაბატონების შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქრისტიანთა მხედრობა ამ ქალაქის კედლებთან აღმოჩნდა. სწორედ ამის გამო ათქმევინა მემატიანემ ალყაშემორტყმულ არზრუმელებს: „ვინა ჩემდა ესევეითარი შერი-სხვა, ვინათგან არაოდეს გვხილავს ტომი ქრისტიანეთა სანასებსა საყოფელთა ჩუენთასა“ (ისც. და აზმ. შარაფანდ., ივ, II, 1959:58). ამირა ნასირ ად-დინსა და მის ორ ვაჟს, რომლებიც ქალაქში იყვნენ გამაგრებულნი, დახმარება აღმოუჩინეს ყარსელებმა და სურმარიელებმა და მიუხედავად უპირატესობისა და სერიოზული მიზნებისა, დავით სოსლანმა ვერ შეძლო არზრუმის აღება.

დაპირისპირება სალთუკიანებთან გრძელდებოდა შემდეგ ხანებშიც. 1195 წ. ერთი სომხური ანდერძნამაგი იუწყება, რომ ამ წელს „ქართველებმა კარინის მხარე მოატყვევენეს“ (ამბალაძე, 1973:26). ააბდალაძე თვლის, რომ ეს შესა-

თამარ ამაყი და ლალი, უჯერო შესატყვისობისა, აზეებდა ფრთოვანებასა გონებისა მისისასა, შემოსრულთა ქალაქად სამეფოდ დაამკუეს ქედმაღლობა ტრფილისა მი-სისა“ (ქც, II, 1959: 43-4). ფ.სუმერი, რომელიც ქართული წყაროს ამ ცნობებს მ.ბროსეს ფრანგული თარგმანით იცნობს, თავიუბურ კომენტარს უყვითებს მათ და შუა საუკუნეების ავტორთა (მაგ. იბნ ბიბი) მსგავსად ცდილობს თამარის დისკრედიტაციას. ის წერს, რომ მუზაფფარ ად-დინმა „სიყვარულით აღსავსე დღეები იცხოვრა“ თამართან, მაგრამ თამარს მალე მობეზრდა ის და ვერ უღალატა თავის უზნეო წეს-ჩვეულებებს). შემდეგ ის იხსენიებს რუსუდანის ქორწინებას მუღის ად-დინ ტულრილ-შაჰის ვაჟზე და წერს, რომ რუსუდანს „დღედამისივით უყვარდა მამაკაცები“ და „ვევლაფერი ეს იყო ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი სულიერი დაცემის შედეგი, რომელიც გახდა ძირითადი მიზეზი მახლობელ აღმოსავლეთში მონღოლთა გაბატონებისა“ (*Sümer*, 1971:418).

⁸² არზრუმში დაბრუნებული მუზაფფარ ად-დინის მოღვაწეობის შესახებ ვარაუდები აქვს გამოთქმული ჟ.სტეფნაძეს (სტეფნაძე, 1985 ბ: 112-17).

ძლოა იგივე ლაშქრობა იყოს, რომლის შესახებაც შამქორის ბრძოლის შემდეგ მოგვითხრობს თამარის პირველი ისტორიკოსი. ამ დროს ქართველთა მხედრობამ „ჩიქუწია მარბიელმან ბახიანამდის და ყურაბებამდის“ (ქც, II, 1959:78). ამის შემდეგ, სალთუკიანთა დინასტიის დაცემამდე (1202 წ.) ჩვენ აღარაფერ ვიცით საქართველოს სამეფოსა და არზრუმის, საამიროს ურთიერთობათა შესახებ. ქართველ მკვლევარებთან გვხვდება მოსაზრებები, რომ არზრუმი ხარკს უხდიდა საქართველოს, იყო მისი ვასალი (ინგოტოფცა, 1954:532) და მასთან ყმადნაფიცობის პირობით დაკავშირებული (ნენგულია, 1979:329), მაგრამ ქართულ, სომხურსა თუ აღმოსავლურ წყაროებში ამ თვალსაზრისის დამადასტურებელი რაიმე ცნობა არ გვევლეება.

80—90-იანი წლები: ურთიერთობა შაჰ-არმენებთან

კონფრონტაცია შაჰ-არმენთა სახელმწიფოსთან გრძელდებოდა XII ს. 80-იან წლებშიც, თუმცა კი უწინდელი სისხლისმღვრელი ომები ორ სახელმწიფოს შორის არ მომხდარა და ხლათის გამგებლები არ გამოსულან საქართველოს წინააღმდეგ დიდ კოალიციურ ლაშქრობებში. აიუბიანთა ექსპანსია ჩრდილოეთ მესოპოტამიისკენ აიძულებდა სუქმან II-ს მეტი ყურადღება დაეთმო თავისი სახელმწიფოს სამხრეთი საზღვრებისათვის და თავი აერიდებინა ქართველებთან მწვავე შეტაკებებისგან. 1185 წ. გარდაიცვალა სუქმან II, რომელსაც მემკვიდრე არ დარჩენია. შაჰ-არმენთა სახელმწიფო გახდა აიუბიანთა და ელდიგუზიანთა ცილობის საგანი. სუქმან II-ის მამულეჟმა ბეგ-თიმურმა მოხერხებულად გამოიყენა მათი დაპირისპირება და თავად დაეუფლა ტახტს. შაჰ-არმენთა მემკვიდრეობისთვის ბრძოლაში ჩაება საქართველოს სამეფოც. 1185 წ. ზაფხულში (ივლისამდე) ქართველთა ლაშქარმა დაარბია კარი და კარნიფორა (რომლებიც შაჰ-არმენის გავლენის სფეროში იყვნენ) — ბასიანამდე, მაგრამ ამის შესახებ ვრცლად ქვემოთ (გვ. 132) ვისაუბრებთ.

შაჰ-არმენთა კარი, ისევე როგორც ადრე, გიორგი III-ისაგან განაწყენებულ და დევნილ ქართველ დიდებულთა თავშესაფრად რჩებოდა. ორბელთა აჯანყების ჩაქრობის (1177 წ.) შემდეგ გიორგი III-ის მოწინააღმდეგეთა ნაწილმა სუქმან II-ისგან მიიღო მფარველობა (ქც, II, 1959:19). თამარის დროს, 1191 წ. ახლო ხანებში, შაჰ-არმენთან — ბეგ-თიმურთან ცადა გაქცევა, თავის ერთგულ აზნაურებთან ერთად, შავშეთისა და კლარჯეთის პატრონმა გუზანმა. მან მიიტაცა ტაოს ციხეები — ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხვ. და მოინდომა ამ ციხეებში შაჰ-არმენის ჯარების ჩაყენება.⁸³ ბეგ-თიმურს, რომელმაც წარმატებები მოიპოვა არზანისა და ბითლისის აპდაბიანებთან და არზრუმის სალთუკიანებთან ბრძოლებში.

⁸³ ვარაუდობენ, რომ ამ ციხეთა შორის იყო ხიხანიც (გბელ აბუსერისძე, 1981:58), აქარაში, სხალთას შესართავში (ნ. ბერძენიშვილი, 1966ა:90), რომელიც დაიხსნეს აქარის ერისთავთ-ერისთავმა აბუსერმა და მისმა ძმამ სანანომ.

და უკანასკნელთაგან დაიბრუნა ოლთისი, მიეცა შესაძლებლობა, რომ გაეფართოებინა თავისი სახელმწიფოს საზღვრები საქართველოს ხარჯზე ტაოში, მაგრამ ფანასკერტის პატრონის — ზაქარია ასპანის ძის ენერგიული მოქმედების შედეგად ეს ცდა აღიკვეთა (ივ, II, 1959:55-6; მადრიძე, 1979ა:313).

1195 წ., როცა ქართველებმა დაარბიეს კარინის მხარე, შევიდნენ კარნიფორაშიც — "დაიბანაკეს სისხლის მუცელსა"⁸⁴ (ისც. და აზმ. შატავანდ. ივ, II, 1959:78), მაგრამ სხვა რაიმე სერიოზული კონფლიქტი საქართველოს სამეფოსა და შაჰ-არმენტა სახელმწიფოს შორის არ იხსენიება. საქართველოს სამეფო კარის მთელი ყურადღება მიმართული იყო არაჩან-აზერბაიჯანისკენ. ამ მიმართულებით გადამწყვეტი გარდატეხა მოხდა შამქორის ბრძოლის (1195 წ.) შემდეგ. ამიერიდან, საქართველოსა და ელდიგუზიანთა საათაბაგოს შორის სამხედრო-პოლიტიკურ კონფრონტაციაში უპირატესობას დაეუფლა საქართველო. ხარკი დაეკისრა განჯას. ელდიგუზიანები ნეიტრალზეებული აღმოჩნდნენ შირაკში. მათ ძალა აღარ შესწევდათ დახმარება აღმოეჩინათ შადდადიანებისთვის. არ შეეძლო ეს შაჰ-არმენტა სახელმწიფოსაც, რომელიც მწვავე შიდა-პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. შაჰ-არმენტებსა და ელდიგუზიანთა შორის სამხედრო ალიანსი დაირღვა. დადგა ჩრდილოეთ სომხეთში ახალი გამარჯვებების ხანა. 1196 წ. ქართველებმა ზაქარია მხარგრძელის მეთაურობით გაანათავისუფლეს ანბერდი, რომელიც შადდადიანებს ეკუთვნოდათ (*Хачатурян*, 1979:197), 1199 წ. კი საბოლოოდ აიღეს ქანისი და წარმატებით დაასრულეს ამ ქალაქისთვის 75-წლიანი ბრძოლა.

შადდადიანთა ხელისუფლების ლიკვიდაცია შირაკში წარმოადგენდა შაჰ-არმენტა პოლიტიკურ მარცხს ჩრდილოეთ სომხეთში. მცირე ხნის შემდეგ შაჰ-არმენტებმა დათმეს თავიანთი სამფლობელოები არეზის მარცხენა ნაპირზე და ტაოში. XII-XIII სს. მიჯნაზე, ბასიანის ბრძოლამდე (1202 წ.) რამდენიმე ხნით ადრე, ფანასკერტის პატრონმა ზაქარია ასპანის ძემ აიღო ხახული, ოშკი და ბანა-ტაოში (ისც. და აზმ. შატავანდ., ივ, II, 1959:130; ლაშა გიორგის-დრონიძე. მუშავ. ივ, I, 1955:368). წყაროები არ იხსენიებენ, მაგრამ, ვფიქრობთ, ამავე ხანებში მოხდა ოლთისის შემოერთებაც.

ბასიანის ბრძოლის წინ ქართველებმა დაიწყეს შეტევა ვანანდის მიმართულებით. თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით თამარმა "წარავლინა ლაშქარანი განემოდგომად ყარსისა, რომელიც "თურქთა ჰქონდა." თურქებმა მოატოვეს ის და გაიქცნენ, "ზოლო მეფემან აიღო და მიითჟალა" ყარსი, რომლის მცველად და მონაპირედ დანიშნა ივანე ახალციხელი (ივ, II, 1959:92), მაგრამ ყარსის შემომტოციება გაჭიანურდა. ჩვენი აზრით, აუღებელი დარჩა მაღალ კლდეზე აგებული მძლავრი ციტადელი, რომელიც თავისი მდებარეობის წყალობით გამოყოფილი იყო გალაენის შიგნით მოთავსებული ქალაქის დანარჩენი ნაწილისაგან. ციტადელის ალყა რამდენიმე წელი გაგრძელდა და დასრულდა 1206-1207

⁸⁴ ჟღანშერის თანახმად კარნიფორა იგივე "სისხლის მუცელია" (ქვ, II, 1955: 203).

წწ. მიჯნაზე. ეს ალყა, რომლის შესახებაც ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი, ჩვეულებრივ გააზრებულია როგორც საერთოდ ყარსის გარემოცვა.

ივანე ახალციხელმა თურქებს "წარუდო" აგრეთვე ყარსის "გარემომონი ქუეყანანი", "აიხუნა და მიითუალნა" ისინი. ამ „ქუეყანათა“ შორის დასახლებულია კარულიც, რომელიც, როგორც გაირკვა, კეროროია (ქც, II, 1959: 92; ვიუნაძე, 1975:58-60). შირაკის შემოერთების შემდეგ, ვანანდ-კეროროის საკომუნიკაციო ხაზების დაკავებით საქართველოს სამეფომ საფრთხე შეუქმნა შაჰ-არმენთა სხვა სამფლობელოებს არეზის სამხრეთით და არზრუმის სალთუკიანთა საამიროს, მაგრამ ამ მიმართულებებით მას დაუპირისპირდნენ აოუბიანთა და რუმის სელჩუკთა ძლიერი სახელმწიფოები.

აიუბიანები და მცირე აზიის სელჩუკები

საქართველოს საზღვრებთან

(XII ს. 70-80-იანი წლები - XIII ს. II ათწლეული)

1. აიუბიანები და მცირე აზიის სელჩუკები მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე XII ს. უპანასკნელ მეოთხედში

XII ს. 70—80-იანი წლებიდან საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებიდან არცთუ ძალზე მოშორებით ისლამურ სამყაროში თ „... თანობით შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია და ძალთა თანაფარდობა. მასლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურდნენ და დიდი ძალა მოიპოვეს აიუბიანთა იმპერიამ და რუმის (მცირე აზიის სელჩუკთა) სასულტნომ, რომლებმაც დაიწყეს მცირე მუსლიმური პოლიტიკური ერთეულების ანექსია. ორივე სახელმწიფო მოკლე ხანში შევიდა საქართველოს სამეფოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში.

ა. აიუბიანთა სახელმწიფო¹

აიუბიანთა დინასტიის ფუძემდებელი, როგორც ცნობილია, იყო წარმოშობით ქურთი, სალამ ად-დინ ოუსუფ იბნ აიუბი (ევროპული წყაროების სალადინი), რომელმაც 1171 წ. დაამხო ფატიმიანი ხალიფების ხელისუფლება ეგვიპტეში და თავი მის გამგებლად გამოაცხადა. სალამ ად-დინმა მოკლე ხანში მოახდინა ლაშქრის რეორგანიზაცია, დათრგუნა შიიტ ფატიმიანთა ოპოზიცია, განიმტკიცა თავისი პოზიციები ეგვიპტეში, ძველ უფლებებში აღადგინა ორთოდოქსალური ისლამი და აღიარა აბასიანი ხალიფას სასულოერო უზენაესობა. მან დაიპყრო ჩრდილოეთ აფრიკის სანაპირო — ბარკა და ტრიპოლი, 1174 წ. კი-იემენიც. 1174 წ. გარდაიცვალა სირიის გამგებელი ნურ ად-დინ მაჰმუდ ბ. ზენგი, რომლის სამსა-

¹ აიუბიანთა სასულტნოს ისტორიის აქ წარმოდგენილ მოკლე მიმოხილვაში გარდა ტექსტში დამოწმებული ლიტერატურისა, გათვალისწინებულია, აგრეთვე: Cahen, 1958 ბ:796-807; Gottschalk, 1958; Gibb 1969ა:563-89; Gibb, 1969ბ: 693-96; Elrenkreutz, 1972; Lyons, Jackson, 1986.

ხურშიც ადრე იმყოფებოდა როგორც თავად სალაპ ად-დინი, ისე მისი მამა აიუბი და ბიძა — შირაკუპი.² ნურ ად-დინის სამფლობელოები სირიაში გახდა ცილობის ობიექტი მის ვასალთა შორის. ნურ ად-დინის მცირეწლოვანი ვაჟის დაცვის საბაბით სალაპ ად-დინი შეიჭრა სირიაში, დაეუფლა დამასკოს, შემდეგ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს და 1183 წ. კი — ჩრდილოეთ სირიის მთავარ ქალაქს პალაბსაც.

აიუბიანთა სულტნის ენერგიული ღონისძიებების შედეგად მთავარმა სამხედრო ძალამ, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე უპირისპირდებოდა ქრისტიანულ ლათინურ აღმოსავლეთს, ჩრდილოეთ სირიიდან (ზენგიანთა სამფლობელოები) ეგვიპტეში გადაინაცვლა. ნურ ად-დინის მემკვიდრეებმა ვერ შეძლეს გაეგრძელებინათ საღვთო ომის — ჯიჰადის ის პოლიტიკა, რომელმაც ზენგიანებს პრესტიჟი და ძლიერება მოუტანა. ჯიჰადის იდეა ამჯერად სალაპ ად-დინმა აიტაცა. ინვესტიტურა ეგვიპტესა და სირიაზე, რომელიც აბასიანთა ხალიფასაგან მიიღო, საშუალებას აძლევდა მას საღვთო ომისათვის კანონიერი სახე მიეცა. 1187 წ. 4 ივლისს აიუბიანთა სულტანმა ჰატითან გაანადგურა იერუსალიმის სამეფოს ჯარები და 2 ოქტომბერს ხელთ იგდო იერუსალიმი. მის ხელთ აღმოჩნდა თითქმის მთელი პალესტინა, გარდა ვიწრო სანაპირო ზოლისა ტიროსიდან იფამდე. სირიაში ჯვაროსნებმა შეინარჩუნეს რამდენიმე სანაპირო ციხე, მათ შორის ტრაპოლი, ანტიოქია, ტიროსი და ცეზარეა.

ჯვაროსანთა წინააღმდეგ საღვთო ომი მოითხოვდა ეგვიპტის, სირიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის სამხედრო ძალების გაერთიანებას. ამდენად, ჩრდილოეთ მესოპოტამიის თურქული საამიროების დამორჩილება აიუბიანთა სულტნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახდა, მაგრამ ამ მიზნის განხორციელების გზაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა მავსილოს ზენგიანთა საათაბაგო, რომელიც ტრადიციულად უფრო აღმოსავლეთის სელჩუკებთან იყო დაკავშირებული. მავსილოს ათაბაგი არ ცნობდა აიუბიანთა სულტნის უზენაესობას და ხუტბას ერაცის სელჩუკი სულტნის სახელზე ალაგლენდა. 1183-1185 წლებში სალაპ ად-დინი ორჯერ შეიჭრა ალ-ჯაზირაში მავსილოს დასამორჩილებლად. მართალია, მან მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ შეძლო ფეხი მოეკიდებინა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ხელთ იგდო დიარ-ბაქრის მნიშვნელოვანი ქალაქი მაიაფარიკინი. 1185 წ. მავსილოს კამპანიის დროს გარდაიცვალა შაჰ-არმენი

² სალაპ ად-დინის პაპა შაზი ბ. მარვანი იყო დეინის მიდამოებში მობინადრე ქურთული პაზბანის ტომის რავადის გვარიდან. XII ს. 30-იან წლებში ის გადავიდა ერაყში, სადაც იქტად მიიღო თიქრითი. 1138 წ. მისი ორი ვაჟი აიუბი და შირაკუპი მავსილოს ათაბაგის იმად ად-დინ ზენგის სამსახურში შევიდნენ. ზენგის სიკვდილის (1146 წ.) შემდეგ ძმები ერთგულად ემსახურებოდნენ მის ვაჟს ნურ ად-დინს და ხელი შეუწყვეს მას დაუფლებოდა დამასკოს (Miorsky, 1953:124 და შმდ.).

სუქმან II და სალაპ ად-დინი შეეცადა დაეკავებინა ზღაოცი, მაგრამ ამაოდ. 1190 წ. სულტანმა კიდევ უფრო გააფართოვა სასულტნოს საზღვრები ალ-ჯაზირაში, დაეუფლა დიარ-მუდარის ქალაქებს: ბარჩანს, რუქას (ეღესას), სამოსატას და ალ-მუვაზზარს (Humphreys, 1977:64), რომლებიც სამართავად გადასცა თავის ძმისშვილს, ენერგიულსა და პატივმოყვარე თაჟი ად-დინ უმარს. მან ხელთ იგდო ახალი ქალაქები: სუვაიდა და ჰანი, 1191 წ. შეიჭრა შამ-არმენთა სახელმწიფოში, შემოეწყო ჯერ ხლათს, შემდეგ მანასკერტს და ამ უკანასკნელის გარემოცვის დროს ოქტომბერში გარდაიცვალა (მაჰპა' ად-დინი, 1964:198; იმნ ალ-ასიბი, XII:63).

სალაპ ად-დინის მიერ შექმნილი სახელმწიფოს სამხრეთი საზღვარი გადიოდა არაბეთის ნახევარკუნძულზე და ნილოსის ჭორომებზე — ასუენტან, დასავლეთისა — ლიბიის უდაბნოზე, ფარაფირას, ბაჰრიას და ხარიჯის ოაზისებზე; აღმოსავლეთით ის ესაზღვრებოდა ერაყის აბასიანთა სახალიფოს, ჩრდილოეთით — ილიკიის სომხეთის სამეფოს, რუმის სასულტნოს, ჩრდილოეთ მესოპოტამიის თურქულ (ართუკიანები, ზენგიანები...) საამიროებსა და შამ-არმენთა სახელმწიფოს. 1186 წ. აიუბიანთა სასულტნოს სირიული და მესოპოტამიური პროვინციები აიუბიანთა საგვარეულოს წევრთა შორის დანაწილდა. თაჟი ად-დინ უმარის სიკვდილის (1191 წ.) შემდეგ აიუბიანთა კუთვნილ ტერიტორიებს ეფფრატის აღმოსავლეთით, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში — დიარ-ბაქრსა და დიარ-მუდარში, რომელთაც ეწოდებოდა ბილად ამ-შარკია (აღმოსავლეთის მხარეები) განაგებდა სალაპ ად-დინის ძმა ალ-ადილი. აიუბიანთა იმპერია იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში წარმოადგენდა ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს. მისი პრესტიჟი განსაკუთრებით გაიზარდა იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ. აიუბიანებთან კავშირისკენ ისწრაფოდა ბიზანტიის იმპერია, რომელიც ცდილობდა ამ გზით დაპირისპირებოდა ჯვაროსნებსა და მცირე აზიის სელჩუკებს. რუმის სასულტნოს, მიუხედავად იმისა, რომ მან 70-იან წლებში მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური წარმატებები მოიპოვა მცირე აზიაში, ჯერ კიდევ არ ძალუძდა სერიოზული მეტოქეობა გაეწია აიუბიანთათვის. სალაპ ად-დინი თავის ექსპანსიონისტურ გეგმებს ახორციელებდა აბასიანთა ხალიფას ავტორიტეტზე დაყრდნობით. მისი სახელი, რაინდული ქცევის, კეთილშობილებისა და დამარცხებულთა მიმართ მიმტევებლობის წყალობით, უადრესად პოპულარული გახდა ევროპელთა შორის.

სალაპ ად-დინი არ აპირებდა დასჯერებოდა მიღწეულ წარმატებებს. მას უფრო ფართო გეგმები ჰქონდა (რის შესახებაც ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი), მაგრამ იგი 1193 წ. 4 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. შვიდწლიანი დაპირისპირება მის მემკვიდრეთა შორის დასრულდა ალ-ადილის გამარჯვებით, რომელიც 1200 წ. სულტანი გახდა. ამის შემდეგ მან თავისი სამფლობელოები ეფფრატის აღმოსავლეთით ორ ვაეიშვილს ალ-მალიქ ალ-ამრაფსა და ალ-მალიქ ალ-ავჰადს გადასცა.

საქართველოს სამეფო კარის კონტაქტები აიუბიანთა სახელმწიფოსთან, ჩვენს ხელთ არსებული მასალით, თამარის ზეობის პირველსავე წლებში დამყარდა. ეს კონტაქტები, მიუხედავად სალაპ ად-დინის აგრესიული გეგმებისა და გარკვეუ-

ლო გართულელები, მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. ამ ურთიერთობებმა თვისობრივად ახალი ხასიათი XIII ს. პირველ ათწლეულში მიიღო და ეს ვანის ტბის რეგიონში აოუბიანთა შექრას დაუკავშირდა.

ბ. რუმის სასულტნო³

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა (1097 წ.) რომ არა, მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო – რუმის სასულტნო⁴ უკვე XII ს. დასაწყისში გახდებოდა მრისხანე და მთავარი პოლიტიკური ძალა მხალაბელ აღმოსავლეთში. ჯვაროსანთა სამხედრო წარმატებებმა საშუალება მისცა იმპერატორ ალექსი კომნენს (1081-1118) დაებრუნებინა მცირე აზიის დასავლეთი ნაწილი. ეგეოსის ზღვის სანაპიროდან უკუგდებულმა თურქმენებმა ფრიგიისა და ანატოლიის ზეგნისაკენ დაიხიეს. ამ შედარებით შეზღუდულ ტერიტორიაზე კონცენტრაციამ ისინი აქცია მნიშვნელოვან ძალად და სერიოზულ ბარიერად, რომლის გადალახვაც ბიზანტიამ ვერ შეძლო (Vryonis, 1971 მ:185). 1106 წ. სულტანი ყილიჩ-არსლან I ბ. სულაიმანი (1092-1107) პირველად შეეცადა დაეპყრო ჩრდილოეთი მესოპოტამია, მაგრამ ამ რეგიონის პოლიტიკურ ასპარეზზე რუმის სასულტნოს გასვლის ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა. ყილიჩ-არსლან I დამარცხდა დიდ სელჩუკთა სულტნის მუჰამადის მომხრეებთან ბრძოლაში 1107 წ. და დაიღუპა. ამის შემდეგ, დიდი ხნით, მისი მემკვიდრეების ბატონობა ცენტრალური ანატოლიით შემოიფარგლა. XII ს. 40-იან წლებამდე რუმის სასულტნო თამაშობდა დანიშმენდიანთა საამიროს უმცროსი პარტნიორის როლს და წარმოადგენდა ბუფერს ამ საამიროსა და ბიზანტიას შორის (Степаненко, 1988:95).

536/1141-42 წ. ამირა მუჰამად დანიშმენდის გარდაცვალების შემდეგ მისი საამირო სამ მოქიშვე სამფლობელოდ დაიშალა. დაიწყო რუმის სასულტნოს გაძლიერება დანიშმენდიანთა ხარჯზე, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მცირე აზიაში. ამიერიდან სელჩუკები კვლავ გახდნენ აქ ბიზანტიის მთავარი მეტოქეები.

სულტან ყილიჩ-არსლან II-ის (1156-1192) დროს მცირე აზიის სელჩუკებმა ორ დიდმნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს, 70-იან წლებში საბოლოოდ სძლიეს დანიშმენდიანებს აღმოსავლეთ ანატოლიაში და ხელთ იგდეს მათი სამფლო-

³ რუმის სასულტნოს ისტორიის აქ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვისათვის, გარდა ტექსტში დამოწმებული ლიტერატურისა, გათვალისწინებულია, აგრეთვე: *Гордлевский, 1941; Cahen, 1968; Taeschner, 1966:737-52; Turan, 1971; შენგელია, 1974:194-198.*

⁴ XII-XIV ს. დასაწყისში რუმი არის მცირე აზიის სელჩუკთა სასულტნოს სახელწოდება. ის წარმოდგა ბიზანტიის იმპერიის ოფიციალური სახელწოდებიდან: „რომის იმპერია“ ან „რომი“. არაბებისათვის ბიზანტია და ბიზანტიური მცირე აზია იყო ბილად არ-რუმი (რომელთა ქვეყანა) ან, შემოკლებით, რუმი. არაბთა კვალდაკვალ თურქ-სელჩუკებიც ანატოლიას უწოდებდნენ რუმს (*Еремея, 1971:75*).

ბელოვები: სივასი (სევასტია), მალატია (მელიტენე), ნიკსარი (ნეოკესარია), განგრა, ირისის დაბლობი — ტოკატი (დოკია) და ალბისთანი, 1176 წ. კი მიროიკვეფალთან სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელები. ამ მარცხმა დიდი დამთრგუნველი ეფექტი მოახდინა როგორც იმპერატორ მანუილზე (1143-1180), ისე ანატოლიის იმ ბერძნულ მოსახლეობაზე, რომელიც იმპერიის ფარგლებში ცხოვრობდა. ბიზანტია ამიერიდან იძულებული გახდა ხელი აეღო მცირე აზიაში სელჩუკთა წინააღმდეგ აქტიურ სამხედრო მოქმედებებზე. XII ს. უკანასკნელი მეოთხედი იყო პერიოდი ანატოლის პროვინციებში ბიზანტიის ცენტრალური ხელისუფლების მკვეთრი დეზინტეგრაციისა და შესაბამისად თურქების დიდი აქტივობისა (*Vryonis, 1971b:126*).

ვარაუდობენ, რომ XI ს-ში მცირე აზიაში გადასახლებულ მომთაბარე თურქმენტა რიცხვი იყო 500—700 ათასი, XII—XIII სს-ში კი მათმა რაოდენობამ ერთ მილიონს მიაღწია (*Еремеев, 1971:91*). მომთაბარეებმა მცირე აზიის ბინადარ მოსახლეობას მრავალი უბედურება მოუტანეს. მათი შემოსევებისა და განსახლების უმნიშვნელოვანესი შედეგები იყო მცირე აზიის ენობრივი თურქიზაცია და საკმაოდ ვრცელი არეალის ნაწილობრივი ნომადიზაცია. როგორც აღნიშნავს ე.ტეშნერი, მცირე აზია, რომელიც იყო მხოლოდ ქრისტიანული, ბიზანტიური — ცივილიზაციითა და ბერძნული — მოსახლეობით, გადაიქცა მუსლიმურ ქვეყნად — უმთავრესად თურქული მოსახლეობით, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ შეიცავდა მძლავრ ბერძნულ ელემენტს (*Taeschner, 1966:744*).

საქართველოს სამეფო კარი, ვფიქრობთ, ყურადღებით ადევნებდა თვალს რუმის სასულტნოს აღორძინებას. ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა, ინტერეს-მოკლებული არ იყოს ალ-ფარაბის ერთი ინფორმაცია, რომელიც დღემდე უცნობი რჩებოდა ქართველ მკვლევართათვის. არაბი ისტორიკოსი, კერძოდ, იუწყება, რომ 570/1174 წ. შემოდგომაზე საქართველოს სამეფო კარმა შეიფარა სულტან ყილიჩ-არსლანის აჯანყებული ძმა შაჰან-შაჰი.

შაჰან-შაჰი, რომელიც ანკარას ფლობდა, ყილიჩ-არსლანს ტახტზე ასვლის-თანავე (1156 წ.) დაუპირისპირდა. მას მხარს უჭერდნენ იმპერატორი მანიული და სივასის დანიშმენდიანი ამირები იალი-ბასანი (1142-1164) და ზუ ლ-ნუნი (1168-1174). 1168 წ. ყილიჩ-არსლანმა ზუ ლ-ნუნს წაართვა სივასი, მერე კი 1169 წ. ანკარიდან გააძევა შაჰან-შაჰი. შაჰან-შაჰმა და ზუ ლ-ნუნმა დახმარებისათვის მიმართეს სირიის გამგებელს ნურ ად-დინ ბ. ზენგის, რომელმაც 1171-1173 წლებში სამჯერ დალაშქრა რუმის სასულტნო და აიძულა ყილიჩ-არსლანი, უფლება მიეცა მათთვის თავიანი გარნიზონები ჩაეყენებინათ სივასში, მაგრამ 1174 წ. ვითარება შეიცვალა. ნურ ად-დინი გარდაიცვალა, სივასის გარნიზონი გაიქცა და შაჰან-შაჰი და ზუ ლ-ნუნი კი იძულებულნი გახდნენ ახალი მფარველი და მოკავშირე ეძებნათ (*Cahen, 1968:100-103; Cahen, 1969a:678-79*).

კ.კაენი წერს, რომ შაჰან-შაჰი და ზუ ლ-ნუნი კონსტანტინოპოლში გაიქცნენ (*Cahen, 1968:103*). საბოლოოდ ეს მართლაც ასე მოხდა. მაგრამ მანამდე,

შაპან-შაპის მარშრუტი სხვა იყო. 570 წ. რაბი' ალ-აველში /X. 1174 წ. ის, ალ-ფარიკის თანახმად, მაიაფარიკინის გავლით ხლათში, სუქმან II-სთან მივიდა, აქედან აზერბაიჯანის ათაბაგ შამს ად-დინ ელდიგუზთან გაემგზავრა, ხოლო შემდეგ კი საქართველოს ეწვია (ალ-ფარიკი: 200ა). საფიქრებელია, რომ შაპან-შამს მეზობელ მუსლიმ გამგებელთაგან ძმის წინააღმდეგ დახმარების მიღება სურდა და როცა ასეთი მხარდაჭერა ვერ პოვა, გიორგი III-ს მიაშურა. ალ-ფარიკი იუწყება, რომ საქართველოს მეფემ მას პატივი მიაგო და კარგად მოეპყრო. დევნილი სელჩუკი უფლოსწული საქართველოში რამდენიმე ხანს დარჩა და ბოლოს ქ. სოხუმიდან ზღვით კონსტანტინოპოლს გაემგზავრა (ალ-ფარიკი:200ა). შესაძლოა, რომ გიორგი III-მ გარკვეული ფინანსური დახმარება გაუწია შაპან-შამს ყილიჩ-არსლანთან დასაპირისპირებლად, მაგრამ საბოლოო ჯამში მან, ისევე როგორც მანუილ კომნენმა, ვერ შეძლო ხელი შეეშალა ყილიჩ-არსლანის გაძლიერებისათვის.

XII ს. 70-იან წლებში რუმის სასულტნოს საზღვრები აღმოსავლეთით მიემჯინა ზენგიანთა და ართუკიანთა სამფლობელოებს ჩრდილოეთ სირიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, სადაც ნურ-ად-დინ ბ. ზენგის სიკვდილის (1174 წ.) შემდეგ დაიწყო აიუბიანთა ექსპანსია. ყილიჩ-არსლანი, რომელიც თავად აპირებდა მახლობელი აღმოსავლეთის ამ რეგიონში გაბატონებას, მტრულად შეხვდა აქ აიუბიანთა გამოჩენას და წინსვლას, მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ რუმის სასულტნოს არ შეეძლო სერიოზული მეტოქეობა გაეწია აიუბიანთა სახელმწიფოსთვის. დაპირისპირება და მტრობა მათ შორის არ შეწყვეტილა სალაჰ ად-დინისა და ყილიჩ-არსლანის მემკვიდრეთა დროსაც.

1190 წ. ხანდაზმულმა ყილიჩ-არსლანმა დააქუცმაცა სასულტნო და ის თავის შვილებს, ძმასა და ძმისშვილს გაუნაწილა. უფროსმა ვაჟმა კუტბ ად-დინ მალიქ-შაჰმა მიიღო სივასი (სევასტია) და აკ-სარაი (არხელაისი), მუ'იზ ად-დინ კაისარ-შაჰმა — მალატია (მელიტენე); ნურ ად-დინ მაჰმუდ-შაჰმა — კაისერი (კესარია); მუჰი ად-დინ მას'უდ-შაჰმა — ანკარა, კასტამუნუ, ესკიშეჰირი (დორილუუმი) და შანკირი (განგრა); რუქნ ად-დინ სულაიმან-შაჰმა — ტოკატი (დოკია); ლიას ად-დინ ქაიხუსრაუ-შაჰმა — ულუბორლუ (სოზოპოლისი), კონია, ლიკაონია, პამფილია და ტერიტორია კუტაჰიამდე; ნასირ ად-დინ ბარქიარუკ-შაჰმა — ნიკსარი (ნეოკესარია) და კოიუნჰისარი; მულის ად-დინ ტულრილ-შაჰმა — ალბისთანი; არსლან-შაჰმა — ნიგდე; სანჯარ-შაჰმა, რომელიც ყილიჩ-არსლანის ძმა უნდა იყოს — ერეგლი (პერაკლია კუბისტრა) — თავრში და ნიზამ ად-დინ არღუნ-შაჰმა, სულტნის ძმისშვილმა — ამასია (იზნ ალ-ანირი, XII :88; იზნ მიში: 19-20; Cahen, 1968:110; Savvides, 1981:80-81; Sevim, Yücel, 1989: 135-36).

ყილიჩ-არსლან II-ის სიცოცხლეშივე მისმა მემკვიდრეებმა დაიწყეს ბრძოლა პირველობისათვის. შინაბრძოლები გრძელდებოდა ყილიჩ-არსლანის გარდაცვალებისა (1192 წ.) და სულტნად ლიას ად-დინ ქაი-ხუსრაუ-შაჰის გამოცხადების

შემდეგაც. ამ ბრძოლებში ინიციატივა ხელთ იგდო რუქნ ად-დინ სულაიმან-შაჰმა, რომელსაც წილად ხედა დაშლილი სახელმწიფოს გაერთიანება.

ტოკატიდან რუქნ ად-დინმა თავის ძმებს წაართვა სივასი და კაისერი, აჯ-სარაი და კონია, ნიკსარი და ამასია (იბნ ალ-ასირი, XII :90). რუმის სასულტნო XII-XIII სს. მიჯნაზე კვლავ მნიშვნელოვან ძალად იქცა. 1201 წ. რუქნ ად-დინმა მუ'იზ ად-დინ კაისარ-შაჰს წაართვა მალატია და სელოუკები გავიდნენ ევფრატზე. მათ ისევ მიაპყრეს მზერა ჩრდილოეთ მესოპოტამიას. დაიწყო ახალი ეტაპი მეტოქეობისა აიუბიანთა და რუმის სასულტნოებს შორის, რამაც XIII ს. 30-იან წლებამდე გასტანა.

რუმის სასულტნოს საზღვრები მიუახლოვდა საქართველოს სამეფოს. XII-XIII სს. მიჯნაზე ორ სახელმწიფოს ერთმანეთისაგან ყოფდა ბიზანტიის სამფლობელოები პონტოს არეში და არზინჯანის მანგუჯაქიანთა და არზრუმის სალთუკიანთა საამიროები. გარეგნულად მათ შორის ნორმალური ურთიერთობები იყო. ყოველ შემთხვევაში, თამარის მეორე ისტორიკოსის თანახმად, რუქნ ად-დინი "ირემებდა ზაკვთ სიყვარულსა," საქართველოში "გზავნიდა მოციქულთა მშკდობისთვის მრავალ-ყამ, და ძღუენთა მუენიერთა მრავალთა" და "ეგრეთვე თამარ ჰყოფდა, ნაცვალ ხაზედ მოციქულთა წარავლენდა ძღუენითა" (ქც, II, 1959:132), მაგრამ მცირე აზიის სელოუკთა აგრესიული სახელმწიფოს ექსპანსიას აღმოსავლეთ ანატოლიისაკენ ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა გამოეწვია სამხედრო კონფრონტაცია საქართველოს სამეფოსთან.

2. საქართველოს სამეფო და აიუბიანთა სახელმწიფო: XII ს. 80-იანი წლები — XIII ს. დასაწყისი

თამარის „ფიცის წიგნი“.

1970 წ. ირანელმა მეცნიერმა მ.ვ.ოუნესიმ გამოკა ფრაგმენტი თამარ მეფის "ფიცის წიგნისა" სალაჰ ად-დინისადმი, ამ სულტნის მღვინისა და ისტორიკოსის 'იმად ად-დინ ალ-ისტაჰანის "ინშას" კრებულოდან. ეს საბუთი მან მოიძია ჰაჯ ჰოსეინ ნახჩევანის ხელნაწერთა კოლექციაში (თავრიზი) დაცულ კრებულში "თარასოლ" (შიმოწერა). სრული სახით თამარის "ფიცის წიგნი" ქართულ მეცნიერებაში შემოიტანა მ.თოდუამ (თოდუა, 1975:225-28; თოდუა, 1979, 26-7, 74-82)⁵ საბუთის სათაურის გაგებამ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია (გიოჰანავილი, 1975:163-65; თოდუა, 1979:75-7, შიფ.93), მაგრამ ამ

⁵ პირველი ინფორმაცია „ფიცის წიგნის“ თაობაზე მ.თოდუამ გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1973 წ. 12 ივნისს.

მოსაზრებების განხილვას არ შეეუდგებოდა. "ფიცის წიგნში" აშკარა და ექვემდებარება მხოლოდ ის, რომ მასში ფიგურირებენ თამარ მეფე და აიუბიანთა სულტანი სალაჰ ად-დინი. ტექსტის არსებით ნაწილში ვკითხულობთ: "ესაა პირობა, რომელსაც ვდებთ და ესაა ფიცი, რომელსაც ვიძლევი. მე რომელიც თამარი ვარ, გიორგის ასული, ვამბობ უფლის არსითა და პიროვნებით, იმ უფლისა, რომელიც სამი ხაზისაა: მამა, ძე და სულიწმიდა. ვფიცავ... რომ ამ დღიდან და ამ საათიდან, რომელიც არის [დღით] ხუთშაბათი, ამა წლის ჯომადა აღ-მოლას თვის თექვსმეტი, მავან მავანის ძესთან კეთილი განზრახვით და კარგი ხურვილით ვიქნები, მიხი მოყვარის მოყვარე ვიქნები და მტრის მტერი ვიქნები, ხანამდის ცოცხალი ვარ. და არახოდეს მავანი ქალაქისა და ველაჰათის და მიხი ციხეების [ადგებას] არ განვიზრახავ და არ ვინებებ არც ამკარად და არც ფარულად, და თავს ნებას არ მივცემ, დავიმორჩილო მიხი ხალხი და ლამქარი" (თოდუა, 1979:27).

უნდა აღინიშნოს, რომ "ინშა" ჩვეულებრივ გვაძლევს სხვადასხვა ხასიათის წერილთა ნიმუშებს და საერთო ქარგას. იგი მოკლებულია კონკრეტულ რეალიებს. ამდენად, დამოწმებულ ტექსტშიც საკუთარი სახელის ნაცვლად მოცემულია "მავანი მავანის ძე" და გეოგრაფიული პუნქტების ნაცვლად — "მავანი ქალაქი და ველაჰათი" (ვილაიათი).

თამარის "ფიცის წიგნში" შითითებულია მხოლოდ საბუთის შედგენის თვე, რიცხვი და დღე — ჯუმადა აღ-ულას 16, ხუთშაბათი. თამარისა და სალაჰ ად-დინის ზეობის თანხმდურ წლებში 16 ჯუმადა აღ-ულა ხუთშაბათ დღეს მოდიოდა 1185 წ. 15 აგვისტოსა და 1190 წ. 21 ივნისს.

ამ ორი თარიღიდან მ.თოდუა უპირატესობას ანიჭებს 1185 წელს, ვინაიდან მისი ვარაუდით, თამარის "ფიცის წიგნი" წარმოადგენს ადრე დადებული ხელშეკრულების ერთგვარ განახლებას — საქართველოს სამეფო ტახტზე 1184 წ. თამარის ასვლასთან დაკავშირებით. მკვლევარი აღნიშნავს, რომ სალაჰ ად-დინს აინტერესებდა გავგო: ხომ არ გამოვიდოდა საქართველო მის წინააღმდეგ, ხომ არ დაესხმოდა თავს მის ტერიტორიას; სურდა გაერკვია საქართველოს პოზიცია ჯვაროსნებთან მოსალოდნელი კონფლიქტის შემთხვევაში. მ.თოდუას დასკვნით, საქართველომ ჯვაროსნებისთვის მხარის აბმას თავის ძლიერ და ლოიალურ მეზობელთან სტაბილური ურთიერთობების შენარჩუნება არჩია და მასთან თავდაუხსნელობის პაქტი დადო (თოდუა, 1979:82).

უფრო მისაღებ თარიღად ჩვენც 1185 წ. 15 აგვისტო მიგვაჩნია, ოღონდ სხვა გარემოებათა გამო. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სწორედ ამ წლის ზაფხულში სალაჰ ად-დინი საკმაოდ ახლოს იმყოფებოდა საქართველოს საზღვრებთან, რაც არც მანამდე და არც შემდგომში არ მომხდარა.

არაბელსა და ქართულ ისტორიულ წყაროებში სწორედ 1185 წლისათვის მოგვეპოვება თუმცა არაპირდაპირი, მაგრამ უარესად საყურადღებო ცნობები, რომლებიც საესებით შესაძლებელს ხდის საქართველოსა და აიუბიანთა ურთიერთობას, ასახულს "ფიცის წიგნში".

1185 წ. ივლისის დასაწყისში ჩრდილოეთ მესოპოტამიაში შექრილი სალაპ ად-დინი მავსილს შემოეწყო. როდესაც სულტანი გადამწყვეტი შეტევისთვის ემზადებოდა, 10 ივლისს გარდაიცვალა ხლათის გამგებელი სუქმან II. შაპ-არმენის სიკვდილი სულტანმა 21 ივლისს შეიტყო და ამ ამბავმა მისი გეგმები შეცვალა. მას ხლათის დაუფლების სურვილი აღეძრა. სალაპ ად-დინის მრჩეველთა აზრი ორად გაიყო. ნაწილმა, ვისაც მავსილის ათაბაგის დამხობა სურდა, სულტანს ალყის გაგრძელება ურჩია. სხვებმა კი ხლათზე გალაშქრება მიიჩნიეს უფრო მნიშვნელოვან საქმედ, ვინაიდან, მათი აზრით, ხლათის ქვეყანა უპატრონოდ იყო მიტოვებული და მფარველი არა ჰყავდა. ისინი თვლიდნენ, რომ ხლათის დაპყრობა სხვა მხარეთა დაპყრობასაც გააადვილებდა. სალაპ ად-დინი მერყეობდა და სწორედ ამ დროს, სუქმან II-ის მამულქმა ბეგ-თიმურმა, რომელმაც ძალაუფლება იგდო ხელთ და ხლათის ამირებმა მას წერილი გაუგზავნეს და ქალაქის ჩაბარება შესთავაზეს.

სალაპ ად-დინის წინაშე შაპ-არმენთა სახელმწიფოს უომრად დაკავების მომხიბლავი პერსპექტივა გადაიშალა. 30 ივლისს მან მავსილს ალყა მოხსნა და ჩრდილოეთისკენ დაიძრა. თავისი მოქმედებისთვის კანონიერი ხასიათი რომ მიეცა, სალაპ ად-დინმა ხალიფას მოსთხოვა ინვესტიტურა ხლათზე. მისი ლაშქრის ავანგარდი, უმოკლესი გზით გაემართა ხლათისკენ. მას სულტნის ელჩებიც მიჰყვებოდნენ, რომელთაც ხლათის ჩაბარების პირობები უნდა განესაზღვრათ და მასთან ხელშეკრულება დაედოთ. თავად სალაპ ად-დინი მიათვარიკინს შემოეწყო.

სალაპ ად-დინი არ იყო ერთადერთი ხელმწიფე, რომელსაც აინტერესებდა შაპ-არმენთა სახელმწიფოს დასაკუთრება. ბაპა' ად-დინ ბ.შადდადის ცნობით, სუქმან ბ.იბრაჰიმის სიკვდილმა და ხლათში ბეგ-თიმურის აღზევებამ სხვა მეზობელ მეფეთა პატივმოყვარეობა გააღვივა (შაპა' ად-დინი, 1964:69). განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინა არჩანისა და აზერბაიჯანის ათაბაგმა ფაჰლავან ბ.ელდიგუზმა, რომელიც სუქმან II-ის სიკვდილისთანავე ხლათისკენ დაიძრა და დაემუქრა მის დამოუკიდებლობას. ფაჰლავანმა ადრე მოხუც სუქმან II-ს თავისი ასული მიათხოვა და ახლა იმედი ჰქონდა, რომ ხლათი მემკვიდრეობით მას დარჩებოდა, მაგრამ ბეგ-თიმურმა მისი ქალიშვილი ხლათიდან გააძევა და ათაბაგის შიშით სალაპ ად-დინი იხმო. ეს იყო მარჯვე პოლიტიკური ნაბიჯი. ხლათის ახალი გამგებელი საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ორი ძლიერი მეტოქის დაპირისპირებით შეეცადა. იბნ ალ-ასირის თანახმად, ხლათელებს სურდათ, რომ სალაპ ად-დინის მეშვეობით მოეგერიებინათ ფაჰლავანი და ამ უკანასკნელის მეშვეობით კი — სალაპ ად-დინი. მართლაც, ბეგ-თიმურმა თავის მიზანს მიიღწია. ხლათთან მისულ აიუბიანთა ლაშქარს მან ქალაქის ჩაბარებაზე უარი უთხრა, ფაჰლავანი კი იმით დააშინა, რომ თუ უკან არ დაიხევდა, თავის სამფლობელოს სალაპ ად-დინს

გადასცემდა. ათაბაგი მოურიგდა ბეგ-თიმურს და მას თავისი მეორე ასული მიათხოვა. ერთმანეთთან მიმოწერის შემდეგ ფაქლავანმა და სალაჰ ად-დინმა თავიანთი ჯარები უკან გაიწვიეს და ბეგ-თიმურმა ფორმალურად აღიარა ფაქლავანის უზენაესობა (მაჰა' ად-დინი, 1964:69, იმნ ალ-ასიბი, XII: 513-14; იმნ ვასილი, II:168-69; აბუ შამა, II: 63; მარ ჰემრუჟი, 1932:318; იმნ ალ-ჯარდი, II:143; ალ-მაჯრიზი: I/1:114; Cahen, 1935:265-66; Ehrenkreutz, 1972:189; Lyons, Jackson, 1986:229 - 32).

ვინ იყვნენ დანარჩენი მეფეები, რომელთა „პატივმოყვარეობაც გააღვიძა“ შაჰ-არმენ სუქმან II-ის სიკვდილმა? ბაჰა' ად-დინ ბ.შადდადი და სხვა არაბი ისტორიკოსები ('იმად ად-დინ ალ-ქათბ ალ-ისფაჰანი, იმნ ალ-ასირი, აბუ შამა) მათ არ ასახელებენ, მაგრამ მათ შორის, ვფიქრობთ იყო საქართველოს მეფეც.

საქართველოს სამეფო კარი გულგრილი ვერ დარჩებოდა იმ პოლიტიკური ვითარებისადმი, რაც სუქმან II-ის სიკვდილის შემდეგ შეიქმნა. წინა თავში ჩვენ ვნახეთ, თუ რა მწვავე ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს შაჰ-არმენთა სახელმწიფოსთან. ბუნებრივია, რომ საქართველოს ხელისუფალთათვის არ იქნებოდა სულ ერთი, თუ ვინ დაიჭერდა შაჰ-არმენთა ადგილს ვანის ტბის რეგიონსა და ჩრდილოეთ სომხეთში — საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან. აიუბიანთა თუ ელდიგუზიანთა გაბატონების შემდეგ ამ რაიონებში საქართველოს ახალი და გაცილებით სერიოზული ძალა დაუპირისპირდებოდა. ამ საშიშროებას კი უნდა გამოეწვია და გამოიწვია კიდევაც ქართველთა ლაშქრობა შაჰ-არმენთა მემკვიდრეობის განაწილებაში მონაწილეობის მისაღებად. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ მოვლენას უნდა ასახავდეს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში დატული ცნობა, რომელიც ეხება ქართველთა ლაშქრობას ოური ანდრიაჲს ძის — იგივე გიორგი რუსის სარდლობით თამარის ქორწინების შემდეგ. ეს ქორწინება მოხდა 1185 წ. გაზაფხულზე (Мурадян, 1969:134).

ქართველი მემკვიდრე წერს: "გაკვიდა ტფილისით მეფე რუსთა და უფრო-ხდა აფხაზთა და ააბეს დრომა სუანი და კმარებული. და წარიძღუანეს ძელი ცხოვრებისა, მცველი და მფარველი მეფეთა სვიპტრისა. პირველ ილაშქრეს ქუეყანასა კარისა და კარნიფორისასა, და მოარბიეს ვიდრე ბასიანამდის. და გამარჯუებულნი და ადგებულნი შემოიქცეს და მოვიდეს წინამე პატრონსა მას დმრთივ-განათლებულსა" (ივ, II, 1959:38).

ზემოხსენებული ტერიტორიებიდან კარი და კარნიფორა წარმოადგენდა შაჰ-არმენთა გავლენის სფეროებს. ისინი ესაზღვრებოდნენ ასევე შაჰ-არმენთა კუთვნილ არშარუნიქს არეზის დაბლობზე. პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება და მოვლენათა ლოგიკური მსვლელობა გვიკარნახებს, რომ ეს ლაშქრობა მოხდა 1185 წ. ზაფხულში, ივლის-აგვისტოში, სუქმან II-ის სიკვდილის შემდეგ. სწორედ მაშინ, როცა სალაჰ ად-დინის ლაშქარი ვანის ტბის მიდამოებში შევიდა, ქართველებმა დალაშქრეს შაჰ-არმენის სამფლობელოები არეზის მარცხენა ნაპირზე და

მოახდინეს თავიანთი სამხედრო ძალების დემონსტრაცია იმ შემთხვევისათვის, თუ კი სალაპ ად-დინი კიდევ უფრო ჩრდილოეთისაკენ გააგრძელებდა წინსვლას.

მზერა სალაპ ად-დინისა, რომელიც ქრისტიანთა წინააღმდეგ საღვთო ომის ლოზუნგით რაზმავდა მუსლიმებს, საქართველოსკენაც იყო მიმართული. ეს კარგად ჩანს მისი ერთ-ერთი წერილიდან აბასიანი ხალოფასადმი, რომელიც შემოგვინახა აბუ შამამ (ამუ შამა, 1871: 49) და დაიწყო მ.კ.ლონსმა და დ.ჟეკონმა. სალაპ ად-დინი თავის წერილში ასაბუთებს 1183 წ. ლაშქრობას მავსილზე და ადნაშაულებს მის ათაბაგს იმაში, რომ ის უკანონოდ დაეუფლა ქაღალბს 1181 წ. და ხელი შეუშალა მას ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სულტანი ხალოფასაგან მოითხოვდა ინვესტიტურას მავსილზე და წერდა, რომ მავსილის დაუფლება მას მიიყვანდა იერუსალიმისა და მისი სანაპიროების, კონსტანტინოპოლის, საქართველოსა (ბილაღ ალ-ქურჯ) და დასავლეთში 'აბდ ალ-მუ'მინის შთამომავალთა, ე.ი. აღმოჩადთა ქვეყნის დაპყრობამდე, ვიდრე ალაპის სიტყვა არ გახდებოდა უზენაესი და ქვეყნიერებაზე არ გაერყელებოდა აბასიანთა ხელისუფლება, ეკლესიები — მეჩეთებად და საკურთხევლები — მუსლიმთა სათაყვანო ადგილებად არ გადაკეთდებოდა, ვიდრე აღმართულ ჯვრებს შეშად არ შეუკეთებდნენ ქურებს და არ დაღუპდებოდა პროცესიების დროს მელერი ზარები. მ.კ.ლონსი და დ.ჟეკონი მიიჩნევენ, რომ აქ საქმე გვაქვს საღვთო ომის პროპაგანდასთან, რადგანაც სალაპ ად-დინს არ შეეძლო შეეტია საქართველოს სამეფოსათვის, ვიდრე არ გაივლიდა მის მეზობელ მუსლიმურ სახელმწიფოებს. ბიზანტიის ტერიტორიების დასალაშქრად საჭირო იყო ყილიჩ-არსლანის დათრგუნვა, ხოლო აღმოჩადთა მაროკოსა და ესპანეთის ბაზებზე შეტევისათვის კი — მთელი ჩრდილოეთი აფრიკის სანაპიროს გადაჭრა. მისი წერილი, როგორც აღნიშნავენ მკვლევარები, მოწმობს იმას, თუ რა რიგ შეეძლო მას გამოეყენებინა საღვთო ომი თავისი ექსპანსიის საფუძვლად (Lyons, Jackson, 1986:194). მაგრამ, როგორი პროპაგანდისტული დატვირთვაც არ უნდა ჰქონდეს სულტნის ამ წერილს, ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკავა თავისი ადგილი მის დიდ ექსპანსიონისტურ გეგმაში, რომელიც ითვალისწინებდა ვრცელი ისლამური სახელმწიფოს შექმნას ესპანეთიდან კავკასიამდე. ეს გეგმა ითვალისწინებდა, აგრეთვე, ხლათის ანექსიას, რაც საშუალებას მისცემდა აიუბიანთა გამგებელს დაეღაშქრა ერთი მხრივ, რუმის სასულტნო, მეორე მხრივ კი — აზერბაიჯანი და მიედღწია ირანისათვის (იბნ ალ-ასიბი, XII:95-6; ნაცობიშვილი, ჯათყათიძე, 1974 №2:174).

აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს 1185 წლამდე შეხების წერტილები არა ჰქონდათ. მაგრამ ასეთი შეხების წერტილები გაჩნდა სწორედ 1185 წ. ზაფხულში. როგორც ზემოთ აღინიშნა, სალაპ ად-დინმა ელჩები გაგზავნა ბეგთიმურთან, რათა დაედო ხელშეკრულება, რომლის პირობებიც "ჩაწერილი უნდა ყოფილიყო." საფიქრებელია, რომ ანალოგიური დავალებით სალაპ ად-დინმა საქართველოს სამეფო კარზეც მიავლინა ელჩები. ის მოითხოვდა, რომ თამარი არ ჩარეულიყო ხლათისა და საერთოდ, შამ-არმენტა სახელმწიფოს

საქმეებში. ამდენად, თამარის "ფიცის წიგნში" მითითებული "შავანი ქალაქისა და ვილაიათის" ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ხლათი და მისი ქვეყანა, რომელიც სალამ ად-დინს უკვე თავისად ეგულებოდა, ხოლო "შავანი შავანის მეში⁶ ხლათის მფლობელი, რომელსაც უნდა ელიარებინა სალამ ად-დინის უზენაესობა. მაშასადამე, თამარ მეფე ფიცით ჰპირდებოდა სალამ ად-დინს, რომ საქართველო არ დაესხმოდა თავს ხლათს, რომელიც უნდა შესულიყო აიუბიანთა გავლენის სფეროში.⁷

ხლათელთა მხარდაჭერა თავდაპირველად გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა სალამ ად-დინს საქართველოსთან შესაძლებელ კონფლიქტში. მაგრამ, როდესაც გაირკვა, რომ ათაბაგ ფაჰლავან ბ. ელდიგუზს უფრო რეალური შანსები აღმოაჩნდა ხლათზე თავისი გავლენის გასაგრძელებლად, სალამ ად-დინი გაცეცალა ვანის ტბის სანაპიროებს. თუმცა კი, მაიაფარიკინის ალებით მან შექმნა მძლავრი პლაცდარმი, რომელიც ორი ათეული წლის შემდეგ აიუბიანებმა კარგად გამოიყენეს ხლათის ანექსიასთვის.

⁶ ნ. შენგელია ვარაუდობს, რომ ეს პიროვნება არის სულტანი ყილიჩ-არსლან II (1156-1192) (შენგელია, 1979:320), მაგრამ ამ შემთხვევაში აუხსნელი რჩება, თუ რატომ დასკირდა სალამ ად-დინს დაცვა რუმის სულტანისა, რომელთანაც მას დამატებული ურთიერთობა ჰქონდა. ზემოთ ითქვა, თამარის „ფიცის წიგნის“ ძირითადი ნაწილი თ.ნატროშვილთან თანავეტრობით პირველად დაიბეჭდა 1982 წ. მწერალთა კავშირის ორგანოში (ნატროშვილი, ჯაფარიძე, 1982). ჩვენს მიერ მოხმობილი არგუმენტების გაუთვალისწინებლად, 1983 წ. მწერალმა თ.ჭილაძემ ჰიპერტროფიული სახე მისცა მ.თოდუას მოსაზრებას და „ფიცის წიგნი“ მიიჩნია ანტიფეაროსნულ აქტად. ის თვლის, რომ თამარის პოლიტიკური კურსი უპირისპირდებოდა მამა-პაპათა პოლიტიკურ ორიენტაციას. მისმა სახელმწიფომ გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო და დაუპირისპირდა დავით აღმაშენებლის კურსს — ევროპისკენ რომ იყო მიმართული. თამარის „ფიცის წიგნი“ ამ პოლიტიკის განსახიერებას წარმოადგენდა. თამარი არ დაეხმარა ჭვაროსნების მიერ კუთხეში მიმწყვედულ სულტანს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაესწორებინა მიწასთან ჭვაროსნებისა და საქართველოს (რამდენადაც საქართველო ჭვაროსნული ლაშქრობების მონაწილე იყო) ყველაზე დიდი მტერი. ასეთი ხელსაყრელი მომენტი იშვიათად თუ შეიძლებოდა დამდგარიყო, მაგრამ თამარმა ჭვარზე შეაფიცა ჭვაროსნების მტერს, შენზე ხელს არ აღეშარათეო. „ფიცის წიგნის“ დადებით მან დავით აღმაშენებლის საპირისპირო ნაბიჯი გადადგა და, მართალია, არააპირდაპირი გზით, მაგრამ მაინც აშკარად გაილაშქრა ჭვაროსნების წინააღმდეგ სულტან სალადინის სასარგებლოდ, რომელმაც არც თავის მხარე დააყოვნა და სასტიკად დაამარცხა ჭვაროსნები, აიღო იერუსალიმი (ჭილაძე, 1983:135-139). თ.ჭილაძის თვალსაზრისი, რომელიც იმდროინდელი საგარეო პოლიტიკური ვითარების ზედაპირულ ანალიზს ეყარება, მიუღებელია. ვერ გაეიაზრებთ დებულებას დავით IV-ისა და თამარის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დაპირისპირებულობის შესახებაც (იხ. სურგულაძე, 1989:207). სხვათა შორის, მ.თოდუას, რომლის პუბლიკაციასაც ეყრდნობოდა თ.ჭილაძე, არც წერილობით და არც ჩვენთან საუბარში, ეკვი არ შეუტანია „ფიცის წიგნის“ შესახებ გამოტანილ ჩვენს დასკვნებში.

⁷ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თამარის „ფიცის წიგნი“ იმად აღ-დინ აღ-ქათიმ აღ-ისფაჰანის „ინშადან“ არის. იმად აღ-დინი 1185 წ. მაესილის კამპანიაში თან ახლდა სალამ ად-დინს და მომსწრე იყო იმ ამბებისა, რომლებიც ხლათში მოხდა.

კონტაქტები საქართველოსა და აიუბიანთა სახელმწიფოს შორის გრძელდებოდა XII ს. 90-იანი წლების დასაწყისში. 'იმად აღ-დინ აღ-ქათიბ აღ-ისფაჰანი და ბაჰა' აღ-დინ ბ.შაღდადმა შემოგვინახეს ცნობა იმის თაობაზე, რომ ქართველებს უცდიათ გამოესყიდათ ის წმინდა ჯვარი, რომელიც სალაჰ აღ-დინმა ხელთ იგდო ჰატიანთან ბრძოლაში 1187 წ. 4 ივლისს.

წმინდა, ან ჰემმარიტ ჯვარზე, რომელსაც მუსლიმი ავტორები ჯვარცმის ჯვარს (სალიბ ახ-საღბჟთ) უწოდებენ, გადმოცემით, გაკრულ იქნა იესო ქრისტე. ის აღიარებულ რელიქვიას წარმოადგენდა ქრისტიანთათვის და მისი მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული მუსლიმებსაც. 'იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანი ამის თაობაზე წერდა: "ეს ის ჯვარია, რომლის წინაშეც ყველა ქრისტიანი მუხლს იყრის ხალოცაჲად. მისინეჟლია, რომ ის დამზადებულია იმ ხისაგან, რომელზედაც გააკრეს მათი სათაყვანებელი ღმერთი (იესო ქრისტე – გ.ჯ.). ისინი [ქრისტიანები] მას ინახავენ შავი დღისა და დღესასწაულებისათვის და არავის აქვს უფლება მისი მიტოვებისა. მათ თვალში ამ ჯვრის [მტრის მიერ] ხელში ჩაგდება უფრო მძიმეა, ვიდრე მათი მეფისა, რადგანაც მისი შეცვლა არაფრით არ შეიძლება" (Sivan, 1968:114).

ყადი აღ-ფადილი აღნიშნავდა, რომ წმინდა ჯვრის დაუფლება იყო მუსლიმთა საღეთო ომის ერთ-ერთი მთავარი მიზანი (Sivan, 1968:114) და 1187 წ. ეს მოახერხა სალაჰ აღ-დინმა. ჯვრის დაკარგვა ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა ქრისტიანთათვის, მისი დაბრუნება კი გახდა მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი (Sivan, 1968:114). ამავე დროს ქრისტიანი ხელმწიფეები ცდილობდნენ დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით დაებრუნებინათ წმინდა ჯვარი.

1191 წ. 26 სექტემბერს ინგლისის მეფე აიუბიანებს უთვლიდა, რომ ჯვაროსნებსა და მუსლიმებს შორის ომების მთავარი მიზეზი იყო იერუსალიმი და წმინდა ჯვარი და წერდა: "რაც შეეხება ჯვარს, ის თქვენთვის მხოლოდ ხის ნაკერია, რომელიც ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია და თუ კი ხულტანი გვიბოძებს მას, ჩვენ დავზავდებით და მოვისვენებთ გამუდმებული უსიამოვნებებისაგან" (მაჰა' ად-დინი, 1964:195).

წმინდა ჯვრის დახსნა წარმოადგენდა აიუბიანთა სულტანთან ბიზანტიის იმპერატორის მიერ 1192 წ. 15 მაისს წარგზავნილი დიპლომატიური მისიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას (Brand, 1962:177-78).

სალაჰ აღ-დინმა როგორც ინგლისის, ისე ბიზანტიის ელჩებს უარი უთხრა ჯვრის დაბრუნებაზე. ამასთან, ბიზანტიის ელჩს განუცხადეს, რომ ასევე უარი ეთქვა ქართველთა მეფეს, რომელიც წმინდა ჯვრის დასახსნელად 200 ათას დინარს

სთავაზობდა (მაჰა' ად-დინი, 1964:209; ალ-ისტეჰკანი, 1888:373). აქედან ირკვევა, რომ ქართველებს დიპლომატიური მისია წმინდა ჯვრის დასახსნელად 1192 წლის 15 მაისამდე გაუგზავნიათ.⁸ ის უნდა შემდგარიყო 1191 წ. 26 სექტემბრის შემდეგ წინააღმდეგ შემთხვევაში, თამარის წინადადებაზე უარს ასევე მოიხსენიებდნენ ინგლისის ელჩისადმი პასუხში.

აიუბიანთა სულტნის პოზიცია წმინდა ჯვრის საკითხში სრულად გარკვეული და მტკიცე იყო. მას არ აწყობდა არავითარი გამოსასყიდი. 1191 წ. სექტემბერში ინგლისის მეფეს ის უთვლიდა, რომ ჯვრის დათმობა მუსლიმთათვის დიდი მსხვერპლი იქნებოდა და მის დაბრუნებაზე დათანხმდებოდა მხოლოდ ისლამისათვის უფრო დიდი სარგებლობის ფასად (მაჰა' ად-დინი, 1964:194).

ამგვარად, XII ს. 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს, ისევე როგორც ინგლისისა და ბიზანტიის ხელისუფალთა ცდებმა დაებრუნებინათ წმინდა ჯვარი, მარცხი განიცადა.⁹ ქართული დიპლომატია, რამდენადაც ვიცით, ამ საკითხს აღარ დაბრუნებია.

1192 წლის ელჩობა ჰალმსტინის ქართული სავანეების
დაბრუნების მიზნით

ბაჰა'ად-დინ ბ.შადადი მოგვითხრობს, რომ 588 წ. 21 შა'ბანს / I.X.1192 წ. სალაჰ ად-დინის ბანაკში რამლასი (პალესტინა) მისულან სხვადასხვა ხელმწიფის ელჩები, რომელთა შორის იყო ქართველთა მეფის დესპანიც.¹⁰ ის "შეეზო

⁸ ქართველი მკვლევარები, ჩვეულებრივ, ამ ელჩობის დროდ ორმაგ თარიღს — 1192-93 წ.

ასახელებენ (*Цагарели*, 1888:49; ავალიშვილი, 1989 დ: 110; ხილაგაძე, 1968:88; მენაბდე, 1980:96; ინგოროყვა, 1963:822). ს.კაკაბაძე ფიქრობდა რომ ეს ამბავი მოხდა 1191 წლამდე, მას შემდეგ, რაც ბიზანტიელებმა ჯვრის დაბრუნებაზე უარი მიიღეს (კაკაბაძე, 1966:178).

⁹ ზ.ავალიშვილი შენიშნა, რომ გარკვეულად არ არის ცნობილი, თუ რა დაემართა წმინდა ჯვარს (ავალიშვილი, 1989:111). ზოგიერთი ცნობით სალაჰ ად-დინს მაინც გაუგზავნია წმინდა ჯვარი ბიზანტიის იმპერატორისთვის, მაგრამ გენუელი და პიზელი მეკობრეები თავს დაესხნენ ვენეციურ ხომალდს, რომლითაც სულტნისა და იმპერატორის წარმომადგენლებს მიჰქონდათ ჯვარი და ხელთ იგდეს ის. ერთმა პიზელმა, სახელად ფორტემ, ჯვრის ფრაგმენტი გადაიტანა ბონიფაციოს ციხეში კორსიკის სანაპიროზე. 1195 წ. ჯვარი გენუელებს ჩაუვარდათ ხელში (*Brand*, 1962:178). რანსიმიანი წერს, რომ ჯვრის დაბრუნების საკითხი წამოიჭრა 1221 წ. აიუბიანებსა და ჯვაროსნებს შორის აბალი საზავო მოლაპარაკების დროს. მუსლიმები დასთანხმდნენ დაებრუნებინათ ის, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, ჯვარი ველარ ნახეს (*Runciman*, III, 1954:170). ესედებით მითითებას იმის თაობაზეც, რომ წმინდა ჯვარი საბოლოოდ გაიტანეს კ.კეიპროსზე, სადაც 1488 წ. ის ნახა და მოიხსენია ერთმა ევროპელმა მოგზაურმა (*Ziada*, 1933:102).

¹⁰ გ. ფერაქეს აღნიშნული ელჩობა, შეცდომით, 1187 წლით აქვს დათარიღებული (*Peradze*, 1937:186) და ამ ავტორიტეტულ მკვლევარზე დაყრდნობით ეს თარიღი გავრცელდა

საკითხს, მათი [ქართველების | მონასტრებისა (ად-დინარათ) და [ხა-
ქველმოქმედო | ნაგებობების (‘იშარათ) შესახებ, რომლებიც მათაქვე
იერუსალიმში. დაიჩივეს ქართველებსა | იმის თაობაზე, რომ ისინი, მათ
წაართვეს და ითხოვეს გულმოწყალება ხელტნისა – ალლაჰის წყალობაც
იყო მასზე – რათა დაებრუნებინათ ისინი მათი [ქართველების | წარმო-
მადგენლებისათვის (ნუვეაბ)“ (ბაჰა’ ად-დინი, 1964:234).¹¹

ბინგოროყუა თვლიდა, რომ ამ ელჩობის მიზანი იყო გამოხსნა იმ მონასტრე-
ბისა, რომლებიც 1187 წ. სალამ ად-დინმა დახურა (ინგოროყუა, 1963მ:707-8).
ელმეტრეველი მიიჩნევს, რომ ქართველები იმედოვნებდნენ წმინდა მიწაზე სალა-
დინის მეშვეობით ლათინთაგან ჩამორთმეული მონასტრების, მამულებისა და
უფლებების დაბრუნებას (ელ. მეფრეყელი, 1962:57; პაპუაშვილი, 1979:397).

ბაჰა’ ად-დინ ბ. შადდადის ცნობაში აღნიშნულ საკითხზე გარკვევით არაფერი
ჩანს. მაგრამ ვნახოთ, რას გვიჩვენებს პოლიტიკური და კონფესიონალური ვითარ-
ება პალესტინაში 1187-1192 წლებში.

იერუსალიმის აღების შემდეგ სალამ ად-დინმა ჩაატარა რეპრესიები ქრისტი-
ანთა მიმართ, მაგრამ ეს ძირითადად ლათინებს შეეხო. მათ დატოვეს იერუსალიმი.
ლათინთა ეკლესიები, მათ შორის აღდგომისა, დაიხურა. წმ. ანას ეკლესია გადაკე-
თდა შაფიტთა მედრესედ (ალ-ისფაჰანი, 1888:88). შეწყდა ევროპელ ქრისტიან-
თა პილიგრიმობა წმინდა ადგილებში. მაგრამ აიუბიანთა დამოკიდებულება
მელქიტთა — ბერძენ მართლმადიდებელთა მიმართ, რომლებიც დარჩნენ იერუ-
სალიმში, სხვაგვარი იყო. ამას განაპირობებდა, ერთი მხრივ, დაპირისპირება და
მტრობა ბერძენულ მართლმადიდებელურსა და კათოლიკურ ეკლესიებს შორის და,
მეორე მხრივ, აიუბიანთა ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან. საერთო პოლი-
ტიკური მიზნები (დაპირისპირება ჯვაროსნებთან და რუმის სასულტნოსთან)
ორივე მხარეს უბიძგებდა შეენარჩუნებინათ ერთმანეთთან მეგობრული ურთი-
ერთობები. 1185 წ. იმპერატორი ანდრონიკე კომნენი სულტანს დახმარებას
სთავაზობდა სირიაში ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1187 წ. იერუსალიმის
აღყის დროს ადგილობრივი მელქიტები, რომელთაც სძულდათ ლათინები, მზად

ქართულ ისტორიოგრაფიაში (ელ. მეტრეველი, 1962:57; პაპუაშვილი, 1979:397).
ზოგჯერ მიუთითებენ, რომ ხსენებული ელჩობა მოეწყო 1192-93 წ. (ინგოროყუა,
1963მ:707-8, 822; მენაბდე, 1980:96) და მასვე უკავშირებენ მოთხოვნას წმინდა ჯვრის
დაბრუნებაზე (*Uzayruhu*, 1888:49; ინგოროყუა, 1963მ:707-8, 822).

¹¹ ბაჰა’ ად-დინ ბ. შადდადის თხზულების ამ კრიტიკული გამოცემისგან განსხვავებით, მის
1884 წ. გამოცემაში მონასტრების (*الكنائس*) ნაცვლად წერია — პილიგრი-
მობა (*الكنائس*) ამ ადგილის ფრანგულ თარგმანში ფიგურირებს მხოლოდ
„etablissemments pieux“ (ბაჰა’ ად-დინი, 1884:344-45), ინგლისურ თარგმანში კი —
„the places of pilgrimage“ (ბაჰა’ ად-დინი, 1897:384). აბუ შამას თხზულებაში, სადაც
ბაჰა’ ად-დინის ცნობა სიტყვა-სიტყვით, მეორდება, წერია მონასტრები (აბუ შამა,
1871:203).

იყვნენ გაეცათ ქალაქი სალაპ ად-დინისათვის. ლათინთა ხელმძღვანელობამ, რომელმაც იცოდა მელქიტთა განწყობილების შესახებ, იჩქარა, რომ სალაპ ად-დინისათვის იერუსალიმი ჩაებარებინა. ჩ.ბრანდი აღნიშნავს, რომ 1188 წლისათვის აუიბიანთა სულტანმა მის მიერ დაპყრობილი პალესტინის ყველა ეკლესია გადასცა მართლმადიდებლებს (*Brand, 1962: 168, 170, 172*).

ქართული სამონასტრო თემის მონაწილეობა მელქიტთა ინტრიგებში უცნობია. ჩვენ ვიცით, რომ ქართველები იერუსალიმში არ იყვნენ დამოკიდებულნი ლათინთა იერარქიაზე (*Πονοα, 1903: 260*) და ისინი ინარჩუნებდნენ თავიანთ სალოცავებს, ფლობდნენ ჯვრის მონასტერს იერუსალიმის გარეუბანში. ქართველები სარგებლობდნენ ჯვაროსანთა კეთილგანწყობითა და პატივისცემით (ილ.მუცრფელი, 1976: 255-59). მართალია, 1177-78 წ. იერუსალიმის მეფე ბალდუინმა ჯვრის მონასტერს ჩამოართვა ზვრები და, საერთოდ, შეავიწროვა ის (ილ.მუცრფელი 1962: 56-57), მაგრამ ქართველებს არც ამ დროისათვის დაუკარგავთ წმინდა მიწაზე თავიანთი სავენეები. ყოველ შემთხვევაში, 1187 წ., ლათინთა ბატონობის დროს, ჯვრის მონასტერი ჯერ კიდევ მათ ხელში იყო (*Perudze, 1937:186*).

ვითარება ქართველებისთვის, ისევე როგორც ყველა ქრისტიანისთვის იერუსალიმში შეიცვალა 1187 წელსვე, სალაპ ად-დინის მიერ ქალაქის აღებისთანავე. იერუსალიმსა და, საერთოდ, პალესტინაში ყველა ეკლესია-მონასტრის გადანაწილება (ლათინთაგან მართლმადიდებელთა ხელში), ანდა მათზე უფლებების აღდგენა-დამტკიცება მოხდა აუიბიანთა სულტანის ნებართვით. საყურადღებოა, რომ 1188 წ. ქართველებს არ დაუბრუნებიათ თავიანთი ტაძრები თუ სხვა სამონასტრო ქონება (წინააღმდეგ შემთხვევაში, 1192 წ. ელჩობა არ მოეწყობოდა). ეს, შესაძლოა, განპირობა მათმა სიმპათიებმა ლათინთა მიმართ,¹² ანდა ბერძნული ეკლესიის ანტიქართულმა ღონისძიებებმა. ამის გამო, 1192 წ. თამარი შეეცადა თავის უფლებებში აღედგინა ქართული სამონასტრო თემი იერუსალიმში.

ქართველთა ელჩი მაშინ ეახლა სალაპ ად-დინს რამლამში, როცა მიმდინარეობდა საზავო მოლაპარაკებები სულტანსა და მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან — რიჩარდ I-თან (ლომგულთან). საზავო შეთანხმებას, რომლის ძალითაც იერუსალიმი დარჩა სალაპ ად-დინს, ხოლო ჯვაროსნებმა პალესტინაში შეინარჩუნეს ვიწრო სანაპირო ზოლი იაფადან ტიროსამდე, ხელი მოაწერეს 2.IX (*Runciman, III, 1954:73*) და, ჩანს, საქართველოს წარმომადგენელი ამ ამბის მოწმე გახდა. ბაპა' ად-დინ იბნ შადდადი და სხვა არაბი ავტორები არ იწყებიათ, თუ რა პასუხი გასცეს ქართველ ელჩს,¹³ მაგრამ, მოგვიანებით,

¹² ქართველი მართლმადიდებლები, ფიქრობთ, არ იქნებოდნენ დაინტერესებულნი ლათინთა ბატონობის დამხობით იერუსალიმში, რაც ავტორმატურად მოასწავებდა მათი მეტოქე ბერძნული ეკლესიის გავლენის ზრდას.

¹³ ს.კაკაბაძე ფიქრობდა, რომ ეს ელჩი იყო შოთა რუსთაველი. მისი აზრით (რაც ჩვენთვის მიუღებელია), „რუსთაველი“ არაბი ავტორის მიერ გააზრებულ იქნა როგორც რასულ, რაც არაბულად ნიშნავს ელჩს (კაკაბაძე, 1966:179; იხ აგრეთვე: მენაბდე, 1980:339).

თამარის ისტორიკოსები მოგვითხრობენ მეფის აქტიურ საამშენებლო საქმიანობაზე იერუსალიმში და იმ შეწირულობებზე, რომელთაც ის იქაურ ეკლესია-მონასტრებს უგზავნიდა (ივ, II, 1959:91,141). ქართველ პილიგრიმებს შეეძლოთ დაუბრკოლებლად მოეხილათ წმინდა ადგილები. ყოველ შემთხვევაში ად-დავადარ აზ-ზაჰირი 603 წ. 15 მუჰარრამს /23.III. 1206 წ. იერუსალიმისა და, ცერძოდ კი აღდგომის ეკლესიის მოსახილავად ჩასულთა შორის ასახელებს პილიგრიმებს საქართველოდანაც (მინ ალ-ჯურჯან)¹⁴ (Hein, 1968:186). ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ 1192 წ. დიპლომატიური მისია არ იყო უშედეგო.¹⁵ ქართულ სამონასტრო თემს საშუალება მიეცა განეახლებია თავისი მოღვაწეობა პალესტინასა და იერუსალიმში, რაც განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ხლათის აიუბიანებთან 1210 წ. 30-წლიანი ზავის დადების შემდეგ.

1203 წელი. აიუბიანთა ელჩობა საქართველოში

1192 წ. შემდეგ, ხელახლა აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს სამეფოს ურთიერთობათა შესახებ მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ 1203 წ. ამ ხნის მანძილზე აღესრულა სულტანი სალაჰ ად-დინი (1193 წ.) და ხანგრძლივი დაპირისპირება აიუბიანთა საგვარეულოს წარმომადგენელთა შორის დასრულდა ალ-ადილის გამარჯვებით (1200 წ.).

იბნ ალ-ფურათი მოგვითხრობს, რომ 599 წ. რაჯაბში /16.III-14.IV.1203 წ. სულტანმა ალ-ადილმა ქართველებთან თავისი ელჩი ყადი მუჰი ად-დინ 'ასრუნი წარგზავნა. ელჩი 17 რაჯაბს, ე.ი. 1 აპრილს უკვე ჰამას (ცენტრალურ სირიაში) გამგებელთან ალ-მალქ ალ-მანსურთან იყო. შემდეგ კი ის საქართველოში გაემგზავრა (იბნ ალ-ფურათი: 249).

¹⁴ ჯურჯანი ჩვეულებრივ კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მხარეა, მაგრამ არაბულ წყაროებში ზოგჯერ ის აღნიშნავს ქართლს, საქართველოს, ქართველებს (ჯაფარიძე, 1993ა:126-128).

¹⁵ პოპადოპულო-კერამპუსი მიუთითებდა, რომ 1187 წ. სალადინმა ქართველებს გადასცა წმ. ნიკოლოზის მონასტერი, რომელიც არის ჯვრის მონასტერი, ანდა მისი მეტოქე მონასტერი უფლის სადღავთან, პატრიარქების რეზიდენციასთან იერუსალიმში (Peradze, 1937: 186,221,228), მაგრამ ამ ინფორმაციის წყარო უცნობია. მაქსიმ სიმსკი, რომელმაც შეადგინა იერუსალიმის პატრიარქთა ისტორია მე-6 მსოფლიო კრებიდან 1810 წლამდე, აღნიშნავდა, რომ სალაჰ ად-დინმა ქართველებს, ვითომდაც თავის მოკავშირეებს ლათინთა წინააღმდეგ ბრძოლაში, 1187-1190 წწ. გადასცა რამდენიმე საფანე: წმ. გოლგოთას, წმ.თეკლეს, იოანე ღვთისმეტყველის, იაკობ მოციქულის, წმ. ნიკოლოზისა და სხვ. მონასტრები (Максим Сумский, 1904:28). ასეთი კავშირი აიუბიანთა სულტანსა და ქართველებს შორის არ არსებობდა და ამ საექვეო ინფორმაციის წყარო არ იძებნება. მართალია, ლ.ჯეჯელავა გ.ფერაძის მიხედვით იმროწმებს ერთ უცნობ პილიგრიმსა, რომელიც თითქოსდა 1187-1190 წწ. მოგვითხრობს სალაჰ ად-დინის მიერ ქართველებისთვის წმ. ნიკოლოზის, იოანე ღვთისმეტყველისა და იაკობის მონასტრის გადაცემას (ჯეჯელავა, 1991:274), მაგრამ გ.ფერაძეს ეს პილიგრიმი არა ჰყავს დასახელებული.

სამწუხაროდ, იბნ ალ-ფურათი არ ეხება მუჰი ად-დინ 'ასრუნის მისიის მიზეზებსა და შედეგებს. მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ალ-'ადილის დესპანი საქართველოში ჩავიდა იმ დროს, როცა ჩრდილოეთ სომხეთში დიდი წარმატებებისა და ბასიანში რუქნ ად-დინზე გამარჯვების შემდეგ საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო პრესტიჟი კიდევ უფრო გაიზარდა. გაჩნდა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ საქართველოს სამხედრო ძალებს დაეღაშქრათ არეზის მარჯვენა ნაპირი — შაჰ-არმენთა სამფლობელოები. თავის მხრივ აიუბიანები, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, იმედოვნებდნენ ხელთ ჩაეგდოთ ვანის ტბის რეგიონი. ახლო მომავალში საქართველოსა და აიუბიანთა სასულტნოს დაპირისპირების კონტურები აშკარად იკვეთებოდა და ალ-'ადილს, შესაძლოა, სურდა გაერკვია თამარის უახლოესი საგარეო-პოლიტიკური გეგმები. ყოველ შემთხვევაში, აიუბიანთა ეს ელჩობა მოწმობს, რომ აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ იყო ცალმხრივი და ასეთი კონტაქტებით თანაბრად იყო დაინტერესებული როგორც თამარის, ისე აიუბიანთა სულტნის კარი.

3. საქართველო და რუმის სასულტნო: ბასიანის ბრძოლა

1202 წლის ზაფხულში რუმის სასულტნოსა და საქართველოს სამეფოს შორის მოხდა პირველი სამხედრო კონფლიქტი. სულტანმა რუქნ ად-დინ სულაიმან-შაჰმა დაიწყო ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ. ბრძოლაში, რომელიც 27 ივლისს ბასიანის მხარეში გაიმართა და რომელიც თანამედროვე გამოკვლევებში ბასიანის ბრძოლის სახელით არის ცნობილი,¹⁶ ქართველთა შეიარაღებულმა ძალებმა გაიმარჯვეს. ბასიანის ბრძოლის შესახებ ბევრი რამაა დაწერილი, მაგრამ მასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს. ეს ეხება რუქნ ად-დინის ლაშქრობის მიზეზებს, მისი ლაშქრის შემადგენლობას, ბრძოლის კონკრეტულ ადგილს და ამ ბრძოლის შედეგებს.

¹⁶ ბასიანის ბრძოლის ზემომოტიანილი თარიღი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში დაასაბუთა გალასანიამ, ემყარება ოსმალთა ისტორიკოსის აჰმედ ბლუტფულაჰ მუნეჯჯიმ-ბაშის (გარდ. 1702 წ.) ცნობას. მუნეჯჯიმ-ბაში ასახელებს ჰიჯრის 598 წ. ზულ-კა'დას თვის დასაწყისს, რაც შეესაბამება მონაკვეთს 1202 წ. 23 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით. იოანე ბატონიშვილის ცნობით ბრძოლა მოხდა შაბათს, რაც 27 ივლისზე მოდის (ალასანი, 1975:89-92). მუნეჯჯიმ-ბაშის აღნიშნული ცნობა დამოწმებულია 1202 წ. ბასიანის ბრძოლის თარიღად მიღებული აქვთ თურქ მკვლევარებს: მ.ფ.კირზიოღლუსა და ო. თურანს (*Kirzioğlu*, 1953:413; *Turan*, 1971:259. იხ. შენგელია, 1974:196. შენგელია, 1979:331). მუნეჯჯიმ-ბაშიზე ადრე ბასიანის ბრძოლის იგივე თარიღს (598 წ. ზულ-კა'დას დასაწყისი) იძლევა XVI ს. სპარსული ისტორიკოსი ლაფთარი, 1964:114), რომლის ეს ცნობაც დღემდე არ ყოფილა გათვალისწინებული ქართველ მკვლევართა მიერ.

ბასიანის ბრძოლის მიზეზები. რუქ ად-დინის ლაშქრობის მიზეზების შესახებ მრავალი მოსაზრება (ი. ცინცაძე, მ. ლორთქიფანიძე, ნ. შენგელა, ჯ. სტეფანაძე, ა. აბდალაძე, ო. თურანი, ფ. სუმერი) არის გამოთქმული. მათ ვანხილვას აქ არ შეეუდგებით. აღნიშნავეთ მხოლოდ, რომ მკვლევართა უმრავლესობას ერთი რამ აქვთ საერთო- თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ რუქ ად-დინის ლაშქრობა განაპირობა სელჩუკთა სულტანისათვის მიუღებელმა საქართველოს საგარეო-პოლიტიკურმა კურსმა. საკითხის ამგვარი დასმა ზოგადად მართებულად მიგვაჩნია, მაგრამ ამავე დროს, ვფიქრობთ, არსებობდა უფრო კონკრეტული მიზეზებიც, რომლებმაც უბიძგეს რუქ ად-დინს ელაშქრა საქართველოს წინააღმდეგ.

რუმის სულტანის ლაშქრობა არ შეიძლება იზოლირებულად იქნას განხილული. ის იყო ნაწილი იმ სამხედრო კამპანიისა, რომლის პირველ რკოლსაც წარმოადგენდა არზრუმის ანექსია.

ზემოთ აღინიშნა, რომ XII ს. უკანასკნელ მეოთხედში მცირე აზიის სელჩუკებმა ვერ შეძლეს ჩრდილოეთ მესოპოტამიაში სერიოზული კონკურენცია გაეწოთ აიუბიანებისათვის, რომლებმაც მტკიცედ მოიკიდეს ფეხი დიარ-მუდარსა და დიარ-ბაქრში. XII ს. 80—90-იან წლებში გაჩნდა პირველი საშიშროება იმისა, რომ აიუბიანები დაიპყრობდნენ ხლათს და, საერთოდ, შამ-არმენტა სახელმწიფოს, რაც მათ უქმნიდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან პლაცდარმს რუმის სასულტნოს დასალაშქრად. ერთადერთი რეგიონი, სადაც სელჩუკებს ჯერ კიდევ შეიძლება ჰქონოდათ წარმატების იმედი, იყო ანატოლიის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე არზინჯან-არზრუმის სექტორი. მაგრამ აიუბიანთა სიახლოვემ დიარ-ბაქრში და 1191 წ. მათმა ინტერვენციამ ვანის ტბის რეგიონში აიძულა სალთუკიანები ლოიალურნი ყოფილიყვნენ სალამ ად-დინისადმი და 1192 წ. ეცნოთ მისი უზენაესობა. გარდა ამისა, 1192/93 წ. ქართველები პირველად გამოჩნდნენ არზრუმის კედლებთან. 1195 წ. მათ განახორციელეს ახალი რეიდი კარინის მხარეში. ქართველთა ასეთი აქტივობა ექვს აღუძრავდა სულტანს, რომ ისინი მომავალშიც გააგრძელებდნენ შეტევას არზრუმის მიმართულებით. ამრიგად, რუქ ად-დინის წინაშე იკვეთებოდა უსიამოვნო პერსპექტივა აიუბიანთა ანდა ქართველთა მიერ არზრუმის საამიროს ანექსიისა. ამ პირობებში, ვფიქრობთ, სულტანს გაუჩნდა სალთუკიანთა საამიროს დაპყრობის გეგმა. მართალია, ეს საამირო უშუალოდ არ ესაზღვრებოდა რუმის სასულტნოს, მაგრამ არზრუმზე იერიში ადვილად შეიძლებოდა არზინჯანის საამიროს გავლით. არზინჯანის ამირა ფახრ ად-დინ ბაქრამ-შამა კი ლოიალურად იყო განწყობილი სელჩუკებისადმი.

რუქ ად-დინის სწრაფვას გაბატონებულიყო არზრუმში, განაპირობებდა სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ფაქტორები. არზრუმის დაპყრობა და აქ პლაცდარმის შექმნა მას საშუალებას მისცემდა დაეცვა ანატოლია ჩრდილოეთიდან ქართველთა შეტევის შემთხვევაში, კონკურენცია გაეწია აიუბიანებისათვის ვანის ტბის რეგიონში და აქტიურად ებრძოლა თავისი გავლენის გასავრცელებლად როგორც ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ისე ჩრდილოეთ სომ-

ხეთში, სადაც ელდიგუზიანები და შაჰ-არმენები ველარ უწყევდნენ წინააღმდეგობას საქართველოს. არზრუმის დაკავება ნიშნავდა თავრიზ-ტრაპიზონის დიდ სავაჭრო მაგისტრალზე გასვლას და მისი მნიშვნელოვანი ნაწილის კონტროლს. მისაღები ჩანს კ.კაენის ვარაუდი, რომ რუქნ ად-დინს სურდა „სამსუნში მიეზიდა ის ქარაენები, რომლებიც ადრე ტრაპიზონში იკლებოდა“ (Cahen, 1968:117). ამ შემთხვევაში შეიცვლებოდა სავაჭრო გზის მიმართულება, არზრუმ-ბაიბურთ-ტრაპიზონის ნაცვლად არზრუმ-არზინჯანის გავლით სამსუნისაკენ, რომელიც XII ს. 90-იანი წლების შუა ხანებში ხელთ იგდეს სელჩუკებმა (Savvides, 1981:66). ეს დიდ ეკონომიკურ სარგებლობას უქადდა რუმის სასულტნოს.

საქართველოს სამხედრო წარმატებები XII-XIII სს მიჯნაზე (იმიერტაოში, ვანანდში) აიძულებდა რუქნ ად-დინს დაეჩქარებინა თავისი გეგმის განხორციელება. თამარის პირველ ისტორიკოსს ყარსის აღება მიაჩნია მნიშვნელოვან ამბად, "რომლისათვისცა დიდი წყება შეექმნა თურქთა" ... "წარემართებოდა სამეფო თამარისი და შეემატებოდა დღითი-დღე. მიში და ზარი იყო მეფისა ყოველთა ხულტანთა ზედა" სწორედ ამის შემდეგ აღნიშნავს ქართველი მემკვიდრე, რომ "ესე ესმა მადალსა ხულტანსა ხელჩუქიანსა, სახელით რუქნადინს", რომელმაც დაიწყო საქართველოზე სალაშქროდ სამზადისი (ივ, II, 1959:92-3).

ქართველების მიერ ყარსის აღებასა და რუქნ ად-დინის ლაშქრობას შორის კავშირს ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, მაგრამ, უკანასკნელ ხანებში, როცა თანდათან დაზუსტდა ბასიანის ბრძოლის თარიღი, ასეთი კავშირი საეჭვოდ მიიჩნეეს და უარყოფილიც კი იქნა (სილაგაძე, 1966:118; ამდალაძე, 1972:136; ალასანი, 1975ა:89). ამგვარ სკეპტიციზმს თავისი საფუძველი აქვს. როგორც ითქვა, ყარსის აღებას ბასიანის ბრძოლის წინ იხსენიებს თამარის პირველი ისტორიკოსი. სხვა ავტორთა ცნობებით კი ეს ამბავი მოხდა 1206-1207 წწ. ამ განსხვავებულ ცნობათა შეთავსება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დაფუძვებით, რომ საქმე ეხება ყარსის კამპანიის განსხვავებულ ეტაპებს. ჩვენი აზრით, ბასიანის ბრძოლის წინ ქართველებმა დაიკავეს ყარსი, ქალაქის დიდი ნაწილი მისი ციტადელის გარეშე და მთლიანად ვანანდ-კერორი, სადაც მოხდა შაჰ-არმენტა ხელისუფლების ლიკვიდაცია. ვანანდ-კერორის საკომუნიკაციო ხაზების დაკავება საშუალებას აძლევდა საქართველოს სამხედრო ძალებს დაუბრკოლებლად შეჭრილიყენენ ბასიანში და მუქარა შეექმნათ არზრუმისათვის. ასეთივე მუქარა შეიძლებოდა შექმნილიყო იმიერტაოდანაც, საქართველოს ყელის, იგივე გურჯი-ბოლანის გავლით. მაგრამ ამ მიმართულებით მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვანი ლაშქრის მოძრაობისთვის დაბრკოლებას ქმნიდა მაღალმთიანი რაიონები და უღელტეხილები (Гуннуyc, 1892:20), რომელთა ჩაკეტვა არ წარმოადგენდა დიდ სირთულეს.

შესაძლებელია შორეული ანალოგია იყოს, მაგრამ მაინც უნდა ბლინიშნოს ის ფაქტი, რომ 1877 წ. რუსეთის არმიის მიერ ყარსის აღებამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთის იმპერიის მმართველ წრეებზე. ყარსიდან გზა იხსნებოდა

არზრუმზე. არზრუმი კი ითვლებოდა „თურქეთის გასაღებად“ (Томачкевич, 1907:137-38). არზრუმის ეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აღნიშნულია წინარე ეპოქებშიც. ამდენად, გასაგები ხდება ის გარემოება, რომ რუმის სასულტნოს გამგებელმა მალატიის აღების (1201 წ.) შემდეგ თავისი სამხედრო ძალები დაძრა არა რომელიმე თავისი ძმის, ანდა თუნდაც კილიკიის სომხეთის წინააღმდეგ, არამედ არზრუმზე. არზრუმის ანექსია და მისი შენარჩუნება, ყარსიდან ქართველთა უკუგდება და მისი ხელში ჩაგდება იყო ის ფაქტორები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ამოძრავებდა რუქნ ად-დინ სულაიმან-შაჰის სამხედრო კამპანიას 1202 წელს.

რუქნ ად-დინის ლაშქრის შემადგენლობა და რაოდენობა. რუქნ ად-დინის სამხედრო გეგმის განხორციელებისათვის საჭირო იყო სერიოზული მომზადება და მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები. თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობებით სულტანმა „განახუნა ბაბა-მამურნი საუნჯგენი და გამოყარნა ოქრო აურაცხელნი, და წარგზავნიდა ოქროთა შეკრებისათუხ მკედრობისა, და ამცნებდა, რათა ორსა კეცხა მისცემდნენ გაჩენილისასა, და წარავლინა ყოველთა საზღვართა თუხთა, და იწყო მესობოტამიას და კალონეროთ, გალატიას, დანგრას, ანკურიას, ისავრიას, კაბადუკიას, დიდსა სომხითხ, ბითუნიას და საზღვართა ფებლადონისათა, და არა დაუტევა თუნიერ დედაკაცისა სოფელთა შინა მათთა, არამედ ყოველნი აამკედრნა. ზოლო თუთ ამოიხწრაფა და მიიწია უჯად საზღვლდებულთა მათ თურქთა თანა, რომელ არიან მკნე ბრძოლასა შინა და არიან სიმრავლითა ვითარცა მკალნი, გინა ჯინჭუელნი. ამათ მისცნა ოქრო მრავალნი, და კუალად ნიჭნი დიდნი ესეოდენ, ვიდრე ასი ათასი მკედარი შეკაზმული გამოიყვანა მათგან. და კუალად მიირთნა, თუნიერ ნებისა მათისა, შიშით, ეზინკელნი, ზალფერდელნი და კარნუ-ქალაქელნი“ (ღც, II, 1959:132-33).

ლაშა გიორგის - დროინდელი მემკვიდრე წერს, რომ რუქნ ად-დინს „თანაჰყვა ლაშქარნი დიშუშკით და ალაბით ამოდმა“, ხოლო ქართველებს დაუტყვევებითა „სულტანნი და ამირანი... ვრზინკიელი, შამელი და ბივრიტელი“ (ღც, I, 1955:368). ნაწილი იმ ადგილებისა, რომელთაც ჩამოთვლის თამარის მეორე ისტორიკოსი: „კალონერო, გალატია, დანგრა, ანკურია, ისავრია, კაბადუკია, ბითუნია და ფებლადონი“, სადაც რუქნ ად-დინმა შეყარა თავისი ლაშქარი, მცირე აზიასია. მათგან XII-XIII სს მიჯნაზე სელჩუკთა ხელში იყო „კაბადუკია“ *resp.* კაბადოკია, გალატია და „ანკურია“ *resp.* ანკარა. პირველი ორი სახელწოდებებია ბიზანტიური თემებისა, რომლებიც იმ დროს უკვე აღარ არსებობდა. უფრო ადრეც, როგორც უჩვენა უ.რამსეიმ, მათი საზღვრები არ იყო მყარ და ისინი მუდმივად იცვლებოდა (Ramsay, 1890:252). XII-XIII სს. მიჯნაზე ყოფილი კაბადოკიის მთავარი ქალაქი ჰერაკლია კუბისტრა, თურქ. ერეგლი (Savvides,

1981:137, მონ. 1) ჯერ კიდევ ყილიჩ-არსლანის ძმას სანჯარ-შაჰს ეპყრა,¹⁷ მაგრამ კაპადოკიის სხვა მნიშვნელოვანი ქალაქი არხელაისი ან აკ-სარაი, რომელსაც კაპადოკიის ფარგლებში ასახელებს უ. რამსეი (*Ramsay*, 1890:284), უკვე რუქნ ად-დინის ხელშია. ანკურია *resp.* ანკარა, ერთ დროს ყოფილი გალატიის პროვინციის მთავარი ქალაქი და მთლიანად გალატია ყილიჩ-არსლანის ვაჟს მუჰი ად-დინს მას'უდ-შაჰს ეკუთვნოდა და მისი სამფლობელო რუქნ ად-დინმა მხოლოდ 1204 წ. დაიპყრო (იხმ ალ-ასიბი, *XII*:195-96). სანჯარ-შაჰი და მუჰი ად-დინ მას'უდ-შაჰი პირადად ლაშქრობაში არ მონაწილეობდნენ. მათ, ალბათ, მხოლოდ ჯარები გაუგზავნეს სულტანს. სამაგიეროდ, რუქნ ად-დინს თან ახლდა ძმა — ალბისთანის მფლობელი მულის ად-დინ ტულღილ-შაჰი (იხმ მიმი:34).

ისაერია კილიკიის დასავლეთით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. ის სელჩუკებმა 1221-22 წ. წაართვეს სომხებს (*Pitcher*, 1972:28). იგივე ითქმის კალონეროზე, ისაერიის საპორტო ქალაქზეც, რომელიც მოგვიანებით 'ალა'იძაას ან ალანიას სახელით ხდება ცნობილი¹⁸ (*Taeschner*, 1956:354; *Cohen*, 1968:124; *Savvides*, 1981:153-54).

ღანგრა *resp.* განგრა (თურქ. შანკირი) — ყოფილი პაფლაღონიის თემის მთავარი ქალაქი (*Savvides*, 1981:136) მდ. პალისის მარცხენა შენაკადზე, XII ს. 40-იანი წლებიდან სელჩუკებს ეპყრათ (*Pitcher*, 1972:27), მაგრამ დიდი ნაწილი პაფლაღონიისა („ფებლაღონი“) შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთით და ბითონია მცირე აზიის უკიდურეს ჩრდილო - დასავლეთ ნაწილში — ბიზანტიელთა მფლობელობაში იყო და ისინი 1204 წ. ნიკეის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ.

ამრიგად, XII-XIII სს. მიჯნაზე ბითონია, პაფლაღონია თუ ისაერია კალონეროთი არ ემორჩილებოდა რუქნ ად-დინს, მაგრამ სულტანს ფულთი და მით უმეტეს ორმაგი გასამრჯელოთი შეეძლო დაეჭირაგებინა მათ საზღვრებზე („სახლვართა ფებლაღონისათა“) მომთაბარე თურქმენები, მათ შორის უჯებიც, ანდა თვით ქრისტიანი სომხები და ბერძნები, რომელთა მოქირავენე რაზმები გვხვდება ხოლმე მცირე აზიის სელჩუკთა ლაშქარში.

თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით უჯები ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან რუქნ ად-დინის ჯარში. გარკვეულია, რომ თურქ-უჯი ნიშნავს სასაზღვრო საგუშაგო ადგილს. უჯის ტერიტორიის ცნებაში შედიოდა არამარტო საზაფხულო და საზამთრო ადგილები, სადაც ბინადრობდნენ მომთაბარე ოღლუზები (თურქმენები), არამედ ის სოფლებიცა და ქალაქებიც, რომლებიც მათ ბიზანტიელებს წაართვეს მცირე აზიაში (ალასანი, 1973:208:10; ჯ. გამაშვილი, 1973ა:95; *Гъсеѣнов*, 1978:223). რ.პუსეინოვი იძლევა უჯების ვრცელ დახასიათებას. მათი

¹⁷ ყოველ შემთხვევაში არ ჩანს, რომ რუქნ ად-დინმა ის 1194-1201 წლებში დაიპყრო.

¹⁸ კალონეროს ვერ გავიგივებთ კოლონიასთან, როგორც ამას ფიქრობდა ალ.გამყრელიძე (გამყრელიძე, 1982ა:263, მონ. 1).

გაჩენა მცირე აზიაში დაიწყო XI ს. II ნახევრიდან, როგორც სამხედრო ძალად, რომელიც მიმართული იყო ბიზანტიის წინააღმდეგ. თავდაპირველად, უჩების — სასახლერო საგუშაგოების ზონა გადიოდა არზრუმ-მალატია-თარსის გასწვრივ, შემდეგში კი, სელჩუკთა წარმატებებთან ერთად, მან გადაინაცვლა ანატოლიის დასავლეთ საზღვრებთან ესკიმეპირ-ანტალიის ხაზზე (Гусейнов, 1978:226-27).¹⁹ რ.ჰუსეინოვი თვლის, რომ ბრძოლებში უჩების ფუნქციები იყო დამხმარე: დახვეწვა, ხანმოკლე რეიდები, თავდასხმები, ძარცვა და გაქცეული მტრის დევნა. თუ ბრძოლაში ჩაებმებოდნენ, ისინი ცდილობდნენ თავი აერიდებინათ ფრონტალური შეტევისათვის, რადგანაც სათანადო გამოცდილება და შეუპოვრობა არა ჰქონდათ (Гусейнов, 1978:227), მაგრამ ამ დახასიათების საწინააღმდეგოდ ქართული წყარო წერს, რომ უჩები იყვნენ "მკნე ბრძოლასა შინა" (ქც, II, 1959:132).

რუქ ად-დინს მოკავშირედ ჰყავდა, აგრეთვე, არზინჯანის ამირა ფახრ ად-დინ ბაჰრამ-შაჰი (იხმ შიში:34). ბაჰრამ-შაჰი წარმომადგენელია მანგუჯაქიანთა საგვარეულოსი, რომლის ფუძემდებლადაც ითვლება მანასკერტის ბრძოლის მონაწილე თურქმენი ამირა მანგუჯაქი. თავდაპირველად მანგუჯაქიანები ფლობდნენ არზინჯანს, დივრიგს, ქემაქს და სხვა ციხეებს. მანგუჯაქის მემკვიდრემ ისაკმა საამირო თავის ორ ვაჟს გაუყო და წარმოიქმნა მანგუჯაქიანთა ორი შტო — დივრიგსა და არზინჯანში. ბაჰრამ-შაჰი, რომელიც დაახლოებით 1166 წ. გახდა ამირა, უჩვეულოდ დიდხანს — 1225 წლამდე იჯდა ტახტზე. ის და მისი წინამორბედები არ აწარმოებდნენ აქტიურ საგარეო პოლიტიკას, არ მონაწილეობდნენ სალთუქიანთა და შაჰ-არმენთა მსგავსად ჩრდილოეთ სომხეთისათვის ბრძოლებში და ვლ.გორდლევისკის შენიშვნით „судьба Мангуджакидов прошла бесследно“ (Гордлевский, 1941:32). მთელი თავისი 60-წლიანი მიმართულებით, როგორც წერს კ.კაენი, ბაჰრამ-შაჰმა შეაღია იმას, რომ შეენარჩუნებინა კარგი ურთიერთობები სელჩუკებთან, რომლებიც ელოდებოდნენ მის სიკვდილს, რათა ბოლო მოეღოთ მანგუჯაქიანთა ამ შტოს არსებობისათვის (Cahen, 1968:109; Cahen, 1990:1016). მან ცოლად შეირთო სულტან ყილიჩ-არსლანის ასული (რუქ ად-დინის და) და მოგვიანებით, თავისი ქალიშვილი მიათხოვა სულტან ჯაი-ქაუს I-ს (1211 — 1219) (Чайкин, 1935:39; Гордлевский, 1941:31).²⁰ 1202 წლამდე ჩვენთვის უცნობია საქართველოს ან მისი რაიმე კონფლიქტი და თვალსა-

¹⁹ რ.ჰუსეინოვი თვლის, რომ უჩების ნაწილი დარჩა საქართველოს წინააღმდეგ რუმის სასულტნოს აღმოსავლეთით, მაგრამ კონკრეტულად სად, ის არ მითითებს. ამავე დროს გაუგებარია მკვლევარის განცხადება, თითქოსდა საქართველო „Пыталась поживиться за счет сельджуков Малой Азии“ (Гусейнов, 1978:227).

²⁰ სპარსული ლიტერატურის ისტორიაში, კ.ი.ჩაიკინის შენიშვნით, ბაჰრამ-შაჰი ცნობილია იმით, რომ ის იყო მფარველი ნიზამისა, რომელმაც ამირას მიუძღვნა ერთი თავისი პოემა „მეხზენ ოლ-ესრარ“ (Чайкин, 1935:39).

ზრისი იმის თაობაზე, რომ ბაპრამ-შაჰი იყო საქართველოს ვასალი და ყმადნაფიცი უკვე XII ს. ბოლო ათწლეულში (ინგოტოცვა, 1954:532), გადასინჯვას საჭიროებს. არზინჯანის ამირა იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო არზრუმისა და საქართველოს წინააღმდეგ რუქ ად-დინის კამპანიაში. სხვა შემთხვევაში მას ისეთივე ბედი ელოდა, როგორც წილად ხვდა არზრუმის უკანასკნელ სალთუკიან გამგებელს.

ლამა გიორგის-დროინდელი მემატიანის ცნობით მცირე აზიის სელჩუკთა სულტანს "თანაჰყვა ლაშქარნი დიმუშკით და აღაბით ამოდმა" (ღვ, I, 1955:368). ეს ცნობა შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ იყოს მისაღები. საქმე ისაა, რომ 1201 წ., როცა რუქ ად-დინმა მალატია აიღო, მისი გამგებელი კაისარ-შაჰი გაიქცა თავის სიმამრთან, აიუბიანთა სულტანთან ალ-‘ადილთან, რომელიც 1201 წ. 1 ოქტომბერს დაეუფლა ქადმასკოს (*Humhpreys*, 1977:121) და დახმარება სთხოვა მას ძმის წინააღმდეგ. ალ-‘ადილმა სიძეს უბოძა ქ.რუჰა (იმნ ალ-ასირი, XII:201; იმნ ხალფენი, V:356) და, ბუნებრივია, რომ იმავე დროს მის მეტოქეს დადასკოს სანახებიდან ჯარს არ მისცემდა. მაგრამ ამ დროს აიუბიანთა რიგებში არ იყო თანხმობა. სულტან ალ-‘აზიზის გარდაცვალების (1198 წ.) შემდეგ ალ-‘ადილს დასჭირდა დაეძლია წინააღმდეგობა თავისი ძმისშვილების ალ-მალიქ ალ-მუ‘აზზამის და ალ-მალიქ ალ-აფდალისა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ტახტზე. 1202 წ. ალ-მუ‘აზზამმა და ალ-აფდალმა ცნეს ბიძის უზენაესობა. პირველმა შეინარჩუნა ქ.პალაბი, მეორეს დაუმტყიცდა ქ.სუმაისატა (სამოსატა), მაგრამ სალაჰ ად-დინის ვაყების დაპირისპირება ალ-‘ადილთან ფარულად თუ აშკარად ამის შემდეგაც გრძელდებოდა. ასეთ პირობებში რუმის სულტანი მათი ბუნებრივი მოკავშირე იყო. ამ გარემოებისა და ქართველი მემატიანის ცნობის გათვალისწინებით შეიძლება გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ რუქ ად-დინის ლაშქარში, შესაძლოა, იყო ჩრდილოეთ სირიის (აიუბიანთა) მცირე სამხედრო კონტინგენტი „ლაშქარნი... ალაბით“, მით უმეტეს, რომ ბასიანის ბრძოლაში დატყვევებულთა შორის იხსენიებიან „ამირანი... შამელინი“ (ღვ, I, 1955:368).

რუმის სულტანმა თავისი ლაშქრის შეკრება „იწყო“ აგრეთვე მესოპოტამიაში. ცხადია, აქ მისი მოკავშირეები ვერ გახდებოდნენ აიუბიანები: ალ-‘ადილის ვაყები ალ-მალიქ ალ-ამრაფი და ალ-მალიქ ალ-აჰზადი, რომლებიც ფლობდნენ ჰარარანსა და მაიაფარკინს. შესაძლოა, რომ სულტანს მავსილისა და სინჯარის ზენგიანთა და დიარ-ბაქრის ართუკიანთა იმედი ჰქონდა. ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობა იმის თაობაზე, თუ რა პოზიცია დაიკავეს ზენგიანებმა. სავარაუდოა, რომ ის უფრო უარყოფითი იქნებოდა, ვინაიდან რუმის სულტანთან კავშირი, მისი მიზნების მოუხედავად, აიუბიანთა საწინააღმდეგო აქციად განიხილებოდა, მაგრამ რუქ ად-დინმა ლაშქრობაში დაიყოლია ხარაბუტის ართუკიანი გამგებელი ‘იმაღ ად-დინ ბ. ნურ ად-დინ ბ. ყარა-არსლანი. მას შემდეგ, რაც სულტანმა აიღო მალატია (1201 წ.), ‘იმაღ ად-დინი ორ ცეცხლს შუა მოექცა. მის დამოუკიდებლობას

შეიძლება დამუქრებოდნენ როგორც ათუბიანები, ისე სელჩუკები. როგორც ჩანს, რუქ ად-დინმა დააშინა ხარაპუტის (ქართ.ხალფერდი) ამირა, რომელსაც ამ დროს არ ჰქონდა პოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში და ხალფერდელნი "შიინთანა თუნიერ ნებისა მათისა, შიშით"²¹ (ქვ, II, 1959:133).

რა იგულისხმება თამარის მეორე ისტორიკოსის „დიდი სომხითსა“ და ლაშა გიორგის-დროინდელი შემატიანის „ბივრიტელში“?

ცნობილია, რომ ტრადიციულად დიდი სომხეთი მოიცავდა სომხებით დასახლებულ ტერიტორიებს მდ. ეფერატის აღმოსავლეთით. 387 წ., როცა რომის იმპერიამ და ირანმა გაიყვეს სომხეთი, იმპერიამ დაისაკუთრა ეფერატის აღმოსავლეთით მდებარე არშაკუნიანთა სამფლობელოები. აქ გამოიყოფოდა ორი რეგიონი: სამხრეთისა და ჩრდილოეთის. ჩრდილოეთის 11 გავარს, რომლის ცენტრიც იყო თეოდოსიუპოლი/ კარინი, დაუკავშირდა „დიდი სომხეთის“ სახელწოდება. IX-X სს-ში დიდი სომხეთი ეწოდებოდა შირაკის, იგივე ანისის სამეფოს, რომლის ცენტრიც მონაცვლეობით იყო ვრაზგავორსი, შირაკავანი, ყარსი და ბოლოს, ანისი. მონღოლთა გაბატონების შემდეგ, დიდი სომხეთის ვილაიეთი მოიცავდა საქართველოს სამეფოს (გურჯისტანის ვილაიეთი) ფარგლებს გარეთ მდებარე სომხეთის სამხრეთსა და დასავლეთ ტერიტორიებს ვანის ტბის რეგიონში და არზრუმის მხარეში (*Юзбашян*, 1971:12; *Юзбашян*, 1988:22,72, მკ. 12; *Бартольд*, 1966:327; *Петрушевский*, 1960:98; *Бабаян*, 1969:120). ამ დროს დიდი სომხეთის პოლიტიკური ცენტრი იყო ხლათი, ანდა არზრუმი (*Бартольд*, 1966:327; *Бабаян*, 1969:121).

ამრიგად, „დიდი სომხითი“ / „დიდი სომხეთი“ ვრცელი ტერიტორიაა, მაგრამ აქედან უნდა გამოირიცხოს ანისი და, საერთოდ, შირაკი, რომელიც შეიერთა საქართველომ და აგრეთვე ყარსის სექტორი. გვრჩება რეგიონი ვანის ტბიდან არზრუმამდე. შესაძლოა, რუქ ად-დინი ცდილობდა დაეჭირავებინა ამ მხარეებში მომთაბარე თურქმენები და ქურთები (თვით შაჰ-არმენის მონაწილეობა ბასიანის ბრძოლაში არ დასტურდება), მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ ამ შემთხვევაში „დიდი სომხითი“ ფარავს არზრუმის საამიროს (ისევე როგორც ლანგრა — „საზღვართა ფებლალონისთა“ და მესოპოტამია — ხალფერდს), რომლის შეიარაღებული ძალებიც სულტანმა გამოიყენა საქართველოზე ლაშქრობის დროს.

რაც შეეხება ბივრიტელს, ივჭავაძისშვილი ბასიანის ბრძოლის განხილვის დროს სქოლიოში ფრთხილად შენიშნავდა: ბივრიტელიზურიდს? (ჯავახიშვილი, 1965:277, მკ. 1). ბურიდები დამასკოს ათაბაგის, ზემოთ არაერთგზის სხენებული ტულ-თეგინის საგვარეულოა, მაგრამ მან არსებობა შეწყვიტა 1154 წ. და ცხადია ბურიდთა მონაწილეობა ბასიანის ბრძოლაში გამორიცხულია. სხვა მკვლევარები ბივრიტელის იდენტიფიკაციას, როგორც წესი, თავს არიდებენ. მხოლოდ ი. შაიშ-

²¹ რუმის სულტნის მხარდაჭერით მოგვიანებით სარგებლობდა ხარაპუტის ამირას 'იმაღ ად-დინის ვაჟიც — ნიზამ ად-დინი (იბნ ალ-ასირი, XII:204).

მელაშვილმა აღნიშნა, რომ თუ „ეს ზედწოდება თუ „ქართლის ცხოვრებაში“ არაერთგზის მოხსენიებული „ბივრიტიანი“-იდან არის მიღებული, მაშინ სავარაუდოა, რომ ბივრიტელის სახით იგულისხმება „დიდი სომხეთის“ რომელიმე პროვინციის მმართველი“ (ნაიმიშვილი, 1981:57). ადრეული ქართული წყაროები (ლეონტი მროველი, ჯუანშერი) მართლაც იცნობენ ამ სახელს (სუმბატ ბივრიტიანი, ბივრიტიანი ერისთავი ოძრახესი, პიტიახშინი ბივრიტიანი, ბივრიტიანი უფლისწული)²² (ივ, I, 1955: სამიუქელი), მაგრამ სხვა გარემოებასა და ეპოქაში, რომელიც დაშორებულია XII-XIII სს. მიჯნის ისტორიული რეალობისაგან. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ასახელებს ციხე ბირიტს შარვანში. მისი თხზულების ზოგიერთ ვარიანტში გვაქვს ბივრიტი (დავით აღმ. ისტ., 1992: 197), რომელსაც იძლევა ვახუშტიც (ივ, IV, 1973:162), მაგრამ შარვანი შორს იყო რუქ ად-დინის ინტერესების სფეროდან. როგორც ჩანს, საძიებელია სხვა ორიენტირი. IX ს. ბოლო მეოთხედის მე-14 ნომოკანონის ქართულ თარგმანში ორგზისაა მოხსენიებული ბივრიტელი ეპისკოპოსი (დიდი სჯულის კანონი, 1975:169,276) და კონტექსტით ბივრიტი ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ არის საგულებელი. კავკელიძე მოუთითებდა, რომ ლაშა გიორგის-დროინდელი მემბტანის „ბივრიტელი“ იგივე ბეირუთელია (ისტ. და აზმ. შარვანდ., 1941:8) და ამავე აზრისაა აღგამყრელიძე (გამყრელიძე, 1982მ: 280). ბივრიტია ბეირუთის შესატყვისად დაფიქსირებულია ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნ ერთ თხზულებაში (კეკელიძე, 1957:181). ამდენად, ამ ორი ტოპონიმის იდენტურობა თითქოსდა აშკარაა, მაგრამ ბეირუთი ბასიანის ბრძოლამდე არცთუ დიდი ხნით ადრე, 1197 წ. შემოდგომაზე გერმანელმა ჯვაროსნებმა აიუბიანებს წაართვეს. საეკვოა, რომ რუქ ად-დინს დაეჭირავებინა ბეირუთელი ჯვაროსნები (თუმცა, მოგვიანებით, სელოქთა ლაშქარში ფრანკი მოჭირავენებიც იყვნენ). და თუ ბივრიტი რაიმე ფორმით დამახინჯებული ბაიბურთი (ბერძნ. პაიპერტ. არაბ. ბაბირთ) არ არის, ისღა გვჩნება ვივარაუდოთ, რომ რუქ ად-დინის სამსახურში ჩადგა ბეირუთიდან ჯვაროსანთაგან დევნილ მუსლიმთა ერთი ნაწილი.²³

თამარის ისტორიკოსები რუქ ად-დინის ლაშქარს 400—800 ათასით საზღვრავენ²⁴ (ივ, II, 1959:92-3; 132) და ეს ციფრები გვხვდება თანამედროვე გამო-

22 კთუმანოვი ასე განმარტავს ამ სახელს: ბიურატი, ბივრიტი-პაიკილი, ბაგრატიდი-ბივრიტიანი-ბივრიტიანი — ბაგრატიდთა ზედსახელი (Toumanoff, 1963:542-საძიებელი).

23 სხვები კი აიუბიანებს ეახლნენ. ბეირუთის ციხისთავს უსამას სულტან ალ-ადილის სამსახურში ვხედავთ, ვიდრე ის სულტანმა არ დააპატიმრა 1212 წ. (იბნ ალ-ასირი, XII:300).

24 ბერძენი მეკლევარი ა.გ. სავიდისი შეუძლებლად მიიჩნევს, რომ რუქ ად-დინის ლაშქარში 800 ათასი მეომარი ყოფილიყო. ის მიუთითებს იმ დემოგრაფიულ გამოკვლევებზე, რომელთა თანახმადაც მცირე აზიის მოსახლეობა დაახლოებით 1 200 წლისთვის იყო 5,9—6,3 მლნ. და არ აღემატებოდა 7 მლნ-ს (Savvides, 1981:86).

კვლევებშიც (ჯავახიშვილი, 1965:274; ცინცაძე, 1971:11-2; *Нордкунштудие*, 1974:157; სტეფანაძე, 1985ა:142-43; ნაინბოლამვილი, 1981:48). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართველი მემკვიდრეები აზვიადებენ რუმის სულტნის ლაშქრის რაოდენობას. ასეთი დიდი სამხედრო ძალები იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის საომარ ოპერაციებში არ მონაწილეობდნენ. ამ უზარმაზარი მასის შეყვანა არზრუმისა და ბასიანის შედარებით შეზღუდულ დაბლობებში და, რაც მთავარია, ერთ ბრძოლაში მისი სასტიკი მარცხი და უკუქცევა, უზრალოდ, წარმოუდგენელია. აღმოსავლური წყაროები რუმის სასულტნოს სამხედრო ძალებს თვით უმნიშვნელოვანეს ბრძოლებშიც კი, საკმაოდ ზომიერად წარმოგვიდგენენ. ასე, მაგალითად, 1230 წ. იასი-ჩიშენთან ზვარაზმ-შაჰ ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც შეეძლო გადაეწყვიტა რუმის სასულტნოს ბედი, სულტან ქაი-ყუბადს 20 ათასი მეომარი ჰყავდა (იბნ ალ-ასირი, *XI*:490). 1243 წ. ქოსედალთან კი, მონღოლთა წინააღმდეგ ასევე გადამწყვეტ ბრძოლაში, სულტან ქაი-ხუსრაუ II-ს ლაშქარი 70 ათას მეომარს ითვლიდა და ეს ციფრი სარწმუნოდ არის მიჩნეული (*Mycaes*, 1972:40; ნენგელია, 1976ა:303-4). საინტერესოა აღინიშნოს, რომ *XIV* ს. ავტორი აყსარაი ბასიანში რუქ ად-დინის ლაშქარს სულ 20 ათასი მეომრით საზღვრავს (*Kirzioglu*, 1953:413-14; *Turan*, 1971:257; ნენგელია, 1979:237), რაც, ვფიქრობთ, შორს არ უნდა იყოს კვშიპარიტებისაგან.²⁵ ეს ლაშქარი, რომელიც კოალიციური იყო, აერთიანებდა სხვადასხვა მუსლიმ გამგებელს, მცირე აზიის სელჩუკთა სამხედრო ძალებს და შედგებოდა როგორც რეგულარული, პროფესიული სამხედრო შენაერთებისგან, ისე მომთაბარე და სხვა მოქირავნეებისგან. ის იყო მრისხანე ძალა, რომელსაც შეეძლო სერიოზული საფრთხე შეექმნა საქართველოსთვის.

არზრუმის აღება რუქ ად-დინის მიერ. იბნ ალ-ასირი წერს, რომ რუქ ად-დინი არზრუმზე დაიძრა მას შემდეგ, რაც მან აიღო მალატია 597 წ. რამადანში/5.VI-4.VII.1201 წ. (იბნ ალ-ასირი, *XI*:169; იხ. აგრეთვე: რამიდ ად-დინი, 1/2, 1952:141; იბნ ხაღდუნი, *V*:354), თამარის მეორე ისტორიკოსი კი იუწყება, რომ სულტანმა "მოიწია ქალაქად სევასტიად და იწყო მუნ განმზადებად ხაომართა მანქანათა" (ივ, *II*, 1959:133), რაც, ვფიქრობთ, უფრო შეფუძრება სინამდვილეს. რუქ ად-დინი მალატიიდან დაუყოვნებლოვ კი არ დაიძრა არზრუმზე, არამედ ჯერ სივასში მივიდა და სათანადო მომზადების შემდეგ გაემართა სალთუციანთა სატახტო ქალაქისაკენ. მან გაიარა არზინჯანის საამირო და არზრუმს მიაღწა სამხრეთ-დასავლეთიდან, საიდანაც ქალაქი ყველაზე ნაკლებად

²⁵ სხვა თვალსაზრისი აქვს ნ. შენგელიას (შენგელია, 1979:237) სამხედრო ძალების სიძლიერეს განსაზღვრავდა არა იმდენად მრავალრიცხოვნობა, რამდენადაც შეიარაღება და პროფესიული მომზადება. ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ სალაჰ ად-დინის გრანდიოზულ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობდნენ საკმაოდ მცირერიცხოვანი შენაერთები. 1187 წ. ჰატინთან ბრძოლაში მას ჰყავდა მხოლოდ 10 ათასი მხედარი.

იყო დატყულებული. ამირა მალაქი-შაჰი ქალაქიდან გამოვიდა და სულტანს დასაზავებლად ეახლა, მაგრამ რუქ ად-დინმა დააპატიმრა ის და არზრუმში თავის ძმას, ალბისტანის გამგებელს მულის ად-დინ ტულრილ-შაჰს გადასცა²⁶ (ივნ ალ-ასირი, XII:169). თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით, სალთუკიანს თითქოსდა რაღაც დახმარება გაუწევია სულტანისათვის, მაგრამ მან ეს არ დაუფასა და "ნაფცლად მსახურებისა მიუღო კარნუ-ქალაქი" (ქც, II, 1959: 133). სხვა ვერსიას გვთავაზობს იბნ ბიბი. ის იუწყება, რომ ამირა ცდილობდა თავი აერიდებინა მიცემული ბრძანებებისთვის (ივნ შიმი:35) და დაისაჯა კიდევაც. ო.თურანი დასკვნის, რომ ის „თავის ვასალობაში გულწრფელი ყოფილიყო, სხვებივით თავის ადგილზე დარჩებოდა და ეს ღონისძიება საჭირო არ გახდებოდა“ (Turan, 1971:253).

6. შენგელია, რომელიც განიხილავს იბნ ბიბის ცნობას, ვარაუდობს, რომ არზრუმის გამგებლის ურჩობა „გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოს სამეფო კართან ყმადნაფიცობის პირობით იყო დაკავშირებული და არ სურდა ძლიერ სახელმწიფოსთან პირობის დარღვევა“ (შენგელია, 1979:327-28). როგორც ზემოთ (გვ. 120) აღინიშნა, ჩვენ ვერ ვხედავთ XII-XIII სს მიჯნაზე არზრუმის სალთუკიანთა ვასალურ დამოკიდებულებას საქართველოზე. საესე-ბით დასაშვებია, რომ არზრუმის ამირას მართლაც არ სურდა საქართველოსთან ურთიერთობების გაფუჭება და მის წინააღმდეგ გამოსვლა, მაგრამ, ამასთან, გაუგებარია პოზიცია საქართველოს სამეფო კარისა, რომელმაც საშუალება მისცა რუქ ად-დინს უმტკივნეულოდ დაეჭირა არზრუმში. XVI ს. სპარსელი ისტორიკოსის ლაფფარის თანახმად ეს ამბავი მოხდა 598 წ. 2 შავვალს, ე.ი. 1202 წ. 25 ივნისს (ლაფფარი: 134).

არზრუმის ანექსიის შემდეგ რუქ ად-დინს შეეძლო განეხორციელებინა თავისი გეგმის მეორე ნაწილი — დაეკავებინა ყარსი და შეჭრილიყო საქართველოს სამეფოს სიღრმეში. საამისოდ საჭირო იყო ჭერ ბასიანის ტერიტორიის გავლა და იქ სალთუკიანთა ციხეების დაპყრობა, მაგრამ სელჩუკთა წინსვლა ქართველებმა ბასიანშივე შეაჩერეს.

ბრძოლის ადგილი. ბასიანის საერთო სიგრძეა — 80, სიგანე კი — 20-25 კმ. მისი ფართობი 2535 კვ.კმ-ს შეადგენს (ერქიანი, 1963:44; მალიანი, 1976:301-2; ჰაკოშიანი, მელიქ-მასშიანი, მარსელიანი, I, 1986:610). ამ მხარეში სხვადასხვა დროს არაერთი ბრძოლა გამართულა. საღ შეხვდნენ ერთმანეთს რუმის სასულტნოსა და საქართველოს შეიარაღებული ძალები?

თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, ბრძოლის წინ სელჩუკთა სულტანი "დაბანაკებული იყო ბასიანის ადგილსა ბოლოტკედ წოდებულსა".

²⁶ ი.სიხარულიძე წერს, რომ არზრუმში ჭერ კიდევ 1188 წ. დაიკავა და თავის ძეს მულის ად-დინს გადასცა სულტანმა ყილიჩ-არსლანმა (ი.სიხარულიძე, 1967:17), რაც არასწორია.

ასეა "ქართლის ცხოვრების" შარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში მაგრამ სხვა ნუსხებით ეს ადგილია ბოლორტი, ბოლოსტეკი, ან ბოლოსიტეკი (ივ, II, 1959:96), ფარსადან გორგიჯანიძისა და ვახუშტის ცნობებით კი — ბოლორტავეი და ბოლოკერტი (ფარს. გორგიჯანიძე, H 2140:40ა; ივ, IV, 1971:187). ამ სახელწოდებებიდან მ.ბროსემ და ივ. ჯავახიშვილმა უპირატესობა მიანიჭეს ბოლოსტეკე ფორმას, კ.კეკელიძემ კი — ბოლოკერტს (*Brasset, 1850:460*; ისტ. და აზმ. წარაჯვანდ., 1941:38-9, 126; ჯავახიშვილი, 1965:275).

მ. ბროსემ და კ.კეკელიძემ ღიად დატოვეს ამ ადგილის ლოკალიზაციის საკითხი. ივ.ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ეს სახელწოდება "ცოტა დამახინჯებული უნდა იყოს გადამწერთაგან", რომ მისი „პირველი ნაწილი არის „ბოლ“ ანუ „ბოლო“ და უდრის ბერძნულ „ბოლოს“ (დამოწმებულია ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის ნაშრომი — გ.ჯ.), ხოლო სომხურს „ბოლ-ბერდს“ (დამოწმებულია სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარაბეცის თხზულება — გ.ჯ.). სომხური სახელის მეორე ნაწილი ციხეს ნიშნავს, პროკოფი კესარიელიც მას ციხედ თვლის. ამიტომ შესაძლებელია ამ ადგილის ქართული სახელის მეორე ნაწილი „ტიკე“ გადამწერისგან დამახინჯებული „ციხე“ იყოს. მაშინ თავდაპირველად იქნებოდა „ბოლოსციხე“ (ჯავახიშვილი, 1965:67). ივ.ჯავახიშვილის ამ მოსაზრების საფუძველზე ს.ყუხიშვილმა „ისტორიათა და აზმათა შარავანდედთაის“ კრიტიკული ტექსტის დადგენის დროს ბოლოსტეკე შეცვალა ბოლოსციხეთი. ის შესაძლებლად თვლიდა, რომ ბოლოსტეკე იყო ისევე გაბერძნულებული ფორმა ბოლოსციხესი, როგორც Harmastika — არმაზის ციხისა (გორგიჯა, II, 1965:58. ივ, II, 1959:96).

თუ ბოლოსტეკე ბოლოსციხეა და ის ბოლს, იგივე ბოლონს და ბოლბერდს შეესაბამება, თითქოს ძნელი აღარ უნდა იყოს რუქნ ად-დინთან ბრძოლის ადგილის დადგენაც. საამისოდ საჭიროა ბოლ-ბოლონ-ბოლბერდის ლოკალიზაცია. მაგრამ ეს იოლი საქმე არ არის.²⁷ პროკოფი კესარიელი, რომელიც ასახელებს მხოლოდ ბოლოს, უფრო სწორედ ბოლონის ციხეს, წერს, რომ ის იყო "თეოდოზიუპოლის საზღვრების ახლოს" (გორგიჯა, II, 1965:56). ლაზარ ფარაბეცი ასახელებს მხოლოდ ბოლ-ბერდს, რომელიც იყო ძლიერი ციხე ბასიანში (ჯანაშია, 1962:264) და არ წერს თუ ბასიანის რომელ კუთხეში მდებარეობდა იგი. სხვა მონაცემები ბოლ-ბოლონ-ბოლბერდის შესახებ არ გავაჩინია და ეს გაურკვეველობა განაპირობებს მკვლევართა თვალსაზრისების სხვადასხვაობას ამ პუნქტის თუ პუნქტების ლოკალიზაციის თაობაზე.

ფიქრობენ, რომ ბოლ-ბოლონ-ბოლბერდი და შესაბამისად ბოლოსტეკე მდე-

²⁷ სომხეთისა და მის მეზობელ მხარეთა ტოპონიმების ლექსიკონში, რომელშიც ბოლოსტეკე, ბოლოსიტეკი და ბოლოტეკე შეტანილია თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების მიხედვით, აღნიშნულია, რომ მათი ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია (აკაიპიანი, მელიქ-ბასშიანი, ბარსელიანი, I, 1986:722).

ბარეობდა ბასიანში პასან-ყალას ადგილზე, ანდა ტაოში — ბუხას კანტონში (Лдоху, 1908:24-5; ერეშიანი, 1963:45; გოთგვიკა, II, 1965:56; ჰაჰომიანი, 1968:18. ჰაჰომიანი, მელიძე-მასშიანი, მარსელიანი, I, 1986:722 — სტატია მთლთნი, 752 — სტატია მთლმურდი; სილაგაძე, 1977:220). თ.დადიშკელიანმა ბოლოსტიკე მოათავსა არზრუმსა და ყარსს შორის მთა-ვაკზე, არზრუმიდან 7 ალაზე, ე.ი. დაახლოებით 44,8-52,3 კმ მანძილზე (დადიშკელიანი, 1883:96), ი.შაიშველაშვილმა კი პროკოფი კესარიელის ცნობებიდან გამომდინარე ივარაუდა, რომ ბოლონ-ბოლოსტიკე მდებარეობდა ოქროთი მდიდარი ფარანგიონის მახლობლად. მან ფარანგიონი ბასიანის სიღრმეში²⁸, ხოლო ბოლოსტიკე მის დასავლეთით, უღელტეხილ პალანთექანიდან უზუნ-აშმედის სიმაღლეებამდე ტერიტორიაზე მოათავსა (შაიშველაშვილი, 1981:56). ეს მოსაზრებები ჰიპოთეტურია და სუსტად არის არგუმენტირებული. შეიძლება დავასკვნათ, რომ ბოლონ-ბოლოსტიკე-ბოლოსტიკეს ძიებას ჩიხში შევყავართ. რუქნ ად-დინთან მომხდარი ბრძოლის ადგილის დასადგენად საჭიროა სხვა ორიენტირების ძიება, მაგრამ ამ მხრივაც ბევრ გაუგებრობას ვხვდებით.

აშ. აბრაჰამიანი, რომელმაც ბასიანის ბრძოლას სპეციალური წერილი მიუძღვნა, ფიქრობს, რომ მოწინააღმდეგენი, მართალია, პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ბასიანში, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა თეოდოსიუპოლთან, ე.ი. არზრუმთან (აბრაჰამიანი, 1941:83). ხ.მუსაევი თვლის, რომ გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა სარიყამის მახლობლად (Mycaea, 1972:13), ე.ი. ბასიანის ფარგლებს გარეთ, მაგრამ აქ დასახელებულ სომეხ და აზერბაიჯანელ მკვლევართა ეს მოსაზრებები არ ემყარება წყაროთა ჩვენებას და დაუსაბუთებელია.

ი.შაიშველაშვილის აზრით, ბოლოსტიკე იყო მხოლოდ რუქნ ად-დინის დაჯგუფების რაიონი, ბრძოლა კი მოხდა სხვაგან — ბასიანის ველზე, შედარებით სწორხედაპირიან ზეგანზე, არზრუმის მისადგომებიდან მდ.არეზისა და მდ. ტუისუს შესართავამდე (სიგრძე დაახლ. 40 კმ, სიგანე — 10—15 კმ, სულ 500 კვ.კმ.), ქ. ბასიანის (პასან-ყალა, პასინლერი) სამხრეთ-დასავლეთით, არზრუმიდან 30—35 კმ მანძილზე (შაიშველაშვილი, 1981:49,51-2), ეს ტერიტორია ზემო ბასიანს მიეკუთვნება, შუა საუკუნეებში კი ბასიანი იყოფოდა ზემო და ქვემო ბასიანად (იხ. მაგალითად, იაკოთი:26) და ამგვარ დაყოფას ვხვდებით XIX ს. მიწურულისა და XX ს. დასაწყისის რუს ავტორებთანაც, რომლებმაც რუსეთ-თურქეთის ომებთან დაკავშირებით დაწერილებითა აღწერეს ეს მხარე

²⁸ უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში ბასიანში ოქროს საბადოების რაიმე კვალი არ შეინიშნება (Джанарудзе, 1980:83; ჯაფარიძე, 1987:136-37) სამაგიეროდ, ვერცხლი და ოქრო მოიპოვებოდა თეოდოსიუპოლის საზღვრებთან ახლოს მდებარე სპერსა და ქანეთში (Forbes, 1964:162,214, Vryonis, 1962:3-17; Гордлевский, 1962:225-63, 261-62). მაშასადამე, უფრო მოსალოდნელია, რომ ფარანგიონი და მის მახლობლად მდებარე ბოლონი იმავე რაიონებში ვეძიოთ. შემთხვევითი არ არის, რომ ს.ყაუბნიშვილი ამ ბუნქტებს ათავსებდა ქანეთის მეზობლად, იმ მიდამოებში, სადაც კოროხის სათავეა (გეორგიკა, II, 1965:56).

(*Коллюбакин 1890:3* და *შმე; Туманский, 1909:86; Корсун, I, 1913:194-95*).

ზემო ბასიანი მოიცავდა ტერიტორიას დევ-ბოინუდან მდ. მურცის, იგივე ჰასან-ყალა ჩაისა და მდ. არეზის შესართავამდე, პუნქტ ქოფრი-ქოიდე. მასში შედის ჰასან-ყალას, იგივე ზემო ბასიანის ვაკე, რომლის სიგრძეა 37,3, სიგანე კი — 10,7-15,1 კმ. (*Корсун, I, 1913:194-95*). XVII-XVIII სს-ში ზემო ბასიანის მთავარი ციხე-ქალაქი იყო ჰასან-ყალა, რომელსაც ვახუშტი ბასიანს უწოდებს (ქათიმ ჩილუმი: 163; *ქც, IV, 1973:684*). მისი ადრინდელი სახელი სადავოა. თანამედროვე თურქეთის რუკებზე კი ამ ქალაქს პასინლერი ეწოდება.

ქვემო ბასიანი მოიცავდა ტერიტორიას ჩობანის ხიდიდან (ჩობან ქოფრუსე) მდ. არეზზე — სოღანლულის მთამდე. მასში შედის ქვემო ბასიანის, იგივე არეზის ვაკე, რომელიც ვრცელდება ჩობანის ხიდიდან ხოროსნამდე. მისი სიგრძეა 26,7, ხოლო სიგანე — 5,3-10,7 კმ. (*Корсун, I, 1913:195*. იხ. აგრეთვე, *Коллюбакин, 1890:3, Туманский, 1909:87*). ქვემო ბასიანში შედიოდა აბელიანქის (იგივე მჯნკერტის) და ჰავენუნიქის გავარები (*Еремян, 1971:4*. ჰაეომიანი, მულიფ-მახ-მიანი, მაჩსიფიანი, *I, 1986:611; Hübschmann, 1969:453*). ქვემო ბასიანის აღმოსავლეთ საზღვართან მდებარეობდა მისი მთავარი ციხე მჯნკერტი, რომელსაც (ქვემო ბასიანთან ერთად) იხსენიებს სტეფანოს ორბელიანი (სტ. თრმულიანი, 1978:55; ქათიმ ჩილუმი: 163).

ზემო და ქვემო ბასიანს ერთმანეთისგან ყოფს 1,6 კმ სიგრძის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ვიწრობი (დეფილუ). ქოფრი-ქოისთან მისი სიგანე 853 მ, ხოლო ჩობანის ხიდიდან 106-128 მ-ია. ქოფრი-ქოის ქედი ციცაბო კალთებით მიდის ხილამდე, ძალზე ახლოს არეზთან და ქმნის ვიწრობს, რომლის დაცვაც ქედის სიმაღლეებიდან აღმოსავლეთიდან წამოსული ლაშქრისაგან უაღრესად მოსახერხებელია (*Коллюбакин, Лупандин, 1890:79; Добошинский, Термен, 1908:197; Туманский, 1909:86*). ეს გარემოება აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, როცა რუქნ ად-დინთან ბრძოლის ლოკალიზებას ზემო ბასიანში — ჰასან-ყალასთან ან მის სამხრეთ-დასავლეთით ვახდენთ. ქვემო ბასიანის გაშლილ ველზე მოძრაობა და აღნიშნული ვიწრობის შეუმჩნეველად გავლა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. ქართველები კი მტერს სრულიად მოულოდნელად დაეცნენ.

არის თუ არა რაიმე მითითება წყაროებში, თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების გარდა, რუქნ ად-დინთან ბრძოლის ადგილის შესახებ? ამ კითხვებზე შეიძლება დადებითად ვუპასუხოთ.

XIII ს. სომეხი ისტორიკოსი სმბატ სპარაპეტი წერს, რომ არზრუმის აღების შემდეგ (რაც 1201 წ. აქვს დათარიღებულ), რუქნ ად-დინმა "განაგრძო [გზა] მჯნკერტისკენ და მაშინ როცა უტევდა [ამ] ციხეს, მოვიდნენ ქართველი მეომრები და დაამარცხეს ის" (*Der Nersessian, 1973:365*).

ოსმალთა ისტორიკოსი აჰმედ ბ. ლუტფულლამ მუნეჯჯიმ-ბაშის მიერ არაბულად შედგენილი თხზულების "ჯამი ად-დუეჟალ" ("დინასტიათა კრებული")

იმ ნაწილში, რომელიც ეხება რუმის სასულტნოს და რომლის თურქული თარგმანი ლათინური შრიფტით გამოცა ო.თურგალმა (მუჩუჯუმი-მამი: 12),²⁹ აღნიშნულია, რომ ქართველებსა და რუქნ ად-დინს შორის ბრძოლა გაიმართა "ბეჯკირდის ციხის ახლოს". ბეჯკირდი /ბეჯენ) გერდი იწვევს მჯნკერტის (მჯნგერდი, თურქ. მიჯინგერდი) ასოციაციას და სწორედ ასე აქვთ გააზრებული, (სმბატ სპარაპეტის ცნობის გაუთვალისწინებლად) იგი თურქ მკვლევარებს მ.ფ. კირზიოღლუსა და ო.თურანს (*Kirzioglu*, 1953:413; *Turan*, 1971:258).

ამრიგად, სომეხი და ოსმალო ისტორიკოსების ცნობების მიხედვით რუქნ ად-დინთან ბრძოლა უნდა მომხდარიყო მჯნკერტის ციხესთან, ჭეშმო ბასიანის აღმოსავლეთ ნაწილში. განსხვავებული ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით მოეპოვება XIII ს. არაბ გეოგრაფს იაკუტს. მის "გეოგრაფიულლექსიკონში" დასახელებულია ტოპონიმი უნიქი (و ن ك), რომელიც განმარტებულია როგორც "გამაგრებული ციხე ბასინის (ბასიანის) ოლქში, არზან რუმის (არზრუმის) მიწაზე" და აღნიშნულია რომ "მასთან მოხდა ბრძოლა, რომელშიც დამარცხებულ იქნა რუქნ ად-დინ ბ.კილიჯ-არხლანი" (იაკუთი: 19). სულტნის მეტოქე აქ არ იხსენიება, მაგრამ ორი აზრი არ არსებობს: ბასიანში ის დამარცხდა მხოლოდ ქართველებთან.

სამწუხაროდ, ბასიანის ბრძოლის მკვლევარებს იაკუტის ამ ცნობისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ³⁰ და უნიქის ზუსტი ადგილმდებარეობა განუსაზღვრელი დარჩა.

არაბული გრაფიკით უნიქი შეიძლება წავიკითხოთ, აგრეთვე, როგორც აენიქი. სწორედ ასეა ეს სახელი გახმოვნებული და ამ ფორმით არის შეტანილი ის არზრუმის ვილაიეთის დასახლებულ პუნქტთა შორის რუსეთის არმიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკის მ.პრევეალსკის მიერ (*Пржевальский*, 1904:3 №29). აენიქი, რომელიც ხშირად გვხვდება ისტორიაში (*Тер-Гевондян*, 1977:242-43. *Ter-Gewondyan*, 1976:109,128; *Юзбашян*, 1988:131; *Хачатрян*, 1987:175. და სხვ.), მდებარეობდა ჭეშმო ბასიანში, ჰავუნჩიქის გავარში, მდ.არეზის მარჯვენა ნაპირზე, ჩობანის ხიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით. პოლკოვნიკ ა.გ.ტუმანსკის ცნობით ჩობანის ხიდიდან აენიქამდე 17 ვერსი, ე.ი. დაახლოებით 18 კმ და ასეთი მარშრუტია: არეზის მარჯვენა ტერასისებური დაბლობი ნაპირი, სოფ. იაგანი — ულიდერეს ხეობა (სოფ. ხასნეჩიარის მახლობ-

²⁹ თურგალის თარგმანის ჩვენთვის საინტერესო ადგილის ქსერო-ასლი ახლახან მოგვაწოდა თურქეთის მოქალაქემ ბატონმა პ. კარამ.

³⁰ იაკუტის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ ე.სიხარულიძემ გამოსცა კომენტარების გარეშე და ამდენად უნიქის ლოკალიზაცია არ მოუცია, მაგრამ განსვენებული მკვლევარის არქივში (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში) დაცულია ნაწილი კომენტარებისა. უნიქთან დაკავშირებით ე.სიხარულიძემ აღნიშნავდა, რომ მისთვის უცნობია ეს პუნქტი და სვამდა კითხვას: ხომ არ არის ის ჰასან-ყალა? სხვათა შორის, ასეთივე იდენტიფიკაციის ცდები სხვაგანაც გვხვდება. იხ. ჰაკობიანი, მელიქ-ბახშიანი, ბარსელიანი, I, 1986:365.

ლად) — სოფ. ტავანცი — ავნიჭი. „ავნიჭი მდებარეობს ერთ-ერთი გვერდითი ხეობის გამოსასვლელთან, კლდის ძირში, რომელსაც ამშვენებს ძველი ციხის ნანგრევები“ — წერდა ა.გ.ტუმანსკი (*Туманский, 1909:88,90,91*). ავნიჭიდან მერგაშენის უღელტეხილით გზა მიემართებოდა არკეშისკენ. ფაქტობრივად, ავნიჭის ციხე კეტავდა ამ გზას. ამრიგად, ავნიჭი (დღევანდელი ჭივან-ყალა) ადვილად ლოკალიზდება. შეიძლება დავუშვათ, რომ რუქ ად-დინი, რომელიც გზადაგზა იპყრობდა სალთუკიანთა ციხეებს, ზემო ბასიანის დაკავებისა და ქოფრი-ქოის ვიწრობიდან გამოსვლის შემდეგ აუცილებლად შეეცდებოდა აეღო ავნიჭი. ამისთვის ის ჩობანის ხილით უნდა გასულიყო არეზის მარჯვენა ნაპირზე. იმავე ადგილზე ქართველებს შეეძლოთ მისულიყვნენ ორი გზით. ერთი მათგანი ყარსიდან ბასიანამდე მიემართებოდა სოლანლულის მთის გადაჭრით და მჯნკერტის ციხის გავლით. ამ შემთხვევაში მათ წინაშე გადაიშლებოდა ქვემო ბასიანის ვაკე არეზის მარცხენა ნაპირზე, ხოლო არეზის გადალახვა შესაძლებელი იყო ასევე ჩობანის ხილით, ანდა მანამდე — ფონებით. მეორე გზა მოუყვებოდა სოლანლულის მთის აღმოსავლეთ ტყიან ფერდობებს, მჯნკერტის ჩრდილო-აღმოსავლეთით — კარაკურტამდე, კვეთდა არეზს და ბეშ-ქოის პლატოს გავლით შედიოდა მის მარჯვენა ნაპირზე დელო-ბაბასთან ისე, რომ ჩრდილოეთით ტოვებდა ყარა-დერბენდის გასასვლელს. მცირე ხნის შემდეგ ეს გზა უერთდებოდა თავრიზ-არზრუმის მაგისტრალს, რომელიც ალაშქერტის დაბლობითა და ყარა-დერბენდის გასასვლელით შედიოდა ქვემო ბასიანში არეზის მარჯვენა ნაპირზე, ხოლო შემდეგ ჩობანის ხილით მიემართებოდა ზემო ბასიანისა და არზრუმისაკენ (*Гуннуц, 1892:20; Зеленый, 1892:29-30*). ამ გზის მარშრუტი გადიოდა სოფ. ტავანციზე, რომელიც ავნიჭს 12 კმ-ით არის დაშორებული.

ამრიგად, ქართველთა მხედართმთავრობას შეეძლო ორი გზით გაეყვანა ლაშქარი ავნიჭის მიდამოებთან; მაგრამ ასეთი შესაძლებლობა თეორიულია. პირველი გზა მისდევდა ქვემო ბასიანის ველს და ქართველთა მოძრაობა შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მეორე მოითხოვდა არეზისა და სხვა წყალუხვი მდინარეების გადალახვას და თავრიზ-არზრუმის ხალხმრავალ მაგისტრალზე გასვლას. ამ შემთხვევაშიც ქართველთა მოძრაობა ვერ დარჩებოდა შეუმჩნეველი მტრისთვის. ყოველივე ამის გამო, ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ქართველთა მხედრობას განეხორციელებინა ასეთი შორეული ნახტომი ქვემო ბასიანის სიღრმეში და გასულიყო ავნიჭის ციხესთან. უფრო სარწმუნო ჩანს, რომ ბრძოლა მოხდა მჯნკერტის ციხის მახლობლად.

მჯნკერტის, ქვემო ბასიანის ამ მთავარი ციხე-ქალაქის აღება ყარსის გზაზე გასასვლელად აუცილებელი იყო რუქ ად-დინისთვის. მისმა მარშრუტმა: არზრუმი — ზემო ბასიანი — მჯნკერტი განსაზღვრა ქართველთა ლაშქრის მარშრუტიც: ვავახეთი — ვანანდი — ბასიანი. ვანანდ-ყვრორის საკომუნიკაციო ხაზი ბასიანის ბრძოლის წინ ქართველთა კონტროლს ექვემდებარებოდა, ამან კი საშუალება მისცა ქართველთა ჯარს შეენიღბა თავისი მოძრაობა და მოულოდნელად აღმოჩენილიყო მჯნკერტის ციხესთან — მცირე აზიის სელჩუკთა სამხედრო ბანაკთან.

ბრძოლა. 1202 წ. 27 ივლისს ქართველთა მხედრობამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მცირე აზიის სელჩუკთა სულტნის კოალიციურ ლაშქართან ბრძოლაში. სხვა ფაქტორებთან ერთად გამარჯვება განაპირობა ქართველთა მხედართმთავრობის ოპერატიულმა და სწრაფმა მოქმედებამ და მტერზე მოულოდნელმა თავდასხმამ, რისთვისაც რუქნ ად-დინ სულაიმან-შაჰი მზად არ აღმოჩნდა. ბრძოლა დაწვრილებით არის განხილული მკვლევართა, მათ შორის სამხედრო სპეციალისტთა მიერ (დადიშვილიანი, 1883:95-8; გეფეანიშვილი, 1991:41-3; ჯავახიშვილი, 1965:275-76; ცინცაძე, 1971:33 და მძე; სვოფნაძე. 1985ა:144-45; შენგულია, 1979:329-31; მაიმულაშვილი, 1981:61 და მძე; *Анчабадзе*, 1990:137-39; რ.მ.ჭრეველი, 1991:188-91) და მის შესახებ სიტყვას აღარ გვავარძელებთ. ბრძოლაში დაეცა მტრის ლაშქრის დიდი ნაწილი. ქართველებმა ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი და დაატყვევეს მრავალი ამირა, რომელთა შორის ყველაზე სახელოვანი იყო არზინჯანის მფლობელი ფახრ ად-დინ ბაპრამ-შაჰი (ქც, II, 1959:140ს; იმნ მიმი: 35; *Der Nersessian*, 1973:365). თავად რუქნ ად-დინი და მისი ძმა ტულრილ-შაჰი ბრძოლის ველიდან გაიქცნენ და არზრუმს შეაფარეს თავი.

ბასიანის ბრძოლის მნიშვნელობა და შედეგები. ბასიანის ბრძოლის მკვლევარები აღნიშნავენ მის დიდ ისტორიულ მნიშვნელობას, რომ მან უჩვენა საქართველოს სახელმწიფოს დიდი ძალა და ხელი შეუწყო მისი საერთაშორისო ავტორიტეტის კიდევ უფრო განმტკიცებას. ამ გამარჯვებით საქართველომ უზრუნველყო სამხრეთის საზღვრის სრული უსაფრთხოება (*Лордкипანიძე*, 1974:158; შენგულია, 1979:332; სვოფნაძე, 1985ა:146; რ.მ.ჭრეველი, 1991:192). შეიძლება მივუთითოთ, რომ ბასიანის ბრძოლას საკმაო გამოძახილი ჰქონდა მახლობელ აღმოსავლეთში. მის შესახებ წერდა მრავალი უცხოელი ავტორი (იაკუთი, იბნ ალ-ასირი, სმბატ სპარაპეტი, იბნ ბიბი, ჰამდალლამ ყაზვინი, აყსარაი, მირზონდი, ლაფფარი, მუნეჯჯიმ-ბაში). იბნ ალ-ასირი რუქნ ად-დინზე მოპოვებულ გამარჯვებას ასახელებდა ქართველთა იმ წარმატებათა შორის, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე იყო მუსლიმებისთვის (იბნ ალ-ასირი, XII: 352).

მოუხედავად ბრწყინვალე გამარჯვებისა, ქართველთა მხედრობას, რომელმაც ღრმა რეიდი განახორციელა ბასიანისკენ, არ უცდია იერიში მიეტანა არზრუმზე. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ქართველებს თან არ ჰქონდათ სააღყო მანქანა-იარაღები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუმის სულტანს არზრუმში საკმაო სამხედრო ძალები რჩებოდა და მას შეეძლო მცირე აზიიდან დამატებითი სამხედრო კონტინგენტების გამოძახებაც. ალბათ ამ გარემოებებმა აიძულეს ქართველთა მხედართმთავრობა შეეფწყვიტა საომარი მოქმედება და ალაფით საესე, ძლევა მოსილი დაბრუნებულიყო უკან. მომდევნო წელს მთავარი ამოცანა გახდა ღვინის დაპყრობა, რაც წარმატებით დაგვირგვინდა. კიდევ ერთი წლის შემდეგ დაიწყო მძლავრი შეტევა ვანის ტბის მიმართულებით. არზრუმმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. არ მოხერხდა ბასიანის შემოერთებაც. სტეფანოს ორბელიანი, რომელიც

ჩამოთვლის მხარგრძელთა მიერ დაპყრობილ მხარეებს, აღნიშნავს, რომ მათ "განარინეს ხომსითი სპარსთაგან და გამოიღებ არანი, ვიდრე ქვიმო ბასენამდე და ბარაკუმტამდე, ვიდრე მაქსაკერტად" (სტ.თრბულიანი, 1978:55). ბასიანი არზრუმის საამიროში შედიოდა XIII ს. 20-იან წლებშიც კი.

საქართველოს სამეფო კარი ფაქტობრივად შეურიგდა არზრუმში სელჩუკთა გზატკეცილს, მაგრამ ბასიანში მარცხმა არ მისცა საშუალება რუქ ად-დინს კონტროლი გაეწია არზრუმზე, რომელიც დამოუკიდებელ საამიროდ ჩამოყალიბდა. მულის ად-დინ ტულრილ-შაჰს ძმის სიკვდილის შემდეგ, ერთხანს, პრეტენზიებიც კი ჰქონდა სასულტნო ტახტზე.

არზრუმისა და არზინჯანის საამიროები გადაიქცნენ თავისებურ ბუფერულ ზონებად საქართველოსა და რუმის სასულტნოს შორის. ბასიანში დატყვევებული მანგუჯაქიანი ბაჰრამ-შაჰი საქართველოს ვასალი გახდა. მულის ად-დინ ტულრილ-შაჰი კიდევ რამდენიმე წელი აწარმოებდა ანტიქართულ პოლიტიკას და 601/1204-5 წ. შაჰ-არმენთან კავშირში მან თავისი საამიროს სამხრეთ საზღვრებთან ქართველთა ლაშქარიც კი დაამარცხა, მაგრამ შემდეგ, თამარის ზეობის წლებშივე და გიორგი ლაშას მეფობის ყაჟმ არზრუმში არზინჯანის მსგავსად საქართველოს მოხარკედ იხსენიება (იხტ. ტა აჰმ. შარაჟანდ., ჟამთააღმწერელი, ტ. II, 1959:100,151; ჯიბაჟ. განმარტე: 118).

ბასიანის ბრძოლას არ მოუტანია საქართველოსათვის ახალი ტერიტორიები, მაგრამ გამარჯვებამ საშუალება მისცა საქართველოს სამეფო კარს განემტკიცებინა თავისი პოზიციები ჩრდილოეთ სომხეთში. მცირე აზიის სელჩუკთა სწრაფვა ამ რეგიონისაკენ წარუმატებლად დამთავრდა.

ბასიანის ბრძოლიდან ორი წლის შემდეგ, 1204 წ. საქართველოს სამეფო კარმა დახმარება აღმოუჩინა იმპერატორ ანდრონიკე კომნენის შვილიშვილებს ალექსისა და დავითს ტრაპიზონის იმპერიის შექმნაში. დასავლეთ საქართველოს მცირერიცხოვანმა ლაშქარმა დაიპყრო და შემდეგ ალექსი კომნენის ძალაუფლებას დაუქვემდებარა "ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამიზონი, სინოპი, კერასუნდი, კიტრი ორნა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფეხლადონისა და პონტოსანი" (მას. ეგონომოდ. ტ. II, 1959:142). ავასილიევი ვარაუდობდა, რომ ქართველთა ჯარმა ეს ლაშქრობა არზრუმიდან განახორციელა (Vasiliev, 1936:20), მაგრამ ეს ისტორიული წყაროებით არ დასტურდება. თანაც არზრუმი ქართველებს არ დაუპყრიათ და მის ტერიტორიაზე გავლა არ შეეძლოთ. აღგამყრელიძე მართებულად აღნიშნავდა, რომ ავასილიევის ვარაუდს უფრო მტკიცე საბუთები სჭირდებოდა (გამყრელიძე, 1960:52) და მიუთითებდა ქართველთა ჯარის სავსებით მისაღებ მარშრუტს — შავი ზღვის სანაპიროს.

ფიქრობენ, რომ ტრაპიზონის იმპერიის შექმნას ხელი შეუწყო ბასიანში რუქ ად-დინის განადგურებამ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღგამყრელიძის აზრით, მას „შეუძლებელი იყო უფლება მიეცა ქართველთა მცირე ლიხთიქითურით ჯარის თანხლებით მოლაშქრე დავით და ალექსი კომნენოსებისათვის, შავი ზღვის მთელი

სამხრეთი სანაპირო ძლევამოსილად გაევიდნენ თითქმის პელაგონტომდე და თვით მისი ქვეშევრდომი მხარეები და ქალაქებიც ხელთ ეგდოთ“ (გამაყლიძე, 1982ა:260). ივ. ლოლაშვილის თანახმად „ქართველები ასე მცირერიცხოვანი ჯარით ვერ გაილაშქრებდნენ შავი ზღვის სანაპიროებისაკენ და ასე იოლად ვერ დააარსებდნენ ტრაპიზონის იმპერიას, რომ რუქ ად-დინი ისეთი ძლიერი ყოფილიყო, როგორც საქართველოსთან შეჯახებამდე იყო. იგი ყოველ ღონეს იხმარდა, რომ ქართველთა სამხედრო მანევრები ჩაეშალა“ (ლფლაშვილი, 1964:112-13).

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტრაპიზონის იმპერია ჩამოყალიბდა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც კონტროლს უწყევდა რუქ ად-დინი, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ქართველთა მიერ შავი ზღვისპირეთში დაკავებული და ტრაპიზონის იმპერიაში შესული მიწები უპირატესად წარმოადგენდა ბიზანტიის სამფლობელოებს, რომლებზედაც რუმის სულტანს ხელი არ მიუწვდებოდა. გარკვეულ ეპეს იწვევს „ფებლადონი“ *resp.* პაფლაგონია (გამაყლიძე, 1982ა:263), მაგრამ ამ მხარეში (რომელიც მალე ნიკეის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა) 1204 წლამდე მას ეკუთვნოდა მხოლოდ განგრა, რომელიც მოცილებულია ზღვის სანაპიროს. ერთადერთი პუნქტი, რომელიც წარმოადგენდა სელჩუკთა გასასვლელსა და დასაყრდენს შავ ზღვაზე და რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რუქ ად-დინის გეგმებში, იყო სამსუნა. ამრიგად, რუმის სულტანი შავი ზღვის სანაპირო ზოლის მნიშვნელოვან ნაწილში ვერ დააბრკოლებდა ქართველთა ლაშქრის მოქმედებას. რაც შეეხება მის პასიურობას სამსუნის დაკარგვის დროს, ის შეიძლება აიხსნას რუმის სასულტნოს შიდაპოლიტიკური ვითარებით. 1204 წ. პირველ ნახევარში რუქ ად-დინი დაკავებული იყო თავის ძმასთან მუჰი ად-დინ მას'უდ-შაბთან ბრძოლით და მისი რეზიდენციის — ანკარას ალყით. სულტანმა მხოლოდ 1 ივლისს იგდო ხელი ეს ქალაქი და სასტიკად გაუსწორა ანგარიში ძმას და მის ოჯახს (იბნ ალ-ასირი, XII:195). ორ ფრონტზე ბრძოლა, ჩანს, აღემატებოდა სულტნის ძალებს. 6 ივლისს ის გარდაიცვალა. მისი მცირეწლოვანი ვაჟის მმართველობა 1204 წ. ბოლომდე გაგრძელდა. შემდეგ კი ტახტს დაეუფლა ჯი-ხუსრაუ I (1204-1211). ამ პირობებში სელჩუკები იძულებული გახდნენ შერიგებოდნენ სამსუნის დაკარგვას. რუქ ად-დინისთვის იოლი გადასატანი არ იყო ბასიანის მარცხი. იბნ ბიბი წერს, რომ ის აპირებდა ახალი ლაშქრობა მოეწყო საქართველოში, მაგრამ არ დასცალდა (იბნ მიმი:36). მის მომდევნო რუმის სულტნებს თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე აღარ უცდიათ აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. ესეც ბასიანში მწარე მარცხის ერთ-ერთი შედეგი იყო.

4. საქართველოს სამეფო,

აიუბიანები და არზრუმის საამირო შაჰ-არმენთა

სამფლობელოებისათვის ბრძოლაში XIII ს. დასაწყისში

XII-XIII სს. მიჯნაზე შედდადიანებთან და შაჰ-არმენთა სახელმწიფოსთან მოპოვებულ წარმატებებთან ერთად საქართველოს სამეფო ასევე ძლევამოსილ

ბრძოლებს აწარმოებდა ჩრდილოეთ სომხეთის იმ მხარეებშიც, რომლებიც ელდიგუზიანთა საათაბაგოში შედიოდა. 1203 წ. ქართველებმა დაიკავეს დვინი. თამარმა, რომელმაც ნიზამი განჯელის სიტყვებით "თითისტარი მუბად აქცია" (გ.მერაბი, 1975:62), ხორცი შეასხა საქართველოს მეთაურობით ამიერკავკასიის მიწების გაერთიანების იმ პროცესს, რომელიც დროებით შეფერხდა დემეტრესა და გიორგი III-ის დროს. XIII ს. პირველ ათწლეულში განხორციელდა დამთრგუნველი მარბიელი ლაშქრობები აზერბაიჯანისა და ირანის მიმართულებით. საქართველოს კავკასიურ პოლიტიკასთან ერთად გამოიკვეთა კონტურები საქართველოს ახლოაღმოსავლური პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა ირანიდან ლევანტისკენ მიმავალ სავაჭრო გზებზე გასვლას და მათ დაუფლებას (ნ.მერბენი-შვილი, 1965მ:54³¹ ვ. გამაშვილი, 1967:202). ამავე პოლიტიკის გამოხატულებას წარმოადგენდა, აგრეთვე, საქართველოს შეტევა არეზის სამხრეთით, შაპ-არმენთა სახელმწიფოს სიღრმეში, ვანის ტბის სანაპიროებისკენ.

ჰიჯრის 601/29.VIII.1204 – 17.VIII.1205 წ. საქართველოს ჯარმა, რომელიც შეიჭრა ვანის ტბის რეგიონში, ქმანასკერტს მიადწია. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც დაილაშქრა აზერბაიჯანი და თავიდან იქნა აცილებული ელდიგუზიანთა შესაძლებელი სამხედრო კავშირი შაპ-არმენებთან. ქართველებს წინააღმდეგობა არ შეხვედრია და ისინი ტყვეებითა და ალაფით დატვირთულნი დაბრუნდნენ უკან (იბნ ალ-ასირი, XII:264; მარ-ჰიმბრუჟი, 1932:361; შინგელია, 1979:333). იმავე წელს მათ ხელახლა დალაშქრეს შაპ-არმენთა სახელმწიფო, მოაოხრეს არქეში, მისი სანახები³², ხელთ იგდეს მრავალი ტყვე და გაემართნენ ათ-თინის ოლქისკენ ხლათის ოლქში, არზრუმის სიახლოვეს. შაპ-არმენმა მუჰამად ბ.ბეგ-თიმურმა დახმარებისათვის მიმართა არზრუმის სელჩუკიან ამირას მულის ად-დინ ტულარილ-შაჰს. თავისი სამფლობელოების სამხრეთ საზღვრებთან ქართველთა წარმატებებით შეშფოთებულმა ტულარილ-შაჰმა დახმარება აღმოუჩინა ხლათის გამგებელს. მოკავშირეებმა გაიმარჯვეს, ბრძოლაში დაიღუპა ქართველთა ერთ-ერთი სარდალი ზაქარია უმცროსი (ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელი? ზაქარია ასპანის ძე ფანასკერტელი?), მუსლიმებმა ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ (იბნ ალ-ასირი, XII: 204-5; მარ ჰიმბრუჟი, 1932:361;

31 ნ.მერბენი-შვილი, რომელსაც ეკუთვნის ეს თვალსაზრისი, საქართველოს ფეოდალური მონარქიის ამ მისწრაფებას XIII ს. 20-იანი წლებისათვის განიხილავდა.

32 წყაროებში არ არის დაცული რაიმე ცნობა იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი სომხური მოსახლეობა ხელს უწყობდა ქართველებს. მაგრამ ეს ხელს არ უშლის ლ.ბაბაიანს განაცხადოს, რომ „Не только ослабление военного могущества эмирата шах-арменов, главным образом активное содействие армянского населения Маназкерта и Арчиша обеспечило освобождение этих территорий грузино-армянскими войсками почти без боя“ (Бабабян, 1969:29); ეს ლაშქრობები სომხური პოლკების დამსახურებად (ზაქარიაანთა მეთაურობით) მიაჩნდა ა.ტერ-ლეონდიანს (Тер-Гевоян 1981: 41-15).

აგ-გაპამი, V:1; იმნ 'იმად აღ-ჰანმალი:2).

602/18. VIII. 1205 – 7. VII. 1206 წ. ქართველები კვლავ შეიჭრნენ შაჰ-არმენთა სამფლობელოში არეზის მარჯვენა ნაპირზე და დაარბიეს იგი. იმნ აღ-ასირი წერს, რომ ისინი უვნებლად დათარეშობდნენ ქვეყანაში და მათ წინააღმდეგ ერთხანს არავინ გამოსულა. შემატთანე უმოქმედებაში ადანაშაულებს როგორც შაჰ-არმენს, ისე მის რეგენტს, ათაბაგ 'შუჯა' აღ-დინ კუთლულს, რომელსაც ჯარი არ ემორჩილებოდა. ბოლოს, უკმაყოფილო მუსლიმები, რეგულარული ლაშქარი ('ახქარ აღ-ისლამი) და მოხალისეები (მუთატავი 'უნ) საკუთარი ინიციატივით გაერთიანდნენ და მათ შეძლეს მძიმე მარცხი მიეყენებინათ ქართველისათვის, რომელთაგან ცოტა თუ გადაარჩა³³ (იმნ აღ-ასირი, XII:240).

მიუხედავად ამ ორი მარცხისა, საქართველოს ხელისუფლება არ აპირებდა ხელი აეღო ახალ ლაშქრობებზე. ის ამზადებდა საფუძველს ხლათის ანექსიისათვის. პოლიტიკური ხელისუფლების სისუსტე შაჰ-არმენთა სახელმწიფოში საამისოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, მაგრამ, მოულოდნელად, ვანის ტბის რეგიონში ვითარება შეიცვალა.

603/8.VIII.1206 – 27.VII.1207 წ. მუჰამად ბ.ბეგ-თიმურმა მოაკლევინა თავისი ათაბაგი, რითაც ქვეშევრდომთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მუჰამადის მოწინააღმდეგეთა ერთმა ნაწილმა გაიხსენა, რომ შაჰ-არმენმა სუქმან II-მ (გარდ. 1185 წ.) დააფიცა ხლათელები თავისი დისშვილის, მარდინის ართუქიანი გამგებლის კუტბ აღ-დინის ერთგულებაზე და ამის გამო გადაწყვიტა, რომ ხლათი ამ უკანასკნელის ვაჟისთვის — ნასირ აღ-დინისათვის გადაეცა (იმნ აღ-ასირი, XII:253). ნასირ აღ-დინი ხლათისკენ დაიძრა, მაგრამ ამასობაში აჯანყდა სუქმან II-ის მამლუქი 'იზზ აღ-დინ ბალბანი, რომელმაც ხელთ იგდო მანასკერტი და ასევე ხლათისკენ გაემართა. მან დააიძვრა ნასირ აღ-დინი, რომ როგორც კი დაიკავებდა ხლათს, ამ ქალაქს მას გადასცემდა. ართუქიანმა ხლათიდან უკან დაიხია, ბალბანი ქალაქში შევიდა და მაშინვე გატეხა პირობა. ნასირ აღ-დინი, ალბათ, ადვილად არ შეუჯრიდებოდა ამ მუხანათობას, მაგრამ მის სამფლობელოს აიუბიანები დაემუქრნენ. პარზიანისა და აღ-ჯაზირას მფლობელმა აღ-მალოქ აღ-აშრაფმა, სულტან აღ-'ადილის ძემ, რომლისთვისაც მიუღებელი იყო ნასირ აღ-დინის გაძლიერება, გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ართუქიანი იძულებული გახდა სასწრაფოდ უკან დაბრუნებულიყო და ხელი აეღო ხლათისთვის ბრძოლაზე (იმნ აღ-ასირი, XII:254).

³³ ბ.სილაგაძე მართებულად აღნიშნავს, რომ ქართულსა და სომხურ პირველწყაროებში 601-602 1204-5 — 1206-7 წწ. ამ ლაშქრობათა შესახებ არაფერია თქმული (სილაგაძე, 1966:116). ამდენად, იმნ აღ-ასირის ცნობები (რომელთაც მოგვიანებით სხვა ავტორებიც: იმნ აღ-'იბრი, აზ-ზაპაბი და იმნ'იმად აღ-ჰანმალი იმეორებენ) ერთადერთია, რომელთა ზედუძველზე შეიძლება ამ ხარვეზის შეესება და საქართველოს ისტორიის აღნიშნულა მონაკვეთის აღდგენა.

‘იზხ ად-დინ ბალბანი დაეუფლა ხლათს³⁴ და სხვა ქალაქებს. მან დაატუსაღა მუჰამად ბ.ბეგ-თიმური, მაგრამ მისმა წარმატებამ გააღიზიანა აიუბიანები. შაჰ-არმენთა სახელმწიფოზე ილაშქრა ალ-მალაქ ალ-აშრაფის ძმამ, მაიაფარიკინის მფლობელმა ალ-მალაქ ალ-ავჰად ნაჰმ ად-დინ აიუბმა. მან ხელთ იგდო მუშის ციხე და მიადგა ხლათს. ბალბანმა შეძლო მისი დამარცხება. ალ-ავჰადი მაიაფარიკინში დაბრუნდა და ახალი ლაშქრობისათვის სამზადისს შეუდგა (იმნ ალ-ასირი, *XII*:255).

იმავ 603/1206-7 წ. ქართველები ხელახლა დაიძრნენ ხლათისკენ, მოაოხრეს და გადაწვეს მისი მხარე და შემდეგ კი უკან დაბრუნდნენ (მარ ჰემრუჟსი, 1932:362; მუჰ. ალ-ჰამაჟი, 1982:52). შაჰ-არმენთა სახელმწიფოსთან ამ ახალი კონფრონტაციის დროს საქართველოს სამეფო კარმა საბოლოოდ შემოიმტკიცა ყარსი და მოახდინა შაჰ-არმენთა არეზისპირა სამფლობელოთა ინკორპორაცია.

ზემოთ ითქვა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით ყარსი ჯერ კიდევ ბასიანის ბრძოლამდე დაიკავა ივანე ახალციხელმა. ჩვენი ვარაუდით, აუღებელი დარჩა ყარსის ციხადელი. ვიდრე იგი განაგრძობდა წინააღმდეგობას, ყარსის სრული შემომტკიცება შეუძლებელი იყო. ციხადელის ალყა რამდენიმე წელს გაგრძელდა და ის განიხილებოდა, როგორც საერთოდ ყარსის გარემოცვა.

XIII ს. სპარსელი ანონიმი, რომელიც წერს, რომ ყარსს მაგარი ციხე ჰქონდა და ქვის გალავანი ერტყა, აღნიშნავს, რომ ამ ადგილისთვის ურწმუნოებს (ქართველებს) რამდენიმე წელი ჰქონდათ ალყა შემორტყმული და დიდი გაჭირვებით აიღეს ის (სამყართს საკვირფულმანი, 1954:208; სამყართს საკვირფულმანი, 1978:32).

თამარის მეორე ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი "მრავლით ჟამითგან ჰბრძოდეს" ყარსს, "გარნა ვერარა დონე ქმნეს ადებისა", მიუხედავად იმისა, რომ მას "შემოუზუნეს ყოველნი ციხენი და სოფელნი". ყარსელთა წინააღმდეგობა გატყდა მას შემდეგ, რაც თამარმა "წარავლინა... ზემოთ ლაშქრითა" დავით სოსლანი და "წაატანა ზაქარია და ივანე" (მხარგრძელები). მოქალაქეთა თხოვნით (რომელთაც "ემინოდათ სიტყუათა მათათესს გინებისათა, რომელთა ციხით გამო იტყო-

³⁴ რ.კიკნაძის აზრით, ეს ბალბანი არის თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ დასახელებული „დინის პატრონი“, ათაბაგ ელდიგუზის მიერ აღზრდილი ბალმანი (ქც, *II*, 1959:77). მართლაც, „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ნუსხაში და ფარსადან გორჯიჯანიძესთან ბალმანის ნაცვლად იკითხება ბალბანი (კიკნაძე, 1975:54). მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ქართველთა მიერ დვინის ალების (1203 წ.) შემდეგ ბალბანი ზღაბის სასულთნოში გადაიხვეწა ბელის საძიებლად და მალე გამგებლის ტახტიც დაიკავა (კიკნაძე, 1975:55). მაგრამ ასეთი იდენტიფიკაციის საფუძველი არ არსებობს, ‘იზხ ად-დინ ბალბანი იყო შაჰ-არმენ სუქმან II-ის შამლუქი. თავად სახელი ბალბანი საკმაოდ გავრცელებულია თურქულ ტომებში. ერთი ბალბანი, რომლის ტიტულიც ასევე ‘იზხ ად-დინია, იყო ათაბაგ უზბეგის (1210—1225) შამლუქი (ან-ნასაჟი, 1973:64, 216,217).

დეს") ყარსში გიორგი ლაშას თანხლებით ჩავიდა თამარი და მათ წინაშე "მოიხუნეს ციხოვანთა... კლიტენი". მათივე თხოვნით თამარმა "ქალაქი და ციხე თუხად დაიმჭირა" და არ გასცა ყარსი ანისისა და დვინის მსგავსად (მას. უზოსმობლ., ძვ, II, 1959:143-44).

იბნ ალ-ასირის თხზულებაში 603/1206-7 წ. ამბებში ცალკე სათაურით არის გამოყოფილი პასაჟი: "მოხსენიება ქართველთა მეფის მიერ ქალაქ ყარსის დაუფლებისა და ქართველთა მეფის გარდაცვალებისა" (იბნ ალ-ასირი, XII:255), მაგრამ აქ ფაქტობრივად საუბარია ყარსის ციხის აღებაზე. არაბი მემატჩიანე აღნიშნავს, რომ ქართველები "დაეუფლნენ ყარსის ციხეს (ჰისნ), რომელიც იყო ხლათის ოლქთაგან", რომ მისთვის ქართველებს "დიდი ზნის მანძილზე (მუდდა ტავილა) ჰქონდათ ალყა შემორტყმული... ავიწროებდნენ ვინც მასში იყო და იღებდნენ [ამ] ვილაიეთის შემოსავალს მრავალი წელი ('იდდათ ხინინ)ა. მისი გამგებელი (ვალი) ელჩს ელჩზე გზავნიდა ხლათში და დახმარებას ითხოვდა, მაგრამ ამაოდ. როცა ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა და მას იმედი გადაეწურა, დაუზავდა ქართველებს, დათმო ციხე (კალ'ა) და მის ნაცვლად სხვა სამფლობელო და დიდძალი ფული მიიღო (იბნ ალ-ასირი, XII:256). ქართული წყაროს ცნობით ეს მოხდა თამარის ზეობის 23-ე თუ 24-ე წელს, ზამთარში. იბნ ალ-ასირი მოუთითებს ჰიჯრის 603/8. VIII. 1206 – 27. VII. 1207 წ., ვარდანი კი სომხური ვრით 655/29. I. 1206 – 28. I. 1207 წ. (ძვ, II, 1959:143; იბნ ალ-ასირი, XII:255-56; ვარდანი:169). ამ ცნობათა შეპირისპირებით აშკარაა, რომ ყარსის ციხე ქართველებმა დაიკავეს 1206 წ. დეკემბერში, ანდა 1207 წ. იანვარში. ყარსის ციხის აღებით საბოლოოდ დასრულდა შაჰ-არმენებზე დამოკიდებული ამ საამიროს არსებობა და მოხდა თურქთა მნიშვნელოვანი პლაცდარმის ლიკვიდაცია. ამიერიდან, იბნ ალ-ასირის სიტყვებით, ყარსი "გადაიქცა ურწმუნოთა (ქრისტიანთა — გ.ჯ.) საზღად, მას შემდეგ, რაც ის იყო ღმერთის ერთარსობის (ისლამის — გ.ჯ.) საზღი"³⁵ (იბნ ალ-ასირი, XII: 256).

ლაშა გიორგის-დროინდელი მემატჩიანე მოგვითხრობს, რომ ყარსთან ერთად ქართველებმა აიღეს "ციხენი კარნიფორისა, და ვანანდინი, და რაკსის ბირის ციხენი" (ძვ, II, 1959:368). „რაქსის (არზის) ბირის ციხეთა“ შორის შეიძლება ვიგულისხმოთ კალზევანი და წმინდა მარი, იგივე სურმარი, რომელთა დაპყრობასაც მხარგრძელთა მიერ იხსენიებს სტეფანოს ორბელიანი. იგივე ავტორი სომხურ მხარეთა შორის, რომლებიც დაიკავეს ქართველებმა, ასახელებს

³⁵ რამდენიმე საუკუნის შემდეგ და რუსეთის არმიის მიერ ყარსის აღება 1877 წ. ასევე შეფასებული იქნება, როგორც ქრისტიანობის გამარჯვება მაჰმადიანობაზე ("Падение Карса или торжество христиан над магометанством", М., 1877-1879).

ვალაშკერტსაც (სვ. ორმოლიანი, 1978:55) — მდ. არეზის მარჯვენა ნაპირზე, სომხური ოლქის ბაგრევანდის (მდ. ბაგრევანდის ხეობაში) ცენტრს. თუ სურმარი ამ დროს აზერბაიჯანის ათაბაგთა ვასალი იყო, კალზევანი და ვალაშკერტი შაჰ-არმენთა სახელმწიფოში შედიოდა.

მოსალოდნელი იყო, რომ ყარსის შემომტკიცების შემდეგ ქართველები გააგრძელებდნენ შეტევას ვანის ტბის მიმართულებით, მაგრამ იზნ ალ-ასირის ცნობით სწორედ ამ დროს მოკვდა ქართველთა დედოფალი (მალიქათ ალ-ქურჯ), ქართველთა შორის დაიწყო უთანხმოება და წლის ბოლომდე, ე.ი. 1207 წ. ივლისის მიწურულამდე "აღლაჰმა გაანთავისუფლა [ისლამი] მათი ბოროტებისაგან" (იზნ ალ-ასირი, *XII*:256). ქართველ მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ არაბი მემატინის ამ ცნობაში იგულისხმება თამარ მეფე, თუმცა კი ნუმისმატიკური მასალებით აშკარაა, რომ თამარი ცოცხალია (და გარდაიცვალა) 1210 წელს. თ. ნატროშვილთან ერთად ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ 1207 წ. აღესრულა არა თამარი, არამედ დავით სოსლანი (ნაფრთხილი, ჯათაბიძე, 1974, №1:151-52; აგრეთვე: ჯათაბიძე, 1979:121-29). მაგრამ ამ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა (რ. მეტრეველი, 1991: 303-4. მონ. 1) და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. დავითის გარდაცვალებამ 1207 წ. ხელი შეუშალა ქართველებს აქტიურად ჩაბმულობენ შაჰ-არმენთა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. ეს კი გადამწყვეტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მათ ინიციატივა გაეშვათ ხელიდან და ვანის ტბის სანაპიროებს აიუბიანები დაუფლებოდნენ.

604/28.VII. 1207 — 15.VII.1208 წ. ალ-ავჰადი მამისა და ძმის სულტან ალ-ადილისა და ალ-მალქ ალ-აშრაფის ჯარების მხარდაჭერით ხელმეორედ შეიჭრა შაჰ-არმენთა სახელმწიფოში. ბაღბანი ხლათში გამაგრდა და დანძარება სთხოვა არზრუმის ამირას სელჩუკიან მულის ად-დინ ტულარილ-შაჰს. მოკავშირეებმა დააარცხეს ალ-ავჰადი და შემოეწყენენ ქ. მუშს, რომელიც აიუბიანმა დაიპყრო. გამარჯვებამ, საფიქრებელია, ილუზია შეუქმნა მულის ად-დინს, რომ ალ-ავჰადი სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენდა. მან უმუხტოლა ბაღბანს და მოკლა იგი. არზრუმის ამირა იმედოვნებდა, რომ ამ გზით იოლად დაეუფლებოდა შაჰ-არმენთა მემკვიდრეობას, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა. ხლათთან მისულ მულის ად-დინს ქალაქის მოსახლეობამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და ის იძულებული გახდა ისევ არზრუმში დაბრუნებულიყო ('ამდ ალ-ლაფიფ ალ-მად-დადი: 112; იზნ ალ-ასირი, *XII*:272).

უგამგებლოდ დარჩენილი ხლათი იმავე 604/1207-8 წ. ქალაქის დიდებულთა ნაწილმა ალ-ავჰადს გადასცა. აიუბიანმა დაიკავა ქალაქი, მაგრამ მისი პოზიციები არ იყო მტკიცე. მალე ხლათის ლაშქრის ერთი ნაწილი აუჯანყდა მას, დატოვა ხლათი და ხელთ იგდო ჯერ ვანის მნიშვნელოვანი და შეუვალი ციხე-სიმაგრე, შემდეგ კი არქეში. ალ-ავჰადი იძულებული გახდა მამისთვის ეთხოვა შემწეობა. სულტანმა ალ-ადილმა მას ალ-აშრაფი მიაშველა. აიუბიანთა გაერთიანებულმა ძალებმა ალყა შემოარტყეს ვანს. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ აჯანყებულებმა

შეწყვიტეს წინააღმდეგობა და ზავის პირობით ჩააბარეს ქალაქი ალ-ავჰადს (იბნ ალ-ასირი, *XII:273*; იბნ ვასილი, *III:176*; ამჟ ლ-თიდა', *IV:14*).

იბნ ალ-ასირი იუწყება, რომ ვანის აღების შემდეგ ალ-მალიქ ალ-ავჰადი მანასკერტის დასამორჩილებლად გაემართა. სწორედ ამ დროს მას აუჯანყდა ხლათის მოსახლეობა³⁶, რომელიც ქალაქის ციტადელში გამაგრებულ აიუბიანთა გარნიზონს შემოეწყო. აჯანყებულებმა მოინდომეს, რომ ძალაუფლება შაჰ-არმენის (სუქმან II-ის) რომელიმე მამულქისათვის გადაეცათ, მაგრამ ალ-ავჰადმა ალ-ჯაზირას აიუბიანთა ძალებით აიღო ხლათი და დაუნდობლად გაუსწორდა მოწინააღმდეგეებს (იბნ ალ-ასირი, *XII:274-75*; 'ამდ ალ-ლაჯით ალ-მადადი: 112-13). შეუბრალებელი ტერორით მან განიმტყიცა თავისი პოზიციები ხლათში და მიათვარიკინთან ერთად მალე დაეუფლა შაჰ-არმენთა სახელმწიფოს, ყოველ შემთხვევაში იმ სამფლობელოებს, რომლებიც მდ.არეზის მარჯვენა ნაპირზე და ვანის ტბის რეგიონში მდებარეობდა. ამრიგად, შაჰ-არმენთა მეგკვიდრეობა საჭარტველომ და აიუბიანებმა გაინაწილეს. საკუთრივ ხლათისთვის ბრძოლაში წარმატება აიუბიანებს ხვდათ წილად. სულტანმა ალ-ადილმა თავისი ვაჟის ალ-მალიქ ალ-ავჰადის მეშვეობით შეძლო განეხორციელებინა სალაჰ ად-დინის გეგმის ის ნაწილი, რაც ვანის ტბის რეგიონში აიუბიანთა ექსპანსიასა და გაბატონებას ისახავდა მიზნად.

5. საქართველო და აიუბიანები:

ბრძოლა ხლათისათვის 1208-1210 წლებში

აიუბიანთა მიერ ხლათის აღება შეიძლება შეფასდეს როგორც საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკის მარცხი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ვანის ტბის რეგიონი დასუსტებული შაჰ-არმენების ნაცვლად ძლიერმა და აგრესიულმა აიუბიანებმა დაიკავეს. მათი ექსპანსიონისტური გეგმები შეუძლებელია უცნობი დარჩენილიყო საქართველოს სამეფო კარისთვის, რომელიც შეეცადა გამოესწორებინა მდგომარეობა. ბრძოლა ხლათისათვის და, საერთოდ, ვანის ტბის

³⁶ იბნ ალ-ასირის მიხედვით ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ალი-მალიქ ნაჯამ ად-დინ ალ-ავჰადის წინააღმდეგ აჯანყებულ სომხებს მხარს უჭერდნენ და დახმარებას უწყევდნენ ქართველები, რომლებმაც თითქოსდა აიღეს ხლათი და გადასცეს ის აჯანყებულებს, მაგრამ მათ ვერ შეინარჩუნეს იგი (სილაგაძე, 1966:121; სტეფანაძე, 1974:60; სტეფანაძე, 1985a:148), ბ. სილაგაძე აღნიშნავს, რომ როცა ქართველთა დახმარება „საკმარისი არ აღმოჩნდა, სელჩუკიანმა (უნდა იყოს „აიუბიანმა“ — გ. ჯ.) ამირამ ამბოხება სისხლში ჩააბრჩო“ (სილაგაძე, 1966:121). იბნ ალ-ასირის ცნობების საგანგებო შესწავლამ გვიჩვენა, რომ არაბი მემატიანი 604/1207-8 წ. ამბებში (ან სხვაგან) არაფერს წერს ალ-ავჰადის მოწინააღმდეგეებთან ქართველთა რაიმე კავშირზე და მათ მიერ ხლათის აღებაზე. ასეთი ცნობა არც სხვა რომელიმე არაბი ისტორიკოსის თხზულებაში გვევლინება.

რეგიონისათვის და აქედან აიუბიანთა განდევნა გახდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა 1208-1210 წლებში.

იბნ ალ-ასირი ალ-მალოქ ალ-ავჰადის გაბატონებას ხლათში და ამ მიზეზით შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას 1207-8 წ. ასე ახასიათებს: "მეზობელ მეფეებს არ სურდათ (ქარიჰა) მისი [ალ-ავჰადის] გამგებლობა მახზე [ხლათზე] მამისის [ალ-'ადილის] მიმით. ასევე შეემინდათ მისი ქართველებს და არ სურდათ ის. მათ განაგრძეს თავდასხმები ხლათის ოლქებზე და მის ქვეყანაზე. ზოლო ნაჯმ ად-დინ აიუბი იჯდა ხლათში და არ შეეძლო მისი დატოვება, რის გამოც მუხლიმებმა სამინელი ტანჯვა გადაიტანეს" (იბნ ალ-ასირი, XII:272-73). ჰიჯრის 605/16.VII.1208 - 5.VII.1209 წ. დიწყო ქართველთა მძლავრი შეტევა ალ-ავჰადის სამფლობელოზე. ისინი შემოიწყენენ ქარქეშს და დაეუფლნენ მას ძალით. იბნ ალ-ასირი, რომელიც მუქ ფერებში გვიხატავს ქართველთა სისასტიკეს, წერს, რომ მათ გაძარცვეს არქემის "ყოველი სიმდიდრე, საქონელი და სხვა რამ, რაც იქ იყო. დაატყვევეს მისი მცხოვრებნი, დაწვეს და მთლიანად დაანგრიეს ის და მისი მოსახლეობიდან იქ აღარავინ დარჩა, "თითქოსდა არ იყო წინა დღით მდიდარი"³⁷ (იბნ ალ-ასირი, XII:279; იხ. აგროთე: აგ-გაჰამი, 1979:192; იბნ 'იმად ალ-ჰანმალი:16).

ალ-ავჰადს ხლათში დიდი ჯარი ჰყავდა, მაგრამ მან ვერ გაბედა ქართველების წინააღმდეგ გამოსვლა. მას ეშინოდა როგორც მოწინააღმდეგის სიმრავლის, ისე ხლათის მოსახლეობისა, რომელსაც ადრე დიდი ზიანი მიაყენა. ამ დროისათვის პირველად გვაქვს მითითება ხლათელთა პროქართული განწყობილების შესახებ. ალ-ავჰადს თურმე ეშინოდა, რომ ქალაქიდან გასვლის შემთხვევაში მოსახლეობა აუჯანყდებოდა და ხლათს ქართველებს გადასცემდა (იბნ ალ-ასირი, XII:279; მარ ჰემრუჟი, 1932:364; შენგულია, 1979:335). იბნ ალ-ასირი წერს, რომ როდესაც ალ-ავჰადი არ გაევიდა ურწმუნოებთან საბრძოლველად, ქართველები დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში უვნებელნი, ისე რომ ისინი არავის შეუშინებია (იბნ ალ-ასირი, XII:279), მაგრამ სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ ქართველთა უტუქცუვას თავისი მიზეზი ჰქონდა.

იბნ ვასილი იუწყება, რომ ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად ალ-ავჰადმა ისევ ნაცად ხერხს მიმართა და დახმარებისთვის მამას, აიუბიანთა სულტანს ალ-'ადილს მოუწოდა. ალ-'ადილმა გადაწყვიტა ჩარეულიყო კონფლიქტში, 606/6.VII.1209 — 24.VI.1210 წ. დამასკოდან ჩრდილოეთ მესოპოტამიისაკენ დაიძრა და გადალახა მდ.ევფრატი. სულტანმა გამოაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა ქართველებზე ლაშქრობა (იბნ ვასილი, III:190; იბნ ალ-'ადიმი, III:160; სიმეც მ.ალ-ჯაუღი 1952: 541; მუჰ. ალ-ჰამავი, 1982:57; ალ-მაჟრიზი, I/1:204),

³⁷ ციტატა ბრჰყალებში ყურანიდანაა: 2201; 1025.

ხლათის ქვეყნიდან ქართველების უკუსაგდებდად. ალ-‘ადილმა ამავე დროს დახმარება სთხოვა თავის ძმისშვილს, სალაჰ ად-დინის ვაჟს, ჰალაბის მფლობელს ალ-მალაქ აზ-ზაჰირს. მან მისწერა, აგრეთვე, სირია-მესოპოტამიის აიუბიან და თურქ ამირებს და მათ ჯარები მოსთხოვა.

606 წ. რაბი’ ალ-ავვალში/3.IX – 2.X.1209 წ. ალ-‘ადილმა მიიღწია ქ.პარანს, სადაც მას ეახლნენ ალ-ამრაფი და სხვა აიუბიანები: ჰამას მფლობელი ალ-მალაქ ალ-მანსური, ჰომსის მფლობელი — ალ-მალაქ ალ-მუჯაჰიდი, ბა’ალბექის მფლობელი ალ-მალაქ ალ-ამჰადი, ამიდისა და ჰინს-ქაიფას მფლობელი ართუკიანი ალ-მალაქ ას-სალიჰ მაჰმუდ ბ.ყარა-არსლანი, სუვაიდასა და დარას გამგებლები. აქვე მოვიდა ჰალაბის მფლობელი ალ-მალაქ აზ-ზაჰირიც თავისი ჯარით (იმნ ვასილი, III:190–91; ალ-მაჯრიზი, I/1:204). პარანიდან ალ-‘ადილი რა’ს ალ-‘აინში წავიდა და იქ შეიტყო, რომ ქართველებს ხლათის მხარე დაეტოვებინათ (იმნ ვასილი, III:192; იმნ ალ-‘ადიმი, III:160). იმნ ვასილი დამატებით იუწყება, რომ ქართველებმა, როდესაც სულტნის სამზადისის შესახებ გაიგეს, შეშინებულებმა იჩქარეს თავიანთ ქვეყანაში დაბრუნება (იმნ ვასილი, III:192; იხ. აგრეთვე იმნ ად-დაჰადარი, VI: 167). საქართველოს სამეფო კარი, როგორც ჩანს, არ იყო მზად აიუბიანთა გაერთიანებულ ძალებთან მტრის ტერიტორიაზე შესაჯახებლად და თავიდან აიცილა კონფლიქტის ესკალაცია.

კონფლიქტში ჩათრევა არც ალ-‘ადილისთვის იქნებოდა სასურველი. გარეგნული მრისხანების მიუხედავად ის უეჭველად გრძნობდა თავის სისუსტეს. მცირე აზიის სელოჩუკები და ჩრდილოეთ მესოპოტამიის თურქი ამირები, რომელთაც ამფოთებდათ აიუბიანთა ექსპანსია და წარმატებები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მის მოძრაობას. მათ ადვილად შეეძლოთ შეექმნათ გართულებები ალ-‘ადილის ზურგში, მით უმეტეს, რომ ვანის ტბის რეგიონიდან სულტანი საკმაოდ იქნებოდა დაშორებული თავისი სახელმწიფოს ცენტრს. ამდენად, არ შეეცდებოდათ თუ ვიტყვით, რომ ქართველთა უკუქცევის ამბავმა შეება მოუტანა აიუბიანთა გამგებელს. ქართველებზე ლაშქრობა მოიხსნა, მაგრამ სულტანმა გადაწყვიტა, რომ ახალი ვითარება ჩრდილოეთ მესოპოტამიაში თავისი გავლენის გასამტკიცებლად გამოეყენებინა.

ალ-‘ადილი სინჯარის მფლობელის კუტბ ად-დინ მუჰამად ბ.ზენგის წინააღმდეგ დაიძრა, დაიკავა მისი კუთვნილი ქალაქები: ნისიბინი, ხაბური და შემოეწყყო თვით ქ.სინჯარს, რომლის აღსამაც 606 წ. რამადანის თვემდე/27. II–28.III.1210 წ. გასტანა (სიმც მ.ალ-ჯაუზი, 1952: 541; ალ-მაჯრიზი, I/1:204). ამ დროს მას ეახლა ალ-ავჰადიც (მუჰ. ალ-ჰამავი, 1982:58), რომელმაც შეძლო ხლათის დატოვება. სინჯარის დასაცავად აღდგნენ ირბილისა და მავსილის მფლობელები, რომლებიც ჰალაბის აიუბიან გამგებელს ალ-მალაქ აზ-ზაჰირს დაუკავშირდნენ. ამ უკანასკნელმა მხარი არ დაუჭირა ბიძას, რომლის გაძლიერებაც აღარ სურდა და თავისი ჯარები უკან გაიწვია (იმნ ალ-‘ადიმი, III:161-62).

ალ-‘ადილის მოწინააღმდეგეებმა კავშირი დაამყარეს რუმის სელჩუკთა სულ-

ტანთან ღიას ად-დინ ქაი-ხუსრაუსთან, არზრუმის ამირასთან მულის ად-დინ ტურღრილ-შაბთან და ხალიფა ან-ნასირთან. უკანასკნელმა მოსთხოვა სულტანს, რომ თავი დაენებებინა სინჯარისათვის (იბნ ალ-ასირი, *XII:287*; იბნ ვასილი, *III:194-95*; ამუ შამა, 1974:67; სიმც მ.ალ-ჯაუღი 1952:541; ალ-მაჰრიზი, *I/1:204*). ალ-ადილი იძულებული გახდა შეეწყვიტა სინჯარის ალყა და პარანში დაბრუნებულიყო (იბნ ვასილი, *III:197*; სიმც მ.ალ-ჯაუღი 1952:541), სადაც მასთან იძყოფებოდა ხლათის გამგებელი ალ-ავჰადი. სულტნის დაპირისპირება ალ-მალიქ აზ-ზაჰირთან გრძელდებოდა 607 წ. დასაწყისშიც /VI-VII.1210 წ. შემდეგ ბიძა-ძმისშვილი დაზავდნენ და ალ-ადილმა დანიშნა აზ-ზაჰირის ასული. მომდევნო ხანებში კი სულტანი ჯვაროსნებთან ომში ჩაება.

1210 წ. აღინიშნა ახალი სამხედრო კონფლიქტით ხლათის აიუბიანებსა და საქართველოს სამეფოს შორის. ქართველებმა ხელახლა დალაშქრეს ალ-ავჰადის სამფლობელო. აბუ შამა და შემდეგ მასზე დაყრდნობით სხვა ავტორებიც (ამუ შამა, 1974:75; იბნ ფასირი, *XIII:56-7*; იბნ ად-დაჰადარი, *VI:169*; ას-სათადი, *X:37*) ქართველების ლაშქრობის მიზეზად თვლიან მცირე აზიის სელჩუკთა, პალაბისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის გამგებელთა ინტრიგებს. მავსილოს, ირბილის, სინჯარისა და პალაბის მფლობელები შეთანხმებულან, რათა ერთობლივი ძალით გამოსულიყვნენ ალ-ადილის წინააღმდეგ, ელიარებიანათ რუმის სულტნის ღიას ად-დინ ქაი-ხუსრაუს უზენაესობა და აღევილინათ ხუტბა მის სახელზე. მათ შეუთვალეს ქართველებს, რომ ელაშქრათ ხლათზე. ამ შემთხვევაში აიუბიანთა სულტანს დახმარებას ვეღარ აღმოუჩენდა ვერც ალ-ავჰადი და ვერც ალ-ამრაფი.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზი წერს, რომ ქართველთა ეს ლაშქრობა მოხდა 606/1209-10 წ., თუმცა იქვე მიუთითებს სხვა თარიღსაც, სინჯარის ალყის (დასრულდა 1210 წ. მარტში) შემდეგდროინდელ პერიოდს — 607/25. VI. 1210-14. VI. 1211 წელს. ხლათზე ქართველთა ლაშქრობას, ფაქტობრივად ერთსა და იმავე ამბავს ორჯერ, 606 და 607 წლებში მოგვითხრობს აბუ შამა (ამუ შამა, 1974:67,75), მაგრამ არაბ ავტორთა უმრავლესობა ამ ლაშქრობას 607 წლით ათარიღებს (იბნ ვასილი, *III:201*; ამუ ლ-ფიდა, *III:113*; იბნ ალ-ვარდი: 190; იბნ ფასირი, *XIII:56*; ალ-მაჰრიზი, *I/1:205*; ალ-აინი:629-30) და ჩვენ ეს სარწმუნოდ მიგვაჩნია.

არაბ ისტორიკოსთა ცნობები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ხლათის ამ კამპანიის წერილობრივი კი. ქართველთა ჯარი ხლათის მხარეში 1210 წ. ზაფხულში, ან შემოდგომაზე შეიჭრა და შემოეწყვო თვით ქ.ხლათს, რომლის ციტადელშიც ალ-ავჰადი იყო გამაგრებული. ალყაშემორტყმული ქალაქი მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა განსაცდელისაგან. ეს იყო ქართველთა მხედართმთავრის ივანე მხარგრძელის მოულოდნელი დატყვევება.³⁸

³⁸ ხლათში ივანეს დატყვევება აისახა სომხურ საისტორიო ლიტერატურაშიც (კირაკ. განძაკცი:119; ვარდანი:170). ამის შესახებ დუმან მხოლოდ ქართული წყაროები.

ივანე მხარგრძელი 607 წ. 19 რაბი' ას-სანის თვეში/10. X. 1210 წ. ჩაუვარდა ტყვედ ხლათელებს.³⁹ ეს ამბავი თავის დროზე უადრესად გახმაურდა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და XIII-XIV სს თითქმის ყველა არაბი ისტორიკოსი თავს ვალდებულად თვლიდა მოეხსენებინა იგი.

ჩვეულებრივ მიუთითებენ, რომ ვარსკვლავთმრიცხველმა დილით უწინასწარმეტყველა ივანეს (რომელსაც არაბული წყაროები ქართველთა მალიქსაც უწოდებდნენ), რომ დაახლოებით საღამოსწინა ლოცვის მოწოდების (აზან ალ-'აზრ) დროს ხლათში შევიდოდა, ღამეს ხლათის ციხეში გაატარებდა და ხლათის ტახტზე დაჭდებოდა, თუმცა იმ სამოსით კი არა, რომელიც მას ემოსა. ამ წინასწარმეტყველებით გახარებულმა მხარგრძელმა ღვინო დალია და გათამამებული ოციოდე მხედრით ხლათისკენ — არქემის კარიბჭისკენ გაემართა. მოულოდნელად მისმა ცხენმა წაიფორხილა. ზოგიერთი ცნობით, ცხენს ფეხი ხლათელების მიერ საგანგებოდ გათხრილ და შენიღბულ ორმოში ჩაუვარდა, ანდა ეს ამბავი ხილზე მოხდა, რომელიც ხლათელებს განგებ ჩაემტვრიათ. ივანე მხარგრძელი ცხენიდან ჩამოვარდა. ხლათელები, რომლებიც მის მოძრაობას ყურადღებით უთვალთვალებდნენ, გალავნიდან გამოცვივდნენ, ივანეს მხლებელთა ნაწილი დახოცეს, ნაწილიც კი მასთან ერთად დაატყვევეს. მხარგრძელს თითქოსდა დაუძახია კიდევაც: არ მომკლათ, ივანე ვარო. ზოგიერთი ცნობით ის ალ-აჟადის საჭურისმა იაკუთ ალ-მალატიმ იცნო. დატყვევებული მხედართმთავარი ალ-აჟადმა ხლათში დიდი პატივით მიიღო, ტყვე საპატიო ხალათით შემოსა და ტახტზეც კი დასვა. ამდენად, ივანე მხარგრძელს წინასწარმეტყველება გაუმართლდა. ის მართლაც შევიდა ხლათში და იქ ღამე გაატარა, მაგრამ არა ისე, როგორც ფიქრობდა (იბნ ვასილი, III:201; ამუ შამა, 1974:67,75; სიმც მ.ალ-ჯაჟ-ზი, 1952:541; ზაიფარი ალ-ვაჯინი:43; იბნ ქასირი, XIII:56; ალ-'აინი:630).

ივანე მხარგრძელი არაბი ავტორების თანახმად დაატყვევეს საღამოსწინა და საღამოს ლოცვებს შორის (ბაჰნა ხ-სალათაჰნ) პერიოდში (ას-საჟადი, X: 37; ალ-'აინი: 630). შემოდგომაზე საღამოსწინა ლოცვა (სალათ ალ-'აზრ) იწყება დაახლოებით 15-დან 17 საათამდე, საღამოსი კი — შზის ჩასვლის შემდეგ. ეს დღე იყო ორშაბათი (ამუ შამა, 1974:75; ალ-'აინი:630). ი.ორბელისა და ვ.ციბულსკის მიერ შედგენილი სინქრონული ცხრილებით 1210 წ. 10 ოქტომბერი კვირა დღეა (*Орбели*, 1961:128; *Цыбульский*, 1964:60), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არაბი მუსლიმები დღეს იწყებდნენ შზის ჩასვლიდან და ამდენად, ორშაბათი იწყებოდა კვირა საღამოს (*Hartner*, 1974: 579) ყველაფერი გასაგები ხდება. ივანეს დატყვევება და ხლათში მისი შეყვანა საღამოს ლოცვის ჟამს უფრო მომხდარა, როცა მზე ჩაესვენა და ფაქტობრივად ახალი დღე

³⁹ ეს ლაშქრობა ბ.სილაგაძის დათარიღებული აქვს 1208-1209 წლით (სილაგაძე, 1966:123. იხ. აგრეთვე, შენგელია, 1979:335-36; რ.მეტრეველი, 1991:201).

დაიწყო.⁴⁰ ამრიგად, გვაქვს იშვიათი შემთხვევა, როცა ისტორიული ფაქტი (თუნდაც არცთუ სასიამოვნო ჩვენი ისტორიისათვის) შესაძლებელია უაღრესად დიდი სიზუსტით (წელი, თვე, რიცხვი, დღე, დროის მონაკვეთი) დავათარილოთ.

ივანე მხარგრძელის ტყვედ ჩავარდნა აიუბიანთათვის დიდი და მოულოდნელი საჩუქარი იყო. ალ-ავჰადს ხლათის ხსნის იმედი აღარაჰქონდა. სულტანი ალ-ადილი ჯვაროსნებთან ომით იყო დაკავებული (ნაფთომვილი, ჯათაბიძე, 1974. №2:180) და ვაეისთვის დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო. ახლა კი ვითარება ერთბაშად შეიცვალა. სულტანმა ბრძანა, რომ ქართველთა მხედართმთავარი მისთვის მიეგვარათ, მაგრამ საქმეში ჩაერია ზაქარია მხარგრძელი, რომელიც დაემუქრა ხლათელებს: გამოუშვით ჩემი ძმა, თორემ დალუპვა არ აგცდებათ, თქვენი ქვეყნის მიწას საქართველოში წავაღებინებ და აჭაურობას გავაუდაბურებო. შეშინებულ ხლათელებს აღარ გაუფზავნიათ ივანე ალ-ადილთან (ვიზაჟ. განმარტ.: 119). ალ-ავჰადმა ქართველთა წარმომადგენლებს უხმო, რათა ისინი დარწმუნებულიყვნენ ივანე მხარგრძელის უსაფრთხოებაში (ამუ შამა, 1974:75) და მოითხოვა, რომ ქართველები გასცლოდნენ ხლათს.

ქართველები იძულებული გახდნენ დასთანხმებოდნენ ალ-ავჰადს და საბოლოოდ დაზავდნენ მას. არაბული წყაროების ჩვენებით საზავო პირობები ხელსაყრელი იყო აიუბიანთათვის. ივანე მხარგრძელის გამოსასყიდად საქართველოს სამეფო კარმა დიდძალი თანხა — 100 ათასი დინარი (სხვა მონაცემებით 80 ან 200 ათასი დინარი) გადაიხადა, დააბრუნა 2 ან 5 ათასი ტყვე და 21 ციხე, რომლებიც ეკვროდა ხლათის ოლქებს და რომლებიც ადრე ხელთ იგდეს ქართველებმა და აღადგინა ხლათის გალაჯანი (ზურ) (იბნ ვასილი, III: 201; ამუ შამა, 1974:75; იბნ ფასიბი, XIII:56; ზაფ. ალ-ვაჰჯინი:42-3; ამუ ლ-თეიფა, III:113).

ივანე მხარგრძელი იძულებული იყო განთავისუფლების საფასურად ავჰადისთვის ცოლად მიეცა თავისი ქალიშვილი თამთა, რომელიც ხლათში გათხოვებისას ინარჩუნებდა ქრისტიანობას (ალ-მაჯრიზი, I/1:205). ქართველებმა პირობა დადეს, რომ ისინი ამიერიდან არ მიაყენებდნენ რაიმე ზიანს ხლათის ოლქებს და იქნებოდნენ ალ-მალქ ალ-ავჰადის შემწე მის მტრებთან ბრძოლაში.

საქართველოს სამეფოსა და ხლათის აიუბიანებს შორის დადებული ზავი განისაზღვრა 30 წლით (იბნ ვასილი, III:201; ამუ შამა, 1974:75). ამ ზავის პირობების შეესება შეიძლება სომხური და ევროპული წყაროების მონაცემებით.

კირაკოს განძაკეცი იუწყება, რომ თამთას ხლათში ჩასვლის შემდეგ ქრისტიანთა ხვედრი (აიუბიან) სულტანთა სამფლობელოებში შემსუბუქდა. ტარონის მხარეში არსებული მონასტრები განთავისუფლდა გადასახადებისაგან — ზოგი სანახევროდ, ზოგიც მთლიანად. ებრძანა სულტნების ყველა ქვეშევრდომს, რომ პატივით მოაყრობოდნენ იერუსალიმში სალოცავად მიძეაღალ ქართველებს, ისინი

⁴⁰ პიჭარის 606 წელს, რომელსაც ზოგიერთი არაბული წყარო ივანე მხარგრძელის დატყვევების თარიღად ასახელებს, 19 რაბი' ას-სანი, ე.ი. 1209 წ. 21 ოქტომბერი იყო ოთხშაბათი დღე.

არ იხილდნენ გადასახადებს მათ ქალაქებში, თვით იერუსალიმშიც (კირაკ-განმა-კუცი: 119-20). სომეხი მემატრიანე ყოველივე ამას მიაწერს თამთას გადედოფლებას, მაგრამ თ.ნატროშვილის შენიშვნით ამ შემთხვევაში ივანე მხარგრძელის ასულის როლი უზომოდ გაზვიადებულია. ჩამოთვლილი პრივილეგიები წარმოადგენს ოცდაათწლიანი ზავის პირობებს (ნაცრთმვილი, ჟათვარბიძე, 1974, №2: 179, მონ. 67; ნაცრთმვილი, 1978:53).

კიდევ ერთი პირობა აღნიშნულია ევროპულ წყაროში. ჟაკ დე ვიტრი ქართველების დახასიათებისას წერს: "იხინი შემოდინან წმინდა ქალაქში (იერუსალიმში— გ.ჯ.) გამლილი დროშებით და არავეს უზდიან ზარკვ. სარკინოზები ვერ ბედავენ მათს შეწუხებას, რამეთუ შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ მური იძიონ თავის მეზობელ სარკინოზებზე" (ჟაკ დე ვიტრი: 84-5; ნაცრთმვილი, ჟათვარბიძე, 1974, №2:179).

მ. ბროსეს აზრით, ქართველებს ეს უფლება მიენიჭათ თამთას ხლათში გათხოვების შემდეგ (მრთხე, 1895:181). ამავე დროის ნაშთად თვლიდა აღნიშნულ პრივილეგიას ივ.ჭავჭავაძის შვილი (ჭავჭავაძის შვილი, 1985:303). თ.ნატროშვილის დასკვნით, ჟაკ დე ვიტრის ამ ცნობაში საქართველოს „მეზობელ სარკინოზებად“ ამკარად ნაგულისხმევია ხლათში გაბატონებულიყო აიუბიანები, ხოლო ქართველების საპატიო უფლება იერუსალიმში გამლილი დროშებით შესვლაზე წარმოადგენს ოცდაათწლიანი ზავის ერთ-ერთ პირობას.⁴¹ (ნაცრთმვილი, ჟათვარბიძე, 1974, №2:179). ქართველთა მოთხოვნით ხლათელები იძულებული შეიქმნენ აეშენებინათ ხლათის ციხეში ქართველებისათვის ეკლესია, სადაც რეკდა ზარი (იზნ ალ-ასირი, XII:452). და საერთოდ, საზავო პირობებით, როგორც ვხედავთ, საქართველოს სამეფო კარი გამოვიდა როგორც ქართველი, ისე არაქართველი ქრისტიანების (მათ შორის სომეხი მონოფიზიტების) დამცველის, მათი უფლებებისა და უსაფრთხოების გარანტის როლში.

იმის შემდეგ, რაც ალ-ავჰადმა მიიღო ივანე მხარგრძელისაგან ფიცი და დაიტოვა მძევლები, მან გაანთავისუფლა ქართველთა მხედართმთავარი. ეს მოხდა 610 წ. 12 ჯულადა ალ-ახირას თვეში/1. XII. 1210 წ. (ამოუ შამა, 1974:75). 30-წლიანი ზავი ძალაში შევიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ხანგრძლივი დაზავება არამუსლიმებთან იშვიათი იყო ისლამური სამყაროს პრაქტიკაში. მუსლიმ სამართლისმცოდნეთა თვალსაზრისით ყოველი ზავი არამუსლიმებთან განიხილებოდა როგორც დროებითი და არ უნდა გაგრძელებულიყო 10 წელზე მეტი (Lewis, 1974:175; იხ. აგრეთეფი ქვიმთთ, გვ. 225). ჩანს, აიუბიანები უღარესად იყვნენ დაინტერესებულნი საქართველოსთან ხანგრძლივი მშვიდობის შენარჩუნ-

⁴¹ იგივე თვალსაზრისი თ.ნატროშვილისა და გ.ჭავჭავაძის კოლექტიური წერილიდან მოტანილი და გაზიარებული აქვს ჟ.სტეფანაძეს (სტეფანაძე, 1985ა:149—50).

ნებით. აქედან გამომდინარეობს, ვეფქრობთ, 30-წლიანი ზავის ის პუნქტები, რომლებიც ხელსაყრელი იყო საქართველოსთვის.

30-წლიანმა ზავმა დაასრულა ომები საქართველოს სამეფოსა და აიუბიანთა სახელმწიფოს შორის ვანის ტბის რეგიონში, შეაჩერა საქართველოს წინსვლა ამ მიმართულებით და გადადო საქართველოს სამეფო კარის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის განხორციელების გეგმა. ამავ დროს მან ფაქტობრივად დაასრულა აიუბიანთა ექსპანსიაც ჩრდილოეთის მიმართულებით. სალამ ად-დინის დიდი ექსპანსიონისტური გეგმები მისი მემკვიდრეებისათვის ბოლომდე განუხორციელებელი დარჩა.

სად გადიოდა საზღვარი საქართველოს სამეფოსა და ხლათის აიუბიანთა სამფლობელოს შორის 1210 წ. შემდეგ?

ეჭვი არ არის, რომ 1210 წ. ზავით ქართველებმა დათმეს არკეში და მანასკერტი. მათ დაკარგეს სურმარიც, რომელიც ხლათის აიუბიანთა ვასალი გახდა. ამასთან, გასარკვევია ვალაშკერტისა და საერთოდ, ბაგრევანდის თემის კუთვნილების საკითხი. ვალაშკერტის სამხრეთით მდებარე ბაგავანის ტაძრის წარწერა იუწყება, რომ ხლათიდან მობრუნებულ ზაქარია მხარგრძელს უყიდა და ამ ტაძრისთვის შეუწირავს სოფ. ხოშპუტაიკი და მისი მიწები (*Orbeli*, 1963a:467; დარჩაშვილი, 1975:153). თითქოსდა ამ დროს ქართველებს ჯერ კიდევ მოუწვდებოდათ ხელი ბაგრევანდის სამხრეთზეც,⁴² მაგრამ ძნელი დასაშვებია, რომ აიუბიანებს 30-წლიანი ზავით მათთვის დაეთმოთ ეს მხარე, რომელიც უშუალოდ ეკროდა ვანის ტბის სანაპიროებს.

1210 წ., ვეფქრობთ, საქართველოს სამეფომ დაკარგა ბაგრევანი და ბუნებრივ საზღვრად ხლათის აიუბიანთა სამფლობელოსთან მდ.არეზი იქცა. ვალაშკერტის ხელახალი დაპყრობა (სურმარისთან ერთად) მხოლოდ მოგვიანებით, მონღოლთა ეპოქაში შეძლო შანშე მხარგრძელმა (ვირაჟ. განმარტება: 167; ჟამთააღმწერელი, ძვ, II, 1959:212).

⁴² მ. ბერძნიშვილი, რომელიც ეხება XIII ს. დამდეგის საქართველოს საზღვრებს, მიიჩნევს, რომ ამ დროს ბაგრევანი (რომლის ცენტრიც იყო ვალაშკერტი) შედიოდა საქართველოს სამეფოში და წარმოადგენდა სამეფოდ დაქვრივ არაქართული ტერიტორიების უკიდურეს სამხრეთ თემს (ბერძნიშვილი, 1966:61-63; ბერძნიშვილი, 1970:15; ბერძნიშვილი, 1979:71), მაგრამ მის მიერ მოტანილი საბუთები (სტეფანოს ორბელიანის ზემოდასახელებული ცნობის გარდა, რომელიც ამ შემთხვევაში აღარ გამოდგება) XIII ს. დამდეგზე ადრინდელია, ანდა უფრო გვიანდელი. მკვლევარი აღნიშნავს, რომ გიორგი ლაშა გარდაიცვალა ბაგრევანდის ბაგავანში, მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. ლაშა გიორგის-დროინდელი მემკვიდრე მითითებს, რომ როცა გიორგი ლაშა დასთანხმდა რუსუდანი მიფთხოვებინა შარვან-შაჰისთვის, „გაგზავნა შარვანს ქართლისა ერისთავი და თუთ გიორგი მეფე ბაგავანს მივიდა გასაკაზმად და მიცემად დისა მისისა“ (ქც, I, 1955:371). მეფე იქვე აღსკრულა და მემკვიდრის ეს ცნობა აშკარად მოწმობს, რომ საქმე ეხება არა ბაგრევანდის, არამედ შარვანის ბაგავანს, რომელიც იგივე ბაქოა (*Amyrta*, 1983:149).

6. საქართველო და ხლათის აიუბიანები XIII ს. II ათწლეულში

აღ-მალიქ აღ-ავჰადს არ დასცალდა დიდხანს ეზეიმა 1210 წლის წარმატებით. ის იმავე წელს გულის ქრონიკული ავადმყოფობით გარდაიცვალა. ხლათს ჰარრანისა და აღ-ჯაზირას გამგებელი აღ-მალიქ აღ-აშრაფ მუსა დაეუფლა. მან ეს სულტან აღ-ადილის სანქციის გარეშე გააკეთა. განაწყენებული აღ-ადილი ხლათისკენ დაიძრა, მაგრამ აღ-აშრაფი წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდა. ის მიეახლა მამას, თავი გაიმართლა: ხლათს იმიტომ დავეუფლე, რომ მეზობელ ხელმწიფეებს არ დაესწროთო და მას მორჩილება აღუთქვა. სულტანმა აღ-აშრაფს ხლათისა და მისი ოლქების გარდა ქ.რუჰა და ქ.ჰარრანი დაუტოვა, მაგრამ მიაფაროიკინი თავის სხვა ვაჟს შიჰაბ ად-დინ ლაზის გადასცა (აღ-მაღინი: 612-13).

აღ-აშრაფმა, იმდროინდელი ჩვეულების თანახმად, გარდაცვლილი ძმის ცოლი თამთა (აღ-ქურჯიმა) შეირთო. ლმობიერი და ზომიერი პოლიტიკით მან ადგილობრივი მოსახლეობის სიმპათიები დაიმსახურა და შემდეგ შაჰ-არმენის ტიტულიც მიიღო.

აღ-აშრაფის კარის პოეტმა მუჰამად ბ.იუსუფ ბ.შიზანმა მის აღზევებასთან დაკავშირებით ასე მიმართა ხლათის აიუბიან გამგებელს: "ადელდა ზორასანი, საფუძვლიანად შეირყა... და შენი მეზობლობით ქართველებიც კი შემინდნენ თბილისში" (აღ-იუნინი, III: 219). არაბულ სახოტო პოეზიაში უზომო ქება ჩვეულებრივი ამბავია და გამონაკლისს არც მოტანილი სტროფი წარმოადგენს, მაგრამ, საერთოდ, აღ-აშრაფი უდავოდ ენერგიული მმართველი იყო, ერთ-ერთი ყველაზე უნარიანი, ნიჭიერი და ძლიერი აღ-ადილის მემკვიდრეთა შორის (Humphreys, 1977: 131).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ ხლათი საქართველოს ვასალად, მის მოხარკე და ყმადნაფიც ქვეყნად არის წარმოდგენილი (ინგოტოყვა, 1963ა:144; ინგოტოყვა, 1963ბ:549-50; ინგოტოყვა, 1978:22, 78-81; 6.მერბენიშვილი, 1973:84-5; მერბენიშვილი, 1966:54; მერბენიშვილი, 1970:143; ი.სინათლიძე, 1967:21; რ.მეტყევილი, 1991:203,289). მიჩნეულია, რომ 1210 წ. შემდეგაც ის „საქართველოს გავლენის სფეროდ ითვლებოდა“ (სეფენაძე, 1974:61; სეფენაძე, 1985ა:152). აღნიშნული თვალსაზრისი ემყარება მხოლოდ ქართველ მემკვიდრეთა ჩვენებას და არ ითვალისწინებს აიუბიანთა ისტორიის არაბულ წყაროებს. ეს წყაროები კი ამგვარი დასკვნისთვის არაეუთარ საფუძველს არ იძლევა.

ხლათის აიუბიანთა სამფლობელო (მას ვერ ვუწოდებთ საამიროს და მით უმეტეს, ვერც სასულტნოს) აიუბიანთა იმპერიას (რომელსაც ფედერაციულ, ან კონფედერაციულ სახელმწიფოსაც უწოდებენ) (Семенова, 1966:27; Humphreys, 1977:41 და შმდ.) ჩრდილოეთ ფორპოსტს წარმოადგენდა. ხლათის, ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და სირიის აიუბიანი გამგებლები (მუღლუქ) სარგებ-

ლობდნენ საშინაო ავტონომიით. თითოეულს ჰქონდა საკუთარი ავტონომიური ადმინისტრაციული სისტემა. ამავე დროს ისინი აღიარებდნენ ეგვიპტის აიუბიანი სულტნის უზენაესობას და ვალდებულნი იყვნენ გამოეხატათ ერთგულება და ვასალური დამოკიდებულება ხუტბითა და სიქით. მათ სულტნის მოთხოვნით გამოჰყავდათ ლაშქარი და საჭიროების შემთხვევაში შექონდათ ფული ცენტრალურ ხაზინაში. უთანხმოების შემთხვევაშიც კი, გარეშე საფრთხის (ჭვაროსნები, მცირე აზიის სელჩუკები...) დროს, აიუბიანები, ჩვეულებრივ, გაერთიანებული ძალეებით გამოდიოდნენ და ურთიერთობა ცალკეულ აიუბიან გამგებელთან, მათ შორის ხლათის მფლობელთანაც, იყო ურთიერთობა აიუბიანთა ძლიერ სახელმწიფოსთან, რომლის ერთობაც ურყევი რჩებოდა ალ-ადილის (1200—1218) სიცოცხლეში.

მას შემდეგ, რაც 1210 წ. საქართველოსა და ხლათის აიუბიანებს შორის "დაძვინდებდა მშვიდობა და მეგობრობა" (ვირაჟ. განმარტება: 120), ალ-ამრაფს ჰქონდა საშუალება მნიშვნელოვნად გაეფართოვებინა თავისი სამფლობელოს საზღვრები ჩრდილოეთ სირიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის სხვა წვრილი გამგებლების ხარჯზე. მისი პროტექტორატი გახდა ქ.ჰალაბი. იბნ ვასილის თანახმად, ხლათის ქვეყანაში, რომელიც თავისი მნიშვნელობით ეგვიპტეს უახლოვდებოდა, 70 ქალაქი იყო (იბნ ვასილი, III: 182; იბნ ვასილი, V:122). ალ-ამრაფს, ხლათის გარდა, ეკუთვნოდა ჰარარანი, რუჰა, ბითლისი, ვანი, მუში, მანასკერტი და სხვ. მისი გავლენის სფეროში მდ.არეზზე შედიოდა სურმარის საამიროც.

ალ-ამრაფი წარმატებით უპირისპირდებოდა რუმის სელჩუკთა მოძალატებს. 1218 წ. მან ივლისში სასტიკად დაამარცხა სელჩუკთა სულტნის ქაი-ქაუსის ლაშქარი მანბიჯთან და აპირებდა შეჭრილიყო ანატოლიაშიც (Humphreys, 1977:160), მაგრამ ალ-ადილის სიკვდილმა ხელი შეუშალა მას.

ალ-ადილის სიკვდილის (1218 წ.) შემდეგ აიუბიანთა სახელმწიფო ფაქტობრივად მისმა ვაჟებმა გაიყვეს. ალ-მალიქ ალ ქამილს, რომელიც გამოცხადდა სულტნად, ერგო ეგვიპტე, ალ-მალიქ ალ-მუა'ზზამ 'ისას — პალესტინა, ტრანსიორდანია და ცენტრალური სირია და ალ-მალიქ ალ-ამრაფ მუსას — ჩრდილოეთ სირია და ალ-ჯაზირა (Humphreys, 1977:161). რა თქმა უნდა, იყვნენ სხვა გამგებლებიც, მაგრამ ისინი სხვადასხვა ფორმით ამ სამზე იყვნენ დამოკიდებულნი.

XIII ს. II ათწლეულში არაბული წყაროები, რომლებიც საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობენ აიუბიანთა ისტორიას, არ იხსენიებენ რაიმე სამხედრო კონფლიქტს საქართველოს სამეფოსა და ხლათს შორის. ამდენად, მითითებები ასეთი შეტაკებებისა და მათში ქართველთა გამარჯვებების შესახებ 1211, 1216-17 თუ 1219 წლებში (ჯაჰაჩიშვილი, 1966:13; ინგოროვა, 1978:78; დარჩაძე, 1975:154; სცყენაძე, 1985ა:154; მადრიძე, 1979მ:341; მადრიძე, 1984ა:139) არ დასტურდება (იხ. ნაცროშვილი, ჯაჰაჩიშვილი, 1974, №2: 80—81).

საქართველოს მეზობელ მუსლიმ გამგებელთა შორის ალ-აშრაფი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იყო. ეს იყო პიროვნება, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და წარმატადაც ამ რეგიონის პოლიტიკას.

აიუბიანები, რომლებიც ჩრდილოეთ-დასავლეთით რუმის სასულტნოს უპირისპირდებოდნენ, დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოსთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებით. სწორედ კეთილმეზობლობის ნიშნად, სულტან ალ-ადილს საქართველოს მეფისთვის ეგვიპტიდან 1213 წ. იენისში საჩუქრად სპილოც კი გაუგზავნია, რამაც მოსახლეობის გაოცება და აღტაცება გამოიწვია (ამუ მამა, 1974:83; იმნ დახითი, XIII:65). მსგავსი ძვირფასი (და ეგზოტიკური) საჩუქრების გაგზავნა ორივე მხრიდან, ვფიქრობთ, ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, მაგრამ არაბულ წყაროებში არა გვაქვს ცნობა, რომელიც საქართველოზე ხლათის აიუბიანთა სამფლობელოს რაიმე ფორმით დამოკიდებულებაზე მიგვანიშნებდა.

ხლათს საქართველოს მხრიდან უშიშროების გარანტიას აძლევდა ის, რომ აქ დედოფლად საქართველოს მხედართმთავრის ივანე მხარგრძელის ასული იჯდა, მაგრამ ახალგაზრდა და ენერგიული გიორგი ლაშა, რომლის ზეობის წლებშიც აზერბაიჯანის ათაბაგთა წინააღმდეგ ბრძოლა დასრულდა სივინიეთის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოერთებით⁴³, საფიქრებელია, სამუდამოდ ვერ შეურიგდებოდა თავისი სამეფოს საზღვრებთან, სომხურ ტერიტორიებზე, აიუბიანთა ბატონობას და ხელსაყრელ პირობებში შეეცდებოდა 30-წლიანი ზავის დარღვევას. ასეთი პირობები შეიქმნა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

43 კერძოდ, ქართველებმა აიღეს ოროტნი, ბოროტნი, ბლენი და ბარაკუსტი (ვარდან: 172-3; სტ. ორბელიანი, 1864: 222; სტ. ორბელიანი, 1978: 55; Brosset, 1851a:301; ჯავახიშვილი, 1966: 12-13; ბადრიძე, 1979ბ: 340-41; სტუფნაძე, 1985: 154).

საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ოსლამური სამყარო მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევების პერიოდში (XIII ს. 20-30-იანი წლები)

გიორგი ლაშას ზეობის წლებში საქართველოს სამეფო ევროპელ ჯვაროსანთა ყურადღების ცენტრში მოექცა. მახლობელ აღმოსავლეთში, სირია-პალესტინის ფრონტებზე ჯვაროსანთა მთავარი მეტოქე აიუბიანთა სახელმწიფო იყო. ძლიერი საქართველო, რომელიც აიუბიანებს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა, ჯვაროსნებს სასურველ მოკავშირედ ესახებოდათ. ლათინთა დიდი ინტერესი საქართველოს მიმართ ჩანს ფრანგი რაინდის დე ბუას ცნობილ წერილში, რომელშიც გარდაისახა 1210წ. ქართველთა სამხედრო კამპანია ხლათის წინააღმდეგ (ნაფროზილი, ჯაფარიძე, 1974, №2:169 და შმგ; ნაფროზილი, 1978:40-61). 1211წ. პაპი ინოკენტი III ქართველთა მეფეს წმინდა მიწის დასაცავად მოუწოდებდა (*Grousset*, 1936: 231, შენ. 2; ნაფროზილი, ჯაფარიძე, 1974, №2: 188). იმედის თვალთ უყურებდნენ ევროპელები საქართველოს მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროსაც (მაფრიძე, 1984ა:139), რომელიც 1217 წ. დაიწყო.

1218 წ. ჯვაროსნები ევგავტეში გადასხდნენ და ალყა შემოარტყეს ალექსანდრიის მეტოქე ციხე-ქალაქ დამიეტას, რომელიც ნილოსის დელტის ერთ-ერთ ტოტზე მდებარეობდა და ევგავტის გასაღებად ითვლებოდა. გარემოცვა წელიწადნახევარი გაგრძელდა. აიუბიანთა ახალმა სულტანმა ალ-ქამილმა (ალ-'ადილი დამიეტას ალყის დროს გარდაიცვალა) ჯვაროსნებს დამიეტას ნაკვლად იერუსალიმი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. სულტანმა ახლა დასახმარებლად თავისი ძმები იხმო. მის მოწოდებას პირველად გამოეხმაურა დამასკოს გამგებელი ალ-მუ'აზზამი. სწორედ მისი ბრძანებით 1219 წ. მარტში დაანგრეს პალესტინის ძლიერი ციხეები და იერუსალიმის მტკიცე გალავანი, რადგანაც ჯვაროსანთა შეტევის შემთხვევაში მათი დაცვა შეუძლებელი იქნებოდა (*Заборова*, 1980: 260; *Runciman*, III, 1954:152 და შმგ. *Cleve van*, 1969ა:411-412; *Humphreys*, 1977:163-64; ნაფროზილი, 1974ბ:35; მაფრიძე, 1979ბ:341).

როდესაც იერუსალიმის კედლების ნგრევა დაიწყეს, მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. ბევრმა მათგანმა ქალაქი დატოვა. უპატრონოდ მიტოვებული სახლები მეომრებმა დაარბიეს და დაწვეს. ფანატიკოსებს სურდათ წმინდა საფლავის ტაძ-

რის დაწვავ, მაგრამ ალ-მუ'აზზამმა ამის ნება არ დართო (*Runciman, III, 1954:158*). როგორც ჩანს, ამ დროს შეილახა ქრისტიანთა, მათ შორის ქართველთა სამონასტრო თემის უფლებები და ინტერესები. აქედან გასაგები ხდება ჟაკ დე ვიტრის ცნობა, რომ ქართველები ძალზე აღშფოთებულან იმის გამო, რომ დამასკოს გამგებელმა (რომელსაც ის კორადინუსს უწოდებს) დაანგრია იერუსალიმის კედლები მათი სურვილის გარეშე იმ დროს, როცა ლათინებს გარემოცული ჰქონდათ დამიეტა და მუქარა შეუთვალეს მას (ქაჯ დე ვიტრი: 83-4; ნაცრომვილი, 1974მ:37).

1219 წ. ნოემბერში დამიეტა დაეცა. პაპის ლეგატი პელაგიუსი მოითხოვდა საომარი ოპერაციების გადატანას ნილოსის დაბლობზე. ამასთან, პელაგიუსი პაპის სახელით ქრისტიან ხელმწიფეებს დახმარებისკენ მოუწოდებდა. პაპ ონორე III-სადმი გაგზავნილი რუსუდანის წერილი გვიჩვენებს, რომ პელაგიუსისგან გიორგი ლაშასაც მოუღია პაპის „დიდებული რჩევა და ბრძანება“, რათა ის ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო¹ (თამარაშვილი, 1902:7; ცაძაძე, 1984:176). ვენეციელი ისტორიკოსი მარინო სანუტო იუწყება, რომ ჯვაროსანთა მიერ დამიეტას აღებამ აღაფრთოვანა ქართველები, რომლებმაც გადაწყვიტეს, რაც შეიძლება დიდი წვლილი შეეტანათ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, სახელდობრ -- ადოთ დამასკო (ნაცრომვილი, 1974 მ:37). ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ოლივერუსი, რომელსაც იმორწმებს ჯ.დონოვანი: ქართველები აპირებდნენ შეეტიათ დამასკოსათვის ან მუსლიმთა სხვა რომელიმე სამფლობელოსათვის (*Donovan, 1950:74*). ამ შემთხვევაში პირველი დარტყმა უნდა მიეღო ხლათის აიუბიანთა სამფლობელოს, რაც დამატებით სიძნელეებს შეუქმნიდა აიუბიანთა სახელმწიფოს. თითქოსდა იქმნებოდა რეალური პირობები საქართველოს ახლოაღმოსავლური პოლიტიკის (ირანიდან ლევანტისკენ მიმავალი დიდი სავაჭრო გზების დაუფლების) რეალიზაციისა, მაგრამ საქართველოს სამეფო კარის გეგმები შეცვალა მონღოლთა მოულოდნელმა გამოჩენამ ამიერკავკასიაში.

1. საქართველო, ხლათის აიუბიანთა საფლობელო და არზრუმის საამირო XIII ს. 20-იანი წლების დასაწყისში.

მონღოლთა აკრძალი შამოსავები და ბიორბი ლაშას ცდა ანტიმონღოლური კოალიციის შექმნისა

1220 წ. ჩინგიზ-ხანის სარდლებმა ჯებე-ნოინმა და სუბუდაი-ბალათურმა, რომლებიც სამარყანდიდან ლტოლვილ ხვარაზმ-შაჰ მუჰამადს (1200—1220) მისდევდნენ, 30-ათასი მხედრით ხორასანი და სპარსეთის ერაყი (ჯიბალი) გადაქ-

¹ ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ ამ შემთხვევაში ჯვაროსანთა და ქართველთა საერთო მტერი იყო თურქ-სელჩუკები, რომელიც ორივე მხარეს უქმნიდნენ საფრთხეს (ი.ბერაძე, 1965:59). სინამდვილეში, გიორგი ლაშას დროს საქართველოს და ჯვაროსანთა შესაძლებელი სამხედრო კავშირი მიმართული იქნებოდა აიუბიანთა წინააღმდეგ.

რეს. ომით თუ უომრად, გზად მრავალი ქალაქი აიღეს. ნებით დამორჩილებულთ დიდი გამოსასყიდი დააკისრეს, ხოლო იქ, სადაც წინააღმდეგობას წააწყდნენ, ქვა-ქვაზე არ დატოვეს.

1220 წ. დეკემბერში მონღოლთა ლაშქარი აზერბაიჯანის ათაბაგთა სატახტო ქალაქს თავრიზს მიაღვა. ათაბაგ უზბეგს (1210—1225) ბრძოლის ძალა არ შესწევდა. მან მონღოლებს მორჩილება აღუთქვა, ცხენები, ტანისამოსი და ფული მისცა და კასპიის ზღვის სანაპიროსკენ გაუხსნა გზა (იმნ ალ-ასირი, XII:374).

გზად მონღოლებს მოუხდათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა, რომელიც არეზს გასდევდა (ვიენაძე, 1979:533) და აქ მოხდა ის, რაც, ალბათ, მათ გეგმებში არ შედიოდა. ჯებესა და სუბადაის თავიანთი ძლევაშეძრული მსგულლობის მანძილზე, პირველად დახვდა არა ციხე-ქალაქებს თავშეფარებული, დემორალიზებული მოსახლეობა, არამედ ორგანიზებული სამხედრო ძალა. ქართველთა 10-ათასიანი ლაშქარი მონღოლებს შეეგება და ბრძოლა გაუმართა (იმნ ალ-ასირი, XII:375; სილაგაძე, 1966:130; ვიენაძე, 1979:533).

ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მონღოლებმაც იგრძინეს, რომ სეროიზული მოწინააღმდეგე გამოუჩინდათ. ისინი ქვეყნის სიღრმეში აღარ შესულან და მულანს მიაშურეს გამოსაზამთრებლად.

ბრძოლებში გამოწრთობილი მონღოლთა 30-ათასიანი ლაშქარი მრისხანე მტერს წარმოადგენდა და მასთან ომი ძალების სრულ მობილიზაციას მოითხოვდა. პირველივე მარცხის შემდეგ გიორგი ლამამ რეალურად შეაფასა მონღოლთა საფრთხე და დიდი ანტიმონღოლური კოალიციის შეკერის გეგმა დასახა. ამის შესახებ მოგვითხრობს იბნ ალ-ასირი. მისი ცნობით, ქართველებმა დაზავება და მონღოლთა წინააღმდეგ კავშირი შესთავაზეს აზერბაიჯანისა და არჩანის ათაბაგ უზბეგს. ათაბაგმა ეს წინადადება მიიღო და ისინი შეთანხმდნენ, რომ გაერთიანდებოდნენ ზამთრის დასრულებისთანავე (იმნ ალ-ასირი, XII:375; სილაგაძე, 1966:132).

მონღოლთა წინააღმდეგ კავშირი ქართველებს უთხოვიათ ხლათისა და ალჯაზირას მფლობელისათვის ალ-მალიქ ალ-აშრაფისთვისაც. ისინი ყველანი (ჯამი-უჰჰუმ) ფიქრობდნენ, რომ თათრები მოიცილდნენ ზამთარში — გაზაფხულამდე, მაგრამ თათრები ასე არ მოიქცნენ და დაიძრნენ ქართველთა ქვეყნისაკენ (იმნ ალ-ასირი, XII: 375; სილაგაძე, 1966:132-33). მეორე ბრძოლა, რომელიც 1220 წ. დეკემბრის ბოლო რიცხვებში ან 1221 წ. იანვარში მოხდა, კვლავ მონღოლთა გამარჯვებით დასრულდა.

ზამთრის მიწურულამდე მონღოლთა მოულოდნელი გამოლაშქრება ქართველებზე საფუძველს აძლევს მკვლევარებს ივარაუდონ, რომ მტერმა შეიტყო მოსალოდნელი კოალიციის შესახებ და დაასწრო მოკავშირეებს (ვინცაძე, 1960:119,121; სილაგაძე, 1966:132; ვიენაძე, 1979:533). ამავე დროს ცნობილია, რომ ათაბაგ უზბეგის ერთ-ერთმა მამულქმა აკუმმა მონღოლების მხარე დაიჭირა და დიდი როლი ითამაშა ქართველთა დამარცხებაში. ქართველებისა და მათი

მოკავშირეების სამზადისის ამბავი თითქოს მას უნდა ემცნო მონღოლებისათვის (ცნ-ცაძე, 1971:121; სილაგაძე, 1966:133; ჟინაძე, 1979:534; *Буниятов*, 1978:115).

მაგრამ ანტიმონღოლური კოალიციის ჩაშლის მიზეზი მარტო აკუშის ლალატი არ ყოფილა. აქ თავისი როლი ითამაშა ალ-ამრაფის პოზიციამ, რის შესახებაც იბნ ალ-ასირი თავისი თხზულების სხვა ადგილზე, ჰიჯრის 617/1220-21 წ. ამბებში მოგვითხრობს. არაბი მემკვიდრე იუწყება, რომ "ქართველებმა, როცა თათრებმა მათ ქვეყანაზე ილაშქრეს, დაამარცხეს ისინი, მოაოზრეს ქვეყანა და მრავალი მისი მცხოვრები გაჟლიტეს, გაუგზავნეს [მოციქული] აზერბაიჯანისა და არრანის მფლობელს უზბეგს და სთხოვეს მას ზავი და კავშირი თათართა მოსაგერიებლად. ამავე მიზნით მათ გაუგზავნეს [მოციქულები] ალ-მალიქ ალ-ამრაფს და შეუთვალეს: თუ კი არ შევთანხმდებით ამ ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად და ჩვენი ქვეყნიდან მათ უკუსაგდებად, თუ კი არ მოხვალთ თქვენ, თქვენი ლაშქრითურთ ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის [იცოდეთ], ჩვენ თვითონ შევთანხმდებით მათ თქვენს წინააღმდეგ" (იბნ ალ-ასირი, XII:399).

ქართველთა ელჩები ალ-ამრაფთან სწორედ მაშინ მისულან, როცა ის ფრანკების, ე.ი. ჯვაროსნების წინააღმდეგ ეგვიპტეში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ხლათის გამგებელი გამოეხმაურა სულტან ალ-ქამილის მოწოდებას შეერთებოდა მას ჯვაროსანთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დროისათვის ჯვაროსნებს უკვე აღებული ჰქონდათ დამიეტა და უშუალოდ ემუქრებოდნენ დედაქალაქ კაიროს.

ალ-ამრაფმა საქართველოს სამეფო კარის წინადადება მოკავშირეობაზე არ მიიღო. მან ქართველთა ელჩებს ეგვიპტეში თავისი გამგზავრების აუცილებლობა დაუსაბუთა და საამისოდ რამდენიმე არგუმენტი მოიტანა:

პირველი ფრანკების მიერ დამიეტას აღება და ლამის ეგვიპტის დაპყრობაც იყო. ეგვიპტეც რომ დაიპყრონ, მაშინ სირიასა და სხვა ქვეყნებში აიუბიანებს ძალაუფლება აღარ შერჩებათო.

მეორე არგუმენტი თათრებთან შედარებით ფრანკების დაუოკებლობა იყო. მათ აიუბიანთა სახელმწიფოს დაპყრობა სურთ და საეკარისია ერთ სოფელს დაეუფლონ, რომ მერე აღარ დატოვებენ, ვიდრე მისი დაცვა შეუძლიათ თუნდაც ერთი დღეო.

და ბოლოს, განაცხადა ალ-ამრაფმა, ფრანკებს სურთ დაეუფლონ ალ-ადილის სახლის სახელმწიფო ტახტს — ეგვიპტეს. თათრებს კი ჯერ არ მიუღწევიათ მასთან, არ გადაულახავთ მისი საზღვრები. მათ არც ამ სამეფოში შეცილების სურვილი აქვთ. თათრების მიზანია მხოლოდ ძარცვა, ხოცვა, ქვეყნების აოხრება და ერთი ქვეყნიდან მეორეში გადანაცვლებათო.

უკანასკნელი იმედი რომ არ გადაეწურა, ალ-ამრაფმა ქართველთა ელჩები ასე დაამშვიდა: ხლათის ოლქი მე ჩემს ძმას მივეცი სამფლობელოდ (იკტა^ა), გამოვეზავნი აქ, რომ თქვენთან ახლოს იყოს, დაფუტოვებ მას ჯარებს და როცა

დაგვირდებათ, ის დაგეხმარებათ თათრების წინააღმდეგო (იზნ ალ-ასირი, *XII:399*; ჯათარიძე, 1984:149-50).

ალ-აშრაფს, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ბევრი სხვა მუსლიმი გამგებლის მსგავსად, მონღოლთა შემოსევები დროებით და წარმავალ მოვლენად მიაჩნდა. მონღოლები ჯერ კიდევ არ ემუქრებოდნენ აიუბიანთა სახელმწიფოს და ძნელი იყო იმის წარმოდგენაც კი, რომ ახლო მომავალში ისინი შეძლებდნენ ხლათის, თუ აიუბიანთა სხვა სამფლობელოების დაპყრობას.

ალ-აშრაფის პოზიცია აიუბიანთა ინტერესებს ასახავდა. ეგვიპტის წინააღმდეგ მიმართული მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა უფრო საშიში ჩანდა. ალ-აშრაფის ჩარევამ და, საერთოდ, აიუბიანთა ძალების გაერთიანებამ ამ ლაშქრობის მარცხი განაპირობა. ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლის საბაბითვე ხლათის მფლობელმა თავაზიანად უარყო თვით ხალიფა ან-ნასირის (1180—1225) თხოვნაც, მავსილისა და ირბილის გამგებლებთან ერთად დახმარებოდა მას ბაღდადზე მონღოლთა მოსალოდნელი ლაშქრობის შემთხვევაში (იზნ ალ-ასირი, *XII:378-79*).

ხლათის გამგებელმა საკმაოდ დააგვიანა ეგვიპტეში გამგზავრება. მის დაყოვნებასა და ყოყმანს მკვლევარები ქართული ფაქტორით ხსნიან. თ.ნატროშვილი მიიჩნევს, რომ ეგვიპტეში ალ-აშრაფის წასვლა მთლიანად გაუხსნიდა გზას დამასკოსკენ ქართულ მხედრობას (ნაცრთმევილი, 1974 მ:38). უ. რიშარი კი წერს: „ალ-აშრაფის სამეფოზე ქართველთა დაწოლა იყო უეჭველად ის მიზეზი, რომელმაც ხელი შეუშალა მას ეფექტური დახმარება აღმოეჩინა ალ-ქამილისათვის ეგვიპტეში 1221 წლამდე“ (*Richard, 1979:296*). ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობის დროს ხლათის აიუბიანთა გამგებლის წინაშე ქართველთა გამოლაშქრების საფრთხე რეალურად იკვეთებოდა. ამდენად, მისთვის ხელსაყრელიც კი იყო საქართველოში მონღოლთა შეჭრა. ალ-აშრაფისთვის ბუნებრივია, რომ სასურველი იქნებოდა თავისი სამფლობელოს ზურგში მონღოლებთან ბრძოლებში დამარცხებული და დასუსტებული და არა გამარჯვებული და ძლიერი საქართველოს დატოვება.

ალ-აშრაფმა მართლაც გადასცა ხლათის მხარე თავის ძმას შიჰაბ ად-დინ ლაზის.² მაგრამ ეს მოხდა ჰიჯრის 617 წ. დასასრულს, ხოლო ლაზი ხლათში 618 წ. დასაწყისში ჩავიდა (იზნ ალ-ასირი, *XII:398*). ეს ამბები 1221 წ. თებერვალ-მარტით თარიღდება. ამ დროისათვის ქართველები უკვე კარგა ხნის დამარცხებულნი

² აქვე აღვნიშნავთ, რომ შიჰაბ ად-დინ ლაზის მმართველობა ხლათის მხარეში დიდხანს არ გაგრძელებულა. დამასკოს გამგებლის ალ-მუ'აზზამის მხარდაჭერით 1224 წ. გაზაფხულზე ის აუჭანყდა ალ-აშრაფს. ალ-აშრაფის რეაქცია სწრაფი და უშეცდომო იყო. მისი თხოვნით სულტანმა ალ-ქამილმა მოახდინა ალ-მუ'აზზამის ბლოკირება. ჰალაბისა და მავსილის სამხედრო კონტიგენტებით ალ-აშრაფი ხლათს მიადგა და დაამტკიცა ძმის პრეტენზიების უსაფუძვლობა. 1 ივლისს მან დაიბრუნა ხლათი, მაგრამ მმა ბოლომდე არ გაწირა და მას სამფლობელოდ მიაფარა იქინი უბოძა (იზნ ალ-ასირი, *XII: 422-23; Humphreys, 1977:173-75*).

იყვნენ მონღოლებთან მეორე შეტაკებაში. აიუბიანთა ძალებს გიორგი ლაშასთვის არც მონღოლებთან მესამე შეტაკებაში აღმოუჩენიათ დახმარება.

ამრიგად, საქართველოს სამეფო კარის ცდამ, ისტორიაში პირველად დიდი და ძლიერი ანტიმონღოლური კოალიცია შეეკრა მუსლიმი გამგებლების მონაწილეობით, შედეგი არ გამოიღო. მეზობელი სახელმწიფოებიდან გიორგი ლაშას მოწოდებას გამოეხმაურა მხოლოდ საქართველოს ვასალი, არზრუმის ამირა მულის ად-დინ ტულრილ-შაჰი (ლაშა გიორგის-დრთინდელი მემაციანე, *ღვ, I, 1955: 370*; 'ამდ აღ-ლაჯით აღ-მადდადი: 126; ჯათყარბიქ, 1980:135), მაგრამ ეს, ისევე როგორც საქართველოს სამეფოს საკუთარი ძალები, საკმარისი არ აღმოჩნდა მონღოლთა დასამარცხებლად. მიუხედავად ამისა, სეროიზულმა წინააღმდეგობამ და გიორგი ლაშას დიპლომატიურმა (თუნდაც წარუმატებელმა) ღონისძიებებმა მაინც გამოიღო თავისი შედეგი. მონღოლებმა ვერ შეძლეს აეღოთ ვერცერთი გამაგრებული ციხე-ქალაქი საქართველოში. 1221 წ. მიწურულში კი, მას შემდეგ რაც მესამედ დაამარცხეს ქართველები, მათ მოაოხრეს შარვანი, გადაჭრეს დარუბანდი და დატოვეს ამიერკავკასია.

აიუბიანთა და ბაგრატიონთა დამოუკიდებლობის ცდა. რუსუდანის ბატონობა არზრუმის ამირას ვაჟზე

ლაშა გიორგის-დროინდელმა მემაციანემ შემოგვინახა საინტერესო ცნობა იმის თაობაზე, რომ აიუბიანებს სურდათ დინასტიური ქორწინებით დანათესავებოდნენ ბაგრატიონთა საგვარეულოს. მონღოლთა წასვლის შემდეგ, ალბათ 1221 წ. მიწურულს "რუსუდან ითხოვეს ზლათსა დასახმელად დიდმან სულტანმან მელიქმან, რომელსა ეგვბტით ვიდრე ზლათამდის სპარსეთი ჰქონდა" (*ღვ, I, 1955:371*).

დიდი სულტანი მელიქი აიუბიანთა სულტანი აღ-მალიქ აღ-ქამილია. ის შუამდგომლობდა, რათა რუსუდანი შეერთო შიპაბ ად-დინ ლაზის, რომელიც აღ-აშრაფმა თავის მემკვიდრედ გამოაცხადა. ამ გზით აიუბიანები ცდილობდნენ მიადწინათ საქართველოს საბოლოო ნეიტრალიზაციისათვის და განემტკიცებინათ თავიანთი სახელმწიფოს ჩრდილოეთი საზღვრების უსაფრთხოება, მაგრამ საქართველოს სამეფო კარისთვის ეს ქორწინება ნიშნავდა, უახლოეს მომავალში მაინც, უარის თქმას ზლათისათვის ბრძოლაზე. პოლიტიკური მოტივი, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ აიუბიანთა და ბაგრატიონთა დამოუკიდებლობის ცდა ჩაშლილიყო.³ ქართველი მემაციანის ლაკონიური შენიშვნით "დაშალა მოწყა-

³ შეიძლება არსებობდა პირადული მოტივიც. მიუხედავად იმისა, რომ აღ-აშრაფი ეგვიპტეში გაემგზავრა, ზლათში დედოფლად რჩებოდა თამთა. ის ზლათში იქდა ამ ქალაქის ხვარაზმელთა მიერ გარემოცვის დროსაც (იხ. ქვემოთ, გვ.:188,190). რუსუდანისთვის, თამარის ასულისთვის, ალბათ მიუღებელი იქნებოდა, რომ ზლათში ყოფილიყო არა პირველი ქალბატონი, არამედ აღ-აშრაფის ვასალის, თუნდაც მისი ძმისა და მემკვიდრის მუღლუ.

ღებამან ღმრთისამან და არ ყო ესრე” (ქც, I, 1955:371). სამაგიეროდ, ბაგრატიონები დინასტიური ქორწინებით დაუნათესავდნენ მცირე აზიის სელჩუკანთა საგვარეულოს.

გიორგი ლაშას სიკვდილის (18.I. 1223 წ.) შემდეგ, ჰიჯრის 620/4. II. 1223 – 23. I. 1224 წ. რუსუდანი დაქორწინდა არზრუმის ამირას მულის ად-დინ ტულარილ-შაჰის (ცილიჩ-არსლან II-ის შვილისა და რუქნ ად-დინ სულაიმან-შაჰის ძმის) ვაჟზე. ჟამთააღმწერლის თანახმად, ის გერ კიდევ ქორწინებამდე საქართველოში “მოეყვანა მეფესა... რუსუდანს... მძევლად ერთგულობისათვის”. შემდეგ “ზთნდა მეფესა რუსუდანს და ინება ქმრად მოყვანება მისი, რომელი ადასრულაგა” (ქც, II, 1959:172). ‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ცნობითაც ინიციატივა რუსუდანისგან მომდინარეობდა, იბნ ალ-ასირი კი წერს, რომ ეს მულის ად-დინმა შესთავაზა ქართველებს თავისი ვაჟის კანდიდატურა “რათა თავიდან აეცილებინა ქართველთა ბოროტება” და ვინაიდან მუსლიმი ქრისტიანული საქართველოს მეფე ვერ გახდებოდა, გააქრისტიანა ის (‘ამდ ალ-ლატიფ ალ-შადადი: 126; იბნ ალ-ასირი, XII:417). ეს ამბავი საკმაოდ გახმაურდა და საგანგაშო გახდა ისლამურ სამყაროში (მუსლიმური სამართალი, საერთოდ, სიკვდილს უსჯის იმ მუსლიმს, რომელიც რჯულს უღალატებს). იბნ ალ-ასირი უადრესად გაღიზიანებულია ამ ქორწინებით და უწოდებს მას “უცხო ამბავს, რომლის მსგავსიც არ მოიძიება” (იბნ ალ-ასირი, XII: 416; ჟაფაბიძე, 1993 გ.).

ზ. ბუნიატოვი აღნიშნავს, რომ არზრუმელი უფლისწულის სახელი იყო დავუდი და ამასთან დაკავშირებით იმოწმებს იბნ ბიბის თხზულებას (*Буниатов*, 1973:373; *Буниатов*, 1982:163-64, შფ. 15), მაგრამ ეს მემბრტიანე საერთოდ არ იხსენიებს რუსუდანის ქმრის სახელს და მხოლოდ იმას წერს, რომ რუსუდანის ასული (თამარი, იგივე გურჯი-ხათუნი) იყო “ხელჩუკთა თესლი, დავითის მოდგმა” (იბნ ბიბი: 177). “დავითის მოდგმა” მიგვანიშნებს არა მამის სახელზე, არამედ ბაგრატიონთა წარმომავლობაზე, რომელსაც ქართული ტრადიცია დავით წინასწარმეტყველს უკავშირებდა (ლდრთფიფანიძე, 1966:145; ლდრთფიფანიძე, 1992). საერთოდ, რუსუდანის ქმრის სახელს არ იხსენიებენ თანამედროვე არაბი ისტორიკოსები (‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი, იბნ ალ-ასირი), რომლებიც საკმაოდ დაწვრილებით ეხებიან მის ქორწინებას. რუსუდანის ქმრის სახელი „დაავიწყდა“ ქართველ ჟამთააღმწერელსაც, რომელმაც, ამასთან, აგვიწერა მისი გარეგნობა (“ქმნულ-კეთილი... შუენიერ-გუამითა, მკნე და ძლიერი ძალითა” (ქც, II, 1959:172). ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. ქართველებმა ის აითვალწუნეს ჭაღალ ად-დინის შემოსევის დროს ჩადენილი ღალატის გამო. მუსლიმებმა მას არ აბატყეს რჯულის დადგება, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთი მონაცემი მაინც გავაჩნია. XIII ს. II ნახევრის ევგებტელი ისტორიკოსი მუჰი ად-დინ ბ. ‘აბდ აზ-შაჰირი, როცა ეხება გურჯი-ხათუნს (თამარს) —

რუსუდანის ასულს, წერს, რომ მამამისის ლაგაში იყო ლიას ად-დინი (იბნ 'ამრ აბ-ჰაჰიბი, 1976:463), ხოლო იოანე ბატონიშვილის თანახმად მას "ეწოდა ქართულად ხაზელი ნათლობისა დიმიტრი" (იოანე მაცნინიშვილი, *H* 2134:563მ; ჯათყარბი, 1993 ე).

ლიას ად-დინი (დიმიტრი) რუსუდანზე საკმაოდ ახალგაზრდა, 17 წლისა იყო. მას არ ჰქონდა თამარის ქმრების, განსაკუთრებით კი დავით სოსლანის უფლებები და ავტორიტეტი. მის სახელზე არ მოუქრიათ საფასე და ის არც ლაშქრებს წაძლოლია საომრად. მისი როლი მხოლოდ რუსუდანის ქმრობით შემოიფარგლა (ჯაყახიშვილი, 1966: 41).⁵ არზრუმის სელჩუკიანებთან დინასტიური ქორწინება საქართველოს სამეფო კარს, შესაძლოა, იმედს უსახავდა, რომ ხანდაზმული მულის ად-დინ ტულრილ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ გართულებების გარეშე დაუფლებოდა არზრუმს. გარდა ამისა, რუსუდანის სელჩუკი მეუღლე დედით იყო შაჰ-არშენ ბეგ-თიმურის (გარდ.1193 წ.) შვილიშვილი. ეს გარემოება კი საქართველოს ხელისუფალთ ახალ პერსპექტივებს უსახავდა ზღატიასათვის ბრძოლაში ('ამრ ალ-ლაფიყ ალ-შადადი: 126; ჯათყარბი, 1980:136). იბნ ალ-ასირის ერთი ცნობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აღნიშნულმა ქორწინებამ გააძლიერა ქართველთა გავლენა არზრუმზე. მულის ად-დინმა ჩაიცვა ქართველთა მეფის მიერ გაგზავნილი საპატიო სამოსი და აშკარად აღმართა დროშა, რომლის ზემოთაც გაკეთებული იყო ჭვარი (იბნ ალ-ასირი, *XII*:451), მაგრამ მალე, 1225 წ. პოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. ზეარაზმელთა შემოსევებმა აიძულა საქართველო თავდაცვით ბრძოლებზე გადასულიყო. ამ პირობებში საქართველოს სამეფო კარმა დაკარგა თავისი გავლენა არზრუმის საამიროზე.

სამხედრო კონფლიქტი სურმარის საამიროსთან

1223 წ. სურმარის საამიროს მიერ, რომელიც ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ზღატიას აიუბიანებთან, პროვოცირებულ იქნა სამხედრო კონფლიქტი საქართველოსთან. 620 წ. შა'ბანში /30. VIII – 27. IX. 1223 წ., როცა სურმარის ციხის

⁴ აღსანიშნავია, რომ იოანე ბატონიშვილი რუსუდანის ქმარს შეცდომით ზორასნელი მეფის ძედ მიიჩნევს.

⁵ შესაძლოა, რომ ყოველივე ეს გახდა რუსუდანის მეუღლის უკმაყოფილების მიზეზი. 1226 წ., როცა ჯალალ ად-დინმა თბილისი აიღო, ის ზეარაზმელთა ბანაკში აღმოჩნდა. ან-ნასაჰის ცნობით, სულტანმა დაიბარა ის, მფარველობა გაუწია და შეუვალა (ამანი) უბოძა მას. მაგრამ შემდეგ, ზეარაზმ-შაჰის ზღატიზე ლაშქრობის დროს კაბუქზე ისევ „სატანამ იძძლავრა“, ის „ურნმუნოების ორმოს დაუბრუნდა“, ქართველებთან გაიქცა და შეატყობინა მათ თბილისში ზეარაზმელთა გარნიზონის მცირერიცხოვნობისა და სისუსტის შესახებ, მაგრამ მისი მდგომარეობა უკვე შერყეული იყო და რუსუდანი გაშორდა ქმარს (ან-ნასაჰი, 1973:171,222. განქორწინების მიზეზების შესახებ იხ.: ჯაყახიშვილი, 1966:68). ამის შემდეგ მისი ბედ-იღბალი უცნობია.

მფლობელი თავის სიუზერენთან, ხლათის გამგებელ შიპაბ ად-დინ ლაზისთან იმყოფებოდა, მის მოადგილედ დატოვებულმა ერთა ამირამ დაარბია და გაძარცვა რამდენიმე სოფელი საქართველოს სამეფოში. სურმარიზე საპასუხო ლაშქრობა მოაწყო დვინის გამგებელმა შალვამ. სურმარის მფლობელი, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა ხლათიდან, დაედევნა ქართველებს, სძლია მათ და დაიბრუნა მათ მიერ მოპოვებული ნადავლი. შალვამ კიდევ ერთი მარბიელი ლაშქრობა მოაწყო სურმარიზე. როდესაც ის დვინსა და სურმარის შორის ერთ ველზე იყო დაბანაკებული, ქართველებს მოულოდნელად დაეცა სურმარის მფლობელი, დაამარცხა ისინი, მოსრა და დაატყვევა მრავალი, მათ შორის თვით შალვა⁶, რომელსაც იბნ ალ-ასირი ქართველთა ერთ-ერთ დიდ ამირას უწოდებს⁷ (იბნ ალ-ასირი, XII:414).

შალვა ახალციხელის (სხვა შალვა ჩვენ იმ დროისათვის არ გვეგულება) დატყვევება მნიშვნელოვანი ამბავი იყო. საქართველოს სამეფო კარმა მიმართა არა შიპაბ ად-დინ ლაზის, რომელმაც ვფიქრობთ, წააქეზა სურმარის ამირა აქტიურად ემოქმედა საქართველოს წინააღმდეგ, არამედ მის სიუზერენს ალ-აშრაფს, რომელსაც შეახსენეს, რომ სურმარის ამირას აქცია არ ეთანხმებოდა მათ შორის არსებული ზავის პირობებს: "თუ ზავი გვაქვს, მაშინ გვეურხ, ჩვენი თანამებრძოლები ტყვეობიდან განთავისუფლება. და თუ ჩვენს შორის ზავი დაირღვა – შეგვატყობინეთ, რათა ზომები მივიღოთ" — წერდნენ მას ქართველები.

ალ-აშრაფმა დააკმაყოფილა საქართველოს სამეფო კარის მოთხოვნა. მან უბრძანა სურმარის ამირას ტყვეების განთავისუფლება და ზავის განახლება. აიუბიანებსა და საქართველოს შორის "განმტკიცდა მშვიდობის საფუძველი" (იბნ ალ-ასირი, XII:415), მაგრამ ეს მშვიდობა გარეგნული და მოჩვენებითი იყო. საქართველოს სამეფო კარზე გაცოცხლდა იდეა ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობისა.

სამართავლოს სამეფო კარის ბებებში წმინდა მიწაზე ლაშქრობისა

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მარცხი საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა რომის პაპისთვის, რომელიც შეეცადა ხელახლა დაერაზმა ევროპელი რაინდები წმინდა მიწის მუსლიმთაგან დასახსნელად. პაპი ონორე III იმედებს გერმანიის იმპერატორსა და სიცილიის მეფეზე ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენზე აყარებდა,

⁶ ბ. სილაგაძე, რომელიც ეხება იბნ ალ-ასირის ამ ცნობას, დვინის გამგებლის სახელს — შალვას, ცვლის ივანეთი (სილაგაძე, 1966:145).

⁷ შალვა ახალციხელად მიიჩნევა იბნ ალ-ასირის მიერ დასახელებულ დვინის გამგებელ შალვას იე.კავახიშვილი (კავახიშვილი, 1966:45).

რომელმაც ჯერ კიდევ 1219 წ. დადო პირობა მონაწილეობა მიეღო ჯვაროსნულ ლაშქრობაში, მაგრამ არ შეასრულა ის. 1221 წ. ნოემბერში პაპი ახსენებდა იმპერატორს, რომ ქრისტიანული სამყარო იმედით ელოდა წმინდა მიწაზე მის წასვლას. ფრიდრიხ II უარის თქმას აღარ აპირებდა. 1222 წ. გრძელდებოდა მისი მოლაპარაკებები ონორე III-სთან. 1223 წ. მარტში ფიორენტინას კრებაზე, რომელსაც იერუსალიმის მეფე და იერუსალიმის პატრიარქიც ესწრებოდნენ, გადაწყდა, რომ ფრიდრიხი თავის ლაშქრობას დაიწყებდა 1225 წ. 24 ივნისს. ევროპის ყველა კუთხეში მხარდაჭერისა და დახმარების მისაღებად ერთხელ კიდევ დაიგზავნა მიკრიკები (*Билбасов*, 1863:30-2; *Cleve van*, 1969a:438). 1223 წ. შუა ხანებში ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისის შესახებ ცნობილი გახდა საქართველოშიც. რუსუდან მეფე ონორე III-ს წერდა: "დიდად გავიზარეთ, როდესაც შევიტყვეთ, რომ შენი ბრძანებით იმპერატორს მართებს წმინდა ადგილების დასახსნელად ახლა ხირიაში გადავიდეს. მოგვეწერეთ ჩვენ, თუ როდის უნდა წავიდეს იმპერატორი და ჩვენც გავაგზავნით ჩვენს მხედართმთავარს ივანეს მთელი ჩვენი ჯარით ქრისტიანების დასახმარებლად, წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად. [ჩამოვლენ] იმ ადგილას, სადაც მას უბრძანებთ ჩახვლას" (თამარაშვილი, 1902:8; ცაბაღუა, 1984:177).

წმინდა ადგილებისთვის ომში მონაწილეობას და 40 ათასი მეომრის გამოყვანას პირდებოდა რომის პაპს ივანე მხარგრძელიც. მეფე და ათაბაგი ონორე III-ს ლოცვა-კურთხევას თხოვდნენ, რათა მისი "ლოცვა-კურთხევით და უფლის მადლით" შეძლებოდათ რწმენით მომზადებულიყვნენ "უფლის სადიდებლად ბრძოლისათვის" (თამარაშვილი, 1902:8; ცაბაღუა, 1984:177,179). თავის მხრივ, ონორე III, 1224 წ. 12 მაისს გამოგზავნილ წერილში აზუსტებდა ფრიდრიხ II-ის ლაშქრობის დროს და წერდა რუსუდანს: "... მივუთითებთ შენს უბრწყინვალესობას და მოვუწოდებთ მას უფლის მიერ, რათა თანახმად შენი საქებარი დაპირებისა, ეცადო და ისე მოამზადო შენი ლაშქარი, რომ შესძლო შენი დიდებულებისათვის ღირსეული სამსახური გაუწიო უფალ იესო ქრისტეს" (ცაბაღუა, 1984:181).

ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებისათვის რომის პაპი შენდობასა და ყველა ცოდვის მიტევებას აღუთქვამდა რუსუდანის ყველა ქვეშევრდომს და, როგორც უ. რიშარი წერს, ის ქართველ ჯვაროსნებს ისეთსავე პრივილეგიებს პირდებოდა, როგორც ლათინებს (*Richard*, 1979:230).

როგორც ხსენებული მიმოწერიდან ირკვევა, საქართველოს სამეფო კარი 1223-1224 წლებში განწყობილი იყო დახმარება აღმოეჩინა ფრიდრიხ II-ისათვის. ივანე მხარგრძელის მიერ შეპირებული 40 ათასი მეომარი კი ძალზე დიდი ძალა იყო. თავად ფრიდრიხს 1224 წ. სალაშქროდ მზად ჰყავდა 100 გალერა და 50

სატრანსპორტო ხომალდი, რომელთაც სირიაში შეეძლო გადაყვანა 10 ათასი ქვეითი და 2000 რაინდი (*Cleve van*, 1969მ:439). ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩაბმის შემთხვევაში საქართველოს სამეფოს სამხედრო ძალების პირველი დარტყმა მიმართული იქნებოდა ისევ და ისევ ხლათის აიუბიანთა წინააღმდეგ, მაგრამ ფრიდრიხ II-ის ლაშქრობა 1227 წლამდე ვადაიდო, ხოლო საქართველო 1225 წ. თვით აღმოჩნდა ხვარაზმელთა აგრესიის მსხვერპლი.

2. საქართველო, აიუბიანები და მცირე აზიის სამლჩაქები ხვარაზმელთა შემოსევების დროს

1225 წ. აზერბაიჯანში შეიქრა ხვარაზმელთა სულტანი ჯალალ ად-დინი (1220—1231). ეს არ იყო ხვარაზმელთა პირველი გამოჩენა საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან. უკვე 1217 წლისათვის ელდიგუზიანთა სახელმწიფოს გამგებელი ათაბაგი უზბეგი სულტან 'ალა ად-დინ მუჰამადის (1200—1220) მოხარკე გახდა და თავის სამფლობელოებში: აზერბაიჯანსა და არანში — დარუბანდამდე მეჩეთების მინბარებიდან აღაეღუნდა ხეტბას ხვარაზმ-შაჰის სახელზე (ან-ნასავი, 1973:61). უზბეგმა დაიჩვილა მუჰამადთან, რომ ვერ შეძლებდა გადაეხადა მისთვის გაზრდილი გადასახადები, რადგანაც ათაბაგის სახელმწიფოს სანაპიროები ქართველებს ჰქონდათ დაპყრობილი. მაშინ მუჰამადმა გიორგი ლაშას თავისი ელჩი გაუგზავნა და გაათრთხილა თავი შეეკავებინა თავდასხმებისგან უზბეგის ქვეყანაზე, რადგანაც ამ უკანასკნელს ერთ-ერთ თავის სამფლობელოდ თვლიდა. იმავე დროულად მან საქართველოზე სალაშქროდ 50 ათასი რჩეული მხედარიც მოამზადა (ან-ნასავი:61; *Буниятов*, 1986:81-2).

'აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი მოგვითხრობს, რომ სულტან მუჰამადს "ზუჟრდა წასულიყო [სალაშქროდ] თბილისზე და გადაეჭვია ის თავისი სახელმწიფოს სატახტო ქალაქად (სარირ მულქიჰი), საიდანაც იგამგებლებდა რუმის, ყივჩაღთა და სომეხთა ქვეყნებზე, [აგრეთვე] ირანისა (ალ-'აჯამ) და დასავლეთის (ალ-ღარბ) დანარჩენ ქვეყნებზეც" ('ამდ ალ-ლატიფ ალ-მაღდადი:117; ჯათყარიბი, 1980:136).

'ალა ად-დინ მუჰამადის სხვა გეგმებზე XIV ს. არაბი ისტორიკოსის აზ-ზაჰაბის "ისლამის ისტორიის" ("თ'რიზ ალ-ისლამ") დამოწმებით მიუთითებს ზ.ბუნიატოვი. ხვარაზმ-შაჰი, საქართველოს დაპყრობის შემდეგ, აპირებდა დაეძრა ლაშქარი რუმსა და სირიაზე და აქედან შექრილიყო ეგვიპტეში (*Буниятов*, 1986:82).

როგორც ვხედავთ, მონღოლთა შემოსევების წინ საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხვარაზმელთა სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებში. შეტაკება ორ სახელმწიფოს შორის მხოლოდ იმიტომ არ მოხდა, რომ 1217 წ. ზამთარში ბაღდადზე წარუმატებელმა ლაშქრობამ აიძულა ხვარაზმ-შაჰი დაეტოვებინა მახლობელი აღმოსავლეთი და უკან გაბრუნებულიყო (*Буниятов*, 1986:86).

1225 წ. სხვა პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა. ხვარაზმელთა დიდი და მძლავრი სახელმწიფო მონღოლთა დარტყმების შედეგად დაიშალა. მუჰამადის მემკვიდრე ჯალალ ად-დინი, რომელიც 1220 წ. სულტანი გახდა, ჯერ ინდოეთში გაიქცა, შემდეგ კი დასავლეთ ირანში გადავიდა და ის თავის კონტროლს დაუქვემდებარა. დევნილი ჯალალ ად-დინი თავგანწირვით იბრძოდა, რათა მონღოლთა წინსვლა შეეჩერებინა. ჯიბალი და ქისტუაზანი მისთვის მძლავრი პლაცდარში გახდა მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ჯიბალი ადვილად იყო ხელმისაწვდომი მონღოლთათვის და ხვარაზმ-შაჰს არ შეეძლო აქ მშვიდად ეგრძნო თავი. უფრო მიმზიდველი და მოხერხებული ამ მხრივ ჩანდა აზერბაიჯანი და არრანი, რომელთა ანექსიაც, ათაბაგთა ხელისუფლების სისუსტის გამო, არ წარმოადგენდა დიდ სირთულეს.

1225 წ. იენისში ჯალალ ად-დინმა დაიკავა ქმარაღა მისი მოსახლეობის თხოვნით და შემდეგ, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, დაიპყრო აზერბაიჯანი. ცოტა მოგვიანებით, ახლად დაპყრობილ ელდიგუზიანთა სახელმწიფოში თავისი ძალაუფლების განმტკიცებისა და ხელისუფლების კანონიერების შთაბეჭდილების შექმნის მიზნით, მან იქორწინა უზბეგის მეუღლეზე, რომელიც ვრაცის სელჩუკთა უკანასკნელი სულტნის ტულრილ ბ. არსლანის ასული იყო.

ამრიგად 1225 წ. ზაფხულში, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებთან გამოჩნდა ახალი მრისხანე მტერი, რომლისთვისაც უკან დასახევი გზა მოჭრილი იყო და რომელიც თავისი არსებობის შესანარჩუნებლად გამოსავალს მხოლოდ ახალი ქვეყნების დაპყრობაში ხედავდა. საქართველოს სამეფო გახდა უმნიშვნელოვანესი რგოლი ჯალალ ად-დინის ექსპანსიონისტური გეგმის განხორციელების გზაზე.

სამართვალოს სამხედრო-პოლიტიკური იზოლაცია მახლობელ აღმოსავლეთში ხვარაზმელთა შემოსევების დროს

ჯალალ ად-დინის მიერ მარაღის დაკავებისთანავე საქართველოს სამეფო კარისთვის აშკარა გახდა, რომ ხვარაზმ-შაჰი მიღწეულით არ დაკმაყოფილდებოდა და შეეცადა კავშირი დაემყარებინა ათაბაგ უზბეგთან. ხანგრძლივი სამხედრო კონფრონტაცია ელდიგუზიანთა სახელმწიფოსთან და საქართველოს სამხედრო წარმატებები ამჯერად მის საწინააღმდეგოდ შეტრიალდა. აზერბაიჯანისა და არრანის მუსლიმები ხვარაზმ-შაჰში ხედავდნენ ისლამისა და მათი ინტერესების დამცველს, რომელსაც მათთვის ქრისტიანული საქართველოს მუქარა უნდა აეცილებინა. ამ მხრივ ნიშანდობლივია მარალელთა მოწოდება ჯალალ ად-დინისადმი, დაეკავებინა მათი ქალაქი, რომლისთვისაც "ქართველებს ჩაეხოთ თავიანთი ბრძკვალები" (ან-ნასაჟი, 1973:155; *Бухиятов*, 1986:163).

თავის მხრივ, აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ, საქართველოზე ლაშქრობის წინ ჯალალ ად-დინმა აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობა გააჩაღა. ხვარაზმ-შაჰის დიპლომატიის ერთ-ერთი მიზანი იყო საქართველოს მიმართ თავისი აგრე-

სიული მიზნების შენიღბვა.

გარნისის ბრძოლის (1225 წ. აგვისტო) წინ, როცა ხვარაზმელები უკვე არბევდნენ საქართველოს სამეფოს სანაპიროებს, ჯალალ ად-დინი ჯერ კიდევ ცდილობდა დაერწმუნებინა რუსუდანი თავის კეთილგანწყობაში. "როცა მოახლოვდნენ ხვარაზმელები - წერს 'აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი - მათი ელჩი ეახლა [ქართველთა] დედოფალს ტკბილი სიტყვით. და როცა ის მათთან იყო დარბაზობაზე, მოვიდა მანვე ამბით, რომ ეს ხალხი [ხვარაზმელები] არბევდა [ქართველთა] ქვეყნის სანაპიროებს. მაშინ დედოფალმა უთხრა ელჩს: განა ასე იქცევიან მეფეები? ელჩს ერთს ალაპარაკებენ და თვითონ კი საწინააღმდეგოს აკეთებენ? და ბრძანა მისი გამკვება" ('ამდ ალ-ლატიფ ალ-მაღდადი: 123; ჯათარბი, 1980:137).

გარნისის ბრძოლის შემდეგ, ჯალალ ად-დინმა, როგორც ცნობილია, რუსუდანს ცოლობა მოსთხოვა და მონღოლთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა შესთავაზა (ქამთაღამჩარული, 19, II, 1959:173-4), მაგრამ მისი წინადადება, რუსუდანს ქმარიც რომ არ ჰყოლოდა, მიუღებელი იყო. ჯალალ ად-დინი არ წარმოადგენდა იმ პიროვნებას, რომელიც სხვის დიქტატს დაემორჩილებოდა. ის თავად ისწრაფოდა პირველობისაკენ. მასთან ქორწინება ფაქტობრივად ნიშნავდა ხვარაზმელთა მიერ საქართველოს უომრად ოკუპაციას და ქვეყანაში ხვარაზმ-შაჰის თანმხლებ თურქმენტთა მრავალრიცხოვანი მასის ჩამოსახლებას, რასაც საქართველოს სამეფო კარი ვერაფერით უსმობდა. ამდენად, ამ მხრივ ხვარაზმ-შაჰის დიპლომატიურ ღონისძიებებს შედეგი არ მოჰყოლია. 1225-1228 წლებში საქართველოსა და ხვარაზმელთა შორის შეუჩრგბელი ბრძოლები მიმდინარეობდა.

ჯალალ ად-დინი შეეცადა, რომ მოეხდინა მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმი გამგებლების ანტიხვარაზმული გამოსვლების ნეიტრალიზაცია და თავიდან აეცილებინა მათი შესაძლებელი დახმარება საქართველოსათვის.

ან-ნასაივი მოგვითხრობს, რომ ხვარაზმ-შაჰმა 1225 წ. ივლისში მარალიდან რუმის, სირიისა და ეგვიპტის ხელმწიფეებს (მულუქ) თავისი ელჩი მუჯირ ად-დინ 'უმარ ბ. სა'დ ალ-ხვარიზმი გაუგზავნა და შეატყობინა, რომ დაეუფლა აზერბაიჯანს და "თავისი წვეტიანი კბილებით გამოგლიჯა ის ოლქები, რომლებსაც უკვე დაასვეს ეშვები ქართველებმა". ჯალალ ად-დინმა მათ აცნობა, აგრეთვე, რომ აპირებდა მოეწყო ლაშქრობა ქართველებზე, სასტიკად შებრძოლებოდა მათ და ეჩვენებინა, რომ ისლამის სახლს პატრონი გამოუჩნდა. თავის მიმართვას ის საფუძვლად უდებდა რუმის სელჩუკებთან და აიუბიანებთან მეგობრობის სურვილს (ან-ნასაივი, 1973:155). იბნ ბიბის ცნობით რუმის სულტანს ხვარაზმ-შაჰი მოაგონებდა, რომ მათ შორის "აღლაჰის გურთხვევითა და წყალობით იყო თანასწორობა ხადვთო ომის (ჯიჰადი) გამოცხადებამი და ერთობა საქმეებში, ხალხსა და რწმენაში". "ყველაზე შესაფერისი ადა-

მიანი სიყვარულსა და მეგობრობაში არის ის, ვინც შენი მსგავსია ენითა და რწმენით” — უმტყიცებდა ჯალალ ად-დინი ქაი-ყუბადს (*Бушиятოვ*, 1986:164).

რუმის სულტანმა მიიღო ხვარაზმ-შაჰის მოწოდება და გამოხატა თავისი კმაყოფილება მასთან თანხმობისა და მეგობრობის დამყარების გამო (*Бушиятოვ*, 1986:165). მას ხვარაზმელთა საფრთხე ჯერ კიდევ არ ემუქრებოდა და ჯალალ ად-დინის წინაშე მეგობრობის დადასტურებით ცდილობდა, რომ ხვარაზმ-შაჰის ენერგია ქრისტიანული საქართველოსა და ხლათის აიუბიანთა წინააღმდეგ⁸ წარემართა.

ალ-აშრაფმა ჯალალ ად-დინის მიმართვას არ უპასუხა, მაგრამ მისი პოზიცია ხვარაზმ-შაჰისთვის აღარ იყო მნიშვნელოვანი. სულტანს უკვე ჩაფიქრებული ჰქონდა ალ-აშრაფის სამფლობელოს ანექსია. ამ მიზნის განსახორციელებლად მას თავის მოკავშირედ ალ-აშრაფის ძმა, დამასკოს გამგებელი ალ-მალიქ ალ-მუ'აზ-ზამი ეგულებოდა. ამ უკანასკნელმა ჯალალ ად-დინთან კავშირი ჯერ კიდევ 619/1222 წ. დაამყარა (*Бушиятოვ*, 1986:162). 1225 წ. ბაღდადზე წარუმატებელი ლაშქრობიდან მობრუნებულ ხვარაზმ-შაჰს მიემხრო ირბილის მფლობელი ბეგთეგინიანი მუზაფფარ ად-დინ გოქბურიც, რომელიც თავის მხრივ ამიღისა და მარდინის ართუციან ამირებს დაუკავშირდა. დამასკოს გამგებლის მხარდაჭერა დიდი იყო. 1226 წ. მან დაიწყო სამხედრო ოპერაციები ცენტრალურ სირიაში ჰომსისა და ჰამას დასაკავებლად, ხოლო მუზაფფარ ად-დინ გოქბური თავის მოკავშირეებთან ერთად ამოქმედდა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში (*Humphreys*, 1977:178-80). ალ-აშრაფი ჯალალ ად-დინის მომხრეთა პირისპირ მართლდმართო დარჩა. 1226 წ. სექტემბერში ის ალ-მუ'აზ-ზამთან ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით დამასკოში გაემგზავრა, მაგრამ დამასკოს გამგებელმა დააკავა ძმა და ალ-აშრაფმა ალ-ჯაზირაში დაბრუნება მხოლოდ 1227 წ. მაის-ივნისში შეძლო. 1226 წ. ნოემბერში ჯალალ ად-დინი შეიქრა ვანის ტბის რეგიონში და იერიში მიიტანა ხლათზე, რომელსაც იცავდა ალ-აშრაფის ნაცვალი ჰაჯიბი 'ალი. დეკემბერში ზამთარმა და ივას ტომის თურქმენთა თავდასხმებმა აზერბაიჯანში აიძულეს ხვარაზმ-შაჰი ალყა მოეხსნა ხლათისთვის. შემდეგ მთელი მისი ყურადღება მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლამ მიიპყრო. ამასობაში, 1227 წ. ოქტომბერში ალ-მუ'აზ-ზამი გარდაიცვალა და ფრიდრიხ II-ის ხელმძღვანელობით დაწყებულ ჯვაროსანთა ახალი ლაშქრობის პირობებში ალ-აშრაფმა და სულტანმა ალ-ქამი-ლმა დამასკოს დასაუფლებლად ერთობლივი ბრძოლა დაიწყეს. 1229 წ. ივნისში ალ-აშრაფი დამასკოს გამგებელი გახდა და ამავე დროს შეინარჩუნა ვანის ტბის რეგიონიც (*Humphreys*, 1977:206,214-15 და შმდ.), მაგრამ ის აღარ დაბრუნებულა ხლათში, სადაც მისი მეუღლე თამთა (ქერჯიმა) იმყოფებოდა. ხლათს ფაქტობრივად განაგებდა ჰაჯიბი 'ალი, რომელიც შეუპოვრად ებრძოდა ხვარაზ-

⁸ 1228 წ. ქაი-ყუბადი აქეზებდა ჯალალ ად-დინს აიუბიანთა მტრობისაკენ და პირდებოდა დახმარებას მათ წინააღმდეგ ბრძოლაში (ან-ნასავი, 1973:216).

მელეზს. ის სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას აიუბიანებს საქართველოში ხვარაზმელთა მოქმედებების შესახებ. ასე, მაგალითად, ჰაჭიბი 'ალი ჭალალ ად-დინის მიერ თბილისის აღების გარდა აღ-აშრაფს ატყობინებდა გაგის ციხის გარემოცვის ამბავსაც 626/1228-29 წ. (მუჰ.ალ-ჰამაჟი, 1982:176), მაგრამ ხვარაზმელებთან ბრძოლებში აიუბიანთა და ქართველთა სამხედრო ძალები გათიშულნი აღმოჩნდნენ. საერთო მტრის წინააღმდეგ მათი გაერთიანება არ მოხერხდა მაშინაც კი, როცა ხვარაზმელებმა საბრძოლო ოპერაციები ვანის ტბის რეგიონში გადაიტანეს და ხლათს დაემუქრნენ. მართალია, ბოლნისის ბრძოლაში, რომელიც გაიმართა 1228 წ. მიწურულს, ან 1229 წ. დაბდეგს, ჯუჯეინი (და ამ უკანასკნელის მიხედვით რაშიდ ად-დინიც) ქართველთა ჯარში ასახელებენ სირიელსა და რუმელ მოკავშირეებსაც (ჯუჯეინი, II, 1958:439; ჯუჯეინი, 1974:35; რაშიდ ად-დინი, II, 1960:27-28), მაგრამ აიუბიანთა და მცირე აზიის სელჩუკთა მონაწილეობა ამ ბრძოლაში, რაც ქართულმა და არაბულმა წყაროებმა არ დააფიქსირეს, იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით საეჭვოა (ფარცვანია, 1979:123).

ჭალალ ად-დინის შემოსევებმა განაპირობეს ცვლილებები საქართველოს მეზობელი მცირე პოლიტიკური ერთეულების ორიენტაციაში. აღ-აშრაფს განუდგნენ მისი ვასალები სურმარის საამიროს გამგებლები შარაფ ად-დინ უზდერე და ჰუსამ ად-დინ ჰიდრი. მათ ჭალალ ად-დინს ჯერ კიდევ გარნისის ბრძოლამდე (1225 წ. აგვისტო) გამოუცხადეს მორჩილება, რითაც შეინარჩუნეს თავიანთი სამფლობელო. გარნისის ბრძოლის შემდეგ კი, როცა ხვარაზმ-შაჰმა ლაშქარი გაგზავნა "აზნაზთა ქვეყნის ჟვიდურესი ხაზდერებისაგან", სურმარის ამირებმა მეგზურის როლი იკისრეს და თავი გამოიჩინეს საქართველოს აოხრებაში (ან-ნასავი, 1973:160-61).

ხვარაზმელთა შემოსევების დროს ნეიტრალური პოზიცია ეკავა არზინჯანის საამიროს, რომელიც ბასიანის ბრძოლის შემდეგ საქართველოს მოხარკე გახდა, მაგრამ ამირა ბაჰრამ-შაჰის გარდაცვალების (1225 წ.) შემდეგ მისი დამოუკიდებელი არსებობის დღეები დათვლილი იყო. 1227 წ. სულტანმა ქაი-ყულადმა ბაჰრამ-შაჰის ვაჟს 'ალა ად-დინ და'ულ-შაჰს არზრუმზე ლაშქრობაში დახმარება მოსთხოვა და როცა და'ულ-შაჰი გამოცხადდა მასთან, სულტანმა დააპტირა იგი და არზინჯანი რუმის სასულტნოს შეუერთა (იმნ ალ-ასნაბი, XII:478). იმდროინდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს სამეფო კარმა ვერ შეძლო რაიმე რეაქცია მოეხდინა ქაი-ყულადის აქციაზე.

ზემოთ ვნახეთ, რომ მონღოლთა პირველი შემოსევის დროს საქართველოს სამხედრო ძალით დახმარება აღმოუჩინა მისმა ვასალმა არზრუმის საამირომ. რუსუდანის ქორწინება არზრუმის ამირას ვაჟთან თითქოსდა იძლეოდა იმის გარანტიას, რომ საქართველოს სამეფო კარი საჭიროების შემთხვევაში მომავალშიც გამოიყენებდა არზრუმელთა ლაშქარს, მაგრამ 1225 წლიდან ვითარება ამ მხრივაც შეიცვალა. მულის ად-დინ ტულრილ-შაჰი გარდაიცვალა და ტახტი დაიკავა მისმა ძემ აბუ ლ-ფათაჰ ჯაჰან-შაჰმა. ხვარაზმელთა შემოსევის დროს საქართ-

ველომ დაკარგა კონტროლი არზრუმზე. რუმის სულტნისაგან დაშინებული ჯაპან-შაჰი ალ-ამრაფის ვასალი გახდა (იბნ ალ-ასირი, *XII*:479; მუჰ. ალ-ჰამაჯი, 1982:175; ან-ნასაჯი, 1973:246). მოგვიანებით, 1230 წ. მან ჯალალ ად-დინის მხარე დაიჭირა, თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში არზრუმის ამირას მონაწილეობა არ მიუღია.

საქართველოს ძვირად დაუჯდა თბილისელ მუსლიმთა გარკვეული წრეების ლალატი, რაც დასტურდება ქართული, სომხური და არაბული წყაროებით (იფ, *II*, 1959:175; ვიზაჯ. განმაკუთხე: 149-50; იბნ ალ-ასირი, *XII*:451). თუ გარნისის კატასტროფაში გადამწყვეტი აღმოჩნდა ქართველი მხედართმთავრების ივანე მხარგრძელისა და შალვა ახალციხელის შეუთანხმებელი და უპასუხისმგებლო მოქმედება, თბილისის დაცემაში (1226 წ. 9 მარტი) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადგილობრივ მუსლიმთა გამცემლობამ (თარცვანია, 1976: 41-43).

‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი იუწყება, რომ გარნისის ბრძოლაში ქართველთა ჯარში ხვარაზმელთა წინააღმდეგ შალვა ახალციხელის მეთაურობით იბრძოდნენ თურქმენებიც (‘ამდ ალ-ლატიფ ალ-მაღდადი: 123; ჯათვარიძე, 1980:137). ისინი, შესაძლოა, იყვნენ გელაქუნის ტბის მიდამოებში ჩამოსახლებულნი და უკვე საქართველოს სამეფოს ქვეშევრდომი თურქმენები, ანდა მოქირავნეები აზერბაიჯანში მომთაბარე ივან თურქმენული ტომიდან, რომელიც მტრობდა ხვარაზმელებს (იბნ ალ-ასირი, *XII*:462; ან-ნასაჯი, 1973:172, 374-75). ამას გარდა, ჯალალ ად-დინთან ბრძოლებში საქართველოს ხელისუფალნი იყენებდნენ ყიფჩაღთა და ჩრდილოკავკასიელთა დაქირავებულ რაზმებსაც, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის. ხვარაზმელთა შემოსევების დროს საქართველო ფაქტობრივად სამხედრო-პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა. აიუბიანებმა და მცირე აზიის სელჩუკებმა შეძლეს გამოენახათ საერთო ენა ჯალალ ად-დინის ასალაგმად, მაგრამ საქართველოს დახმარება მათ არ დასჭირდათ. ქრისტიანული საქართველოსა და მეზობელი ისლამური ქვეყნების გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ არ მოხერხდა.

იასნი-ჩიშმინის ბრძოლა და მისი შედეგები საქართველოსთვის

1230 წ. 14 აპრილს წლინახევრის ალყის შემდეგ ჯალალ ად-დინმა აიღო ხლათი (*Boyle, 1968:333*). მთელი ამ ხნის მანძილზე ქალაქი საკუთარი ძალების იმედზე იყო. ალ-ამრაფის მისთვის რაიმე ეფექტური დახმარება არ გაუწევია. ხლათის აღების შემდეგ ვარაზმ-შაჰს ტყვედ ჩაუვარდა ალ-ამრაფის ორი ძმა და, რაც მთავარია, მისი მეუღლე თამთა (ალ-ქურჯიმა). ჭუვეინის ხატოვანი თხრობით, "როცა ზეციის ჯემშიდმა შამისკენ გამგზავრება განიზრახა, მეფეთა მზემ (ჯალალ ად-დინმა — გ.წ.) ვახშმის ხუფრაზე გამლილ ტკბილეულს მიაშურა, აივანზე ავიდა და ივანეს ქალიშვილთან, რომელიც მალიქ ამრაფის მეუღლე იყო, გაატარა დამე" (ჭუვეინი, *II*, 1958:445; ჭუვეინი, 1974:39).

ჯალალ ად-დინმა ხლათში დიდძალი სიმდიდრე იგდო ხელთ, მაგრამ ეს იყო მისი უკანასკნელი წარმატება. ხლათის დაცემამ უღარესად შეაშფოთა რუმის სულტანი ქაი-ყუბადი. გარდა ამისა ჯალალ ად-დინს ეახლა და დახმარება აღმოუჩინა არზრუმის ამირამ ჯაჰან-შაჰმა (მუჰ.ალ-ჰამაჟი, 1982:185; იმ8 ალ-ასირი, XII:489), რომელიც ადრე ალ-აშრაფის ვასალი იყო. ეს ახალი ალიანსი საფრთხეს უქმნიდა რუმის სასულტნოს. ქაი-ყუბადმა ელჩები გაუგზავნა ხეარაზმ-შაჰს და ითხოვა ნებართვა არზრუმის დაკავებისა, მაგრამ პასუხი უარყოფითი იყო (ან-ნასაჟი, 1973:246-47). მაშინ ქაი-ყუბადი აიუბიანთა სულტანს ალ-ქამილს დაუკავშირდა და მოუწოდა ერთობლივი ძალით გამოსულიყვნენ ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ. ის წერდა, რომ ხეარაზმ-შაჰის შეჩერება მახვილის გარეშე შეუძლებელი გახდა და რომ მათ ახლა მხოლოდ ისღა რჩებოდათ, სიტყვები და საქმეები შეეთანხმებინათ და ისე დაეცვათ საკუთარი სახელმწიფოები (ალ-ნასაჟი, 1973:247).

ალ-ქამილმა დააკმაყოფილა ქაი-ყუბადის თხოვნა. მისი მითითებით სირიის აიუბიანთა სამხედრო ძალები (5 ათასი მხედარი) ალ-აშრაფის მეთაურობით დიდიხნენ სივასისაკენ, სადაც ისინი უნდა შეერთებოდნენ ქაი-ყუბადის 20 ათასიან ლაშქარს, რომლის შემადგენლობაშიც სელოჩუკების გარდა იყვნენ კილიკიელი სომხები და ფრანკი მოქირავნეებიც (ვირაჟ. განმარტები: 151; Boyle 1968:334; Cahen, 1968:129). ჯაჰან-შაჰი ამოდ აფრთხილებდა ჯალალ ად-დინს არ დაეშვა მოკავშირეთა ძალების გაერთიანება. ავადმყოფობის გამო ხეარაზმ-შაჰმა ეს ვერ მოახერხა, ხოლო 1230 წ. 10 აგვისტოს კი, არზინჯანის დასავლეთით იასი-ჩიმენთან მომხდარ ბრძოლაში მან სასტიკი მარცხი განიცადა და ხლათისკენ დაიხია.⁹

იასი-ჩიმენთან ბრძოლაში, რომელშიც, როგორც ფიქრობენ, გადამწყვეტი როლი ითამაშეს სირიის ჯარებმა (Cahen, 1968:130), დაიღუპა და ტყვედ ჩაეპარდა მრავალი ხეარაზმელი. დატყვევებულთა შორის იყვნენ არზრუმის გამგებელი ჯაჰან-შაჰი, მისი სიძე და ძმა. ჯაჰან-შაჰი მოგვიანებით სიკვდილით დასაჯეს (ან-ნასაჟი, 1973:257; მუჰ.ალ-ჰამაჟი, 1982:210-11). დაღუპულთა შორის მუჰამად ალ-ჰამაჟი ასახელებს ულთას, ე.ი. ოლთისის მფლობელს (ხაჰიბ), რომელიც ხეარაზმ-შაჰის მხარეზე იბრძოდა (მუჰ. ალ-ჰამაჟი, 1982:209). მისი ვინაობა უცნობია. ის უნდა იყოს ოლთისის ქართველი გამგებელი, რომელიც ჯალალ ად-დინს მიემხრო.

იბნ ბიბი მოგვითხრობს, რომ იასი-ჩიმენის ბრძოლის შემდეგ ქაი-ყუბადმა

⁹ ბრძოლის ველიდან ლტოლვილმა 1500 ხეარაზმელმა მიიღწია ტრაპიზონს (ბარ ჰებრუსი, 1932:395; იბნ ალ-იბრი: 246; მუჰ. ალ-ჰამაჟი, 1982:210). ფალმერაიერი თვლიდა, რომ ამ დროს ხეარაზმ-შაჰსა და ტრაპიზონს შორის არსებობდა კავშირი (Fallmerayer, 1827; ავალიშვილი, 1989ბ:76). ასევე ფიქრობს ასავეილისი (Savvies, 1981:170,177, შენ. 4). მაგრამ ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ, რის საფუძველსაც არ იძლევა ჩვენს მიერ აქ დასახელებული ბარ ჰებრუსის და მუჰამად ალ-ჰამაჟის ცნობები, იხ.: Жаворонков, Шукуров, 1987:177.

ხელთ იგდო არზრუმში, შემდეგ კი მან ალ-ამრაფი სომხეთზე სალაშქროდ მოამზადა და ამასთან, მას ოლთისი და კიდევ რამდენიმე ციხე-სიმაგრე სამფლობელოდ დაუტოვა (იხმ მიმი: 174; შენგულია, 1975:96). იქნება შთაბეჭდილება, რომ მანამდე ოლთისის რუმის სულტანი ფლობდა. ნ.შენგულია ვარაუდობს, რომ ჭიყუბადმა ოლთისი დაიკავა მას შემდეგ, რაც 1226 წ. ანატოლიაში დაიპყრო კაპთა, ჩემიშ-ქეზეკი, დიარ-ბაქრი, ჰაპუ და სხვა ციხეები. ოლთისისა და სხვა ქართული ციხე-სიმაგრეების დაპყრობას მკვლევარი 1226-1231 წლებში ათავსებს (შენგულია, 1975:96). უნდა აღინიშნოს, რომ იბნ ბიბი მცირე აზიის სელჩუკთა აბოლოგეტია და ის ცდილობს განადიდოს ჭიყუბადი და დააკინოს ალ-ამრაფი. ეს მაშინ, როცა აიუბიანის გარეშე ჭიყუბადი, ალბათ, ვერც გაბედავდა ხეარაზმელებთან ომს. როცა ხლათზე დაიძრა, ალ-ამრაფმა ჭიყუბადისგან დახმარება მიიღო, მაგრამ რუმის სულტნის ნებართვა მას არ ესაჭიროებოდა. მუჰამად ალ-ჰამავი მოგვითხრობს, რომ არზრუმში მოკავშირეები ერთად შევიდნენ (თუმცა იმასაც ფიქრობენ, რომ არზრუმი ალ-ამრაფმა დაიკავა) (Humphreys, 1977:219-20). ამის შემდეგ ალ-ამრაფმა დაათვალიერა ის ციხეები, რომლებიც ადრე ქართველებმა წაართვეს ხლათს. რამდენიმე ციხიდან მან შეარჩია და დაიკავა მხოლოდ ერთი, ყველაზე საუკეთესო — ულთას, ე.ი. ოლთისის ციხე (შუჰ.ალ-ჰამავი, 1982:213).

როგორც ვხედავთ, ოლთისის ციხე 1230 წლისთვის ქართველებს ეჭირათ. ალ-ამრაფს ის ჭიყუბადისგან არ მიუღია სამფლობელოდ. უფლება ამ ციხე-ქალაქზე მან მოიპოვა ხეარაზმელებზე გამარჯვების შემდეგ. მის უფლებას აძლიერებდა ისიც, რომ ადრე ოლთისი ხლათს (შაჰ-არმენთა სახელმწიფოს) ეკუთვნოდა. ამრიგად, 1230 წელსვე ტაოს ეს უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქი აიუბიანთა ხელში აღმოჩნდა. მოუხედავად მუჰამად ალ-ჰამავის მითითებისა, ოლთისი არ იყო ერთადერთი ციხე, რომელიც ალ-ამრაფმა ტაოში დაიკავა. მასთან ერთად იყო სხვა ციხეებიც, რის შესახებაც წერს იბნ ბიბი. ამის დამადასტურებელი ცნობა იკავებდა კუტბ ად-დინ ალ-იუნინის. ის მოგვითხრობს, რომ XIII ს. 60-იანი

უბის მიწურულში აბალა-ყაენის ჯარი, თეგუდარის დამარცხების შემდეგ შეიჭრა სამხრეთ საქართველოში, სარგის ჯაყელის სამფლობელოში და აიღო ოლთისის, მამრივანისა და ბარქრის ციხეები, რომლებიც ადრე ქართველებს წაუერთმევიათ ალ-ადილის ძისათვის, ალ-მალაქ ალ-ამრაფისათვის (ალ-იუნინი, II:411; იხმ ად-დაჟადარი, VII:141; *Буниятов*, 1972:130,131). ამ ციხეთაგან, ოლთისის გარდა, ტაოშია მამრივანი (მამრივანი, ნარიმანი, ნამირვანი) — ოლთისის სამხრეთით, ოლთისის წყალზე, იმ გზაზე, რომელიც საქართველოს ყელით არზრუმის ველისკენ მიემართებოდა. 1230 წ. ვფიქრობთ, ალ-ამრაფი ოლთისის გარდა დაეუფლა მამრივანსაც.

არზრუმიდან ალ-ამრაფი ხლათისკენ დაიძრა. გზად ის მანასკერტში შეჩერდა, სადაც შეიტყო, რომ ჯალალ ად-დინს უკვე დაეტოვებინა ხლათი. აქვე მან მიიღო მილოცვა ივანე მხარგრძელისგან. მუჰამად ალ-ჰამავი იუწყება, რომ "ივანემ

ალ-აშრაფს გაუგზავნა ხმალი, რადგანაც ქართველებს წესად აქვთ, თუგი გაიმარჯვებს მეზობელი, მას მახვილი გაუგზავნონ¹⁰ (მუჰ. ალ-ჰამაჟი, 1982:220).

ხლათი ალ-აშრაფს გაძარცვული და აოხრებული დახვდა. აქედან მან გააბა საზავო მოლაპარაკება ჯალალ ად-დინთან. საბოლოო შეთანხმებით მათ აღადგინეს თავიანთი სამფლობელოების უწინდელი საზღვრები. ალ-აშრაფის დაჟინებული მოთხოვნით ხვარაზმ-შაჰმა დათმო სურმაჩი, რომლის ამირა ჰუსამ ად-დინ ჰიდრი და მისი ვაჟი, ხლათისთვის მიყენებული ზარალის გამო ალ-აშრაფმა დაიჭირა და დამასკოში გადაგზავნა (მუჰ. ალ-ჰამაჟი, 1982:219). 628/1230-31 წ. ალ-აშრაფმა გააუქმა აჰმადიანთა საამირო, რომლის გამგებელმა ჯალალ ად-დინის გულმონყალებით შეინარჩუნა ძალაუფლება (მუჰ. ალ-ჰამაჟი, 1982:218) და იგი თავის ძმას მიჰაბ ად-დინ ლაზის გადასცა. მოგვიანებით, აზერბაიჯანში მონღოლთა გამოჩენით შეშფოთებულმა ჯალალ ად-დინმა გაანთავისუფლა ალ-აშრაფის ძმები, მაგრამ თავისთან დაიტოვა თამთა, რომელიც შემდეგ მონღოლებს ჩაუვარდა ხელთ.¹¹ იასი-ჩიმენის ბრძოლამ გარკვეულად შეცვალა ძალთა თანაფარდობა საქართველოს სამეფოს სამხრეთ საზღვრებთან. ალ-აშრაფმა აღადგინა თავისი ბატონობა ხლათზე და შექმნა პლაცდარმი ტაოში. კიდევ უფრო გაძლიერდა რუმის სასულტნო. ჭაი-ყუბადმა მოახდინა არზრუმის საამიროს ანექსია. როგორც აიუბიანთა, ისე მცირე აზიის სელჩუკთა გაძლიერება სახიფათო იყო საქართველოს სამეფო კარისათვის. სამაგიეროდ ჯალალ ად-დინის მარცხი და მისი სამხედრო ძალის შესუსტება უეჭველად შევების მომტანი იქნებოდა მისთვის.

3. საქართველო, აიუბიანები და რუმის სასულტნო XIII ს. 30-იანი წლების დასაწყისში

მართული დიპლომატია მონღოლთა ხელახალი გამოჩენის პერიოდში

628/1230—31 წ. აზერბაიჯანში მონღოლები შეიჭრნენ. ჯალალ ად-დინი, რომელიც ჩორმალან-ნონთან ბრძოლაში დამარცხდა, არრანში გადავიდა, აქ ერთ ხანს განჯაში შეჩერდა, სადაც ჩააქრო ანტიხვარაზმული აჯანყება და შემდეგ

¹⁰ ამრიგად, ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ იენე მხარგრძელი არ გარდაცვლილა 1227 წ. (სტ. ორბელიანი, 1976:64. *Brosset*, 1850:500, შენ.1). ის იხსენიება 1232 წ. გადაწერილ ერთი სომხური სახარების ანდერძ-მინაწერსა და ყარსის ციხის 1234 წ. წარწერაშიც (აბდლაძე, 1975:103, შენ.11; *Орбели*, 1963ბ:471).

¹¹ თამთა მოგვიანებით ყარა-ყორუმში მოხვდა, საიდანაც რუსულანის მიერ გაგზავნილმა ელჩმა ჰამადოლამ დაიხსნა. თამთა 643/ 1245-46 წ. მონღოლთა ყაენის იარაღით დაბრუნდა უკან, როგორც ხლათისა და მისი ოლქის გამგებელი. ალ-აშრაფი ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო (გარდ. 1237 წ.). თამთამ შეუთვალა მის ძმას, მთავაროქინის მფლობელს შიჰაბ ად-დინ ლაზს: « შე ვიყავი შენი ძმის ცოლი. ყაენმა მე მიბოძა ხლათი და თუ კი დაქორწინდები ჩემზე, ეს ქვეყანა შენი იქნება, მაგრამ ლაზიმ არ

ხლათისა და მიათფარიკინისკენ გაემართა. სულტანი შემოვლითი გზით ისფაჰანში აპირებდა წასვლას, მაგრამ 1231 წ. აგვისტოში მონღოლთა მდევარმა მისი რაზმი გაანადგურა და მალე ჯალალ ად-დინიც მიათფარიკინის მახლობლად მთებში მოკლეს. მონღოლებმა ჩრდილოეთ მესოპოტამიის მრავალი ქალაქის სანახები დაარბიეს და შემდეგ ვანის ტბის რეგიონისკენ მობრუნდნენ. "ზოლო მო-რა-იქცეს თათარნი ზუარაზმელთა დევნისაგან, მიერ წარვიდეს და მოაოკრეს ქუეყანა ზლათისა და ვალაშკერტისა" (ქამთაღმწერელი, ძვ, II, 1959:186; იმნ ალ-ასირი, XII: 499-501). იმნ ალ-ასირი მიუთითებს, რომ მათ 628 წ. ზულ-ჰიჯას თვეში/30. IX-28. X. 1231 წ. აიღეს და მოაოხრეს ხლათის მხარის ქალაქები ბერქრი და არქეში (იმნ ალ-ასირი, XII:500). ამის შემდეგ "თათარნი წარვიდეს ადარზადაგანს, და ზავნი იქმნეს თავრეველთა შორის და თათართა, და აღიდეს თავრეკი და მიმდგომი მისი ქუეყანა". ჰიჯრის 628 წ. მიწურულშივე, ე.ი. 1231 წ. ოქტომბერში აზერბაიჯანიც დაპყრობილ იქნა (ძვ, II, 1959: 186; იმნ ალ-ასირი. XII: 500; *Петрушевский*, 1970: 225). აბულ-ფარაჯ ბარ ჰებრუესი იმასაც კი წერს, რომ 1231 წ. თათრებმა ქართველებიც დაიმორჩილეს (მარ ჰუმბოლტი, 1932:396). ჩანს, ასეთი ხმა იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელდა და ასახავდა ქართველ პოლიტიკოსთა შიშს მონღოლთა მოახლოებული საფრთხის გამო. ასეთ პირობებში საქართველოს სამეფო კარმა შესაძლებლად ჩათვალა ერთხელ კიდევ შეეთავაზებინა მონღოლთა წინააღმდეგ კავშირი ალ-ამრაფისათვის, რომელიც 1231 წ. მარტში დამასკოში დაბრუნდა და ცოტა ხნის შემდეგ კაიროს გაემგზავრა.

ეგიპტელი ისტორიკოსი იმნ ად-დავადარი მოგვითხრობს, რომ ჰიჯრის 628/9.XI.1230 - 28.X.1231 წ., უფრო 1231 წ.ზაფხულში, "როდესაც ალ-ვაჰაჰ-ჰლავანის მედ ცნობილმა (მა'რფუფ) ქართველთა მალიქმა შეიტყო, რომ თათრები მის წინააღმდეგ მიემართებოდნენ, ალ-მალიქ ალ-ამრაფს მოციქული გაუგზავნა იმ მიზნით, რომ თათრების [წინააღმდეგ] გასაერთიანებლად შეთანხმებულიყვნენ. მაგრამ მათ შორის შეთანხმება არ მოხდა იმის გამო, რომ ალლაჰმა, დიდებულიც არის იგი და ძლიერი, ამ ხალხის [თათრების] გაბატონება ისურვა" (იმნ ად-დავადარი, VII:304).

ფაჰლავანის ძე, ჩანს, შერქვეულ სახელია. მას ატარებდა რომელიღაც ქართველი დიდებული (მალიქ), რომლის ვინაობაც არ ვიცით. დასაშვებია ისიც, რომ ამ სახელს არაბი ისტორიკოსი ამახინჯებს. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარი არის ის, რომ მას ჰქონდა საქართველოს სამეფო კარის სანქცია მოლაპარაკება ეწარმოებინა ალ-ამრაფთან. სამწუხაროდ, აიუბიანმა არც ამჯერად ისურვა ქართველებთან კავშირი. მას და სულტან ალ-ქამილს სხვა ინტერესი გაუჩნდათ. ეს იყო დიარ-ბაქრში ლაშქრობა

უპასუხა. შემდეგ თამთამ აცნობა მას, რომ მიდიოდა მიათფარიკინის დასაკავებლად, მაგრამ ლაზიმ არც ამჯერად უპასუხა (კირაკ.განძაქეცი: 182;სიბტ ბ. ალ-ჯაუზი, 1952:

და ამიღისა და ჰისნ-ჭაიფას ართუკიანთა სამფლობელოს ანექსია.

მუჰამად ალ-ჰამავი მოგვითხრობს, რომ ჰიჯრის 629 წ. ზამთარი, ე.ი. 1231 წ. დეკემბერი და 1232 წ. იანვარ-თებერვალი მონღოლებმა მულანში გაატარეს, საიდანაც ახორციელებდნენ მარბიელ ლაშქრობებს და აიღეს განჯა (მუჰ. ალ-ჰამავი, 1982:232). განჯის აღება 1231-32 წ. დასტურდება ქართული და სომხური წყაროებითაც (ქამთააღმწერელი, ძვ, II, 1959:184-85; მთვიაშვილი, 1961:100; *Минаидян*, 1943:79-80). ქამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ მონღოლები, მას შემდეგ რაც შეწყვიტეს ხვარაზმელთა დევნა და დაიმორჩილეს აზერბაიჯანი, "მეორესა წელსა წარვიდეს ბარდავს, განძას და მულანს და მუნ იწყეს რბევად და ოკრებად საქართველოხა"(ძვ, II, 1959:186; მტრ. სილაგამე, 1992:58).

მონღოლთა სხვა ლაშქარი განჯის აღების შემდეგ ჩრდილოეთ მესოპოტამიისკენ გაემართა. ჰიჯრის 629 წ. ჯუმადა ალ-ახირას თვეში /6.IV - 4.V.1232 წ. აიუბიანთა სულტანს ალ-ქამილს დამასკოში აცნობეს ხლათის მხარეში მონღოლთა შეჭრის შესახებ. შემფოთებული სულტანი აიუბიანთა გაერთიანებული ძალებით სწრაფად დაიძრა ჩრდილოეთისაკენ. ის ჯერ სალამიაში დაბანაკდა, მერე კი ალ-ბარიასკენ გაემართა. აქმას ეახლა მრავალი ხელმწიფის, მათ შორის ქართველთა მეფის ელჩიც (იბნ ად-ფაჟადარი, VII:305; ალ-მაჯრიზი, I/1:281-82). უეჭველია, რომ რუსულდანი აიუბიანთაგან მონღოლთა წინააღმდეგ მხარდაჭერას ითხოვდა, მაგრამ ქართულ დიპლომატიას ამ შემთხვევაშიც მარცხი ელოდა. 629 წ. რამადანში /21.VI - 20.VII.1232 წ. ქაპარანში მისულ ალ-ქამილს აცნობეს, რომ მონღოლებმა დატოვეს ხლათი. მის დაცემას თითქმის აღარაფერი უკლდა, მაგრამ სულტნის მოახლოებით დაშინებულმა მონღოლებმა მიატოვეს ის (მუჰ. ალ-ჰამავი, 1982:235; ალ-მაჯრიზი, I/1:283; *Gottschalk*, 1958:195). აიუბიანებმა ერთხელ კიდევ დაკარგეს ინტერესი მონღოლებისადმი. საქართველოს ხელისუფალთა ცდა აიუბიანებთან ერთად ანტიმონღოლური ფრონტის შეექმნისა კიდევ ერთხელ დამთავრდა უშედეგოდ. ეს იყო მათი უკანასკნელი შანსი. მალე, 1232 წ. ოქტომბერ-ნოემბერში ალ-ქამილმა ხელთ იგდო ამიდი და ჰისნ-ჭაიფა დიარ-ბაქარში, რამაც უაღრესად გააძწვავა მისი ურთიერთობები რუმის სულტანთან — ჭაი-ყუბადთან. აიუბიანები და მცირე აზიის სელოუკები, რომლებიც 1230 წ. აგვისტოში ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ გაერთიანდნენ, ახლა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მონღოლთა ახალ შემოსევებს მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო გათიშული დახვდა. ხვარაზმელებთან ბრძოლებში დასუსტებული საქართველო მოკავშირის გარეშე, მარტოდმარტო აღმოჩნდა მონღოლთა წინაშე, რომლებმაც მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროების — ვარამ გაგელის სამფლობელოების დარბევა დაიწყეს (სილაგამე, 1992:58 და მმდ.). ამ უმძიმეს ვითარებას დაერთო საქართველოს წინააღმდეგ რუმის სასულტნოს ექსპანსია.

იბნ ბიბის ცნობით, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ნ.შენგელიამ შემოიტანა, 629/1231-32 წ. მონღოლთა ერთი ნაწილი ჩორმაღან-ნოინის მეთაურობით, საქართველოს დედოფლის რუსუდანის წაქეზებით, რუმის სასულტნოში შეიჭრა და სივასის სანახებში ფუსერის მოსახლეობა დაარბია (იბნ მიმი: 175; შენგელია, 1975:97). მემატანე მონღოლთა ამ ლაშქრობის თვეს არ ასახელებს და მის შესახებ არც არაბი ისტორიკოსები გვაწვდიან რაიმე ცნობას. ვფიქრობთ, რომ ეს ამბავი 1232 წ. ან ზაფხულის მიწურულს, ან შემოდგომის დამდეგს მოხდა, რადგანაც მონღოლები შემდეგ მულანში დაბრუნდნენ, სადაც ჩვეულებრივ ზამთარს ატარებდნენ ხოლმე.

რაგორც კი მონღოლთა რეიდის შესახებ აცნობეს, სულტანმა ქაი-ყუბადმა მტრის წინააღმდეგ აიკრა ქამალ ად-დინ ქამიარი წარუზავნა. სივასის მისადგომებთან ქამალ ად-დინმა შეიტყო, რომ მონღოლები უკუქცეულიყვნენ, მაგრამ მაინც გააგრძელა მსვლელობა არზრუმამდე, სადაც ამ მხარის გამგებლის მუბარის ად-დინ ჩაშნიგირის რჩევით შეჩერდა. აქ მას მზვერავებმა შეატყობინეს, რომ მონღოლები იუნუსის უღელტეხილით (დარბანდ-ი-იუნუს) მულანს წასულიყვნენ (იბნ მიმი:176). მათვე დამატებით აცნობეს მას, რომ სულტანის სამფლობელოში მონღოლების შეჭრაში საქართველოს დედოფლის შეგულიანებამ ითამაშა როლი. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სელჩუკებს საქართველოზე დაეწყოთ ლაშქრობა.

იბნ ბიბი არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა რუსუდანის მიერ მონღოლთა შეგულიანება-წაქეზება. კ.კაენი მიიჩნევდა, რომ ქართველებმა დახმარება აღმოუჩინეს დამპყრობლებს, შესაძლოა იძულებით, მაგრამ ეს შეესაბამებოდა მათ ტრადიციულ მტრობას თურქებთან. ამიტომ გადაწყდა, რომ მოახრებული პროვინციების ზარალის ასანაზღაურებლად სელჩუკებს შური ეძიათ მათზე (Cahen, 1968:130); სხვა ნაშრომში ის წერდა, რომ ქაი-ყუბადმა ქართველებს რამდენიმე სასაზღვრო ციხე წაართვა იმ საბაბით, რომ მონღოლთა რეიდი მის სამფლობელოში განხორციელდა ქართველთა ტერიტორიის გავლით (Cahen, 1970:817). ხ.მუსაევის თანახმად რუსუდანი მონღოლთა წაქეზებელი და მოკავშირე იყო (Mycaes, 1972:16). ნ.შენგელია აღნიშნავს, რომ რუსუდანმა „მოახერხა საქართველოს ორი მოსისხლე მტრის დაპირისპირება და ერთმანეთზე წასისიანება“ (შენგელია, 1975:99). შეიძლება ვიკამათოთ და ვიმსჯელოთ ამ შემთხვევაში რუსუდანის დიპლომატიურ ნიჭსა და ალლოზე (მღრ. სილაგაძე, 1992:61-62). ერთი მხრივ, როცა მონღოლები კარს იყვნენ მომდგარნი, მათთან მორიგება და რუმის სასულტნოსკენ მათი წარმართვა გამართლებული იყო. მეორე მხრივ, ფაქტია, რომ როცა მონღოლებმა თავიანთი მსვლელობა აღარ გააგრძელეს და უკან დაბრუნდნენ, მცირე აზიის სელჩუკებმა დალაშქრეს საქართველო.

სელჩუკთა სარდლები ქამალ ად-დინ ქამიარი და მუბარის ად-დინ ჩაშნიგირი

არ დაკმაყოფილდნენ სახელმწიფოს ყველა მხრიდან შეკრებილი მრავალმრიცხოვანი ქვეითი ჯარით და წამოიყვანეს 5 ათასი ჯირა-ხვარი, ე.ი. დაქირავებული მეომარი (იხმ მიმი: 176; *Bombaci*, 1978: 353) სააღყო მანქანა-იარაღებითურთ. მოკლე ხანში მათ საქართველოში 30-40 ცნობილი ციხე აიღეს.

6. შენგელია წერს, რომ სელჩუკები საქართველოს სამხრეთ ნაწილში შეიქრნენ (შენგელია, 1975:100). გასარკვევი რჩება, თუ კონკრეტულად რომელი მხარე დალაშქრეს მათ.

იბნ ბიბი სელჩუკთა მიერ აღებულ ციხეთა შორის ასახელებს მხოლოდ ორს: ნიხახს და ხახს. მათი იდენტიფიკაცია შესაძლებელია. ნიხახი მდებარეობდა არზრუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 45 კმ-ზე და თორთუმის დასავლეთით, მდ. ქოროხის მარჯვენა ნაპირზე. აქ მიუვალ კლდეზე ციხის ნანგრევები დაფიქსირებულია XIX ს. 70-იან წლებშიც (*Epuçoa*, 1883:83; ჯიფია, 1964:103). ხახი კი, ვფიქრობთ, არის სომხური და თურქული წყაროების ხახუ, იგივე ხახული. მაშასადამე, ირკვევა, რომ ჭაი-ყუბადის ჯარს დაურბევია და დაუპყრია იმერტაოს ნაწილი მაინც. ლაშქრობა შეიძლებოდა განხორციელებულიყო როგორც არზრუმის დაბლობიდან საქართველოს ყელის (გურჯი-ბოლაზი) გავლით, ისე სპეროდან.

რუსუდანი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა და ჭაი-ყუბადიც დათანხმდა. დატოვა თუ არა მან დაპყრობილი ციხეები — უცნობია. ზავის პირობები ითვალისწინებდა რუსუდანის ასულის, თამარის გათხოვებას ჭაი-ყუბადის ვაჟზე — ჭაი-ხუსრაულზე. ეს ქორწინება მოხდა 1237 წ., ჭაი-ხუსრაუს სასულტრო ტახტზე ასვლის შემდეგ¹² (*Brosset*, 1850:502; შენგელია, 1975:103, შგნ. 34). ნ.შენგელია მიიჩნევს, რომ ზავის პირობების ერთ-ერთი მუხლი აღბათ ითვალისწინებდა სელჩუკთა მხარეზე ქართველთა სამხედრო ძალების გამოყვანას (შენგელია, 1970:106). მართლაც, უკვე 1234 წ. ქართველთა შენაერთები მონაწილეობდნენ ჭაი-ყუბადის ბრძოლებში აიუბიანთა წინააღმდეგ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში და 1237 წ. კი შედიოდნენ იმ ლაშქარში, რომლის დაძვრასაც რუმის სულტანი აპირებდა ასევე აიუბიანთა წინააღმდეგ ამიდის დასაპყრობად (მაჩ ჰუმრაუსი, 1932:399,402). ეს ხდებოდა მაშინ, როცა საქართველოს სამეფო ხელისუფლება ვერ ახერხებდა ორგანიზებული წინააღმდეგობა გაეწია ქვეყანაში შემოჭრილ მონღოლთა ურდოებისთვის. ჭაი-ყუბადს, რომელმაც 1232 წ. ზავი თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა, ცხადია, საქართველოს ბედი არ აწუხებდა. მას

¹² თამარის მამა და ჭაი-ხუსრაუ ბიძაშვილები იყვნენ. კ.კეკელიძე მიუთითებდა, რომ თამარის მეფობის დროს საქართველოში ფეხმოკიდებული იყო ისეთი საეკლესიო პრაქტიკა, რომლითაც შეუძლებელია შეიძლებოდა ნათესაობის შექმნა ხარისხის შემდეგ, შემდეგ და შემდეგ ხარისხებში (კეკელიძე, 1936:120, აგრეთვე: ნადარეიშვილი, 1971:67). ამდენად, მართლმადიდებლური ქრისტიანული ნორმებით, დაუშვებელი უნდა ყოფილიყო თამარის გათხოვება ჭაი-ხუსრაულზე, მაგრამ პოლიტიკური ფაქტორები, ჩანს, ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. აქვე აღენიშნავთ, რომ მუსლიმური სამართლით ასეთი ქორწინება ნებადართულია.

არ გაუწევია რაიმე დახმარება რუსულდანიისთვის.

1233 წ. სულტანმა ჭაი-ყუბადმა მძიმე დარტყმა მიაყენა აიუბიანებს (რომლებმაც მანამდე მოახდინეს ამიღისა და ჰისნ-ჭაიფას ანექსია). ის შეიქრა ვანის ტბის რეგიონში და ადვილად დაიკავა ხლათი (*Gottschalk, 1958:212*). იმავე წელს მან ჩრდილოეთით ხელთ იგდო სურმარიც. უფრო ადრე, 1227-1230 წლებში, როგორც ვნახეთ, ჭაი-ყუბადმა დაიპყრო და გააუქმა არზინჯანისა და არზრუმის საამიროები. სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით საქართველოს უშუალოდ დაუმეზობლდა აგრესიული რუმის სასულტნო, რომლის აღმოსვლეთი საზღვრებიც აზერბაიჯანამდე აღწევდა. არზრუმი და არზინჯანი, ხლათი და სურმარი არცთუ დიდი ხნით ადრე საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ინტერესების სფეროში შედიოდა, მაგრამ ახლა, დაუძღურებულ ქვეყანას, რომლის საზღვრებსაც უკვე აოხრებდნენ მონღოლები, აღარ ძალუძდა პროტესტი გამოეთქვა რუმის სასულტნოს სამხედრო-პოლიტიკურ აქციებზე. ძნელი სათქმელია, თუ როგორ წარიმართებოდა მისი ურთიერთობები ამ ძლიერ მეზობელთან, რომ არა მონღოლთა შემოსევები. მონღოლთა ქარიშხლის წინაშე კი ორივე უძლეური აღმოჩნდა.

მონღოლთა დაპყრობითი ომების გამანადგურებელი შედეგები მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის კარგად არის ცნობილი. მძიმე იყო ისინი საქართველოსთვისაც. მაგრამ მონღოლთა შემოსევებს ერთი სპეციფიური თავისებურება ჰქონდა. წარმართი და შამანიستي მონღოლები, რომლებიც ებრძოდნენ ისლამურ (მათ შორის საქართველოს მოწინააღმდეგე) ქვეყნებს, მოკავშირეებად იყენებდნენ და ეყრდნობოდნენ ქრისტიანებს (*Петрушевский, 1970:230*). მალე საქართველო, რომელმაც ვერ გამოინახა საერთო ენა ისლამურ სამყაროსთან, ჩათრეული აღმოჩნდა მასთან ახალ, ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომებში, რომლებიც ილხანთა სახელმწიფომ გააჩაღა.

საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ოსლამური სამყარო: იდეოლოგიური ბრძოლა და მშვიდობიანი თანაარსებობა

თურქ-სელჩუკებმა ახალი სული შთაბერეს ორთოდოქსალურ ისლამს — სუნიზმს. მათ გაანადგურეს შიიტი ბუვეიჰიანები ირანსა და ერაყში, სძლოეს შიიტ ფატიმიანებს სირია-პალესტინაში და ენერგიულად ებრძოდნენ ისმაილიტებს. სუნიტი ავტორები ეძებდნენ მახლობელ აღმოსავლეთში თურქთა თითქმის ყოვლისმომცველი ბატონობის იდეოლოგიურ და თეოლოგიურ გამართლებას. მუჰამად ქაშღარი დაახლოებით 1072 წ. თავის წიგნში "დივან ლჟღათ ათ-თურქ" წერდა, რომ "თურქებს ღმერთმა უბოძა მეფობა, აქცია ისინი ებოქის ხელმწიფეებად, ჩააბარა მათი დროის ადამიანთა ხადავეები და გააბატონა კავობრიობაზე" (Lewis, 1974:195). რავენი მოგვითხრობს ხატიფზე, ზებუნებრივ იდუმალ ხმაზე, რომელმაც მექაში, ქაბას ტაძარში თითქოსდა ამცნო იმამ აბუ ჰანიფას (ჰანიფიტთა მანაბის ფუქემდებელს), რომ ვიდრე თურქებს მახვილი უპყრიათ, მისი სარწმუნოება არ გაქრებაო (Bosworth, 1981:33). რავენი იქვე დასძენს, რომ "არაბთა, ხპარსთა, ბიზანტიელთა და რუსთა მიწებზე მახვილი თურქების ხელშია და მათი მახვილის შიმი ყველას გულში მტკიცედ დამკვიდრებულა" (Bosworth, 1968: 15).

თურქ-სელჩუკები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სუნიტური ისლამის კონსოლიდაციას, ამავე დროს გამოვიდნენ ქრისტიანთაგან ისლამის სამყაროს დამცველთა როლში. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგაც მახლობელი აღმოსავლეთის თურქული პოლიტიკური ერთეულები წარმატებით ებრძოდნენ დასავლეთის ქრისტიანებსა და ბიზანტიას.

ქურთული წარმოშობის აიუბიანთა გამოსვლას მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე მოჰყვა თურქული ელემენტის როლის შემცირება, მაგრამ ეთნიკურ კუთვნილებას ისლამისათვის არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. აიუბიანთა აღზევება ნიშნავდა ორთოდოქსალური ისლამის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას. ისლამის მძლავრი იდეოლოგიური აპარატი ერთნაირად უჭერდა მხარს როგორც თურქ-სელჩუკებს, ისე აიუბიანებს, რომლებიც სუნიზმის დამცველებს წარმოადგენდნენ.

თურქ-სელჩუკების შემოსევების წინ ისლამის გავრცელების ძირითადი კერა

საქართველოში იყო თბილისის საამირო, რომლის ტერიტორიაც საკუთრივ თბილისით და მიმდებარე მხარეებით (მათ შორის ქ.რუსთავით) იფარგლებოდა. მუსლიმები, მოუხედავად იმისა, თუ როგორი იყო მათი ბატონობის პოლიტიკური ფორმები თბილისში, 1122 წლამდე მტკიცედ ინარჩუნებდნენ აქ თავიანთ პოზიციებს.

VIII ს. შუა ხანებიდან თბილისისადმი ინტერესს იჩენდნენ როგორც ზომიერი, ისე უკიდურესი შიიტური სექტები, რომლებიც ცდილობდნენ თავისი გავლენა მოეპოვებინათ ისლამის ამ სანაპირო ოლქში (სუფრ), მაგრამ, საბოლოოდ, აქ გაიმარჯვა ორთოდოქსალურმა ისლამმა — სუნიზმმა. იბნ ჰალკალი, რომელიც X ს. შუა ხანებში ესტუმრა თბილისს, წერს, რომ მისი მოსახლეობა (იგულისხმება მუსლიმები) წმინდა სუნას მიმდევარი იყო. საფიქრებელია, რომ თბილისის სუნიტებში სხვადასხვა მანაპის მიმდევართა შორის შეფიტები ქარბობდნენ. (ი. სიხარულიძე, 1976 ა: 36; გ.მერაბი, 1983:54-60; ჯათარბიძე, 1989ა:80,83-4, 87-8).

VIII ს. შუა ხანებში პირველად არის დაფიქსირებული და შემდეგ ხშირად გვხვდება ნიხბა ათ-თიფლისი (ათ-თაფლისი). მას ატარებდა არაერთი სუნიტი და შიიტი ღვთისმეტყველი, მუჰადისი, სამართლის მცოდნე (ფაჯიჰი), მეცნიერი და სხვ., რომლებიც თავიანთი მოღვაწეობის რომელიმე კუთხით დაკავშირებულნი იყვნენ თბილისთან. ადგილი ჰქონდა არამარტო მუსლიმთა მიგრაციას თბილისისკენ, არამედ მათ ემიგრაციასაც თბილისიდან ისლამური სამყაროს მძლავრ სავაჭრო-სახელოსნო და კულტურული ცენტრებისკენ (ი. სიხარულიძე, 1976 ბ:43-53; ჯათარბიძე, 1989ბ:77-88; 1990ა:65-78). თბილისის საამიროში გავრცელდა მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელი პოლიტიკური ინსტიტუტები (ვ.გამამიშვილი, 1964: 331-41). აქ იჭრებოდა არაბული მონეტები. თბილისის ამირებად იყვნენ სხვადასხვა არაბული საგვარეულოს წარმომადგენლები. IX ს. მიწურულიდან XI ს. 80-იან წლებამდე მას განაგებდა ჯა'ფარიანთა (ბანუ ჯა'ფარ) არაბული საგვარეულო.

საქარველოს გაერთიანების პროცესში, უკვე XI ს. 30-იანი წლებიდან დღის წესრიგში დადგა თბილისის შემოერთების საკითხიც, მაგრამ ბაგრატ IV-ის დონისძიებები ამ მიმართულებით უშედეგო აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა გადააადგეს ქალაქის განთავისუფლება მუსლიმთა ბატონობისაგან.

თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა ახალი იმპულსი მისცეს ისლამის გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე. 1064 წ. საქართველოში შემოჭრილ სულტან ალფ-არსლანს მიეგება ლორესა და ჭავჭავთის მოსახლეობა, რომელმაც "შიიღო მომდვრება [ქვემარბიტი] რწმენისა." გამუსლიმებულთა შორის იყვნენ ქართველი დიდებულებიც (ალ-ჰუსაინი: 23ა; შენგულია, 1968:229).

1067 წ. ალფ-არსლანის ხელახალი შემოსევის დროს მოხდა უპრეცედენტო

ფაქტი საქართველოს ისტორიაში: ისლამი მიიღო კახეთის ქრისტიანმა მეფემ აღსართანმა. მან აღიარა მუსლიმური რწმენის ფორმულა ("არა არს ღმერთი თვინიერ ალლაჰისა და მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა") და წინადაცივითა კიდევ. სულტანმა აღსართანს გაუგზავნა სამართლისმცოდნე (ფაკი-ჰი), რათა ესწავლებინა მისთვის ისლამის კანონები, ლოცვა და ყურანის სურები (ალ-ჰუსაინი: 26ა-28მ; შენგულია, 1976მ:193).

თურქ-სელჩუკების შემოსევებს თან ახლდა საქართველოში ქრისტიანული საკულტო ნაგებობების ნგრევა, მათ "წმინდანი ეკლესიანი შექმნეს ხახლად ჰუნეთა მათთა, ზოლო ხაკურთხეველნი ღმრთისანი – ადგილად არაწმიდეებისა მათისა. და მდდელნი, რომელნიმე თვთ შეწირვახავე შინა ხადმრთო [ქ]სა მსხუერპლისახა მუნვე მახვლითა შეწირულ იქმნეს და ხიხხლნი ადწინენეს თჳხნი მეუფისათა თანა" (დავით აღმ. ისტ. 1992:160).

ალ-ჰუსაინის ცნობით, ალფ-არსლანმა ჯაფახეთში დაანგრევინა ეკლესიები და მათ ადგილზე მეჩეთები ააგებინა (ალ-ჰუსაინი:23ა). ისლამის გავრცელება დამახასიათებელი იქნებოდა ყველა იმ კუთხისა და ქალაქისათვის (დმანისი, რუსთავი, სამშვილდე, ოლთისი და სხვ.), რომელიც თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს.

ისლამის პოზიციები გაძლიერდა თბილისშიც. ალფ-არსლანის ბრძანებით აქ აიგო საკრებულო მეჩეთი (ალ-ჰუსაინი: 26მ). თბილისში მუსლიმური და ქრისტიანული მოსახლეობის თანაფარდობის შესახებ სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქმული (იხ. ჩხაცვარაძევილი, 1973:29; მ.გამაშვილი, 1981:86,96), მაგრამ ამ საკითხზე ზუსტი მონაცემები არ გავაჯანია და გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. არაფერი ვიცით მუსლიმთა ეთნიკური შემადგენლობის შესახებაც, მაგრამ საფიქრებელია, რომ XI ს. 60-იანი წლებიდან თბილისში უნდა გაძლიერებულიყო თურქული ელემენტი (ჩხაცვარაძევილი, 1973:24).

ისლამის ქვეყნებში მცხოვრები საღვთო წერილის ხალხების მსგავსად ქრისტიანულ მოსახლეობას თბილისში ექნებოდა სტატუსი მფარველობაში მყოფი ხალხისა, ზომიერებისა (აჰლ აზ- ზიმმა). ქრისტიანებს ჰქონდათ საკუთარი საკულტო შენობები. ალ-ჰუსაინი იხსენიებს ერთ ეკლესიას (შეხადლოა, სიონს), რომელსაც თბილისელი ქრისტიანებისთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ჯაბას მუსლიმებისთვის (ალ-ჰუსაინი:23მ; შენგულია, 1976მ:193; თმისის ისტორია 1990: 163).

დავით IV-ის სამხედრო-პოლიტიკურ აქტივობას, მის ძლევამოსილ ბრძოლას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, უნდა განეპირობებინა და განაპირობა კიდევაც ქრისტიანთა მდგომარეობის გაუარესება თბილისში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ჭალაქი "... ხავზე იყო ხიხხლითა ქრისტეანეთათა; რამეთუ ოდესმე ყვიან დავდავი და თჳნიერ მიზეზისაგა მოხრნიან რაოდენნი ბოვნიან ქრისტეანენი, ზოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქმანთა ზედა განხცნიან შემომავალ-განმავალნი ქრისტე-

ანენი, და ტყუობასა და სიკუდილსა მისცნინან; და ესრეთ ისრვოდა ქუეყანა [ა] მრავალ ჟამ”(დავით აღმ. ისც. 1992:203).

თბილისელი და დმანისელი მუსლიმები იყვნენ ერთ-ერთი ინიციატორნი ანტიქართული მუსლიმური კოალიციის შექმნისა, რომელიც 1121 წ. აგვისტოში დიდგორში სასტიკად დაამარცხა დავით IV-მ. მომდევნო წლებში მან დაიხსნა თბილისი და დმანისი და ამ ქალაქების მუსლიმური მოსახლეობა ქართველი მეფის ქვეშევრდომი გახდა. თურქ-სელჩუკებთან ბრძოლის პროცესში საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა შარვანისა და სომხეთის არაერთი ქალაქი (კაბალა, ანისი, დვინი, ყარსი...), სადაც ასევე იყო წარმოდგენილი მუსლიმური მოსახლეობა.

სამხედრო-პოლიტიკურ კონფრონტაციას ისლამურ სამყაროსთან (ქვეყნის შიგნით და მის გარეთ) თან სდევდა მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა ორი რელიგიის აღმსარებელთა შორის. ამავე დროს, საქართველოს სამეფოს ქვეშევრდომობაში მუსლიმური თემების შესვლა განაპირობებდა იმის აუცილებლობას, რომ საქართველოს სამეფო კარს მათ მიმართ გამოემუშავებინა ურთიერთობის გარკვეული ფორმები.

1. მართული ქრისტიანობა და ისლამი: იდეოლოგიური ბრძოლა

ა. იდეოლოგიური ბრძოლის ასპექტები

ჩვენთვის საინტერესო ხანის ქართულ ისტორიულ წყაროებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებას, რომელშიც მუქ ფერებშია დახატული თურქ-სელჩუკთა შემოსევები, არ შეიმჩნევა აშკარად გამოხატული და ყოველსმომცველი ანტითურქული განწყობილება. ვ.დონდუა წერდა, რომ „ხალხის შემეცნებაში საქართველოს შეურიგებელ მტრად აღიარებული იყო არამარტო მუსლიმობა თავისთავად, არამედ უძლიერესი და უაგრესიულესი მისი წარმომადგენელი, საუკუნოვანი თავდამსხმელნი — „თურქნი“ (დონდუა, 1973ა:80), მაგრამ ამ თვალსაზრისის დასაბუთება წყაროების მონაცემებით ძნელია. თვით ვ.დონდუას ფაქტობრივად მოჰქონდა მხოლოდ ერთი მაგალითი, როცა თამარის მონაპირეთა დიდ წარმატებად იყო მიჩნეული ის, რომ „ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკუარის პირსა ხადმოვარსა აწყენდეს“ (ღც, II, 1959:130). მკვლევარი თვლიდა, რომ თამარის მეორე ისტორიკოსის ამ ცნობაში „თითქოს მეღაწენდება ისტორიკოსის წადილი, ირიბი გზით მოავგონოს მკითხველს მეთერთმეტე საუკუნიდან დაწყებული „თურქობის“ საშინელება, მაშინ ახალ სტიქიურ უბედურებად მოვლენილი თურქულ ცხენოსან ლაშქართა თარეშები იმ იორ-მტკურის სანაპიროზე“ (დონდუა, 1973ა:80).

ლიტერატურული ძეგლებიდან ანტითურქული განწყობილების ერთადერთ მაგალითად არის დასახელებული რუსთაველის "ალაფობდევს ხაჭურვლესა მისხა, ვითა ნათურქალსა". "ნათურქალი", ვგაბაშვილის აზრით, „მოსწრებულად გვიხასიათებს თურქთა ალაფობისა და რბევა-თარეშის შედეგებს“. ამასთან, ის მოუთითებდა, რომ ქართველ ისტორიკოსთა ანტიმამადიანური განწყობილება ნამდვილად ანტითურქულ განწყობილებას ნიშნავდა (ვ.გამაშვილი, 1968:287).

საკუთრად აღინიშნოს, რომ თამარის ისტორიკოსთა ეპოქაში თურქული ელემენტი, რომელიც გაბატონდა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ვრცელ ტერიტორიაზე, განსხვავდებოდა იმ ძალისაგან, რომელიც მონაწილეობდა თურქ-სელჩუკთა შემოსევებსა და დაპყრობებში. თურქები ეზიარნენ ფეოდალურ ურთიერთობას (ნ.მერბენიშვილი, 1973:67). თურქთა ზედაფენამ დაპყრობილ ტერიტორიებზე თანდათან გადაიღო დაპყრობილი ხალხების მრავალი წესი და ჩვევა, რომლებიც უცხო იყო მომთაბარეებისათვის. არაბულ აღმოსავლეთში, მაგალითად, თურქთა ურბანიზებულმა ზედაფენამ ძალზე მალე შეითვისა არაბული, შეერია ადგილობრივ მოსახლეობას და, როგორც მიხეილ სირიელი წერდა, არაბები და თურქები შეერწყნენ ერთმანეთს ერთ ხალხად (*Гусейнов*, 1957:104; *Семенова*, 1990:80). დავით IV-ის მემკვიდრეთა თანამედროვე ართუციანები, შამ-არმენები, სალთუციანები, ელდიგუზიანები და სხვ. ასევე შორს იდგნენ მათი წინამორბედი თურქმენი ბელადებისაგან, რომელთა ერთადერთ მიზანს ძარცვარბევა და ნადავლის მოპოვება წარმოადგენდა.

თურქთა ზედაფენამ განიცადა ირანული და არაბული ისლამიზებული საზოგადოების მძლავრი გავლენა და ის თავად გახდა ამ საზოგადოების ტრადიციებისა და მისწრაფებების გამომხატველი და დამცველი. ქართული ეკლესიისა და სამეფო კარისათვის თურქი სულტნები და ამირები, უპირველეს ყოვლისა, მტრული რელიგიის — ისლამის წარმომადგენლებსა და დამცველებს განასახიერებდნენ. ამრიგად, ფაქტობრივად, იდეოლოგიური ბრძოლა მიმართული იყო არა იმდენად თურქ-სელჩუკთა, რამდენადაც ისლამის წინააღმდეგ. შესაბამისად, მუსლიმ იდეოლოგიკათვის ბრძოლა ქართველებთან იყო ბრძოლა „ურწმუნო“ ქრისტიანთა წინააღმდეგ. ნარატულ წყაროებში აისახა იდეოლოგიური კონფრონტაციის გამოვლინების სხვადასხვა ფორმა.

მოწინააღმდეგის სარწმუნოების დისკრედიტაცია და საკუთარი რქელის უპირატესობის წარმოჩენა ისლამის ფუძემდებლის სახელი XII–XIII სს ქართულ ისტორიულსა და ლიტერატურულ წყაროებში სხვადასხვა ფორმით არის დამოწმებული: მუჰამადი (აბს. იყალთოელი: 311v, 312r, თოდ. ამუჯურა: 96), მუჰამედი (თოდ. ამუჯურა: 98; ევ, II, 1959:432), მოჰამადი (ევ, II, 1959:1332v), მოჰამდი (ჩახრუხაძე: 1756, 5516), მოჰმედი (ევ, II, 1959:935), მუჰმედი (აბს. იყალთოელი: 312r, ევ, II, 1959:599), მაჰმადი (შავთოელი: 824; რუსთაველი, 10312). მუჰამადი არის "მოციქული" და "წინახწარმეტყველი" (აბს. იყალთოელი: 311v; ევ, II, 1959:935), მაგრამ მის ამ ფუნქციებს, მუსლიმური კონცეფციისგან

განსხვავებით, ეძლევა უარყოფითი კვალიფიკაცია.

ისლამური მოძღვრება მუჰამადზე, როგორც წინასწარმეტყველზე, მკიდროდ არის დაკავშირებული მოძღვრებასთან საერთოდ წინასწარმეტყველებისა და იმ საღვთო წერილის შესახებ, რომელსაც ალლაჰი ადამიანებს გარდმოუვლენს ამ წინასწარმეტყველთა მეშვეობით. ისლამური კონცეფციით, უმაღლესი რანგის მოციქულები: ადამი, ნოე, აბრაამი, მოსე და იესო ქრისტე იმავდროულად იყვნენ წინასწარმეტყველებიც. თითოეული მათგანი იგზავნებოდა გარკვეულ ტომებთან და ხალხებთან. მუჰამადი ითვლება უკანასკნელ და ყველაზე დიდ მოციქულად და წინასწარმეტყველად, „წინასწარმეტყველების კარებად“ და „წინასწარმეტყველების ბეჭდად“ (ზათიმ ან-ნაბიჰ) (*Петрушевский*, 1966:67; *Пиотровский*, 1991p:184; *Horowitz*, 1974:427-8; *Wensinck*, 1932:203-4).

ეს მოძღვრება მოუღებელი იყო ქრისტიანებისათვის. უკვე იოანე დამასკელი უწოდებდა მუჰამადს ცრუ წინასწარმეტყველს, რომელიც შემთხვევით გაეცნო ძველსა და ახალ აღთქმას, ესაუბრა არიანელ ბერს და შემდეგ შექმნა საკუთარი ერესი. ის წერდა, რომ არაინაა იმის მოწმე, რომ ღმერთმა გარდმოუვლინა ყურანი მუჰამადს. გარდა ამისა, იესო ქრისტესგან განსხვავებით, არცერთ წინამორბედ წინასწარმეტყველს არ უწინასწარმეტყველებია მისი გამოჩენა (იოანე დამასკელი, 1992:159-61; *Addison*, 1942:26). არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მუჰამადის, როგორც წინასწარმეტყველის, მოვლინება არ იხსენიება ძველსა და ახალ აღთქმაში, იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი ქრისტიანთათვის ანტიმუსლიმურ ჰოლემიკაში (იხ. მაგ. *Vryonis*, 1971a: 271-72). ეს არგუმენტი იმავე დროს საკმაოდ მტკივნეული იყო მუსლიმთათვის, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქრისტემ იწინასწარმეტყველა მუჰამადის მოციქულობა (ასეა ყურანში: 616), რომ ამის შესახებ ნათქვამი იყო სახარებაშიც, მაგრამ ქრისტიანებმა ამოშალეს ის (დათიამვილი, 1976:92-3).

შუა საუკუნეების აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანი თეოლოგები არ ცნობდნენ წინასწარმეტყველად და მოციქულად მუჰამადს, რომელიც უარყოფდა ქრისტიანული რწმენის ძირითად დოგმატებს (*Yomm*, 1976:99; *Журавский*, 1990:26-7 და მმ; *Addison*, 1942:28; *Hourani*, 1980:4,8), ბუნებრივია, რომ იგივე თვალსაზრისი გაბატონებული იყო ქრისტიანულ საქართველოშიც. მუჰამადი გამოცხადებულია როგორც „ცრუ მოციქული“, „უსჯული“, „ცრუ წინასწარმეტყველი“ (წამემა არჩილ მეფისა: 250; დაჯ. და ჯონსც. წამ., 489; ძვ. I, 1955:251; არს. იყალთოელი: 311 v). იოანე შავთელი მას უწოდებს „მეზღაპრებსა, ცუდ ფეღამბრებსა (სპარს. წინასწარმეტყველი) , ღმრთისა არმართლადმქადაგებელსა“ (შავთელი: 82ვ). ამავე დროს მუჰამადი არის „მიღწი იგი სჯალისმდემოლი“ (წამემა არჩილ მეფისა: 252), „ნიძევა-მრუმეებით, არაწმიდებით, ჩუგნა-ლირწებით ხჯულთა მპყრობელი“ (შავთელი, 82ვ). ამ შემთხვევაშიც ქართული ქრისტიანობა ხარკს უხდიდა იმ ტრადიციას,

რომელიც იოანე დამასკელიდან მოყოლებული (იოანე დამასკელი, 1992:164-65) მთელი შუა საუკუნეების მანძილზე (*Yomm*, 1976:101-2; *Журнакии*, 1990:28) ბრალს სდებდა ისლამის ფუძემდებელს "დედათა მიმართ ადკრწყაყ-რილად ცხოვრებაში" (მტრ. აზს. იყალთოელი: 312r).

რადგანაც მუჰამადი „უსჯულო“, „ცრუ მოციქული და წინასწარმეტყველია“, მისი სარწმუნოება — ისლამი, მუჰამედის, მუჰმედის, მაჰმადის სჯული, "სჯული მოამედისა მიერ ქადაგებული" (ღვ, II, 1959:43, 59, 185), არის „ცრუ სჯული“. ამ სარწმუნოების აღმსარებელთ და მიმდევართ ეწოდებათ ისლამნი (ჩახსრუხსაძე: 97, 2), ისლმნი ან ისლუმნი (ღვ, II, 1959:11, 14, 67, 70), მუსლუმანი (ღვ, II, 1959: 93), მუსლუმანი (ღვ, II, 1959: 5, 107 ; ჩახსრუხსაძე: 32, 15, 65, 15), მუსურმანი (ღვ, II, 1959: 131), მოჰმადის ტომნი, მოჰმადიანი (მრ. მოჰმადიანი) (ჩახსრუხსაძე: 1756 1860; ღვ, II, 1959:131), მამადიანი (ღვ, II, 1959:5), მაჰმადის რჯულის მქირაენი (რუსთაყელი, 1951:10312). გარდა ამისა, მუსლიმთა მნიშვნელობით, მოუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, XII-XIII სს. ქართულ წყაროებში გამოიყენებოდა, აგრეთვე: სპარსი (ვ. გამაშვილი, 1968:275-79), აგარიანი (ღვ, II, 1959:5-6), აგარის ერი და აგარის ტომი (ჩახსრუხსაძე: 32, 16; 76, 12), აგარის ნათესავი (ღვ, II, 1959:75), ისმაიტელი (ღვ, I, 1955:351; II, 1959:5-6) და სარკინოზი, სჯულით სარკინოზი (ღვ, II, 1959:8, 11, 71, 101) — ის ტერმინები, რომლებიც ადრეულ ქართულ წყაროებში არაბის მნიშვნელობით იხმარებოდა.¹ „ცრუდრჯულნი“ არიან მუსლიმები, სარკინოზები (ღვ, II, 1959:101). აბასიან ხალიფას თამარის პირველი ისტორიკოსი უწოდებს "ცრუ ხჯულისა მდებელსა ხარკინოზობისასა" (ღვ, II, 1959:11). ოდიოზურია ისლამის შეფასება ქართულ მეხოტბეთა პოეზიაში. იოანე შავთელი ისლამს უწოდებს "მაჰმადის ხჯულსა გარდალაჯულსა, ბილწად ხაქიქელ-საბასრთბელსა" (შავთელი: 821). ჩახსრუხსაძე მუსლიმებს ახასიათებს როგორც "აგარის ვრთასალმობიერთა" (ჩახ-

¹ აგარი, ჰაგარი იყო ბიბლიური აბრამის ხარკა. მისი ვაჟიშვილი ისმაილი ითვლება არაბთა ეთნარქად. „აგარის ძენი“ (*Bany Hagar*) არაბების მნიშვნელობით იხმარებოდა სირიულში. სირიულშივე არაბებსა და მაჰმადიანებს აღნიშნავდა *hagraya* (კ. ნერეთელი, 1981:197). ისმაიტელი მომდინარეობს ისმაილიდან. სარკინოზს ჭუნაშერი განმარტავდა როგორც „სარას ძალღს“ (ქვ, I, 1955:230). ასეთი „ეტიმოლოგია“ ეყრდნობა ბერძნულს: *Σαρακηνός* (სარაკენოს). სარკინოზი გააზრებულია, როგორც *Σαρρα* (საკ, სახელი სარა) და *ἀσυν* (ნათ. *ἀσυνός*), „ძალი“ (კ. ნერეთელი, 1981:199). იოანე დამასკელის განმარტებით ეს სახელწოდება მომდინარეობს სიტყვიბიდან, „სარას ენუს“, რომლებიც აგარმა უთხრა ანგელოსს: „სარრა ენნი მი არელისენ“, ანუ სარამ მე ცარიელი გამიშვა, განმიტევაო, (იოანე დამასკელი, 1992:159; *Sweetman*, I/1, 1945:64). რ. საუთერნი წერს, რომ ამ სიტყვის ახსნა, შესაძლოა, მოეპოვება ისიდორს: ეს არის *Saragenii* — სარას შთამომავალი, ან ასე იწოდებოდა ისინი თავიანთი სირიული წარმოშობის გამო *quasi Syrianae* (*Southern*, 1962:17, შენ. 11).

რუხაძე: 3216). ისლამის მიმართ უფრო თავშეკავებულია რუსთაველი. მაგრამ მის პოემაშიც, როგორც აღნიშნავდა ვ.დონდუა, მუყრნი და მულომნი სასაცილო როლში გამოდიან, თითქოს ყველას მხსნელი „მუსაფი“ (ყურანი) მათ განსაცდელის უამს ვერავითარ შემწევობას აძლევს და მხოლოდ სისულელეს „აჩმახვინებს“ (დონდუა, 1973 მ: 109); უარყოფითია დამოკიდებულება მუსლიმთა რიტუალებიდან. ასე, მაგალითად, მუსლიმთა მარხვა თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ შეფასებულია როგორც "შეგინებულ მარხვა", "ბილწისა ხჯულისა მათი მარხვა", ხოლო ქადაგება "ბილწი ქადაგება" (ქც, II, 1959:101,102).

მუსლიმთათვისაც ქრისტიანები, მათ შორის ქართველები, იყვნენ „ურწმუნოები“. „ურწმუნოთა სახლად“ ხდება მუსლიმთა ის სამფლობელოები, რომელთაც ქართველები დაეუფლნენ. ასე, მაგალითად, 1206-7 წ. როცა ქართველებმა საბოლოოდ დაიპყრეს ყარსი, არაბი მემატიანის თვალსაზრისით ის "გადაიქცა ურწმუნოთა სახლად (დარ შირქ) მას შემდეგ, რაც იყო ერთდემ-რთიანობის სახლი" (იბნ ალ-ასირი, XII:256).

ჯუვეინი წერს, რომ ჯალალ ად-დინმა შალვა ახალციხელის სიკვდილით დასჯის შემდეგ დალაშქრა საქართველო და არბევდა მას, "სანამ ბოლოხ და ბოლოხ ჭემმარიტებამ არ სძლია სივრუეს" (ჯუჯუინი, 1974:31). სპარსელი მემატიანის თვალსაზრისით, როგორც ირკვევა, ისლამის რწმენა — ჭემმარიტებაა, ქრისტიანული კი — სიცრუე.

იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი, როცა ის აღნიშნავს ყარა-სონყურის გამარჯვებას ქართველებზე, წერს, რომ ღმერთის ერთარსობის (აჰლ ათ-თავჰიდ) მიმდევრებმა სძლიეს სამების მიმდევართ (აჰლ ათ-თახლის). ამის შედეგად კარგმა საქმემ გაიმარჯვა უკეთურებაზე (ალ-ისფაჰანი/ ალ-მუნდატი, 1900:173), ამ ცნობაში სამება ოდიოზური მნიშვნელობით იხმარება.

როგორც ცნობილია, მოძღვრება სამების შესახებ ქრისტიანული ღვთისმეტყველების უმთავრესი დოგმატია, რომლის მიხედვითაც ღმერთი ერთია თავისი არსებით, მაგრამ ამავე დროს ის არის „სამგვამოვანი“, სამი ჰიპოსტასის მქონე: მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა.

სამება, როგორც ის არის წარმოდგენილი ყურანში, არ ეთანხმება საეკლესიო საბჭოების მიერ ფორმირებულ დოქტრინებს. ყურანში სამება შედგება ღმერთის, იესოსა და მარიამისაგან (Anawati, 1973:83; Wolfson, 1976:304). ამ ტრიადაში სულიწმიდა არ ფიგურირებს. ყურანის თანახმად, ალლაჰმა გამოგზავნა ანგელოზი ადამიანის სახით, რომელსაც ეწოდება ჩვენი სული (ყურანი: 1916), რათა გამო-უცხადოს მარიამს, რომ მას დაებადა ძე. ძე დაიბადა ზებუნებრივად, ქალწული მარიამისაგან, ალლაჰის მიერ შთაბერილი სულით და შემქმნელი სიტყვის "ქჰენ" („იქმენ“) ბრძანებით. იესო, რომელიც ყურანში სხვადასხვა სახელით (იხ. ქვემოთ) იხსენიება, მიეკუთვნება ალლაჰთან დაახლოებულ პირებს, ე. ი. მსგავსია უმაღლესი ანგელოზებისა (Пуотровский, 1991:119). მარიამს აცნობეს, რომ იესო იქნე-

ბოდა ალლაჰის მოციქული, საღვთო წერილის მქადაგებელი და სასწაულოქმედი, მაგრამ, ამავე დროს ყურანში ხაზგასმულია ის, რომ იესო არის ალლაჰის მონა (ყურანი: 4359) და არა მისი ძე და ღვთაება (ყურანი: 575; 930). ისლამი უარყოფს იესოს ღვთაებრიობას.

ყურანის მთელი რიგი აიებისა მიმართულია სამების წინააღმდეგ: "იწამეთ ალლაჰი და მისი მოციქულები და ნუღა იტყვიეთ არისო ხამება" (4169). "ურწმუნონი არიან, რომლებმაც თქვეს: ალლაჰი მესამეა ხამისაგან, რადგანაც არა არს ღმერთი, თვინიერ ერთადერთი ღმერთისა" (576); "მესიამე მარიამისა, მხოლოდ მოციქულია" (578). "ის არის იესო, ძე მარიამისა, სიტყვა ჭემმარითი, რომელიც ეეჭვებათ. არ ეგებოს, რომ ალლაჰმა იყოლიოს შვილები, ღიდება მას" (1934-5). "თქვეს ებრაელებმა: 'უზაჲრი (ეზრა-გ.ჯ.) არისო ძე ალლაჰისა. და თქვეს ქრისტიანებმა: იესო არისო ალლაჰის ძე. ეს სიტყვები მათი ბაგეებიდან ჰგავს სიტყვებს ურწმუნოთა, ალლაჰიმც დახოცავს მათ"(931). "ალლაჰი მარადიულია, არ უშობია და არც შობილა" (ყურანი:112-3; Sweetman, I/1, 1945:31 და შმდ; Wolfson, 1976:305).

მუჰამადმა უარყო სამების დოგმატი, რადგანაც მასში ხედავდა შირქ-ს, ალლაჰის მოზიარეობას, მრავალმერთიანობას. ალლაჰი ერთადერთია, მას არა ჰყავს მოზიარე (ლა შარიჟა ლაჰუ) და როგორც აღინიშნა, არ უშობია და არც შობილა (ლამ ალიდ ვა ლა ეულადუ). იესო არის მხოლოდ მოციქული ალლაჰისა და მისი მონა (*Петрушевский* , 1966:68) და არა ძე ალლაჰისა, მეორე „გუამი“, ჰიპოსტასი სამებისა. ყველა ის, ვინც ამტკიცებს საწინააღმდეგოს, არის მუშრიჟი, პოლითეისტი, მრავალმერთიანობის ამლიარებელი, ურწმუნო. სამების მიმდევრები, ამდენად, არიან ურწმუნოები. 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის თანახმად, ქართველები, როგორც სამების მიმდევარნი (აჰლ ათ-თახლის) არიან ურწმუნონი, რომელთა დამარცხებაც ალლაჰისათვის სასურველი საქმეა.

თამარის პირველი ისტორიკოსი ისლამს ზორიასტრიზმთან აკავშირებს, რათა კიდევ უფრო დაამციროს ის. როცა ქართველების წინააღმდეგ აღდგნენ ერაყისა და ხორასანის სულტანი და ბაღდადის ხალიფა, მათ "ძებნეს ცეცხლითა განღეულნი მ(უ)აღნი ზორო(ა)სტროსისნი, რომელი იყო პირველ[ი] მეფე და ვარსკვლავთ-მრიცხველი სპარსთა შორის, რომელთათჳს ით[ქ]უა ესრეთ: "ვიდრემდის გაქუნდეს ესე, არ მოაკლდეს მეფობა სპარსთა"²

² ქართული წყაროს ეს პასაჟი საგანგებოდ განიხილა ვ.გაბაშვილმა. ის საესებით მართებულად აღნიშნავდა, რომ ამ ამბავს „არაფერი საერთო არა აქვს ოფიციალურ მუსლიმურ თვალსაზრისთან“ და ის შეიძლება აიხსნას იმ მკიდრო კავშირის საფუძველზე, რომელიც „სპარსულ ტრადიციებსა და ისლამს შორის არსებობდა“ (ვ. გაბაშვილი, 1968:280-81).

(ისც. და აზმ. შარავანდ., ძვ, II, 1959:11).

მემატრიანე სხვა ადგილზე კიდევ უფრო მკაცრ ბრალდებას უყენებს მუსლიმებს: "ან თქვას სიტყვამან ესეცა საძინაჲური და საბრალო. ვინათგან სიბრძნედ და მეცნიერობად ნათესავსა აგარიანთასა აქუს საქმე გრძნებისა და მოგუობისა განსწავლილთა იუნიტანისაგან"³. ისინი "შეკმდეგომითი შეკმდეგომად არიან მწხიბავნი, მწაპლველნი, უარისმყოფელნი ღმრთისანი" (ძვ, II, 1959:76).

ვალში ქართველებს არც მუსლიმები რჩებოდნენ. "ურწმუნო" ქართველები ეშმაკის, სატანას "მეგობრები" და "მიმღერები" არიან (ჯუჯუინი, 1974:31,32). ისინი სატანას შეგონებით მოქმედებენ. ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ქართველებმა ამაოდ დაიბედეს თავი, რადგანაც "მათ გამარჯვება აღუთქვა სატანამ". ყურანის მიხედვით კი "სატანა მხოლოდ ცრუ დაპირებებს იძლევა" (იზნ ალ-ასირი, XII: 450; ყურანი: 4119).

მუსლიმთა მხარეზე მაღალი ალლაჰია. იზნ ალ-ასირი თავის თხზულებაში ხშირად შესთხოვს ალლაჰს, რომ მიხედოს მუსლიმებს, გამოუგზავნოს ქართველთა წინააღმდეგ პიროვნება, რომელიც დაიცავს ისლამის საზღვრებს და შურს იძიებს მუსლიმთათვის (იზნ ალ-ასირი, XII: 204, 435). ეს ალლაჰმა მოუტანა სიხარული მუსლიმებს შემახიასთან, როცა ერთმნეთს წაჰკიდა ქართველები და ყივჩაღები და ამით იხსნა სულტანი მაჰმუდი (იზნ ალ-ასირი, X:615-16). 602/1205-6 წ. ხლათი ქართველთა შეტევის დროს მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ "ალლაჰმა იხსნა ისინი [მუსლიმები], მათი [ქართველების] ბოროტებისაგან" (იზნ ალ-ასირი, XII:241) და, ბოლოს, სწორედ "მაღალმა ალლაჰმა მიხედა [ისლამის] ქვეყნის საცოდავ ხალხს წყალობის თვალით, შეიწყალა ისინი და გაუგზავნა მათ ჯალალ ად-დინი... და [მან] შური იძია ქართველებზე იმისთვის, რაც მათ გაუკეთეს ისლამსა და მუსლიმებს" (იზნ ალ-ასირი, XII:435).

ქრისტიან ქართველთა თვალსაზრისით ღმერთი "ურწმუნო" მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლაში მათ მხარეზეა. დიდგორში, ქართველი მემატრიანის თანახმად, დავით IV-მ იმიტომ გაიმარჯვა, რომ "კელი მადლისაჲ შეეწეოდა, და ძალი ზეგარდამო ჰფარვიდა მას; და წმიდაჲ მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა საზილველად წინა-უძღოდა მას და მკლავითა თვისთა მოხრვიდა ზედა-მოწევენულთა უსჯულოთა მათ წარმართთა" (დავით აღმ. ისც., 1992:191).

მიუხედავად იმისა, რომ 1163 წ. ლორესა და დმანისს შორის მდგომ გიორგი III-ს მუსლიმები მოულოდნელად დაეცნენ თავს, მეფეს უმნიშვნელო დანაკარგი

³ იუნატინის შესახებ იხ. კეკელიძე, 1962:216, კეკელიძე, 1973:24, შენ.36.

ჰქონდა. არა მარტო იმიტომ, რომ მან გამოიჩინა "განსაკუთრებული ხიმკე და სიქუელე", არამედ იმის გამო, რომ მას დაეხმარა "კელი ხაუფლო" (ისც. და აგმ. ნაბაჟანდ., ძვ, II, 1959:14).

მოწინააღმდეგის სახელმწიფო მოღვაწეთა და სამხედრო ძალების დამცირება. საქართველოს მეზობელი შარვანისა და არხანის მუსლიმ პოეტთა შემოქმედებაში მაღალი შეფასება ეძლევა ქართველ მეფეებს დემეტრე I-სა და თამარს (სტოუნაძე, 1990:55-8; გ. მიტაძე, 1976:62). მაგრამ, ჩვეულებრივ, მუსლიმი ავტორები მიმართავდნენ "ურწმუნო" ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა დამცირებისა და დისკრედიტაციის მეთოდს.

იბნ ბიბი თამარს აღარებს ბილკისს (იბნ მიმი :33). ბილკისი საბას (სამხრეთ არაბეთი) ბიბლიური დედოფალი თავის ჭეშმევრომებთან ერთად, სატანისაგან მოტყუებული, თავიანთ სცემდა არა ალაჰს, არამედ მზეს (*Carra de Vaux*, 1974:63; *Пюстровский*, 1991 მ:41-42). იბნ ბიბი თამარს მხოლოდ რუქნ აღ-დინზე გამიჯნურება არ აკმარა და სხვა ავბორცული ცოდვებიც მიაწერა. თამარი, თურმე, თანახმად არაბული ანდაზისა "ქალებს აქვთ ბუნებრივი მიდრეკილება ვნებისაკენ", სადაც კი წააწყდებოდა კვალს ლამაზლოყება და ტყბილად მოუბარი უფლისწულისას, მასზე სიყვარულის ვნების ენაზე სიმღერებს თხზავდა და იყენებდა ოქროს და სიტყვას, რათა სასურველი მსხვერპლი თავისი სურვილების ბადეში გაეხა (იბნ მიმი: 33; *Canard*, 1969:7; ნატრინივილი, 1988:70). მ.კანარმა, რომელმაც კრიტიკულად შეაფასა იბნ ბიბის ეს ცნობა, ასეთი ახსნა მოუძებნა მას: „მმართველობა ქალისა, დედოფლისა, აღმოსაუღეთში, განსაკუთრებით კი მუსლიმებს, შეეძლოთ აღეთქვათ როგორც შეურაცხყოფელი და არაჩვეულებრივი. დედოფლები, რომლებიც ბდებოდნენ არამარტო მეფეების ცოლები, არამედ თვითონ ახორციელებდნენ უმადლეს ხელისუფლებას და ჩრდილავდნენ თავიანთ მამაკაც ქმრებს... ყოველთვის წარმოადგენდნენ კრიტიკის ობიექტს“⁴ (*Canard*, 1969:8-9; *Бердзე*, 1984:71).

პირველად იბნ აღ-ასირთან გვხვდება და შემდეგ, სხვა არაბ ავტორთა თხზულებებში გავრცელდა რუსუდანის სამიჯნურო თავგადასავლები (იბნ აღ-ასირი, *XII:416-17*; ამუ ლ-თიდა, *III:133*; იბნ თადრ-მარდი, *VI:259*). რაც არ უნდა რეალური საფუძველი ჰქონდეს მათ (შდრ. ვირაჟ. განძაყვი: 155), ამ გადმოცემებში აშკარად შეინიშნება მუსლიმთა გალიზიანება. მათთვის აუტანელი იყო საქციელი არზრუმის გამგებლის ვაჟისა, რომელმაც რუსუდანზე ქორწინების საზღაურად დათმო ისლამი და გაქრისტიანდა. ეს უკიდურესი გალიზიანება ხშირად გამოსჭვივის იბნ აღ-ასირის თხზულებაში და როცა ჯალალ აღ-დინმა სძლია ქართველებს, არაბმა მემატიანემ ნიშნის მოგებით გაიხსენა ალაჰის მოციქულის

⁴ მ.კანარის აზრით, თამარისა და რუსუდანის სახეებთან დაკავშირებული გადმოცემები აისახა შუა საუკუნეების არაბულ ხალხურ რომანში „სირათ აღ-ამირა ზათ აღ-ამირა“ (*Canard*, 1969:14 და შმდ.). ამ რომანში უადრესად ოდიოზურად არის დახასიათებული ქართველთა დედოფალი ბუნთუსი (ფატიმას ცხოვრება : 166-67).

მუჰამადის სიტყვები: "არ ექნებაო წარმატება ხალხს, რომლის საქმე-
ებსაც განაგებს ქალი"(იბნ ალ-ასირი, *XII*:436). რაც შეეხება ჭუვეინის, მან
ქართველთა შესაფასებლად პირველი მართლმორწმუნე ხალიფას აბუ ბაქრის
(632-634) ნათქვამი დაიმოწმა: "მდაბალია ის, რომელსაც ქალისთვის თავისი
საქმეებიჩაუბარებია" (ჯუჯეინი, 1974:30). როგორც იბნ ალ-ასირი, ისე ჭუვეინი
ვერ ფარავენ სიხარულს იმის გამო, რომ მარცხი განიცადა ხალხმა, რომელსაც
მართავს ქალი.

იმად აღ-დინ ალ-ისფაჰანისთვის საძულველი პიროვნებაა ივანე აბულეთის
ძე, რომელმაც აიღო განჯა. მემატთანე წყევლა-კრულვას უთელის მას (ალ-ისფა-
ჰანი/ალ-მუნდარი, 1900:173; ჯათვარიძე, 1992ა:122). ან-ნასაეის მიხედვით შალ-
ვა ახალციხელი "ერთი ყველაზე ცნობილი ემშაგია" (ან-ნასაეი, 1973:158).
ჭუვეინი კი წერდა, რომ შალვა და ივანე ახალციხელები იყვნენ "ემოქის ყოველ-
გვარი არეულობებისა და შფოთვის ამტეხთა მეთაურები". ამასთან, შალვა
"ადის ტომის მამაკაცს ჰგავდა ტანის სიდიდითა და წარმოსადგევით,
კეთილშობილი დირხებითა და ძლიერებით" (ჯუჯეინი, 1974:29). ამ უკანას-
კნელი, ვითომდაც საქებარი დახასიათების მიღმა სხვა აზრი ძვეს. ყურანსა და
მუსლიმურ გადმოცემებში 'ადი არაბეთის ერთ-ერთი ძველი ხალხია, რომელიც
დაიღუპა. ყურანი მოგვითხრობს 'ადის ტომელთა კეთილდღეობაზე, მათ მალალ
ტანზე და, ამავე დროს, მათ ურწმუნეობაზე. ისინი ისე გაამყდნენ, რომ უარი
თქვეს ყური ეგდოთ ალლაჰის შეგონებებისათვის და ამისათვის დაისაჯნენ. ქარი-
შხალმა აღგავა 'ადიტები პირისაგან მიწისა (*Пиотровскиѹ*, 1991ა:12; *Buhl*,
1974:13). ამდენად, ჭუვეინის ნართაული მინიშნებით, შალვას, როგორც ურწმუ-
ნოს, დაღუპვა ელის, რაც მოხდა კიდევ.

ქართველი მემატანეებისათვის, საერთოდ, არ არის დამახასიათებელი მუს-
ლიმ სახელმწიფო მოღვაწეთა განურჩეველი დისკრედიტაცია. ცნობილია და და-
საბუთებულა ის მალალი შეფასება, რომელიც მისცა მალიქ-შაჰს დავით აღმაშე-
ნებლის ისტორიკოსმა (ღც, *I*, 1959:321; ვ.გამათვილი, 1968:292-93). იმავე
მემატანემ "კავი დაჰმანი" ე.ი. გმირი, მამაცი, გამბედავი (*Brossset*, 1849:214;
ჩხვიძე, 1984:14) და "მრავალდონე" უწოდა ნაჯდ აღ-დინ ილ-დაზის. ემათად-
მწერელი მუქ ფერებში აგვიწერს ხვარაზმელთა შემოსევას, მაგრამ როცა მოგვი-
თხრობს ჭალალ აღ-დინის სიკვდილს, არ კილავს მას: "სულტანი ჯალალდინ
მოიკლა, და აქა შინა დასრულდა სრულიად კელმწიფობა მადალი (ღც,
II, 1959:185). და მაინც, არც ქართული წყაროებია თავისუფალი მოწინააღმდე-
გის დამცირებისგან. ეს უპირველესად ეხება სელჩუკთა სულტან მაჰმუდს, რომე-
ლიც „ბრწოდა შიშისაგან“ დავითისა (დავით აღმ. ისტ., 1992:198). გიორგი
III-ის წინააღმდეგ დარაზმული მუსლიმი გამგებლები თამარის პირველი ისტო-
რიკოსის მიხედვით არიან "მსგავსად მკეცთასა აღმღვსველი კბილთა (ღც,

II, 1959:6) და სხვ.

იბნ ალ-ასირი აკრიტიკებს იმ მუსლიმ გამგებლებს, რომლებმაც შეწყვიტეს ქართველთაგან ისლამის საზღვრების დაცვა, მიეცნენ განცხრომასა და გართობას (იბნ ალ-ასირი, XII:256). სამაგიეროდ ის განადიდებს ჯალალ ად-დინს, რომელმაც სძლია ქართველებს და აიღო თბილისი: "ეს იყო დიდებული დაპყრობა და მისი [ჯალალ ად-დინის] ადგილი განდიდდა ისლამის ქვეყნებში და მუსლიმებში. და ეს იმიტომ, რომ ქართველები დიდი ხნის მანძილზე უხამართლოდ ეპყრობოდნენ [მუსლიმებს] და რასაც ხურდათ, იმას უკეთებდნენ... და მათ ხელს ვერავინ უშლიდა... და უქმნა [ჯალალ ად-დინმა] ქართველებს ესე საქმენი და დიდება მას, ვისაც ხურს რამე და თქვა: "იქმენ" და იქმნა (იბნ ალ-ასირი, XII:451,453).

ხეარაზმ-შაჰის ქმედება ზემომოტანილ ცნობაში შედარებულია ლმერთის — ალლაჰის ქმედებასთან, მის შემქმნელ სიტყვასთან "ქუნ" ("იქმენ"), რომლის წარმოთქმითაც მან შექმნა სამყარო, ადამი, იესო ქრისტე. ჯალალ ად-დინის მიერ საქართველოს მოხობის აღწერის დროს ან-ნასავი სიამაყით აღნიშნავს, რომ მუსლიმებმა ამ ქვეყანაში მიადღეს ისეთ ადგილებს, სადაც მანამდე არ აფრიალებულა ისლამის დროშა და არ წაკითხულა ყურანის არცერთი სურა და აია (ან-ნასავი, 1973:161).

ასევე, ქართველი მემკვიდრეები ქართველ მეფეებს დამსახურებაში უთვლიან ისლამის წინააღმდეგ ბრძოლებსა და ამ ბრძოლებში მოპოვებულ წარმატებებს. დავით IV-მ "... დახცნა წარმართნი, მოხრნა ბარბაროზნი... მეოტად წარიქვივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დახცნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათი" (დავით აღმ. ისტ., 1992:206). გიორგი III-მ "რა იპყრა შარავანდედი მეფობისა, შუდ სამეფოდ განწესებული, აღმკულმან ზენათა პორფირითა და გვრგვინითა, აღიჭურნა მკლავნიცა მუსრვად და მოწყუედად წინააღმდეგომთა ქრისტეს სჯულისათა: აგარიანთა, ისმაიტელთა დამამადიანთა" (ისტ. და აზმ. მარავანდ., 1959:5).

თამარის დროს "მოაკლდებოდეს ძალსა მოჰმადიანთასა, და მცემელიცა ებანსა, რამეთუ ქრისტიანეთა ორდანონი კმოვანოდეს კიდით კიდემდე. დამრტა ხასოება მუსურმანთა, და ყოვლითურთ უდონონი დონე-ყოფდეს, რათა წყალობად მოიზიდონ წყალობის-მოყუარე თამარი" (მას. ეზოსმობლ. 1959:131-32).

ორივე მხარე ცდილობს განქიქოს და დაამციროს მეტოქის სამხედრო ძალები და განადიდოს საკუთარი. გარნისის ბრძოლის წინ ჯალალ ად-დინის სიახლოვით "ქართველებს დამბლა დაეცათ. ისინი შიშმა და მწუხარებამ მოიფვა... ისინი იმედოვნებდნენ, რომ სულტანი დათანხმდებოდა ზავზე და გადაურჩებოდნენ არწივის თავდასხმასა და ზღვის მორევს"

(ან-ნასავი, 1973:157). ჯალალ ად-დინის მემკვიდრის ცნობით ქართველთა ყვირილმა, რომელსაც შეეძლო გაეპო ვარსკვლავთა საფენი და მათმა მრავალრიცხოვნობამ სულტანი ისე შეაშინა, როგორც მგლებს ეშინიათ ცხვრის ფარისა და ლომებს — მოხეტიალე ჭოგებისა (ან-ნასავი, 1973:157). დამარცხებული ქართველები მასთან მივიდნენ "დამცირებულთა მორსილებით, ისე როგორც დამნაშავეები მიდიან [ჯოჯოხეთის] ცეცხლთან. და მათი სახეები დაფარული იყო ურწმუნოების მტვერითა და დამძიმებელი — წარუმატებლობის სისუსტით"(ან-ნასავი, 1973:158).

ასეთივე მაგალითები შეიძლება მოვიტანოთ ქართული წყაროებიდანაც. დავით IV თბილისთან დაუდარაჯდა თურქებს და "მსწრაფლ მთაბრიალდა ვითარცა არწივი, და დააბნივა ვითარცა გაკაბნი" (ქც, I, 1955:350). ბასიანში, სადაც ქართველები მოულოდნელად დაეცნენ რუქნ ად-დინს: "[წარიკვეთა] სასოება მეფისა მათისა. ზოლო იგინი განკრთეს" ... ქართველებმა "მიმართეს სპარსთ-კერძ. და ვითარ ნადირსთეს მოხწრაფე იქმნეს მონადირე, ეგრეთ მსწრაფლ მოეტევენეს ერთ-კერძო სოხლან დავით და ერთ კერძო ზაქარია... და ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუფცივდეს ურცხვსა მას სპასა შინა ხულტნისასა" (ისც. და აზბ. შარაყანდ., ქც, II, 1959:96-97).

დამამცირებელი დამარცხებული მტრის აღწერაც: "და იხილევებოდა საქმე საკურველი რამეთუ თუ იყვნეს მსახურ თუხისა შეკრვისა, რომელნი განერნეს პირსა მაკვლისასა. უდიდესი მათი შეიკროდა უმცროსისა მიერ თუხისა, და უწარჩინებულესი მათი მოიყვანებოდა გამოძმული ძუასა ცხენისასა, და ერთითა საბლითა ერთისა მიერ კაცისა შეიკროდა ოცი, და თმითა გამოვებოდა ერთი-ერთსა, ყრმისა მიერ მცირისა უმჯობესნი მბრძოლთანი მოიყვანებოდეს ვითარცა თიკანნი. გამოიძივნეს ყოველნი ადგილნი და გაქცეულთა კოცდეს, ზოლო ნემტთა ვითარცა მართუეთა ქათამთასა მოკრეფდეს" (ბას. ეზოხმოძდ., ქც, II, 1959:139).

კამათი თეოლოგიურ საკითხებზე. ცნობილი ქრისტილოგის იოანე დამასკელის (გარდ. 750 წ.) დროიდან სათავე დაედო ანტიმუსლიმური ტრაქტატების შექმნას. ასეთ ტრაქტატებში მოთხრობილია, თუ როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს ქრისტიანი და მუსლიმი მოაქვეჩეები, რომლებიც კამათობენ ქრისტიანული და მუსლიმური თეოლოგიის ძირითად საკითხებზე. კამათი ჩვეულებრივ მთავრდება ხოლმე ქრისტიანის გამარჯვებით, რომელიც წარმატებით იცავს ქრისტიანული რწმენის დოგმებს, თვალსაზრისებს და აბათილებს, აცამტვევებს მუსლიმურს.

საოცარია, მაგრამ XII ს-მდე ქართული მწერლობა არ იცნობს რაიმე ორიგინალურსა თუ ნათარგმნ ანტიმუსლიმურ პოლემიკურ ტრაქტატს. არ თარგმნილა იოანე დამასკელის "ქრისტიანისა და სარკინოზის კამათი" („Disputation

christiani et saraceni“), რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში. იოანე დამასკელის მთავარი ფილოსოფიურ-დოგმატიკური თხზულების “ცოდნის წყაროს” სხვა მხოლოდ ნაწილობრივი ქართული თარგმანი მოგვეპოვება. მისი მეორე ნაწილი “წვალებათათვის,” რომელშიც ქრისტიანულ ერებსებთან ერთად განხილულია ისლამიც, როგორც ერთ-ერთი ერისი და მოცემულია მისი კრიტიკა, ადრე არ თარგმნილა⁵ (ლოლაშვილი, 1978:103-110). მხოლოდ მოგვიანებით, XII ს-ში არსენ იყალთოელმა ბერძნულიდან ქართულად თარგმნა იოანე დამასკელის მიმდევრისა და მისი მოწაფის თეოდორე აბუეურას ანტიმუსლიმური პოლემიკური ტრაქტატი “ხარკინოზთა მიმართისა სიტყვს-გებისაგან ნეტარისა თეოდორე ავუკუერამსი” (თოდ.ამუჯურა: 94-115). მანვე შეადგინა პირველი ქართული ანტიმუსლიმური პოლემიკური თხზულება “ქსენებაჲ სიტყვსგებისაჲ და სასჯელისაჲ მჯულისათჳს ქრისტეანეთაჲსა და ხარკინოზთა” (არს.ოცალთოელი, S 1463; ლოლაშვილი, 1978:118-23). ყოველივე ეს მოწმობს, რომ ისლამურ სამყაროსთან სამკედრო-სასიციოცხო კონფრონტაციის პირობებში, საქართველოში ისლამის გამოცოცხლებისა და მომძლავრების საპირისპიროდ, ქართული ეკლესიის მესვეურებმა სერიოზული ყურადღება დაუთმეს ისლამთან იდეოლოგიურ ბრძოლას და ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოების დოგმების უპირატესობის წარმოჩენას ისლამურთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ თეოდორე აბუეურას თხზულება ნათარგმნია, ის მაინც კარგად გვიჩვენებს, თუ რა საკითხებზე ამახვილებდნენ ყურადღებას ქართველი ქრისტიანები მუსლიმებთან თეოლოგიურ კამათში. ესენია: მუჰამადის გამოცხადება ცრუმოციქულად, გაბათილება მუსლიმთა თვალსაზრისისა იმის თაობაზე, რომ ქრისტე იყო მხოლოდ ალლაჰის მოციქული და არა მისი ძე და ღმერთი, დაცვა სამების დოგმატისა, რაც მოუღებელი იყო მუსლიმთათვის, ქორწინების ქრისტიანული წესის უპირატესობის წარმოჩენა მუსლიმურთან შედარებით და სხვ. (თოდ.ამუჯურა: 96-115; დათიაშვილი, 1976:91-101).

ჩვენთვის ამჟამად უფრო საინტერესოა არსენ იყალთოელის “ქსენებაჲ სიტყვსგებისაჲ” ამ თხზულების ორიგინალაზრებზე მიუთითებდა კ.ეკელიძე, რომელიც ამავე დროს დასძენდა: „რასაკვირველია აზრები და არგუმენტები ამოღებულია იმ თხზულებებიდან, რომლებიც იმდროინდელ პოლემიკურ მწერლობაში ტრიალებდნენ. მაგრამ კომპოზიციური და იდეური დამუშავება ქართველს გაუთენის“ (კეკელიძე, 1951:449).

“ქსენებაჲ სიტყვსგებისაჲ” იუწყება, რომ თბილისში მოვიდა „სარკინოზთა ხელმწიფე“, სახელად იამამა. მის წინაშე გაიმართა თეოლოგიური კამათი, რომელშიც ქართველმა ბერმა დაამარცხა ჯერ მაზდეანი, მერე კი მუსლიმი თეო-

⁵ ეს ნაწილი მხოლოდ ახლახან ითარგმნა ქართულად ე.ბურკაძის მიერ (იოანე დამასკელი, 1992:113-171).

ლოგი ("მჯულის მეცნიერი") ი. ლოლაშვილი თვლიდა, რომ ეს კამათი თბილისში გაიმართა დავით IV აღმაშენებლის მეფობის ბოლო (1122-1125) წლებში, ანდა დემეტრეს მეფობის დასაწყისში (ლოლაშვილი, 1978:100), როცა თბილისი განთავისუფლებული იყო მუსლიმთაგან. მაგრამ ის ფაქტი, რომ იამამამ მოითხოვა შემოეძარცვათ ბერისთვის სამოსი, ქალაქში მუსლიმთა მძლავრობაზე მეტყველებს. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ არსენ იყალთოელის მიერ აღწერილი პაექრობა-კამათი ფიქტიურიც კი იყოს.

არსენ იყალთოელის ტრაქტატში ქრისტიანთა და მუსლიმთა პოლემიკის ტრადიციული საკითხებია დასმული. ქართველი ბერი მუსლიმი ოპონენტის კითხვების შესაბამისად განმარტავს, თუ ვინ იყო იესო, მარიამის ძე, როგორ „შევიდა მუცელსა დედაკაცისა ჰურიისასა“, „რისთვის აიძულა“ მან „თვისა ყოფად და მერმე მიცემად თავი თვისი ჰურიათა მოკლვად“, არის თუ არა სახარებაში მუჰამადის სახელი, არის თუ არა მუჰამადი ცრუ წინასწარმეტყველი და სხვ. შემდეგ ბერი თავად უსვამს კითხვებს მუსლიმ მოპაექრეს: მუჰამადი „ყოვლისა სოფლის მიმართ მოვლინებული“ იყო, თუ მარტო არაბებისთვის და მუსლიმებისთვის; რომელი ენით იყო საქადაგოდ მოვლინებული მუჰამადი; ბრალს სდებს მუსლიმს „დედათა მიერ აღურწყარილად“ ცხოვრებაში; აიძულებს მუსლიმს აღიაროს, რომ „ქრისტე სული არს და სიტყუა ღმრთისაჲ შობილი ქალწულისა მარიამისაგან“.

ი. ლოლაშვილმა მიუთითა, რომ არსენ იყალთოელის ტრაქტატში ყურადღება გამახვილებულია ქრისტიანული რელიგიის ჰუმანურ მხარეზე და ისლამის იძულებითა და ძალდატანებით გავრცელებაზე.⁶ მუჰამადი "მოვიდა ერთითა პირითა და სიმრავლითა ლაშქართაჲთა და მახკლითა და ესე ახწავა ერსა თესხა: უკეთეთუცა გზასა მიხედოდე და მიგედეროს ვინმე, აგინეთ, და უკუეთუ გაგინონ, თქუენ ეცით, უკუეთუ გცენ, თქუენ მოკლათ და სისხლი მასეე აზღვიეთ." განსხვავებით ქრისტეს მოციქულთაგან, რომლებიც "დიდ-დიდთა და თუთმპყრობელთა მეფეთა მოაქცევდეს, ბრმათა აღუზილვიდეს, მკელობელთა აელენდეს, ვნებულთა ყოველთა განჰკუთრებდეს და მკუდართადადგინებდეს" ყოველივე ეს უცხოა მუჰამადისთვის. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ის "არა ღმრთისა მიერ მოხრულ იყო და მოვიდა; რამეთუ არა ჰგევანან მცნებანი ქრისტესანი მცნებათა მისთა (არს. იყალთოელი: 312r, ლოლაშვილი, 1978:98-99).

მუსლიმებთან წარმატებით პაექრობა ქრისტიანი თეოლოგებისგან მოითხოვდა ყურანის⁷ — მუსლიმთა საღვთო წიგნის საფუძვლიან ცოდნას. არსენ იყალ-

⁶ ისლამის ძალმომრეობაზე ანალოგიური თვალსაზრისი გვხვდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანთა პოლემიკურ ლიტერატურაშიც (Sweetman, II / 1, 1965: 141-142; Vryonis, 1971a: 27; Vryonis, 1971b: 432).

⁷ არაბ. აღ-კურ'ან არსენ იყალთოელის პოლემიკურ ტრაქტატში დამოწმებულია ყურანისა და კურანის ფორმებით (არს. იყალთოელი: 311r, 312). რუსთაველი იყენებს ყურანის

თოვლის ტრაქტატში ქართველმა ბერმა იცის, რომ ყურანი შედგება 114 სურს-გან, რომლებიც მას სიყრმეშივე "ზეპირით დაუსწავლია" (S 1463:311 v). ტრაქტატში დამოწმებულია ყურანის სხვადასხვა სურის აიების თარგმანი და პარაფრაზი. ორი აიას იდენტიფიკაცია ეკუთვნის ი.ლოლაშვილს (ლოლაშვილი, 1978:89,98). იამამას, რომელიც მოითხოვს, რომ სამოსი შემოახიონ ბერს, ეს უკანასკნელი ასე პასუხობს: „არა ჯერ არს შ | ენ | და იძულებით ყოფა ეგე, რამეთუ კურანსა თქვენსა ესრეთ წერილ არს, ვითარმედ „არა არს იძულებაჲ მჯულსა შესსა“, რამეთუ „ჩანს ჭემპარიტებაჲ უკეთურებისგან“ (არს. იყალთოელი: 309 v). გამოყოფილი ციტატა შეესაბამება ყურანის მე-2 სურის 25^წ-ე აიას. ერთ-ერთ თავის პასუხში მარიამის შესახებ ბერი მცირე ცვლილებით იმოწმებს ყურანის მე-3 სურის 42-ე აიას: "მარიამ, ახულო ამრანისო, რამეთუ ხათნო გიყო შენ დმერთმან, გაპოვირჩია და განგწმიდა და ხათნო გიყო და წმიდა გყო ჟმეტებად ყოველთა დედათა ქუეყანასა ზედა" (არს. იყალთოელი: 311 v).

ჩვენი მხრივ, მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს. ქართველი ბერი ასე მიმართავს მოპაექრე მუსლიმს, "წერილ არს კურანსა⁶ თქვენსა კანონსა მარიამისსა, რასა ეტყვის ღმერთი: "მარიამ ახულმან ემრანისმან, რომელმან შეზღუდა სიქალწულე თვისი, და მიაველინეთ მისდა ხულისაგან ჩუენისა." ციტატა ნაწილობრივ შეესაბამება ყურანის 66-ე სურის მე-12 აიას. ბერის სიტყვებში „არა ესე წერილ არსა კურანსა თქვენსა: "იესუ ქრისტე ხული არს და სიტყუაჲ დმრთისაჲ, შობილი ქალწულისა მარიამისაგან" გამოყოფილი ციტატა ნაწილობრივ შეესაბამება ყურანის მე-4 სურის 170-ე აიას. ბერი, რომელიც სარკინოზს აუწყებს, რომ ღმერთმა ქმნა სასწაული, როდესაც ქრისტიანული სარწმუნოება ყველასათვის გასაგები გახადა, ამბობს: „ესრე წერილ არს კურანსა თქვენსა: "ვითარმედ წარგაველინე შენ ენითა სარკინოზულითა განცხადებულითა" და აქამ ძალ არს ჩუენდა და ყოველთა თესლთა ქუეყანისათა ენისაგან, რომელ არ გუესმის" (არს. იყალთოელი: 311 v). გამოყოფილი ციტატა ასახავს ყურანის 26-ე სურის 192-195-ე აიებს. როცა ბერი ეუბნება მუსლიმებს: "ურთიერთას არა ეწამებთან წიგნი ესე: სახარებაჲ და ყურანი, ვითარმედ ერთი რომელიმე ჭემპარიტ არს და ერთი ტყუვილ აწ უკუღ გამოირჩიე შენ, რომელი ამათვანი არს ჭემპარიტ, ანუ რომელი ტყუვილ და ცრუ. მოციქულსა შენსა განამტყუვენება? რამეთუ ესრეთ წერილ არს ყურანსა თქვენსა: უკუღთუ რასმე საღმრთოსა საქმესა ვერ მიიწივნეთ, ჰკითხეთ მათ, რომელთა უწინარეს თქვენსა მივეც წიგნები: დაბადებაჲ, ფხალმუნი დავითისი, და სახარებაჲ, რაჲთა მათ

სინონიმურ ტერმინს მუსაფს (მუსაჰი), (რუსთაველი, 1951:351; 530, 1166). ეს სიტყვა ქართულში შემორჩენილია „მასაფის“ ფორმით. „მასაფი“ იხმარება დაწყველისა და ლანძღვის შემთხვევაში, მაგ., „შენი რჯული და მასაფი არ იქნა“ (ნოზაძე, 1963:538).

მიერ სცნა ჭეშმარიტი" (არხ.იყალთოელი: 312r). გამოყოფილი სიტყვები ნაწილობრივ ასახავს ყურანის მე-2 სურის 87-ე, მე-3 სურის მე-3, მე-4 სურის 163-ე და მე-5 სურის 50-ე აიგებს.

როგორც ვხედავთ, ქართველი ბერი მუსლიმთან პაექრობაში მარჯვედ იმოწმებდა ყურანს, რომელსაც არსენ იყალთოელი ალბათ ორიგინალში იცნობდა.

მუსლიმებთან თეოლოგიურ კამათში მონაწილეობას იღებდა დავით IV და, საფიქრებელია, დემეტრე I-ც⁸.

XII ს. მიწურულში სირიასა (პალაბში) და ეგვიპტეში მცხოვრები ყადი 'იზად-დინ ალ-ისფაჰანი⁹ (ცნობილი ისტორიკოსის, სულტან სალაჰ ად-დინის მდივნის 'იზად-დინ ალ-ქათბ ალ-ისფაჰანის სცხნია) წერდა, რომ დავითს "ჰქონდა დიდი ცოდნა (ნაზარ 'აზიბ) იხლამისა და მას ჰქონდა [ავრეთვე] კამათი განჯის ყადისთან: [ალლაჰის] ხიტყვა (ალ-ქალიმა) შექმნილია (მახლუკა) თუ მარადიულიო (კადიმა)" (ბუხთან ალ-ჯამი: 118-19; ჯათფარიძე, 1993გ: 50, 50-56).

მცირედენი განსხვავებით იმავეს მოგვითხრობს XIII ს. პირველი ნახევრის არაბი ისტორიკოსი მუჰამად ალ-ჰამევიც. მასთან „ისლამის დიდი ცოდნა“, რომელიც ჰქონდა დავითს, შეცვლილია „ისლამის შარიათის“ ცოდნით (მუჰ.ალ-ჰამევი, 1960:78ა; იხ.ავრეთვე იმ ად-დაჰადარი, VI:516). სწორედ ამ ცნობას მუჰამად ალ-ჰამევის თხზულებიდან პირველად ყურადღება მიაქცია მ.ბროსემ და ფრანგულად თარგმნა ის (*Brosset*, 1851ა:237). ბროსეს მიხედვით იმოწმებდნენ მას ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი (*Mapp*, 1902:19; ჯავახიშვილი, 1965:210) და ამ უკანასკნელზე დაყრდნობით კი — სხვა არაერთი მკვლევარი.

მ.ბროსეს ფრანგულ თარგმანში ქალიმა (ალლაჰის სიტყვა) ყურანია. ყურანთან არის გაიგივებული ის ქართველ მკვლევართა შრომებშიც. ასე თვლიდა, მაგ., ე.სიხარულიძეც, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო ცნობა მუჰამად ალ-ჰამევის თხზულებიდან პირველად თარგმნა არაბულიდან ქართულად (სიხარულიძე, 1976ა:52). ამასთან, ჩვეულებრივ მიიჩნევდნენ, რომ დავით აღმაშენებლისა და ქვანჯის ყადის კამათი ეხებოდა ყურანის წარმოშობას, „ყურანი როგორ და საითგან წარმოიშვა“ (*Mapp*, 1902:19; ჯავახიშვილი, 1965:210; ლომინაძე, 1966:88; სცფენაძე, 1990:49; თბილისის ისტორია, 1990:138 და სხვ.), მაგრამ არ ყოფილა იმის ცდა, რომ გარკვეულიყო, თუ რას ნიშნავს ყურანის წარმოშობა და რა აზრია ჩადებული არაბი ავტორების ზემოხსენებულ ცნობაში. ამრიგად,

⁸ ფიქრობენ, რომ მძაფრ რელიგიურ-თეოლოგიურ პოლემიკას შეიცავდა დემეტრეს წერილი დიდ სელჩუკთა სულტან სანჯარისადმი (არაბულ და სირიულ ენებზე), რომლის შესახებაც ცნობა შემოგვინახა აბუ ლ-ჰასან ბეიჰაკიმ, იგივე იბნ ფუნდუკმა (გარდ. 1169-70 წ.) სპარსულად შედგენილ საისტორიო თხზულებაში „თარიხ-ი ბიჰაკი“ (გ.ბერაძე, 1994: 16-18).

⁹ ყადი 'იზად-დინის ცხოვრების შესახებ სხვა რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება (*Cahen*, 1938: 115; მუსტაფა, 1979: 291-92). ერთ ჩვენს ნაშრომში მას XII ს. მიწურულის სირიაში მცხოვრებ ანონიმ არაბ ისტორიკოსს ეუწოდებთ (ჯათფარიძე, 1993გ: 50 და შმდ.)

გვაქვს საფუძველი, რომ ქვემოთ რამდენადმე ვრცლად შევეხებთ ამ საკითხს.

ყადი 'იზად აღ-დინ აღ-ისფაჰანისა და მუჰამად აღ-ჰამადის ცნობაში ჩვენ გამოვყოფთ ორ მომენტს: 1. ისლამის, ან ისლამის შარიათის დიდ ცოდნას და ვითა აღმაშენებლის მიერ და 2. დავითის კამათს განჯის ყადისთან „აღლაჰის სიტყვაში“ შესახებ — შექმნილი იყო ის თუ მარადიული.

1. ისლამის შარიათი (შარ' აღ-ისლამი) — ისლამის რელიგიური კანონია. ის იხმარება არა იმდენად ოურიდიული, რამდენადაც ზოგად-სოციალური მნიშვნელობით. შარიათი წარმოადგენს მუსლიმთა ქცევის, რელიგიური ცხოვრების, ოურიდიული ნორმების პრინციპებისა და წესების ერთობლიობას. ის ემყარება ყურანსა და სუნას (ისლამის ფუძემდებლის მუჰამადის ცხოვრების წესს), აწესრიგებს ალლაჰთან ადამიანების დამოკიდებულების გარეგნულ ფორმებს, რაც გულისხმობს დაცვას კულტის წესებისა ('იზადათ), რომლებიც განსაზღვრავს ლოცვისწინა განბანვას, ლოცვას, პილიგრიმობას, მარხვის შესრულებას, ზაქათის გადახდას და სხვ. ადამიანთა ურთიერთობებს ერთმანეთთან (მუ'ამალათ) და სასჯელს ამ წესების დარღვევისათვის ('უკუბათ) (Massa, 1963:97-8; *Питровский*, 1983:122-23; *Сюкияйнен*, 1986:7-64; *Сюкияйнен*, 1991:291-94; *Schaht*, 1974გ:524-29). ისლამის შარიათის ცოდნა დავით IV-ის მიერ პრაქტიკულად ნიშნავდა ისლამის ცოდნას. ამით აიხსნება ის, რომ ერთი არაბი ავტორი (ყადი 'იზად აღ-დინ აღ-ისფაჰანი) მას ისლამის, მეორე (მუჰამად აღ-ჰამადი) კი — ისლამის შარიათის დიდ ცოდნას მიაწერს.

2. დავით IV, რომელიც კარგად იცნობდა ისლამს, განჯის ყადის ეკამათებოდა "აღლაჰის სიტყვის" შესახებ, როგორც ითქვა, ქართველი მკვლევარები „აღლაჰის სიტყვაში“ გულისხმობენ ყურანს.

ყურანი ორთოდოქსალური (სუნიტური) ისლამის თვალსაზრისით ზეციური, ღვთოური წიგნია, რომელიც ზეგარდმო შთაგონების (ზეშთაგონების) სახით მიეცა მუჰამადს. მცირე გამონაკლისის გარდა ყურანში ლაპარაკობს ღმერთი და ბუნებრივია, რომ მუსლიმები განიხილავენ მას როგორც აღლაჰის, ღმერთის სიტყვას (ქალამ).

ყურანის წარმოშობის შესახებ ისლამში განვითარდა ორი ძირითადი თვალსაზრისი. ვინაიდან "სიტყვა" ორთოდოქსალური ისლამის რწმენით ღმერთის შეუქმნელი და მარადიული ატრიბუტია, ამიტომ ყურანი, როგორც ღვთაებრივი სიტყვის გამოვლინება, არის მარადიული (კადიმ) და შეუქმნელი (დაჰრ მანლუკ). სუნიტებისგან განსხვავებით მუ'თაზილები, რომელთა მოძღვრება ხალიფა მამუნის (813-833) დროს სახალიფოში გაბატონებული გახდა, ატყვიანობდნენ, რომ ყურანი არ იყო შეუქმნელი და მარადიული. მუ'თაზილები თვლიდნენ, რომ მუჰამადი უსმენდა არა აღლაჰს, არამედ მის ხმას, რომელიც შექმნა აღლაჰმა და არსებობდა მისგან განცალკევებით, გაჩნდა მის შემდეგ. ამიტომ ყურანი — ღმერთის სიტყვა არ არის მარადიული. ის შექმნილია. ყურანი რომ ღმერთს არ

შექმნა და ის რომ მარადიულად არსებობდეს, მაშინ მას ექნებოდა მარადიულობისა და შეუქმნელობის ისეთივე კატეგორიები, როგორც ღმერთს. აქედან გამომდინარეობს მრავალღმერთიანობა, რომლის აღიარებაც მუსლიმ თეოლოგებს დაუშვებლად მიიჩნდათ. მუ'თაზილები ამტკიცებდნენ, რომ შეუქმნელი და მარადიული არის მხოლოდ ღმერთი და რადგანაც მეორე ღმერთის არსებობა გამორიცხულია, ამიტომ ყურანი არ არის მარადიული და ის შექმნილია ერთადერთი ღმერთის, ალლაჰის მიერ.¹⁰

მუ'თაზილების მოძღვრება ერესად გამოცხადდა და მათი დევნა სახალიფოში დაიწყო ხალიფა მუთავაჟილის (847-861) დროს, მაგრამ მუ'თაზილები ამის შემდეგაც, მომდევნო საუკუნეებში, თვით დავით IV-ის ეპოქაში განაგრძობდნენ მოღვაწეობას ერაყსა და ირანში. XII ს. დიდი მუ'თაზილი თეოლოგი იყო აზ-ზამაქარი (გარდ. 1144 წ.).

ყადი იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანი და მუჰამად აღ-ჰამაფი მოგვითხრობენ, რომ დავითი განჯის ყადის ეკამათებოდა „ალლაჰის სიტყვის“ შექმნილობისა და მარადიულობის შესახებ. თუ „ალლაჰის სიტყვა“ მათ ცნობაში გულისხმობს ყურანს (როგორც ეს მიიჩნდათ მკვლევარებს), მაშინ გამოდის, რომ მოპაექრეები ეხებოდნენ იმ სერიოზულ პრობლემას, რომელიც საუკუნეების მანძილზე აწუხებდა თვით მუსლიმ თეოლოგებს. შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ დავით IV, რომელიც კარგად იცნობდა ისლამს, ისლამის რელიგიურ კანონს, ამავე დროს იცნობდა მუ'თაზილთა მოძღვრებასაც და იყენებდა მათ არგუმენტებს. მაგრამ ასეთ დაშვებას აბრკოლებს ერთი გარემოება. ზემოთხსენილ ცნობაში „ალლაჰის სიტყვას“ შეესაბამება ტერმინი ქალიმა და არა ქალამი.

ისლამური ფილოსოფიის ცნობილი სპეციალისტი ჰ.ვოლფსონი აღნიშნავს, რომ მუსლიმები არ არიან წინააღმდეგნი გამოიყენონ ქალიმა „ზიტყვის“ — ყურანის მარადიულობის მნიშვნელობით, მაგრამ, როგორც წესი, ამისთვის ისინი ხმარობენ სხვა ტერმინს — ქალამს (Wolfson, 1976:239-40. შვნ. 22). არაბულ თეოლოგიურსა და ფილოსოფიურ ლიტერატურაში „ალლაჰის, ღმერთის სიტყვას“ შეუქმნელი და მარადიული ყურანის მნიშვნელობით ეწოდება სწორედ ქალამი და არა ქალიმა.

რას ნიშნავს ქალიმა?

ტერმინი ქალიმა მრ. ქალიმათ ხშირად გვხვდება ყურანში. ის გამოიყენება ძალზე ზოგადი მნიშვნელობით, როგორც სიტყვა — კარგი თუ ცუდი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის უნდა გავიგოთ როგორც ღმერთის, ალლაჰის სიტყვა. „ალლაჰის სიტყვები“ არ შეიძლება შეიცვალოს (ყურანი: 1064). ყურანიდან ხშირად ციტირებულ პასაჟებს მიეკუთვნება აიები, რომლებშიც „ალლაჰის

¹⁰ დაწერილებით ყურანის წარმოშობის თაობაზე ამ ორი თვალსაზრისის განვითარებისა და ურთიერთდაპირისპირების შესახებ იხ.: Mucca, 1963:157. Петрушевский, 1966: 100-102, 206-207; Madelung; 1985:504-25, Welh, 1981:26.

სიტყვად“ გამოცხადებულია იესო ქრისტე. ასე, მაგალითად, ანგელოზები (იგულისხმება ჭიბრაილი, იგივე გაბრიელი) ეუბნებიან მარიამს: "ო, მარიამ! ჭეშმარიტად, ალლაჰი გაგახარებს შენ სიტყვით მისგან, რომლის სახელიცაა მესია, 'ისა (იესო—გ.კ.), ძე მარიამისა, დიდებული ამქვეყნიურ და იქვეყნიურ ცხოვრებაში კეთილმსახურთა შორის"(ყურანი, 345). ყურანის კომენტატორები (ალ-ბაიდავი, ას-სუიუტი და სხვ.) თვლიდნენ, რომ ქალიშა ალლაჰი, რომელიც არის იესო ქრისტე, როგორც ღმერთის სიტყვა დაკავშირებულია მის შემქმნელ სიტყვასთან "ქუნ"(„იქმენ“). ადამის მსგავსად იესოც ალლაჰმა შექმნა: "ჭეშმარიტად 'ისა ალლაჰის წინაშე მსგავსია ადამის. მან შექმნა ის მიწისაგან (თურაბ). შემდეგ თქვა "იქმენ" და იქმნა (ყურანი, 369 ; *Macdonald, Gardet, 1974:508*).

როგორ არის წარმოდგენილი იესო ქრისტე ყურანში?

ყურანით იესო ქრისტე მუჰამადამდე ყველაზე პატივცემული და ამავე დროს უკანასკნელი წინასწარმეტყველია. მას ეწოდება 'ისა, ალ-მასიჰ (მესია), ნაბი (წინასწარმეტყველი), იბნ მარიამ (მარიამის ძე), 'აბდ ალლაჰ (ალლაჰის მონა), რასულ ალლაჰ (ალლაჰის მოციქული), სალიჰ (კეთილმსახური), კავლ ალ-ჰაკკ (ჭეშმარიტების მეტყველება), ქალიშა (ალლაჰი სიტყვა) და სხვ. (*Пуотровский, 1991გ:102. Anawati, 1973:81*). ალლაჰმა მარიამს გაუგზავნა ანგელოზი ადამიანის სახით, რათა ეცნობებინა მისთვის, რომ დაებადება ძე, რომელსაც ეწოდება „წყალობა ჩვენგან“ (ალლაჰისაგან), „სიტყვა მისგან“ (ალლაჰისაგან), „სიტყვა ალლაჰისაგან“ (ყურანი, 1921;339;345). ძე დაიბადა ზებუნებრივად, ქალწულ მარიამისგან, ალლაჰის მიერ შთაბერილი სულით, რომელსაც ეწოდება „ჩვენი (ალლაჰის) სული“ (ყურანი, 2191;6612) და შემქმნელი სიტყვის "ქუნ"(„იქმენ“) ბრძანებით. ეს კომბინირებული ვერსია იესოს დაბადებისა გვხვდება შემდეგ აიაში: "მესია, იესო, ძე მარიამისა, არის მხოლოდ მოციქული ალლაჰისა, მისი სიტყვა, რომელიც გაუგზავნა მარიამს და სული მისი"(ყურანი, 4171; *Wolfson, 1976:310*).

ყურანი აღიარებს, რომ იესო არის ღმერთის, ალლაჰის სიტყვა და მისი სული, მაგრამ უარყოფს იესოს ღვთაებრიობას (*Sweetman, I/1, 1945: 31; Wolfson, 1976:310*). იესო ადამიანია, მაგრამ არაჩვეულებრივი, რომელიც ალლაჰმა სხვა მოციქულებივით კი არ აირჩია, არამედ ადამის მსგავსად თვით შექმნა (*Пуотровский, 1991გ:119*). ამრიგად, ქალიშა, „ალლაჰის სიტყვა“ — იესო ქრისტე მუსლიმური თვალსაზრისით არ არის მარადიული (ვადიმა), შეუქმნელი (დაჰრ მაზლუჰა). ის შექმნილია (მაზლუჰა).

როგორ ეთანხმება ეს მუსლიმური თვალსაზრისი ქრისტიანულს?

სამების ქრისტიანულ დოქტრინაში, როგორც ცნობილია, ქრისტეს უკავია

მეორე ადგილი. ის არის ძე ღმერთი, ღმერთის სიტყვა (ლოგოზი). ამასთან, "სიტყვა" გამოიყენება ქრისტეს მარადიულობის (დაუსაბამობის) მნიშვნელობით. იოანე დამასკელის თანახმად "არაოდეს იყო ღმერთი თუნოვან სიტყვასა, არამედ მარადის აქუს თავსა შორის თვისსა სიტყვად მისგან შობილი." იესო ქრისტე "იმეა მამისაგან უწინარეს ყოველთა საუკუნეთა". ის არის "შობილ და არა-ქმნილი" და ამავე დროს "თანა-არსი მამისაჲ, რომლისა მიერ ყოველნი შეიქმნეს... და ჟუამო და დაუსაბამო არს შობად მისი"(იოანე დამასკელი, 1966:348,351,352). ქრისტიანული კონცეფციით მარადიული (დაუსაბამო) ქრისტე განხორციელდა, განკაცდა შობილ ქრისტეში. იესო, შობილი ღმერთისაგან, ძე ღმერთისა, თავადაც მსგავსია მამის. ის არის ღმერთი. მას აქვს ადამიანური და ღვთაებრივი ბუნება (იხ. მაგ., თოფ.ამუკურა: 84,90,93).

ამრიგად, მუსლიმურსა და ქრისტიანულ თეოლოგიაში იესო ქრისტეს, როგორც ღმერთის სიტყვის შესახებ წარმოდგენები დიამეტრულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. არაბულად მოლაპარაკე ქრისტიანებს, როგორც საერთოდ ქრისტიანებს, სწამდათ, რომ „სიტყვა“ (ქალიმა) ქრისტეს მარადიულობის, დაუსაბამობის მნიშვნელობით იყო შეუქმნელი, მაგრამ „სიტყვა“ (ქალამი) საღვთო წერილის (ყურანი) აზრით არ იყო შეუქმნელი. უფრო მეტიც, ქრისტიანებისათვის იოანე დამასკელიდან მოყოლებული სრულიად აშკარა იყო, რომ ყურანი, მუჰამადის „წერილი-ჟუკეთური სიგრუე, გაკვიცვვისა და დაცინვის ღირსია“ (იოანე დამასკელი, 1992:162). ამიტომ ისინი სიფრთხილეს იჩენდნენ ორი ტერმინის ქალიმას და ქალამის გამოყენების დროს. არაბი თეოლოგი ალ-ჭუვეინი (გარდ. 1081 წ.) ამის თაობაზე წერდა: "ქალიმაში ქრისტიანები არ გულისხმობენ ქალამს, რადგანაც მათთვის ქალამი არის შექმნილი" (Wolfson, 1976:239-40, ნონ. 22).

ღმერთის სიტყვის — იესო ქრისტეს ღვთაებრიობისა და მარადიულობის პრობლემა, პრობლემა მისი შექმნილობისა და შეუქმნელობისა გახდა საგანი დისპუტებისა მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის (Addison, 1942:271; Sweetman, 1/1, 1945:26). ასეთი პაექრობების დროს მუსლიმები იგებდნენ, რომ ქრისტიანები ადარებდნენ თავიანთ რწმენას „ღმერთის სიტყვის“ შეუქმნელობაზე — ქრისტეს მარადიულობის მნიშვნელობით, მუსლიმურ რწმენას „ალლაჰის სიტყვის“ შეუქმნელობაზე — ყურანის მარადიულობისა და შეუქმნელობის თვალსაზრისით (Addison, 1942:251; Wolfson, 1976:242-44,723). ეს საკითხი დგას, მავალითად, ქრისტიანისა და მუსლიმის იმ კამათში, რომელიც აგვიწერა იოანე დამასკელმა.

იოანე დამასკელი ურჩევს ქრისტიანს გამოგლოჯოს მუსლიმს აღიარება, რომ "ალლაჰის სიტყვა" — ქალიმა ყურანში ეწოდება ქრისტეს, მისი მარადიულობის მნიშვნელობით ისევე, როგორც "ალლაჰის სიტყვა" — ქალამი ეწო-

დება ყურანს — ყურანის მარადიულობის მნიშვნელობით. მუსლიმს არ შეუძლია უარყოს, რომ „აღლაჰის სიტყვა“ ნებისმიერ შემთხვევაში შეუქმნელია, ვინაიდან „აღლაჰის სიტყვა“ — ყურანი შეუქმნელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქნება ერეტოკოსი. ამის შემდეგ იოანე დამასკელი მოუწოდებს ქრისტიანს აიძულოს მუსლიმი აღიაროს, რომ მარადიული ქრისტე არის ღმერთი. ამით იოანე დამასკელს სურს თქვას, რომ ყოველივე, რაც არ არის შექმნილი, მაგრამ მარადიულად არსებობს ღმერთთან ერთად, ღმერთია, რადგანაც მარადიულობა ნიშნავს ღმერთს. მოპაექრე მუსლიმის პასუხს იოანე დამასკელი არ იძლევა. 3. ვოლფსონი ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაში მუსლიმის პასუხი შეიძლება იყოს ორგვარი: ის დაუშვებს, რომ ქრისტე მარადიულია, მაგრამ მარადიულობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის ღვთაებრიობას, ღმერთი ერთია და არ არის სხვა ღმერთი გარდა აღლაჰისა, ანდა შეეცდება დაამტკიცოს, რომ „აღლაჰის სიტყვა“ მხოლოდ ყურანთან მიმართებაში ნიშნავს ყურანის მარადიულობას. რაც შეეხება „აღლაჰის სიტყვას“ იესო ქრისტესთან მიმართებაში, ის ნიშნავს მხოლოდ შემქმნელ სიტყვას „ქუნ“ („იქმენ“), რომლითაც სამყაროს ყველა საგანი შექმნილია აღლაჰის, ღმერთის მიერ (Wolfsen, 1976:242,243).

კამათი „ღმერთის სიტყვის“ — იესო ქრისტეს მარადიულობაზე გვხვდება არსენ იყალთოელის ანტიმუსლიმურ პოლემიკურ ტრაქტატშიც. ქართველ ბერსა და სარკინოზ (მუსლიმ) „შჯულის მეცნიერს“ შორის გამართულ კამათში ბერი მიმართავს სარკინოზს:

„აწ უკუღ მითხარ-ღა ხიტყუამ და ხული. ესე რომლითა განი და ქუღყანამ დაემტკიცნეს და ყოველი ძალი მათი დაუხაბამონი არიანა ღმერთისა თანა ანუ არა?

სარკინოზმან თქუა: არავინ არს დაუხაბამოჲ, გარნა ღმერთი მხოლოჲ.

ბერმან თქუა: და ღმერთი იგი დაუხაბამოჲ იყო ოდესმეა თუნიერ სიტყუა და ხულისა და ესენი უკუნაჲსა დაჰბადნა? უკუეთუ ხული და სიტყუამ უკუნაჲს დაჰბადნა და არა მის თანა დაუხაბამონია ამათ და დაბადებამდე უხულო და უსიტყულო იყოა ღმერთი, ნამეთუ უხულიო და უსიტყულოი მკუდარ არს და არა ცხოველ.

სარკინოზმან თქუა: უკუეთუ ვთქუა, ვითარმედ მის თანა დაუხაბამონი იყენეს, რა გატეხამ შემოვალს ჩემ ზედა სიტყუთა მით?

ბერმან თქუა: აღიარე და მერმე გითხრა რამ შემოვალს შენ ზედა.

სარკინოზმან თქუა: აღვიარებ ღმერთსა სიტყუთა და ხულითა მისითა ცხოველსა და უკუდავსა, დაუხაბამოსა ყოველითურთ.

ბერმან თქუა: აწდა ჩაჰვარდი მღკმესა, რომელსაგა ვრიდებოდე. ვინაჲთგან აღიარებ-ღა დაუხაბამოსა სიტყუთ და ხულითურთ მისით. არა

იხე წერილ არს კურანსა თქუნესა: იესუ ქრისტე სული არს და სიტყუაჲ დმრთისაჲ, მოზილი ქალწულისა მარიაჲსიგან? აწ უნებლიაჲთ ადგიარე-ბია, ვითარმედ ქრისტე სულია და სიტყუაჲ დმრთისაჲ, მის თანა დაუხა-ბამოა მზგაგხად სიტყუა მის, რომელ წერილ არს კურანსა თქუნესა" (არს.იყალთოული, V 1463:312v).

ქართველი ბერი ამ პაექრობაში ფაქტობრივად იცავს იოანე დამასკელის ინსტრუქციებს და კამათი საკინოზთან აღნიშნულ თემაზე მისი გამარჯვებით სრულდება.

დავებრუნდეთ ისევ ყადი 'იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანისა და მუჰამად აღ-ჰა-მავის ცნობას, რომლის თანახმადაც დავით IV ეკამათებოდა განჯის ყადის ქალი-მას — „აღლაჰის სიტყვის“ მარადიულობისა და შექმნილობის შესახებ. მას შემდეგ, რაც წარმოვაჩინეთ ქალიმას მნიშვნელობა და ამასთან დაკავშირებით მუსლიმ და ქრისტიან თეოლოგთა დაპირისპირება, შეიძლება ვიფიქროთ (წინამორბედ მკვლევართაგან განსხვავებით), რომ მეფისა და ყადის პაექრობაში საქმე ეხებოდა არა ყურანს (რადგანაც ამ შემთხვევაში უფრო მოსალოდნელი იყო, რომ არაბი ავტორები დაასახელებდნენ ქალამს), არამედ — იესო ქრისტეს.

განჯის მუსლიმი ყადი კამათში ისლამური კონცეფციის საფუძველზე დაიცა-ვდა იმ თეზისს, რომ „აღლაჰის სიტყვა“, ქალიმა — იესო ქრისტე არ იყო მარადიული და რომ ის იყო შექმნილი აღლაჰის მიერ, უარყოფდა მის ღვთაებრი-ობას. დავით IV, ქრისტიანული კონცეფციის მიხედვით, დაიცავდა „ღმერთის სიტყვის“ — იესო ქრისტეს მარადიულობის, დაუსაბამობისა და ღვთაებრიობის თეზისს. მაგრამ ამ კამათში, რაღაც ფორმით, იოანე დამასკელის ინსტრუქციიდან გამომდინარე, მეფე შეიძლებოდა შეხებოდა ყურანის შექმნილობის საკითხსაც. ამდენად, კამათი დავით IV-სა და განჯის ყადის შორის იყო ისლამური და ქრისტიანული თეოლოგიის კარდინალურ საკითხზე, რაც მეფისაგან მოითხოვდა როგორც ქრისტიანობის, ისე ისლამის ღრმა ცოდნას. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება, ჩანს, აოცებდა მის მუსლიმ თანამედროვეებსა და არაბ ისტორიკო-სებს.

საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ის მეთოდები, რომლებითაც ქრისტიანულ საქართველოში და ისლამურ სამყაროში ცდილობდნენ ერთმანეთის დისკრედი-ტაციას, განაპირობებდა ერთი მხრივ, ანტიმუსლიმური და მეორე მხრივ, ანტიქ-რისტიანული, ანტიქართული განწყობილების შექმნას. მტრული განწყობილების გავრცელებას ხელს უწყობდა ქორებიც, რომლებიც ჰემშიარიტების მარცვლებს შეიცავდა. როცა ჭალალ აღ-დინმა დაიპყრო აზერბაიჯანი და აპირებდა საქართვე-ლოს დალაშქრას, გავრცელდა ხმები, რომ ქართველებს სურდათ არა მარტო დაეპყროთ აზერბაიჯანი და თავრიზი და განედევნათ აქედან ჭალალ აღ-დინი, რაც თავისთავად არ იყო გამორიცხული, არამედ ისიც, რომ "შემდეგ ბადდადს წახულიყვენენ, კათალიგოზი დაეხეათ ზალიფას ადგილზე, მეჩეთები ეკ-

ღვსიებით და ჭეშმარიტება სიცრუით (ე.ი. ისლამი — ქრისტიანობით—გ.ჭ.) შეეცვალათ” (ჯუჯუინი, 1974:29).

ეს ქორი ფაქტობრივად წარმოადგენდა გამეორებას იმ ბრალდებისა, რომელსაც მანასკერტის ბრძოლის წინ მუსლიმები უყენებდნენ ბიზანტიელს (ალ-ჰუსაინი: 278). მიუხედავად უსაფუძვლობისა, მსგავსი ხმები იწვევდა ორთოდოქსალურ ისლამურ წრეებში ქართულთა წინააღმდეგ მძაფრ რეაქციას, რაც მოხერხებულად გამოიყენა ჯალალ ად-დინმა. XIII ს. 20-იანი წლებისათვის, როცა საქართველოს სამეფო კარი აპირებდა დახმარება გაეწია დასავლეთის ქრისტიანებისათვის და მონაწილეობა მიეღო ჯეაროსნულ ლაშქრობებში, ისლამურ სამყაროში, სრულიად ამკარად, გაბატონებული იყო ანტიქართული საზოგადოებრივი აზრი, რაც კარგად გამოხატა იბნ ალ-ასირმა: "სახაზღვრო მხარეთა შორის ეს სახაზღვრო მხარე [საქართველო] იყო და არის ყველაზე მანე მეზობლებისთვის. [ასე იყო] სპარსელებისთვის — ისლამამდე და [ასე] მათ შემდეგ მუსლიმებისთვის, ისლამის დასაწყისიდან დღემდე" (იბნ ალ-ასირი, XII: 452).

ისლამურ სამყაროში გავრცელებულმა ანტიქართულმა განწყობილებამ და საზოგადოებრივმა აზრმა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური იზოლაცია ხეარაზმელთა შემოსევების დროს და ითამაშა გარკვეული როლი იმაში, რომ არ მოხერხდა საქართველოსა და ისლამური ქვეყნების ერთობლივი ანტიმონღოლური ფრონტის შექმნაც.

ბ. სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციის იდეოლოგიური საფუძვლები

აკად. ვ.ბარტოლდი, რომელიც შესანიშნავად იცნობდა თურქული მოდემის ხალხების ყოფასა და ისტორიას, აღნიშნავდა თურქებში ომის კულტის დიდ მნიშვნელობას, რომელსაც უფრო ბარბაროსული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ქრისტიანებთან. ის იმოწმებდა XV ს. ერთ თურქულ გადმოცემას იმის თაობაზე, რომ თურქების წინაპრები, უკვე მუსლიმურ ხანაში, მხოლოდ მაშინ აღიარებდნენ ჰაბუეს სრულუფლებიან მამაკაცად და არქმევდნენ მას სახელს, როცა ის შეძლებდა თავი მოეჭრა მტრისათვის და დაეღვარა მისი სისხლი (*Бартольд*, 1966 მ: 423). ისლამს შეეძლო უფრო მეტად განემტკიცებინა თურქებში საომარი განწყობილება. მით უმეტეს, რომ ეს რელიგია აპართლებდა ბრძოლას ყველა ურწმუნოს წინააღმდეგ.

მუსლიმებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის სამართლისმცოდნეთა თანახმად, როგორც აღნიშნავს ბ.ლუისი, არსებობდა რელიგიური და იურიდიული თვალსაზრისით აუცილებელი საომარი ვითარება, რომელიც შეიძლებოდა დასრულებულიყო მხოლოდ მთელი კაცობრიობის ისლამზე მოქცევით, ანდა მისი მორჩილებაში მოყვანით. მშვიდობა მუსლიმურ და არამუსლიმურ სახელმწიფო-

ებს შორის, ამგვარად, იურიდიულად შეუძლებელი იყო. შეიძლებოდა არა ომის დასრულება, არამედ მისი შეწყვეტა მხოლოდ დაზავებით, როცა არსებობდა საამისო აუცილებელი მიზეზები და იყო სასარგებლო. ასეთი ზავი ითვლებოდა დროებითად და არ უნდა გაგრძელებულიყო 10 წელზე მეტი. მუსლიმებს შეეძლოთ ნებისმიერ დროს ცალმხრივად დაერღვიათ ის (Lewis, 1974:176).

მუსლიმური თვალსაზრისით, როგორც ცნობილია, მთელი სამყარო იყოფოდა სამ ნაწილად. ესენია: 1. დარ ალ-ისლამი — ისლამის მხარე, ის ქვეყნები, რომლებსაც მართავენ მუსლიმი გამგებლები მუსლიმური სამართლის საფუძველზე, თუნდაც ამ ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი არ იყოს მუსლიმი; 2. დარ ალ-ჰარბი — ომის მხარე, ის ქვეყნები, რომლებსაც მართავენ „ურწმუნო“ გამგებლები. ამ ქვეყნებში არ მოქმედებს მუსლიმური სამართალი, რომელსაც ცვლის „ურწმუნოთა“ კანონები; 3. დარ ალ-სულჰი — ზავის მხარე, ის არამუსლიმური ქვეყნები, რომელთა არამუსლიმმა გამგებლებმა თავი აღიარეს მუსლიმთა ვასალბად და მოხარკებად. მათი ვალდებულებები (მათ შორის ხარკის ოდენობა) და მოვალეობები განსაზღვრულია იმ საზავო ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდო მუსლიმთა მიერ მათი დაპყრობის დროს (Петрушевский, 1966:80; Большаков, 1991მ,გ,დ: 56; Abel, 1961. ა, მ: 126; Khadduri, 1955:52,156-57; Macdonald, Abel, 1961: 131).

მუსლიმთა მოვალეობაა გააფართოვონ დარ ალ-ისლამის საზღვრები დარ ალ-ჰარბის, ჭაფირების ე.ი. „ურწმუნოების“ ტერიტორიების ხარჯზე. ჭიპადის — საღვთო ომის იდეა შუა საუკუნეებში ასაზრდოებდა ისლამურ ექსპანსიონიზმს. ჯიჰად ქი საზილ ალლაჰ — ბრძოლა ალლაჰის გზაზე არის ბრძოლა ურწმუნოთა წინააღმდეგ ისლამის სახელით და ისლამის გამარჯვების მიზნით. ჭიპადის კონცეფცია კარგად არის შესწავლილი ისლამოლოგიაში (Петрушевский, 1960:80; Ибрагим, Сагадиев, 1991:66-7; Массэ, 1963:60-63; Cahen, 1966:181; Туан, 1963:518-19; Macdonald, 1974:89; Lewis, 1974:174-75).

ჭიპადი სავალდებულოა ყველა მუსლიმისათვის, ვისაც პრაქტიკულად შეუძლია იომოს. ჭიპადის ობიექტთა შორის მუსლიმური სამართალი ასახელებს „ალლაჰის მტრებს“ — მათ, ვინც ემუქრება მუსლიმური თემის — უმმას არსებობას, ხელყოფს ისლამის საზღვრებს და არამუსლიმ მონოთეისტებს, რომლებიც განიხილებიან ჭაფირებად, „ურწმუნოებად“. მათთან ბრძოლაში დალუპული მუსლიმი ხდება შაჰიდი, მოწამე, რომელსაც მუსლიმური თვალსაზრისით გარანტირებული აქვს სამოთხე, სადაც ის დაიკავებს მაღალ ადგილს ალლაჰის ტახტის მახლობლად. შაჰიდს ეპატიება ყველა მიწოერი ცოდვა (Кушев, 1991:296. Björkman, 1974: 515-16).

ჭიპადი შეიძლება გამოცხადდეს როგორც შეტევითი, ისე თავდაცვითი ომების დროს. ომის დაწყების წინ მუსლიმური თემის მეთაური ვალდებულია, რომ

„ურწმუნოებს“ შესთავაზოს „ქვემარტ რჯულზე“ — ისლამზე მოქცევა. თუკი „ურწმუნოები“ ამ მოთხოვნას დაემორჩილებიან და აღიარებენ ისლამს, მაშინ მათ მიიღებენ მუსლიმურ თემში (უმაჰა) და მინიჭებენ იმავე უფლებებს, რომლებიც აქვთ სხვა მუსლიმებს. „ურწმუნოებს“ შეუძლიათ თავიდან აიცილონ ომი და შეინარჩუნონ საკუთარი რჯული იმ პირობით, თუ თავს გამოაცხადებენ მუსლიმი გამგებლის ქვეშევრდომად და იკისრებენ სპეციალური სულადობრივი გადასახადის — ჯიზიას გადახდას. დაპყრობილი ქვეყანა, ამრიგად, ხდება დარ ას-სულჰი. ურწმუნოებს შეუძლიათ გააგრძელონ ომი და იბრძოლონ ბოლომდე. მაგრამ თუ მუსლიმებმა გაიმარჯვეს ძალის გამოყენებით (ანვათან), მათ სრული უფლება აქვთ გაძარცვონ და მოაოხრონ დაპყრობილი მხარე, ხელთ იგდონ ნადავლი, წაასხან ტყვეები, დახოცონ მამრობითი სქესის (ბავშვებისა და მოხუცების გარდა) მოსახლეობა.

მუსლიმური სახელმწიფოს ქვეშევრდომი „საღვთო წერილის ხალხები“, მათ შორის ქრისტიანები, რომლებმაც თავიანთი სარწმუნოება შეინარჩუნეს ჯიზიას გადახდის პირობით, იღებენ მფარველობის ქვეშ მყოფი ხალხის — აჰლ აზ-ზიმ-მას, ზიმმიების სტატუსს. ზიმმიებს აქვთ უფლება შეასრულონ საკუთარი ღვთისმსახურება. მუსლიმთა სამფლობელოებში ისინი იმყოფებიან თავიანთი რელიგიური თემის მეთაურის (პატრიარქი, კათალიკოსი) იურისდიქციის ქვეშ. უფლებრივად ისინი უფრო დაბალ საფეხურზე დგანან, ვიდრე მუსლიმები (დაწვრილებით იხ. : *Cahen, 1961:228-29*).

ა.კ. ლამბტონი, რომელიც განიხილავდა თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში მიწისმფლობელობის წესს, წერდა: „მთავარი ნიშანი სელჩუკთა მიწის ადმინისტრაციისა... იყო იკტას სისტემა. ახალი გარემოებების შეუქმნე ბევრი რამ ძველი ისლამური თეორიისა აღარ იყო მისაღები. ქვეყანა აშკარად აღარ იყოფოდა დარ ალ-ისლამად და დარ ალ-ჰარბად“ (*Lambton, 1953:59*; ვ. გამაშვილი, 1957:127). ეს თვალსაზრისი მისაღებია იმდენად, რამდენადაც „ამ პერიოდის კამპანიების უმეტესობა მიმდინარეობდა იმპერიის ფარგლებში და მიწების დაპყრობა ხშირად ხდებოდა მუსლიმ ანდა ნომინალურად მუსლიმ მფლობელთა ხარჯზე“ (*Lambton, 1953:59*), მაგრამ ქრისტიანული ქვეყნები, რომელთა წინააღმდეგ ასევე იყო მიმართული თურქ-სელჩუკთა აგრესია, რჩებოდნენ დარ ალ-ჰარბად. ქრისტიანული სამყაროს, კერძოდ კი, საქართველოს წინააღმდეგ შეტევითი, აგრესიული ომები მიმდინარეობდა ისლამის დროშით. ჭიჭადის, საღვთო ომის იდეოლოგია ასაბუთებდა და ამართლებდა თურქ-სელჩუკთა ექსპანსიას და აგრესიას, ნიღბავდა მომთაბარეთა მოძრაობის ქვემარტ სოციალურ-ეკონომიკურ მიზეზებს, მის უჩაღურსა და მძარცველურ ხასიათს.

ალ-პუსაინი მოგვითხრობს, რომ საქართველოზე ლაშქრობის წინ ალფ-არ-სლანს ეახლა და მის სამსახურში ჩადგა თურქმენი ამირა ტულ-თეგინი. მან აცნობა სულტანს, რომ ქართველთა ქვეყანა (ბილად ალ-ქურჯ) ბიზანტიისათვის (ბილად არ-რუმ) გადაიქცა: „ცდუნების ხარბივლად და ურწმუნოებისა და

ტირანიის საძოვრად“ (ალ-ჰუსაინი: 208-21ა). მემატიანეს სავსებით შეგნებულად მოაქვს ამირას სიტყვები, რათა მკითხველს, მართლმორწმუნე მუსლიმებს შეუქმნას ალფ-არსლანის ლაშქრობის სრული კანონიერების შთაბეჭდილება. ჭიპადი ითვალისწინებს ბრძოლას როგორც „უღმერთოთა“ და „ურწმუნოთა“, ისე ტირანთა და ძალმომრეთა (ალ-შადი) წინააღმდეგ (*Ибрагим, Сагадеев*, 1991:67).

იქ, სადაც თურქ-სელჩუკები იარაღით, ძალის გამოყენებით ეუფლებოდნენ დასახლებულ პუნქტებს, ჭიპადის კონცეფციის შესაბამისად დამარცხებულთ არ ჰქონდათ დანდობა და შებრალება. მაგრამ, როგორც ითქვა, მუსლიმთა მხარე მოვალე იყო შეეთავაზებინა მოწინააღმდეგისათვის ისლამის მიღება, ან ჭიზის გადახდა. ალ-ჰუსაინის ცნობით, ალფ-არსლანმა ამ წინადადებით მიმართა ბაგრატ IV-ს და მეფე დასთანხმდა გადაეხადა ჭიზა (ალ-ჰუსაინი: 228), თუმცა კი ეს პირობა მან არ შეასრულა (მენგელია, 1976მ:194, შონ. 14. მენგელია, 1989:155). მოგვიანებით, გიორგი II ხარკის (ჭიზის) გადახდის პირობით დამორჩილდა მალიქ-შაჰს. ამით მისი სამფლობელო გადაიქცა ზავის, საზავო ხელშეკრულების (დარ ას-სულა) მხარედ.

ჭიპადის კონცეფციის შესაბამისად, გამუსლიმებული აღსართანის სამეფო — კახეთი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსახლეობის უმეტესობა იყო ქრისტიანი, გადაიქცა დარ ალ-ისლამად. მომდევნო მეფე კვირიკე ქრისტიანი იყო. მაგრამ მისი ძმისშვილი, აღსართან II ისევე „უსჯულო“ ე.ი. მუსლიმი. ამდენად, დავით IV-ის მიერ კახეთის შეერთება მუსლიმთა პოზიციებიდან იყო ისლამის საზღვრების ხელყოფა.

დავით IV-ის სხვა სამხედრო ღონისძიებებიც თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, მუსლიმ ისტორიკოსთა მიხედვით, იყო ბრძოლა საერთოდ ისლამისა და ისლამის ქვეყნების წინააღმდეგ. იბნ ალ-ასირს 1121 წ. ამბები — დიდგორის ბრძოლა და შემდეგ თბილისის განთავისუფლება ასე აქვს დასათაურებული: „მოხსენიება ისლამის ქვეყანაზე ქართველთა გამოხველისა და თბილისის დაპყრობისა“ (იბნ ალ-ასირი, X:567). ამდენად, ისლამის საზღვრების ხელშეყოფი ქართველთა მეფის წინააღმდეგ მუსლიმთა კოალიციის გამოსვლა სრულიად გამართლებული იყო მუსლიმთა თვალში.

ჭიპადის ტაიფური ნიმუშია 1163 წ. მუსლიმთა ის კოალიციური ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ შაჰ-არმენი სუქმან II, ათაბაგი შაჰს ად-დინ ელდიგუზი, სულტანი არსლან-შაჰი და ერასის თურქმენი ამირები. თავდაპირველად მოკავშირეები ყოყმანობდნენ დაეწყოთ თუ არა ომი გიორგი III-სთან, მაგრამ როცა ლაშქრობა გადაწყდა, ელდიგუზმა უთხრა მოკავშირეებს: „აზლა გაეიგე, რომ გწადიათ ჯიჰადი და დაჟინებით მოითხოვთ ალლაჰის მტრებთან ბრძოლას. ადდექით ურწმუნოებთან შესახვედრად. მიუძღვენი თქვენი სულეები ჯიჰადისათვის ერთადერთსა და ძლიერს“.

[ალლაჰს] "...ხოლო როცა ბრძოლა დიწყო "ერაყელი მუსლიმები შეუერთდნენ თავიანთ მუსლიმ ძმებს და გაემართნენ ალლაჰის მტრებზე" (ალ-ჰუსანი: 90ა,90ბ).

ჰიჰადის იდეის რეალობაცია იყო, 'იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანის მიხედვით, ათაბაგ ყარა-სონყურის გამარჯვება ქართველებზე, რომლებმაც მანამდე აიღეს მიწისძვრით დანგრეული განჯა: "აღდგა რწმენის სახელმწიფო, დაბრუნდა ადათი დაზმარებისა და სიმტკიცის. დემერთის ერთარსობის მომხრეებმა (აჰლ ათ-თავიდი) სძლიეს სამების (აჰლ ათ-თასლის) მომხრეებს. აღორძინდა კარგი [რამ] უკეთურებისწაბორძიკებით" (ალ-ისფაჰანი/ აღ-მუნ-დარი, 1900: 173; ჯათარიბი, 1992ა:122).

ჰიჰადის ლოზუნგით აპირებდა თავისი დიდი ექსპანსიონისტური გეგმის განხორციელებას სალაჰ აღ-დინი. ჰიჰადის დროშით მოდიოდა საქართველოზე რუქ აღ-დინი. მან ასე მიმართა თამარს: "ან წარმომივლენია ყოველი მკედრობა ჩემი, რათა ადევოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა, და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინამომეგებოს, თაყუანის-ცეს ჩათრსა ჩემსა, ხასოება იგი თქუენი ჯუარი წინამე ჩემსა დალენოს და მოჰმადი აიღაროს" (ისტ. და აზმ. შარაყანდ., ქც, II, 1959:93). სხვა ცნობით რუქ აღ-დინი აცხადებდა: "...და ან მე მოვალ, რათა უსაჯო ხამართალი ხაზლსა სპარსთასა და განგწუართო შენ და ერი ეგე შენი არაოდეს კადრებად აღებად კრმლისა, რომელი დემერთსა ჩუენდა უბოძებია. ხოლო ცხოვნებითა იგი ოდენ ვაცხოვნო, რომელ უწინარეს მოსვლისა ჩემისა თაყუანის-მცეს წინამე კარვისა ჩემისა და აღიაროს ჯადაგება მოჰმად მოციქულისა, და უარყოს ხჯული შენი და კელითა თუხითა იწყოს წინამე ჩემსა ლენად ჯუარისა, რომლის მიმართ დაგიცთ ცუდი ხასოება" (მას. ეზონმოძლ. ქც, II, 1959:133-34).

ორიენტალისტები თვლიან და ზოგადად, მართლაც ასეა, რომ ისლამი, როგორც რელიგია, არ ვრცელდებოდა მახვილით, რომ ჰიჰადი განაპირობებდა სამხედრო ექსპანსიას და არა ისლამზე პირდაპირ მოქცევას (იხ. მაგ. *Yomm*, 1976:24-5), მაგრამ ამავე დროს შეიძლება მოვიძიოთ არაერთი ფაქტი, როცა გამარჯვებული მუსლიმური მხარე დაუნდობელი მეთოდებით, სწორედ იარაღით ცდილობდა ისლამის გავრცელებას. ეს, ყველაზე ხშირად ხდებოდა ძალით, იარაღით დაპყრობის ('ანვათან) დროს. ჯალალ აღ-დინის მიერ თბილისის აღებას მოჰყვა ხვარაზმელთა აღვირახსნილი ძალმომრეობა და ტერორი. ჟამთააღმწერლის ცნობით, ჯალალ აღ-დინმა "ზრძანა ყოველთა მათ ბყრობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგუნვა ბატიოხანთა ზატთა და დატეგება სჯულისა, უკეთუ არა ჰყონ, წარგუეთა თავთა" (ქც, II, 1959:

კირაკოს განმაცეცი მოგვითხრობს, რომ ჯალალ ად-დინმა "მრავალი ადამიანი მოხრა და კიდევ უფრო მეტი აიძულა გადამდგარიყო ქრისტიანობიდან და მიეღო მუსლიმთა ცრუ და ყალბი რწმენა. ამის შემდეგ ბევრმა სიკვდილის შიშით ჭეშმარიტება სიცრუეზე გაცვალა... შემდეგ სულტანმა გახცა ბრძანება, რომ აღარ ეკითხათ, უნდოდათ თუ არა ქრისტიანობიდან განდგომა და ძალით წინადაეცვიათ იხინი" (ვირჯ.განმაცეცი: 150).

ქართველ და სომეხ მემკვიდრეებს მხარს უბამს იბნ ალ-ასირი. ის ოუწყებდა, რომ ხვარაზმელებმა თბილისში "დაზოცეს შიგ მყოფი ქართველები. არ დაუნდიათ არც დიდი და პატარა, იმათ გარდა, ვინც მიიღო ისლამი და წარმოითქვა რწმენის აღიარების ფორმულა. მხოლოდ ესენი დაინდო ცინადგვეთისშემდეგ" (იბნ ალ-ასირი, XII:451).

მოუხედავად იმ საშინელებებისა, რომლებიც ხვარაზმელებმა დაატრიალეს თბილისში, იბნ ალ-ასირი კმაყოფილია: "იყო დიდებული ეს დაპყრობა და მიხი ადგილი განდიდდა ისლამის ქვეყნებში და მუსლიმთათვის" (იბნ ალ-ასირი, XII:491). ამ ცნობაში სიტყვა "დაპყრობას" შეესაბამება არაბ. "ალ-ფათჰ", რომელიც ჯიჰადის სინონიმდაც იხმარება (*Ибрагим, Сагадзе, 1991:67*). მაშასადამე, თბილისის აღება და მისი დაქცევა მუსლიმური თვალსაზრისით ჯიჰადის ზეიმი იყო.

XII ს. მთელ მანძილზე და XIII ს. პირველ მესამედში საქართველო ისლამური სამყაროსათვის იყო განსახიერება საომარი მხარისა (დარ ალ-ჰარბ) და მასთან სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციის იდეოლოგიური საფუძველი, მოუხედავად შეტევითი და თავდაცვითი ომებისა, იყო ჯიჰადი.

ჯიჰადის არსი შეუძლებელია შეუძინეველი დარჩენილიყო ქრისტიანული საქართველოს იდეოლოგიათათვის. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თურქ-სელჩუკთა აგრესიას წარმოგვიჩინეს არა როგორც აგრესიას კონკრეტულად ქართველების, არამედ ქრისტიანების წინააღმდეგ. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ როცა თურქებმა დაიკავეს ბერძნების მიერ მიტოვებული ციხეები და "მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა," მაშინ "განმრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა, რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუენვად და მოოკრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტეანეთა." თურქთა თარეშის შედეგად, "განგრძა ესე ვითარი ჭირი ქრისტეანთა ზედა." სასოწარკვეთილი გიორგი II გაემგზავრა ისფაჰანში მალაქ-შაჰთან და "ესრეთ დადვა სული თჳსი და სიხილი ქრისტეანთა კსნისათჳს" (ეც, I, 1955:318, 319, 320; 321).

შეიარაღებული ბრძოლა ისლამური ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ საჭიროე-

ბდა სათანადო იდეოლოგიურ დასაბუთებას ქართველთა მხრიდანაც. მაგრამ საქართველო წარმოადგენდა ნაწილს ქრისტიანული სამყაროსი, სადაც დამოკიდებულება ომებისადმი, მათ შორის ისლამის წინააღმდეგ, ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში არ იყო ერთგვაროვანი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ადრეული ქრისტიანობა საერთოდ უარყოფდა ომის ყოველგვარ იდეას. ეკლესიის მამები ორიგენი, ტერტულიანი და ლატანსი კრძალავდნენ მახვილის ამოღებას და სისხლის დაღვრას. ომი მათთვის იყო მკვლელობა დიდი მასშტაბით, ხოლო ქრისტიანული რელიგია კი განიხილებოდა როგორც მშვიდობის რელიგია. მაგრამ წმ. ავგუსტინედან (გარდ. 430 წ.) მოყოლებული გაჩნდა განსხვავება სამართლიან, კანონიერსა და უსამართლო, უკანონო ომებს შორის. წმ. ავგუსტინემ საფუძველი ჩაუყარა სამართლიანი ომის უფლების ქრისტიანულ დოქტრინას, რომელიც გვხვდება შუა საუკუნეების მრავალ თეოლოგთან.

ამ დოქტრინით ომი კანონიერია, თუ ის წარმოებს: 1. სამართლიანი მიზეზით (სამშობლოს, ან კანონების დაცვა; ქონების დაბრუნება; უსამართლობის გამოსწორება; სამართლიანობისა და კვშმარიტი მშვიდობის საყოველთაო დამკვიდრება) 2. მკაცრი აუცილებლობიდან გამომდინარე, როცა ომი არის ერთადერთი საშუალება უსამართლობის თავიდან ასაცილებლად ანდა მის გამოსასწორებლად და 3. ხელშეწყობის გადაწყვეტილებით. ომები ურჩულოთა (მუსლიმთა) წინააღმდეგ შეფასებული იყო იმავე პრინციპებით (*Canard, 1973:611-12*).

ს. რანსიმანი წერს, რომ წმ. ავგუსტინე უშვებდა ომების წარმოებას ღმერთის ბრძანებით, მოგვიანებით ომი ეკლესიის ინტერესებისათვის, საღვთო ომი, დასავლეთ ევროპაში გახდა ნებადართული და სასურველიც კი. IX ს. შუა ხანებში რომის პაპმა ლეონ IV-მ გამოაცხადა, რომ ნებისმიერი, ვინც დაიღუპებოდა ბრძოლაში ეკლესიის დასაცავად, მიიღებდა ზეციურ ჯილდოს. მცირე ხნის შემდეგ პაპმა იოანე VII-მ საღვთო ომში დაღუპულები მოწამეთა რანგში აიყვანა (*Runciman, I, 1951:84*).

ჯვაროსნული ომები, რომლებიც მახლობელ აღმოსავლეთში XI ს. მიწურულში დაიწყო, თეოლოგთა მიერ განიხილებოდა როგორც სამართლიანი. მათ ქრისტიანები უნდა დაეცვა მუსლიმთა თავდასხმებისა და მუქარისაგან, დაებრუნებინა ქრისტიანებისათვის უსამართლოდ წართმეული წმინდა ადგილები და შური ეძია პილიგრიმებისადმი უსამართლო მოპყრობის გამო. მაგრამ ჯვაროსანთა ეპოქაში მოხდა თეორიულად თავდაცვითი, სამართლიანი ომების ტრანსფორმაცია აგრესიულ, რელიგიურ ომებად. ჯვაროსანი იბრძოდა იმისათვის, რომ გაეთავისუფლებინა წმინდა ადგილები პალესტინაში და ქრისტიანთა მფარველობაში გადაეცა უფლის საფლავი. ის ომში მიდიოდა ეკლესიის წაქეზებით, რომელიც მას აძლევდა ცოდვების მონანიების გარანტიას და ჰპირდებოდა სამოთხეს სიკვდილის შემთხვევაში. პილიგრიმობა, ქრისტეს და ეკლესიის ძალაუფლების გავრცელება როგორც სა-

ბოლოო მიზანი და სულეერი პრივილეგიები ჯილდოს სახით, იყო ნიშნები ქეშმა-რიტი ჯვაროსნებისა“ წერდა გ. გრუნებაუმი (*Григорьевым*, 1986:148). ჯვაროსანთა ომები იყო საღეთო ომები და არაერთი არაბი ავტორი მათ ჯიპადთან აიგივებდა (*Sivan*, 1968:114).

ბიზანტიას, რომელიც არაბთა გამოჩენის დროიდან ებრძოდა ისლამს, არ მიუღია დასავლეთის ქრისტიანთა საღეთო ომის დოქტრინა. თუმცა კი, როგორც აღნიშნავდა მ.ბალდუინი, რაღაც მსგავსი ჯვაროსნული იდეისა აღაფრთოვანებდა X ს. დიდ მეომარ იმპერატორებს (*Baldwin*, 1969: XXI-XXII)¹¹.

იმპერატორი ნიკეთორე II ფოკა (963—968) შეეცადა დაეკანონებინა, რომ მუსლიმებთან ბრძოლაში დაღუპული მეომრები მოწამედ გამოცხადებულიყო, მაგრამ ვერ შეძლო ამ იდეის განხორციელება. ვ.ბარტოლდის თვალსაზრისი, რომ ბრძოლამ ბიზანტიასა და სახალიფოს შორის მიიღო საღეთო ომის ხასიათი, როგორც ქრისტიანთა, ისე მუსლიმთა მხრიდან (*Бартольд*, 1966გ:583), მის პირველ ნაწილში გადასასინჯია. ბიზანტიურმა ეკლესიამ უარყო საღეთო ომი ურჯულთა წინააღმდეგ და უარი განაცხადა მოწამის გვირგვინი მიეცა ომში დაღუპულთათვის. უარყოფითად ეკიდებოდა ბიზანტიური ეკლესია ომებში სასულეო წოდების მონაწილეობასაც, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო დასავლეთის ქრისტიანებში. ბიზანტიელ იდეოლოგებს გახსნილი ჰქონდათ ჯიპადის არსიც. ისინი ყოველთვის გამოხატავდნენ თავიანთ გაოცებასა და უარყოფით დამოკიდებულებას მუსლიმთა ამ დოქტრინის მიმართ, რომლის მიხედვითაც „ურწმუნოებთან“ ომში დაღუპული სამოთხეში მოხვდებოდა. ამგვარი იდეა მათ სულელურ ცრურწმენად მიაჩნდათ (ამ საკითხებზე იხ. ანა ჯომნინე:282; *Canard*, 1973:620; *Ensslin*, 1967:5).

მ. კანარი რომაული იდეის სიცოცხლის უნარიანობის გამოვლენებად მიიჩნევდა იმას, რომ ბიზანტიამ არ მიიღო დასავლეთის ქრისტიანების საღეთო ომის დოქტრინა. რომის იმპერიაში არ შეიძლებოდა წარმოებულყო საღეთო ომი, ისევე როგორც არ შეიძლებოდა გამოანახულიყო განსხვავება სამართლიანსა და უსამართლო ომებს შორის. რომის იმპერიის ყველა ომი ძალაუვნებურად ითვლებოდა სამართლიანად, რადგანაც ისინი მიმართული იყო აჯანყებულთა და „ბარბაროზთა“ წინააღმდეგ. ბიზანტიაში ომი ურწმუნო აგარიანებთან, უპირველეს

¹¹ ლეონ VI (886—912) თავის „ტაქტიკაში“ მოუწოდებდა სტრატეგებს, რომ მათ გამუდმებით ჩაენერგათ მეომრებისთვის აზრი იმპერიის სიდიადის შესახებ, რომ მათთვის, როგორც „ქრისტეს მეომრებისთვის“, დიდი ბედნიერება იყო დაედვართ სისხლი სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის, დაღუპულთა ხსოვნისა და თანამოქმედებისთვის, რომლებიც იტანჯებოდნენ ურწმუნოთა უღელქვეშ. „ტაქტიკით“ ომი ურწმუნოებთან ბიზანტიელთა წმიდათა-წმიდა მოვალეობაა. როდესაც მის აღსასრულებლად მიდიან, ბრძოლის წინ ისინი ითხოვენ ღმერთისგან ცოდვების შენდობას და გამარჯვებას (*Литаврин*, 1989:75). ამავე დროს აღნიშნულია ისიც, რომ ლეონ VI-ის „ტაქტიკა“ არ ისახავდა მიზნად ჩაენერგა მეომართათვის სიძულელი სხვა რწმენის ხალხებისადმი და რელიგიური ფანატიზმი, რაც მათთვის უცხო იყო (*Кумар*, 1965:111).

ყოვლისა, იყო რომაული ომი (Canard, 1973:620).

ქართველ ქრისტიანთა თვალსაზრისი ომისადმი, როგორც ვნახავთ, ამჟღავნებს სიახლოვეს როგორც ბიზანტიის, ისე დასავლეთ ევროპის ქრისტიანთა თვალსაზრისებთან.

ყურადღებას იქცევს ის, რომ ქართული სამღვდლოება არ არიდებდა თავს სამხედრო საქმეს. ცნობილია, რომ 1028 წ. ტბეთის ეპისკოპოსმა საბა მტბეყარმა ბიზანტიელთა მიტაცებისგან დაიცვა შავშეთი და როგორც აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, „მღვდელმთავარი სამშობლოსა და სამეთოს დამცველად გამოვიდა, უნებლიედ სამხედრო ხელისუფლად, გულად მეომრად და ქვეყნის გამგედ გახდა“ (ივ, I, 1955:292-93; ჯავახიშვილი, 1965:138). საყურადღებოა მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის სახელი. მისი მსგავსი არ არსებობდა მეზობელ ქრისტიანულ ბიზანტიასში, მაგრამ მასთან ახლომდგომი ინსტიტუტი დამოწმებულია დასავლეთ ევროპაში (ანთოლაჯა, 1983:102; ანთოლაჯა, 1991:53). მართალია, მწიგნობართუხუცესი-ჰყონდიდელი უშუალოდ არ ებმებოდა ომში (მაგ. ისტ. და აზმ. შატავანდ., ივ, II, 1959:72; ჯავახიშვილი, 1982:49), ის არ იყო სამხედრო ხელისუფალი, მაგრამ მას ხელი მიუწვდებოდა ლაშქარზე საერთო კონტროლის თვალსაზრისით (ანთოლაჯა, 1983:120; ანთოლაჯა, 1991:64). შ.მესხია აღნიშნავდა, რომ დავით IV-ის დროიდან არცერთი ლაშქრობა და ლაშქრის ორგანიზაციის საკითხი მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის გარეშე არ წყდებოდა (მესხია, 1979:96). სამშვილდისა და რუსთავის განთავისუფლებას ხელმძღვანელობდა გიორგი ჰყონდიდელი. 1161 წ. ანისთან მუსლიმთა კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლაში გიორგი III-ს "თანავაზრობდეს იოვანე მწიგნობართუხუცესი" და მასთან ერთად "სუმბატ სუმონქმნილი, რომელი სხუათა საქურთა თანა ხაქმითადადჭურვილი იყო" (ისტ. და აზმ. შატავანდ., ივ, II, 1959:7; ისტ. და აზმ. შატავანდ., 1973:176) და სხვ. სასულიერო პირთა სამხედრო საქმიანობა, ჩანს, საქართველოში არ იწყვედა ისეთ ოდიოზურ შეფასებას, როგორც ეს ხდებოდა ბიზანტიასში. ამ მხრივ გარკვეული მსგავსებაა დასავლეთის ქრისტიანებთან და გვაქვს საფუძველი ვიმსჯელოთ ქართული ქრისტიანობის მეზობელ ხასიათზე.

ქართველი მეფეები, დავით IV-ის დროიდან თუ არა, დემეტრე I-დან მოყოლებული მაინც, ატარებდნენ „მესიის მახვილს“ (ჰუხუამ აღ-მასნიჰ) ამაყ ტიტულს. ახლახან გამოკვლენილი სპარსული დოკუმენტები მოწმობს, რომ „მესიის მახვილად“ (საჰაფ აღ-მასნიჰ) იწოდებოდა ზოგიერთი ქართველი მხედართმთავარიც (თედრა, 1979:28,29). მ.ლორთქიფანიძის კვალდაკვალ (ლორთქიფანიძე, 1979:257) შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქართველი მეფეები და სახელმწიფო მოღვაწეები „ურწმუნო“ მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში მეზობელ ქრისტიან ხალხებს „მესიის მახვილად“ ევლინებოდნენ. ტიტული „მესიის მახვილი“, ვფიქრობთ, სრულიად აშკარად გამოხატავს არა ქრისტეს მშვიდობისმოყვარე მისიას, არამედ მეზობელი ქრისტიანობის პოზიციას.

ქართველებისთვის, ბიზანტიელთა მსგავსად, უცხო იყო რელიგიური ფანატიზმი და სიძულელი სხვა რაჯულის აღმსარებლებისადმი. თურქები და მუსლიმები, ისევე როგორც ბიზანტიაში, საქართველოში განიხილებოდნენ როგორც „ბარბაროზნი“ (ქც, I, 1955:351; შავთული: 272, 362). ამავე დროს ისინი განიხილებოდნენ როგორც „ურწმუნონი“, „წარმართნი“, და, რაც მთავარია, „წინააღმდგომნი ქრისტესა სჯულისა“ (ქც, II, 1959:5). ბრძოლა მათთან, ვინც იყო „წინააღმდგომნი ქრისტესა სჯულისა“, მიმდინარეობდა ამ რაჯულის დაცვის პოზიციიდან.

კანკლურ გოტიეს ცნობით, დიდგორის ბრძოლის წინ დავით IV-მ ასე მიმართა ლაშქარს: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღეთის სჯულის დასაგავად წესიერად ვიბრძვი, არამც თუ ემმაგის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ემმაგებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის და ხარგებლობისათვის კარგი იქნება. ესაა, რომ ყველამ, ზელთა ცისადმი ადპყრობით ძლიერ დმერთს ადთქმა მიეცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით“ (ავალიშვილი, 1989ა:46).

ამ მიმართვაში გაისმის მოწოდება „ღეთის სჯულის“ დასაცავად, რაც დამახასიათებელია დასავლეთის ქრისტიანთათვის. შეიძლება გვეფიქრა, რომ ევროპელი ავტორი დავით IV-ს ჭვაროსანთა პოზიციებიდან ალაპარაკებს, მაგრამ, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობითაც, ამავე პოზიციებიდან მოუწოდებდა გიორგი III ანისთან მუსლიმური კოალიციის პირისპირ მდგომ თავის მხედრობას: „განო ძმანო, ერთხელნო და ერთრჯულნო! თუ რაზომ დიდად კითილ არხ საღმრთოთა სჯულთა და ქრისტეს სახარებისათეს სიკუდილი, რომელნი სამარადისოდ ვნატრით ქრისტეს კუალთა შემდგომთა და მომკუდართა მათ თუთ ბუნებითა მკუდართა სხეულთაგან. და ზედავთა, თუ რაოდენ უფრო სასახელო არხ მკუნებრივ სიკუდილი, ვიდრედა ხენითა განდნობითა განლუქულებასა შინა, რამეთუ საზე და საზელი კეთილისა საუკუნოდ გზად გუყუების“ (ქც, II, 1959:8). მეფემ გაიხსენა, აგრეთვე, გმირული წარსული ებრაელებისა და ბერძენებისა, რომელთა ბრძოლაც დაახასიათა როგორც ბრძოლა „საღმრთოთა სჯულთათვის“. ქართველი მემკვიდრის ამ ცნობაში ნაჩვენებია „საღმრთოთა სჯულთა და ქრისტეს სახარებისათვის სიკუდილის“ სიკეთე.

ნ. ბერძენიშვილი გიორგი III-ის მიმართვაში ხედავდა სჯულისათვის ომის დასაბუთებას. ამასთან, ის მოუთხოვდა, რომ ქართველ მემკვიდრეს „ყველა სამართლიანი ომი“ „საღმრთოთა სჯულთათვის“ ომად მიაჩნდა და „ავრესორ მაჰმადიანთა“ წინააღმდეგ ომი ყოველთვის სამართლიანად ითვლებოდა *in principle* (ნ. ბერძენიშვილი, 1965ა:32).

ზემომოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ მუსლიმურ ჯიჰადს — საღვთო ომს

ქრისტიანული საქართველო უბირისპირებდა ომს „საღმრთო სჭულთათვის“, რაც უცხო ბიზანტიისათვის და გარეგნულად მსგავსია დასავლეთის ქრისტიანთა საღვთო ომის კონცეფციისა. ამავე დროს გიორგი III-ის მოწოდებაში, და, საერთოდ, რამდენადაც ვიცით, არც ქართული წყაროების სხვა მასალებიდან არა ჩანს ცოდვების შენდობისა და სიკვდილის შემთხვევაში სამოთხეში მოხვედრის ის დაპირებები, რომლებიც ასაზრდოებდა ჯვაროსნებს. XII ს-ში საქართველოს სამეფო კარს არც ქრისტეს საფლავის დახსნის პრეტენზია ჰქონდა. ასეთი სურვილი ჩნდება გიორგი ლამას ზეობის წლებში, ხოლო 1223 წ., როცა დაიწყო სამზადისი ფრიდრიხ II-ის ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობისათვის, საქართველოს სამეფო კარმა რომის პაპისაგან ითხოვა ლოცვა-კურთხევა. საპასუხო წერილში პაპი ონორე III წერდა რუსუდანს, რომ ლაშქრობის მონაწილე მისი ქვეშევრდომები მიიღებდნენ "მოციქულებრივ შენდობას ყველა ცოდვის მიტევებით" და "დიდ ინდულგენციას, რომელიც დამტკიცებულია წმინდა და მხოფლიო ეკლესიის კრებების მიერ" (ფამაღუა, 1984:178,181), მაგრამ ზვარაზბელთა შემოსევებმა გააქარწყლეს საქართველოს სამეფო კარის ცდა მახლობელი აღმოსავლეთის ისლამურ სამყაროსთან კონფორტაციაში განეხორციელებინა დასავლეთის ქრისტიანთა საღვთო ომის კონცეფცია.

ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ მართალია, ქართველები მოსაზღვრე თურქ მმართველებს და სამფლობელოებს ებრძოდნენ, მათ ქვეყნებს იპყრობდნენ, მაგრამ მაჰმადიანობასთან და მათი სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა ფიქრადაც არ მოსვლიათ. ქართველ-მაჰმადიანთა ბრძოლას არასოდეს წმინდა სარწმუნოებრივი ბრძოლის ხასიათი არ ჰქონია" (ჯავახიშვილი, 1965:304-5). თავისი თვალსაზრისის გასამტკიცებლად მკვლევარი მიუთითებდა იმ მზრუნველობაზე, რომელსაც საქართველოში მუსლიმთა მიმართ იჩენდნენ, ყურადღებას ამახვილებდა სპარსულ-არაბული კულტურისადმი დიდ ინტერესზე საქართველოში (ჯავახიშვილი, 1965:305). ეს თვალსაზრისი შემდეგ არაერთი ქართველი მკვლევარის მიერ იქნა გაზიარებული და აისახა "საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" (პაპუაშვილი, 1979:496), მაგრამ ჩვენს მიერ ზემომოტანილი მასალა გვიჩვენებს, თუ რა ძლიერი იყო რელიგიური ფაქტორი ქრისტიანული საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყაროს სამხედრო-პოლიტიკურ კონფორტაციაში. ქრისტიანულ და ისლამურ იდეოლოგიებს შორის ღრმა უფსკრული არსებობდა. შეიძლება გავიზიაროთ ის თვალსაზრისი, რომ „ქართველ-მაჰმადიანთა ბრძოლას არასოდეს წმინდა სარწმუნოებრივი ბრძოლის ხასიათი არა ჰქონია“, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ეს ბრძოლა აშკარად სარწმუნოებრივი პოზიციებიდან მომდინარეობდა. XII-XIII სს-ში, როგორც აღნიშნავდა ჯ. ლა მონატე, რელიგია თამაშობდა ისეთსავე როლს, როგორც ამჟამად პოლიტიკური იდეოლოგია. ქრისტიანები და მუსლიმები, მცირე გამონაკლისის გარდა, რელიგიას იყენებდნენ საბურველად თავიანთი საერო-პოლიტიკური მიზნებისათვის. მაგრამ ის იყო იდეოლოგიური დროშა, რომლის ქვეშაც იბრძოდნენ და რომლის გულსთ-

ვისაც იხოცებოდნენ მეომრები (*La Monte, 1970: 197*).

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ქრისტიანობა დავით IV-ის პოლიტიკაში აღიარებულ იქნა პოლიტიკური დამოუკიდებლობის იარაღად. მეფე იბრძოდა ქრისტიანული ეკლესიის არა მარტო დაცვისათვის, არამედ მისი გავრცელებისთვისაც (ლომინაძე, 1966:87). ასეა მისი მემკვიდრეების დროსაც. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა იმ სახელმწიფოებთან, რომელთა იდეოლოგიაც იყო ისლამი. ისლამურ სამყაროსთან სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციის დასაბუთება ხდებოდა ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე. ქრისტიანობაც და ისლამიც ბრძოლის იდეოლოგიური საშუალებანი იყო (ვ. გამაშვილი, 1968: 293, 295-2). ამის გამო ეს კონფრონტაცია რელიგიურ საბურველშია გახვეული. გარეგნულად დაპირისპირება არა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასა და თურქ-სელჩუკთა თუ აიუბიანთა პოლიტიკურ სისტემებს შორის, არამედ მათ სარწმუნოებებს შორის. ამ დაპირისპირებას მუსლიმთა მხრიდან ასაზრდოებდა ჭიჭადის კონცეფცია, ქართველთა მხრიდან კი მას კვებავდა „წარმართებთან“, „ურჩულოებთან“, „ბარბაროზებთან“ საღმრთო რჩელისთვის, ქრისტესათვის ბრძოლის აუცილებლობა „ქრისტიანობის დამცველის“ მისია, რომელსაც ამიერკავკასიაში საქართველო ასრულებდა, თურქული გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა იყო“ (თთფურია, 1975:219). ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთოდ ქრისტიანობისათვის და კერძოდ კი ქრისტიანული საქართველოსთვის პრინციპულად უცხო იყო იდეა „ურჩულო“ მუსლიმთა ქრისტიანობაზე მოქცევისა. „ქრისტეს მისია, როგორც წერდა ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი მ.კანარი, არის მშვიდობის მისია, ხოლო ჭიჭადი კი — რელიგიის ტრეჟმფი სისხლიანის ბრძოლის ფასად, რაც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ აზროვნებას“ (*Canard, 1973:616*).

2. მშვიდობიანი თანაარსებობა

საქართველოს სამეფოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყაროს ურთიერთობებს ასაზრდოებდა არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური და იდეოლოგიური კონფრონტაცია. ომებს შორის მშვიდობიან წლებში, ცხადია, არსებობდა და ვითარდებოდა ნორმალური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კონტაქტებიც. მნიშვნელოვან ფაქტორს მეზობელ ისლამურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობისათვის წარმოადგენდა ურთიერთობები იმ მუსლიმებთან, რომლებიც საქართველოს სამეფოში, პირველ ყოვლისა კი, მის სატახტო ქალაქში — თბილისში ცხოვრობდნენ.

თბილისის აღების შემდეგ, 1122 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, დავით IV სასტიკად გაუსწორდა ადგილობრივ მუსლიმებს, რომლებმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მეფეს. რეპრესიები სამი დღე გაგრძელდა, მაგრამ შემდეგ მეფე

დაცხრა, "მოალბო მათი გულები" და "აღუთქვა წყალობა" (ალ-ფარიკი 1985:89). მან მიიღო ზომები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდა თბილისში (და, ალბათ, მუსლიმებით დასახლებულ საქართველოს სამეფოს სხვა ადგილებშიც) ქრისტიანთა და მუსლიმთა მშვიდობიანი თანაარსებობა და თანაცხოვრება.

დავით IV-ის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს ალ-ფარიკი. მის ცნობებს იმეორებს და რამდენადმე ასესებს სიბტიზნ ალ-ჯაუზი. ის შელავათები, რომლებიც მიიღეს თბილისელმა მუსლიმებმა, არაერთი მკვლევარის მსჯელობის საგანი გახდა, მაგრამ, როგორც მართებულად აღნიშნავს მ.ლორთქიფანიძე, ამ შელავათების ხასიათისა და ხანგრძლიობის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში არ არსებობს აზრთა ერთიანობა (ლორთქიფანიძე, 1979მ:254). ეს გარემოება გვიბიძგებს, ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ დავით IV-ის პოლიტიკას მუსლიმებისადმი და, აგრეთვე გავარკვიოთ, თუ როგორი გავრძელება ჰქონდა ამ პოლიტიკას მისი მემკვიდრეების დროს.

დავით IV-ის ღონისძიებები, რომლებმაც ქრისტიანთა და მუსლიმთა საშინაო ურთიერთობების სხვადასხვა სფერო მოიცვა, შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

საგადასახადო პოლიტიკა. მკვლევარები ჩვეულებრივ აღნიშნავენ, რომ მეფემ მუსლიმები გაათავისუფლა გამოსაღებებისაგან (მაგ., მუსხია, 1972:134). მაგრამ ისინი არ ასახელებენ ამ გადასახადებს და არ განმარტავენ მათ.

ალ-ფარიკი მოგვითხრობს, რომ დავით IV-მ მუსლიმებს მოუხსნა 1122 წლის 'უშრი, მა'უნა, კისტი და ზარაჯა (ალ-ფარიკი, 1985:89). მათგან ორი: 'უშრი (რომელიც დასახელებულია მრავლობით რიცხვში: ა'შარ) და ხარაჯა ისლამურ საგადასახადო პრაქტიკაში ითვლება ძირითადად და აღიარებულია კანონიერ გადასახადებად.

'უშრი (არაბ. მეათედი), აიღებოდა იმ მიწებიდან, რომლებიც ეკუთვნოდა ძველ მუსლიმებს და მათ შთამომავლებს. გარდა ამისა, 'უშრი იყო გადასახადი სავაჭროდ გამიზნული ყოველგვარი საქონლიდან და მისი გადახდა ევალებოდა როგორც მუსლიმებს, ისე არამუსლიმებს (ე.სიხარტულიძე, 1957:94-5; *Петрушевский*, 1960:377). ხარაჯა არაბულში აღნიშნავს საერთოდ ხარკს, ღალას, გადასახადს. ფართო მნიშვნელობით ხარაჯა სახალიფოში იყო ხარკი არამუსლიმთაგან (როგორც გადასახადი მიწაზე, ისე სულადობრივი გადასახადი) და ვიწრო მნიშვნელობით — გადასახადი მიწაზე. ხარაჯა, გადასახადი მიწაზე იყო უფრო მაღალი, ვიდრე 'უშრი. თავდაპირველად მას იღებდნენ არამუსლიმთაგან, VIII ს-დან კი ახლადმოქცეულ მუსლიმთაგანაც (ე.სიხარტულიძე, 1957:87; *Петрушевский* 1960:370).

'უშრისა და ხარაჯისაგან განსხვავებით მა'უნა და კისტი (რომლებსაც ალ-ფარიკი ასევე მრავლობით რიცხვში — მუ'ან და აკსატ — ასახელებს), მიეკუთვნებოდა კატეგორიას იმ მრავალრიცხოვანი არაკანონიერი გადასახადებისა, რომელ-

თა საერთო სახელწოდებაც იყო დარიბა.

ალ-ფარიკის ცნობის ვ.მინორსკისეულ ინგლისურ თარგმანში მა'უნა (მრ. მუ'ან) არის მომსახურება, სამსახური (service) (Minorsky, 1949:33), მაგრამ ლექსიკოგრაფებთან ეს სიტყვა ჩვეულებრივ განმარტებულია როგორც სურსათი, სანოვავე. ზ.ბუნიატოვი მას აიგივებს გადასახადად ალაფე-სთან. ეს უკანასკნელი კი იყო ნატურალური გამოსაღები საგუშავოდ მდგომი სამხედრო რაზმის, ანდა ოფიციალური პირის საჭიროებების უზრუნველსაყოფად (Быштов, 1978:222).

კისტი ლექსიკოგრაფთა მიერ განმარტებულია როგორც წილი, ნაწილი, მო-რიგი ფულადი შესატანი, გადასახადი. ხარკი, ბეგარა, კონტრიბუცია (Баранов, 1958:816; Dozy, II, 1881:344), ვ.მინორსკის ინგლისურ თარგმანში კისტი არის ფულადი გადასახადი, რომლის შეტანა ხდება ნაწილ-ნაწილ (payments by instalments) (Minorsky, 1949:33), მაგრამ უფრო კონკრეტულად, თუ რა დროს და როგორ ხდებოდა მისი აღება, სელჩუკთა ხანის სხვა მრავალი გადასახადის მსგავსად, უცნობია.

უშრი, ხარაჯა, მა'უნა და კისტი იყო ნაწილი იმ გადასახადებისა, რომლებიც, საერთოდ, 1122 წლამდე ეკისრებოდა თბილისელ მუსლიმებს. ამ გადასახადების დროებით გაუქმება წარმოადგენდა გარკვეულ შეღავათს, ერთგვარ კომპენსაციას იმ მძიმე ზარალსათვის, რაც მათ 1122 წ. თებერვალში განიცადეს.

საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით ალ-ფარიკი იუწყება აგრეთვე, რომ დავით IV-მ დადო პირობა (შარატა) და განსაზღვრა (ვასაფა) რომ ქართველის, ებრაელისა და მუსლიმის ზიდმა წლიურად (ჭი ხ-ხანა) იქნებოდა შესაბამისად 5,4 და 3 დინარი (ალ-ფარიკი, 1908: 206; ალ-ფარიკი, 1949:71).

პ. ამედროზი, რომელმაც პირველად გაანალიზა ალ-ფარიკის ცნობა, ხილმას მიიჩნევდა ფულად გადასახადად (payment due) (Amedroz, 1902:792, 306.1). ასევე ესმოდათ ის ვ.ფუთურდიესა და ვ.მინორსკის (ფუთურდიე, 1942:141; Minorsky, 1949:34). ქართველ მკვლევართა გამოკვლევებში ხილმა ჩვეულებრივ განიხილება გამოსაღებად, გადასახადად (ალექსიძე, 1968: 159-61; მესხია, 1972:134,135; Лордкипანიძე, 1974:115). ალ-ფარიკის ტექსტის ა.მამედოვი-სეულ რუსულ თარგმანში ხილმა არის плата (ალ-ფარიკი, 1957:223-24), ხოლო უკანასკნელად, ე.სიხარულიძემ ხილმა თარგმნა როგორც სამსახური (ალ-ფარიკი, 1985:89), მაგრამ მას არ განუმარტავს, თუ რა ტიპის სამსახური შეიძლებოდა ის ყოფილიყო.

არაბულ წყაროებში ხშირად შევხვდებით მითითებას, რომ ესა თუ ის პირი ჩადგა ამა თუ იმ გამგებლის სამსახურში (ჭი ლ-ზიდმათი). მ.ბეილისმა მას'უდ ბ.ნამდარის წერილების კრებულის ანალიზის დროს ყურადღება მიაქცია ტერმინს "ჰაგკ ალ-ზიდმა", რაც სამსახურის უფლებას ნიშნავს. ის მიიჩნევს, რომ წარ-მოდგენა „სამსახურის უფლების“ შესახებ გავრცელებული იყო სელჩუკთა სახე-ლმწიფოში (Бейлис, 1970ა:28). ს.მარქარიანი თვლის, რომ ტერმინი ხილმა

გამოხატავდა იკტას მფლობელის (იკტადარი) დამოკიდებულებას სოფლებზე და სხვა მიწებზე (Маркарян, 1991:177-78). ალემბტონი დიდ სელჩუკთა და ილხანთა სახელმწიფოში ასახელებს გადასახადს ზიდმათანა, ზიდმათი, რომელსაც უხდიდნენ მმართველს, გამგებელს. ამავე ტერმინს აქვს ბაჟის მნიშვნელობაც, რომელსაც იღებდნენ გადასახადის ამკრეფთა, ანდა სხვა ხელისუფალთა სასარგებლოდ (Lambton, 1987, 314-15, 357). ამიერკავკასიაში ჯალალ ად-დინის შემოსევის დროს ყადი მუჯირ ად-დინმა, რომელიც დაღესტანში დააღწა და დააპატიმრეს, თავის დასახსნელად გადაიხდა 20 ათასი დინარი. ამას გარდა, მისგან აიღეს ქრთამი და ძღვენი — ზიდამ, რომლებიც რამდენჯერმე აღემატებოდა მის მიერ გადახდილ დასახელებულ თანხას (ან-ნასაჟი, 1973:172). მოგვიანებით, XVII ს. ამიერკავკასიაში, ყუბის სახანოში, გლეხებს, რომლებიც მთლიანად იყვნენ დამოკიდებულნი თოულდარზე, ვვალბოდან შეესრულებინათ მისთვის სამსახური — ზიდმათ, ე.ი. წესით დადგენილი საგლეხო ბეგარა (Петрушевский, 1949:218).

ორენოვან ლექსიკონებში, რომელთაც საფუძვლად უდევს შუა საუკუნეების არაბული ლექსიკა, ხიდმა განმარტებულია როგორც სამსახური, ვალდებულება, მოვალეობა, საკომისიო საზღაური, გადასახადი, ბაჟი, ბეგარა, ანდა საჩუქარი, ძღვენი, რომელსაც ქვეშევრდომი პატივისცემის ნიშნად მიართმევს ხელმწიფეს (Dozy, I, 1881:354-55. Steingass, 1985:316).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ხიდმას სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ალ-ფარაჟის შემომოტანილ ლაქონიურ ცნობაში მის შესახებ მსგელობა ძნელია. შეიძლება გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ ალ-ფარაჟის ხიდმა იყო საჩუქრის, ძღვენის ტიპის გამოსაღები, რომლის შესახებაც „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ვრცლად საუბრობს ვ.ნოზაძე (ნოზაძე, 1958:133-34). ხიდმა — ძღვენი მეფის სასარგებლოდ ეკისრებოდა მოსახლეობის გარკვეულ (თბილისის ვაჟარ-ხელოსანთა?) ჯგუფებს, მაგრამ რადგანაც ძღვენი არ არის ცალმხრივი, დასაშვებია ისიც, რომ მის ნაცვლად ისინი იღებდნენ მეფის მფარველობას თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობაში. ამ მხრივ მუსლიმებს უპირატესობა ჰქონდათ ქართველებთან და ებრაელებთან შედარებით.

რელიგიური პოლიტიკა. დავით IV-მ თბილისელ მუსლიმებს ნება დართო შეესრულებინათ აზანი და ხალათი და აშკარად და დაუფარავად ეკითხათ ურანი (ალ-ფარაჟი, 1908: 206; ალ-ფარაჟი, 1985:89).

აზანი, როგორც ცნობილია არის მოწოდება ლოცვისაკენ, რომელსაც დღეში ხუთჯერ ხმამაღლა წარმოთქვამს მუ'აზზინი (მუეძინი) მინარეთიდან. სალათი (ნამაზი) კი კანონიკური ლოცვაა და წარმოადგენს ისლამის ერთ-ერთ ძირითად დოგმას. სალათი სრულდება დღეში ხუთჯერ ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, ნებისმიერ მოხერხებულ ადგილზე. პარასკევის ლოცვა რეკომენდებულია მეჩეთში.

ალ-ფარაჟის ცნობით, დავით IV-მ მუსლიმებს მისცა აგრეთვე უფლება, რომ წარმოეთქვათ ზურტბა პარასკეობით, ელოცათ და მოეხსენებინათ ხალიფა და

სულტანი და არ მოეხსენებინათ მინბარიდან მათ გარდა არავენ (ალ-ფარიჟი, 1908: 206. ალ-ფარიჟი, 1985:89).

ხუტბა ქადაგებაა, რომელსაც წარმოთქვამს იმამი-ხატები. მუსლიმური სამართლით ხუტბა რეგლამენტირებულია როგორც ნაწილი ღვთისმსახურების პარასკეობით, ორი მთავარი მუსლიმური დღესასწაულის დროს და განსაკუთრებულ დღეებში. იმამი-ხატები ასეთ შემთხვევებში მეჩეთის მინბარიდან (კათედრა) მიესალმება ხოლმე შეკრებილთ, ხოტბას შეასხამს ალლაჰს, ითხოვს მისგან ჯერთხევას მოციქულისთვის, კითხულობს ყურანის ნაწყვეტს, ლოცულობს მორწმუნეთათვის და მოუწოდებს მათ ღვთისმოსაობისაკენ. ხუტბამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მოიპოვა ერთი პუნქტის წყალობით: მორწმუნეთათვის ლოცვის აღვლენის დროს მასში აუცილებელი იყო ხალიფას დასახელება. IX ს. II ნახევრიდან მოყოლებული ცალკეული მუსლიმი გამგებლები ცდილობდნენ მიეღწიათ იმისთვის, რომ ხალიფას შემდეგ ხუტბაში ისინიც მოეხსენებინათ. ხუტბაში მოხსენიება, "ხუტბის უფლება" მუსლიმი გამგებლების დამოუკიდებლობის გარეგნული ნიშანი გახდა. ხუტბაში გამოიხატებოდა ხატებისა და მის მიერ წარმოდგენილი თემის პოლიტიკური ორიენტაცია. ხუტბაში მმართველის სახელის გამოტოვება ნიშნავდა უნდობლობას ამ მმართველისადმი და მის გამოცხადებას დამხობილად (*Χαλυδων*, 1991:285). მაგრამ ასე იყო ისლამის სამყაროში. მსგავსი საშიშროება დავით IV-ისა და მისი მემკვიდრეების დროს საქართველოში არ არსებობდა. ამდენად, „ხუტბის უფლებას“, რომელიც დავით IV-მ თბილისელ მუსლიმებს უბოძა, ვერ მივანიჭებთ დიდ პოლიტიკურ დატვირთვას, თუმცა კი ამ ღონისძიებით მეფე, უეჭველოა, აკმაყოფილებდა მათ ამბიციებს.

ისლამის სამყაროში მუსლიმური სამართალი უკრძალავდა ქრისტიანებს თავისუფლად შეესრულებინათ თავიანთი ღვთისმსახურება, მძლავრად დაერკათ ზარები (დაეცათ ძელისთვის), თავიანთ სახლებში სალოცავად შეეკრიბათ ერთ-მორწმუნეები, ხმამაღლა ეგალობათ ღვთისმსახურების დროს, გამოეტანათ ცელესიებიდან საღვთო წიგნები და ჯვრები პროცესიების დროს და მუსლიმთა ბაზრებზე ეკითხათ თავიანთი საღვთო წიგნები (*Гурзак*, 1865:34-6; *Tritton*, 1930:101) ამ მხრივ მუსლიმთა მდგომარეობა თბილისში (და, ალბათ, საქართველოს სამეფოს სხვა მხარეებშიც) იყო უკეთესი, ვიდრე ქრისტიანი ზომიებისა მუსლიმურ ქვეყნებში.

სამართლებრივი პოლიტიკა. ალ-ფარიჟის ერთი ცნობით (რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში შეუქმნეველი და შეუფასებელი დარჩა), დავით IV-მ გამოაცხადა, რომ ვინც მუსლიმს რაიმე ვნებას ან ზიანს მიაყენებდა, ნებას რთავდა დაუსჯელად მისი მოკვლისა (ალ-ფარიჟი: 1985:89). ხაზგასმულ სიტყვებს შეესაბამება არაბ. აჰდარა დამაჰჰუ. "ჰადარ" არის დაღვრილი სისხლი, რომელსაც შურისძიება არ მოჰყვება. "აჰდარა დამაჰჰუ" კი ნიშნავს იმის უფლებას, რომ სასჯელის გარეშე, დაუსჯელად დაიღვაროს სისხლი (*Kazimirsky*, II, 1860:1402; *Lane*, 1893:2885. *Steingass*, 1985:1168). ეს გამოთქმა განმარტებულია, აგრე-

თვე, როგორც სისხლის გამოცხადება გაუფასურებულად, ღირებულების არმქონედ, ე. ი. ნებართვა დაუსჯელად სისხლის დაღვრისა, მოკვლისა (გ. წერეთელი, 1951:272). ყოველზე ამის გათვალისწინებით, ალ-ფარის ზემომოტანილი ცნობის თარგმანი (რომელიც ეკუთვნის ე. სინარულიძეს), შეიძლება ასე დაზუსტდეს: მეფემ თბილისში "გამოაცხადა, რომ ნებას რთავდა [მუსლიმებს] დაუხჯელად დაედვარათ სისხლი იმისა (მოეკლათ ის), ვინც ზიანს მიაყენებდა მუსლიმს."

არაბ ლექსიკოგრაფთა განმარტებით, იმ შემთხვევაში, როცა სისხლი სასჯელის გარეშე იღვრება (აჰმადარა დამაჰუ) უქმდება კისას და დიჰა (იხ.მაგ., მუჰამ ალ-ჟასიდ, II:986) — მუსლიმური სამართლით გათვალისწინებული მისაგებელი (საზღაური) და სისხლის ფასი, დაწესებული მკვლელობისა და სხეულის შეუქცევადი დაზიანებისათვის.

ყურანი მკვლელობას განიხილავს როგორც მძიმე ცოდვას და გადაჭრით გმობს მას. მაგრამ ამავე დროს ის ურჩევს მოკლულის ნათესაობას, რომ შეიწყალონ მკვლელი, რადგანაც შეწყალება, პატიება სასურველია ალლაჰისათვის.

მკვლელობა შეიძლება იყოს წინასწარ განზრახვითა და უნებლიედ. წინასწარ განზრახვით ("ამდ) მკვლელობის დროს მოკლულის ახლობლებს, ნათესავებს აქვთ უფლება მოითხოვონ მკვლელის სიკვდილით დასჯა, ანდა უარი თქვან შურისძიებაზე, აპატიონ დამნაშავეს და მიიღონ გამოსასყიდი — სისხლის ფასი. პირველ შემთხვევაში ძალაში შედის კისასი, რომელიც დამნაშავესთვის დაზარალებულთა მოთხოვნით გამოაქვს სასამართლოს. კისასი მკვლელის სიკვდილით დასჯაა, რაც სისრულეში მოჰყავს ჯალათს, ანდა მოკლულის ნათესაობას. მეორე შემთხვევაში მკვლელი დაზარალებულის ოჯახს, მის ნათესაობას უხდის გამოსასყიდს, სისხლის ფასს. როცა მკვლელობა ხდება უნებლიედ, მაშინ მკვლელს ეკისრება მხოლოდ სისხლის ფასი — დიჰა.

კისასი ინიშნება აგრეთვე სხეულის მძიმე დაზიანების, დასახიჩრების შემთხვევაში (ცალთვალასთვის სალი თვალის ამოღება, სმენის დაზიანება, ენის, ყურის, ორივე ხელის და ორივე ფეხის, ათი თითის მოჭრა და სხვ.). დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს, რომ დამნაშავე მის მსგავსად დაასახიჩრონ, მაგრამ სხეულის მსუბუქი დაზიანების შემთხვევაში დამნაშავეს ეკისრება მხოლოდ დიჰა.

მუსლიმები „თანასწორნი არიან სისხლში“. ერთმანეთის მკვლელობისა და დასახიჩრებისათვის ისინი თანაბრად აგებენ პასუხს კანონის წინაშე. სისხლი უფასურდება, დაუსჯელად შეიძლება დაიღვაროს იმ შემთხვევაში, თუ მკვლელობა მოხდა თავდაცვის დროს. გარდა ამისა, სასჯელის გარეშე იღვრება სისხლი ჰარბისა, იმ არამუსლიმისა, რომელიც არ არის დაცული ხელშეკრულებით, არ იხდის ჯიზიას და არ არის მუსთა'მინი — უცხოელი, რომელიც დროებით იმყოფება დარ ალ-ისლამის ტერიტორიაზე და სარგებლობს უსაფრთხოების გარანტიით, ამანით.

მუსლიმის მკვლელი ზიმში — ქრისტიანი თუ იუდეველი, სიკვდილით ისჯება.

ორთოდოქსალური ისლამის სკოლები (მაზჰაბ) არ არიან ერთსულოვანი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაისაჯოს ზიმმის მკვლელო: კისასით თუ დიჯათი. ჰანიფიტებს დასაშვებად მიაჩნიათ ზიმმის მკვლელობისთვის კისასის გამოყენება, თუ კი ზიმმი ცხოვრობს მუსლიმთა ტერიტორიაზე და არ აწარმოებს შეიარაღებულ ბრძოლას მუსლიმთა წინააღმდეგ. მაგრამ პრაქტიკაში ყოველთვის გამოიყენებოდა დიჯა. ამასთან, ქრისტიანის სისხლის ღირებულება იყო მუსლიმის სისხლის ნახევარი, ან მესამედი (Боголюбов, 1991a:69; Боголюбов, 1991 გ:138; Петрушевский, 1966:165-66; Сюкияйнен, 1986:193-94; Schacht, 1974a:230; Schacht, 1974b:261; Schacht, 1979:131,182-84; Tuan, 1962:342; Weir, 1974:78.)

ამრიგად, ქრისტიანსა და მუსლიმს შორის კონფლიქტის დროს, რაც მკვლელობით, ანდა სხეულის დასახიჩრებით მთავრდება, მუსლიმური სამართალი მკაცრი და სასტიკია ქრისტიანთა მიმართ და ლმობიერი და ლოიალური — მუსლიმთა მიმართ. ქრისტიანული ქვეყნების კანონმდებლობაში, ჩვეულებრივ, საპირისპირო სურათი გვაქვს. ასე, მაგალითად, XIII ს. სომხური სამართლის ძეგლები ითვალისწინებს სისხლის საფასურის გადახდას, როცა ქრისტიანი მოკლავს „ურჯულოს“, მუსლიმს. თუ მუსლიმი ქრისტიანს მოკლავს წინასწარ განზრახვით, ის დაისჯება სიკვდილით და თუ უნებლიედ, მისი სასჯელის ზომაა ორივე ხელის მოკვეთა (მხ.გომი 1954:144-45; სმმაც საპარაპუცი, 1958:10). ორიგინალურ ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში განსაზღვრულია დანაშაულის ზომა მკვლელობისათვის, მაგრამ ჩვენ ვერ ვნახეთ რაიმე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს ქრისტიანის მიერ მუსლიმის მკვლელობის ან დასახიჩრების შემთხვევაში და პირიქით.¹²

ალ-ფარაჟის ცნობაში საუბარია მუსლიმის დაზიანებაზე. ამ შემთხვევაში, ჩანს, იგულისხმება როგორც სხეულის დასახიჩრება, ისე მკვლელობა. იმავე ცნობიდან ირკვევა, რომ ამ დროს დამნაშავეს სისხლი უფასურდებოდა, ხდებოდა ჰადარ, ჰადრ, ე.ი. არ იყო დაცული კანონით. დაზარალებულ მხარეს შეეძლო სასჯელის შიშის გარეშე ანალოგიური ზიანი მიეყენებინა დამნაშავესათვის, დაესახიჩრებინა, მოეკლა ის. ამგვარ უფლებას ზიმმიები ვერასოდეს ვერ მიიღებდნენ ისლამის ქვეყნებში. მისი მიცემა, ვფიქრობთ, 1122 წლის თებერვალში შექმნილმა ვითარებამ განაპირობა. თბილისის ძალით აღებისა და მისი დარბევის შემდეგ გაჩნდა საშიშროება ადგილობრივ მუსლიმთა ფიზიკური განადგურებისა. დავით IV-ის ღონისძიება მიზნად ისახავდა ამ საშიშროების თავიდან აცილებას.

¹² მაგრამ ქართულად თთარგმნა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შევიდა ჩვენთვის საინტერესო ზემომოტანილი მუხლი მხითარ გომის „სამართლიდან“: „თუ მოკლას ურჯულომან ქრისტიანი ნდომით, მოკლან ისიცა მაგიერად მისად. და თუ უნდომლად მოკლას, მოსჭრან კელი მარჯვენა და კაცის ფასიცა გამოართვან... და თუ ქრისტიანმან ურჯულო მოკლას ნდომით, გამოართვან სისხლის ფასი ასოცდარი დაეკანი ფლური. და თუ უნებურად მოკლას, საოცდერთი სისხლის ფასი გამოართვან საკელმნიფოდ და სამ ნილად გაყონ. ერთი ნილი სისხლის პატროს მისცენ (ქსმ, I, 1963:273).

სამონეტო პოლიტიკა. ალ-ფარიკის ცნობით, დავით IV-მ თბილისელ მუსლიმებს მოუჭრა დირჰამები,¹³ რომელთა ერთ მხარეზე იყო სულტნისა და ხალიფას, ხოლო მეორე მხარეზე — ალლაჰისა და მისი მოციქულის (მუჰამადის) სახელები. მეფის სახელი ამოტვიფრული იყო დირჰამების კიდეზე (ალ-ფარიკი, 1985:89).

ალ-ფარიკის ამ ცნობაზე დაყრდნობით მიჩნეულია, რომ დავით IV-მ განახორციელა სამონეტო რეფორმა (რ.მეფრეჯილი, 1986:249 და მმდ.), რის შემდეგაც შეიცვალა როგორც სამონეტო ტიპი (მასზე გაჩნდა არაბული ზედწერილები), ისე სამონეტო ლითონი. ამიერიდან, 1230 წლამდე, ქართული საფასე იჭრებოდა მხოლოდ სპილენძისაგან.

ნუმიზმატიკური მასალებით, ჭერ-ჭერობით, ალ-ფარიკის ინფორმაცია არ დასტურდება. დავით IV-ის მონეტები, რომელთა შესახებ მოგვითხრობს არაბი ისტორიკოსი, არ არის დღემდე გამოვლენილი, ხოლო ის მონეტები არაბული ზედწერილებით, რომლებსაც მიაკუთვნებენ დავით IV-ს (*Капанадзе*, 1958:39-47; *Капанадзе*, 1970:306-309; კაპანაძე, 1969:66,70, №56; კაპანაძე, 1966:64-5, №№5-6; *Джалагания*, 1958:40; *Джалагания*, 1979:77), სინამდვილეში მოკრილია დავით V-ისა და დავით ულუს მიერ (*Пахомов*, 1970:135, №80; *Джалагания*, 1958:36-9; ლომოური, 1940:126-7; ჯათარბიძე, 1989გ:89-94; *Джапаридзе*, 1990:30). მსჯელობა იმ ქართულ მონეტებზე, რომლებიც ატარებს არაბულ ზედწერილებს, შესაძლებელია მხოლოდ დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან. არ არის გამორიცხული, რომ ახალი ტიპის საფასე დავით IV-მ მოჭრა თავისი სიცოცხლის მიწურულს და ამიტომ მათი რაოდენობა მცირე იყო. თუ იმასაც დავუშვებთ, რომ ეს მონეტები მოიჭრა ვერცხლისგან, ისინი თავისუფლად შეიძლება ამოღებულყო მიმოქცევიდან დემეტრე I-ის დროს, როცა სამონეტო ლითონი საქართველოში მთლიანად გახდა სპილენძი. ყოველივე ამის გამო დავით IV-ის მონეტებმა, რომელთა შესახებ მოგვითხრობს ალ-ფარიკი, არ მოაღწია ჩვენამდე.

ყოფითი პრივილეგიები. ალ-ფარიკის ცნობით, დავით IV-მ პირობა დაუდო თბილისელ მუსლიმებს, რომ ისმა'ილის აბანოში (რომელიც ვ.მინორსკის აზრით, შესაძლოა არის IX ს. თბილისის ამირას ისჰაკის მამის ისმა'ილ ბ.მუ'აიბის აბანო) (*Minor sky*, 1949:34, მენ.2) არ შევიდოდა არც ქართველი, არც სომეხი და არც იუდეველი (ალ-ფარიკი, 1985:89). სიბტ ბ.ალ-ჯაუზი, რომელიც რამდენადმე აზუსტებს ალ-ფარიკის ცნობას, წერს, რომ ამ პირობის მიხედვით აბანოში მუსლიმთან ერთად არ უნდა შესულიყო ურწმუნო (სიმც მ.ალ-ჯაუზი, 1967:295).

¹³ სიბტ ბ.ალ-ჯაუზი, რომელიც ძირითადად მიჰყვება ალ-ფარიკის თხზულებას, დირჰამებთან ერთად იხსენიებს დინარებსაც (სიბტ ბ.ალ-ჯაუზი, 1967:204-5), რომლებიც მეფეს უნდა მოეჭრა მუსლიმებისთვის.

დავით IV-მ აღუთქვა აგრეთვე მუსლიმებს, რომ მათ უბანში არ გაიყიდებოდა და არ დაიკვლებოდა ღორი (ალ-ფარიჟი, 1908:206; ალ-ფარიჟი, 1985:89). ამ პირობით მეფე ფაქტობრივად ასრულებდა იმ მოთხოვნას, რასაც ჩვეულებრივ მუსლიმები უყენებდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს — ქრისტიან ზიმშიებს. ამ უკანასკნელთ, აშკარად ღვინის სმის გარდა, ეკრძალებოდათ მუსლიმთა ქალაქებსა და უბნებში ღორების გამოყვანა და გაყიდვა (*Gurgas*, 1865:36; *Большаков*, 1991a:28).

დავით IV და მისი ვაჟი დემეტრე I საჯაროდ გამოხატავდნენ თავიანთ პატივისცემას ისლამისადმი. ისინი პარასკეობით დადიოდნენ მეჩეთში, ისმენდნენ ხუტბასა და ყურანის კითხვას, ასაჩუქრებდნენ ხატებსა და მუ'აზზინებს (სიმც მ.ალ-ჯაჟღი, 1967:205; აგ-გაჰამი, IV, 1963:42). ალ-ფარიჟი წერს, რომ დავით IV-მ "შიაგო მუსლიმებს უდიდესი პატივი, მეცნიერებს, ღვთისმეტყველებს და ხუფიებს ისეთი დირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონიათ [თვით] მუსლიმებთანაც კი" (ალ-ფარიჟი, 1985:89).

სხვა ცნობით დავით IV-მ "ააშენა ქარვასლები სტუმართათვის და ხან-ლები მქადაგებელთათვის, ხუფიებისა და პოეტებისათვის, დააწესა მათთვის სტუმართმოყვარეობა" (სიმც მ.ალ-ჯაჟღი, 1967:205).

შესაძლოა, რომ ალ-ფარიჟი რამდენადმე აპარბებს, როცა ახასიათებს დავით IV-ის დამოკიდებულებას მუსლიმი მეცნიერებისა და ღვთისმეტყველებისადმი. ეგებ ის ამ გზით მას სურდა წაექეზებინა მუსლიმი გამგებლები, რათა ისინი უკეთ მოაყრობოდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს, მაგრამ, ზოგადად, დავით IV-ს აშკარად კეთილშობილურად დამოკიდებულება ჰქონდა ქვეშევრდომი მუსლიმური მოსახლეობის ამ წრეებისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ დავით IV-ის ზემოდასახელებული ღონისძიებები უაღრესად ხელსაყრელი იყო მუსლიმთათვის, მათმა გარკვეულმა ნაწილმა მაინც დატოვა თბილისი, რომელიც ერთიანი ქრისტიანული საქართველოს სამეფოს სატახტო ქალაქი გახდა. დავით IV, როგორც იუწყება სიმტ ბ. ალ-ჯაჟღი, არ აბრკოლებდა მუსლიმთა ემიგრაციას და "თუ მოისურვებდნენ ისინი წასვლას თბილისიდან, ნებას რთავდა და ამარაგებდა მათ დიდძალი ხიმდიდრით" (სიმც მ. ალ-ჯაჟღი, 1967:204).

1122 წ. და მომდევნო ხანებში ემიგრირებული ბევრი მუსლიმი ათ-თიფლისის ნისბით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში (გამაშვილი, 1976:176, შუნ. 90) მათ შორის აქ შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი: ცნობილი მეცნიერი ჰუბაიშ იბნ იბრაჰიმ ათ-თიფლისი (გარდ. 1163-64 — 1183-84 წწ. შორის), ავტორი მრავალი ნაშრომისა არაბულ და სპარსულ ენებზე ფილოლოგიაში, მედიცინაში, ასტრონომიაში, ასტროლოგიაში, სახელოსნო ტექნოლოგიაში და სხვა სფეროში. ის თავდაპირველად დასახლდა ქ. ბაღდადში, შემდეგ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუმის სელჩუკთა სასულტნო კარზე,

ქკონიაში (ჯათფარბი, 1990ა:65-67); ნაჰმ ად-დინ ათ-თიფლოსი — მუჰადდისი, სუფი შეიხი და პოეტი, სუფიური მოძღვრების ერთ-ერთი სკოლის სუჰრავეარდიას დამაარსებლის, ცნობილი სუფის შიჰაბ ად-დინ ას-სუჰრავეარდის მიმდევარი. ის ცხოვრობდა ბაღდადში, ასრულებდა აბასიანი ხალიფას დიპლომატიურ დავალებებს, შემდეგ დასახლდა და გარდაიცვალა დამასკოში 1234 წ. ჩვენ გამოვავლინეთ და დავებუქდეთ მისი 8 ლექსი, რომელთა ნაწილი ქართულადაც ვთარგმნეთ (ჯათფარბი, 1983:195-804; ჯათფარბი, 1990ა:71-74); აბუ ისჰაკ იბრაჰიმ იბნ ჰუმიდ ათ-თიფლოსი, მუჰადდისი, სუფი შეიხი და ვაჰარი, რომელიც დაიბადა თბილისში 1138-39 წ., განათლება მიიღო ალექსანდრიაში და გარდაიცვალა კაიროში 1221 წ. (ჯათფარბი, 1990ა:70). არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ უკანასკნელის და მისი მსგავსი სხვა თბილისელი ვაჰარების მეშვეობით შემოდიოდა თამარის ეპოქაში ალექსანდრიიდან ის მატყლი, რომლის შესახებაც მოგვითხრობს თამარის პირველი ისტორიკოსი (ქგ, II, 1959:70).

მუსლიმთა ემიგრაცია შეინიშნება დმანისიდანაც. XIII ს. შუა ხანებში დამასკოს სალიჰიას უბანში არსებობდა დმანისიდან გადასახლებული შეიხი სადრ ად-დინ ჰამიდ იბნ 'ალი ად-დუმანისის (გარდ. 1245 წ.) მეჩეთი და მისივე აკლდამა (ჯათფარბი, 1993მ). მაგრამ საქართველოს დაეითისა და მისი მემკვიდრეების ეპოქაში ტოვებდა შეურიგებელ მუსლიმთა ერთი ნაწილი. თბილისში კვლავ რჩებოდა მუსლიმური მოსახლეობა. ემიგრაციულ წყაროების მონაცემებით მუსლიმური ელემენტი მძლავრად იყო წარმოდგენილი დმანისში XIII-XIV სს-შიც კი (ვახიანი, 1965; ვახიანი, 1974).

რა ვითარება გვაქვს საქართველოში რჯულმემყნარებლობის სფეროში დავით IV-ის მემკვიდრეობის დროს?

ალ-ფარაჰი, რომელიც 1153-1154 წლებში დემეტრე I-ის სამსახურში იყო, იუწყება, რომ თბილისელი მუსლიმებისადმი დავით IV-ის მიერ მიცემული პირობები ამ დროს ძალაში რჩებოდა და თბილისელი მუსლიმები უწინდებურად პატივში იყვნენ.

არაბი მემატრიანე წერს: "მე ვნახე 'ალიმები,¹⁴ მქადაგებლები, დიდებულები (ალ-ამრანა), სუფიები, მლოცველები, რომელთაც მეფე (დემეტრე I-გ.კ.) პატივით იღებდა და ასაჩუქრებდა. ის კეთილად ექცეოდა [მათ], რიხი მსგავსიც არ არსებობს. მე ვნახე [იქ] ისეთი პატივისცემა მუსლიმებისა, რაც მათ ბაღდადშიც კი არ ექნებოდათ" (ალ-ფარაჰი, 1985:89-90).

მუსლიმთა კარგ მდგომარეობაზე თბილისში იუწყება იბნ ჰაუკალის (X ს.)

¹⁴ არაბ. 'ალიმ, მრ. 'ულამა', რაც მცოდნეს, მეცნიერს ნიშნავს, იყო ღვთისმეტყველების, ჰადისებისა და ისლამის ეთიკურ-სამართლებრივი ნორმების მცოდნე პირი. 'ალიმები თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყაროს ცხოვრებაში.

გეოგრაფიული თხზულების XII ს. ჩანართი: "ქურჯთა მეფე, მიუხედავად მისი ურწმუნოებისა, მწყსავს მის [თბილისის] მოსახლეობას და იცავს მათ მზარეს ყოველგვარი ზიანისაგან. ისლამის წესები იქ ისევე [სრულდება], როგორც წინათ. საკრებულო მეჩეთი დაცულია ყოველგვარი უკეთურობისაგან. მეფე ანთებს იქ სანთელსა და კანდელს და ასრულებს რაც საჭიროა. აზანი მის ყველა მეჩეთში წარმოითქმის ამკარად და ჭემმარითა და ვერავინ აყენებს ვნებას. ახლა ერთმანეთშია არეული მუსლიმი და ქურჯი" (ყ. სისაჩუღიძე, 1976ა:33-4, 35).

XIII ს. 20-იანი წლებისთვის ანონიმი სპარსელი ავტორი თბილისის მუსლიმი მოსახლეობის შესახებ წერდა, რომ ისინი არიან "ნარწმუნოებაში მტკიცე, ერთდმერთიანები და უცხოელთა მოყვარულნი. [ქალაქში] ბევრი მეჩეთია და კარგად მოუწოდებენ ხალოცავად" (სამყაროს საჰვირჰოლუმანი, 1978:28).

ზაქარია ალ-კაზინი გადმოგვცემს: თბილისის "მცხოვრებლები მუსლიმები და ქრისტიანები არიან. ალ-ქურრის (მტკერის) ერთ-ერთ ნაპირზე ლოცვისაკენ მოუწოდებენ, მეორე ნაპირზე კი ზარს რეკენ. მის საკვირველებათაგანაა ძალიან ცხელი აბანო, რომლისთვის წყალს არ აცხელებენ... ერთ-ერთი ვაჭარი მიყვებოდა, რომ ეს აბანო მუსლიმთათვისაა განკუთვნილი. მასში ურწმუნო სრულიად არ შედის" (ზაფ. ალ-კაზინი: 40).

მხოლოდ მუსლიმთათვის განკუთვნილ აბანოს თბილისში, სადაც სხვები არ დადიოდნენ, იხსენიებს იაკუთიცი (იაკუთი: 39).

ამრიგად, აშკარაა, რომ დავით IV-ის შთამომავალთა დროსაც, ერთი საუკუნის მანძილზე რჩულ შემწუნარებლური პოლიტიკა გრძელდებოდა. თბილისელ მუსლიმებს ჰქონდათ მრავალი მეჩეთი. ისინი თავისუფლად ასრულებდნენ თავიანთ ღვთისმსახურებას, დაცულნი იყვნენ ქრისტიანებთან და ებრაელებთან არასასურველი კონტაქტებისგან. მათი სასულიერო და კულტურული ზედაფენა სარგებლობდა საქართველოს სამეფო კარის კეთილგანწყობით.

ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობის თვალსაზრისით საყურადღებოა დავით IV-ის მემკვიდრეთა სამონეტო პოლიტიკა. დემეტრე I-ის სხვადასხვა ტიპის საფასეზე ქართული ასომთავრულით მხოლოდ მეფის სახელი არის აღნიშნული და ისიც შემოკლებით. მისი სრული სახელი და ტიტულატურა „მეფეთ-მეფე, მესიის მახვილო“ (მალიქ ალ-მულუქ ჰუსამ ალ-მასიჰ) აღბეჭდილია არაბულად. გარდა ამისა, მის მონეტებზე იკითხება აბასიანი ხალიფას (ალ-მუკთაფი) და ერაყის სელჩუკი სულტნების (მაჰმუდ ბ.მუჰამადი, მას'უდი) სახელები (Похомов, 1970:75-79; Капанадзе, 1955:60), მაგრამ მათზე ხსენებაც კი არ არის აღლაპისა და მისი მოციქულის — მუჰამადისა, რომელთა შესახებაც დავით IV-ის მონეტებთან დაკავშირებით მოგვითხრობს ალ-ფარუკი.

ქართველ მკვლევართა მიერ მართებულად არის გაკრიტიკებული და უარყოფილი ის თვალსაზრისი, რომელიც ქართულ მონეტებზე ხალიფას და სულტნის სახელების მოხსენიებას მუსლიმ გამგებლებზე საქართველოს ვასალური დამოკიდებულებით ხსნის (*Джавახов*, 1912:111-13; მუსხია, 1972:147-49; მ.გამაშვილი, 1981:92-3; მ.გამაშვილი, 1987:67-73). პირველად ივ.ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ „არაბული წარწერების გაჩენა ქართულ მონეტებზე ხელს უწყობდა მათ თავისუფალ მიმოქცევას საქართველოს ფარგლებს გარეთ. ქართულ მონეტებზე ასეთი წარწერები მათ საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებდა“ (*Джавახов*, 1912:112-13). ეს მოსაზრება გაიზიარეს და განაგრეს სხვა მკვლევარებმაც (*Быков*, 1938:79; მუსხია, 1972:149; მუსხია, 1986:162; მ.გამაშვილი, 1981:95; მ.გამაშვილი, 1987:70).

ჩვენი კვლევის შედეგები ასევე გამორიცხავს ისლამურ სამყაროზე საქართველოს რაიმე ვასალურ დამოკიდებულებას XII ს. II მეოთხედში. ამ დროს აბასიანი ხალიფა ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა სერიოზულ პოლიტიკურ ძალას, ერაყის სელჩუკ სულტნებს კი არ შესწევდათ უნარი თავისი ნება მოეხეიათ ქართველი მეფეებისათვის. ამდენად, ისევე როგორც ხუტბაში, მონეტებზე მათი სახელების მოხსენიებას (ისლამის სამყაროსგან განსხვავებით) არ შეიძლება დიდი პოლიტიკური დატვირთვა მიეცეთ. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ქართველი მეფეები იმავე მონეტებზე თავს აცხადებდნენ მესიის მახვილად (ჰუსამ ალ-მასიჰ), რაც მათი რეალური პოლიტიკური ძალის გამოვლინება იყო.

სელჩუკი სულტანი (მუჰამად ბ.მაჰმუდი) უკანასკნელად იხსენიება დავით V-ის საფასეზე (ჯათარბიჟ, 1989:94), ხოლო ხალიფა (ალ-მუკთაფი) — გიორგი III-ის მონეტებზე (*Пахомов*, 1970:80-1). 1174 წ. გიორგი III-ის მონეტა ატარებს მხოლოდ ქართველი მეფის სახელს ქართული ასომთავრულით — შემოკლებით და მის ტიტულატურას (მალიქ ალ-მულუქ ჰუსამ ალ-მასიჰ) არაბულად — სრული სახით (*Пахомов*, 1970:82). მომდევნო მეფეების ფულზე ჩნდება ახალი არაბული ზედწერილები, რომლებშიც პირველად ფიგურირებს ალლაჰი.

ალლაჰი ერთნაირად აღნიშნავს ღმერთს როგორც მუსლიმებისთვის, ისე არაბულად მეტყველი ქრისტიანებისათვის. ამდენად, ქართულ მონეტებზე ამ სიტყვის გაჩენისათვის შეიძლება არ მიგვენიჭებინა რაიმე მნიშვნელობა, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის, რომ ალლაჰი დასახელებულია ისეთ ზედწერილებში, რომლებიც სწორედ ისლამური თვალსაზრისით არის საინტერესო.

თამარისა და მისი მემკვიდრეების საფასეზე არაბულად იკითხება: „ადამა ლლაჰუ ‘იზნაჰუ“ — „ალლაჰიმ მარადჰყოფს მის [მეფის] ძლიერებას“ (თამარის მონეტა — *Пахомов*, 1970:92); „დააჰა ლლაჰუ ჯალალაჰუ ვა მადეა ზალალაჰუ ვა ‘აიადა იმალაჰუ“ — „ალლაჰიმ გააღრუგვებს მის [მეფის] დიდებას, განავრცობს მის ჩრდილს და განამტკიცებს მისწარმატებებს“ (თამარის მონეტა — *Пахомов*, 1970:91), „ააზნა ლლაჰუ ანსარაჰუ“ — „ალ-

ლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს" (თამარის, გიორგი ლაშას და რუსუ-დანის მონეტები - *Пахомов*, 1970:92,101,105). ეს ზედწერილები ფაქტობრი-ვად წარმოადგენს ისლამურ სამყაროში მიღებულსა და გავრცელებულ კეთილი სურვილების ფორმულებს. ფორმულა "აღლაჰიმც ... განავრცობს მის ჩრდილს" შეესაბამება ისლამურ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ სულტნის ხელისუფლება არის „აღლაჰის ჩრდილი დედამიწაზე“. აღლაჰის მოციქულს მუჰა-მადს მიეწერება გადმოცემა (ჰადისი), რომლის თანახმადაც „სულტანი არის ღმერთის ჩრდილი დედამიწაზე და მასთან ეძებს თავშესაფარს ყველა განაწყენე-ბული“ (*Бартольд*, 1966ა:30; *Маркарян*, 1991:145). ფორმულას „აღლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს“ არასწორად თარგმნიდნენ: „да возвеличит Бог победы его“, „განადიდოს ღმერთთან ძლევანი მისნი“ (*Пахомов*, 1970:91; კაპანაძე, 1969:75). არაბ. ანსარ, რაც ნახირ-ის მრავლობითია, ნიშნავს არა „გამარჯვებებს“, „ძლევას“, არამედ „დამხმარეებს“, „მომხმარეებს“. აქვე აღვნიშ-ნავთ, რომ არაბ. ანსარ მუსლიმებს უჭმინდა ასოციაციას მუჰამადის დამხმარე-ბთან — ანსარებთან, რომლებიც მან შეიძინა მედინაში, მექიდან ამ ქალაქში გადასახლების დროს.

ქართველი მეფეების ტიტული არაბულად "ალ-მალიქ ალ-მუ'აზზამ" (*Пахомов*, 1970:91,99) "დიდი (დიდებული) მეფე" ანალოგიურია ტიტუ-ლოსა "ას-ხულტან ალ-მუ'აზზამ" — "დიდი (დიდებული) ხულტანი." არ არის გამორიცხული, რომ ტიტული "ჰუსამ ალ-მასიჰ" — "მესიის მახვილი" (რომელსაც ქართული წყაროები არ იცნობს), გაჩნდა როგორც რეაქცია ისლამურ ტიტულებზე, "ჰუსამ ად-დინ" — "ხარწმუნოების მახვილი," ანდა უფრო "სამიქ აღლაჰ" — "აღლაჰის მახვილი." ამ უკანასკნელს ატარებდა, მაგალითად, სულტანი ალფ-არსლანი (ალ-ჰუსანი, მ. მ. 1972:160). ქართველ მეფეთა სხვა ტიტულები არაბულად: "ჯალალ ად-დუნიჰ ვა დ-დინ" — "დიდება ქვეყნისა და ხარწმუნოებისა" (თამარისა და გიორგი-ლაშას მონეტები - *Пахомов*, 1970:91, 94, 96), ან "ჯალალ ად-დუნიჰ ვა დ-დავლა ვა დ-დინ - "დიდება ქვეყნისა, სახელმწიფოსი და ხარწმუნოებისა" (რუსუდანის მონეტები - *Пахомов*, 1970:105) ასევე მიღებული და გავრცელებული იყო ისლამურ სამყა-როში მუსლიმ გამგებელთა შორის. ნიშანდობლივია, რომ როდესაც ჯალალ ად-დინმა საქართველოში მოკრა თავისი საფასე, მისი არაბული ზედწერილები დიდად არ შეუცვლია. მონეტებზე ხვარაზმ-შაჰი არის არა მარტო "ას-ხულტან ალ-მუ'აზზამ" — "დიდი (დიდებული) ხულტანი" არამედ ასევე, "დიდება ქვე-ყნისა და ხარწმუნოებისა." მის მიმართ გამოიყენება კეთილი სურვილის ერთ-ერთი ზემომოტანილი ფორმულა მცირეოდენი განსხვავებით: "აღლაჰიმც გააორკვევებს მის ძლიერებას" (*Пахомов*, 1970:102-3).

ამრიგად, ქართული მონეტების არაბული ზედწერილების დიდი ნაწილი აღ-

ვილად აღსაქმელი და მისაღები იყო მუსლიმთათვის. ისლამურ სამყაროსთან მწვავე სამხედრო-პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში საქართველოს სამეფო კარის სამონეტო პოლიტიკა მუსლიმებთან კომპრომისისა და მშვიდობიანი თანაარსებობის კარგ პირობებს ქმნიდა.

მუსლიმებთან ნორმალური ურთიერთობების გასაგრძელებლად და შესანარჩუნებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სამეფო კარის სამართლებრივ პოლიტიკას. სამართლებრივი დაცვის ის მექანიზმი, რომელიც დავით IV-მ შეუქმნა თბილისელ მუსლიმებს, ძალაში იყო მისი მემკვიდრეების დროსაც. იბნ ჰაუკალის თხზულების ზემომოტანილ XII ს. ჩანართში ნათქვამია, რომ თბილისელ მუსლიმებს ვერავინ აყენებდა ვნებას. 1122 წ. შემდეგაც თბილისში არსებობდა მუსლიმთა მოსამართლის — ყადის ინსტიტუტი (*Габашвили, 1985:69-73*).

ცნობილია, რომ ყადის საერთოდ ხალიფა, ანდა სახალიფოს დაშლის შემდეგ სულტანი, ან სხვა მუსლიმი გამგებელი ნიშნავდა. იბნ ალ-ფუევატი იუწყება, რომ ცნობილია თბილისელმა მეცნიერმა ფახრ ად-დინ ალ-ხილატიმ მანშური (განსაკუთრებული მოწმობა, რომელიც დანიშვნას ადასტურებდა) თბილისის ყადიობაზე მიიღო აბასიანი ხალიფასაგან ალ-მუსთა'სიმ ბი-ლლაჰისგან (1242-1258). ამავე დროს, მუსლიმთა მოსამართლის მოღვაწეობას ქრისტიანული საქართველოს სატახტო ქალაქში საეციფიური თავისებურებებიც ექნებოდა. ძნელი დასაშვებია, რომ თბილისის ყადის კანდიდატურა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ დანიშნავდა მას, უცნობი და მიუღებელი ყოფილიყო ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის (ჯაფარიძე, 1984ა:99-110).

ყადიები იყვნენ როგორც თბილისში, ისე საქართველოს სამეფოს სხვა ქალაქებშიც: ანისში, დვინში და სხვ. თბილისის, ანისისა და დვინის ყადიები სურმარის შეიხთან, სომეხ და ქართველ დიდებულებთან ერთად მონაწილეობდნენ 1216 წ. იმ სასამართლო პროცესში, რომელიც გამართა ივანე მხარგრძელმა ქ.დვინში ორი სომხური ანტიქალკედონიტური მონასტრის დავის გადასაჭრელად (ამოულაძე, 1948: 106-119; ჯაფახიშვილი, 1965:306-7; სინ, III, 1979:499-500).

ყადი, საერთოდ, მკიდროდ იყო დაკავშირებული მუსლიმური ქალაქის მმართველობასთან და როგორც მოსამართლე, მსაჯული, დიდი გავლენითაც სარგებლობდა. მის უფლებამოსილებაში შედიოდა ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის წარმოება. ის ასრულებდა ნოტარიუსის ფუნქციებს, მეთვალყურეობდა საზოგადოებრივ ზნეობას, ზედამხედველობას უწყვედა ვაჭურფის ქონებას, საზოგადოებრივ ნაგებობებს, გზებს, ქუჩებს, მოედნებს, სასამართლო განაჩენის შესრულებას (*Петрушевский, 1966:191,195; Боголюбов, 1991a: 125; Гуан, 1974:390-92*) და სხვ. თბილისის ყადის 1122 წლამდე შეეძლო შეესრულებინა ყველა ეს ფუნქცია. იგივე შეეძლო გაეკეთებინა მას თბილისის მუსლიმთა უბნებში 1122 წ. შემდეგაც. მას ჰქონდა უფლება გამოეტანა სასჯელის უმაღლესი ზომა მუსლიმი დამნაშავესათვის. რაშიდ ად-დინის უადრესად საინტერესო ცნო-

ბით 533/1138-39 წ. ისმაილიტებს მოუკლავთ თბილისის ყადი იმის გამო, რომ მან სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ერთ ისმაილიტს (ნაცრთმვილი, 1975:69-70).

შიძლება ითქვას, რომ თბილისელი მუსლიმები იმყოფებოდნენ ყადის ოური-სდიქციის ქვეშ, რაც ანალოგიურია ისლამის ქვეყნებში მცხოვრები მეთარველობის ქვეშ მყოფი რელიგიური უმცირესობების — ზიმმიების მდგომარეობისა. ზიმმიები (ქრისტიანები, იუდეველები...) კმინდნენ ავტონომიურ თემებს, რომლებზედაც ვრცელდებოდა მათი საეკლესიო მეთაურების (ქრისტიანებზე — პატრიარქის, კათალიკოსის...) ოურისდიქცია¹⁵ (Cardahi, 1955:335-36; Cahen, 1961: 229). მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისლამის ქვეყნებში ქრისტიანული თემების მეთაურებს, თბილისის ყადისგან განსხვავებით არ ჰქონდათ უფლება გამოეტანათ სასიკვდილო განაჩენი (Tritton, 1930:81).

მიუხედავად ისლამურ სამყაროსთან მწვევე სამხედრო-პოლიტიკური კონფ-რონტაციისა და იდეოლოგიური ბრძოლისა, საქართველოში გასაქანი არ მიუღია რელიგიურ თანატიზმს. ყოველ შემთხვევაში წყაროებში დაფიქსირებული არ არის რაიმე ისეთი დისკრიმინაციული ზომა საქართველოს სამეფოს მუსლიმ ქვეშევრ-დომთა მიმართ, როგორც გამოიყენებოდა ზიმმიებისადმი (ცხენზე ამხედრების აკრძალვა, მოთხოვნა განსხვავებული სამოსის ჩაცმისა, ბინების კარებებზე და თანჯრებზე დამამკირებელი და შეურაცხყოფელი ნიშნების გაკეთება და სხვ.) ისლამის ქვეყნებში. ამრიგად, დავით IV-ისა და მისი მემკვიდრეების დროს თბი-ლისის (და უნდა ვიგულისხმობთ, საქართველოს სამეფოს სხვა ქალაქებისა და მხარეების) მუსლიმური მოსახლეობის მიმართ ხორციელდებოდა ლმობიერი, რჯულმემწყნარებლური პოლიტიკა. მაგრამ როგორ უთავსდება ამგვარ ტოლერან-ტიზმს ის მწვევე იდეოლოგიური ბრძოლა ისლამის წინააღმდეგ, რომლის შესა-ხებაც ზემოთ ვრცლად გვქონდა საუბარი?

შიძლება დაგვევა, რომ იდეოლოგიური ბრძოლა ისლამთან იყო მხოლოდ ეკლესიის საქმე და რჯულმემწყნარებლობა კი — სამეფო კარის პოლიტიკა, მაგრამ დავით IV-ის დროიდან ეკლესია მეფის ცენტრალური ხელისუფლების უშუალო კონტროლს დაექვემდებარა. ქრისტიანობა, როგორც ზემოთ ითქვა, აღიარებულ იქნა პოლიტიკური დამოუკიდებლობის იარაღად. მეფე იბრძოდა ქრისტიანული ეკლესიის არა მარტო დაცვისათვის, არამედ გავრცელებისთვისაც (ლთმინაძე, 1966: 85,87; ლორთქიფანიძე, 1979:210). ამდენად, ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოს სამეფო კარი არ უწყობდა ხელს ისლამთან იდეოლოგიურ ბრძო-ლას. ვფიქრობთ, რომ როგორც ტოლერანტიზმი, ისე იდეოლოგიური ბრძოლა საქართველოს სამეფო ხელისუფლების ერთიანი რელიგიური პოლიტიკის შემად-გენელი ნაწილები იყო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ დავით IV და მისი მომდევნო ქართველი მეფეები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ საქართველოს სამეფოს

¹⁵ ზიმმიების თანხმობის შემთხვევაში მათი სარჩილო შექმლო გაერჩია ყადის. ის იხილავდა მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დავასაც და განაჩენი გამოჰქონდა მუსლიმური სამართლის ნორმების მიხედვით (Cardahi, 1955:335; Mev, 1966:46-7).

მოსახლეობის იმ ჯგუფებისათვის „რომელთაც ძველიდანვე საკუთარი რელიგია და ეკლესია ჰქონდა“ (ლომინაძე, 1966:87). სხვა რელიგიური (მონოთეისტური) ჯგუფებისადმი კი ასეთი დამოკიდებულება, როგორც ცნობილია, არ იყო უცხო ისლამის სამყაროსათვის. მიუხედავად ჯიჰადის იდეოლოგიისა და ზომიერების სამოქალაქო უფლებების შეზღუდვებისა, რომლებიც ითვალისწინებდა დისკრიმინაციულ ზომებს, არამუსლიმ ქვეშევრდომთა სიცოცხლე და ჭონება, მათი ხელშეუხებლობა და თავისუფლება მუსლიმური კანონმდებლობით დაცული იყო. ამ კანონმდებლობის ფარგლებში ზომიერი ეწეოდნენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას და ასრულებდნენ ღვთისმსახურებას. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მიუხედავად მრავალი ქართველისა, მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანულმა თემებმა დღემდე შეინარჩუნეს თავიანთი არსებობა, რაც შეუძლებელი იქნებოდა ტოტალური ფანატიზმისა და შეურიგებელი დევნის პირობებში.

ბევრი მკვლევარი თვლის, რომ შუა საუკუნეების ქრისტიანთაგან განსხვავებით ისლამი საკმაოდ შემწყნარებლურია სხვა სარწმუნოების აღმსარებლებისადმი, განსაკუთრებით კი ქრისტიანებისადმი, მაგრამ ეს თვალსაზრისი საკამათოა. იპეტრუშევსკი მართებულად აღნიშნავდა, რომ ისლამი, ისევე როგორც ქრისტიანობა, არ იყო უცვლელი იდეოლოგია, რომელიც შეიძლება განვიხილოთ და შევისწავლოთ სტატიკურ მდგომარეობაში. რჯულშემწყნარებლობა და ფანატიზმი ისლამში გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ხარისხით ვლინდებოდა. ზომიერების მდგომარეობა მუსლიმურ სახელმწიფოებში იცვლებოდა უკეთესობიდან უარესობისკენ და პირიქით. ამასთან, პრაქტიკა არცთუ იშვიათად არ ეთანხმებოდა ფიკჰის (სამართლის) ნორმებს. (*Петрушевский*, 1966:95-7).

ისლამური მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში არის პერიოდები, რომლებიც ხასიათდება როგორც უკიდურესი ფანატიზმით ქრისტიანებისადმი, ისე საოცარი ტოლერანტიზმით. ცნობილია ფატიმიანი ხალიფას ალ-ჰაქიმ ბი-ამრ ალლაჰის (996—1021) ანტიქრისტიანული პოლიტიკა, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ მისი მემკვიდრე აბ-ზაჰირი 1024 წ. მონაწილეობდა წმინდა ნათლისღების კობტურ დღესასწაულში (*Meu*, 1966:58). XII ს-ში საქართველოს მეზობელი მუსლიმი გამგებლებიდან ქვეშევრდომი სომხებისადმი შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდნენ აზერბაიჯანისა და არჩანის ათაბაგი შამს ად-დინ ელდიგუზი, შაჰ-არმენი სუქმან II და არზრუმის ამირა იზზად-დინ სალთუკი (ვარდან: 151-52). ართუკიანი ნაჰმ ად-დინ ალბი, რომელიც მფარველობდა ქრისტიანებს, რეგულარულად დადიოდა მონასტრებში (*Tritton*, 1930:57).

ძნელია დავეთანხმოთ იმ თვალსაზრისს, რომ რჯულშემწყნარებლობის პრინციპი უჩვეულო და უცხო მოვლენა იყო ქრისტიანული სამყაროსათვისაც XII-XIII სს-ში და რომ „ამ მხრივ საქართველოს შინა და საგარეო-პოლიტიკური ცხოვრება რამდენიმე საუკუნით უსწრებს ევროპის ქვეყნების შინასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო და სამართლებრივ პრაქტიკას“ (ალექსიძე, 1968:168;

აბაშმაძე, 1990:195-96). მუსლიმთა მიმართ შემწყენარებლობის შესანიშნავ მაგალითებს გვაძლევს XI ს. ბოლო მეოთხედისა და XII ს. ნორმანთა სიცილიის ისტორია (*Шахк*, 1896: 97-8, 125,26,132-35, 137,178-79,263). იერუსალიმის სამეფოში ლათინებმა თავდაპირველად, მართალია, დაანგრეს მეჩეთები და გადააკეთეს ისინი ეკლესიებად, მაგრამ მათ შემდეგ უფლება მისცეს მუსლიმებს (ისევე როგორც ებრაელებსა და სამარიტელებს) ლეთისმსახურების შესრულებისა (*Praver*, 1985:71). იბნ ჭუბაირის (XIII ს.) თანახმად იერუსალიმის ლათინთა სამეფოში მუსლიმთა ცხოვრების პირობები უკეთესი იყო, ვიდრე მუსლიმთა სამფლობელოებში (იბნ ჯუმაირი: 210). გერუნებაუმის დასკვნით კი ჯვაროსანთა სამფლობელოებში შექმნილმა ადმინისტრაციამ და სასამართლო სისტემამ მოიპოვეს თვით მუსლიმ ქვეშევრდომთა კეთილგანწყობა (*Грюнебаум*, 1986:151).

ბიზანტიის დედაქალაქში კონსტანტინოპოლში არსებობდა არაბული კოლონია, რომელსაც X-XI სს-ში ჰქონდა თავისი მეჩეთები (*Литаврин*, 1974: 165). 1189 წ. იმპერატორ ისააკ კომნენის მიწვევით კონსტანტინოპოლში ჩავიდა სალაპ ად-დინის ელჩობა, რომლის შემადგენლობაშიც დესპანის გარდა იყო იმამი, რამდენიმე მუ'აზზინი და ყურანის მკითხველი. მათი მონაწილეობით კონსტანტინოპოლის მეჩეთში მუსლიმი ვაჭრებისა და მოგზაურების წინაშე პირველად აღავლინეს ხუტბა აბასიანი ხალიფას სახელზე (*Brand*, 1962:174).

XI ს-ში, რეკონკისტის გაფართოებასთან ერთად ესპანეთის ქრისტიანულ სამეფოებში შეიქმნა მრავალრიცხოვანი ფენა მუდგეჰარებისა,¹⁶ იმ მუსლიმებისა, რომლებიც დამორჩილდნენ ქრისტიანებს ხარკის გადახდის, კაპიტულაციის, ანდა ხელშეკრულების პირობით. მათ მთლიანად ან ნაწილობრივ შეინარჩუნეს საკუთარი კანონები, რელიგია და შელდავათები. მუსლიმთა მფარველობით გამოირჩეოდნენ დავით IV-ის თანამედროვე, კასტილიის მეფე ალფონსო VI (1065-1109), რომელსაც აღმოსავლური განათლება ჰქონდა მიღებული, ალფონსო VII (1126-1157) და მრავალი სხვა მეფე (*Альтамира*, 1951: 180,181,281). მუდგეჰართა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავდა ესპანეთის მეფეთა მიერ გაცემული სიგელები — ფუეროები. ზოგიერთი ფუეროს პირობები არამცთუ ჩამოუვარდებოდა იმ პირობებს, რომლებიც დავით IV-მ დაუდო თბილისელ მუსლიმებს, არამედ აღემატებოდა მათ.¹⁷ მაგრამ რეკონკისტის ფრონტის გაფართოებასთან ერთად კონფრონტაცია მუსლიმებთან სულ უფრო ჯვაროსნული ომის ხასიათს

¹⁶ ესპ. *mudejares*. ეს სახელწოდება მომდინარეობს არაბული სიტყვიდან მუდაჯჰუნ — „მან ვინც მიიღო დარჩენის უფლება“ (*Юпит, Какия*, 1976:145).

¹⁷ მუდგეჰარებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი კანონმდებლობა ესპანეთის სამეფოთა შორის შეიქმნა არაგონში. აქ შემუშავებულ სამართლებრივ ნორმებს ხშირად იღებდნენ კასტილიის მეფეებიც. XII ს. II მეოთხედის ავია დე ტორესის ფუერო თითქმის ათანაბრებდა მუდგეჰარებს ქრისტიანებთან. ტულებას 1115-1122 წლების ფუერო მუდგეჰარებს აძლევდა უფლებას გასამართლებულიყვნენ საკუთარი ყადიების მიერ, ჰქონოდათ საკუთარი მეჩეთი და არ ემსახურათ ჭარში. ამ ფუეროს პირობით ქრის-

იღებდა, ხოლო რჯულშემწყნარებლობა ადგილს უთმობდა ფანატიზმსა და სიკუ-
ლილს, რომლებსაც აღვივებდა ეკლესია (*Альтамира*, 1951: 182-83). რომის
პაპების აქტიური ჩარევის წყალობით მუსლიმთა მდგომარეობა ესპანეთში და
ევროპის სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებში XIII-XV სს-ში მკვეთრად გაუა-
რესდა (ამ საკითხებზე იხ.: *Daniel*, 1966; *Daniel*, 1975), მაგრამ რელიგიური
ფანატიზმის გამარჯვებას საუკუნეები დაჰქრდა.

ამრიგად, რჯულშემწყნარებლობის თვალსაზრისით საქართველო არ იდგა
განცალკევებით არც ისლამურ და არც ქრისტიანულ სამყაროში. შეიძლება თქ-
ვას, რომ მუსლიმთა მდგომარეობა და მათი სტატუსი საქართველოში მოგვაგონებს
ზიმიმებისას ისლამის ქვეყნებში. ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს, რომ სწორედ
ზიმიმებთან არის შედარებული მკვლევართა მიერ ქრისტიანული ესპანეთის
მულდეჰარების სტატუსი (*Уотт, Какия*, 1976:145). საქართველოს სამეფოს
ქვეშევრდომი მუსლიმები, ისლამის ქვეყნებში მცხოვრებ მფარველობაში მყოფ
სხვა რელიგიური უმცირესობების — ზიმიმების მსგავსად ინარჩუნებდნენ
უფლებას ელიარებიანთ თავიანთი რწმენა, შეესრულებინათ რელიგიური რი-
ტუალები და დაეცვათ თავიანთი. ადათ-წესები. თუ თბილისელ მუსლიმთა
სტატუსს ამ კუთხით განვიხილავთ, მაშინ იდეოლოგიური თვალსაზრისით
გასაგები ხდება დავით IV-ისა და მისი მემკვიდრეების ტოლერანტიზმი. ისინი
ანგარიშს უწევდნენ და ითვალისწინებდნენ იმ პრინციპებსა და პრაქტიკას,
რომელიც გავრცელებული და მიღებული იყო მანლობელი და შუა აღმოსავლე-
თის ისლამურ ქვეყნებში და საკმაოდ ნაცნობი თვით თბილისში მუსლიმთა
ოთხსაუკუნოვანი ბატონობის წყალობით. ამასთან, ცხადია, რომ რჯულშემწყ-
ნარებლური პოლიტიკის გატარებისას საქართველოს სამეფო კარი იმასაც
ითვალისწინებდა, რომ მუსლიმური სამყარო ანგარიშგასაწვევ ძალას წარმოა-
დგენდა (ღაბრთფიფანიძე, 1979მ:253). ასეთი პოლიტიკა სამუალებას აძლევდა
სამეფო ხელისუფლებას ჰქონოდა ნორმალური ურთიერთობები თბილისის, ამ
უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის, მუსლიმურ სავაჭრო
წრეებთან და შეენარჩუნებინათ თბილისის ოდინდელი მნიშვნელობა მახლობელ-
ლი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელიც მუსლიმების ხელში
იყო (ჯაფახიძე, 1907:21-2; ვიენაძე, 1960:123; ჯ.გამამიფილი, 1967:204;
ალექსიძე, 1968:160; ბესხია, 1972:134; *Лордкипანიძე*, 1974:115), მიეღო
პრივილეგიები წმინდა მიწაზე, პალესტინაში (ალექსიძე, 1968:164-67), საბოლოო
ჯამში კი ტოლერანტიზმი ხელს უწყობდა საქართველოს მრავალეროვან სახელმ-
წიფოში შინაური მშვიდობისა და ერთობის დაცვას (ლომინაძე, 1966:87-8;
Лордкипანიძე, 1974:115).

ტიანები ისჯებოდნენ მუსლიმებზე ძალადობისთვის. ანალოგიური პრივილეგიები
ეძლეოდათ მულდეჰარებს კალატაიულის ფუეროთი, რომელიც, ამავე დროს, თანას-
წორად აცხადებდა ებრაელებსა და ქრისტიანებს (*Альтамира*, 1951: 181,204).

რ. კიკნაძე წერდა, რომ დავით IV-მ „ბევრი უპირატესობა მიანიჭა მუსლიმებს ქრისტიანებთან შედარებით“ (ვიკნაძე, 1960:124). ეს თვალსაზრისი მართებულად იქნა გაკრიტიკებული (ჩხაჯაბაიანი, 1973:26-7) და მასზე აღარ შეეჭვრდებით. თუ ხილმას არ მივიღებთ მხედველობაში, ვფიქრობთ, შეიძლება ვიმსჯელოთ არა მუსლიმთა უფლებრივ უპირატესობებზე საქართველოს ქრისტიანებთან შედარებით, არამედ მუსლიმთა იმ უფლებებზე, შეღავათებსა და პრივილეგიებზე, რომლებიც თბილისში აღმმატებოდა ზიმშიების უფლებებს ისლამის ქვეყნებში. საქართველოს სამეფოში, რომლის ოფიციალური იდეოლოგიაც იყო ქრისტიანობა, ქრისტიანულ და მუსლიმურ მოსახლეობას შეუძლებელია ჰქონოდათ ერთნაირად თანაბარი პირობები ცხოვრების ყველა სფეროში.

მხითარ გოში, რომელიც პროტესტს გამოთქვამდა სომხური ქრისტიანული მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრის გამო, წერდა, რომ „სულადობრივი გადასახადი არსებობს არა ქრისტიანთათვის, არამედ მხოლოდ იმ მუსლიმთათვის, რომლებიც ძალით მოიყვანეს მორჩილებაში“ (მხ. გოში, 1954:147; ვახტანგ VI-ის თარგმანში: „არ არის სამართალი ქრისტიანთა, რომე თავისის თავის ზარჯი გამოადებინოს, თუ არა ურჯულთა“ — ძსმ, I, 1963:275). ამ ცნობაში არის მინიშნება იმის თაობაზე, რომ მუსლიმ ქვეშევრდომებს, ყოველ შემთხვევაში მათ ნაწილს მინც, ეკისრებოდა სულადობრივი გადასახადი. ბ.მ.არუთინიანი წერს: „მხითარ გოში, რომელიც ერთგულია თავისი ზოგადი კონცეფციისა —სამართლებრივი თვალსაზრისით ქრისტიანები „ურწმუნოებზე“ მაღლა დააყენოს, მათ დაბეგვრას სულადობრივი გადასახადით აღიარებს მართებულად იმ შემთხვევაში, თუ კი მათ გაუწიეს წინააღმდეგობა ქრისტიან მეფეს ქალაქის ალყის დროს და დამორჩილებული იქნენ იარაღის ძალით“ (მხ. გოში, 1954:240). ს.ერემიანი თვლის, რომ „მუსლიმური მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობდა საქართველოს სამეფოსა და „ზაქარიანთა სომხეთის“ (ე.ი. იმ სომხურ მიწებზე, რომელთა გამგებლადაც საქართველოს მეფის მიერ დაინიშნენ მხარგრძელები — გ.ჯ.) ფარგლებში, დაბეგრილი იყო სულადობრივი გადასახადით (Еремян, 1951:64). მ.ლორთქიფანიძე უფრო შესაძლებლად მიიჩნევს იმას, რომ ამ სულადობრივ გადასახადს იხდიდა არა თბილისის მუსლიმები, არამედ საქართველოს მიერ დაპყრობილ მუსლიმთა სამფლობელოების მოსახლეობა (Лордкипანიძე, 1991:84). არ არის გამორიცხული, რომ ეს სულადობრივი გადასახადი, რომელსაც არ იცნობდა ალ-ფარაჯი, შემოიღეს თამარის ეპოქაში, როცა საქართველოს სამეფოში შევიდა ადრე მუსლიმთა მიერ ოკუპირებული ჩრდილოეთ სომხეთი. სულადობრივი გადასახადი გარეგნულად მსგავსია ჭიჭისა, რომელსაც ისლამის სახელმწიფოებში იხდიდნენ ზიმშიები თავიანთი რწმენისა და ადათების შესანარჩუნებლად. ასეთ სულადობრივ გადასახადს იხდიდნენ ქრისტიანული ესპანეთის მუსლიმი ქვეშევრდომები. თავისთავად, შემოღება სულადობრივი გადასახადისა (რომლის ოდენობაც ჩვენთვის უცნობია), საქართველოს სამეფოს მუსლიმურ მოსახლეობას ქრისტიანულთან შედარებით უფრო დაბლა აყენებდა.

მუსლიმური სამართალი განსაზღვრავდა იმ დანაშაულობებს, რომლებიც

ზომიებს კანონგარეშე აყენებდა. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ზომი დათანხმდებოდა დაწყობა ბრძოლა მუსლიმთა წინააღმდეგ, დაეხმარებოდა „ურწმუნოებს“ როგორც ჭაშუში და მეგზური; იმ შემთხვევაშიც, თუ ის გალანძლავდა ყურანს, მუჰამადს, ისლამს, თავის რწმენაზე მოაქცევდა მუსლიმს, გაძარცვავდა და მოკლავდა მას და სხვ. (*Kramers, 1974:441; Большаков, 1991a:28*). ორიგინალურ ქართულ სამართლის ძეგლებში ჩვენ ვერ ვნახავთ მუხლებს, რომლებიც ითვალისწინებდა სანქციებს ქრისტიანთა და ქრისტიანული რელიგიის მიმართ მუსლიმ ქვეშევრდომთა ანალოგიური ქმედების შემთხვევაში. გამოჩაქვითად შეიძლება ჩათვალოს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესული მხითარ გოშის „სამართლის“ ქართული თარგმანის ის მუხლი, რომელიც განსაზღვრავს „ურჯულს“ სასჯელს, როცა ის მოკლავს ქრისტიანს (იხ. ზემოთ).

მსგავსად მუსლიმური სამართლისა, რომელიც არ უშვებდა სასამართლოში ქრისტიანთა ჩვენების მიღებას მუსლიმთა წინააღმდეგ, ქრისტიანული სამართალიც, მხითარ გოშის თანახმად, მიუღებლად მიიჩნევდა „ურწმუნოთა ჩვენებას ქრისტიანთა წინააღმდეგ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი იყვნენ მრავალრიცხოვანნი და მათი ჩვენება კი – ჭეშმარიტი“ (მხ.გომი, 1954:15). იგივე მხითარ გოში არ იწონებდა ქრისტიანის მიმართვას სხვა რწმენის აღმსარებელთა სასამართლოსადმი, რადგანაც „ისინი (მუხლიმები) განსჯიან თავიანთი რელიგიის მიხედვით“ (მხ.გომი, 1954:25). ამავე დროს ცნობილია ისეთი შემთხვევაც, როცა მუსლიმი სამართლის მკოდნეები ესწრებოდნენ სასამართლო პროცესს (1216 წ.) ორი სომხური ანტიქალკედონიტური მონასტრის დავის გადასაჭრელად (იხ. ზემოთ).

მუსლიმური სამართალი ნებას რთავს მუსლიმს ცოლად ითხოვოს ზომი, მათ შეიღებს კი აცხადებს მუსლიმებად, მაგრამ ზომის ეკრძალება დაქორწინება მუსლიმ ქალზე. ასეთი ცალმხრივი ქორწინებები მუსლიმურ სახელმწიფოებში ხელს უწყობდა ქრისტიანული მოსახლეობის ასიმილაციას. ცნობილია, რომ ქორწინებები მუსლიმ თურქებსა და ქრისტიანებს შორის ძალზე ხშირი იყო მეზობელ მცირე აზიაში. თურქ-სელჩუკთა დაპყრობითი ომების დროს თურქებსა და ბერძნებს შორის შერეული ქორწინებების შედეგად უკვე XII ს. დასაწყისში მცირე აზიაში გაჩნდა ახალი თაობა, რომელსაც ბერძნული წყაროები *mixovarvaroi*-ს უწოდებენ. ასეთმა ქორწინებებმა საზოგადოების ყველა ფენაში ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ბერძნული ქრისტიანული ელემენტის ისლამურ საზოგადოებასთან ინტეგრაციასა და ასიმილაციაში (*Vryonis, 1971b: 176, 227-28*). მსგავსი პროცესი უნდა დაწყებულიყო საქართველოშიც, როცა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი თურქების ხელთ აღმოჩნდა. ანა კომენენი იხსენიებს თეთუშის ელჩს ჩაუშს იმპერატორ ალექსისტანს, რომელიც დედით იყო ქართველი, მამით კი თურქი (ანა კომენენი: 191). სვრიონისი იმოწმებს XII ს. კანონიკს ბალზამონს, რომელიც დიდი უკმაყოფილებით შენიშნავდა, რომ ქართველები, მიუხედავად მართლმადიდებლობისა, თავიანთ ასულებს ათხოვებდნენ აგარიანებზე (*Vryonis,*

1971მ: 176; ვ. გამაფილი, 1973მ:174). რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1103 წ.) აკრძალა სხვადასხვა რჯულის აღმსარებელთა შეუღლება: "არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელსა, გინა წარმართსა დედაკაცსა, ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეუღლნენ." მართალია, ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ასეთი ქორწინებები ამის შემდეგაც მთლიანად არ შეწყვეტილა (ჯავახიშვილი, 1984:267) და ამის მაგალითები გვაქვს კიდევაც საზოგადოების მაღალ წრეებში (ზაგრატიონები, მხარგრძელები), მაგრამ საზოგადოების ფართო ფენებში ცნობები ადგილობრივ მუსლიმებსა და ქართველ ქრისტიანებს შორის ქორწინებების თაობაზე არ გავაჩნია. დავით IV-ის აქტიური პოლიტიკისა და საქართველოდან თურქ-სელჩუკების განდევნის შემდეგ თურქების ქორწინებები ქართველ ქალებზე, რაც ბიზანტიის მცირე აზიის მსგავსად დამლუპველი იქნებოდა ქვეყნისათვის, უნდა შემცირებულყო და შეწყვეტილიყო კიდევ. მაგრამ ერთიან საქართველოს სამეფოში, სადაც დომინირებულ როლს ქრისტიანული ელემენტი თამაშობდა, შერეული ქორწინებების აკრძალვა უეჭველად აბრკოლებდა მუსლიმური მოსახლეობის ასიმილაციას და მის ინტეგრაციას ქრისტიანულ მოსახლეობასთან.

დავით IV-ის ღონისძიებები მიზნად ისახავდა მუსლიმთათვის თავისუფალი ცხოვრების პირობების შექმნას (მუსხია, 1972:134), მაგრამ მათი პროფესიულ მოღვაწეობის სფერო მაინც შეზღუდული იყო. ისინი ძირითადად ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ. ადგილობრივ მუსლიმებს ვერ ვხედავთ საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობაში, უცნობია მათი მონაწილეობა სახელმწიფოს მართვის ორგანოებში, ეს მაშინ, როცა ისლამის ქვეყნებში ზომიერი დროდა დრო იკავებდნენ მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს (Tritton, 1930:18-35). იქნება შთაბეჭდილება, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის ამ მხრივ მუსლიმური ელემენტი ზედმეტი იყო.

საქართველოს სამეფოში მცხოვრებ მუსლიმებსა და ქრისტიანული საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის, უეჭველია, არსებობდა სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირები, მაგრამ მუსლიმური ელემენტის ინტეგრაცია ქრისტიანულთან არ მომხდარა, ანდა ეს პროცესი ნელა მიმდინარეობდა. მუსლიმურ თემებს თბილისსა და საქართველოს სამეფოს სხვა ქალაქებში (დმანისი, ანისი, დვინი, ყარსი...) საკუთარი ავტონომიური ცხოვრება ჰქონდათ. შეღავათები და პრივილეგიები ერთი მხრივ, და შეზღუდული პოლიტიკური უფლებები მეორე მხრივ, ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს როგორც პოლიტიკური ლოიალობისათვის, ისე ანტიქართული და ანტიქრისტიანული განწყობილებებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით იჩინა თავი პოლიტიკური დესტაბილიზაციის პირობებში, ჭაღალ ად-დინის შემოსევის დროს.

თბილისელ მუსლიმთა ერთი ჯგუფის განწყობილებებს XIII ს. 20-იანი წლებისათვის გადმოგვეცეს იბნ ვასილი. არაბი გემატიანე იუწყება, რომ "როცა ქართველები დაეუფლნენ თბილისს, მათ დატოვეს იქ მცხოვრები მუსლი-

მები, რომლებსაც ნება დართეს, რომ შეესრულებინათ იხლამის წეს-ჩვეულებები. ყველა იხინი სრულდებოდა თბილისში და ცხადდებოდა აზანი. ამასთან [ქალაქში] იყენენ მუსლიმთაგან ისეთები, რომლებიც გამოთქვამდნენ სურვილს, რომ მაღალ ღმერთს დაეხსნა იხინი ურწმუნოთაგან". იბნ ვასილი იქვე მოგვითხრობს ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის აღების მომსწრის თბილისელი მუსლიმის ზაჰირ ად-დინ ათ-თიფლოსის ნაამბობსაც: "ერთ თბილისელს უთქვამს თავისი შვილებისთვის, თუ კი ალლაჰი – მაღალიმე არხ იგი – დაუპყრობს თბილისს მუსლიმებს [და მე ცოცხალი ადარ ვიქნები], დადექით ჩემს საფლავთან და ჩამომძახეთ: "ალლაჰმა – მაღალიმე არხ იგი – დააპყრობინაო თბილისი მუსლიმებს". და [მართლაც], როცა დაიპყრო ჯალალ ად-დინმა ის [თბილისი], ამ კაცის ერთ-ერთი შვილი მივიდა მამის საფლავთან და იძახდა ამას საფლავის წინ" (იბნ ვასილი, IV: 184).

თბილისელ მუსლიმთა გარკვეული წრეებისთვის (ალბათ უპირატესად რეაქციული სასულიერო ზედაფენისთვის), მიუხედავად მათ მიერ მიღებული შეღავათებისა და პრივილეგიებისა, ჩანს, მაინც ძნელი იყო შეგუება იმასთან, რომ გაბატონებული პოლიტიკური ძალიდან დაქვემდებარებულ ელემენტად გადაიქცნენ. ძნელი იყო შეგუება იმ სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებთან, რომლებიც საქართველომ მოიპოვა მეზობელ მუსლიმურ სახელმწიფოებთან ბრძოლებში. ისლამურ სამყაროსთან რელიგიური კავშირები მათთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე პოლიტიკური ლიბილობა. ისინი ოცნებობდნენ ოდინდელი პოზიციების აღდგენაზე, მაგრამ ასეთი განწყობილება არ იყო საყოველთაო. ამაზე მიგვანიშნებენ იბნ ვასილი და აგრეთვე სხვა ავტორებიც.

ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ თბილისის აღების შემდეგ ჯალალ ად-დინი სასტიკად გაუსწორდა არა მარტო ქრისტიანებს. ხვარაზმელებმა დახოცეს და გაძარცვეს მუსლიმთა ნაწილიც (იბნ ალ-ასირი, XII:451). 'ამდ ლატიფ ალ-ბალდადი ოუწყება, რომ საქართველოს სამეფოს კიდევ ერთ ქალაქში (რომლის სახელსაც არ იხსენიებს), ხვარაზმელებმა დაარბიეს იქ მცხოვრები მუსლიმები, რომელთაც ისინი რენეგატებს (ალ-მურთადუნა) უწოდებდნენ ('ამდ ალ-ლა-ფიფ ალ-მადადი: 124; ჯათარიძე, 1980:137). ეს დარბეულ-დაზარალებული „რენეგატი“ მუსლიმები, ვფიქრობთ, საქართველოს ერთგული ქვეშევრდომები იყვნენ. 1227 წ. თებერვალ-მარტში სწორედ ამ წრეებმა შეატყობინეს ქართველებს, რომ თბილისში ხვარაზმელთა მცირერიცხოვანი გარნიზონი იდგა, მოუწოდეს მათ დაეკავებინათ ქალაქი და ქართველებმაც ისარგებლეს მათი სიმპათიებით (იბნ ალ-ასირი, XII : 469). მართალია, თბილისის დაბრუნებას შედეგად მოაყვამეჩეთების ნგრევა და მსხვერპლი მუსლიმთა შორის (იბნ ალ-ასირი, XII:469; ჯუჯუინი, 1974: 33), მაგრამ რეპრესიები, ალბათ, შეეხო მუსლიმების იმ ნაწილს, რომელმაც მხარი დაუჭირა ხვარაზმ-შაჰს. ამას მოწმობს ისიც, რომ ხვარაზმელთა მიერ საქართველოს დატოვების შემდეგ, მონღოლთა ხელახალი გამოჩენის დროს,

როცა ისლამური სამყარო შიშმა და პანიკამ მოიცვა, ქართველებს არ დაუწყიათ შურისძიება. ყოველ შემთხვევაში თბილისში (ან სხვა ქალაქებში) არ მომხდარა მუსლიმთა ტოტალური დევნა და შევიწროება.

თბილისის მუსლიმური მოსახლეობა განაგრძობდა პრესობობას. თბილისში მოღვაწეობდა ცნობილი მეცნიერი ფახრ ად-დინ ალ-ხილატი, რომელსაც ეკავა ყადის თანამდებობაც. 1259 წ. ის სწორედ თბილისიდან მიიწვიეს ნასირ ად-დინ ტუსის მიერ დაარსებულ მარადის სახელგანთქმულ ობსერვატორიაში (ჯააჯაბიბი, 1984ა: 99–110). ქრისტიანული და მუსლიმური მოსახლეობის თანაარსებობის საფუძვლები და პირობები, რომლებიც საქართველოში შეიქმნა დავით IV-ის მიერ, ძალაში რჩებოდა XIII ს. 30—50-იან წლებშიც.

ГРУЗИЯ И БЛИЖНЕВОСТОЧНЫЙ МУСУЛЬМАНСКИЙ МИР XII–ПЕРВОЙ ТРЕТИ XIII в.

Резюме

XII – первая треть XIII в. являются во многих отношениях значительными в политической истории Ближнего Востока и Грузии. В этот период произошли такие важные события, как окончательный распад государства Великих Сельджуков (1119 г.) и возникновение на его месте различных султанатов, атабекств и эмиратов во главе с представителями тюркской военной аристократии; возрождение Аббасидского халифата (с 50–60-х годов XII в.); кратковременная активизация внешнеполитической деятельности Византии и ее сокрушительное поражение от Сельджукидов Малой Азии при Мириокефале в 1176 г.; образование государства Аййубидов (1171 г.), весьма активно включившегося в ближневосточную политику; усиление Румского султаната (с 70-х годов XII в.); первые ужасающие появления монголов (1220–1221 гг.), последовавшие за ними кровавые походы хорезмийцев (с 1225 г.) и новые нашествия и завоевания монголов (с 30-х годов XIII в.). Это эпоха крестовых походов и военно-политической конфронтации западноевропейских христианских и ближневосточных мусульманских феодальных обществ. В идеологическом же плане ее характерной чертой является активизация исламского фактора на Ближнем Востоке и усиление суннитского правосерия, поборниками которого являлись сельджуки и Аййубиды.

Начало указанного периода в истории Грузии совпадает с освобождением страны от сельджукского владычества, созданием сильного Грузинского царства во главе с Давидом IV Строителем (1089–1125), его успешной борьбой за объединение закавказских земель под эгидой Грузии (замедлившейся при его преемниках: Деметре I (1125–1156) и Гиорги III (1156–1184) и вновь победоносно продолжившейся при царице Тамар (1184–1210) на рубеже XII–XIII вв.), а конец – с поражением от хорезмийцев (1225–1231 гг.), вскоре после которого наступило монгольское владычество. В этот период, который был насыщен политическими событиями, Грузинское царство являлось значительным политическим фактором в международных

отношениях на Ближнем Востоке. Его контакты с ближневосточным мусульманским миром XII–первой трети XIII в. стали предметом исследования настоящей монографии, написанной на основе разнообразных (нарративных, документальных, эпиграфических, нумизматических...) и разноязычных (грузинских, армянских, арабских, персидских, сирийских...) источников. Ее цель – изучение политических аспектов взаимоотношений Грузии с государством Великих Сельджуков, Иракским султанатом Сельджукидов, тюркскими эмиратами, возникшими на территории северной части Северной Месопотамии (Дийар–Бакр) и Армении в процессе распада Сельджукской державы, государствами Аййубидов и малоазийских Сельджукидов, а также аспектов идеологического противостояния христианской Грузии с мусульманским миром и веротерпимой политики грузинских царей в отношении своих мусульманских подданных.

Предлежащая монография состоит из предисловия, пяти глав, библиографии и указателей.

В предисловии (с. 3–8) охарактеризован предмет и изложена цель исследования, очерчены его хронологические рамки.

Первая глава “Грузия и тюрки–сельджуки в первой четверти XII в.” (с. 9–59) состоит из четырех параграфов: §1. Последствия нашествий тюрков–сельджуков на Грузию (с. 9–12); §2. Грузия и государство Великих Сельджуков на рубеже XI–XII вв.: прекращение выплаты дани сельджукам (с. 12–24); §3. Грузия и государство Великих Сельджуков в 1104–1118 гг. (с. 24–36); §4. Борьба Давида IV за политическую гегемонию в Закавказье в 1120–1124 гг. (с. 36–59).

Давид IV, вступивший на престол в 1089г., получил тяжелое наследие – политически раздробленную страну, разоренную и опустошенную вследствие нашествий кочевников. Ему понадобилось десять лет правления для достижения стабилизации внутривосточной обстановки и освобождения страны от вассальной зависимости сельджуков, что выразилось в прекращении выплаты им позорной и разорительной для Грузии дани. Успешному решению этой задачи, наряду с урегулированием внутренних дел, способствовали благоприятные внешнеполитические факторы, о которых речь идет во втором параграфе первой главы.

В “Жизнеописании царя царей Давида” сведение о прекращении Давидом IV выплаты тюркской дани приводится в рассказе о первом крестовом походе, начавшемся в 1097 г.: *“В это время выступили франки, взяли Иерусалим и Антиохию. И с божьей помощью обстроилась страна Картли. Давид усилился и умножил войско,*

прекратил платить харадж султану. И тюрки не могли зимовать в Картли"... На основе этого сообщения грузинские историки считают, что Давид прекратил выплату дани сельджукам в 1097 г. (И. Джавахишвили, В. Копалиани, М. Лордкипанидзе) или в 1099 г. (Р. Метревели). Ряд ученых полагает, что главным внешнеполитическим фактором, способствовавшим осуществлению этого важнейшего мероприятия, следует считать первый крестовый поход, якобы ослабивший Сельджукскую державу, другие же, наряду с этим, заостряют внимание также на ослаблении и распаде государства Великих Сельджуков после смерти Малик-шаха (1092 г.). Изучение этого вопроса показало, что появление крестоносцев, их успехи в отвоевании у мусульман Антиохии и Иерусалима, двух крупных религиозных центров всего христианского мира, могли иметь не более чем моральное значение для Давида IV. Географический арсал, где развернулся первый крестовый поход, не представлял единое политическое целое. Крестоносцы вели военные действия против Сельджукидов Малой Азии, Сирии и египетских Фатимидов, утвердившихся в Палестине. В сферу их интересов Грузия не входила. Политически она была связана с центральной частью (Западный Иран, Ирак) государства Великих Сельджуков. Сельджукские султаны свой контроль над Грузией осуществляли посредством туркмен и регулярных военных сил, которые концентрировались в Арране и Азербайджане. Эти районы остались вне досягаемости крестоносцев, которые безусловно нанесли тяжелые удары как Сельджукидам Малой Азии и Сирии, так и Фатимидам. Для Великих Сельджуков в конце XI в. проблемы крестовых походов еще не существовало. Находясь в отдалении от главного театра военных действий европейских рыцарей, они не испытывали на себе их угрозу. Следовательно, появление крестоносцев в военном и политическом отношениях не могло иметь решающего значения в прекращении дани сельджукам Давидом IV. Существенным и основным следует считать ослабление и распад Сельджукской державы после смерти Малик-шаха. Этот фактор, который был использован царем для укрепления своей власти и подавления сопротивления крупных феодалов, не получивших военной поддержки извне, приобрел особую значимость в конце XI в. В монографии впервые заострено внимание на то обстоятельство, что вскоре после захвата Иерусалима крестоносцами, а именно осенью 1099 г., в Сельджукской державе развернулась ожесточенная борьба за султанский престол между сыновьями Малик-шаха Баркийаруком и Мухаммадом, продолжавшаяся до 1104 г. Она истощила и ослабила военные силы

Сельджукидов в Иране, Ираке, Арране и Азербайджане, отвлекла их от событий, происходивших в Грузии и не дала им возможности отреагировать на антисельджукскую политику Давида IV.

1099 г. является нижним хронологическим рубежом восстановления Давидом IV политического суверенитета Грузинского царства. В 1104 г. в сражении с тюрками в Эрцухи он доказал обоснованность своего решения.

В третьем параграфе первой главы освещены грузино-сельджукские отношения в 1104–1118 гг. В 1104 г. Давид присоединил к Грузии царство Кахети и Эрети, бывшее вассалом Сельджукидов. Случись это несколько раньше, тюрки, занятые внутренними проблемами, не отреагировали бы на враждебную акцию царя. Однако, именно в 1104 г. Баркийарук и Мухаммад заключили мир и оба, получив титул султана, разделили между собой государство. Мухаммаду, наряду с другими владениями, как отмечает Хамдаллах Казвини, досталась и Грузия. Естественно, что одной из его неотложных задач являлось восстановление утраченных позиций сельджуков в этой стране. В 1104 г. Мухаммад направил военные силы Аррана под командованием атабека Ганджи против Давида IV. В Эрцухском сражении царь нанес тяжелое поражение неприятелю. Мухаммад был вынужден признать новую политическую реальность в Грузии и на довольно-таки длительный срок отказаться от походов против нее.

С 1110 г. Давид IV начал планомерную атаку на сельджукские военные базы в Грузии. Он отвоевал у них Самшвилде, а затем взял верх над султанским войском, вторгшимся в Грузию, в Триалети. В этом же году царь совершил поход в Ганджу, главный город Аррана, который все еще подчинялся сельджукам (а не ширван-шаху, как это полагали В. Минорский, К. Каэн и В. М. Бейлис). На основе сведений Ибн ал-Каланиси уточнена дата этого похода – не ранее 23.IV и не позднее 19.VII.1110 г. Выясняется (вопреки распространенному в грузинской историографии мнению), что на этот раз Давид IV потерпел неудачу и тюрки опустошили пограничные районы Грузии.

Впервые обращено внимание на тот факт, что военная активность Давида IV в 1110 г. совпала с первой значительной и серьезной военной кампанией султана Мухаммада против крестоносцев, в частности против Эдесского графства. Сложилась такая ситуация, когда султан оказался не в состоянии призвать на помощь своих верных подданных из региона о. Ван и Северной Месопотамии против Давида, так как они воевали с крестоносцами. В то же время он не мог отправить свое регулярное войско (*аскар) против Эдессы, так как был занят войной с

Грузией. Военные силы сельджуков фактически оказались разрозненными на двух фронтах. Это наводит на мысль о возможном военном союзе между графом Эдессы Балдуином II и Давидом IV. Подобная ситуация повторилась в 1115 г., когда царь отвоевал у тюрок-сельджуков Рустави, без какой-либо ответной реакции султана. Объяснение можно найти в том, что в 1114–1115 гг. большая часть регулярных военных сил Мухаммада была занята войной против крестоносцев на фронтах Сирии и Северной Месопотамии, где они понесли тяжелое поражение. Находясь в курсе событий Ближнего Востока, Давид IV умело пользовался как внутривосточными, так и внешними затруднениями Великих Сельджуков.

В 1118 г. Давид IV захватил город-крепость Лори, бывшую столицу Ташир-Дзорагетского царства. Это событие рассматривается в контексте той борьбы, которая велась за этот важнейший стратегический пункт с начала XII в. между Квирикидами Ташир-Дзорагета, туркменами Дийар-Бакра и Сельджукидами. На основе анализа арабских и армянских письменных источников с учетом исследований современных армянских историков (в частности, А. Матевосяна), становится ясным, что приблизительно в 1105 г. Лори захватил туркменский эмир Кызыл-Арслан (Хезил) из Дийар-Бакра. Он овладел также г. Двином. Около 1110 г. сторонники султана Мухаммада убили Кызыл-Арслана у стен Двина и вскоре после этого заняли и Лори. Ташир-Дзорагетские цари Давид и Аббас, сыновья Квирикс, потерпев неудачу в борьбе с сельджуками в 1111–1113 гг., были вынуждены покинуть родину. Таким образом, Давид IV отвоевал Лори у сельджуков, а не отобрал его у Квирикидов, как полагает по этому поводу ряд исследователей.

Освобождение Лори подготовило почву новому этапу внешней политики Давида IV – его борьбе за политическую гегемонию в Закавказье. Эта борьба широко развернулась с 1120 г., когда Давид IV завершил перестройку военных структур Грузинского царства и формирование сильного и мобильного войска, способного решить наиболее серьезные задачи. К этому времени на политической арене Ближнего Востока, как показано в четвертом параграфе первой главы, произошли значительные перемены. Завершился распад Сельджукской державы. В Западном Иране и Ираке образовался Иракский султанат Сельджукидов. Новому султану Махмуду активно противостояли его братья. Одному из них, Тогрулу, при поддержке султана Восточного Ирана Санджара (1118–1157) удалось утвердиться в Арране в 1118–1119 гг. Сепаратизм Тогрула сковал и блокировал действия султана Махмуда в Закавказье, что было максимально

использовано Давидом IV, предпринявшим с 1120 г. наступление против тюрок–сельджуков по всему закавказскому фронту.

В 1120 г. бывший вассал Сельджукидов ширван–шах признал верховную власть грузинского царя. С преимуществом Давида шла борьба с владельцем Аррана. В 1121 г. он нанес несколько поражений военным силам Тогрула и совершил поход на Барду. Вместе с тем Давид энергично готовился для освобождения Тбилиси от мусульманского владычества. Поиски сильного и надежного покровителя привели тбилисских мусульман к Тогрулу б.Мухаммаду и Артукиду Наджм ад–дину Иль–Гази – владельцу г.Халеба (Северная Сирия) и Мардина (Дийар–Бакр), объединившим свои военные силы против христианской Грузии. Высказано предположение и приведены доводы в пользу того, что мусульманской коалиции оказал поддержку как моральную, так и военной силой, великий султан Санджар, дядя Тогрула, а не Махмуд. 12.VIII.1121 г. в Дидгори Давид IV нанес сокрушительное поражение врагу. Победа позволила ему отвоевать Тбилиси у мусульман и положить конец их 400–летнему господству в этом городе. Сопоставление данных армянских и арабских письменных источников позволило уточнить дату освобождения Тбилиси – 10–18.II.1122 г.

Вскоре после поражения в Дидгори Тогрул б.Мухаммад подчинился Махмуду, что дало султану свободу действия в Закавказье, однако время им было уже упущено. Начавшееся было в 1123 г. протвостояние Иракского султаната с Грузией в Ширване, завершилось победой Давида IV и включением Ширвана в состав Грузинского царства.

В завершении первой главы подробно освещена военная кампания 1124 г., в ходе которой Давид IV освободил от тюрок–сельджуков Дманиси, многочисленные крепости бывшего Ташир–Дзорагетского царства, отнял у Шаддадилов г.Ани (воспользовавшись поддержкой и приглашением анийских христиан) и нанес чувствительные поражения туркменам, осевшим в Южной Грузии.

Создание опорных баз на востоке бывшего Ташир–Дзорагетского царства и Ширване подготавливало условия для нанесения решающего удара сельджукским силам, сконцентрированным в Арране и его главном городе – Гандже. Можно сказать, что начальный этап борьбы за политическую гегемонию в Закавказье под руководством Давида IV Грузия выиграла. Скоропостижная смерть, наступившая 24.I.1125 г. прервала осуществление его широкомасштабных планов.

Вторая глава "Грузия, Иракский султанат Сельджукидов и тюркские эмираты в Дийар-Бакре и Армении при пресмниках Давида IV (XII—начало XIII в.)" (с.60 – 122) состоит из шести параграфов: §1. Иракский султанат Сельджукидов 20–50-х годов XII в. и обстановка в Арране (с.60–65); §2. Эмираты Артукидов и Ахдабидов в Дийар-Бакре (с.65–68); §3. Государство шах-арменов (с.69–74); §4. Сурмарийский и Карсский эмираты (с.74–78); §5. Арзрумский эмират (с.78–84); §6. Грузия, Иракский султанат Сельджукидов и тюркские эмираты в Дийар-Бакре и Армении при пресмниках Давида IV (XII – начало XIII в.) (с. 85 – 122).

В процессе распада Сельджукской державы вблизи южных границ Грузинского царства, кроме Иракского султаната (в который был включен соседний Арран), сложились такие политические образования, как государство шах-арменов, Арзрумский эмират Салтукидов, Сурмарийский и Карсский эмираты. В Дийар-Бакре возникли эмираты Артукидов и Ахдабидов. Все они имели свои интересы в Северной Армении. В первых пяти параграфах второй главы освещена история этих соседних с Грузией тюркских политических единиц. Показано, что, несмотря на распад Сельджукской державы, на южных границах Грузии происходило не ослабление, а укрепление и консолидация тюркского элемента. Приток тюркских племен из Средней Азии в различные районы Ближнего Востока и Закавказья не прерывался. В Арране и Азербайджане обосновались, надо полагать, изгнанные из Грузии туркмены. В исламизированном Арране быстрыми темпами шел процесс тюркизации. Аналогичный процесс начался на армянских землях к северу и югу от р.Аракс. Значительная зона концентрации туркменов образовалась на берегах о.Гелакун.

В тот период, когда Грузия начала борьбу за политическую гегемонию в Закавказье, распределение земель в качестве икта в Арране и Армении среди тюркской и, в меньшей степени, курдской военной аристократии было уже почти завершено, или же завершилось. Естественно, что тюркская военная знать не могла примириться с устремлениями Грузинского царства и сдать свои позиции. Военно-политическая конфронтация Грузии с тюркскими феодальными образованиями, получившая особо жесткий характер при преемниках Давида IV, подробно освещена в последнем параграфе второй главы.

Смерть Давида IV стала как бы знаком для выступления соседних мусульманских государств против Грузии. Заостряется внимание на такие моменты, которые слабо или же вовсе не изучены в грузинской

историографии. Среди них – походы против Грузии султана Махмуда в 1125 г. и коалиционных сил Артукида Да'уда б. Сукмана и владельца Хлата Ибрахима б. Сукмана ал-Кутби в том же году. В обоих случаях победа осталась за грузинами. В 519 г. х./7.11.1125 – 26.1.1126 г. н.э. Деметре I удалось отвоевать Двин (факт вообще неизвестный в историографии) у Ахдабидов. Однако, уже в 1126 г. Грузия начала постепенно сдавать позиции. В 1126 г. Шаддадида, воспользовавшись военной поддержкой султана Санджара, восстановили свою власть в г. Ани и вскоре заняли также Двин. В 1127 или 1128 гг. Санджар возвратил в Арран бежавшего оттуда Тогрула б. Мухаммада и назначил его атабском Кара-Сункура. Кара-Сункуру временно удалось захватить Дманиси. В 1128 г. в сражении у Норберда Деметре нанес поражение атабску и снова отвоевал Дманиси, однако он не смог удержать некоторые крепости у границ Аррана. Именно в этот период Ташир-Дзорогетские цари Аббас и Давид, потерявшие всякую надежду вернуть свои прежние владения от грузинских царей, отправившись в Арран, пошли на сотрудничество с Сельджукидами и получили взамен во владение Тавуш, Мацнаберд и др. крепости.

Противостояние Грузии и Аррана в начале 30-х годов XII в. засвидетельствовано арабским историком ал-'Азими. Оно достигло своей кульминации в 1139 г., когда грузинские войска под командованием Иванэ Абулетисдзе вторглись в разрушенную землетрясением Ганджу. В ответ атабек Кара-Сункур совершил два удачных похода в Грузию (Мхитар Гош, 'Имад ад-дин ал-Исфахани). В последующем десятилетии в боях с Арраном успех был на стороне Грузии и царь Деметре I не раз вмешивался в дела Ганджи. Он получал дань как с этого города, так и от Байлакана, однако грузинскому царскому двору не удалось достичь решающего перелома в этом направлении. Он не имел серьезной социальной опоры в Арране, где феодальные структуры христианской Грузии были неприемлемыми. Несовместимой оказалась идеология противоборствующих сторон – христианство и ислам. Мусульмане ожесточенно защищали Ганджу, важнейший пограничный с Грузией стратегический пункт. В середине 50-х годов Арран ускользнул от политического влияния Грузинского царства. Грузинским властям не удалось помешать возвышению атабека Шамс ад-дина Элдигуза (Илдениза), который, создав сильное атабекство в Арране и Азербайджане, с 60-х годов XII в. подчинил своему контролю Иракский султанат Сельджукидов. В дальнейшем отношения с Элдигузидами в монографии рассматриваются только в тех случаях, когда они совместно с шах-арменом выступали против

Грузии.

В последнем параграфе второй главы освещено также противостояние Грузии с Ахдабидами Арзана и Бидлиса, владевшими к началу 20-х годов XII в. г. Двином и в 1125 г., в борьбе с Грузией потерявшими этот город. В 1126 г. г. Двином овладели Шаддакиды. В 1130 г. Ахдабиду Туган-Арслану и его сыну Курти удалось вновь захватить его. Новый виток противостояния между Грузией и Ахдабидами завершился поражением грузинских войск в Гарни в 1131 г. Это обстоятельство вынудило грузинские власти надолго отказаться от борьбы за Двин.

В активе военных успехов Деметре I числятся победа над шах-арменом Сукманом II в 1130 г., кратковременный захват г. Карса в 1154 г. (факт неизвестный в грузинской историографии) и победа над эмиром Арзрума 'Изз ад-дином Салтуком в том же году, позволившая царю нейтрализовать Арзрумский эмират в борьбе за гегемонию в Северной Армении. Впервые в грузинской историографии рассмотрены такие вопросы как отношения Грузии с Мухаммадом II-султаном иракских Сельджукидов (ал-Хусайни); попытка Ибн Хубайры, везира Аббасидского халифата в начале 60-х годов XII в. использовать военный потенциал Грузинского царства против Элдигузидов (Мухаммад ал-Хамави). Подробно освещена борьба Грузии за овладение городом Ани в 60-70 годах XII в. под руководством царя Гиорги III. В этой борьбе Грузии противостояли государство шах-арменов, его союзники: Артукиды, Ахдабиды, Карсский и Сурмарийский эмираты, а также государство атабесков (Элдигузидов) в Арране и Азербайджане. Ожесточенные кровопролитные бои при Деметре и Гиорги III не принесли Грузии новые территории в Северной Армении. Шаддакидам удалось продлить свое существование в Шираке до конца XII в. Гарантами их безопасности были шах-армены и Элдигузиды. Они же разделили сферы влияния в других районах северной Армении. Двин вошел в состав государства атабесков (Элдигузидов). Их вассалом стал Сурмарийский эмират. Сукман II, уже владевший Эрасхадзором, распространил свое влияние на Вананд, а также на некоторые части Тао – в Южной Грузии.

Неудачи Грузии в Северной Армении были вызваны различными причинами. Установление господства тюркской и курдской военной знати, как известно, обусловило ликвидацию большей части армянских феодальных родов (С.Еремян). Оставшиеся в живых армянские феодалы нашли убежище в Византии и Грузии или же поступили на службу к сельджукам. На армянских территориях, аннексированных мусульманами, не осталось силы, способной защитить наследственное землевладение и вести вооруженную борьбу

